ლევან ტყეშელაშვილი

ქართველი ბერ-მონაზვნები და სამონასტრო ცხოვრება

ქუთაისი 2021

წიგნის გამოცემაში გაწეული დახმარებისათვის მადლობას ვუხდით
მღვდელ ექვთიმე სარალიძეს

რედაქტორი - ირაკლი ლორთქიფანიძე
ისტორიის დოქტორი

კორექტორი - ქეთევან (ბაია) ბოჭორიშვილი

ISBN 978-9941-471-58-2

სარჩევი

1. შესავალი 5
2. **სამონასტრო ცხოვრების სათავეებთან** 15
3. პერიოდიზაცია 35
4. ქართული სამონასტრო ცხოვრება 41
5. ქართული სამეფო მონასტრები 69
6. **სამონასტრო ცხოვრების ადრეული პერიოდი** 81
7. ასურელი მამები 81
8. ილარიონ ქართველის ცხოვრება 100
9. გრიგოლ ხანძთელი 107
10. სერაპიონ ზარზმელი 119
11. **სამონასტრო ცხოვრების ათონური პერიოდი** 121
12. ათონის ივერთა სავანე 121
13. იოანე მთაწმინდელი 124
14. ექვთიმე მთაწმინდელი 128
15. გიორგი მთაწმინდელი 134
16. ქართული მონასტრები წმინდა მიწაზე 144
17. მესვეტე მამები 150
18. ქართული სქემა 157
19. ისიხასტები 160
20. სალოსები 163
21. ლოცვა 164
22. ბერის საზრდელი 168
23. შრომა 171
24. სულიერი მამა 172
25. სამონასტრო ცხოვრება და სჯულის კანონი 174
26. საძვალეები 176

27. ქართული სამონასტრო ტიპიკონები 178
28. პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონი 179
29. უცნობი მონასტრის განგება 197
30. ხანძთის მონასტრის ტიპიკონი 200
31. ათონის ივერთა მონასტრის „წესნი და განგებანი“ 203
32. განგება ვაჰანის ქვაბთა 209
33. მარტვილი მონაზონის საკითხავი მონაზონთა მიმართ 224
34. ექვთიმე მთაწმინდელის დაყუდებული ბერის ტიპიკონი 238
35. დედათა მონასტრები 242
36. სამონასტრო ცხოვრების გვიანი პერიოდი 245
37. ღირსი ონისიფორეს ცხოვრება 245
38. ქრისტესია მონაზონის ცხოვრება 252
39. ბოლო პერიოდის მოღვაწეები 255
40. ბერი ზაქარია ჯაფარიძე 260
41. სქემ მონაზონი შიო 262
42. მარტოდმყოფი მღვდელ-მონაზონი ნიკოლოზ მორჩაძე 267
43. არქიმანდრიტი სერაპიონ ახვლედიანი 268
44. რკინის ხუნდი 269
45. დანართი საქართველოს მონასტრები 272
46. ბირთა საძიებელი 287
47. გამოყენებული ლიტერატურა 294

შესავალი

ქრისტიანთა სამსაუკუნოვანი სისხლიანი მოწამეობა დასრულდა IV საუკუნის დამდეგს და დაიწყო (გრძელდება დღესაც) კიდევ უფრო რთული და მრავალსაუკუნოვანი „უსისხლო მარტვილობა“-მონაზვნური ცხოვრება.

საქართველოში სამონასტრო ცხოვრების წესმა და იქ მოღვაწე რჩეულმა მონაზვნებმა უდიდესი გავლენა მთახდინეს ქართველი ერის ცხოვრებაზე. ჩვენი სულიერ-კულტურული საგანძურის უმთავრესი ნაწილი სწორედ მონასტრებში შეიქმნა და ქრისტიანულმა განათლებამ წარუშლელი კვალი დატოვა ქართველთა ცნობიერებაში. გვერ კიდევ მეთერთმეტე საუკუნეში ღირსი მამა გიორგი შეყენებული (გიორგი მთაწმინდელის მოძღვარი) მიუთითებდა, რომ „მეცნიერებაჲ სულისა სარგებელთა და ღვთისა სათნოთა ცხთრებათა და მოღვაწებათა“ აღწერა და კითხვა-სწავლება აუცილებელია, რადგან მათი მიბაძვით შესაძლებელია „განმართონ ენა-ბრგვილობაჲ ოგი სულისა“ და შესაბამისად ქრისტიანი შეძლებს ღმერთთან მიახლებას, თვით მსმენელებიც კი მრავალ სათნოებას ისწავლიან ღვაწლმოსილ მამათა ცხოვრებიდან. აქედან გამომდინარე, უნდა განვაცხადოთ – გიორგი მონაზონის ზემოთქმულიდან თითქმის 1000 წლის შემდეგ რამდენი გამორჩეული მოღვაწის ცხოვრებაა გამოსაკვლევი და წასაკითხი! ქართველი ბერ-მონაზვნები გასაოცარი თავდადებით გამოირჩეოდნენ, როგორც საქართველოში, ისე უცხოეთის სავანეებში და ბოლომდე მიუძღვნეს თავი ქრისტეს. წმინდა მამათა ცხოვრების შესწავლა სულის გასაძლიერებლად არის საჭირო, რადგან მოღვაწე, რომელიც ღმერთს მიეახლება, აუცილებლად წმინდა უნდა იყოს: „ღვთისა მიახლებად ყოველითურთ წმიდა იქმენ, და პირი ოგი უხილავი თავთა თვისთა მოატყუან სარგებელი“. მათ არაერთი განსაცდელი გადაიტანეს და უმძიმეს პირობებში მოახერხეს ერის სულიერად გამოკვება, მათი სათნოებანი კი სრულად დღემდე არ შესწავლილა.

აუცილებელია წმინდა მამათა ცხოვრების როგორც აღწერა, ასევე ხშირი კითხვაც იმისათვის, რომ მონაზონმა მიიღოს „მეცნიერებაჲ სულისა სარგებელთა“, წმინდათა ცხოვრებას ბევრი ადამიანი მიაბაძავს, რაც სარგებელს მიანიჭებს სულს, ამასთანავე მათი ღვაწლი არ მიეცემა დავიწყებას და მრავალი მორწმუნე გაამრავლებს ტალანტს. წმინდა მამათა

ცხოვრებანი უნდა დაიწეროს რეალურ ფაქტებზე, სარწმუნო და წმინდა კაცთაგან მონათხრობი ცნობებით „სარწმუნოთთა და წმიდათა (კაცთაგან) უწყებული“ და, როგორც „ოქროს ფიალა“ სრულყოფილად შეთხზული, წარედგინოს საზოგადოებას.

ქართულმა მონაზვნურმა ცხოვრებამ დიდი გზა განვლო და 15 საუკუნის განმავლობაში არაერთი წმინდა მამა გამოიჩრა თავისი ორიგინალური და განუმეორებელი ცხოვრებით. ქართული სამონასტრო ცხოვრება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა 1453 წლის (კონსტანტინეპოლის დაცემის) შემდეგ, რადგან ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიაზე არსებულ უძველეს სამონასტრო ცენტრებში მონაზვნური ცხოვრება თითქმის შეწყდა. შესაბამისად საქართველოში შენარჩუნდა ასკეტური მოღვაწეობის ძველი ტრადიციები. ამ თვალსაზრისით ქართული მონაზვნობა განსაკუთრებულ შესწავლას საჭიროებს. თანამედროვე ეტაპზე ამ ფაქტის შესახებ უკვე უცხოელი მეცნიერები მსჯელობენ, მათ შორის შეგვიძლია დავასახელოთ ბ. კრეგო, რომელიც აღნიშნავს, რომ მთელ მართლმადიდებელ ეკლესიაში ქართული სამონასტრო ცხოვრება უაღრესად მნიშვნელოვანი ფენომენია (Crego. 2016:351). ეს არ არის შემთხვევითი მოვლენა, ქართულ სამონასტრო ცხოვრებას აქვს თავისი განუმეორებელი ხასიათი, ამასთანავე საუკუნეების განმავლობაში ასკეტური ცხოვრება უწყვეტად ვითარდებოდა და უძველესმა ტრადიციებმა მეოცე საუკუნემდე მოაღწია.

საყურადღებოა ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა – უძველესი დროიდან ცნობილი ქართველი ბერების უმრავლესობა წმინდანთა დასში არიან შერაცხილნი. მათ შორის სამონაზვნო ცხოვრების დამაარსებელი მამები: იოანე ზედაზნელი და მისი 12 მოწაფე, გრიგოლ ხანძთელი და ტატ-კლარჯეთის მამები, ილარიონ ქართველი, სერაპიონ ზარზმელი. მთაწმინდელი მამები: იოანე, ექვთიმე, გიორგი, იოანე თორნიკეყოფილი და გაბრიელ ბერი. იერუსალიმში მოღვაწე მამები: პროხორე, ნიკოლოზ დვალი და ლუკა იერუსალიმელი. ქართველი მთარგმნელ-განმანათლებლები ეფრემ მცირე და არსენ იყალთოელი. უკანასკნელ პერიოდში მოღვაწე მონაზვნები: ილარიონ ყანჩაველი, ექვთიმე კერესელიძე, ალექსი შუშანია და გრიგოლ ფერაძე. უნდა შევნიშნოთ, რომ ყველა მათგანს განსაკუთრებული და ინდივიდუალური ღვაწლი ჰქონდა, რითაც გარდამტეხი როლი შეასრულეს ერის სულიერ ცხოვრებაში, ამიტომაც მათი წმინდანად შერაცხვა კანონზომიერი მოვლენაა.

ქართველ მონაზონთა აღსრულებული უმკაცრესი ასკეტური წესები და საზრდელის მინიმალური რაოდენობა საშუალებას აძლევდა მონაზვნებს, რომ ხორციელი ვნებები მოეკვდინებინათ და მთელი ყურადღება სიკვდილის შემდეგ განკითხვის დღეზე ფიქრსა და საკუთარ მიღწევათა სრულ იგნორირებაზე გადაეტანათ. ბერმა მარადის უნდა შეზღუდოს გონება და ახსოვდეს ღმერთი. გრიგოლ ღვთისმეტყველი ამის შესახებ აღნიშნავს, რომ „მარადის დაშურებოდიან გონებაჲ შენი წურთისათვის საღმრთოთა მოგონებათაჲსა“ (ბეზარაშვილი. 2016:147) და ასევე „ჰრიდე ენასა“, რადგან შედეგი მალე მოიმკება და მკაცრად სარგებელს მიიღებ. გამოცდილ ქართველ მონაზვნებს მუდამ გააჩნდათ გარდაცვალების შემდეგ ღვთის სამსჯავროზე წარდგომის განცდა. წმინდა მამა შიო მღვიმელი მონაზვნებს მოუწოდებს, რომ „შევიშინოთ“, რადგან „ჟამი წყალობისა დღეს არს“. დღეს, ვიდრე ადამიანი ხორცშია, ყოველივე შეუძლია, შემდეგ კი გვიან იქნება. საყოველთაო განსჯის დღეს „არცა ქრთამი“, „არცა სიტყვისმიცემაჲ“, „არცა ცრემლი“ არ შეიწირება. თუმცა ღირს მამას არც ის ავიწყდება, რომ მონაზვნური აღთქმის შესრულების შემდეგ ღმერთი ძლიერ მოწყალეა: მკირე დროში აღსრულებული ღვაწლის ნაცვლად მონაზონი ასწილად მეტს მიიღებს. ასევე ბრძანებდა ღირსი დავით გარეჯელი, რომ მიწიერი ცხოვრება მალე გაივლის: „წუთ ჟამისა არს და მალიად წარმავალი“, საზღაური და დიდება „ღირსთა მოღვაწეთა“ კი საუკუნოა. წმინდა მამა გრიგოლ ხანძთელი მონაზვნის მოვალეობაზე საუბრისას აღნიშნავს, რომ ღმერთმა დასაბამიდან გამოარჩია კლარჯეთის უდაბნო, რათა უკანასკნელ ჟამს იქ მონაზვნები დამკვიდრებულიყვნენ „ყოველთა ქრისტიანეთა შესავედრებლად“ ე.ი. მონაზონთა მოვალეობაა მთელი საქრისტიანოსთვის ილოცონ, ამისთვის მათ შესაფერისი გარემო პირობები სჭირდებათ, ისეთი, როგორიც კლარჯეთია, სადაც იყო სიმშვიდე, მყუდროება, არ იყო ძლიერი სიცხე და ერისკაცებს კი იქ მისვლის ნაკლები შესაძლებლობა ჰქონდათ.

აღნიშნულ წიგნზე მუშაობა განაპირობა გელათის მონასტრის ეზოში არსებულმა ერთმა გამორჩეულმა საფლავის ქვის წარწერამ. საფლავში განისვენებს 1868 წელს აღსრულებული სქემ-მონაზონი შიო, რომელსაც, წარწერის შინაარსის მიხედვით, მთელი ცხოვრება გელათის სავანეში გაუტარებია, აქედან კი 42 წელი მდუმარების აღთქმა აღუსრულებია და ცეცხლზე გაკეთებული და ცხიმოვანი საკვები არასოდეს მიუღია.

გარდაცვალების შემდეგ მას საგანგებოდ დაუმზადეს საფლავის ქვა მარმარილოს დაფით, რათა მისი ღვაწლი დავიწყებას არ მისცემოდა, ეს კი გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ იგი დიდი მოღვაწე იყო. საფლავის ქვის წარწერა საგანგებოდ რუსულ ენაზეა შესრულებული, რადგან იმ პერიოდში საქართველოს ეკლესია საეგზარქოსოს სახით რუსეთის ეკლესიის შემადგენლობაში შედიოდა.

საქართველოში სამონასტრო ცხოვრებამ ფართოდ მოიკიდა ფეხი მეექვსე საუკუნის შუახანებიდან. ასურელი მამების მიერ დაარსებულ სავანეებში განვითარდა სირიული ბერმონაზვნობისთვის დამახასიათებელი არაერთი ასკეტური მიმართულება. შეგიძლია ვთქვათ, რომ სირიულმა სკოლამ თავისი ღრმა და წარუშლელი კვალი დატოვა ქართულ მონაზვნობაზე, თუმცა ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქართველმა მონაზვნებმა მრავალსაუკუნოვანი ღვაწლის შემდეგ შეიმუშავეს ორიგინალური ქართული ქრისტიანული ასკეტიზმის ბრწყინვალე ნიმუშები, რაც ასე აშკარა იყო ყველასთვის, ანუ ქართველი მონაზვნები თავიანთი ღვაწლით ბოლო დრომდე ყურადღებას იპყრობდნენ უცხოურ სავანეებში. ამის მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ ილარიონ (ახალი) ყანჩაველი, რომელმაც მეცხრამეტე საუკუნეში ათონის მთაზე თავისი ღვაწლით ყველა გააოცა.

ქართული ბერმონაზვნური სკოლის ყველაზე გამორჩეული და ადრეული პერიოდის მოღვაწე იყო წმინდა მამა გრიგოლ ხანძთელი.

გრიგოლ ხანძთელის ღვაწლი სრულყოფილად დღემდე არ არის შეფასებული. არაბთა მიერ განადგურებულ სამეფოში სწორედ მისი უდიდესი მონდომებით დაარსდა სამონასტრო ცენტრები, სადაც სამომავლოდ მომწიფდა საქართველოს გაერთიანების იდეა, ხანძთა, ოპიზა, შატბერდი და სხვა სავანეები ღირსეული მოღვაწეებით უხვად ავსებდნენ ქართულ სახელმწიფოსა და ეკლესიას.

ქართველი ბერები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ კალიგრაფიულ, მთარგმნელობითსა და წმინდა წიგნების გადაწერა-გამრავლების საქმეს. მათ მიაჩნდათ, რომ წიგნების გადაწერა საცხოვნებელი იყო სულისთვის, რომ ეკლესიამ უნდა გაამრავლოს წმინდა მამათა სწავლანი და მარადის იქადაგოს ჭეშმარიტება. ამგვარი მიმართება ჩანს ათონის მთაზე მოღვაწე დიდი ქართველის, იოანე თორნიკეყოფილის მიერ ათონურ ბიბლიაზე გაკეთებული მინაწერიდან: „როგორც ზღვა შეიკრებს

ძლიერებასა მდინარეთასა და არა გარდაეცემის, ეგრეთვე ეკლესიაჲ დღითიდღე სწავლასა წმიდათა მოძღვართასა". წმინდა მამა ყველას მოუწოდებს, რომ „საზრდელისა წარსაწყმედელისათვის" არ ზრუნავდნენ, არამედ საღვთო საქმეებისთვის, რომელიც „ეგოს ცხოვრებად საუკუნოდ". სწორედ საუკუნო ცხოვრებაზე ფიქრი და ზრუნვა წარმოადგენდა ქართველი ბერების უმთავრეს საზრუნავს. როგორც აღვნიშნეთ, მოღვაწე მამებს წმინდა წიგნების გამრავლება საცხოვნებელ საქმედ მიაჩნდათ. რადგან მათი გარდაცვალების შემდეგ არაერთი ადამიანი შეძლებდა წიგნით სარგებლობას. ისინი მძიმე მონაზვნური ღვაწლის პარალელურად ბრწყინვალე კალიგრაფებად და მთარგმნელებად გვევლინებიან. წმინდა წიგნების გადაწერა ბერის ერთ-ერთი უპირველესი მოთხოვნა იყო, შესაბამისად მას განათლებაც სათანადო უნდა ჰქონოდა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერებზე არსებულ მრავალ ანდერძ-მინაწერზე ქართველი მოღვაწეები დიდი მოკრძალებითა და სიმდაბლით ითხოვენ შენდობა-მოხსენიებას, ისინი საკუთარ ღვაწლს საერთოდ უარყოფდნენ და ასე მოიხსენიებდნენ თავს: „უღირსი", „უნდოჲ", „უბადრუკი", „მწარედ ცოდვილი", „გლახაკი" „უცბად მჩხრეკელი". ეს გამოწვეული იყო მათი მაღალი სულიერებით, ვინაიდან ქართველი მოღვაწეები თავიანთ ღვაწლს უმეტესად მალავდნენ.

ცნობილი მეცნიერი ა. ჰარნაკი შენიშნავდა, რომ ბერძენი მხცოვანი ბერები ათასობით წლების განმავლობაში ცხოვრობენ სიწყნარეში, ჭვრეტენ უზენაესს და ნეტარებენ, ისინი ფიზიკურად იმდენს მუშაობენ, რამდენიც თავის რჩენისთვის სჭირდებათ (Harnack.1901:56). შეიძლება ითქვას ქართველ ბერებზეც. ქართულ მონაზვნობას თითქმის 1500 წლოვანი ისტორია აქვს, ქართველმა მოღვაწეებმა ამ ხნის განმავლობაში უდიდესი გამოცდილება შეიძინეს. საკმაოდ მკაცრი სტილი, რომელიც ერთგვარი თავისებურებაა ქართული მონაზვნობისა. ქართულმა სამონასტრო ცხოვრებამ საკმაოდ რთული გზა განვლო და შეიძლება ითქვას, რომ იგი განვითარდა ორ არეალში – საკუთრივ საქართველოში, ისტორიულად ქართულ მიწებზე არსებულ სავანეებსა და უცხოეთში: წმინდა მიწა, სინას მთა, შავი მთა, ათონის მთა და სხვა... ყველა ეპოქაში სხვადასხვა სავანეში გამოჩნდნენ ქართველი მონაზვნები, რომლებმაც არამარტო ქართულ, არამედ საერთო ქრისტიანულ სამონასტრო ცხოვრებაზე მოახდინეს გავლენა (ილარიონ ქართველი, იოანე და ექვთიმე

მთაწმინდელები, გიორგი მთაწმინდელი, გაბრიელ ბერი, ილარიონ ახალი ყანჩაველი, გრიგოლ ფერაძე და სხვები). ქართველი მოღვაწეები ხშირად განმარტოებული ცხოვრებითა და მკაცრი მარხვა-ლოცვით სრულ სიმდაბლეში მოიპოვებდნენ საღმრთო მადლს, ისინი ყოველთვის ცდილობდნენ, რომ ამ მადლის თანაზიარი ყოფილიყო საძმოსა და ერის ნაწილი.

ქართველ მონაზონთა შესახებ უმნიშვნელოვანესი ცნობებია დაცული საქართველოს არქივებსა და მუზეუმებში, არაერთი ღირსეული მოღვაწის მიერ გადაწერილი ხელნაწერი, ანდერძი, არშიაზე მინაწერი ჯერ კიდევ საჭიროებს კვლევა-ძიებას. სამონასტრო ცხოვრების შესწავლისას ფრიად მნიშვნელოვანია ჩვენამდე მოღწეული ბერ-მონაზონთა საფლავის ქვები, თუმცა უნდა ვთქვათ ისიც, რომ ბევრ მათგანზე წარწერების გარჩევა უკვე შეუძლებელია. შესაბამისად მონასტრებმა უნდა იზრუნონ ძველი საფლავების მოვლა-გადარჩენაზე. აღნიშნული თვალსაზრისით მეტად საინტერესოა ქართულ არქივებში არსებული გვიანი პერიოდის დოკუმენტები. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ გელათში მოღვაწე ერთ-ერთი უკანასკნელი დაყუდებული მღვდელ-მონაზვნის შესახებ არსებული ინფორმაცია. საარქივო ცნობის მიხედვით, გელათის მთავარი ტაძრის ჩრდილოეთით, „დიდი ეკლესიის პირველი კარის პირდაპირ“, არსებობდა საფლავის ქვა შემდეგი წარწერით: „აქა საფლავსა მას შინა მდებარე არს ნეტარ ხსენებული დაყუდებული გერმანე ყოველთა აღმომკითხველთა და მხილველთა გევედრებით შენდობის ყოფად. ჩღპზ (1887)“ (კუზევაძე.2019:57). თანამედროვე პერიოდში არასწორად ხდება ძველი საფლავის ქვების გადადგილება, სამწუხაროა მათ მიმართ უყურადღებო დამოკიდებულება, სამშენებლო ან სარესტავრაციო სამუშაოების შესრულების დროს. ასეთ შემთხვევებში კი საარქივო ცნობებს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება.

2007-2010 წლებში გელათში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების დროს ეზოში აღმოჩენილია საფლავის ქვა, რომელიც ეკუთვნის მეოცე საუკუნის დამდეგის მოღვაწეს, ბერ-დიაკონ ბენედიქტე ნაფეტვარიძეს. საფლავის ქვის შინაარსიდან ნათელი ხდება, რომ ბენედიქტე ბოლო პერიოდის ერთ-ერთი დიდი მოღვაწეა. საფლავის ქვის შინაარსი: „აქ განისვენებს დიდი მოღვაწე, ღირსი მამა სქემ იერო დიაკონი

ბენედიქტე ტომით ნაფეტვარიძე. გარდაიცვალა 1914 წ. 17 ივლისს. შობიდან 80 წ. ღმერთო შეიწყალე მონა ესე შენი. ამინ“. ბენედიქტე ნაფეტვარიძის შესახებ შეგვიძლია დამატებით აღვნიშნოთ, რომ 2006 წელს, ვიდრე მისი საფლავის ქვას აღმოჩენდნენ, ჩვენთან საუბარი ჰქონდა გელათის მკვლელს კონსტანტინე ჯანგავაძეს. მას მამისგან ახსოვდა, რომ ბენედიქტე გამორჩეული მლოცველი მამა ყოფილა და იგი გელათის ზემოთ დაჩოქილ მდგომარეობაში უნახავთ გარდაცვლილი, ე.ი. იგი ლოკულობდა. ასე, რომ საფლავის ქვის წარწერით ჩვენ წარმოდგენა გვექმნება ბოლო დროის ერთ-ერთ სულიერ მოღვაწეზე, რომელმაც თანამედროვეებზეც მოახდინა შთაბეჭდილება.



„დიდი მოღვაწე“ ბერ-დიაკონი ბენედიქტე ნაფეტვარიძე

ქართული მონაზვნობის ქვაკუთხედი სიმდაბლე-მორჩილება იყო და, რაც მთავარია, ქართველი მამები, რომლებმაც დიდ სულიერ საზომს მიაღწიეს, უბრალოებით გამოირჩეოდნენ. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილთან ერთად ქართველმა მონაზვნებმა ერის განათლებაზეც იზრუნეს, სწორედ მონასტერი იყო ის ადგილი, სადაც ძვირფასი ხელნაწერი წიგნები იწერებოდა თუ ითარგმნებოდა. ასე რომ ქართველი ბერების ღვაწლის სრულად შეფასება შეუძლებელია, მათმა ქრისტიანულმა თავდადებამ და ღვთისმოშიშებამ მრავალჯერ გადაარჩინა ქვეყანა და საერო მმართველები ზნეობრივად გამოაფხიზლა. უამრავი ქართველი მოღვაწის ცხოვრება ჩვენთვის უცნობი დარჩა, განსაკუთრებით განმარტოებით მცხოვრები განდეგილი ბერებისა, რომლებიც სრულად ფარავდნენ თავიანთ ღვაწლს.

ძველი ქართული სამონასტრო ცენტრები, უცხოეთის მსგავსად, ჩვენმა წინაპრებმა მთაგორიან და ძნელად მისადგომ ადგილებში დაადგეს. ბიბლიაში მთაზე აღსრულებულ სასწაულთა უამრავი მაგალითია (სინას მთა, თაბორის მთა, ზეთისხილის მთა და სხვა). მაღლა მთაში

დამკვიდრებული მოღვაწე უფრო მადლმოსილია და ღმერთთან ამყარებს კავშირს. ამასთანავე საქართველო მთაგორიანი ქვეყანაა, მთიან რელიეფზე დაფუძნებული მონასტრები მოშორებული იყო წუთისოფლისგან, მტრის თავდასხმის შემთხვევაშიც უფრო საიმედო იყო. საქართველოში ყველაზე მძლავრი და მრავალრიცხოვანი მონასტრები მთიან ადგილებშია დაფუძნებული, მათ შორის: ზედაზენი, შიომღვიმე, დავით გარეჯი, მარტყოფი, გელათი, მოწამეთა, ვარძია და მრავალი სხვა. მონასტრის მდებარეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა, რათა მონაზონს სამოღვაწეოდ მყუდრო ატმოსფერო ჰქონოდა. ამასთან დაკავშირებით ამბროსი ხელაია აღნიშნავდა ჭელიშის მონასტრის მდებარეობის გამორჩეულობას: „ჭელიშის ღრმა ხეობა, რომელიც შემოზღუდულია მაღალის მთებით, თითქოს საგანგებოდ გაუჩენია ღმერთს სამონაზნო მოღვაწეობისთვის. ადგილმდებარეობა ჭელიშის უდაბნოს მიდამოებისა ძალაუნებურათ მიაქცევინებს კაცს ყურადღებას თავის შინაგან სულიერ ცხოვრებაზე... ძალაუნებურად იზიდავს კაცს იფიქროს შემოქმედზე“ (ხელაია. 2011:21). შესაბამისად ქართული მონასტრები მყუდრო და გამორჩეულ მიდამოებში ფუძნდებოდა ხოლმე.

ჩვენამდე მოღწეული რამდენიმე სამონასტრო ტიპიკონი საშუალებას გვაძლევს გავიგოთ, თუ როგორი იყო ქართულ მონასტრებში მონაზონთა ყოფა-ცხოვრება, უფლება-მოვალეობანი, ლოცვის წესი, სასჯელები და მრავალი სხვა. ქართულ მონასტრებში საკმაოდ მკაცრი კანონები მოქმედებდა და მასზე პასუხისმგებლობა წინამძღვარს ეკისრებოდა. ტიპიკონის მუხლების დარღვევა დაუშვებელი იყო და არავის ეპატიებოდა. ვაჭანის მონასტრის განგების მიხედვით, „გატეხად ტიპიკონისას“ ჩამდენ პირს განკვეთა ემუქრებოდა.

ქართულ მონასტრებში მოვალეობები გადანაწილებული იყო. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა, თუ როგორ მოიქცეოდა მონაზონი, უწესობა მონასტერში დაუშვებელი იყო, უწესო ბერის დამოძღვრა მხოლოდ წინამძღვრის მოვალეობა არ იყო, მონასტერში წესრიგის დასამყარებლად დეკანოზებსა და მოძღვრებსაც უნდა ეზრუნათ. მათ მოქმედებას კი კეთილისმყოფელი გავლენა უნდა ჰქონოდა უწესობის ჩამდენზე, ანუ მისთვის „საკურნებელი“ უნდა ყოფილიყო. ხათრის გამო არ შეი-

ძლებოდა უწესობის დაფარვა, ასეთ შემთხვევაში მოძღვარი სამღვდელთ ხარისხსაც კი დაკარგავდა. აქედან გამომდინარე ნათელია, რაოდენ დიდი ყურადღება ეთმობოდა ძველ ქართულ მონასტრებში წესრიგსა და ცოდვით დაცემული მონაზვნის კურნების საქმეს.

მონასტერში მიღებული მაღალი ხარისხი – დეკანოზობა ან იკონომოსობა – მათ არ ათავისუფლებდათ მონაზვნისთვის აუცილებელი ვალდებულებებისაგან. არავინ არის გამორჩეული ქართულ მონასტერში, მორჩილება ყველას ვალია. მან, ბერმა, უნდა შეასრულოს მონაზვნური აღთქმა და სიზარმაცეს ვერ მიეცემა, ანუ დეკანოზობის გამო ის არ თავისუფლდება მოვალეობისაგან, მას არ შეუძლია თქვას, რომ უკვე იღვაწა, მიაღწია სრულყოფილებას და აღარ სჭირდება სენაკიდან გამოსვლა, ლოცვაზე დასწრება ან საერთო ტრაპეზზე გამოცხადება, ასეთი მოქმედება მიუღებელია და უდებების ან ამპარტავნების გამო მან შეიძლება მონასტერში სამღვდელო ხარისხი და თანამდებობაც დაკარგოს, გამეორების შემთხვევაში კი მონასტრიდანაც გააძევებენ. შესაბამისად უზრუნველი ცხოვრება მონასტერში დაუშვებელია, ხარისხი ან მიღწეული თანამდებობა ბერს პასუხისმგებლობისაგან არ ათავისუფლებს, ამგვარი ამპარტავნება მას შეიძლება ყველაფრის დაკარგვის ფასადაც კი დაუჯდეს, ამიტომ ასეთი მიმართება არავის აძლევდა იმის საშუალებას, რომ მონასტერში უდარდელად ეცხოვრა.

წმინდა პავლე მოკიქულის სწავლების მიხედვით, ვაჰანის მონასტერში არსებობდა იმ მძიმე ცოდვათა ჩამონათვალი, რომლებიც მონაზონს არ ეპატიება: „არცა მეძავთა, არცა კერპმსახურთა, არცა მემრუშეთა, არცა ჩუკენთა, არცა მამათმავალთა, არცა ანჰგართა, არცა მპარავთა, არცა მემთვრალეთა, არცა მაგინებელთა, არცა მტაცებელთა სასუფეველი ღვთისაჲ ვერ დაიმკვიდრონ“. თუკი აღნიშნულ ცოდვაში იქნებოდა მხილებული ბერი, მას შენდობის გარეშე გააძევებდნენ მონასტრიდან. ცოდვაში ჩავარდნილი მონაზვნის საქმის გამოკვლევა მოხდებოდა „გამოძიებითა მრავლითა“ და შემდეგ მიიღებდნენ გადაწყვეტილებას, რადგან მონასტრებში იყო ცილისწამების შემთხვევებიც, როდესაც ვინმე შურის გამო აღიჭურვებოდა „საეშმაკოთა რათმე შურმტერობითა“. ასეთ მძიმე გადაწყვეტილებას მხოლოდ მკაცრი განხილვის შემდეგ იღებდნენ. ეს

ფაქტი კარგად მიგვანიშნებს იმაზე, რომ სამართლიანობის პრინციპი უმთავრესი იყო ძველ ქართულ მონასტრებში. ვაჰანის ქართულ მონასტერში მკაცრად ისჯებოდა სიმონიისა და ვერცხლისმოყვარეობის ცოდვა. რაც უფრო მაღალ პატივში იყო მონასტერში მოღვაწე პირი, აღნიშნული ცოდვის ჩადენისას უფრო მკაცრად ისჯებოდა და პატივს დაკარგავდა. ტიპიკონის მკაცრი შესრულება უნდა ყოფილიყო ერთგვარი გარანტი, რომ ასეთ დიდ ცოდვაში ვინმე არ ჩავარდნილიყო. სიმონიის ცოდვას მკაცრად გმობს რუის-ურბნისის საეკლესიო კრების კანონიკა.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ წარმოგიდგინეთ რამდენიმე ქართველი გამორჩეული მამის (გრიგოლ ხანძთელი, ილარიონ ქართველი, ექვთიმე მთაწმინდელი, გიორგი მთაწმინდელი, ღირსი ონისიფორე და ქრისტესია მონაზონი) ცხოვრება, რათა მკითხველს შეექმნას შთაბეჭდილება რჩეულ ქართველ მონაზვნებზე, თუ როგორ მკაცრ ასკეტურ წესებს აღასრულებდნენ და, რაც მთავარია, ისინი ყველა მონაზვნისთვის (ქრისტიანისთვის) მისაბაძი პირები იყვნენ. ნაშრომში არაერთი მნიშვნელოვანი ფაქტი და მოვლენაა მოყვანილი და ახლებურად გააზრებული. თემის სირთულიდან გამომდინარე მრავალი საკითხი შემდგომ კვლევა-ძიებას საჭიროებს, ამასთანავე ქართულ სამონაზვნო ცხოვრებაზე სრულყოფილი შთაბეჭდილების შესაქმნელად საჭიროა გამოიკვეს რამდენიმე ტომი.

პანდემიის მძიმე სიტუაციის გამო მთელი რიგი საკითხები შევკვეცეთ, რადგან ამ პერიოდში ბიბლიოთეკებში, არქივებსა და მუზეუმებში შეზღუდული იყო მუშაობა. წიგნზე მუშაობისას დიდი დახმარება გაგვიწიეს და მადლობას მოვახსენებთ: ბატონებს მერაბ კეზევაძეს, ზურაბ თოდუას, ვლამბულ ქაშიბაძეს, ქალბატონებს ნონა ქარცივაძეს, ირინა უგრეხელიძეს და ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო აღნიშნულ საქმეში.

სამონასტრო ცხოვრების სათავეებთან

საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების მქადაგებლად და ასკეტური ცხოვრების დამწყებად ქართველთა განმანათლებელი და მოციქულთასწორი წმინდა ნინო გვევლინება. კაბადოკიასა და იერუსალიმში მეოთხე საუკუნის დამდეგს სამონასტრო ცხოვრება ძალას იკრებდა. იმხანად არაერთი ქრისტიანი დაადგა განდეგილური ცხოვრების გზას, მათ შორის იყვნენ წმინდა ნინოს მშობლებიც – ზაბულონი და სუსანა. წმინდა ნინოს შესახებ არსებული უძველესი ქართული წყარო „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ გარკვევით გვაუწყებს, რომ ნინოს მშობლებმა მონაზვნური ღვაწლი იტვირთეს: „და ვითარ ვიქმენ მე თორმეტისა წლის, მშობელთა ჩემთა განყიდეს ყოველი, რაჲცა აქუნდა, და წარვიდეს იერუსალემად“. მაშინ მამამან ჩემმან დაიწერა გჳარი პატრიარქისაგან და განიჴმნა დედისაგან ჩემისა“ (მოქცევაჲ ქართლისაჲ“. 1979:330). ზაბულონი „წარვიდა წიაღ იორდანესა კაცთა მათ თანა ველურთა, რომელ-რაჲ ყოფაჲ მისი იცის უფალმან იესუ“ (იქვე:330). თორმეტ წელს მიღწეული ნინო მშობლებმა იერუსალიმში წაიყვანეს. სწორედ ამ ასაკში დებდნენ გოგონები ქალწულების აღთქმას და ვფიქრობ, წმინდა ნინოც არ უნდა ყოფილიყო გამონაკლისი. ამ მნიშვნელოვან მოვლენას უნდა უკავშირდებოდეს მისი იერუსალიმში წაყვანა (როგორც ჩანს, წმინდა ნინო უკვე ქალწულთა მწყობრში იყო „აღრაცხული“ (მათითაშვილი. 2017:139). აღსანიშნავია, რომ ზაბულონი გაემართება იორდანეს გაღმა ცნობილ უდაბნოში, სადაც არაერთი ღირსი მამა დაემკვიდრა სამოღვაწეოდ. არ არის გამორიცხული, რომ წმინდა ნინოს მშობლებმა თავიდანვე ჩაიფიქრეს ერთადერთი ქალიშვილის ქალწულად დარჩენა, ამის გამო ის მიაბარეს საკა ნიაფორს, რომელიც წმინდა ქალაქ იერუსალიმში მოღვაწეობდა. ლეონტი მროველის თხზულებაში საკა ნიაფორის შესახებ გარკვევითაა ნათქვამი, რომ „არცა ვინ იყო შორის იერუსალემისა სწორ მისსა მეცნიერებით სჯულისა, ძუელისა და ახლისათა, ყოველსავე ზედმიწევნით“ (ქრ.ცხ.1955:77).

აშკარაა, რომ საკა არ იყო ჩვეულებრივი პიროვნება, ის უნდა ყოფილიყო ასკეტურად მოღვაწე ქალწული, რომელსაც ქრისტეს შესახებ ყოველივე ჰქონდა შესწავლილი. შ. მათითაშვილი შენიშნავს, რომ

სარას ერთ-ერთი მოვალეობა ახალგაზრდა ქალწულების აღზრდა იყო, რაც იერუსალიმის ეკლესიაში განსაკუთრებულ სტატუსზე მეტყველებს. კეთილმსახური სომეხი „დედაბერი“ ადრეული ასაკიდანვე ქრისტეს იყო დამოწაფებული, მისთვის, როგორც „სასძლო“, ქალწულებრივად ცხოვრობდა და მდიდარი სულიერი გამოცდილების ქრისტიან ქალწულთა ახალი თაობებისათვის გადაცემით იყო დაკავებული (მათითაშვილი. 2017:145). წმინდა ნინომ სარა ნიაფორთან იერუსალიმში ორი წელი დაჰყო.

წმინდა ნინოს ცხოვრებაში ნათლად ჩანს, რომ ის მისიონერულ მოღვაწეობას ვეღარ კიდევ რომის იმპერიაში ეწევა, როდესაც მან მოაქცია რიფსიმე და გაიანე. ცხოვრების მიხედვით, წმინდა ნინომ „რიფსიმე და დედამძუძე გაიანე მონასტერსა შინა ქალწულთასა“ (ქრ.ცხ.1955:80) იბოვა. მათთან ერთად იყო ასევე მათი სახლეულიც, რომელთაც „ხელსა ქუეშე წმინდა ნინოსა ნათელ-იღეს“. აღნიშნულ ადგილზე თხზულებაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცნობაა დაცული: „და წარვიდეს ესე ყოველნი მონასტერსა თჳისსა. და იყო მათ თანა წმინდა ნინო ორ წელ“ ე.ი. წმინდა ნინო თავის მოწაფეებთან ერთად ერთ-ერთ მონასტერში დამკვიდრებულა და იქ ორი წელი გაუტარებია. აქედან გამომდინარე უნდა დავასკვნათ, რომ წმინდა ნინო საქართველოში შემოსვლამდე იმარხავს ქალწულებრივ აღთქმას, იერუსალიმში სარა ნიაფორისაგან სწავლობს ქრისტიანულ მცნებებს, ხოლო რომში წასვლის შემდეგ იგი მოაქცევს რიფსიმესა და გაიანეს და ცხოვრობს რომელიღაც მონასტერში. ამის შემდეგ წმინდა ნინო მოდის ვეღარ სომხეთში, ხოლო შემდეგ საქართველოში.

აღსანიშნავია, რომ წმინდა ნინო მცხეთაშიც აგრძელებს ქრისტიანულ მოღვაწეობას, ის იჩენს მოწაფეებს და ფარულად აღასრულებს კურნებებს. იგი დამკვიდრებული იყო მცხეთაში „კოშკსა მას მაღალსა ბრინჯთა მათ ქუეშე“ ბარბატამ მეფის საგრილებელთან, სადაც მან დაიმოწაფა შვიდი მანდილოსანი: „სანატრელმან წმიდამან ნინო დაყო ექუსი წელი, ვითარ-იგი თჳით იტყვს ყოფასა შინა მისსა, და ოდესმე შვიდნი დედანი დაგვემოწაფნა შეჯულსა მისსა, რამეთუ ჰყოფდა ფარულად კურნებათა მრავალთა“ (მოქც. ქართ.1979:340). აღნიშნული აშკარად მიუთითებს, წმინდა ნინოს ფარულ მონაზვნურ ღვაწლზე ექვსი წლის განმავლობაში – მას ჰყავს მოწაფეები და აღასრულებს კურნებებს.

ნინო განმანათლებელი საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებასთან ერთად ასკეტური, მონაზვნური ცხოვრების ბირველმქადაგებელიც იყო. კაბადოკიელი ასული ადრეულ ქრისტიანობაში ჩამოყალიბებული ქალწულთა დასის ტიპიური წარმომადგენელია (მათითაშვილი. 2017:181).

აქედან გამომდინარე უნდა დავასკვნათ, რომ სამონაზვნო ცხოვრების სათავეებთან თავად ქართველთა განმანათლებელი წმინდა ნინო დგას. მისმა მოღვაწეობამ დიდი შედეგი გამოიღო, მან დაიმოწაფა არაერთი მანდილოსანი, მათ შორის მეფის მეუღლეც. ვფიქრობთ, რომ მოციქულთასწორი ნინოს მოწაფეები წმინდანის გარდაცვალების შემდეგაც გააგრძელებდნენ მონაზვნურ ღვაწლს, რაც გვაძლევს ვარაუდის შესაძლებლობას, რომ სამონასტრო ცხოვრებაზე წარმოდგენები საქართველოში ჯერ კიდევ მეოთხე საუკუნის 20–30-იან წლებში გაჩნდა.

ცნობილია, რომ VI საუკუნის შუახანებიდან საქართველოში დაიწყო მონასტრული ცხოვრება, როდესაც 13 ასურელი მამა ჩამოვიდა იოანე ზედაზნელის ხელმძღვანელობით. საქართველოში ბოლთ დრომდე ძირითადად გაბატონებული იყო მოსაზრება, რომ სამონასტრო ცხოვრება ასურელმა მამებმა დაიწყეს მხოლოდ VI საუკუნეში. ხელოვნებათმცოდნე დავით ხოშტარიამ 2005 წელს შენიშნა, რომ დიდი ხნის მანძილზე დომინირებდა კ. კეკელიძის აზრი, თითქოს პირველი მონასტრები საქართველოში დაარსეს ასურელმა მამებმა. ბოლო ათწლეულებში გამოვლენილი მასალები სხვაგვარად წარმოაჩენს ქართული მონასტიციზმის ისტორიის ადრეულ ეტაპს, ვფიქრობ ამ თვალსაზრისით საფუძველი აღარა გვაქვს ეჭვი შევიტანოთ ჯუანშერის ცნობის სისწორეში (ხოშტარია. 2005:33). მეცნიერისვე შეხედულებით ამგვარი დამოკიდებულება დაამკვიდრეს ივ. ჯავახიშვილმა და კ. კეკელიძემ, რადგან უნდობლობა გამოიჩინეს „ვახტანგ გორგასლის ცხოვრების“ მიმართ.

აღნიშნულ საკითხზე ყურადღება გავამახვილეთ 2014 წელს, რომ ჯუანშერის ცნობები ვახტანგ გორგასლის მიერ თბიზაში მონასტრის დაარსებასთან დაკავშირებით სარწმუნო უნდა იყოს. თბიზის მონასტერი უშუალოდ ვახტანგ მეფის ბრძანებით არსდება: „უბრძანა, რათა გამონახოს ხევსა მას შინა ადგილი სამონასტრე და აღაშენოს ეკლესია, და ქმნეს მონასტრად, ვითარცა ეხილვნეს მონასტერნი საბერძნეთისანი“ (ქრ.

ცხ.1955:177). ასეთი მნიშვნელოვანი ცნობის უარყოფა დაუშვებელია. ბიზანტიის იმპერიაში იმხანად აღორძინებული სამონასტრო ცხოვრების მსგავსად ქართველი მეფეც იწყებს მონასტრების აგებას და ეს ფაქტი შესაძლოა ავტოკეფალიის მოპოვებამდე ხდებოდა (ტყეშელაშვილი. 2014:334). პონტოში ლაშქრობის დროს, როგორც ჩანს, ვახტანგ გორგასალმა ბერძნული მონასტრები ნახა და მათ მსგავსად ააგო ოპიზის მონასტერი.

უნდა შევნიშნოთ, რომ ვახტანგ გორგასლის იერუსალიმში ყოფნის დროს წმინდა მიწაზე უკვე არაერთი მონასტერი მოქმედებდა და ბუნებრივია ქრისტიანი მეფე, რომელმაც საკათალიკოსო დააარსა თავის ქვეყანაში, მონასტერთა აგება-გამშვენიერებაზეც იზრუნებდა, სწორედ ამის გამო ამბობს ვჯუანშერი, რომ „ვითარცა ეხილვნეს მონასტერნი საბერძნეთისანი“. ერთ-ერთი ძველი გადმოცემით, რომელზეც მ. საბინინი საუბრობდა, ვახტანგ გორგასალს იერუსალიმში ყოფნის დროს მოუნახულებია იერუსალიმის პატრიარქი, რომელსაც საჩუქრები გადასცა და მისგან გამოითხოვა ადგილი ეკლესიის ასაშენებლად ქართველი მომლოცველებისთვის. იერუსალიმის პატრიარქს დაუკმაყოფილებია ვახტანგ მეფის სურვილი და გადაუცია ადგილი იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტრის ასაშენებლად (Сабинин, 1877:86). აქედან გამომდინარე, ვახტანგ გორგასალი თავისი პოლიტიკური წონისა და მონდომების შედეგად ჯერ იერუსალიმში, ხოლო შემდეგ საქართველოში აარსებს მონასტრებს, რაც ძალიან ლოგიკურია. ვახტანგ მეფის იერუსალიმში ყოფნის დროს არ არის გამორიცხული, რომ იქ უკვე იმყოფებოდნენ ქართველი მონაზვნები (ზოგიერთი მკვლევარი ვახტანგის იერუსალიმში ჩასვლას საეჭვოდ მიიჩნევს).

აუცილებელია შევნიშნოთ, რომ ჩვენთან ჯერ კიდევ V საუკუნის მეორე ნახევარში უნდა დაარსებულიყო პირველი მონასტრები. აქვე ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ ქართლის რიგით მეორე კათალიკოსი სამოელი საქართველოში ჩამოსვლამდე მონაზონი იყო და გრიგოლ ღვთისმეტყველის საფლავზე მოღვაწეობდა. მცხეთაში ჩამოსვლის შემდეგ სამოელი (502-507) აუცილებლად გააგრძელებდა თავის მონაზვნურ ღვაწლს და კათალიკოსად გახდომის შემდეგ კი შესაძლებლობა მიეცემოდა მონასტრები დაეარსებინა.

საყურადღებოა, რომ IV-V საუკუნეებში საქართველოს მეზობელ სომხეთსა და ალბანეთში უკვე არსებობდა მონასტრები. აქვე მხედველობაშია მისაღები ერთი ფაქტი, რაზეც ახალგაზრდა მკვლევარი შ. მათითაშვილი მართებულად შენიშნავს, რომ ქართული ბერმონაზვნობა აღმოსავლური ბერმონაზვნობის ერთიანი სემიოსფეროს კონტექსტში მოთავსებით „იშიფრება“ და არა ნეოპლატონურ ან სხვა რელიგიურ-ფილოსოფიურ მიმდინარეობებთან გავლებული უსაფუძვლო პარალელებით, რაც ქართველოლოგიაში დიდი ხნის მანძილზე გაბატონებულ ტენდენციას წარმოადგენდა. ათეისტური იდეოლოგიის გამო ისტორიის ყველა მოვლენას ლენინურ მოძღვრებაზე დაყრდნობით ხსნიდნენ (მათითაშვილი. 2017:67–68). მეოცე საუკუნეში ათეისტური იდეოლოგიის პირობებში ბუნებრივია, რომ ქართული ბერმონაზვნური ცხოვრების კვლევა-ძიება ვერ მოხდებოდა და წარმოუდგენელიც იყო.

უძველეს ქართულ მონასტერთან დაკავშირებით უაღრესად საინტერესო ცნობებს შეიცავს ბერთის ოთხთავის ერთ-ერთი ვრცელი მინაწერი. მასში მოთხრობილია ქართველი ბერის ამბავი, რომელიც ერთხანს მდინარე იორდანეს ნაპირას ცხოვრობდა იერუსალიმის მახლობლად და შემდეგ გადავიდა კონსტანტინეპოლში, წმინდა გიორგის მონასტერში. იქ ყოფნის მეოთხე წლის თავზე მას წმინდა გიორგი გამოცხადებია და წმინდანის ხატის საქართველოში გადასვენება უთხოვია. ქართველ ბერს თრ სხვა ბერთან – ანდრიასა და ილარიონთან ერთად – მთავარმოწამის ხატი საქართველოში – საღვთაოში გადაუსვენებია. რამდენიმე წლის შემდეგ ამ ადგილს „ბარბაროსები“ შესევიან. წმინდა გიორგის მორიგი ჩვენებით ბერს ხატი გადაუტანია „თუხართა, რომელ არს ჭოროხის პირსა“ და დაუსვენებიათ კლდეზე, რომელსაც ეწოდებოდა ტანიგარა (ტანიგორა?). ხატის სანახავად მისულა ვახტანგ გორგასალი და მეფის ნებით ხატისთვის „თუხართა მთავარმოწამე“ უწოდებიათ (ხოშტარაია.2005:26). დ. ხოშტარაია შენიშნავს, რომ ხატის დასვენების ადგილას ეკლესიაც უნდა აშენებულიყო, რაც სრულიად ლოგიკურია. აღნიშნული ცნობა ძალიან ფასეულია და აცოცხლებს უძველეს ამბავს, რომლის მიხედვითაც ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობის პერიოდში საქართველოში ჩამოსულა ბერი, რომელსაც სასწაულებრივად ჩამოუტანია წმინდა გი-

ორგის ხატი. აქედან გამომდინარე ბუნებრივია, რომ ხატის დაბრძანების ადგილას მონასტერი უნდა დაარსებულიყო.

აღნიშნულ ფაქტზე ჯუანშერი არაფერს ამბობს, თუმცა ცნობილია, რომ ვახტანგ მეფე და არტავაზი მხოლოდ თუხარისის ციხის დათვალიერებით შემოიფარგლნენ. ხოშტარიასვე შენიშვნით, არ არის გამორიცხული ვახტანგ გორგასალს თუხარისის ძველ ეკლესიაზე რაღაც სამუშაოები ჩაეტარებინა ან განეახლებინა (იქვე:27). აღნიშნული მინაწერი კიდევ ერთი დასტურია იმ ფაქტის, რომ V საუკუნის ბოლოს საქართველოში იერუსალიმ-კონსტანტინეპოლიდან ანუ ბიზანტიის იმპერიიდან ჩამოვიდა ბერი წმინდა დიდმოწამის ხატით, რასაც თუხარისში მონასტრის დაფუძნება უნდა მოჰყოლოდა.

თანამედროვე ეტაპზე ჩატარებული არქეოლოგიური კვლევების შედეგად დასტურდება, რომ იერუსალიმში ქართველებს უძველესი პერიოდიდან ჰქონდათ მონასტრები, რასაც შესაძლოა სწორედ ვახტანგ გორგასლის პერიოდიდან ჩაეყარა საფუძველი. 1996 წელს არქეოლოგიური კვლევის შედეგად ძველი იერუსალიმის სამხრეთ-აღმოსავლეთით – უმთ ლეონზუნში აღმოაჩინეს ბიზანტიური პერიოდის ქართული მონასტერი, რომელშიც იპოვეს ქართველი ეპისკოპოსის აკლდამა (Seligman. 2015:145-148). პატარა ქართულ მონასტერს ამშვენებდა მოზაიკა, რომლის ნაწილმა დღემდე მოაღწია. იქვე, ეკლესიის ქვეშ, აღმოჩნდა კრიპტა დასაკრძალავებით და საფლავის ქვის ასომთავრული წარწერით, რომელიც ეკუთვნოდა იოჰანე ქართველ ეპისკოპოსს (სხირტლაძე. 2015:363). აღნიშნულ საკითხზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ.

მნიშვნელოვანი არქეოლოგიური კვლევა ჩატარდა 2006 წელს მცხეთაში. სვეტიცხოვლის საკათალიკოსო ტაძარში გაიხსნა უძველესი პერიოდის, ვახტანგ გორგასლის დროინდელი ბაზილიკის იატაკის დონეზე დაბლა არსებული საფლავის ქვა. ქვაყუთში დაკრძალული იყო დაახლოებით 160 სმ სიმაღლის ასაკოვანი მამაკაცი. განსაკუთრებით საყურადღებო გამოდგა მიცვალებულის სუდარისა და ტანსაცმლის, აგრეთვე, აკლდამის იატაკიდან აღებული მიწის ნიმუშების პალინოლოგიური კვლევის შედეგები. მიცვალებული გახვეული ყოფილა ჭილის (Juncus) ქსოვილის გახამებულ სუდარაში. ჭილის სუდარის აღმოჩენა პირველი და ჯერ-

ვკერობით ერთადერთი შემთხვევაა საქართველოში, სადაც უმეტესად სელის სუდარას იყენებდნენ (გაგოშიძე, ყვავაძე.2014:72). აღსანიშნავია, რომ გარდაცვლილის ტანსაცმელი ბამბისა და სელის შავად შეღებილი ქსოვილისგან იყო შეკერილი, მეცნიერებმა ივარაუდეს, რომ მიცვალებული სასულიერო პირი უნდა ყოფილიყო. მიცვალებულის წელის არეში ნაპოვნია შალის თასმა და მასზე შეკიდული ფიჭვის ხის ნივთის (ვკვარი?) ნაშთი. პალინოლოგიურმა ანალიზმა აჩვენა, რომ გარდაცვლილის სამოსი გაჟღენთილი იყო ხმელთაშუაზღვისპირეთიდან შემოტანილი მირტის, სმირნის და ვარდის სურნელოვანი ზეთოვანი ნელსაცხებლებით (იქვე:72). გამოითქვა ვარაუდი, რომ სვეტიცხოველში დაკრძალული ხანში შესული მამაკაცი შესაძლოა იყოს ქართლის პირველი კათალიკოსი პეტრე, რაც ნამდვილად არ არის გამორიცხული, რადგან აღნიშნული ქვაყუთი ძალიან ჰგავს სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილ ასეულობით სამარხს, რომელიც ადრეული შუა საუკუნეებით თარიღდება. ჩვენი ყურადღება მიიპყრო იმ ფაქტმა, რომ მიცვალებული, როგორც მონაზონი, ისე დაუკრძალავთ. მას ემოსა ბამბისა და სელისგან დამზადებული შავი ფერის სამოსი და დაკრძალული იყო ჭილის სუდარაში, როგორც კრძალავდნენ ბერებს. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ გარდაცვლილის სამოსი გაჟღენთილი იყო ხმელთაშუა ზღვისპირეთიდან ჩამოტანილი ნელსაცხებლებით, ნამდვილად არ არის გამორიცხული, რომ გარდაცვლილი კათალიკოსი პეტრე იყოს. პეტრე და სამოელ მონაზონი ხომ ბერები იყვნენ და ისინი გრიგოლ ღვთისმეტყველის საფლავზე მოღვაწეობდნენ მონაზვნური ცხოვრებით. შესაძლებელია, გარდაცვალებამდე პეტრემ თავისი სამოღვაწეო ადგილიდან ჩამოატანინა ნელსაცხებლები და ისურვა, რომ ისეთივე მონაზვნური წესით დაეკრძალათ, როგორც ეს ხდებოდა მცირე აზიაში. თუკი აღნიშნული ვარაუდი სწორია, გამოდის, რომ ვახტანგ გორგასლის პერიოდში უკვე ჩამოყალიბებული იყო სამონაზვნო ცხოვრება და ქართლის პირველი კათალიკოსი მონაზვნური წესით დაიკრძალა. ფაქტია, რომ გარდაცვლილი ძალიან მაღალი რანგის საეკლესიო მოღვაწე უნდა ყოფილიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში მას სვეტიცხოველში ასეთი პატივით არ დაკრძალავდნენ.

მნიშვნელოვანია, რომ V–VI საუკუნეთა მიჯნაზე ქართველები უკვე

მოღვაწეობდნენ წმინდა მიწაზე და მათ შორის ქრისტიანულ სამყარო-ში გამორჩეულ საბა განმწმედილის ლავრაში. ქართველი მოღვაწეები სწორედ საქართველოდან უნდა გამგზავრებულიყვნენ და სავარაუდე-ბელია, რომ მათ გარკვეული გამოცდილება ჰქონდათ მონაზვნობაში. ვახტანგ გორგასლის პერიოდში საქართველოს ეკლესიაში სამონასტრო ცხოვრების დაფუძნებისთვის ხელი უნდა შეეწყო კათალიკოსობის დაწე-სებას 468–470 წლებში, რასაც შედეგად მოჰყვა არაერთი საეპისკოპოსო ტაძრის მშენებლობა.

ჩვენი მოსაზრების გასამყარებლად უნდა დავიმოწმოთ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საბუთი – საბა განმწმედელის (532) ანდერძი, რომლის შინაარსიდან ვიგებთ, რომ ამ უძველეს მონასტერში ქართველი ბერე-ბი მყარად იყვნენ დამკვიდრებული და თავად მონასტრის დამაარსებ-ლის ნებართვით შეეძლოთ ქართულად წაეკითხათ სამოციქულო და სახარება. „არც ებერიელებს და არც ასურებს უფლება არ ჰქონდეთ თავიანთ ეკლესიებში ჟამის წირვა შეასრულონ. მათ, ამ ეკლესიებში შეკრებილთ, ნება ეძლევათ წართქვას ჟამნი და სამხრისაჲ, წარიკითხონ სამოციქულო და სახარება თავიანთ დედაენაზე“ (კეკელიძე 1980:573). საბა განმწმედელის ლავრაში მსახურებაზე ქართულად წაკითხვა არ იქნებოდა მარტივი საქმე, პირიქით, ძალიან რთული უნდა ყოფილიყო და უნდა მიგვანიშნებდეს იმაზე, რომ ქართველი ბერები 532 წლამდე გაცილებით ადრე იყვნენ დამკვიდრებული აღნიშნულ მონასტერში და მათ განსაკუთრებული დამსახურება უნდა ჰქონოდათ, რომ ბერძნებს ქართულად ლოცვის შესაძლებლობა მიეცათ. ცნობილია, რომ საბა განმწმედელის ლავრა 483–484 წლებში დაარსდა, ამ დროიდანაა სა-ვარაუდებელი ქართველთა დამკვიდრება აღნიშნულ მონასტერში. აქვე საბაწმინდაში შეიქმნა ოთხთავის საბაწმინდური რედაქცია, უნდა ითქვას, რომ უცხოეთის ამ უპირველეს სავანეში ქართველებმა მალევე დაიწყეს მთარგმნელობითი საქმიანობა და საბაწმინდა ქართველთა უპირველესი სულიერებისა და კულტურის კერაა საზღვარგარეთ. სწორედ საბაწმინ-დაში დამკვიდრებულმა ბერებმა ჩაუყარეს საფუძველი ქართულ ბერ-მონაზვნურ სკოლას უცხოეთში, რომელმაც შემდგომ საუკუნეებში კიდევ უფრო მაღალ საფეხურს მიაღწია.

წმინდა საბა განწმენდელის ლავრაში თდითგანვე იყვნენ დამკვიდრებული ქართველები, აქედან გამომდინარე, მათ საბაწმინდის ლავრიდან უნდა გადაეღოთ ასკეტური ცხოვრების მრავალი სახე. ურთულესი იყო გარემო პირობები, სადაც დააარსდა საბას ლავრა 483 წელს – „გლოვის ველზე", დაქანებულ კლდეზე, კედრონის გაგრძელებაზე მერცხლის ბუდეებივით ჩამოკიდებული სენაკები. მნახველს უხდება კიბეებით ერთი იარუსიდან მეორეზე გადასვლა. სადღაც სიღრმეებში მოჩანს სენაკები, ზოგი ქვებით შეკრული, ზოგიც კლდეში გამოკვეთილი. ეს კლდის სენაკები ზაფხულის ცხელ დღეებში ღუმელივით ხურდება და განდეგილები იძულებული არიან წყლით მთრწყონ ისინი, თუ სადმე მოიპოვეს (ტერნოვსკი.2017:73).

უნდა აღინიშნოს, რომ ვკერ კიდევ ძველი აღთქმის მოღვაწეები ილია წინასწარმეტყველი, ელისე, იოანე ნათლისმცემელი და სხვები მარხულობდნენ და განსაკუთრებულად თავშეკავებული ცხოვრებით გამოირჩეოდნენ. შეიძლება ითქვას, სწორედ წმინდა მიწაზე ჩამოყალიბდა უძველესი ასკეტური მიმართულება. მათ შორის უნდა გამოვყოთ იაკობ მოციქული (63), ხორცეელი ძმა უფლისა და იერუსალიმის პირველი ეპისკოპოსი. იაკობ მოციქულს თავისი წმინდა ცხოვრების გამო თანამედროვენი მართალს უწოდებდნენ, ევსევი კესარიელის ცნობით იაკობი „დედის მუცლიდანვე წმინდა იყო, ღვინოსა და სიკერას არ სვამდა, არც ხორცს ჭამდა, სამართებელი არ შეხებია მის თავს, არც ზეთს იხმევდა" (ევს.კეს.2007:78). თავშეკავების ეს მკაცრი წესები ახალი აღთქმის ეკლესიამ მემკვიდრეობით მიიღო ძველი აღთქმის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილებიდან და იაკობ მართალი ერთ-ერთი ბოლო მოღვაწეა, რომელიც კარგად ფლობდა ძველი აღთქმის ეპოქის საიდუმლოებებს, მან ასევე ქრისტე მაცხოვრისგან შეითვისა და ისწავლა ბევრი რამ, ასე რომ იაკობ მოციქული ახალი აღთქმის ეკლესიაში ასკეტური ღვაწლის ერთ-ერთი პირველი მასწავლებელია. ამას მოწმობს იაკობ მოციქულის ეპისტოლე, რომელშიც იგი ქრისტიანებს მოუწოდებს: „განიწმინდენით ხელნი, ცოდვილნო, და უბრალო ყვენით გულნი, ორგულნო, დამდაბლდით და ტიროდეთ და იგლოვდეთ" (4.8–9). „ხელთა განწმენდაში", იოანე ოქროპირის განმარტებით, ბოროტი საქმეებისგან განრიდება იგულისხმება, განწმედილ გულებში კი მოიაზრება როგორც გარეგნული

სიწმინდე, ისე შინაგანი (გალდავა.2018:132). იაკობ მართლის აღნიშნული სწავლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა ეკლესიაში მოღვაწე პირველი განდეგილებისთვის. მოკიქულს არც მართალი ადამიანის ლოცვა დარჩენია მხედველობის მიღმა. მისივე სწავლებით მართალი ლოცვის უძველესი წარმომადგენლი ილია წინასწარმეტყველია. ილია წინასწარმეტყველი თავისი მადლმოსილებით მრავალ სასწაულს აღასრულებდა, მას დიდი კადნიერება გააჩნდა ღვთის წინაშე, რადგან სიკოკხლის ბოლომდე ღირსეულად ემსახურა ღმერთს: „ვინაიცა ესევითარი იგი ღრუბელთ შემკვრელი და კუალად გამხსნელი კაცივე იყო, მსგავსად ჩუენსა შემოსილი უძლურითა ხორცითა, რომლითა მოიგნა ესოდენნი სათნოებანი და ფრიადი კადნიერებაჲ წინაშე ღმრთისა, რამეთუ ვიდრე სიკუდილადმდე არა ჰრიდებდა თავსსა ყოველთავე შინა საქმეთა ღმრთისა მონებისა“ (სამოკ. განმ. 2011: 474). ილია წინასწარმეტყველის მკაცრი და ხანგრძლივი სამსახური ღვთის მიმართ მრავალი ქართველი მონაზვნისთვის იყო მაგალითი. მადლის მოხვეჭა უდიდესი თავდადებისა და ხორცის დათრგუნვის გარეშე არ ხდება, ამის ნათელი მაგალითი ილია წინასწარმეტყველის სახით ძველ აღთქმაში გვაქვს. ილია წინასწარმეტყველი ძველ საქართველოში განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდა. გადმოცემით მისი ხალენი (მოსასხამი) ვერ კიდევ ქრისტეს შობამდე მეექვსე საუკუნეში ჩამოიტანეს ებრაელებმა საქართველოში.

აღსანიშნავია, რომ მონასტრული ცხოვრების გარიჟრაჟზე, V საუკუნის შუახანებში, პალესტინაში დაარსებულ ხარიტონის, თეოდოსის, საბა განმწმედელის ლავრებში ქართველები მალევე იწყებენ მოღვაწეობას. აქედან გამომდინარე, ქართულ სამონასტრო ცხოვრებაზე უშუალო გავლენა, როგორც აღვნიშნეთ, მოახდინა პალესტინაში დაარსებულმა საბა განწმენდელის ლავრამ. მასში დაარსებისთანავე, 483 წლიდან დაუწყიათ ქართველებს მოღვაწეობა. საბაწმინდის ლავრაში მოღვაწეობდა დიდი ქართველი მოღვაწე მარტვირი მონაზონი, რომლის თხზულებაც უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ქართულ მონასტრებში. საბაწმინდაში დამკვიდრებულ ქართველებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ საქართველოსთან და, აქედან გამომდინარე, პალესტინურმა მონაზვნობამ ქართულ მონასტრებზე დიდი გავლენა იქონია, განსაკუთრებით V-X საუკუნეებში.

გრიგოლ ხანძთელის დაავალებით იერუსალიმიდან საბაწმინდის ტიპიკონი ჩამოაქვთ კლარჯეთის მონასტრებისთვის.

ამასთან დაკავშირებით ლ. მენაბდე აღნიშნავს, რომ 530 წლის ახლოს დაწერილი თხზულების, „თეოდოსის ცხოვრების“ მოწმობით, ქართველები იმხანად უკვე მოღვაწეობდნენ პალესტინის სავანეებში, მათ თავიანთი ეკლესიაც კი ჰქონდათ თეოდოსის ლავრაში და იქ მშობლიურ ენაზე ეწეოდნენ ღვთისმსახურებას (მენაბდე. 1980:21). უფრო ადრე იგივე აზრი გამოთქვა არქიმანდრიტმა გრიგოლ ფერაძემ. იგი შენიშნავდა, რომ ქართული ბერმონაზვნობის სათავესთან დგანან ჩვენთვის უცნობი, უხერხი, ქვეყნისგან განდეგილი ადამიანები, რომელთა შესახებაც არაფერი ვიცით (ფერაძე.2012:214). ორივე ზემოთდასახელებულ მეცნიერს აქვე მაგალითად მოჰყავს ცხოვრება პეტრე იბერისა (411–491), რომელმაც მონასტერი ააგო და შემდგომ ქალაქ მაიუმის ეპისკოპოსიც გახდა, თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ პეტრე იბერი მონოფიზიტური სარწმუნოების მიმდევარი იყო, რაც სამწუხაროა.



წმინდა ანტონი დიდი. გელათი. XVII საუკუნე

ქრისტიანულ სამყაროში პირველი სამონასტრო კერები III-IV საუკუნეებიდან ჩამოყალიბდა ეგვიპტეში, სირიასა და პალესტინაში. უძველეს ქრისტიანულ მონასტრებზე IV საუკუნის დამდეგს საუბრობს ეკლესიის ისტორიის მამა ევსევი კესარიელი, რომელიც აღნიშნავს, რომ ბერმონაზვნობის სამშობლო ეგვიპტეა, „თერაპევტების სამშობლოში“, რომელიც „მარეას ტბების“ მიდამოებში ალექსანდრიის შემოგარენში „თითოეულ სახლში არის წმინდა სავანე, რასაც ეწოდება საკურთხეველი და მონასტერი, რომლებშიც განმარტოებულნი წმინდა ცხოვრების საიდუმლოებებს აღასრულებენ... დილ-

იდან საღამომდე მთელი დროის განმავლობაში ისინი მხოლოდ ასკეზით არიან დაკავებულნი. კითხულობენ წმინდა წერილს, ფილოსოფოსებენ... საკვებს ან სასმელს არც ერთი მათგანი არ ღებულობს მზის ჩასვლამდე“ (ევსევ.კეს.2007:68–69). აქედან გამომდინარე უნდა ვთქვათ, რომ ჯერ კიდევ ქრისტიანთა დევნა არ იყო დასრულებული, როდესაც ეგვიპტეში სამონაზვნო ცხოვრება დაიწყო. ევსევი კესარიელმა თავისი „საეკლესიო ისტორია“ 323 წლის ახლო ხანებში დაწერა, ე.ი. ის გვესაუბრება უფრო ადრინდელ მოვლენებზე, როდესაც ეგვიპტის უდაბნოში პირველი ასკეტი მამები დამკვიდრდნენ და საკმაოდ მკაცრი ცხოვრება დაიწყეს. ასკეტური ცხოვრების ჩამოყალიბებას, შეიძლება ითქვას, ხელი შეუწყო დევნილობის პერიოდმა, როდესაც მესამე საუკუნის შუახანებიდან იმპერატორ დეკიუსის (249–251) მიერ დაწყებული მეშვიდე დევნის დროს არაერთი ქრისტიანი ტოვებს საკუთარ სახლს და ეგვიპტის უდაბნოში პოულობს თავშესაფარს. მათ შორის უნდა დავასახელოთ პავლე თებაიდელი, რომელიც ერთ-ერთი პირველი წავიდა თებეს უდაბნოში და დევნის დასრულების შემდეგაც აღარ დაბრუნებულა უკან, მან მთელი ცხოვრება გაატარა უდაბნოში და ღრმა მოხუცებული აღესრულა... მე-4 საუკუნის დამდეგს დევნილობის პერიოდი დასრულდა, ღვთისმოშიშმა ქრისტიანებმა გადაწყვიტეს დაეწყოთ მოღვაწეობითი ცხოვრება, რაც გულისხმობს „ხორცის წურთნას“ და ქრისტეს სახელისთვის მრავალი ტანჯვის დათმენას. აქედან გამომდინარე, მონაზვნობა არის ქრისტესთვის მოწამეობა, ოღონდ ხანგრძლივად, მრავალი წლის განმავლობაში: „ღვაწლსა მას მონაზონებისასა მსგავსად წმიდათა მოწამეთა და უფროჲს მათსა“. ამ ფაქტზე ჯერ კიდევ გიორგი მერჩულე მიუთითებდა: „მარტვილნი ერთსა ხოლო ჟამსა იწამნეს, ხოლო ესენი ყოველსა ჟამსა იწამებოდეს სახელისთვის ქრისტესისა“.

მოციქულთა თავი წმინდა პავლე ქრისტიანებს ასწავლის: „მე რაჲ-დღე (ყოველთვის) ქრისტესთვის მოვკუდები“, სწორედ ასეთ მაღალ იდეალებზეა დაფუძნებული მონაზვნობა, რადგან გულისხმობს და მოითხოვს ყოველდღიურ წამებას უზენაესის სახელის გამო და ეს უნდა აღსრულდეს ნებაყოფლობით, სიყვარულით, წრფელი გულით და, რაც მთავარია, თავმდაბლობით. მონაზვნობა ნამდვილად აღმატებულია მოწამეობაზე,

რადგან მოწამე ერთ კონკრეტულ დღესა და წუთზე ამოწმებს ქრისტეს და მოწამეობრივი გზით უერთდება მას, ხოლო მონაზონი ყოველდღიური წამებით მიდის სრულყოფის გზაზე, ეს გზა ეკლიანია და გრძელდება უკანასკნელ ამოსუნთქვამდე, ამიტომ უწოდებენ ამ გზას „უსისხლო მარტვილობას“. ამის გამო ეშურებოდნენ ქართველი რჩეულნი მამები უმკაცრესი ცხოვრების წესით მალე დაესრულებინათ წუთისოფელში ცხოვრება, რომ მალე შეერთებოდნენ ქრისტეს. ამის გამო მონაზონი ყველაზე დიდ ჯილდოს იღებს ღვთისგან.

მონაზვნობა სახარების მცნებებზეა დამყარებული. მათე მახარებელი ბრძანებს: „მოვედ და შემომიდეგ მე და მოიბოო საფასე ცათა შინა“ (მათე, 19,21). აქედან გამომდინარე, მონაზვნური ცხოვრების საფუძველი წმინდა წერილი და თავად უფალია. მონაზვნობა ღვთისმოშიშ ქრისტიანთა შორის განსაკუთრებით ღვთის სიყვარულით აღვსილ ადამიანთა ხვედრია „მრავალნი არიან ჩინებულ და მცირედნი – რჩეულ!“ (მათე, 20.16) – ბრძანებს მათე მოციქული. რჩეული ქრისტიანი ღვთის სიყვარულის გამო უარყოფს საკუთარ თავს და აღიკვეცება მონაზვნად, რათა შეძლოს ღმერთთან მიახლება და, რაც მთავარია, ღვთის ჭვრეტა, რომელიც მრავალწლიანი ღვაწლის შემდეგ მიიღწევა.

ძველ საქართველოში მაღალ დონეზე იყო განვითარებული ასკეტური* მოღვაწეობის თრიე ძირითადი გზა, როგორც განდეგილურ-დაყუდებული, ასევე სამონასტრო, საზოგადო ცხოვრება.

ცნობილი მეცნიერი ა. ჰარნაკი თავის ნაშრომში აღნიშნავდა, რომ მორწმუნეებმა ჯერ კიდევ მეორე საუკუნიდან დაიწყეს ეკლესიის კარზე კაკუნი, მათ შორის შეიძლება დავასახელოთ გნოსტიკოსებიც. ისინი საზრდოობდნენ, როგორც ძველი, ასევე უახლესი მისტიკური სიბრძნეებით და ასევე გატაცებული იყვნენ სახარებისეული მოწოდობებითა და ქრისტიან-

* შენიშვნა ასკეტიზმი არ არის ქრისტიანული წარმომავლობის. მას წარმოშობას უკავშირებენ შუმერებს, ეგვიპტელებს, იუდაიზმს, პითაგორას, ბუდას, ესეების სექტას, ნაზორეველებსა და თერაპევტებს, რომელთა წესებთანაც ქრისტიანული ასკეტიზმი განსაკუთრებით ახლოს დგას (ჯღუღელი, შესავალი. „ფილოთეონ ისტორია“. 2011:7). თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ ქრისტიანულმა ასკეტურმა ცხოვრებამ ბევრი რამ იუდაიზმიდან და მასთან კავშირში მყოფი სექტებიდან (ესეელთა, ნაზორეველთა და თერაპევტთა) გადაიღო.

ული ცხოვრების სიწმინდეებით (Harnak.1901:21). მოციქულთა პერიოდის დასასრულის შემდეგ (უკანასკნელად აღესრულა იოანე ღვთიმეტყველი 110 წლის ახლოს) მორწმუნეებმა სახარების სწავლების მიხედვით დაიწყეს ძიება, რათა უკეთ შეეცნოთ ღმერთი. აღნიშნულ პროცესს გარკვეულწილად ხელი შეუწყო ქრისტიანთა მიმართ განხორციელებულმა დევნებმა. დევნის დროს მორწმუნეები განერიდნენ წუთისოფელს და უდაბნოსა და დაუსახლებელ ადგილებში გადავიდნენ საცხოვრებლად, რამაც შესაფერისი პირობები შექმნა განდეგილური ცხოვრებისთვის.

ევსევი კესარიელის ცნობით, ამავე პერიოდში, ყოფილან მოხუცებული ქალწულები, რომლებიც „სიწმინდეს იცავენ არა იძულებით... არამედ უფრო ნებაყოფლობითი განზრახვით" (იქვე: 70). აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ ვიდრე კიდევ დევნილობის პერიოდში არაერთი ქრისტიანი უარს ამბობდა წუთისოფელში ცხოვრებასა და ქალწულებასაც ემარხავდა. ევსევი კესარიელი პირველ მეუდაბნოეთა საკვების შესახებაც გვაწვდის ცნობებს: „წვანან მიწაზე და ღვინოს სრულიად არ იხმევენ ზემოხსენებულ დღეებში. მხოლოდ წყალი აქვთ სასმელად და პურთან შეზავებული მარილი და ისოპი" (ბუჩქი არომატული ფოთლებით) (ევს. კეს. 2007:71). ასე, რომ პირველ მონაზონთა საკვები რაციონი საკმაოდ მკაცრი ყოფილა და აღნიშნულ წესს შემდგომ პერიოდში მოღვაწე მამებიც მკაცრად იცავენ.

ასევე საინტერესო ცნობებს გვაწვდის მეოთხე საუკუნის მონაზვნობაზე ნეტარი თეოდორიტე კვირელი, რომელიც თავად აღასრულებდა მკაცრ ასკეტურ ღვაწლს. ისიც აღნიშნავს, რომ სამონაზვნო ცხოვრება ეგვიპტეში ჩამოყალიბდა: „ეგვიპტეში ანგელოზთა მოქალაქეობისთვის მოშურნე კაცები სახელმწიფოს შფოთს გაექცნენ და ცხოვრებას უდაბნოში ატარებდნენ. მათ ქვიშიანი და უნაყოფო (მიწა) ნაყოფიერად წარმოაჩინეს, ღმერთს უტკბილეს და უმშვენიერეს ნაყოფად უძღვნიდნენ სათნოებას, რომელიც მან დააკანონა. ასკეტური განწესებების მასწავლებელი ეს მრავალსაგალობელი ანტონი გახდა" (თეოდ.კვირ.2008:212).

აღსანიშნავია, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სკოლა თავისებურებებით გამოირჩეოდა, მათ შორის გარკვეული განსხვავებები იყო, თუმცა საერთო უფრო მეტი ჰქონდათ. პირველი მოღვაწეები ასკეტური

ღვაწლით, ამტანობით, მოთმინებითა და ღმრთისადმი უსაზღვრო სიყვარულით გამოირჩეოდნენ. უნდა ითქვას, რომ მომდევნო საუკუნეებში ახლადდაარსებულ მონასტრებში მონაზვნები ყველა მიმდინარეობის გამოცდილებას ითვისებენ და ახალ სიმაღლეზე აჰყავთ, მათ შორის გამორჩეული იყო ეგვიპტეში მოღვაწე ანტონი დიდის სწავლებები, რადგან ბერებისთვის დიდი სტიმულის მიმცემი იყო. ასევე უნდა ითქვას სირიულ და პალესტინურ გამოცდილებაზე.

ბუნებრივია, რომ ქართულ სამონასტრო ცხოვრებაზე გავლენა იქონია როგორც სირიულმა, ასევე პალესტინურმა და ეგვიპტურმა ბერმონაზვნობამ, თუმცა შევნიშნავთ, რომ ქართულ ბერმონაზვნობას თავისი ნიში ჰქონდა, რის გამოც ჩვენს მონასტრებში განსაკუთრებული წესები და ასკეტური მიმართულება დამკვიდრდა, რომელიც ეყრდნობოდა საერთო ქრისტიანულ გამოცდილებას. ქართულმა მონაზვნობამ XIX საუკუნის ჩათვლით შეინარჩუნა უბრალოება და უპოვარება, რაც უმთავრესი მოთხოვნაა სამონასტრო ცხოვრებაში.

ბერმონაზვნობის გავრცელებასა და სამონასტრო ცხოვრებაზე გავლენას ახდენდა ბევრი ფაქტორი, მათ შორის პოლიტიკური სიტუაცია, გეოგრაფიული მდებარეობა, კლიმატი, გარემო პირობები, ეთნიკური ხასიათი, ტრადიციები, ადგილობრივი კულტურა და სხვა. ასკეტი მონაზვნები ცდილობდნენ სამოღვაწეო ადგილი, რაც შეიძლება უდაბური და, რაც მთავარია, წუთისოფლიდან მოცილებული ყოფილიყო. თუკი მაგალითად ეგვიპტეში თებესა და ნიტრიის ცხელ უდაბნოში სავანეებს აარსებდნენ, სირიაში პირველი მოღვაწეები მღვიმეებში, სვეტებსა და ხეებზეც კი მოღვაწეობდნენ. დაბეჯითებით უნდა ვთქვათ, რომ თავდაპირველი მოღვაწენი უმკაცრესი ასკეტური ცხოვრებით გამოირჩეოდნენ, შუასაუკუნეებიდან კი მონასტრებში გარკვეული შეღავათები დაწესდა, როგორც საბრძოლის მიღებაზე, ასევე სხვა მიმართულებითაც. გრიგოლ ხანძთელი აღნიშნავდა, რომ სადაც ცხელი ჰავაა და წყალი არაა, იქ მონასტრის დაარსება არ შეიძლება.

ქართულ სამონასტრო ცხოვრებაზე სერიოზული გავლენა იქონია სირიულმა სამონასტრო სკოლამ და ასურელ მამათა ჩამოსვლის შემდეგ სირიული მონაზვნობის არაერთი მიმართულება დამკვიდრდა: მესვეტეობა, მღვიმეში დაყუდება, ვაჭვის შემოსვა და სხვა. სირიულმა ტრადიციებმა

თითქმის მეცხრამეტე საუკუნის ბოლომდე მოაღწია. ქართულ მონასტრებში კარგად იცნობდნენ სიბრძნული ბერმონაზვნობის გამორჩეულ მოღვაწეთა მკაცრ ცხოვრებას. „ფილოთეონ ისტორიაში“, წმინდა აკეფსიმას ცხოვრებაში, მოთხრობილია, თუ როგორ დაემკვიდრა წმინდა დედა კლდის ნაპრალში, სადაც იგი საკვებად იღებდა დამბალ ცერცვს, ხოლო წყლის დასალევად კვირაში ერთხელ გამოდიოდა მახლობელ წყაროსთან. ასკეტი ოთხზე დადიოდა, რადგან ტანზე ატარებდა რკინის ჯაჭვს: „სიმძიმისა რკინათაჲსა, რომელი ზედა-ესხნეს მას“ (ჯღუღელი.2011: 566).

ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ მონაზვნური ცხოვრება მტკიცედ იყო ჩამოყალიბებული საქართველოს მახლობელ კაბადოკიაში, საიდანაც იყო წარმომობით გამორჩეული მოღვაწე ექვთიმე დიდი (377–473). მან 406 წლის ახლო ხანებში მონასტრები დააარსა პალესტინაში და მრავალრიცხოვანი მიმდევარი ჰყავდა. ასევე უნდა გამოვყოთ მეორე კაბადოკიელი მამა – თეოდოსი დიდი (423–529), იგი უმკაცრეს მოღვაწეობას აღასრულებდა ქვაბში, სადაც, გადმოცემით, სამი მოგვი გაჩერდა ღამით. ღირსი მამა განუწყვეტლივ ლოცულობდა და მარხულობდა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე უნდა აღვნიშნოთ, რომ თუკი კაბადოკიიდან სამონასტრო ცხოვრება პალესტინაში გავრცელდა, მით უფრო ლოგიკური იქნებოდა კაბადოკიიდან წამოსულ მოღვაწეებს საქართველოშიც დაეფუძნებინათ მონასტრები. აღნიშნულ საკითხზე მიუთითებდა გ. ჩუბინაშვილი, როდესაც აღნიშნავდა, რომ ასურელი მამები კაბადოკიელ მოღვაწეებად უნდა მივიჩნიოთ და მათ კაბადოკიელი მამები ვუწოდოთ. საკითხს კიდევ უფრო მეტ სანდოობას სძენს ის ფაქტი, რომ კაბადოკიის ტერიტორიაზე ძველთაგანვე ეთნიკურად ქართველური მოდგმის ხალხი ცხოვრობდა და ქართველთა განმანათლებელიც თავად კაბადოკიელი იყო. ვფიქრობთ, ქართველთა გაქრისტიანებასა და შემდგომ სამონასტრო ცხოვრების ჩამოყალიბებაში კაბადოკიას მნიშვნელოვანი როლი უნდა ეთამაშა. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ვახტანგ გორგასალმა პირველი ქართული მონასტერი კაბადოკიასთან ახლოს, თბილისში დააარსა.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ბასილი დიდმა თავისი მთავარი ასკეტური ნაწარმოები „წესები ბერთათვის“, როგორც მეცნიერთა ნაწილი

მიიჩნევს, პონტოში, მდინარე ირისის ნაპირას დაწერა. თ. ბარდენჰევერის აზრით, პირველი რედაქცია ამ წესების შექმნილი უნდა იყოს 358-370 წლის შემდეგ, რადგანაც ამ „წესებს“ ეტყობა მათი შემქმნელის ეპისკოპოსური მანერა (ხინთიბიძე. 1968:36). 370 წლის ახლო ხანებში ბასილი დიდს შეუქმნია მეორე ასკეტური ნაწარმოები „მორალური წესები“, მასვე ეკუთვნის ასევე სამონასტრო კონსტიტუციები (იქვე:37). ვფიქრობთ, საქართველოს სიახლოვეს კაბადოკიაში მოღვაწე ბასილი დიდის პიროვნებას და მის თხუზულებებს გარკვეული გავლენა უნდა მოეხდინა ჩვენთან სამონასტრო ცხოვრების ჩამოყალიბებაზე. როგორც ცნობილია, ბასილი დიდის მიმართ საქართველოში უძველესი დროიდან არსებობდა პატივისგება.

თანამედროვე პერიოდში ასკეტურ ღვაწლსა და უძველეს მონაზვნებზე საინტერესო ცნობებს ვგებულობთ ეგვიპტესა და სხვა უძველეს სამონასტრო სავანეებში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად, სადაც აღმოჩენილ იქნა ბერების მიერ დამზადებული სხვადასხვა ნივთები: ზეთი, კერამიკა, სამოსის ნაწილი, მეტალის ნივთები, წიგნები, რომელსაც გამოიყენებდნენ ეგვიპტეში მოღვაწე ბერები, ისინი დახელოვნებული ყოფილან აღნიშნულის წარმოებაში. ჩვენამდე მოაღწია ეგვიპტის წითელი მონასტრის ფრესკამ, ღირსი მამა 347-465 წლებში მოღვაწეობდა წითელ მონასტერში, სადაც გამოსახულია ადრეულ პერიოდში მოღვაწე ბერი აბა შენოთ ატრაპელი, რომელიც 2.5 მილით არის დაცილებული თეთრი მონასტრიდან (Robinson.2020:20). ფრესკაზე გამოსახული მონაზონი ასაკოვანია, ამშვენებს თეთრი თმა და წვერი, აცვია ტილოს სამოსელი და ხელში უჭირავს ხის კვერთხი. აღნიშნული ფრესკა ინტერესს იწვევს, რადგან მასზე გამოსახულია უძველეს პერიოდში მოღვაწე კოპტი ეროვნების ბერი, რომლის შესახებ ცნობები მხოლოდ კოპტურ წყაროებში შემოინახა. აღსანიშნავია, რომ ქართულ მონასტრებშიც ინტენსიურად მიმდინარეობდა წიგნებისა და სხვა მრავალი საყოფაცხოვრებო ნივთის წარმოება. ამ კუთხით ქართულ მონასტრულ ცხოვრებაზე აშკარა გავლენა იქონია ეგვიპტურმა მონაზვნობამ.

თანამედროვე პერიოდში, როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში თურქეთის ტერიტორიაზე გამოვლინდა არაერთი ძველი ქართული მონასტერი, მათ შორის შეგვიძლია დავასახელოთ შავშეთში, ბალვანას

მონასტერი, რომლის შესახებაც საისტორიო წყაროები არ მოიბოვება. მონასტერი მხოლოდ მოხსენიებული აქვთ ნ. მარს და უცხოელ მეცნიერებს (მინე ქადირღლუ, ოსმან აითექინი, ბრუნო ბაუმგარტნერი) (გელაშვილი. 2016:107). ქართველი თუ უცხოელი მეცნიერები აქტიურად მუშაობენ ქართულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში მოხსენიებული მონასტრების იდენტიფიცირებისათვის, ასე მაგალითად, უცნობი ავტორის თხზულებაში „დავითისა და ტარიჭანის საკითხავი“ (IX ს), სადაც აღწერილია VII საუკუნის მოვლენები და მოხსენიებულია ტაძარანის მონასტერი. 2007 წელს ტაოში, ოლთისის დასავლეთით, მიკვლეულ იქნა სამონასტრო კომპლექსი, რომელსაც ტაო-კლარჯეთის ცნობილი მკვლევარი ალბალაკის მონასტერს უწოდებს. თ. ხუცაშვილისა და ა. იმედაშვილის აზრით დასახელებული მონასტერი შესაძლოა სწორედ ტაძარანის მონასტერი იყოს, რადგან აღწერილი ტოპონიმები და გარემოებები ამის ვარაუდის შესაძლებლობას იძლევა (ხუცაშვილი, იმედაშვილი.2016:59). ასევე ფოცხოვისწყლის მიდამოებში 2012 წელს მიკვლეული იქნა ძლიერ დაზიანებული თრი ნაგებობა, რომლებიც შესაძლოა იყოს აბუსერიძე ტბელის თხზულებაში „ახალნი სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისანი“ მოხსენიებული შუარტყლის და თრღართას მონასტერი (იქვე:59).

საქართველოში, როგორც აღვნიშნეთ, მონასტრული ცხოვრება უძველესი პერიოდიდან დაიწყო. აღსანიშნავია, რომ ჩვენთან მონასტრული ცხოვრების თრიეე მიმდინარეობა – ანაქორეტული (მარტო, განდეგილი ცხოვრება) და კინობიტური (საზოგადო სამონასტრო ცხოვრება) – ჩამოყალიბდა. ამასთან დაკავშირებით წმინდა გრიგოლ ფერაძე აღნიშნავდა, რომ ათონის მთაზე მოღვაწეობდნენ ქართველი ბერმონაზვნები, რომლებიც ანაქორეტებად ცხოვრობდნენ თავიანთ მოწაფეებთან ერთად. მათ სურდათ შეექმნათ გარკვეული სინთეზი ანაქორეტობასა და კინობიტობას შორის და ალბათ ბერმონაზვნობის იდეორიტმული ტიპის წინამორბედებად შეიძლება იქნენ მიჩნეულნი (ფერაძე.2012:214). ფაქტია, რომ ქართულმა ბერმონაზვნურმა სკოლამ განსაკუთრებული სახე მიიღო. გამორჩეულ მოღვაწეთა დიდი ნაწილი ანაქორეტულ ცხოვრებას ეწეოდა, თუმცა საჭიროების შემთხვევაში ისინი მონასტრის საძმოსა და

გარესამყაროსთან კავშირს არ წყვეტდნენ. თუკი რომელიმე ბერი განმარტოებული ცხოვრებით მიაღწევდა მაღალ სულიერ დონეს და თავის გამოცდილებასა და მადლმოსილებას სხვას არ გაუზიარებდა, არ იქნებოდა სრულყოფილი მთლიანწე.

კათოლიკე მისიონერი მარიო ძამპი, რომლის ცნობებიც ჟან შარდენის თხზულებაშია ჩართული, მე–17 საუკუნეში საქართველოში იმყოფებოდა. მისიონერი საუბრობს წმინდა ბასილის თრდენის შესახებ: ისინი წმინდა თერეზიას თქმით (ებისტოლე ევსტათისადმი), ოდესღაც სამ ჯგუფად იყოფოდნენ: ერთნი ცენობიტებად (კენობიტებად) ისევე, როგორც ჩვენი თანამედროვე ბერები, ერთად ცხოვრობდნენ. მეორენი ანაქორეტებად, რომლებიც უდაბნოში ცხოვრობდნენ და მუდმივ ლოცვა–ვედრებაში იყვნენ. მესამენი რემობიტებად, რომლებიც ცხოვრობდნენ სოფელში ერთად ორნი ან სამნი და საერთო შრომით იძენდნენ საზრდოს. ისინი უფრო ამქვეყნიურია კეთილდღეობით იყვნენ დაინტერესებული და ნაკლებად ფიქრობდნენ ზეციურზე (შარდენი.1975:141). ძამპი საუბრობს კიდევ ბერების მეოთხე ფორმაზე, რომლებზეც კასიანე თავის თხზულებათა X წიგნის VII თავში ამბობს, რომ არსებობს ასეთი ბერების მეოთხე სახეობაც – სარაბაიტები, რომლებიც მესამე ჯგუფის ბერებისაგან ნაკლებად განსხვავდებიან (იქვე:141).

აკადემიკოსმა ივ. ჯავახიშვილმა ივარაუდა, რომ უძველეს დროს საქართველოში, თუ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების ავტორი არ ცდება, განსაკუთრებით მეუდაბნოება იყო გავრცელებული. ეს ფაქტი შემდეგი სიტყვებით დასტურდება: „ვიდრე მოსვლადმდე გრიგოლ მწყემსისა... მცირედნი იგი ცხოვარნი ქრისტესნი განბნეულ იყვნეს თითოჲ ანუ ორორი სივრცესა მას უდაბნოთასა“ (ჯავახიშვილი.1984:31). ზემოაღნიშნულით დასტურდება, რომ გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობამდე ანაქორეტობას, ანუ მეუდაბნოე ცხოვრებას, მყარად ჰქონდა ფეხი მოკიდებული საქართველოში, თუმცა შევნიშნავთ, რომ ასურელი მამების პერიოდიდან ჩვენთან უკვე არსებობდა მონასტრები, სადაც მრავალი ბერი იყო დამკვიდრებული.

შესაბამისად ქართველმა ბერებმა მოძებნეს და დაამკვიდრეს ის ოქროს შუალედი, რომლის საშუალებითაც თავიანთი რელიგიურ–მორალური თუ მთარგმნელობითი მიღწევებით ერსა და მის ცნობიერებაზე ახდენდნენ გავლენას. იყო შემთხვევები, როდესაც უმაღლეს სულიერ საზომს

მიღწეული მამები წინასწარმჭვრეტელობის მადლით თავიანთ სულიერ შვილებს დავალებებს აძლევდნენ, რათა მათ დაეწყოთ მთარგმნელობით-ლიტერატურული საქმიანობა. ამის ბრწყინვალე მაგალითია გიორგი შეყენებულის და გიორგი მთაწმინდელის ურთიერთობა, რადგან სწორედ სულიერმა მოძღვარმა უბრძანა ახალგაზრდა გიორგის დაეწყო მთარგმნელობითი საქმიანობა, საბოლოო ვერსიში კი მიღწეული იყო უზარმაზარი შედეგი – ერის სულიერი გამოკვება და ქრისტიანული ცნობიერების ამაღლება. უფრო ადრე იოანე მთაწმინდელი სასწაულებრივად განკურნებულ თავის ვაჟს, ექვთიმეს მიმართავს: „შვილო ჩემო, ქართლისა ქვეყანა დიდად ნაკვლევან არს წიგნთაგან და მრავალნი წიგნნი აკლან, და ეხედავ, რომელ ღმერთსა მოუმადლებია შენდა. აწ იღვაწე". ქართველ ბერებს შეეძლოთ სწორად ამოეცნოთ ადამიანებში ნიჭი და, მიუხედავად იმისა, რომ ბერები იყვნენ და წუთისოფელს განრიდებულნი, მაინც საკუთარი ქვეყნის სულიერ განათლებაზე ზრუნავდნენ. ლოცვასთან ერთად ბერის მოვალეობა იყო წიგნების გადაწერა და თარგმნა, რაც ასევე დიდ ღვაწლად ითვლებოდა.

ქართული სამონასტრო ცხოვრების კვლევისას ივ. ჯავახიშვილმა ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ ქართველი მეუდაბნოე მამები განსაკუთრებით ბეჯითად ასრულებდნენ ქალწულებისა და სიგლახაკის, ანუ უპოვარების აღთქმას, რადგან მათ ნებაყოფლობით აირჩიეს უპოვარება და სიგლახაკე და სინდისიერადაც ასრულებდნენ დადებულ აღთქმას (იქვე:32). უნდა აღინიშნოს, რომ სიმდიდრისადმი ლტოლვა არც ეპისკოპოსებისთვის იყო ნებადართული. ამის შესახებ გიორგი მთაწმინდელის საქართველოში ჩამოსვლის დროს მომხდარი ფაქტი შეგვიძლია დავასახელოთ. ვინაიდან ეპისკოპოსიც ბერია, მას არ აქვს უფლება დიდი თანხების დაგროვებისა, რა მიზნითაც არ უნდა ყოფილიყო. ეპისკოპოსი, რომელიც სიმდიდრეს აგროვებდა, ქრისტიანული სარწმუნოების მთავარ ღირებულებას არღვევდა და „ამა მიზეზითა სცვიდა სიმდიდრესა თვისსა, ხოლო გლახაკთა ყოვლადვე არა მიჰხედავდა".

ადამიანი ქრისტიანულ სარწმუნოებაში უმთავრესია და მასზე ზრუნვა სავალდებულოა „ვითარმედ მონასტერი ჰზრდის გლახაკთა", მონასტრის მამულებში მოწეული პროდუქტები სწორედ გაჭირვებულ ხალხს უნდა დაურიგონ: „უკეთუ აქუს ხილი, გინა მხალი, გინა სასმელი... მისცის გლახაკთა".

ასევე ძალიან მკაცრად სჯიდა უბოვარების აღთქმის დამრღვევებს ექვთიმე მთაწმინდელიც, რადგან ქონების დაგრთვება ან ნივთების სიყვარული ბერისთვის დამღუპველია: „უკეთუ გარდახდის მცნებასა მისსა და იყიდის შესამოსელი, გინა სხუა რაიმე, გინა საფასე მოიგის, ფიცხლად ამხილის და ძლიერად განაკანონის“ (საქ.სამოთხე.1882:421). ათონის ივერთა სავანეში ყველას უნახავს ისეთი შემთხვევა, რომ საბეჭურა, შესამოსელი ან კუნკული „ცეცხლითა დაწვის ზღუდესა შინა“. ამგვარი მოქმედებით ექვთიმე ათონელი ცდილობდა ბერებისათვის უბოვარება ესწავლებინა.

ჰერიოდიზაცია

ქართული ბერმონაზვნობის ისტორია თითქმის 1500 წელს ითვლის, შესაბამისად მართებული იქნება, თუკი ეს 15 საუკუნე რამდენიმე პერიოდად დაიყოფა. აღნიშნულ საკითხზე იმსჯელა არქიმანდრიტმა გრიგოლ ფერაძემ, რომელმაც 1930-იან წლებში დისერტაცია დაიცვა თემაზე და ქართული ბერმონაზვნობის ისტორია გამოიკვლია დასაწყისიდან 1063 წლამდე. თავის მხრივ ნაშრომში თრი პერიოდი გამოჰყო, პირველი ნაწილი – ქართული ბერმონაზვნობა საქართველოში: სირიელი მამები, წმ. სერაპიონ ზარზმელი, წმ. ილარიონი და წმ. გრიგოლ ხანძთელი. მეორე ნაწილი – ქართული ბერმონაზვნობა ათონზე – ივერონის მონასტერში (ფერაძე.2012:209). მეცნიერი ბერის მიერ ეს იყო ერთ-ერთი პირველი ცდა ქართული ბერმონაზვნობის ისტორიის ფუნდამენტური შესწავლისა.

აქედან გამომდინარე, საქართველოში ბერმონაზვნობის პირველ პერიოდად შეიძლება გამოვყოთ V-VI – IX საუკუნეები და მას ძველი პერიოდი ვუწოდოთ. ამ პერიოდში ჩვენს ქვეყანაში დაფუძნდა და შემდეგ განმტკიცდა მონასტრული ცხოვრება. ამ საქმეში უდიდესი წვლილი მიუძღვით – იოანე ზედაზნელს, შიო მღვიმელს, დავით გარეჯელს, ანტონ მარტყოფელს, ილარიონ ქართველს, სერაპიონ ზარზმელს და გრიგოლ ხანძთელს, მათთან ერთად კიდევ სხვა ბევრი მოღვაწე შეიძლება დავასახელოთ, თუმცა ვიტყვით იმასაც, რომ ამ დროის მრავალი მოღვაწის შესახებ ცნობები არ გვაქვს. აღსანიშნავია, რომ ყველა ზემოთჩამოთვლილი მამა წმინდანთა დასშია შერაცხილი და ეს ფაქტი მათ განსაკუთრე-

ბულ ღვაწლზე მიგვითითებს. ძველ პერიოდში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დაფუძნდა არაერთი მონასტერი, რომლებმაც მომავალში კიდევ უფრო მეტი დატვირთვა შეიძინეს.

მეორე პერიოდი მოიცავს X-XI საუკუნეებს. აღნიშნულ პერიოდს თამამად შეიძლება ეწოდოს ბერმონაზვნობის ოქროს ხანა, რომელსაც წმინდა მამა გრიგოლ ხანძთელმა ჩაუყარა საფუძველი და შემდგომ X-XIII საუკუნეებში გაგრძელდა. X-XI საუკუნეებში ქართველი ბერმონაზვნები უცხოეთში არსებულ სავანეებში გამობრწყინდნენ, მათ შორის იოანე ზოსიმე სინას მთაზე, იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები ათონის მთაზე, გიორგი შეყენებული შავ მთაზე (ანტიოქია). ამ პერიოდში უცხოეთის სავანეებში ითარგმნა და შეიქმნა არაერთი საღვთისმეტყველო მიმართულების ლიტერატურა, რომელთა ნაწილი საქართველოში გამოიგზავნა.

მესამე პერიოდი მოიცავს XII-XVIII საუკუნეებს, როდესაც უცხოეთის სავანეებიდან საქართველოში ჩამოდიან გამორჩეული ქართველი ბერმონაზვნები და ჩვენს ქვეყანაში იწყებენ ნაყოფიერ მოღვაწეობას. განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ 1106 წელი, როდესაც წმინდა მეფე დავით აღმაშენებელმა გელათის სამეფო მონასტერი დააფუძნა. როგორც წინა, ასევე ამ პერიოდშიც ქართულ მონასტრებზე მზრუნველობა იტვირთეს ქართველმა მონარქებმა, მათ შორის უნდა გამოვყოთ დავით აღმაშენებელი და თამარ მეფე, რომელებიც თავიანთი ცხოვრების სტილით ძალიან ჰგავდნენ მონაზვნებს. XII საუკუნის დასაწყისში დავით აღმაშენებლის უშუალო ინიციატივით შეიქმნა სამეფო მონასტრები: გელათი, შიომღვიმე და დავით გარეჯი. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული მონასტრები განსაკუთრებული პირობებით სარგებლობდნენ და მათ დიდი შეღავათები ჰქონდათ დაწესებული დავით მეფის მიერ.

აქვე უნდა გავუსვათ ხაზი დავით აღმაშენებლის მიერ გელათისა და იყალთოს მონასტრებში დაფუძნებულ უმაღლეს სასწავლებლებს – აკადემიებს, რომლებშიც კიდევ უფრო წარმატებულად გაიშალა სამეცნიერო მთარგმნელობითი საქმიანობა. ქართულ მონასტრებს და მასში მოღვაწე ბერებს უნდა ეზრუნათ ერის განათლებაზე. ახალი სამონასტრო ცენტრების (გელათი, ვარძია, ბეთანია) გვერდით ძველად არსებულ მონასტრებს,

განსაკუთრებით სამხრეთ საქართველოში, თავიანთი მნიშვნელობა არ დაუკარგავთ.

ქართული სამონასტრო ცხოვრებას უდიდესი ზიანი მიადგა მონღოლთა გამანადგურებელი შემოსევების შემდეგ. შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ბევრ მონასტერში, რომელიც იმ დროს განადგურდა, ღვთისმსახურება აღარ აღდგენილა, მე–15 საუკუნიდან კი, ერთიანი მონარქიის დაშლის შემდეგ, კიდევ უფრო რთული მდგომარეობა შეიქმნა, რადგან დაქუცმაცებულ სამეფოებსა და სამთავროებში მონასტრების ხელშეწყობისთვის ისეთი შესაძლებლობები აღარ იყო, როგორც ადრე.

მე–16 საუკუნიდან თსმალთა იმპერიის მძლავრობის გამო სამხრეთ საქართველოში უძველეს ქრისტიანულ სავანეებში ფაქტიურად სამონასტრო ცხოვრება შეწყდა, ზოგიერთ მათგანში, მაგალითად კლარჯეთსა და ტაოში, სამუდამოდ. ქართულ მონასტრებს უდიდესი ზიანი მიაყენა გვიანშუასაუკუნეებში ლეკთა თავდასხმებმა. მათი თარეშის შედეგად არაერთგზის აოხრდა დავით-გარეჯის სავანე, ასე მაგალითად, 1639 წლის სიგელში საუბარია შაჰ-აბასის მიერ დავით გარეჯის აოხრების შესახებ: „აღაოხრნეს მონასტერნი, უდაბნონი, სოფელნი და ქალაქნი და წარტყვევნეს რომელნიმე ტყუე და რომელნიმე მახვილითა აღასრულეს და განსრულდა წამება მრავალთა და შეეძინის ქრისტესა“ (გარეჯის ისტ. დოკ.I.2008:51). ამავე დოკუმენტით ნათელი ხდება, რომ ბერების ნაწილი თავდასხმის გამო გადასულა დასავლეთ საქართველოში და მხოლოდ 26 წლის გასვლის შემდეგ დაბრუნებულან გარეჯში, რადგან თეიმურაზ მეფის შეწევნით „კუალად ხელვყავით აღშენებად უდაბნოთა თქუენთა... და დავაყენეთ წინამძღურად კაცი ღირსი და ღმრთის მოშიში მარკოზ“.

1759 წელს ლეკთა დიდი თავდასხმა მოხდა გელათის მონასტერზე. აქვე უნდა აღვნიშნოთ ამ პერიოდში სპარსელების არაერთი თავდასხმა ქართულ მონასტრებზე – შიომღვიმე, ალავერდი და სხვა, აღა მახმად ხანის 1795 წლის თავდასხმა თბილისზე. აქედან გამომდინარე, უნდა ითქვას, რომ XIV–XVIII საუკუნეებში სამონასტრო ცხოვრებას დიდი ზიანი მიადგა და ბევრმა მონასტერმა არსებობა შეწყვიტა.

ქართული სამონასტრო ცხოვრების **მეოთხე პერიოდად** შეიძლება XIX-XX საუკუნეები მივიჩნიოთ, შესაბამისად. მეოთხე პერიოდი შეიძლება

ორ ქვეპერიოდად გავყოთ. პირველი 1811–1917 წლები, როდესაც ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ რუსული მმართველობის ხანაში არაერთი მონასტერი დაიხურა, დაეცა სულიერებისა და განათლების დონე ბერმონაზვნებში, თუმცა ამ პერიოდში გარკვეულ დადებით მხარეზეც შეგვიძლია ვისაუბროთ. აქვე ცალსახად უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ ასექვსწლიან პერიოდში ფაქტიურად ძველი ქართული ასკეტური მიმართულება საბოლოოდ იკარგება, ერთეული შემთხვევების გარდა. წირვა-ლოცვები და საქმისწარმოება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, რამაც სულიერებისა და განათლების დონე ძალიან დააქვეითა და რის შედეგადაც ქართულ მონასტრებში განათლებული ბერების ნაკლებობა იყო. ამავდროულად რუსული საეკლესიო მმართველობა განსხვავდებოდა ქართულისაგან. ბერი დამოკიდებული იყო სახელმწიფო მმართველობაზე, ქართული სინამდვილით კი სამონასტრო ცხოვრებაში საერო მმართველობის ამკარად ჩარევა უცხო იყო, ცალკეული გამონაკლისების გარდა. აქვე უნდა ითქვას, რომ რუსული მმართველობის დროს გაუქმდა ქართული სამეფო მონასტრები გელათი, დავით გარეჯი, შიო მღვიმე და ისინი რუსეთის იმპერიაში არსებულ პირველი კლასის, ზოგი კი მეორე კლასის მონასტრად გადაკეთდა.

აღნიშნულთან დაკავშირებით პ. კრეგო ხაზს უსვამს, რომ XIX საუკუნის დასაწყისიდან ბიზანტიური ბერმონაზვნობის ოქროს ხანის დაქვეითების შემდეგ ქართულმა ეკლესიამ და მისმა მონასტრებმა (მამათა და დედათა) გაუძლეს ურთულეს პერიოდს: შეიძლება ითქვას ახალი ტიპის „უდაბნოები" დააფუძნა ზოგიერთმა ქართველმა მოღვაწემ. რუსეთის იმპერიის დღის წესრიგში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის შუამავლობით იდგა კულტურული ასიმილაციის პროგრამა, რომელიც მოიცავდა საქართველოს ეკლესიას (Crego.2016:351). ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ ქართულ სამონასტრო ცხოვრებაზე ამკარა გავლენა იქონია რუსულმა საეკლესიო წესებმა, რომელიც განსხვავებული იყო ქართულისაგან, მაგრამ რაც შეეხება ძველ ასკეტურ ტრადიციებს, ნელ-ნელა დავიწყებას მიეცა. რუსული ხელისუფლებისთვის გაუგებარი და მიუღებელი იყო ამგვარი რამ. მონაზვნური ცხოვრება გარკვეულ ჩარჩოებში მოექცა, რასაც სახელმწიფო აბარატი აკონტროლებდა, ბერებს ენიშნებოდათ ხელფასები, გაიცემოდა ჯილდოები და ასე შემდეგ. მონაზონი გარკვეულ-

წილად სახელმწიფოზე დამოკიდებული გახდა, რაც თავისთავად არ იყო სასიკეთო მონაზვნურ ცხოვრებაში. ამ პერიოდში იყო ბერების დევნის ცალკეული შემთხვევები. 1820 წლის იმერეთის აჯანყების დროს რუსეთში გადაასახლეს ტაბაკინის მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი ნიკოლოზ ცქიტიშვილი (ტყეშელაშვილი. 2005:32).

ქართული მონასტრები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე, 1891 წელს მძარცველები თავს დაესხნენ ჭელიშის მონასტერს, გაიტაცეს მონასტრის ფული და სხვადასხვა ნივთები, ამის გამო გადაწყდა მონასტრისთვის შემოეკლოთ გალავანი (მურუსიძე.2019:146). 1904 წელს ავაზაკები თავს დაესხნენ გელათის მონასტერს და გაიტაცეს არაერთი სიწმინდე, მათ შორის დავით აღმაშენებლის ბეჭედი (ტყეშელაშვილი.2007:). ამ პერიოდში გელათსა და ზოგიერთ მონასტერში შეიარაღებული მცველები დააყენეს.

გამოუსწორებელი ზიანი მიადგა ქართულ მონასტრებს 1918-1930-იან წლებში. 1918 წელი ჩვენ შემთხვევით არ ვახსენეთ, რადგან დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობით პირველი დაუპირისპირდა მონასტერს და საერთოდ ეკლესიას. 1923 წლიდან კი დაიწყო უძველესი ქართული მონასტრების დახურვა-განადგურება, არაერთი ბერი გამოძევებულ იქნა მონასტრიდან, ზოგიერთი კი უგზო-უკვლოდ დაიკარგა (მაგალითად, მოწამეთის მონასტრის წინამძღვარი ნიკოლოზ ნამორაძე) (ლ. ტყეშელაშვილი.2010:56).

1923–1930 წლებში არაერთი ქართული ეკლესია-მონასტერი დაიხურა. 1923 წლის აპრილში თბილისის მაზრაში დაიკეტა 48, ქუთაისში 160, სენაკში 148, შორაპნის მაზრაში 148, ოზურგეთის მაზრაში 130, რაჭაში 117, ლეჩხუმში 78, გორის მაზრაში 78, ზუგდიდის მაზრაში 75, სიღნაღის მაზრაში 65, ცხინვალის ზონაში 60 ეკლესია. ეკლესია-მონასტრების დახურვა შემდგომ წლებშიც გაგრძელდა (ვარდოსანიძე.2001:101). დახურულ ეკლესიებს შორის მრავლად იყო გაუქმებული მონასტრები, ათეისტურმა ხელისუფლებამ გააუქმა 1000 წლოვანი ძველი ქართული მონასტრები, რომელთა ნაწილში დღემდე არ აღდგენილა სამონასტრო ცხოვრება. მათ შორის გაუქმდა მოწამეთას, გელათის, მღვიმევის, გარეჯის, შიო-მღვიმის, ალავერდის და სხვა არაერთი მონასტერი.

ათეისტური მმართველობის პერიოდში ზოგიერთი ეკლესია-მონასტერი

საერთოდ დაანგრიეს. ბოლშევიკებმა უძველესი ქართული მონასტრები მკრეხელურად წაბილწეს, მაგალითად ტაბაკინის მონასტერში ღორების ფერმა განათავსეს (ნიკაჭაძე.2003: 25). მოშალეს და გაიტაცეს ძველი ქართული კანკელები და სამონასტრო ქონება. ტაბაკინის მონასტერში ათეისტებს მოუხდიათ სახურავიდან ყავარი, გამოუძვრიათ ურთხმელის სამსაჟენიანი ბოძი, გადმოუგდიათ ხის კანკელი და XVIII საუკუნის ხის ხატები კი დაუმტვრევიათ (ბოჭორიძე.1995:164–169). 1923 წელს დაიხურა ასევე ჭელიშის ცნობილი მონასტერი რაჭაში. სამუდამოდ დაიკარგა არაერთი ქართული მონასტრის ქონება, საეკლესიო ინვენტარი და ხელნაწერი წიგნები. დღემდე არა არის დეტალურად დადგენილი, თუ რა ზიანი მიადგა ქართულ მონასტრებს აღნიშნულ პერიოდში, რაც სამომავლოდ აუცილებლად უნდა იქნეს გამოკვლეული.

ქართული სამონასტრო ცხოვრების **მეხუთე, ახალ პერიოდად** უნდა მივიჩნიოთ მე–20 საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან დღემდე, როდესაც კათალიკოს-პატრიარქ ილია მეორის მმართველობისას დაიწყო ძველი სამონასტრო ცენტრების აღდგენა-გამშვენიერება.

კათალიკოს-პატრიარქ ილია მეორის მოღვაწეობის პერიოდში საქართველოში დაიწყო ბოლშევიკების მიერ გაუქმებული მონასტრების აღდგენა. 1980-იანი წლებიდან სამონასტრო ცხოვრება აღდგა გელათში (1988 წ.), დავით-გარეჯში (1990 წ.), გარეჯის იოანე ნათლისმცემლის უდაბნოში (2000 წ.), შიომღვიმეში (1989 წ.), მარტყოფის მონასტერში (1989 წ.), ჯვრის მონასტერში (1996 წ.), საფარაში (1989 წ.), ვარძიასა 1999 წ.) და სხვა ძველ მონასტრებში, დაფუძნდა ახალი მონასტრებიც (გუნია.2005:19-65). შევნიშნავთ, რომ ათეისტური მმართველობის დროს, 1954 წელს, მიტროპოლიტ გაბრიელ ჩაჩანიძის მიერ მონასტერი აღდგა მოწამეთაში, რაც ბევრათი გამონაკლისია, რადგან ხრუშოვის მმართველობის პერიოდში მსგავსი რამ წარმოუდგენელი იყო. ამავე წელს დიდმოწამე დავით და კონსტანტინეს ნაწილები მუზეუმიდან დაბრუნდა მოწამეთაში.

ქართული სამონასტრო ცხოვრება

მორჩილებისა და სიმდაბლის მობოვების შემდეგ მონაზონი აღწევს სიყვარულს და „მოიგების ღმერთი“, თუმცა სინანული უმთავრესია: „რამეთუ სინანული არს მეორედ შობაჲ ღვთისა მიერ“.

ძველ ქართულ წყაროებში, წმინდა მამათა ცხოვრებებსა და გადმოცემებში ვხვდებით, რა პირობებში უწევდათ ქართველ ბერებს მოღვაწეობა, როგორ ლოცულობდნენ და წვრთიდნენ ხორცს. ასურელი მამების პერიოდიდან მეცხრამეტე საუკუნის ჩათვლით შეგვიძლია თვალი გადავაგლოთ არაერთი მონაზვნის ცხოვრებას, რომლებმაც უდიდესი ნებისყოფისა და მრავალწლიანი ღვაწლის შედეგად სძლიეს ხორცს, დათრგუნეს ვნებანი და ლოცვით, მარხვითა და სხვა სიკეთეებით მოიპოვეს საღვთო მადლი. ბერს, რომელიც მაღალ სულიერ მდგომარეობას აღწევდა, მრავალი მიმდევარი ჰყავდა და სამონასტრო ცხოვრებაც კიდევ უფრო ინტენსიური ხდებოდა. წმინდა მამათა ცხოვრებებში ვხვდებით, როგორი დამოკიდებულება იყო მონასტრის წინამძღვარსა და საძმოს წევრებს, ან სულიერ მამასა და შვილს შორის, რაც საშუალებას გვაძლევს გავიაზროთ მონაზვნური ცხოვრების არაერთი დეტალი და გარკვეულ დონეზე ჩავწვდეთ სულიერ სიღრმეებს. მაინც რა არის მონაზვნობა და როგორ შეიძლება მონასტერში მისულმა ადამიანმა მიაღწიოს სულიერ წარმატებას? ამ კითხვებზე პასუხი შეიძლება ვიპოვოთ ქართველი ბერების: შიო მღვიმელის, დავით გარეჯელის, ილარიონ ქართველის, გრიგოლ ხანძთელის, სერაპიონ ზარზმელის, მთაწმინდელი მამებისა და სხვათა ცხოვრებაში. მაგალითად რატომ ეძიებს ბერი სიგლახაკეს და უპოვარებას, რომ მისი გონება მხოლოდ ქრისტეზე ფიქრით ყოფილიყო დაკავებული. რატომ იყო საჭირო საკუთარ უძლურებებსა და ცოდვებზე მუდმივი გლოვა და ტირილი. უღირსების შეგრძნებაც აუცილებელი იყო მონაზვნისათვის, რათა იგი ამპარტავნების ცოდვაში არ ჩავარდნილიყო. ძველ ქართულ მონასტრებში კარგად იცოდნენ, ეტაპობრივად როგორ უნდა მომხდარიყო მონაზვნის ასვლა სულიერ სიმაღლეებზე და რა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მორჩილებასა და თავმდაბლობას. მათ გარეშე რაიმე წარმატებაზე საუბარი საერთოდ ზედმეტია.

ქართველი ბერ-მონაზვნები ღვთისკენ სავალ გზაზე ყოველდღიურად იხარჯებოდნენ და ხორცის დათრგუნვითა და მკაცრი ასკეტური ცხოვრებით საღვთო მადლის მოპოვებას ცდილობდნენ. ვ.ლოსკი ბრძანებს, რომ ღმერთთან შეერთების გზაზე ადამიანი არასდროს არაფერს კარგავს პიროვნულს, თუმცა უარყოფს საკუთარ ნებასა და ბუნებრივ მიდრეკილებებს. მხოლოდ თავისუფალი უარყოფის პირობებში ყოველივე იმისაგან, რაც დამახასიათებელია მისი ბუნებისთვის, ადამიანური პიროვნება მთლიანად იხსნება მადლში (ლოსკი.2015:295). აი, ის უმთავრესი მონაპოვარი, რასაც მრავალწლიანი ღვაწლის შემდეგ აღწევდნენ ქართველი ბერები, თუმცა ისინი მიღწეულით არასოდეს კმაყოფილდებოდნენ და აგრძელებდნენ სრულყოფის გზაზე სვლას. ლოსკი თავის საინტერესო ნაშრომში აღნიშნავს, რომ რაც უფრო წინ მიიწევს პიროვნება ღმერთთან შეერთების გზაზე, მით უფრო გაცნობიერებული ხდება იგი. სულიერ ცხოვრებაში ამ გაცნობიერებას აღმოსავლელი ავტორები შემეცნებას (პოზნანიე) უწოდებენ (იქვე:295).

ქართველი მოღვაწეები ახერხებდნენ გაცნობიერებული მდგომარეობით ღვთის შემეცნებამდე მისვლას. ამას მოწმობს მათი ქმედებანი, საღვთო მადლით აღჭურვილი გრიგოლ ხანძთელი, სერაპიონ ზარზმელი, გიორგი შეყენებული, გიორგი მთაწმინდელი და სხვანი ფაქტიურად საღვთო ნათლის მატარებელნი არიან. მათ შეუძლიათ ფარულ გულისთქმათა ამოცნობა, ადამიანთა საღვთო გზაზე დაყენება, ერის სულიერ–ზნეობრივ მოთხოვნილებათა გაგება და ამას სრულიად გაცნობიერებულნი აკეთებდნენ.

„ღმერთი ნათელია, და ვინც ღირსი ხდება მისი მზერისა, ხედავს მას, როგორც ნათელს, და ვინც მიიღო იგი, როგორც ნათელი.... და ვისაც არ მიუღია, ვერ არც მადლი მიუღია, რადგან მადლის მიმღებელნი იღებენ ნათელსა და ღმერთს. მაგრამ ყველა ის, ვინც ვერ ღირსი არ გამხდარა იმისა, რომ მიეღო ანუ დაეგემოვნებინა ყოველივე ეს, რჯულის უღლის ქვეშ იმყოფება, ვერაც ჩრდილსა და სახეების ქვეშაა... ასეთები თუნდაც მეფეები იყვნენ, თუნდაც პატრიარქები, თუნდაც მღვდელმთავრები ან მღვდლები... თუნდაც ერისკაცნი ან მონაზონნი, მაინც ბნელში სხედან და ბნელში დადიან, და არ უნდათ სათანადოდ მოინანიონ (იქვე:297).

საღვთო ნათლის მატარებელთა შორის უნდა გამოვყოთ წმინდა მამა

გიორგი მთაწმინდელი, რომელმაც მრავალწლიანი ღვაწლის შემდეგ შესძლო ამ სიმაღლემდე ასვლა. დასტურად შეგვიძლია რამდენიმე მაგალითი მოვიყვანოთ ბერის ცხოვრებიდან.

1. 1060 წელს გიორგი მთაწმინდელი საქართველოში ჩამოვიდა. მან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჭყონდიდელ ეპისკოპოსზე და თავისი მადლმოსილებით დაიმოწაფა ის: „ხოლო ეპისკოპოსმან ჭყონდიდელმან არა განუტევა, რამეთუ მოწაფე იყო ბერისა“. ე.ი. წმინდა მამისგან მღვდელმთავარი ბევრ სარგებელს იღებდა და ამის გამო გახდა მისი მოწაფე, ანუ როდესაც საღვთო მადლით არის განათლებული მოღვაწე, იერარქიულ პატივს მნიშვნელობა არ აქვს, ვინაიდან სიწმინდეში მყოფ მონაზონს უმკაცრესი ცხოვრებით დიდი მადლი აქვს მოპოვებული და მღვდელმთავარიც ცდილობს მისგან ბევრი რამ ისწავლოს.

2. გიორგი მთაწმინდელი აშკარად მატარებელი იყო საღვთო ნათლისა და ეს გარეგნულადაც ეტყობოდა მას. საქართველოს მეფე ბაგრატ მეოთხე (1027-1072 წწ) ასე მიმართავს გიორგის: „არათუ ოდენ წიგნთა თჳს ვარ, რათა განათლდეს ეკლესიანი ჩუენი, არამედ რათა თჳით მე განვნათლდე ხედვითა თქუენითა... და ყოველნი თჳსნი ჩემნი სიწმიდისა თქუენისა მიმართ იმწყსებოდენ და განისწავლებოდინ“. ღირსი მამის ნათარგმნი წიგნებით ეკლესიები ნათლდებოდა, თუმცა ამასთან ერთად მეფის სურვილია ღირს მამასთან ურთიერთობით თავადაც განათლდეს და მისი ოჯახის წევრებიც. ქართველმა ბერმა, როგორც ვთქვით, მრავალწლიანი ღვაწლის შემდეგ საღვთო ნიჭი მოიპოვა, რის გამოც სამეფო ოჯახის წევრებზე ახდენს კეთილისმყოფელ გავლენას. ისინი მზად არიან მათ სულებზე წმინდა მამამ იზრუნოს: „რათა ნიჭად მიუპყრნე სულნი ჩუენნი“. იმდენად დიდი ავტორიტეტია ღირსი მამა, რომ მეფე მისგან მხილებასაც იღებს, რათა მან არ გაყიდოს საეპიკოპოსო თანამდებობები, ვინაიდან ეს უდიდესი ცოდვაა.

3. განსაკუთრებით საოცარია ის ფაქტი, რომ წმინდა მამის მადლმოსილებამ სინანულისკენ მოუწოდა მთელ ერს, რაც იშვიათი შემთხვევაა საქართველოს ეკლესიაში. წმინდა მამასთან „იწყეს აღსარებად და სინანულად თჳით მეფემან, კათალიკოზმან, მღვდელთა და დიაკონთა, მონაზონთა, მორწესეთა, დიდებულთა და მთავართა, მდიდართა და გლახაკთა“. ანუ გიორგი მთაწმინდელს იმდენად დიდი მადლი ჰქონდა მოპოვებული,

რომ თავად იყო „ერთგვარი ნათელი“ ღვთის მიერ და მისკენ ყველა „მხურვალითა სარწმუნოებითა“ მიისწრაფოდა.

4. აღსანიშნავია, რომ ღირსი მამის საღვთო მადლს მარტო ქართველები არ ამჩნევდნენ. მან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ანტიოქიის პატრიარქ იოანეზე. როგორც გიორგი მცირე გვაუწყებს, გიორგიმ „ყოველნი განაკვირნა, არა ხოლო თუ ქართუელნი, არამედ ბერძენნიცა და ასურნი, რომელსაცა ეუწყა მოქალაქეობა მისი“. იმ პერიოდში ანტიოქიაში ცეცხლის გაჩენის და ტაძრის დაწვის გამო მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილა პატრიარქი იოანე, რომელიც დამოძღვრა და მრავალი სასარგებლო რჩევა მისცა ქართველმა ბერმა. ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ ბერძენი პატრიარქი სრულად მიენდო გიორგის „და ყოველი ცხოვრება თვისი მას შეავედრა და მას ჰკითხვიდა გულის სიტყუათა თვისთა“, თავისი მადლმოსილებით მან შესძლო მწუხარე პატრიარქის ნუგეშისცემა და „ყოველი მწუხარება და გლოვა მისი განუქარვა“. თავად პატრიარქი აღიარებს, რომ „ჴეშმარიტად იყო შთავარდნილი სული ჩემი“. აღნიშნული შემთხვევაც ბევრად გამონაკლისია. ქართველ ბერს იმდენად დიდი წონა აქვს, რომ იგი მოძღვრავს ანტიოქიის პატრიარქს, ბიზანტიის იმპერატორს, კონსტანტინე მონომახს, საქართველოს მეფეს და კათალიკოსს, მღვდელმთავრებს. ეს ყოველივე კი გამოწვეული იყო გიორგის უდიდესი სულიერებით, მას ეს სულიერება გარეგნულადაც ეტყობოდა და ამასთანავე პრაქტიკულადაც შეეძლო დაემოძღვრა უმაღლესი საერთ და სასულიერო ხელისუფლების წარმომადგენლები, ყველა ღებულობდა მისგან საღვთო რჩევა-დარიგებებს და მათზე კეთილისმყოფელ გავლენას ახდენდა.

ქართულ მონასტრებში განსაკუთრებული უფლებამოსილება გააჩნდა მონასტრის წინამძღვარს, იყო შემთხვევები, როდესაც მონასტერს ორი წინამძღვარი ჰყავდა. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ პარხალის ტაძრის მეექვსე კამარის წარწერა: „მან შეკაზმა, ჰგი[ესე] მკა დიდებაჲ მისი უკუნისამდე! წ[ინამძღვარსა] გიორგი ღოღლისასა შეეწიენ ღმერთმან! ამენ ეყავნ ითანე წინ[ა]მძღვარი“ (თაყაიშვილი.2016:404). წარწერა შესრულებულია პარხლის მონასტრის წინამძღვრის იოანეს მიერ, რომელიც ლოცვით იხსენიებს მეორე წინამძღვარს გიორგის, ეტყობა თავის თანამოღვაწეს. საქართველოში მონასტრებს ზოგჯერ ორ-ორი წინამძღვარი ჰყავდა ხოლმე,

თრიდან ერთი მთავარ წინამძღვრად ითვლებოდა (იქვე: 406). საგარაუდებელია, რომ თრი წინამძღვარი დიდი სამონასტრო კომპლექსებისთვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი, სადაც რამდენიმე ეკლესია და მრავალი სენაკი იყო. როგორც ჩანს, ერთი წინამძღვარი ვერ ართმევდა თავს, ამიტომ მეორე წინამძღვარი უფროსს უმსუბუქებდა ღვაწლს.

მონასტრის წინამძღვარი ხშირად მამასახლისადაც იხსენიება, რაც ფაქტიურად ერთი და იგივეა. ყოველდღიურ ცხოვრებაში კი წინამძღვარს მარტივად „მამაჲ“ ეწოდებოდა. გ. მერჩულის სიტყვით, თპიზის მონასტრის მამასახლისი ამბა გიორგი „მესამე მამაჲ იყო თპიზისაჲ“ (ჯავახიშვილი. 1984:42). შევნიშნავთ, რომ შიომღვიმის ლავრის წინამძღვარს „მთავარი მემღვიმე“ ან „მთავარი მამაჲ მემღვიმე“ ეწოდებოდა. განსხვავებული სისტემა არსებობდა დიდ სამონასტრო ცენტრებში. გელათის სამეფო მონასტერში დავით აღმაშენებლის პერიოდიდან არსებობდა გელათის აკადემიის მოძღვართმოძღვარი, რომელიც წყაროებში ყოველთვის პირველი იხსენიება, მის შემდეგ იხსენიებოდა წინამძღვარი.

მონასტერში მოღვაწემ დიდი ყურადღება უნდა დაუთმოს ეკლესიაში აღსრულებულ მსახურებას და თავის კელიასა და მღვიმეში შეასრულოს პირადი კანონი. კიდევ უფრო მიუღებელია მონასტერში თვითინიციატივები და ამბიციური ქმედებები, ასეთ შემთხვევაში შესაძლოა ბერმა ყველა სათნოება დაკარგოს და მონასტრიდანაც გააძევონ. ამგვარ საკითხებზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის ქართულ მონასტერთა რამდენიმე ტიპიკონი, რომელთა შინაარსი საკმაოდ მკაცრია და რომელთა მუხლების დაცვაც ყველასთვის არის სავალდებულო, მათ შორის მონასტრის წინამძღვრისთვისაც. ტიპიკონის მიხედვით მონაზონს ნებართვის გარეშე მონასტრის დატოვება ეკრძალებოდა და საერთოდ ძველი მამები ცდილობდნენ, რომ წუთისოფელთან ხშირი შეხება არ ჰქონოდათ.

მონასტრებში მონაზვნები ყოველდღე კითხულობდნენ დავითის ფსალმუნებს, აღსანიშნავია, რომ თავად ფსალმუნთა შინაარსიდან ითვისებდნენ ქართველი მონაზვნები ბევრ სასარგებლო რჩევას. მაგალითად მე–17 ფსალმუნის მიხედვით უფლის მცნებების მოსაპოვებლად აუცილებელია ადამიანი მწირი იყოს: „მწირ ვარი მე ქუეყანასა ზედა, ნუ დაჰფარავ ჩემგან მცნებათა შენთა“. იყო შემთხვევები, როდესაც ბერები თავის კე-

ლიაში მხოლოდ დავითის ფსალმუნს კითხულობდნენ (მაგალითად ღირსი ონისიფორე), რადგან ფსალმუნების წაკითხვას დიდი სულიერი მნიშვნელობა ჰქონდა, ამასთანავე მისი კითხვით ბოროტი ძალები იდევნებოდნენ, ბასილი დიდი ბრძანებდა, რომ „საღმრთო წერილნი ყოველნივე კეთილ არიან და გამნდევნელ ეშმაკთა, არამედ არა ეგრე ვითარცა ფსალმუნნი“.

ბერებს სული ღვთისთვის ჰქონდათ ჩაბარებული და ქრისტესთვის ყოველგვარ გაჭირვებას უდრტვინველად ითმენდნენ. წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი თავის პოეზიაში გადმოსცემს, რომ ყოველი ხორციელისთვის მიწა არის სამარე, რომ ყველა მიწად იქცევა და ეს ყველაზე კარგად ბერს უნდა ახსოვდეს: „ყოველისაევესთვის ხორციელის მოკუდავის ყოველი მიწაჲ სამარე არნ, რამეთუ მიწით მოსრულნი მიწად კუალად-გებად ვართ“ (ბეზარაშვილი.2016:104). ვინც შიშველ ძვლებს იხილავს, ყველა დარწმუნდება, რომ აქ, წუთისოფელში, არაფერია ადამიანის: „ძუალნი შიშუელნი მხილველთა არწმუნებენ, ვითარმედ აქაჲ არარაი არს მკვიდრ ჩუენდა“ (იქვე:104). ამგვარი დამოკიდებულება არაერთ ქართველ მონაზონს ჩამოუყალიბდა, ისინი სრულად უარყოფდნენ საკუთარ თავს და უკიდურეს სიღარიბესა და სიმდაბლეში ატარებდნენ ცხოვრების უმეტეს ნაწილს. ამისთვის საჭირო იყო მკაცრი და ხანგრძლივი ნებისყოფა, რასაც ისინი დიდი ღვაწლის ფასად აღწევდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ბერი ვერ შეძლებს მრავალწლიან ასკეტურ ღვაწლს და, რაც მთავარია, ამას ისინი აღწევდნენ სულიერი მოძღვრის დახმარებით, ეტაპობრივად. ქართულია მონაზვნობისთვის უმთავრესი ნიშანი, რითაც გამოირჩეოდნენ ბერები, უბრალოებაა, ღვაწლის დაფარვა ან სრულად უარყოფა დიდი ქრისტიანი ასკეტი მამების მსგავსად.

ქართული სამონასტრო ცხოვრების შესახებ განსაკუთრებით ფასეულია გიორგი მერჩულეს თხზულება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, სადაც მრავალი საინტერესო ცნობაა დაცული მონაზვნური ღვაწლის შესახებ. კლარჯეთის წმინდა სავანეებში წმინდა გრიგოლის ღვაწლით ჩამოყალიბდა მკაცრი ასკეტური მიმართულება, რომელიც სინანულსა და თავმდაბლობაზე იყო დამყარებული. მერჩულე ფასადუდებელ ცნობებს გვაწვდის იმ პერიოდის მრავალ სასწაულმოქმედ მამაზე, რომლებიც ანგელოზებრივ სიწმინდეს იყვნენ მიღწეულნი. ნაშრომში მხოლოდ რამ-

დენიმეზე შევაჩერებთ ყურადღებას, რადგან ყველა მათგანი განსაკუთრებული ღვაწლით გამოირჩეოდა.

თხზულების მიხედვით იმ პერიოდში თრი დიდი მოღვაწის, მამა ბასილისა და მიქაელის, საფლავებზე სასწაულები აღესრულებოდა. წმინდა გრიგოლს მრავალი გამორჩეული სულიერი შვილი ჰყავდა, მათ შორის უნდა გამოვყოთ ღირსი მატო, რომელსაც მან მერეს დედათა მონასტრის წინამძღვრობა ჩააბარა. გრიგოლის სიტყვით მატო უფლის შეწევნით შესძლებდა ბერისთვის ყველაზე საპასუხისმგებლო საქმეს, დედათა მონასტრის წინამძღვრობას. მოძღვრის უცილობელ ბრძანებას მატო ვერ შეეწინააღმდეგა და დაემორჩილა მას. გიორგი მერჩულე სასწაულმოქმედ მამას უწოდებს მატოს. მას თრმოცი წელი გაუტარებია მერეს მონასტრის წინამძღვრად. მისგან უქმი სიტყვა არ ამოდიოდა: „უქმი სიტყუაჲ და უსარგებლო პასუხი არავის ესმა“, მატოს მიმართ ყველას კრძალულება გააჩნდა, რადგან სიწმინდით და უბიწოებით ყველასთვის მაგალითი იყო. მატომ მთელი ცხოვრების განმავლობაში „დაიმარხა ქალწულება“, არა მარტო ხორცით, არამედ სულითაც. ბერი ძალიან ბევრს შრომობდა, უწყვეტად ლოცულობდა, მარადის წყუროდა და შიოდა. უძილობა, ფეხზე დგომა, მეტანიების მრავალად კეთება „დასცემდა ვნებასა ხორცთასა“. იგი არასოდეს აფერხებდა ჟამისწირვის ჩატარებას „თვინიერ მიზეზისა და უძლურებისა“, მას ყოველთვის უბრალო სამოსი ეცვა და საზრდელიც უბრალო გააჩნდა.

გიორგი მერჩულე მატოს მიერ აღსრულებულ ერთ-ერთ სასწაულზე გვესაუბრება, თუ როგორ ეუწყა წინასწარ წმინდა ბერს მონასტერში ქურდების მისვლა როგორ დაუმზადა მათ ბური და ღამით მისული ქურდები გააფრთხილა, რომ მისთვის არაფერი დაეშავებინათ, რადგან „წმინდაჲ ღვთისმშობელი გიბრძანებს არა ვნებად ჩემდა“. თუმცა ერთ–ერთმა მაინც გაბედა მატოსკენ გაწვევა, რის გამოც მყისვე დაეცა ბოროტისგან ძლეული. მისი მეგობრები წმინდანს შეევედრნენ, რათა განეკურნა ის. წმინდა მატომ ჯვარი გადასახა და შემდეგი სიტყვებით მიმართა: „განგკურნებს წმიდაჲ ღვთისმშობელი“, განკურნებული ქურდი და მისი მეგობრები ბერმა მშვიდობით გაისტუმრა (გრ. ხანძ.ცხ.2008:586). წმინდა მატო, რომელმაც ცხოვრების უკანასკნელი წელი ბერთას მონასტერში გაატარა, ღრმა მოხუცებული აღესრულა.

კიდევ უფრო დიდ ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ მერჩულე თავის თხზულებაში საუბრობს გრიგოლ ხანძთელის სხვა მოწაფეებზეც, რომლებმაც ანგელოზებრივ სიწმინდეს მიაღწიეს და ღირს მატოსაც კი აღემატებოდნენ: „ანგელოზთა ბრწყინვალებაჲ გუამთა მათთა შემოსილი უფროის მატოჲსა“, არაერთი დიდი სასწაული აღსრულებულა მათ სიცოცხლეში და გარდაცვალების შემდეგაც. მათ რიცხვში ავტორი ასახელებს ღირს დიმიტრიოსს, რომელიც ნეტარ დედა ფებრონიას აღუზრდია და შემდეგ წმინდა გრიგოლის მოწაფეთა შორის იმყოფებოდა. მრავალმა დაინახა დიმიტრიოსის თაყვა „სუეტი ნათლისაჲ“, იგი მთელი ღამის განმავლობაში ლოცვებს აღავლენდა და „სული წმიდაჲ“ იყო მასთან დავანებული. დიმიტრიოსი იერუსალიმში გამგზავრებულა, „ჰემსას“ მიუღწევია, დასნეულებულა და წინასწარ შეუცვნია თავისი გარდაცვალება. მასვე მოუწერია სულიერი მშობლებისთვის – მამა გრიგოლისა და დედა ფებრონიასთვის ეპისტოლე, რომელშიც აღნიშნავს, რომ ის მალე აღესრულება, მისი სიტყვა დადუმდება და ჰემსას მიიძინებს: „მუნ დამიძინებია მეორედ მოსვლამდე ქრისტესა“. ეპისტოლეში ითხოვდა, რომ მოწაფეთა შორის „მარადხსენებულ მყავთ“.

გრიგოლის აღზრდილთა შორის უნდა დავასახელოთ წმინდა ეფრემ მაწყვერელი და არსენ ქართლის კათალიკოსი. წმინდა ეფრემი ორმოცი წელი იჯდა აწყურის საეპისკოპოსო ტახტზე და „შემკული სულითა წმიდითა“ ადამიანთა დაფარულ საქმეებს ცხადად ხედავდა. მერჩულე ასახელებს კიდევ წმინდა ეპიფანეს, რომელმაც თავმდაბლობით მიაღწია „საზომსა თვისისა მოძღურისასა“, იგი თურმე ცრემლის დათხევით „სულთა უკეთურთა განასხმიდა“ და სნეულებსაც კურნავდა. ეპიფანეს განუკურნავს ასევე სიკვდილის ბირას მყოფი ყრმა, რომელზეც ჯვარი გადაუსახავს წმინდა მამას და უთქვამს: „განგკურნებს უფალი იესუ ქრისტე, აღდეგ, ყრმაო, და ცოცხალ იქმენ!“ (იქვე:606). წმინდა მოციქულთა და სასწაულმოქმედ მამათა მსგავსად ეპიფანე ქართული სამონაზვნო სკოლის ბრწყინველე წარმომადგენელია, რომელიც ღვაწლით გრიგოლ ხანძთელს უტოლდება. მასვე განუკურნავს ერთ-ერთ სოფელში დაბადებიდან ყრუ-მუნჯი ბავშვი, რომელიც მყისვე ამეტყველებულა.

ცნობილია, რომ წმინდა ეპიფანე ხანძთის მონასტრის სასარგებლოდ

სართჭიკოდ დადიოდა. ის მისულა ერთ-ერთ დიდებულ აბულასანთან, რომელსაც ხორბლის აღების უფლება მიუცია. ხანძთის ბერებს დაუწყიათ ხორბლის მთმკა, რა დროსაც აბულასანის მეუღლეს, ბერების წინააღმდეგობის გამო, „სული მადლისა“ განშორებია და უკეთურ სულს შეუბყრია. წმინდა ებიფანეს ძმებთან ერთად მთელი გულით ულოცავთ და ქალი განუკურნავთ. მერჩულე ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ღირს გრიგოლსა და მის მოწაფეებს, წმინდა მოციქულის მიხედვით, სიმდაბლე გამოარჩევდა: „სიმდაბლე ეგე თქუენი ცხად იყავნ“ (იქვე:610).

ქართველ მონაზვნებში უნდა გამოვარჩიოთ ღირსი მამა არსენ იყალთოელი, რომელიც იყო ეფრემ მცირის სულიერი შვილი და უაღესად განათლებული ბიროვნება. მან თავისი მოღვაწეობით განსაკუთრებული კვალი დატოვა სამონასტრო ცხოვრებაში. იგი ფრიად გამორჩეული მოღვაწეა, როგორც მთარგმნელობით-სამეცნიერო თვალსაზრისით, ასევე იყო წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის მოძღვარი და საქართველოს ეკლესიაში ყველაზე მნიშვნელოვანი – რუის-ურბნისის საეკლესიო კრების „ძეგლისწერის“ ავტორი. არსენ ბერი მოღვაწეობას იწყებს მანგანის აკადემიაში, შემდეგ მიემგზავრება შავ მთაზე, ანტიოქიის მახლობლად, ჩამოდის საქართველოში, მოღვაწეობას აგრძელებს გელათში, იყალთოში და საბოლოოდ მკვიდრდება შიომღვიმის მონასტერში, აქედან გამომდინარე შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ მან თავისი მონაზვნური – სულიერი გამოცდილება საქართველოს გამორჩეულ სავანეებში გაავრცელა, ამავდროულად იგი იყო მეფის მოძღვარიც. დავით აღმაშენებელი ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას არსენ ბერთან შეთანხმებით აღასრულებდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არსენ იყალთოელის მთარგმნელობითი მემკვიდრეობა, მათ შორის ყველაზე ფუნდამენტური და დიდი მოცულობის ნაშრომი დოგმატიკონი, რომელიც მართლმადიდებლური სარწმუნოების განმტკიცებისა და მონოფიზიტობის წინააღმდეგ იყო მიმართული. არსენმა თარგმნა ასევე უდიდესი მნიშვნელობის ძეგლი – დიდი სჯულისკანონი, რომელმაც არსებითი როლი შეასრულა რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მსვლელობისას.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს უცხოეთში ქართულ სავანეებში მოღვაწე ქართველი ბერების ღვაწლი. სულიერ ცხოვრებასთან ერთად

ისინი ბრწყინვალე კალიგრაფები და გადამწერნი იყვნენ და გადაწერილ წიგნებს საქართველოში აგზავნიდნენ. ქართველმა მოღვაწეებმა თავიანთი დაუღალავი შრომით შესძლეს და საქართველო გაამდიდრეს ქრისტიანულ სამყაროში არსებული უმნიშვნელოვანესი ლიტერატურით. ქართველმა მონაზვნებმა უცხოეთის სავანეებსა თუ ჩვენში მთარგმნელობითი მოღვაწეობის რამდენიმე პერიოდი შექმნეს: წინაათონური (ორი ქვეპერიოდით: იერუსალიმურ-პალესტინური და ტაო-კლარჯეთის), ათონური, შავი მთისა და გელათის. თითოეულ პერიოდში ქართულ სამონასტრო სავანეებში განათლებული ბერების მხარდაჭერითა და მონდომებით ითარგმნა არაერთი საინტერესო ნაშრომი, რომელთა გარკვეულმა ნაწილმა ჩვენამდეც მოაღწია. აღნიშნული ხელნაწერები მრავალი მიმართულებით არის საინტერესო: ენის, ლიტერატურის, ისტორიის, ხელოვნების და ა.შ. თუმცა უნდა ითქვას, რომ სწორედ თხზულებათა შინაარსი, ანდერძ-მინაწერები გვაწვდის უმნიშვნელოვანეს ცნობებს ქართველ ბერ-მონაზონთა შესახებ. ვგებულობთ მათ სულიერ დონეს და, რაც მთავარია, ძველი ეპოქების მამათა სულიერ სამყაროში შევდივართ, ისინი ყოველივეს ღრმა სიმდაბლესა და მორჩილებაში აღასრულებდნენ ურთიერთსიყვარულით. ზოგიერთი მათგანის დასახელებაც კი საკმარისია წარმოდგენა ვიქონიოთ, თუ რაოდენ დიდი მოღვაწეები მყოფობდნენ ქართულ მონასტრებში. მაგალითად, სინას მთაზე ითანე-ზოსიმე, შავ მთაზე ეფრემ მცირე, ათონის მთაზე ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები, გელათში – არსენ იყალთოელი და ითანე პეტრიწი.

ქართველი მამები ეტაპობრივად თარგმნიდნენ სასულიერო ლიტერატურას, ანუ ჯერ მარტივ თხზულებებს, ხოლო შემდეგ სრულ და საფუძვლიან ტექსტებს. ეფრემ მცირე, შავი მთის ეს დაუღალავი მოღვაწე, თვლის, რომ მისი თანამედროვე „გამომეძიებელი“ მკითხველი, წმ. ათონელი მამების ნაღვაწის წყალობით, უკვე მზად იყო მტკიცეს საზრდელის მისაღებად და ხელახლა თარგმნის წმ. ითანე დამასკელის „ცოდნის წყაროს“ უკვე სრულად (მელიქიშვილი. 2019:15). ასე მაგალითად, ექვთიმე მთაწმინდელმა XI საუკუნეში თარგმნა მეექვსე მსოფლიო კრების კანონები, რომელსაც უწოდა „მცირე სჯულისკანონი“, ხოლო შემდეგ „დიდი სჯულისკანონი თარგმნა“ არსენ იყალთოელმა (გაბიძაშვილი.1975:17-19). ე.ი. გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები ჯერ თარგმნიდნენ ზოგიერთი

მნიშვნელოვანი ძეგლის მცირე ვერსიას, ხოლო მოგვიანებით უკვე სრულ ვარიანტს. ეს ეხება, როგორც წმინდა წერილის განმარტებებს, ასევე სხვა თეოლოგიური მიმართულების ნაშრომებსაც. მთარგმნელი აუცილებლად დიდი მოღვაწე იყო და ის რომელიმე ცნობილ ქართულ სავანეში მოღვაწეობდა.

შემდგომი დროის მამები დიდი პატივისცემით გამოირჩეოდნენ განსვენებული მოღვაწეების მიმართ. ეფრემ მცირე ქედს იხრის ათონელ მოღვაწეთა წინაშე, რომელთაც თავის მასწავლებლად თვლის: „რამეთუ ანბანი ბერძულისა და ქართულისაჲ მათგან მისწავიეს“, რომ ის თავის გამოჩენის მიზნით ხელახლა არ თარგმნის ათონელი მამების თარგმნილ ტექსტებს: „ვიეთმე თქუეს ჩემთუის-თავსა უმეცობესად გამოჩინებისათვის ვქმნა“ (იქვე:19). ასე, რომ ეფრემ მცირე ერთ-ერთი უგანათლებულესი მოღვაწეა ქართველ მონაზონთა შორის. XI საუკუნიდან შავ მთაზე ეფრემ მცირისა და მის თანამოღვაწეთაგან იწყება ფილოსოფიური და თეოლოგიური ლიტერატურის ათვისება და ზუსტად, სიტყვასიტყვით თარგმნა-კომენტირება, რაც შემდგომ გრძელდება და ღრმავდება გელათის საღვთისმეტყველო-ლიტერატურულ სკოლაში (იქვე:23). საზღვარგარეთის ქართულ სავანეებში მკაცრ სამონაზვნო ღვაწლთან ერთად ქართველი მონაზვნები იღებდნენ ცოდნას, სწორედ შავ მთაზე ეუფლებოდა თარგმანის (და არამარტო) ხელოვნებას დიდი გელათელი მოღვაწე, „განმანათლებელი ჩუენისა ეკლესიისა“ არსენ იყალთოელი, რომელმაც თავისი დიდი სულიერი გამოცდილება საქართველოში ჩამოიტანა და ახლადგახსნილ გელათის აკადემიაში დაიწყო გავრცელება. მისი, როგორც გამორჩეული მოღვაწის, დამსახურებაა მთელი რიგი იმ მნიშვნელოვანი ღონისძიებებისა, რომელიც დაიწყო წმინდა მეფე დავით აღმაშენებელმა. ქართველი მონაზვნების: იოანე-ზოსიმეს, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების, ეფრემ მცირის, არსენ იყალთოელისა და კიდევ ბევრი ცნობილი და უცნობი მამის დამსახურებაა საქართველოს დაწინაურება, როგორც პოლიტიკურად ასევე რელიგიურ-კულტურული თვალსაზრისით XI-XIII საუკუნეებში.

ქართველი ბერები სხვადასხვა დროს უშუალოდ ერეოდნენ საერო მმართველთა ცხოვრებაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მეფეე-

ბი სულიერ-ზნეობრივ დარიგებასა და შეგონებას საჭიროებდნენ. იყო შემთხვევები, როდესაც ღვაწლმოსილი ბერები რადიკალურ ნაბიჯებსაც დგამდნენ და მეფეთა ცხოვრებას ცვლიდნენ. ამის მაგალითად შეგვიძლია ღირსი მამა გრიგოლ ხანძთელის მოქმედება დავასახელოთ, როდესაც მან ამოტ კურაპალატის სახლიდან დიაცი წამოიყვანა. ქართველ ბერთა შეგონებანი ხშირად წინასწარმეტყველურიც იყო, რადგან მათ ღვთის მადლით შეეძლოთ განეჭვრიტათ მომავალი.

ქართველი მონაზვნები ძველ მამათა მსგავსად ზედმიწევნით ასრულებდნენ ბერულ აღთქმას. მათ გააზრებული ჰქონდათ, რომ წუთისოფლის ყოველნაირი სიამეები უნდა დაეთმინათ და ხორცის უკიდურესი დათრგუნვით სული გაეძლიერებინათ. არერთი მამა ხშირად ფიქრობდა სიკვდილზე (გრიგოლ ხანძთელი), ვინაიდან სიკვდილზე ფიქრი აბრძენებს ადამიანს (ფს.89.13) და გულმოდგინების მიზეზი ხდება (იოან.9.4). შესაბამისად ისინი ცდილობდნენ მუდამ მზად ყოფილიყვნენ ამქვეყნიდან გასასვლელად და ბოლომდე იხარჯებოდნენ. მონაზონი აღკვეცის შემდეგ ატარებს სარტყელს, რომელიც დამზადებულია ტყავისაგან, რაც განასახიერებს იმას, რომ მისი სხეული მკვდარია, ხოლო სული განახლებული, ეს მუდამ უნდა ახსოვდეს მონაზონს (Краснопевков.2013:429).

მონაზვნობა უდიდესი პასუხისმგებლობაა, პიროვნება იღებს უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებას, დებს აღთქმას ღმერთთან, რათა უარყოს საკუთარი თავი და მხოლოდ ღვთისა და მოყვასისთვის იარსებოს. აღკვეცის შემდეგ მონაზონი ასრულებს მონასტრის წინამძღვრის მოთხოვნებს და ემორჩილება დადგენილ წესებს, თუმცა, რაც მთავარია, მან უნდა დაიცვას რამდენიმე აღთქმა, რაც აისახება, როგორც მის შინაგან, ასევე გარეგნულ მხარეზეც. სამოსელი ეძლევა უპოვარებისა და მორჩილების ნიშნად. ქამარი-შეირტყამს ძალსა ჭეშმარიტებისასა, მოსაკვდინებელად ხორცთა და განსაახლებლად სულისა. საბეჭური-სამოსელად უხრწნელებისა, სიმდაბლისა (სარია.2018:145). ბერობის მსურველი ნებაყოფლობით მიდის და გამოიცდება განსაზღვრული დროის განმავლობაში. როდესაც გამოიცდება და დააპირებს რწმენას თავისი ცხოვრებით, ის თავად იწყებს ძებნას, რათა მიიღოს მონაზვნის ხარისხი. მიდის ტაძარში ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, თავის ნებით უარს ამბობს წუთი-

სოფელზე და თავს უძღვნის ღმერთს. მას ჯვრის სახით შეჭრიან თმას სამების სახელით. სამების სახელით ის განიწმინდება, ხოლო ჯვრის ძალით კვდება წუთისოფლისთვის. (Солунский.2018:396) ასე რომ მონაზონი საერო. ცხოვრებისათვის მკვდრად ითვლება, მისთვის ბერის მანტია განასახიერებს საფლავს. ის ჯვარს ეცვა სამყაროსთვის და ამის შესახებ დებს აღთქმას (იქვე:403).

მონასტერში შესაძლოა ბიროვნება ორი გზით მივიდეს. პირველი – წმინდა ცხოვრებით, ან მეორე – არაწმინდა ცხოვრებით, თუმცა დადებული აღთქმის შემდეგ მოღვაწე ვალდებულია იცხოვროს ღირსეულად და წმინდად დაიცვას აღთქმა. არქიმანდრიტი რაფაელი აღნიშნავს, რომ მონაზვნობა საღმრთო მშვენიერების ჭვრეტის სურვილია. ღვთისკენ სავალ გზაზე საძაგელი ლანდებივით, შავი აჩრდილებივით დგანან ადამიანის ცოდვები და ვნებები – შავი საფარველი, რომელიც საღმრთო ნათელს ფარავს. ამიტომ მონაზვნის ცხოვრება, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავთან ბრძოლაა (არქ.რაფაელი.2006:40).

მართლაც აღკვეცის შემდეგ მოღვაწე არაერთი გამოწვევის წინაშე დგება, იგი მუდამ მზად უნდა იყოს მონაზვნური ღვაწლის, ლოცვებისა და მორჩილების აღსასრულებლად. პირველ რიგში ამ რთულ გზაზე მონაზონმა უნდა სძლიოს საკუთარ თავს და დათრგუნოს ხორციელი ცდუნებანი. აღნიშნულ საკითხზე წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსი (ქიქოძე) თავის მნიშვნელოვან ნაშრომში განმარტავდა, რომ ადამიანში არსებობს ბრძოლა ორ საწყისს – კეთილსა და ბოროტს შორის. აკვნიდან კუბოს კარამდის გრძელდება ეს შინაგანი ბრძოლა (გაბრიელ ეპისკ.1993: 159). აღნიშნული ბრძოლის დროს ადამიანმა უნდა სძლიოს ცოდვების ჩადენას, წინააღმდეგ შემთხვევაში, რაც უფრო ხშირია ამგვარი ქცევა (ცოდვის ჩადენა), მით უფრო სუსტდება ბრძოლა, მით უფრო ეჩვევა ადამიანი ცოდვის ჩადენას. იმას, რაც ადრე ეწვევდა უდიდეს შფოთვას, ადამიანი აკეთებს გულგრილად, სიამოვნებითაც კი (იქვე:159). არათუ ცოდვის ჩადენა, არამედ მონაზონს ფიქრების მკაცრად გაკონტროლებაც ევალება, რადგან არასწორი ფიქრიც შესაძლოა გახდეს შეფერხების მიზეზი. ადამიანი გონებიდან მომდინარე უკეთური ფიქრების მიზეზით ვნებაში ექცევა მაშინაც კი, თუ სხეულის გრძნობები ქმედებაში არ რეალიზდე-

ბა, ცოდვა ადამიანის გონებაში ღმერთთან ერთობის ყველა საკვრელს გლეჯს (პაპანიკოლაუ. 2018:214). გაბრიელ ეპიკოპოსი თავად იყო ბერი, მან მთელი ოჯახი დაკარგა საერო ცხოვრებაში, თუმცა, მიუხედავად ამხელა განსაცდელისა, შეძლო მონაზვნად აღკვეცა და სულიერების მაღალ საფეხურს მიაღწია. ის კარგად იცნობდა ბერის შინაგან სამყაროს, იცოდა ის საფრთხეები, რომელიც მონასტრული ცხოვრებისას არის მოსალოდნელი. მან ასევე კარგად იცოდა ადამიანის ფსიქოლოგია, რომ საერთოდ პიროვნებამ უნდა მოახერხოს და მასში გაიმარჯვოს სიკეთემ. თუკი ადამიანში უპირატესობას აღწევს კეთილი საწყისი, შესუსტება ხდება გაცილებით ნელა, ბრძოლა კი ბოლომდე არასოდეს წყდება, თუნდაც ქრისტიანმა სრულყოფილების უმაღლეს დონეს მიაღწიოს. მაგრამ რაც უფრო მეტი დრო გადის, მით უფრო მეტად განმტკიცდება ადამიანი სიკეთეში, მით უფრო უახლოვდება ღმერთსა და მით უფრო მეტად გრძნობს მიწიერ სიამეთა ამაოებას. ბოლოს ის მზადაა სავსებით მიატოვოს სამყარო, რათა არაფერმა შეუშალოს ხელი მის სწრაფვას ღმერთისკენ (გაბ.ეპიკ.1993:159). აღნიშნულის დასტურად მრავალი ქართველი მამის მაგალითი შეგვიძლია მოვიყვანოთ. თავიანთი მოღვაწეობის ბოლო პერიოდში ისინი ცდილობდნენ განმარტოებას, რათა მათი გონება მხოლოდ ღმერთთან კავშირში ყოფილიყო.

შესაბამისად მონაზონი უნდა იყოს უკიდურესად თავშეკავებული, განსაკუთრებით თანამედროვე პერიოდში. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერ შეძლებს ღვთის გზაზე სვლას, ამისთვის კი გონების კონტროლია საჭირო, რათა მუდმივად ღმერთთან იყოს. ადამიანი, რომლის გონებაც უფლისკენაა მიმართული, თავშეკავებაში წარმატებულია, რადგან მასზე ვერ გაბატონდება განღმრთობის შემაფერხებელი, მატერიალური და მიწიერი (პაპანიკოლაუ.2018:149). უძველესი დროიდან მონაზვნებს ეკრძალებოდათ ქონების გროვება და სხვა მიწიერი სიამეებით ტკბობა, რადგან ეს ქმედება მოღვაწეს აცილებს ღმერთს და მისი გონება ღვთის ნაცვლად მომხვეჭველობისკენაა მიდრეკილი. რაც უფრო მაღალ საფეხურზე ადიოდნენ ქართველი მამები, გრძნობდნენ თავიანთ უღირსებას ღვთის წინაშე და ამას ყოველთვის ავლენდნენ, მაგალითად იოანე-ზოსიმე თავის გალობაში მიმართავს ღმერთს, რომ სურს ზეცაური ძალების მსგავსად შეუერთდეს

ღვთის დიდებას, თუმცა თავისი უღირსებაც არ ავიწყდება: „გუნდნი იგი ზეცისანი შენ, წმიდასა, განწყობითნი გიგალობენ: მე უღირსი შეგივრდები, რათა ვიყო მათთანვე შენგან უძაგ" (მწიგნობრობა. ქართ. 2009:137). ჰიმნოგრაფმა იცის, რომ მონაზონს ყოველივე ნიჭი ღვთისგან ეძლევა და თხოვს უფალს შესხმა (ქება) შეისმინოს: „ესე შესხმა სულიერი შენ მიერვე მოცემული, კაცთა მიერ მოღვაწეთა ფრიად სიბრძნით გამოთქმითა შეიწირე ჩემ მიერცა კაცთმოყუარე" (იქვე:137). გონების მიერ ვნებების სრულად უარყოფის შემდეგ მოდის მეტი მადლი, ზოსიმე ათონელი ექვთიმე მთაწმინდელს „უფალო ღაღადყავსა ზედა" დასდებელში ასე მიმართავს: „რაჟამს გონებაჲ წმინდა ჰყავ ვნებათაგან და სიწმიდითა სულისა შენისაჲთა ექმენ სავანეჲ სულსა ყოვლად წმიდასა (ზოსიმე. ათ.2009:184). გონების მიერ ვნებების უარყოფითა და სულის სიწმინდით ექვთიმე მთაწმინდელმა სული წმინდის მადლი მოიპოვა.

ქართულ მონაზვნობას, როგორც აღვნიშნეთ, აქვს თავისი განსაკუთრებული ნიშანი, ეს არის პირველ რიგში მრავალსაუკუნოვანი უწყვეტი არსებობა (V-XX საუკუნეები). ქართველი მოღვაწეები საერთო მონაზვნურ სწავლებებს, უფარდებდნენ თავიანთ ასკეტურ გამოცდილებას, რომელიც საუკუნეების განმავლობაში თანდათან უფრო იხვეწებოდა. ქართველ მონაზვნებს აღნიშნული ასკეტური მიმართულება ახალ სიმაღლეზე აჰყავთ IX-XI საუკუნიდან, რის დასტურადაც შევიძლია მოვიყვანოთ არაერთი ქართველი მამის ცხოვრება (ილარიონ ქართველი, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები, გიორგი-პრორხორე, ილარიონ ყანჩაველი და სხვები). მათი ასკეტურ-მონაზვნური მოღვაწეობა უცხოეთში არსებულ მონასტრებში საყოველთაო ყურადღებას იმსახურებს.

საუკუნეების განმავლობაში ქართულმა ბერმონაზვნობამ შეიძინა თავისი უნივერსალური ხასიათი, რომელიც მრავალმხრივია და შეიძლება რამდენიმე მიმართულებად დავყოთ. ქართული მონაზვნობის უმთავრესი ნიშანი უბრალოება და მკაცრი ცხოვრების შეთვისებაა. ქართველი მამები წუთისოფლისთვის მკვდრად ითვლებოდნენ, თუმცა მუდმივად თავისი ქვეყნის ერთგულნი რჩებოდნენ. საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ მათ შეეძლოთ ერის ცხოვრებაზე სერიოზული კეთილისმყოფელი გავლენა მოეხდინათ. არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე ქართულ მონაზვნობაში გამოყოფს ბერის განსაკუთრებულ ტიპს – „მეომარი ბერის

სამოსში“ (ფერაძე. 2012:218). ბერის ასეთი ტიპის შექმნა მაჰმადიანების მხრიდან მუდმივმა თავდასხმებმა განაპირობა, ქართველი ბერი ერის სასარგებლოდ იღწვის, როგორც სულიერად, ასევე ფიზიკურად. ქვეყნისაგან განდგომილი პირები ამავდროულად ქვეყნის სამსახურში იმყოფებიან, რაზეც მიუთითებდა გრიგოლ ფერაძე. გიორგი შეყენებული განმარტოებულად ცხოვრობს შავ მთაზე, თუმცა მან იცის ერის სულიერი მოთხოვნილებები, ის გიორგი მთაწმინდელს ავალებს მთარგმნელობით საქმიანობას, რომლის შემდეგაც ქართველი ერი სულიერად გაიზრდება. გიორგი მთაწმინდელი ასრულებს მოძღვრის დავალებას, შემდეგ კი ათონიდან საქართველოში ჩამოდის წმინდა მიწის გავლით და მთელ ერს სარწმუნოების სწორად აღსრულებისა და სინანულისკენ მოუწოდებს, ასევე შეგვიძლია დავასახელოთ ბასილი მთაწმინდელი, იგი ზეგარდამო ხილვის შემდეგ ათონის მთიდან ჩამოდის მეფის სამხილებლად და დემეტრე მეფეს აუწყებს ღვთის ნებას, წინააღმდეგ შემთხვევაში მეფე სასჯელს დაექვემდებარებოდა. ანალოგიური შემთხვევა იყო XIX საუკუნის დამდეგს, როდესაც ბერმა ზაქარია ჭაფარიძემ სოლომონ იმერთა მეფეს უწინასწარმეტყველა მოსალოდნელი საფრთხის შესახებ, რომელიც ჩრდილოეთის მხრიდან ემუქრებოდა. ქართველი მონაზვნები მკაცრი ასკეტური ღვაწლითა და ლოცვა-ვედრებით ღვთის ჭვრეტას ახერხებდნენ და ამ შესაძლებლობას ერის საკეთილდღეოდ იყენებდნენ. მსგავსი შემთხვევები მრავლად მოიძებნება საქართველოს წარსულში.

ინტერესს იწვევს ასევე ქართული მონასტრების ადგილმდებარეობა. საქართველო უმეტესად მთა-გორიანი ქვეყანაა და ძველი მონასტრები ძირითადად მთებსა და მიუვალ ადგილებში არსდებოდა. ამ ფაქტმაც გარკვეულწილად ხელი შეუწყო მონასტრული ცხოვრების წარმატებას, რადგან მთებში უკეთესი გარემო იყო შექმნილი განმარტოებითი, ან საზოგადო მონაზვნური არსებობისთვის. თუმცა გაოცებას იწვევს ის ფაქტი, რომ ჩვენს ქვეყანაში თვით ალპურ ზონაშიც არსებობდა ზოგიერთი მონასტერი. ყაზბეგის მთის ფერდობზე, ბეთლემის გამოქვაბული და მის ქვემოთ, 3750 მეტრზე ზღვის დონიდან, ვკერ კიდევ X საუკუნეში არსებობდა სტეფანწმინდის მონასტერი, სადაც წარმოუდგენელია მოღვაწეობა, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენი წინაპრები ამგვარ გმირობებს სჩადიოდნენ. მხოლოდ უმაღლესი სულიერების მატარებელ მონაზონს შეეძლო ასეთ

ურთულეს პირობებში დამკვიდრება და ღვთის წინაშე ლოცვა-ვედრება. საქართველოში ძველად არაერთი კლდეში ნაკვეთი მონასტერი არსებობდა, მათ შორის შეგვიძლია დავასახელოთ: დავით გარეჯი, შიომღვიმე, თრეხვი (ქარელის რაიონი) 1066 წ., ჭაჭკარი XI-XII სს. და ანანურის XI-XII სს. (ვარძიის ანსამბლში), ისტორიულ ჯავახეთში მრავლად იყო ქვაბები, სადაც ძირითადად სამონასტრო ცხოვრება იყო განვითარებული, მათ შორის მდინარეების მტკვრისა და ფარავნის წყლის მიდამოებში: ჭილა (ჯოლდა), მარგასტანი, გელსუნდა, ვერტაში, სადაყუდებლო, ვარძია და ბერთა ცალკეული საცხოვრისები: შორაღის თავი, მირაშხანი ბერისხევი და სხვა (გაფრინდაშვილი: 1964:4). ასევე საყურადღებოა კლდეში ნაკვეთი ქალაქი უფლისციხე, სადაც არსებობდა ე.წ. „მიუვალი" კომპლექსი (აბრამიშვილი. ვაჩეიშვილი. 1964:28). საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დღემდეა შემორჩენილი ადგილები, რომლებიც უკავშირდება მონაზვნურ ცხოვრებას: საბეროები, ბერისციხე, ნამონასტრალი და ასე შემდეგ.

მონაზვნობა ხომ თავგანწირვაა ღვთისა და მოყვასის სახელის გამო, შესაბამისად ქართველი მონაზვნები ცდილობდნენ, რომ რაც შეიძლება მკაცრ ბუნებრივ პირობებში განედიდებინათ შემოქმედი. მამები აღნიშნავენ, რომ მონაზონი სისხლის, ოფლისღვრისა და შრომის შემდეგ იხვეჭს საღვთო მადლს. მონაზვნობა ხომ მთელი ცხოვრების განმავლობაში მოწამეობასა და თავდადებას გულისხმობს! სისხლი და ოფლი სწორედ ამ თავდადების გამოვლინებაა. ცნობილი ქართველი მოღვაწეები განსაკუთრებით მიელტვიან ანაქორეტულ (განმარტოებულ) ცხოვრებას, ეს ფაქტი აშკარაა, თუმცა ისინი საბოლოოდ კინობიტობასაც არ უარყოფენ. ამის შესახებ მიუთითებდა გრიგოლ ფერაძე: ყველა მნიშვნელოვანი პირი ანაქორეტი იყო. ყველა, ვინც იძულებული იყო კინობიტური ცხოვრებით ეცხოვრა, იტანჯებოდა ამის გამო" (ფერაძე.2012:212). ანაქორეტული ანუ განმარტოებული ცხოვრებით გამოირჩეოდნენ: შიო მღვიმელი, ილარიონ ქართველი, გიორგი შეყენებული, გაბრიელ ბერი (ათონელი), ილარიონ ყანჩაველი, მისი ბიძა სტეფანე და სხვა მრავალი ქართველი მოღვაწე. თუმცა უნდა ითქვას, რომ ჩამოთვლილი მოღვაწეები კინობიტურ ცხოვრებაზეც არ ამბობდნენ უარს.

ცნობილი მეცნიერი ლადო მირიანაშვილი ვარაუდობს, რომ IX საუკუნეში, როცა წმინდა გრიგოლმა ტაო-კლარჯეთის მიწაზე მონას-

ტრები დააარსა, გარეკლის სავანეები ანაქორეტული იყო. ამის ვარაუდს მიჩენს გიორგი მერჩულეს სრული დუმილი გარეკლის მონასტრებთან დაკავშირებით იმ დროს, როცა იგი აღფრთოვანებით წერს ტაო-კლარჯეთში მიმდინარე სამონასტრო მშენებლობასა და ადგილთბრივ ბერთა მოღვაწეობაზე (მირიანაშვილი.2020:98). გრიგოლ ხანძთელმა, წმინდა დავით გარეკელისგან განსხვავებით, ზოგადსაცხოვრებელი მონასტრები (კვინობები) დააარსა. ამ მონასტრების სიახლოვეში მცირე რაოდენობის მარტოდმყოფებიც მოღვაწეობდნენ (იქვე:98). აღსანიშნავია, რომ ამგვარი პრინციპით შემდგომ საუკუნეებში საქართველოში უამრავი მონასტერი არსებობდა. მონასტერი იყო კინობიტური (ზოგადცხოვრებულთა), თუმცა გალავნის გარეთ, მოშორებით, მთაში, ან ტყიან ფერდობზე მკვიდრდებოდნენ მარტოდმყოფებიც, ამგვარმა ტრადიციამ მეცხრამეტე საუკუნემდე მოაღწია.

ქართველ მონაზონთა სამოღვაწეო არეალი საკმაოდ ვრცელ ტერიტორიებს მოიცავდა, უძველესი დროიდან XX საუკუნის ჩათვლით ღვაწლმოსილი მამები მოღვაწეობდნენ თანამედროვე ისრაელის, ეგვიპტის, სირიის, იორდანიის, საბერძნეთის, კვიპროსის, ბულგარეთის, რუმინეთისა და რუსეთის ტერიტორიებზე არსებულ მონასტრებში (გუნია.2005:178-181). აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველოს ყოფილ ტერიტორიებზე არაერთი ქართული მონასტერი არსებობდა, რომლებიც ამჟამად მდებარეობს სომხეთის, აზერბაიჯანისა და თურქეთის ტერიტორიებზე. ქართული მონასტრები მრავლად არის შემორჩენილი საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, უძველეს ეკლესია-მონასტრებს გადაკეთება და ყოველივე ქართული კვალის წაშლა-განადგურება ემუქრებათ.

ქართველებს მძლავრი სამონასტრო ცხოვრება ჰქონდათ სინას წმინდა მთაზე, სადაც უფალი ეჩვენა მოსე წინასწარმეტყველს და სჯული გადასცა. სინას მთის ქართული სავანეები: **მაყვლოვანის მონასტერი, სინაწმინდა, მოსეს ეკლესია, მთასა სინას საყოფელი – წმინდა ღმრთისმშობელის, ქორების მთაზე წმინდა ილიას ეკლესიის მახლობლად მდებარე ღვთისმშობლის ეკლესია** (მეორენაირად ამ ეკლესიას დავითის ღვთისმშობელი ეწოდება, რადგან იგი დავით აღმაშენებელს აუგია. XIX საუკუნის ბოლოს ეკლესია მთლიანად დანგრეული უნახავს ა. ცაგარ-

ელს (Царевл.1888:20), **სინას წმ. იოანე** (ღვთისმეტყველის) **ქართველთა ეკლესია, სინას მონასტრის წმ. მთავარმოწამის ეკლესია, ნეტარი კვირიკეს სამოღვაწეო ქვაბი** (კლდიაშვილი. 2008:39-40). არსებობს ცნობა სინას მთაზე ქართველი მღვდელმთავრის მოღვაწეობის შესახებაც. ქართველთა მონასტრები არსებობდა შავ მთაზე ანტიოქიის მახლობლად: **კალიპოსი, სვიმონწმინდა, რომანაწმინდა, კასტანია, ეზრას მონასტერი, ლერწმის ხევი, თუალთა მონასტერი** და **ბარლამწმინდა**.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მონასტრებში არსებობდა ასკეტური ღვაწლის ისეთივე მიმართულებები, როგორიც იყო ბიზანტიის იმპერიაში. შესაბამისად, ზოგიერთმა მიმართულებამ ჩვენში განსაკუთრებული განვითარება ჰპოვა. ბიზანტიის იმპერიაში ბერები სხვადასხვა ღვაწლის სახეებს აღასრულებდნენ, მათ შორის შეგვიძლია დავასახელოთ:

1. **შიშველი ბერები,** (γυμνῆται, γυμνοί) რომლებიც სამოსელთან ერთად უარყოფდნენ ხორცზე ზრუნვას, არ იკვეცდნენ თმებს და ეძინათ პირდაპირ მიწაზე.



გელათის მთავარი ტაძრის ჩრდილოეთი კარიბჭე. წმ.პავლე თებაიდელი

2. **ფეხშიშველნი,** (γυμνόποδες) არ იცვამდნენ ფეხსაცმელს მთელი წლის განმავლობაში.1479 წელს იერუსალიმში იმყოფებოდა ზებალდტ რიტერი, რომელსაც მაცხოვრის საფლავის ეკლესიაში უნახავს ბერძენი და ქართველი ფეხშიშველა ბერები (ფერაძე. 2012:20).

3. **განდეგილური ასკეტიზმის** ერთერთ ყველაზე ადრეულ და პრიმიტიულ სახეს წარმოადგენენ ღია ცის ქვეშ მოღვაწე, „უსართულო ცხოვრების" მიმდევარი მოხეტიალე ასკეტები „მწყემსები". ეს იყო მუდმივი გადასახლება, ასკეტს არ გააჩნდა სხვა ქონება და საცხოვრებელი გარდა სრულიად სამყაროსი-მისი სახლისა (ჯუღელი.2011:22) **ბინძურნი,** (ἄνιπτοι) ისინი გარეგნულად არასუფთად გამოიყურებოდნენ, მაგრამ გული სუფთა ჰქონდათ. ისინი არ იბანდნენ მხოლოდ ფეხებს.

4. **მდუმარენი,** (σιγῶντες) (ἀνιστόωδες) მონაზვნები იცავდნენ მდუმარების აღთქმას, გარკვეული დროის ან მთელი სიცოცხლის განმავლობაში. მათ რიგს ეკუთვნოდნენ ასევე მდუმარენი ანუ ისიხასტები (ἡσυχασταί). (ბერი ხუედიოსი).

5. **მემღვიმენი,** რომლებიც თავიანთ ცხოვრებაში აღწევდნენ სულიერი ჭვრეტის სიღრმეებს.

6. მონაზვნები, რომლებიც თავისი ნებით იკეთებდნენ რკინის ჯაჭვებს და თავიანთ თავს უწოდებდნენ **„მებრძოლნი ღვთისა“**. (σιδηρούμενοι τοῦ Θεοῦ ὁπλῖται, σιδηρόφοροι) ისინი ცხოვრებას ატარებდნენ ხეებზე, ან საცხოვრისში, რომლებიც დაბალ ბოძებზე იყო განთავსებული, ან რიგ შემთხვევაში ხიდებს ქვემოთ. ეს იყო სირიული სკოლა. სირიაში არსებობდნენ ასევე საჭურისი ასკეტები, ანუ ისინი ქალწულების აღთქმასთან ერთად თავსაც ისაჭურისებდნენ. თუმცა ამ მიმართულებას წარმატება არ ჰქონია. „ფილოთეონ ისტორიაში“ არცერთი საჭურისი ასკეტის ცხოვრებას არ იხსენიებს თეოდორიტე (ჯღუღელი.2011:21).



რკინის ჯაჭვი

7. **ასკეტობში დამარხულნი,** (στυλῖται) რომელთა ნაწილი მთლიანად იმარხავდა თავს მიწაში, ნამდვილ დამარხვასთან მიახლოებული ფორმით, სხვები კი მკვიდრდებოდნენ ბნელ კლიებში და ეწოდებოდათ დაყუდებულნი, ხოლო მესამენი მკვიდრდებოდნენ მინარეთის მსგავს მაღალ სვეტებზე, რომელთაც ჰქონდათ აივნები. მათ შორის გამოირჩეოდნენ ფეხზე მდგომარენი, ისინი ხელაპყრობილნი (სვიმონ მესვეტის სკოლა) წყნარად აღავლენდნენ ლოცვას ხანგრძლივად ან მცირე დროის განმავლობაში.

8. არსებობდნენ ასევე არსენ დიდის (450) მიერ დაფუძნებული **მოხეტიალე ბერები**. ისინი ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდნენ. შესაძლოა მათ მსგავსად საქართველოში არსებობდნენ მეროჭიკე ბერები. როგორც აღვნიშნეთ, ეპიფანე ხანძთის მონასტრის სასარგებლოდ საროჭიკოდ დადიოდა და შემდეგ შეგროვილ თანხას მონასტერს სწირავდა. იყო სხვა შემთხვევებიც.

9. **ქრისტესთვის სულელები,** სალოსი ასკეტები (შემლილი, უგნური) ღვთის გლახები – ქრისტესთვის სულელნი: სალოსობა ერთ-ერთი ყველაზე რთულად შესასრულებელი ღვაწლია. სალოსები უარყოფდნენ მიწიერი ცხოვრების ყველა სიკეთეს, არ მოქმედებდნენ გონებით, თავისივე ნებით განიკითხავდნენ საკუთარ თავს, სჩადიოდნენ სისულელეებს და ხალხს ეჩვენებოდნენ ავადმყოფებად. სინამდვილეში ისინი გულმოწყალე ადამიანები იყვნენ (Соколов. 2002:280-281).

10. **„მწყემსური“** განდეგილური ასკეტიზმის შემდგომი განვითარება, ჩამოყალიბდა გამოქვაბულსა და სენაკში შეკეტილი, შემწყდეული, დაყუდებული განდეგილის სახე-ანუ მშვიდი ასკეტური ცხოვრების წესი (ჯღუღელი.2011:24). საქართველოში განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია დაყუდებული ცხოვრების სტილმა. ვერ კიდევ ასურელი მამების პერიოდიდან არაერთი მონაზონი მკვიდრდება გამოქვაბულში ან მიუვალი კლდის ნაპრალში. ასკეტიზმის ამგვარი სახე გვხვდება უფრო გვიან შავი მთის ქართულ სავანეებში, ათონზე და ზოგადად მეცხრამეტე საუკუნის ბოლომდე.

11. ქრისტიანულ ეკლესიაში არსებობდა კიდევ **მღვიძარე მამათა** (აკემიტთა) მონასტრები. აკემიტები წმინდა ალექსანდრე კონსტანტინეპოლელის (V საუკუნე) მიმდევრები იყვნენ. სამ ცვლად დაყოფილი მონაზვნები მთელი დღისა და ღამის განმავლობაში განუწყვეტლივ აღავლენდნენ წირვა-ლოცვას, საიდანაც წარმოდგა მათი სახელწოდება (მსოფ.საეკ.კრ. 2009:109). აღნიშნულ მონასტრებში ძალზე რთული იყო მოღვაწეობა, რადგან 24 საათიანი ლოცვა საკმაოდ დიდ ფიზიკურ ძალებს მოითხოვდა, მღვიძარე მამათა მონასტრების ტიპი ჩვენში არ არსებობდა.

ბიზანტიის იმპერიაში ჩამოყალიბებული სამონასტრო სისტემის მსგავსად, საქართველოშიც არსებობდა მამათა და დედათა მონასტრები, თუმცა ბიზანტიისგან განსხვავებით ჩვენში არ არსებობდა ორგვარი (ორკეცი) მონასტრები, სადაც ცხოვრობდნენ მამაკაცი და ქალი მონაზვნები. ისინი სხვადასხვა შენობებში ცხოვრობდნენ და მონასტერი შიდა კედლით იყო გაყოფილი. მონასტერს ჰყავდა ერთი იღუმენი, იყო საერთო ტრაპეზი და ა.შ. ნიკეის 787 წლის კრების მე-20 კანონით აიკრძალა მრჩობლთა მონასტერთა ანუ ორკეცთა მონასტერთა არსებობა. „ამიერითგან ებრძანებთ არღარა ქმნად ორკეცთა მონასტერთა, რამეთუ დასაბრკოლებელ და საბრძე მრავალთა ექმნების (დიდი სჯულის კანონი.1975:429).

ბიზანტიაში არსებობდა რამდენიმე სახის მონასტერი: სამეფო, სტავროპიგიალური ანუ საპატრიარქო, საეპარქიო, კერძო პირთა (დიდებულების და არამარტო), ქტიტორთა და დამოუკიდებელი (Соколов..2003:289). საქართველოში ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ტიპის მონასტერი არსებობდა. სამეფო მონასტრები: გელათი, შიო-მღვიმე, დავითგარეჯი და სხვები. საპატრიარქო ხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ პატრიარქი თავად იყო ქტიტორი და მონასტრის დაცვა-პატრონობას კისრულობდა. სტავროპიგიალურ მონასტერში განსაკუთრებული ლოცვებით იხსენიება პატრიარქი, იგი ნიშნავს ასევე იღუმენს (წინამძღვარს, საეკლესიო მსახურებს). მონასტერში სასამართლო-დისციპლინარული ხელისუფლება ეკუთვნის პატრიარქს. განსხვავებული სიტუაცია იყო მონასტერში, სადაც მღვდელმთავრის რეზიდენცია იყო, (სამთავრო, გელათი – ღვთისმშობლის ტაძარი, ალავერდი და სხვა). კიდევ უფრო განსხვავებული წესები არსებობდა მონასტრებში, სადაც კათალიკოსის რეზიდენცია იყო (სვეტიცხოველი, გელათი – წმინდა გიორგის ტაძარი). თავისი წესები არსებობდა ასევე სამეფო, საგვარეულო მონასტრებში (შიომღვიმე, გელათი, სვეტიცხოველი, კაცხი, ჯვრუჭი), სადაც მონასტრის დამფუძნებლის ან მისი ოჯახის წევრთა და მომავალი თაობებისათვის მუდმივად უნდა ელოცათ და აღესრულებინათ მიცვალებულთა მოხსენიება განსაზღვრულ დღეებში, მათთვის უნდა აენთოთ კელაპტარი და გაემართათ ტრაპეზი. ცალკე პატივისგება ეკუთვნოდათ ქტიტორებსა და შემომწირველებს. დიდ სამონასტრო ცენტრებში, სადაც რამდენიმე მონასტერი არსებობდა (საფარა, შიომღვიმე, დავით გარეჯი, გელათი), თითოეულს თავისი წინამძღვარი ჰყავდა, მთავარ ტაძარს კი ცალკე წინამძღვარი განაგებდა, იგი უპირატესი იყო და მცირე მონასტრის ან ეკვდერთა წინამძღვრები მასთან ათანხმებდნენ მნიშვნელოვან საკითხებს.

ეპარქიალური მონასტრები ექვემდებარებოდნენ საეპარქიო ხელისუფლებას, მიტროპოლიტს ან ეპისკოპოსს. ისინი ეპარქიის სასარგებლოდ იხდიდნენ გადასახადს, ასევე ვალდებულნი იყვნენ თავიანთი პატრონები მოეხსენებინათ ღვთისმსახურების დროს. მონასტერში სასამართლო-დისციპლინარული და ქიროტონიის უფლება მღვდელმთავარს ჰქონდა მხოლოდ.

ქტიტორთა მონასტრები ექვემდებარებოდნენ კერძო პირებს, ისინი თა-

ვად აგებდნენ, რთავდნენ და კაზმავდნენ მონასტერს. საქტიტორო უფლებამოსილება გადადიოდა საგვარეულო-მემკვიდრეობითი ხაზით. ასეთად შეგვიძლია დავასახელოთ ვაჩრუჭის მონასტერი, რომელიც წერეთლების საგვარეულო მონასტერი იყო, მონასტერში ხდებოდა მათი მოხსენიება, დაკრძალვა და ა.შ.

საქართველოს ეკლესია გამორჩეულია მოწამეებითა და დიდმოწამეებით, თუმცა მათ შორის უნდა გამოვარჩიოთ მოწამე მონაზონი მამანი და დედანი. ქართულმა წერილობითმა წყაროებმა ზოგიერთი მოწამის შესახებ შემოგვინახა ცნობები. ქართველი მონაზვნები მოწამეობრივი გზით უერთდებოდნენ ქრისტეს, აღნიშნულის შესახებ საუბრობდა კათალიკოს-პატრიარქი ანტონ პირველი თავის „მარტირიკაში“: „გული მეტყვის განსულად და ქრისტეს თანა ყოფად უფროს და უმჯობეს ფრიად“. „მე უკუე მარადის სიკუდილი უფლისა იესუსი ხორცთა შინა ჩემთა განცხადნეს“ (ანტონ კათალიკოსი. 2008:373).

1614 წელს შაჰ-აბასის შემოსევის დროს აღესრულა დავით გარეჯის უდაბნოში მოღვაწე 6000 ბერი. „ხოლო მრავალნი მოსწყვიდნეს შინაგან წმიდისა ეკლესიისა, რომელნიმე წმიდასა შინა საკურთხეველსა და რომელნიმე დაჰკლნეს თვით წმიდასა ზედა ტრაპეზსა უწყალოდ“ (იქვე:234). „ოდეს აღაოხრნეს წმიდანი იგი მონასტერნი ბარბაროსთა მათ და თვისდა წარვიდეს“ გადარჩენილმა ძმებმა შეკრიბეს მოწამეთა სხეულები და „ეკლესიასა ქრისტეს აღდგომისასა დასდვეს“ (იქვე:236). შემდგომ ალექსანდრე კახთა მეფემ აღაშენა სამარტვილე და ნაწილები იქ გადაასვენა.

მოწამეობრივად აღესრულნენ თემურ-ლენგის შემოსევისას 1387 წელს ქვათახევის მონასტერში შეკრებილი სხვადასხვა მონასტრიდან მოსული მონაზვნები და საერო პირები: „მახლობელთა მონასტერთაგანნი მონაზონნი მრავალნი, მამანი და დედანი, აზნაურთაგანნი და მღვდელნი და დიაკონნი და თვით მონასტრისა მის ძმანი. ხოლო ერისკაცთა სიმრავლე სოფელთაგან მახლობელთა იყო არამცირეჲ“ (იქვე:381).

საუკუნეების განმავლობაში საქართველოში ასეულობით მონასტერი აიგო, ბევრმა მათგანმა ჩვენამდე მოაღწია, მაგრამ არა თავდაპირველი სახით. ეს არცაა გასაკვირი, რადგან მტრის მრავალი შემოსევის გამო არაერთი ეკლესია-მონასტერი განადგურდა. ასეთ დროს სამონასტრო

ცხოვრება სუსტდებოდა ან საერთოდ წყვეტდა არსებობას. მონასტრები განსაკუთრებით ნადგურდებოდა დიდი შემოსევების დროს: არაბთა ბატონობა – მურვან ყრუს შემოსევა 735–740 წ.წ. თურქ-სელჯუკთა პერიოდი, 1064–1080 წლები, მონღოლთა პერიოდი, თემურ-ლენგის შემოსევები 1386–1403, შაჰ-აბასის შემოსევები 1614–1617 წლები, ოსმალთა შემოსევები. ამას უნდა დავუმატოთ მტრის ცალკეული თავდასხმები სხვადასხვა დროს (უზუნ-ჰასანი, შაჰ-თამაზი, ოსმალთა ფაშებისა და ლეკთა თავდასხმები). უნდა აღინიშნოს, რომ ლეკთა გამუდმებული თარეშის დროს დიდად დაზიანდა აღმოსავლეთ საქართველოს მონასტრები, განსაკუთრებით დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი. ლეკებმა 1759 წელს გელათის მონასტერშიც კი ილაშქრეს.

ამგვარი თავდასხმების დროს ქართველმა ბერებმა არნახული გმირობისა და თავდადების მაგალითები აჩვენეს და მოწამეობრივი გვირგვინის ღირსნი გახდნენ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ქართველ ბერ-მონაზვნებს მხოლოდ საქართველოში არ სდევნიდნენ, მათ ებრძოდნენ საზღვარგარეთის ქართულ სამონასტრო ცენტრებშიც, მათ შორის იერუსალიმში, სინას მთაზე, ათონის მთასა და სხვაგან.

მეთექვსმეტე საუკუნიდან ქართული მონასტრების განადგურება დაიწყო ოსმალეთის მიერ მიტაცებულ სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზე, ტაო-კლარჯეთის უძველესმა სავანეებმა სამუდამოდ შეწყვიტეს არსებობა, განადგურდა სამხრეთ საქართველოს ათასწლოვანი მონასტრები, ბერთა განსასვენებლები, საფლავები და სამონასტრო ქონება.

აღსანიშნავია, რომ ქართული სავანეები, უძველესი მონასტრების მსგავსად, მიუვალ მთის კალთებსა და კლდეებზე იყო განთავსებული. ექვთიმე თაყაიშვილმა კოლა-ოლთისში ყოფნისას არაერთი ასეთი მონასტერი (ზოგი მათგანი განადგურებული სახით) მოინახულა. მან მდინარე ბარდუსის ნაპირას, კობის ეკლესიის ზემოთ, მაღალ კლდეებში მრავალი დიდრონი მღვიმე ნახა. მღვიმის პირები ქვითკირით ყოფილა ამოშენებული. კლდის ნაპრალზე ქვის ეკლესია ყოფილა აგებული. 1907 წლისათვის მღვიმეებსა და ეკლესიას მისასვლელი აღარ ჰქონია (თაყაიშვილი. 2016:70). იმავე მდინარის მაღალ კლდოვან ნაპირას ლექსორში დიდი ლავრა ყოფილა გაშენებული, სულ ხუთი ეკლესია და თავი ეკლესია

დიდი ბაზილიკა (იქვე:74). ფაქტიურად ჩვენ მრავალი მონასტრის შესახებ არ გვაქვს ცნობები, არ ვიცით მათი დასახელება, არც ის, თუ ვინ მოღვაწეობდა ასეთ დიდ ლავრებში და ა.შ.

თსმალთა მიტაცების გამო საშხრეთ საქართველოში არაერთი ძველი ქართული მონასტერი განადგურდა, ზოგიერთი მათგანი კი გადარჩა მხოლოდ მონასტრის მიუდგომლობის გამო. არაა გამორიცხული, რომ ქართველი მთისახლეობა სპეციალურად აზიანებდა მონასტრებთან მისასვლელ კლდევან ბილიკებსა და გზებს, რათა ისინი განადგურებისაგან ეხსნათ. მათ შორის შეგვიძლია დავასახელოთ დიდი სამონასტრო კომპლექსი ვაჩეძორის სტეფანე პირველმოწამის სახელობის ეკლესია, თავი ტაძრითა და რვა პატარა ეკლესიით. ვაჩეძორის ტაძარი საფარის მონასტრის მსგავსი ყოფილა. მას ეკუთვნოდა სავარაუდოდ, სამალავი, რომელიც ვიღაც მონადირეს აღმოუჩენია, როდესაც ერთი მღვიმის ამოშენებულ კედელში თხა ჩავარდნილა. იქ მონადირეს საბუთები და ძველი ხელნაწერების შეკვრა უნახავს, მათ შორის ზოგი დამპალი ყოფილა. ექვთიმე თაყაიშვილმა აღნიშნული საბუთები გამოაქვეყნა. როგორც ჩანს, მონასტერი წმინდა სტეფანეს სახელობისა იყო და იქ მოღვაწეობა ბოლო პერიოდში სიმრთულეს წარმოადგენდა, ამაზე მიგვანიშნებს ერთ-ერთი ხელნაწერის შინაარსი: „მერმე ამას წმიდასა სტეფანეს ნუ მოეშორები: ესეცა დიდი ღვაწლია: რომელ ამა მონასტერსა და ეკლესიასა იღუწოდე: საღმრთოთა საქმეთა მიერ“ (იქვე:99).

ქართველ ბერმონაზონთა შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდიიან კათოლიკე მისიონერები, რომლებიც მე-17 საუკუნეში იმყოფებოდნენ საქართველოში. მათ შორის უნდა გამოვყოთ მარიო ძამბი, რომელიც XVII საუკუნის 50-იან წლებში იმყოფებოდა საქართველოში, მან სამეგრელოში მოინახულა ქართველი მონაზვნები. მისი თქმით, აქაური ბერები ხორცს არასოდეს ჭამენ, ატარებენ მოშავო ფერის შალის სამოსელს, აქვთ გრძელი წვერი და გრძელი თმები, მარხულობენ და ლოცულობენ წესების მკაცრი დაცვით (შარდენი.1975:141). კათოლიკე მოღვაწე ქართველი ბერების კრიტიკასაც არ ერიდება, რადგან ისინი არ ზრუნავდნენ გაჭირვებული ხალხის კეთილდღეობაზე. იგი გვაუწყებს ასევე, რომ სამეგრელოში ჯერ კიდევ ბავშვობის ასაკში ახურავდნენ ბატარებს სკუფიას და მათ ხორცის ჭამისაგან თავშეკავებას შთააგონებდნენ. მეტად ფასეულია მისი ცნობები მონაზონ მანდილოსნებზე, მათ შორის გამოყოფს ქალ-

წულებს, რომელთაც მოწიფულობის ასაკში გათხოვება არ სურდათ, მეორენი მხევალნი არიან, რომლებიც თავიანთ ქალბატონებთან ერთად შემონაზვდებიან ბატონის სიკვდილის შემდეგ. სხვები კი არიან ქვრივები, რომლებსაც აღარ სურთ კვლავ გათხოვება. მონაზვნებს აცვიათ ძაძები, ახურავთ შავი თავსაფარი, ხორცს არასოდეს ჭამენ. მონასტრებში მუდმივად არ ცხოვრობენ და დადიან ყველგან (იქვე:142).

ქართული სამონასტრო ცხოვრება დიდად დაზარალდა გვიანშუასაუკუნეებში განხორციელებული ლეკთა თავდასხმის გამო. მაგალითად მცხეთის ჯვრის ეკლესიაში სამონასტრო ცხოვრება შეწყვეტილა 1787 წელს ლეკთა თავდასხმის გამო (ჯანაშვილი. 1886:20). აღსანიშნავია, რომ ჯვრის მონასტერს ძველად ჯვაჭვის ეკლესიადაც მოიხსენიებდნენ, ძველი გადმოცემის მიხედვით, ჯვრის ტაძარში მცხოვრები წმ. ბერი ამ ჯვაჭვზე გადადიოდა მცხეთაში საზრდოს გამოსატანად (იქვე:20). როგორც ჩანს, ჯვრის მონასტრის ბერები სამყაროსგან იზოლირებულნი იყვნენ.

1811 წელს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ არაერთმა ქართულმა მონასტერმა შეწყვიტა არსებობა, მათ შორის შეიძლება დავასახელოთ ზედაზნის მონასტერი და სხვა.

ქართული სამონასტრო ცხოვრებისთვის ყველაზე რთული იყო მეოცე საუკუნე, ბოლშევიკების ათეისტური ხელისუფლების მიერ მონასტრების უმრავლესობა დაიხურა, ბერ-მონაზვნები ფაქტიურად დარჩნენ ქუჩაში, რადგან ბოლშევიკებმა მათ არ მისცეს დახურულ მონასტრებში დარჩენის შესაძლებლობა. 1923 წლიდან ანტირელიგიური კამპანიის დროს მთლიანად განადგურდა ზოგიერთი მონასტრის ქონება, საეკლესიო ინვენტარი, სიწმინდეები და საუკუნეების განმავლობაში წინაპართაგან შეწირული ძვირფასეულობა. ძველად მტრის არცერთ თავდასხმას ქართული მონასტრებისთვის ისეთი ზიანი არ მისდგომია, როგორიც ბოლშევიკების დროს. ზოგიერთი მონასტერი საერთოდ დაანგრიეს, ქონება კი დაიტაცეს. რამდენიმე ათეული წელი სამონასტრო ცხოვრება და ღვთისმსახურება შეწყდა ისეთ უძველეს ცენტრებში, როგორიცაა დავით გარეჯის, შიო-მღვიმის, გელათის, ზედაზნის, მარტყოფის და სხვა მონასტრები.

სამონასტრო ცხოვრების გამოცოცხლება დაიწყო მეოცე საუკუნის მიწურულს, როდესაც მონასტრებში აღდგა ღვთისმსახურება და იქ დამკვიდრება დაიწყეს ბერებმა. ამჟამად საქართველოში რამდენიმე ასეული

მონასტერი მოქმედებს. თანამედროვე ეტაპზე საჭიროა ყურადღება გამახვილდეს ძველი ქართული ტაბიკონის ეტაპობრივ დამკვიდრებასა და ისეთ წესრიგზე, რომელიც ადრე არსებობდა.

ქართულ ეკლესია-მონასტრებში შემონახულია ცნობილ ბერმონაზონთა ფრესკები და გამოსახულებები. მონაზვნებს მონასტერში შეეძლოთ წაეკითხათ ანტონი დიდის, წმინდა პახუმის, პავლე თებაიდელის სწავლებანი. ჩამოთვლილ წმინდანთა ფრესკების ნახვა ტაძრის კედლებზე მათ სულიერ მოწოდებას კიდევ უფრო აამაღლებდა. გელათის, დავითგარეჯის, ახტალის, ზარზმისა და სხვა ძველი მონასტრების კედლებზე არაერთი ცნობილი მონაზვნის ფრესკაა შემორჩენილი.

ახტალის დიდი სამონასტრო ტაძრის სამხრეთ კედელზე გამოსახული იყო ანტონი დიდის, წმინდა პახუმის, პავლე თებაიდელის, იოანე კლემაქსის ფრესკები, ქართული წარწერებით იმავე ტაძრის დასავლეთის კედელზე წმინდა მამა შიო მღვიმელი, იოანე შუამდინარელი (ზედაზნელი), რომელსაც ხელში სახარება ეჭირა, წმინდა ევაგრე, ვერცით ხელში (Кирион. 2005: 56–58). ახტალის მონასტერში საგანგებოდ გამოსახეს ქრისტიანული სამყაროს უპირველესი მონაზვნები და მათ გვერდით ასურელი და მთაწმინდელი მამებიც, რაც მონასტერში მცხოვრებ მოღვაწეს წარმოდგენას შეუქმნიდა პირველ მეუდაბნოე მამებზე, რათა მიებაძა მათთვის. ახტალის მონასტერი ამჟამად აღარაა საქართველოს საზღვრებში.

ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ რუსული მმართველობის პირობებში უკიდურესად შემცირდა მონაზონთა რიცხვი ქართულ მონასტრებში. მათ შორის შეგვიძლია დავასახელოთ კაცხის მონასტერი, რომელშიც 1902 წლის მონაცემებით მონასტრის შტატი შედგებოდა წინამძღვრის, ერთი მღვდელ–მონაზონისა, ბერდიაკვნისა და ერთი მორჩილისაგან (ხელაია.2019:60). იმავე წლის მონაცემებით ვერუჭის მონასტერში შტატით დადგენილი იყო: წინამძღვარი, 9 მღვდელ-მონაზონი, ორი ბერ-დიაკონი და ოთხი მორჩილი.

ქართული მონასტრის კედლებზე არსებულ წარწერებში იხსენიება არაერთი ქართველი მონაზონი, რომლებიც მცირე ეპიტაფიებში ცდილობენ გადმოსცენ თავიანთი მრავალწლოვანი ღვაწლი და ამასთანავე ითხოვენ ცოდვათა შენდობას. ამგვარი შინაარსის ეპიტაფია უნახავს ექ.თაყაიშვილს ვერუჭის მონასტრის სამხრეთ კედელზე: „მრავალი წლის დარღვეულ-

სა ამას მონასტერსა ვექმენ წინამძღვარ. ყოვლითა შეძლებითა განვაწესე კრებულობა ამას შინა... და აწ ვიქმენ მიწა და ნაცარ. რომელი ყოველთა ზედა გარდაუალ არს. ვითხოვ ლოცვით შენდობას“ (თაყაიშვილი. 2010:35). საყურადღებოა ის ფაქტი, რომ აღნიშნული წარწერა ეკუთვნის ჯრუმათელ მიტროპოლიტ სვიმონ ვაფარიძეს, რომელიც ჯრუჭის მონასტერში დამკვიდრებულა წინამძღვრად და „ყოვლის შეძლებით“ მონასტერი აღუდგენია. იგი ეპიტაფიის ტექსტის მიხედვით ცდილობს, რომ მისი ღვაწლიც არ მიეცეს დავიწყებას და ამასთანავე ყველას აუწყებს, რომ ყოველი ადამიანი ადრე თუ გვიან აღესრულება და ამისთვის წუთისოფელში რაღაც ღირებული საქმე უნდა გააკეთონ. ის ერთგვარად საფლავის წარწერიდანაც ცდილობს იქადაგოს, თან ამასთანავე მკითხველთაგან შენდობაც მიიღოს.

საყურადღებოა ასევე ისიც, რომ გვიან პერიოდში მოღვაწე მონაზვნები, ძველ მამათა მსგავსად, ცდილობენ თავიანთი თავი უცოდველესად წარმოგვიდგინონ. ჯრუჭის მონასტერში ერთ პატარა ქვაზე შემდეგი ეპიტაფია იყო: „მე ყოველთა უცოდველესი გლახაკი მონაზონი მათე, მხილველნო, გევედრები შენდობა მიბრძანეთ ღვთისთვის“ (იქვე: 36). მონაზონი მათე ღრმადმორწმუნე ქრისტიანია, მას თავისი თავი ყველა ადამიანზე უცოდველესად წარმოუდგენია და მნახველთაგან ღვთის წინაშე შენდობას ითხოვს. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი წელი იღვაწა ღვთის სადიდებლად, მაინც არ თვლის საკმარისად გაწეულ თავდადებას და ყველას თხოვს ღვთის წინაშე შეწყალებას.

უძველესი დროიდან საქართველოში ითარგმნა და გადაიწერა მრავალი ასკეტი მამის ცხოვრება. ამგვარი სახის ლიტერატურა XVIII საუკუნის ჩათვლით ვრცელდებოდა. მაგ. კრებული №56, რომელიც მთლიანად ასკეტურ-მოღვაწეობითი შინაარსისაა: იოანე ოქრობაირის (სინანულისთვის), ბასილი დიდის (სინანულისთვის), მარკოზ მონაზონის, მარტვირი მონაზონის თხზულება, ეფრემ მონაზონის (სიკვილისათვის და უკეროდ განკხრომისათვის) (ქ.ხელ.აღწ.1. 1974:156). ქართულ მონასტრებში მარხვის პერიოდში იკითხებოდა თეოდორე სტუდიელის №419 „სწავლანი სულიერნი“ (XVII ს.). ყოველ კვირიაკეს თავისი საკითხავი ჰქონდა (ქ.ხელ. აღწ.14. 1985:44). სულიერი ლიტერატურის კითხვა სინანულის შეგრძნებას ამძაფრებდა ქართველ მონაზვნებში.

ქართული სამეფო მონასტრები

გელათი. ქართველ ბაგრატიონ მონარქთა დაარსებულ მონასტრებზე საუბრისას უპირველეს ყოვლისა უნდა დავასახელოთ გელათის სამონასტრო კომპლექსი, რომელიც უშუალოდ წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის ინიციატივით დაარსდა. დავითის მემატიანე ამ ფაქტის შესახებ ხაზგასმით აღნიშნავს: „მოიგონა აღშენება მონასტრისა". ადგილი არ იყო შემთხვევით შერჩეული: „რომელიცა გამოირჩია მადლმან საღმრთომან". ქართველთა სახელოვანმა მეფემ გელათი ააგო და გაამშვენიერა ისე, რომ არამარტო საქართველოში, არამედ გახდა მთელ ქრისტიანულ სამყაროში გამორჩეული მონასტერი, სადაც ასევე დაფუძნდა აკადემია. მემატიანე გარკვევით გვაუწყებს: „აღმატებული ყოველთა წინანდელთა ქმნულთა".

ასეთ გამორჩეულ მონასტერში სამოღვაწეოდ დავით აღმაშენებელმა მოიწვია ღირსეული მონაზვნები თუ ერისკაცები, რომელთაც დიდი მისია დააკისრა, სამონასტრო ცენტრში ახლად დაფუძნებულ უმაღლეს სასწავლებელში მათ განათლება უნდა მიეცათ მომავალი თაობებისათვის. გელათში შეკრებილი სწავლულები საგანგებოდ იქნა ჩამოყვანილი: „მუნვე შემოკრიბნა კაცნი პატიოსანნი ცხოვრებითა" (ქრ.ცხ.1955:330). ქართულ მონასტრებში ხომ პატიოსნება იყო უმთავრესი წინაპირობა, რომ მონაზონს თავი დაემკვიდრებინა, ანუ პატიოსანი ცხოვრება არის ქრისტიანისთვის უმთავრესი, რომ ის მონასტერში მიიღონ. პატიოსნების მატარებელ პირს გააჩნია „სიწმიდე, სიკეთე, სისრულე" და „სულიერითა და ხორციელითა სათნოებითა აღსავსეობა", აი, ასეთმა სრულყოფილმა ადამიანებმა დაიწყეს მოღვაწეობა გელათის მონასტერში და შედეგიც წარმოუდგენლად დიდი იყო.

დავით აღმაშენებლის სახელს უკავშირდება ტრაპიზონის მახლობლად სუმელას მონასტრის დაარსება. თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობით: „მაღალსა მთასა ზედა მონასტერი დიდი ლავრა სახელსა ზედა ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლის მიცვალებისასა და სახელს ძევს სუმელის მონასტერი. ამა მონასტერსაცა შინა ქართველთა მონაზონნი ყოფილან" (თეიმურაზ ბატონიშვილი.1848:283). წმინდა მეფე დავითს აუგია ქვათახევის მონასტერი, რომელიც თავდაპირველად წმინდა შიოს მოწაფეებს

დაუარსებიათ (Сабинин.2004:619). მასვე დაუარსებია ნათლისმცემლის უდაბნო ყარაიაზე, აღუდგენია მარტყოფის უდაბნო, კავთისხევის მონასტერი და სხვა (ჭიჭინაძე. 1892:7). აქედან გამომდინარე, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ დავით აღმაშენებელმა დიდი ამაგი დასდო ქართულ სამონასტრო სავანეთა აღდგენა-დაარსებას. იგი გელათში, შიომღვიმეში, იყალთოში აარსებს (ძველ მონასტერთა საფუძველზე) ახალ სამონასტრო ცენტრებს, რომლებსაც გამორჩეული დატვირთვა ჰქონდათ. თუკი ყურადღებით დავაკვირდებით, მეფემ უმეტესად აღადგინა ადრეულ პერიოდში დაარსებული სავანეები, რითაც ხელახალი სიცოცხლე შთაჰბერა მათ. დავით მეფემ ასევე განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო უცხოეთში არსებულ ქართულ მონასტრებს.

გელათის მონასტერი მრავალი კუთხით არის საინტერესო, პირველ რიგში გელათი საქართველოს ოქროს ხანაში გახდა განათლების უპირველესი კერა, სადაც დაიწყო ფილოსოფიურ-თეოლოგიური ნაშრომების თარგმნა-გადაწერა. ამ სკოლაში შემუშავდა თეორიული საფუძვლები ზუსტი, ადეკვატური თარგმანისა და ქართული მეცნიერული ენისა, დამუშავდა და ჩამოყალიბდა ქართული მეცნიერული ენა და სტილი (მელიქიშვილი.2019:248). გელათში დამკვიდრდნენ უცხოეთის ქართულ სავანეებში განათლებამიღებული ქართველი მოღვაწეები, რომლებმაც თავის მხრივ გელათში გადმოიტანეს ის სულიერ-მეცნიერული გამოცდილება, რომელიც შავ მთაზე, ათონსა და სხვა სავანეებში არსებობდა. ფაქტია, რომ წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის მიერ დაარსებულ სავანეში უდიდესი მნიშვნელობის სულიერების, კულტურისა და განათლების ცენტრი შეიქმნა, რომლის მსგავსი არც წინათ და არც შემდეგ ჩვენს ქვეყანაში არ შექმნილა. გელათში საუკუნეების განმავლობაში განათლებას იღებდა მრავალი ქართველი მოღვაწე. არ უნდა დაგვავიწყდეს ის ფაქტი, რომ გელათი პირველ რიგში დიდი მონასტერია, ხოლო იქ მოღვაწე პირები მონაზვნები არიან. არსენ იყალთოელი, იოანე პეტრიწი, იოანე ჭიმჭიმელი, იოანე შავთელი, პეტრე გელათელი და სხვები ღვაწლმოსილი პირები არიან, რომლებმაც მკაცრ სამონაზვნო ცხოვრებას შეუთავსეს მთარგმნელობითი და საგანმანათლებლო საქმიანობა. მათ მძიმე ასკეტური ღვაწ-

ლის შემდეგ მოიბოვეს მაღალი სულიერება და ამის შემდეგ შეძლეს ასეთი ღირებულების თხზულებათა თარგმნა. ცოტა უფრო ადრე ათონის ივერთა სავანეში ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელებმა აღასრულეს იგივე საქმე, კიდევ უფრო ადრე სინას მთისა და შავი მთის ქართულ სავანეთა მოღვაწეებმა. შეიძლება ითქვას გელათში თავი მოიყარა უცხოეთის ყველა სავანეში მოღვაწე საუკეთესო ქართველმა მონაზონმა, რომლებმაც იქ შექმნეს ახალი ქართული მემკვიდრეობა – საუკეთესო, როგორც ფილოსოფიურ-თეოლოგიური, ასევე ასკეტურ-მონაზვნური მიმართულება. გელათი უცხოეთის ქართულ სავანეთა ღვაწლის ღირსეული მემკვიდრეა. უცხოეთის სავანეებში სხვადასხვა დროს შეწყდა სულიერ-განმანათლებლობითი საქმიანობა, ხოლო გელათში გვიან შუასაუკუნებამდე გაგრძელდა. შემდეგ პირიქით, გელათიდან დაიწყეს ქართველმა ბერებმა ათონზე გამგზავრება.

უნდა შევნიშნოთ, რომ დღემდე მიმდინარეობს გელათური სკოლის საღვთისმეტყველო-ფილოლოგიური კუთხით შესწავლა, რაც ძალიან ფასეულია, თუმცა აღნიშნული კვლევა ვერ იქნება სრულყოფილი, თუკი გელათის მონასტერში არსებული სამონაზვნო-ასკეტური მიმართულების შესწავლა არ მოხდება.

ქართული მონასტრები იყოფოდა სამ დასად, მაგრამ თავად მონასტრის კრებული ცხოვრობდა მონასტრის შიგნით გალავანში და მის გარეთ. ეს პირველ რიგში დიდ სამონასტრო ცენტრებს ეხება. ისეთებს, როგორებიც იყო ათონის ივერთა სავანე, გელათი, შიომღვიმე და სხვა. იოანე და ექვთიმე მთაწმინდელების ცხოვრებიდან ჩანს, რომ ღირსი ბერები მოღვაწეობდნენ, როგორც შიგნით, ლავრაში, ასევე მის გარეთაც: „იყვნეს უკუ შინაცა და გარეცა სულიერნი და ღმერთშემოსილნი მამანი“. ათონის ივერთა მონასტრის №155 აღაპშიც სავანის მთელი კრებული ორ მთავარ ნაწილად არის დაყოფილი“ შინამყოფთა და გარეთ დაყუდებულთა უდაბნოისათა“ (ჯავახიშვილი.1984:38). ე.ი. მონასტრის შიგნით კინობიტები ანუ საზოგადო მოღვაწენი იყვნენ დამკვიდრებულნი, ხოლო განმარტოებით მოღვაწენი მთავარი მონასტრის გარეთ, მიმორეებით არსებულ სენაკებსა და მღვიმეებში დაყუდებული მამები. მათი რაოდენობა უფრო მცირე იყო.

გელათის მონასტერი, ვინაიდან სამეფო საძვალე იყო, დააარსებიდანვე, დავით აღმაშენებლის პერიოდიდან, შეღავათებით სარგებლობდა. გელათის ძმობას არავითარი გადასახადი არ მართებდა მეფე-პატრონის მიმართ ერთი ძღვენის გარდა, რომელსაც „გელათურ ძღვენს“ უწოდებდნენ. „საქრისტეშობოდ“ მისული მეფისათვის ძღვენი უნდა მიეგებებინათ გელათიდან: „საჭარმაგეო სეფისკვერი, სამი შეკანული ღვინო, ზუთხი და სატალახე ცხენი“. მონასტრის უზენაეს მფლობელად მეფე ითვლებოდა და ძღვენის მირთმევა სიმბოლური გამოხატულება იყო (ლომინაძე.2014:39). ძღვენის ვალდებულება სხვა სამეფო მონასტრებსაც ედოთ. სამეფო მონასტრის ბერები ასევე ვალდებულნი იყვნენ მეფეებისთვის წაეკითხათ ლოცვები, შეესრულებინათ რიტუალები და სხვა. სამეფო სუფრაზე, ცერემონიალის მიხედვით, მეფის მარცხნივ ბირველები გელათელები ისხდნენ, მომდევნოდ გარეკელი ბერები და ა.შ. (იქვე:39). აქედან გამომდინარე, სამეფო მონასტრის ბერებს გარკვეული უბირატესობანი ჰქონდათ ერთიანი საქართველოს სამეფო კარზე, ამასთანავე მათ ვალდებულებებიც არანაკლები გააჩნდათ.


უნდა ითქვას, რომ ათონის ივერთა მონასტრის მსგავსად იყო მოწყობილი გელათის სამონასტრო კომპლექსიც. წმინდა კეთილმსახურ მეფე თამარის ერთ-ერთი სიგელიდან ჩანს, რომ გელათის კრებულიც ორად იყოფოდა. „შევსწირე და მოვახსენე დიდსა ლავრასა და მუნ შინა დაუსრულებელად განჩენილსა ტრაპეზსა“, ე.ი. გელათის გალავნის შიგნით მდებარე ღვთისმშობლის შობის ტაძარი დიდ ლავრად იწოდება, თუმცა გელათის დიდი ლავრის გარეთ მოღვაწეობდა თორმეტი მწირი ბერი: „დასხდებოდიან ყოველადვე დაუცადებლად იგი მწირნი თორმეტნივე ტრაპეზს. ვითა მას მონასტერსა შინა მყოფნი ძმანი დასხდებიან, ეგრევე თორმეტი მწირი დასხდებოდეს“ (ქრ.1897:74). ე.ი. მონასტერსა „შინა მყოფნი“ და მონასტრის გარეთ გელათის ზემოთ არსებულ კლდეში არსებულ მღვიმეებში მოღვაწეობდნენ მწირი ბერები, რომლებზეც იზრუნა კეთილმსახურმა მეფემ. როგორც ჩანს, ისინი დაყუდებულ ცხოვრებას ეწეოდნენ.

მონაზვნური ცხოვრების წესით ცხოვრობდა ქართველთა სათაყვანებელი წმინდა მეფე თამარი. მეფის მემატიანის „ისტორიანი და აზმანის“

ავტორის ცნობით: „ღამე ყოველ მღვიძარება, ლოცვა, მუხლთდრეკა და ცრემლით ვედრება ღმრთისა“ მიმართ განსაცვიფრებელი (ქრ.ცხ.1959:79). ღამისთევის ლოცვების შემდეგ თამარ მეფე ხელსაქმით (ქსოვა-რთვა) ყოფილა დაკავებული, მიღებული შემოსავალი კი გლახაკებსა და გაჭირვებულებს მიეცემოდათ. რეალურად თუკი შევხედავთ, თამარ მეფე ცხოვრობდა, როგორც მონაზონი, იგი ხანგრძლივად ლოცულობდა და შემდეგ ხელსაქმით იყო დაკავებული (ტყეშელაშვილი. 2020:77). უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთ მკაცრ ასკეტურ ღვაწლს თამარ მეფე გამოცდილი სულიერი მოძღვრის დახმარებით აღასრულებდა. ნათელია, რომ დიდებული ხელისუფალი მაღალ სულიერ საზომს იყო მიღწეული, რადგან მხოლოდ გამოცდილ მონაზვნებს შეეძლოთ ყოველ ღამით ლოცვა-ვედრება, მეტანიების აღსრულება და ცრემლით ლოცვა. მემატიანის ცნობით, თამარმა, „არაოდეს საქართველოსა მონასტერნი აღაშენა“, არამედ მან მონასტრები ააგო ბალესტინაში, კვიპროსში (ღალია), კონსტანტინებოლში, „მეტოქი მათი“ და სხვა ქართულ მონასტრებს მრავალი შეწირულობა მისცა (ქრ.ცხ.1959:91).

გელათის მონასტერში მეთექვსმეტე საუკუნის დამდეგამდე ყველაზე უპირატესად ითვლებოდა გელათის მოძღვართმოძღვარი, რომელიც უდიდესი უფლებებით იყო აღჭურვილი დავით აღმაშენებლის დროიდან. ასე მაგალითად, იმერეთის მეფე ალექსანდრე მეორე (1484–1510) სულის საოხად აღაპსა და წირვას აწესებს გელათის სამეფო საძვალეში, რომელიც მოძღვართმოძღვარს უნდა აღესრულებინა ექვს მღვდელთან ერთად: „ექვსი მღვდელი და მოძღვართმოძღვარი ჟამსა გვიწირავდნენ“ (ქრონიკები.1897:311). მოძღვართმოძღვარი იღწვოდა გელათის მონასტრის მამულების მფარველობა-გამრავლებაზე (ტყეშელაშვილი. 2007:69). გელათის მოძღვართმოძღვრები ხშირად ქართველ მეფეთა სულიერი მოძღვრებიც იყვნენ, მათ შორის შეგვიძლია დავასახელოთ გელათის ბოლო მოძღვართმოძღვარი ილარიონი, რომლის შესახებაც ბრძანებს იმერეთის მეფე ალექსანდრე: „სულისა ჩვენისა მოძღუარი ალექსანდრე“. იერარქიულად მოძღვართმოძღვარი ითვლებოდა უფრო უპირატესად, თუმცა გელათის წინამძღვარსაც თავისი უფლებები ჰქონდა და გამოყენული იყო მოძღვართ-

მოძღვრის უფლებებისაგან (იქვე:70). ს. ყაუხჩიშვილი აღნიშნავდა, რომ გელათს ჰყავდა მოძღვართმოძღვარი და წინამძღვარი. ეს ორი თანამდებობა სხვადასხვა იყო და ეჭირა სხვადასხვა პირს (ყაუხჩიშვილი.1948:19). 1527 წლის სიგელში მოხსენიებულნი არიან მოძღვართმოძღვარი მანასე და წინამძღვარი მაკარე: „დიდისა საყდრისა მოძღვართმოძღუარი და წინამძღვარი მაკარე (კაკაბაძე.1921:9). აკადემიის მოძღვართმოძღვარი ბერი იყო და მას დიდი უფლებები ჰქონდა მინიჭებული, მასვე აკადემიის შენობაში საგანგებო საკვდომი – ხელმძღვანელის კათედრა ჰქონდა და ჰყავდა მსმენელები (იქვე:28). მოძღვართმოძღვრის თანამდებობა გელათში გაუქმდა აკადემიის გაუქმების შემდეგ XVI საუკუნის 20-იან წლებში.



გელათი, ბერთა დასაყუდებელი

გელათის მონასტრის ეზოში, დასავლეთ მხარეს, დღემდეა შემორჩენილი თაღოვანი მიწისქვეშა ნაგებობა, რომელიც განკუთვნილი ყოფილა დაყუდებული ბერებისთვის. მიწისქვეშა ნაგებობა ორად ყოფილა გაყოფილი და დღესდღეობით იგი გასაწმენდია. გელათის ზემოთ არსებობს ასევე კლდეში გამოკვეთილი ადგილები, რომლებშიც მონაზვნები მოღვაწეობდნენ.

გელათის მონასტერში მეთვრამეტე საუკუნის ჩათვლით მიმდინარეობდა წიგნების გადაწერა. ხუცეს-მონაზონი ზაქარია გაბაშვილი აღნიშნავს, რომ ეს საქმე მონასტრის საძმოს დახმარებით აღუსრულებიათ: „ერთობით ვიღვაწეთ და ყოვლითურთ გავასრულეთ... განიკარგა გენათისა დიდისა ეკლესიისა ეზოსა შინა“ (ხელ.აღწ.1957:350). ქართველ კალიგრაფ ბერებს წიგნების ხშირი წერისას მხედველობის პრობლემები ჰქონდათ, რადგან ისინი ღამითაც, სანთლის შუქზეც წერდნენ წიგნებს. სწორედ ამას აღნიშნავს ხუცეს-მონაზონი ზაქარია და ცდომილების პოვნის

შემთხვევაში შენდობას ითხოვს: „მთხუც-მხცოვანებითა მხედველობითნი უძლურ-ქმნილ იყვნეს“.

მეცხრამეტე საუკუნეში გელათის სამეფო მონასტერი რუსული ხელისუფლების მიერ იმპერიაში არსებულ პირველი კლასის მონასტრად გადაკეთდა. მონასტერში კანონით იყო განსაზღვრული ბერ-მონაზონთა რაოდენობა. ქართველი ბერები უკიდურეს სიღარიბეში იყვნენ, რადგან დაბალი ხელფასი ჰქონდათ, ისინი გაბრიელ ეპისკოპოსისაგან (ქიქოძე) ითხოვდნენ ნახევარი წლის ჯამაგირით დასაჩუქრებას. 1870 წლისათვის გელათის მონასტერში სულ 7 მღვდელ-მონაზონი, სამი ბერ-დიაკონი და სამი მორჩილია (ტყემელაშვილი. 2007:124). ერთ დროს სამეფო მონასტერი, რომელშიც რამდენიმე ასეული ბერი ირიცხებოდა და ყოვლისაირად იყო უზრუნველყოფილი, უკიდურეს სიღარიბეში იმყოფებოდა და, ბერების რაოდენობის შემცირების მიუხედავად, იმპერიის ხელისუფლება მათ მძიმე მდგომარეობაში ამყოფებდა. ცოტა მოგვიანებით, 1912 წელს მონაზონთა რაოდენობამ ოდნავ მოიმატა გელათში და ხელფასიც უფრო გაიზარდა. 1912 წლისათვის გელათის მონასტერში მოღვაწეობდა 3 იღუმენი, შვიდი მღვდელ-მონაზონი, ორი ბერ-დიაკონი და ორი სქემმონაზონი (იქვე:141). უნდა შევნიშნოთ, რომ ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ რუსულმა მმართველობამ ქართულ მონასტრებს კუთვნილი მამულების დიდი ნაწილი ჩამოართვა და მცირე ხელფასები დაუნიშნა. აღნიშნული მოქმედებით ბერები სახელმწიფოზე დამოკიდებული გახადა. 1919 წელს კი დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ გელათის მონასტერს კუთვნილი მამულები, ტყე, საყანე ადგილები და წისქვილი ჩამოართვა და მხოლოდ ერთი ნორმა მიწა დაუტოვა, რომელშიც შედიოდა მონასტრის ეზო, გზა და მცირე ადგილი (იქვე:149).

აღსანიშნავია, რომ ქართველი მონარქები და მათი ოჯახის წევრები ხშირად მიდიოდნენ მონასტერში. ქართველ მონაზონ მეფეთა შორის უნდა დავასახელოთ დიმიტრი მეფე, რომელმაც ცხოვრების ბოლოს მონაზვნობის პატივი მიიღო. ლაშა გიორგის მემატიანე ასე გადმოგვცემს ამ ფაქტს: „წარვლო ცხოვრება, და მიიწია სრულ-ქმნილი სიბერესა. შეიმოსა ჩოხა და იკურთხა სქემითა“ (ქრ.ცხ.1955:366). ე.ი. სიბერის ჟამს

დიმიტრი მეფეს შეუმოსავს ჩოხა, რაც ბერად აღკვეცას ნიშნავს, ამავდროულად მისთვის, სავარაუდოდ, დიდი სქემა უნდა ეკურთხებინათ. როგორც ცნობილია, დამიანე, სხვა წყაროს ცნობით დანიილ მონაზონი, დავით გარეჯის სამეფო მონასტერში დამკვიდრდა. დემეტრეს ფრესკა სწორედ აქ, დავით გარეჯის მონასტერში ყოფილა გამოსახული.

ბაგრატიონ მონაზონთა შორის შეგვიძლია დავასახელოთ მონაზონი თამარი, დავით აღმაშენებლის ქალიშვილი, რომელმაც ააგო თიღვის ცნობილი ტაძარი, სადაც მოღვაწეობდა და გარდაიცვალა. მემატიანის ცნობით, დემეტრე მეფე და მისი და 1156 წელს გარდაცვლილან: „ამასვე წელს დემეტრე მეფე მოკუდა, და დაჲ დემეტრესი თამარ, თიღვისა აღმშენებელი, ოგიცა შემონაზვნებული გარდაიცვალა“ (იქვე:366). დემეტრე მეფე დაკრძალეს მის მიერ დასრულებულ გელათის მონასტერში: „დემეტრე მეფე ბელტის ციხესა მიიცვალა და გელათს წარიყვანეს მისგანვე კურთხეულსა ახალსა მონასტერსა“ (იქვე:367).



გელათი, წმინდა ანდრიას ეკვდერი, დავით ნარინი ბერის სამოსში

კეთილმსახურ მეფე დავითის ოჯახიდან სამი წევრი მონაზვნად აღიკვეცა: მისი მეუღლე, ქალიშვილი თამარი და ვაჟი დემეტრე – დამიანე, მამის პიმნოგრაფიული მემკვიდრეობის გამგრძელებელი, ავტორი ღვთისმშობლის ორი იამბიკოსი, რომელთა შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს „შენ ხარ ვენახი“ (ტყეშელაშვილი. 2019:276).

მონაზვნური ღვაწლი იტვირთა იერუსალიმში დავით აღმაშენებლის პირველმა მეუღლემ, რომლის შესახებაც საკმაოდ მწირი ცნობები გვაქვს.

ცნობილია, რომ ქართველი მეფეები დიდმარხვის პერიოდს ნათლისმცემლის უდაბნოში ატარებდნენ. იოანე ნათლისცემლის უდაბნო უწყლო, განმარტოე-

ბულ ადგილას დგას. კარიბჭის სიახლოვეს, კლდეში, ღრმა და ფართო ორმოა ამოკვეთილი, სადაც წვიმის წყალი გროვდებოდა და რთმელსაც ბერები იყენებდნენ. ამ უდაბნოში თავის დროზე წმინდა მარხვების ან კიდევ ზაფხულის დიდი სიცხეების დროს ქართველი მეფეები ჩერდებოდნენ. მონასტრის ქრონიკების მიხედვით, 1711 წელს აქ იყო 200 ბერი, რასაც აშკარად მოწმობს ახლომახლო მდებარე მრავალი ჩამოშლილი თუ დანგრეული სენაკი (ქართ. ეკ. და მისი სიძ.1992:18).

გელათში თავი მოიყარა არაერთი ქართული მონასტრის ხელნაწერმა სახარებამ და სიწმინდემ. მათ შორის შეგვიძლია გამოვყოთ XI-XII საუკუნეების წყაროსთავისა და ბერთის მონასტრის სახარებები. აღნიშნულ ოთხთავებში შემორჩენილი იყო გადმწერ ბერთა ვინაობა. მაგალითად წყაროსთავის სახარების ბოლოს იხსენიება „უღირსი და უბადრუკი საფარელ-მტბევარი იოანე" (Кондаковъ. 1890:43). ბერთის სახარების გადამწერის ანდერძი კიდევ უფრო მეტ საინტერესო ცნობას გვაწვდის. ანდერძის მიხედვით, გადამწერი ყოფილა ოპიზელი მოღვაწე იოანე, რომელიც გაუზრდია იოანე მთავარაიძეს. ეგი მადლიერებით იხსენიებს ბერთის ღვთისმშობლის სახელობის მონასტერსა და იქ მოღვაწე წმინდა მამებს (იქვე:46). გელათში ინახებოდა ასევე ვანის სახარება, მრავალი სანაწილე და ჯვარი.

გელათის მონასტრის კედლებზე არერთი გამოჩეული მოღვაწის ფრესკაა შემორჩენილი, ისინი უმეტესად ქრისტიანულ სამყაროში ცნობილი მონაზვნებია. გელათის მთავარ ტაძარში დასავლეთის მკლავში გამოსახულია მესვეტე მამათა ფრესკები. ჩრდილოეთის კარიბჭეში ვხვდებით მეუდაბნოე-განდეგილ (შიშველ) მამათა ფრესკებს. ანდრია პირველწოდებულის ეკვდერში აღმოსავლეთის კედელზე გამოსახულია მეფე-მონაზონ დავით ნარინის ფრესკა.

1923 წელს ბოლშევიკური ათეიზმის პერიოდში გელათის მონასტერში მთლიანად შეწყდა, როგორც სამომასტრო, ასევე ყოველივე კულტურული საქმიანობა, ეს იყო უდიდესი უბედურება ქართული სამონასტრო ცხოვრებისათვის, რადგან მთლიანად დავიწყებას მიეცა ის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები, რომლებიც ძალიან მნიშვნელოვანი იყო ქართველი ერის ცხოვრებაში. აღნიშნული მიმართულებით სამომავლოდ ფუნდამენტური კვლევა-ძიება უნდა განხორციელდეს.

დავით გარეჯის ლავრა

გარეჯის სამონასტრო კომპლექსი VI საუკუნის შუახანებში დააარსა წმინდა მამა დავით გარეჯელის მიერ. ღირსი მამა თავდაპირველად თბილისში მთაწმინდაზე მოღვაწეობდა, მაგრამ მის მიმართ განხორციელებული ცილისწამების შემდეგ მან დატოვა ქალაქი, კახეთში გაემართა და გარეჯის სერის ჩრდილოეთი კალთის ერთ-ერთ ღრმა უბეში დაემკვიდრა, ანუ მან დაუტევა წუთისოფელი და დაემკვიდრა უდაბურ ადგილას. გარე სვეტი, გარე ღვაწლი – სწორედ აქედან წარმოსდგა სიტყვა გარეჯი. ეს სამონასტრო კომპლექსი ყველაზე დიდია საქართველოში (შესაძლოა მთელ აღმოსავლეთ ევროპაშიც), მოიცავს ასეულობით ჰექტარ ფართობს. გეოგრაფიულმა და გარემო პირობებმა შესაძლებელი გახადა ახალი მონასტრები ჩამოყალიბებულიყო. სამწუხაროდ, ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ გარეჯის კომპლექსის რამდენიმე მონასტერი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მოექცა (ბერთუბანი და სხვა). გარეჯის მონასტრები ზოგჯერ მრავალმთის სახელწოდებითაც გვხვდება, რადგან მონასტრები არაერთ მთაზეა განლაგებული. სამონაზვნო ღვაწლისთვის მყუდრო გარემო არსებობდა, ამასთანავე კლდეში უამრავი სენაკი გამოკვეთეს, სადაც არაერთი მამა მოღვაწეობდა. აქ შესაძლებელი გახდა ასკეტური ღვაწლის ყველაზე მკაცრი წესების აღსრულებაც. დავით გარეჯელისა და ილარიონ ქართველის ცხოვრებიდან ვიგებთ, რომ ისინი მხოლოდ მცენარეული საკვებით იკვებებოდნენ და მაქსიმალურად თრგუნავდნენ ხორცს.

წმინდა მამა დავითის დროინდელი რამდენიმე ქვაბი – თავად ღირსი მამის სენაკი და მის მოწაფეთა სამყოფლები – მონასტრის ქვედა ეზოში დღემდე შემორჩა. იქვე, ეზოში, მონასტრის მთავარი ფერისცვალების სახელობის ტაძარი მდებარეობს, რომელშიც დაკრძალულნი არიან წმ. დავითი, მისი მოწაფე ლუკიანე, XIX საუკუნის მიწურულს გადმოასვენეს და მონასტრის ეზოში დაკრძალეს წმ.დოდოს ნეშტიც (გარ. ებიგ.ძეგ.1999: 75). ლავრის დასავლეთით წარმომართული კლდოვანი

ფერდის ძირში დღემდე არსებობს დავითის ცრემლის წყარო, რომელიც მაკურნებლად ითვლება და მას მომლოცველები ღებულობენ.

გარეჯის სამონასტრო ცენტრის ბირველი ეტაპი მოიცავს VI-IX საუკუნეებს. ამ პერიოდში ჩამოყალიბდა და განვითარება დაიწყო სამონასტრო ცხოვრებამ, რომელიც თანდათან უფრო ვითარდებოდა. გარეჯის სამონასტრო ცხოვრების ახალი ეტაპი წმინდა მამა ილარიონ ქართველს უკავშირდება და იგი IX საუკუნიდან დაიწყო. XI საუკუნიდან მოყოლებული გარეჯის მონასტრები საქართველოს სამეფოს კუთვნილებაში გადავიდა (იქვე:76), რის შემდეგაც კომპლექსი კიდევ უფრო იზრდება, არსდება ახალი მონასტრები და XII-XIII საუკუნეებში თავისი მაქსიმალურ აღმავლობას აღწევს.

გვიან შუასაუკუნეებში მტრის გამანადგურებელი შემოსევებისა და ლეკთა თავდასხმების გამო გარეჯის მონასტრების უმრავლესობა გაბარტახდა. ყველაზე დიდი ზიანი გარეჯს 1615–16 წლებში მიადგა, როდესაც შაჰ-აბასის ერთ-ერთი თავდასხმის დროს 6000 ბერი აღესრულა მოწამეობრივად, რაც უნიკალური შემთხვევაა მთელ ქრისტიანულ ისტორიაში.

მონასტერს დიდი ზიანი მიაყენა ლეკთა თავდასხმებმა. ისინი მონასტერს თავს დაესხნენ 1851 წელს. მტერს უწამებია მღვდელ-მონაზონი სერაპიონი და ბერები: გერმანე, ბესარიონი და სხვანი (მენაბდე.1965:277). მონასტერი ლეკებს დაულაშქრავთ 1867 წელსაც, დახოცეს თუ ტყვედ წაიყვანეს იქაური ბერები, გაიტაცეს საეკლესიო ნივთები და წიგნები (იქვე:297).

ვინაიდან გარეჯის სამონასტრო კომპლექსი სამეფო მონასტერი იყო, გარკვეული შეუვალობა გააჩნდა და ქართველი მეფეები მასზე გამორჩეულად ზრუნავდნენ. ალექსანდრე მეფემ მრავალმთის მამულები გაათავისუფლა „ვათარხნეთ და ვათავისუფლეთ ორნივე უდაბნონი გარეჯისანი: დავითის საფლავისა, მრავალმთისა და დოდოსრქისანი“ (გარ. ისტ. დოკ. 2008: 20), თუმცა გარეჯის ლავრას სვეტიცხოვლის საკათალიკოსო ტაძართან გააჩნდა ვალდებულებები.

აღნიშნული განწესების მიხედვით გარეჯის მონასტრის ორი მღვდელ-მონაზონი დაახლოებით ორ თვეს ყველიერის კვირიდან აღდგომის ჩათვლით სამეფო კარზე ატარებდა და მარხვის წესს იცავდა. ბერების მსგავსად თავისი ვალდებულებები გააჩნდათ მართლმადიდებელ მეფეებსაც, მათ ახალ კვირას უნდა დაეტვირთათ „ვაღორები და კარაულები მრავლის სანოვაგით“ და შეეწირათ გარეჯის დიდი მამისა და კრებულისთვის.

1520–1532 წლებში შედგენილი შეწირულობის სიგელის მიხედვით ნაბრძანებია, რომ დავით გარეჯის მონასტერს არაფერი უნდა დაკლებოდა: „კათალიკოზმან მართლად მოიკლოს და უდაბნოთა ძუელთაგან გაჩენილი არა მოაკლდეს“ (იქვე:25), ხოლო გარეჯიდან მცხეთაში გაგზავნილ შემოსავალზე აღაპი უნდა დაწესებულიყო.

სამონასტრო ცხოვრების ადრეული პერიოდი

ასურელი მამები

ვახტანგ მეფის ისტორიკოსი ჯუანშერი თავის თხზულებაში გადმოგვცემს, რომ ქართლში ფარსმან მეფის დროს (თუმცა ცნობილია, რომ მეექვსე საუკუნის შუახანებში ქართლში მეფობა გაუქმებული იყო) შუამდინარეთიდან ჩამოსულა იოანე ზედაზნელი, რომელსაც ის უწოდებს ქართლის განმანათლებელსა და „განმწმედელს სჯულისას". სწორედ იოანე ზედაზნელს აუგია ეკლესიები და მრავალი სასწაულიც აღუსრულებია. მას და მის მოწაფეებს „ყოველნი ქართველნი" გაუკვირვებიათ, რის გამოც დაუწერიათ მათი ცხოვრებანი, რომლებსაც ეკლესია-მონასტრებში იყენებდნენ (ქრ.ცხ.1955:207). აღნიშნული ცნობებიდან ნათელი ხდება, რომ იოანე ზედაზნელსა და მის მოწაფეებს თავიანთი ცხოვრებითა და სასწაულებით ქართველები გაუკვირვებიათ. ტყუილად არ უწოდებდა იოანეს ძველი ქართული წყარო ქართლის განმანათლებელს. ასურელ მამათა ვრცელი ცხოვრება ჩანართის სახით ცალკეა „ქართლის ცხოვრებაში", რომელიც გვიან პერიოდშია ჩამატებული.

გამოჩენილი ქართველი მეცნიერი კ.კეკელიძე მიიჩნევდა, რომ ასურელი მამები სირიაში მიმდინარე მონოფიზიტთა დევნის გამო 519–520, 540–542–570-იან წლებში წამოვიდნენ საქართველოში და ისინი სარწმუნოებრივად მწვალებლები – მონოფიზიტები იყვნენ (კეკელიძე.1956:29–30). იგი მიიჩნევდა, რომ მეექვსე საუკუნის გასვლამდე ქართლში ოფიციალურ ქრისტიანობად ჯერ კიდევ მონოფიზიტობა ითვლებოდა. ქართველები სომხეთთან ერთად მედგარ დარაჯად უდგნენ ანტიქალკედონიტობას. სირიის ბერებმა ეს კარგად იცოდნენ, ამიტომ აწიოკებისა და ექსორიობის დროს მათი ნაწილი წამოვიდა მონოფიზიტურ ქვეყანაში (იქვე:31). დიდი მეცნიერი ასევე ვარაუდობდა, რომ დავით გარეჯელის მეტაფრასული ცხოვრების ერთი ცნობის მიხედვით, იერუსალიმში მისვლისას დავითმა თავი ულიხრად ჩათვალა წმინდა ქალაქში შესვლისა და უკან გამობრუნდა. მისი ქალაქში შეუსვლელობა გამოწვეული იყო იმით, რომ ის გახლდათ მონოფიზიტი, იერუსალიმი კი ამ დროს დიოფიზიტი პატრიარქის ხელში იყო და მონოფიზიტობა იქაც სასტიკად ისჯებოდა. დაინახა

„იერუსალიმის მადლის“ მოტაცება მონოფიზიტის მიერ, მას არ უნდოდა ეს „მადლი“ მწვალებლისთვის დაეთმო და შეეცადა უკან დაებრუნებია იგი.

აქვე უნდა ვთქვათ, რომ ერთ-ერთი პირველი მკვლევარი, რომელმაც ეჭვქვეშ დააყენა ასურელ მამათა დიოფიზიტობა, იყო ნიკო მარი, რომელმაც ისინი ნესტორიანელებად მიიჩნია და დაასკვნა, რომ მათ საქართველოში ნესტორიანული მიმდინარეობა გაუვრცელებიათ (ციტირებულია – დ. მერკვილაძის შრომიდან, ჟრ. რელიგია, 1998, N1–2, გვ. 2–5). ნ. მარის აღნიშნული თვალსაზრისი ზოგიერთმა მკვლევარმა მისაღებად მიიჩნია, მაგრამ მათმა შეხედულებებმა ფეხი ვერ მოიკიდა (ბუბულაშვილი. 2007:231). ვფიქრობთ, ნიკო მარის მოსაზრებას საფუძველი არ აქვს. მეექვსე საუკუნეში ნესტორიანულ მწვალებლობას ფართო გავრცელება აღარ ჰქონდა, ამავდროულად საქართველოს ეკლესია იმ პერიოდში მყარად ინარჩუნებდა დიოფიზიტობას და არცერთი წყარო ზემოთქმულის დადასტურების შესაძლებლობას არ იძლევა.

რაც შეეხება კ. კეკელიძის ვარაუდს დავით გარეჯელის მონოფიზიტობასთან დაკავშირებით, სერიოზულ ეჭვს იწვევს რამდენიმე მოსაზრების გამო:

1. თუკი დავით გარეჯელი მონოფიზიტი იყო, იგი საერთოდ ვერ მოახერხებდა საქართველოდან იერუსალიმში ჩასვლას. რადგან, მეცნიერის აზრით, მონოფიზიტებს ყველგან სდევნიდნენ. დავით გარეჯელს უნდა გაევლო სირია და შემდეგ ჩასულიყო იერუსალიმში, რაც კიდევ უფრო რთული უნდა ყოფილიყო.

2. ღირსი დავითი იერუსალიმში არ შევიდა სიმდაბლის და არა სარწმუნოებრივი მრწამსის გამო, რადგან ის საერთოდ არ გაემგზავრებოდა იერუსალიმში და ეცოდინებოდა, რომ იქ მონოფიზიტებს სდევნიდნენ.

3. თუკი დავუშვებთ ალბათობას, რომ დავით გარეჯელი მონოფიზიტი მწვალებელი იყო, იგი იერუსალიმის მადლს, სამი ქვის სახით, ვერ წამოიღებდა და უფრო მეტიც, მის შესახებ ხილვას იერუსალიმის მართლმადიდებელი პატრიარქი ელია ვერ შეძლებდა. აი, რას გვაუწყებს დავითის ცხოვრების მეტაფრასული რედაქცია: |ხოლო კაცნი იგი აიძულებდეს სანატრელსა დავითს უკუნქცევად და შესვლად იერუსალიმად,

რამეთუ ესრეთ ემცნო მათთვის პატრიარქსა, რათა იგიცა შეემთხვიოს სიწმიდესა მისსა“ (ძ.ქ.ლ.ძ.1989:202). ქალკედონიტი პატრიარქის მიერ გაგზავნილი ხალხი ამბორს არ უყოფდა. აქვე საყურადღებოა ისიც, რომ თავად პატრიარქმა მოინდომა დავითთან შეხვედრა: „შეემთხვიოს სიწმინდესა მისსა“, ანუ იერუსალიმის პატრიარქი და დავით გარეჯელი ერთი სარწმუნოების მიმდევარნი-მართლმადიდებლები იყვნენ და დავითს ცხოვრება ტყუილად არ უწოდებს წმინდას. ასე, რომ დავით გარეჯელის იერუსალიმში არშესვლა მის მონოფიზიტობას არ ნიშნავს, მის მიერ იერუსალიმიდან ჩამოტანილი მადლის ქვა კი წარმოადგენს ერთ-ერთ სიწმინდეს, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში თაყვანს სცემდნენ.

4. მეცნიერი ვარაუდობდა, რომ არსებული რედაქციები სიბრიელ მამათა ცხოვრებისა დითფიზიტურ ბრძმედშია გატარებული და მათი ისტორიული სინამდვილე შებღალულია, მაგრამ მიუხედავად ამისა, იმათ მაინც შემოუნახავთ ზოგიერთი მნიშვნელოვანი, რომელიც ქალკედონიტ-რედაქტორებს თუ ავტორებს უნებლიეთ გაპარვიათ (კეკელიძე. 1956:32). მისივე შეხედულებით მონოფიზიტური ასკეტიზმი ინდივიდუალისტური ხასიათისა იყო, მის იდეალს შეადგენდა უფრო განდეგილობა, მარტოდ ცხოვრება, ვიდრე ეგრეთ წოდებული კინობიტობა ან ზოგადი ცხოვრება, თუმცა ამავე დროს აქ ვხვდებით მაგალითს ფართო კინობიტობისაც. ე.ი. მეცნიერი არ უარყოფს, რომ ასურელ მამათა ცხოვრებაში განდეგილობასთან ერთად კინობიტური (საზოგადო) ცხოვრების წესსაც ვხვდებით, მაგალითად შიო მღვიმელმა მრავალრიცხოვანი მონასტერი დააარსა, ასევე დავით გარეჯელმაც.

იოანე ეძებს განმარტოებულ ცხოვრებას, მაგრამ თავი ვერ დაუღწევია მრავალრიცხოვანი მოწაფეებისაგან. განმარტოების მოყვარული იყო შიოც, მან ჯურღმულში ჩამარხა ცოცხლივ თავისი თავი, მარტოობას ეტრფიან დავით გარეჯელი, იოსებ ალავერდელი და ანტონი. ეს ზიზღი კაცობრივი ბუნებისადმი და სურვილი მისი „განლევისა და განკაფვისა“ გამოიხატებოდა იმაში, რომ ასკეტები არ ზრუნავდნენ არც სასმელ-საჭმლისთვის, არც ტანისამოსისთვის, არც საცხოვრებელი ბინისთვის. ისინი სასტიკად მარხულობდნენ, მათ სასმელ-საჭმელს შეადგენდა პური, მწვანილი და წყალი, ამასაც მთელი დღეობითა და კვირაობით არ ღე-

ბულობდნენ. არაბუნებრივი რეჟიმი დამახასიათებელია მონოფიზიტური ასკეტიზმისა, რომელსაც სხვათა შორის, ახასიათებდა აგრეთვე მუდმივი ტირილი და ცრემლების ღვრა. ამნაირად ჩვენ გვგონია, რომ ეგრეთწოდებული „ათასამეტი ასურელი მამები“ იყვნენ მონოფიზიტები, რომელნიც გამოქცევიან მონოფიზიტთა დევნილობას სირიაში და ჩვენში მოსულან (იქვე:34).

პატივცემული მეცნიერის მოსაზრებასთან დაკავშირებით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ მის მიერ გამოქვეყნებული მარტვირი ქართველი მონაზონის ცხოვრებაში ვხვდებით ასკეტიზმის უმძიმეს ფორმებს. მარტვირი მონაზონი საბაწმინდის ლავრაში მოღვაწეობდა მე-6–მე-7 საუკუნეთა მიჯნაზე და ის მართლმადიდებელი იყო. მარტვირის სწავლება ბერების სინანულსა და სიმდაბლეზეა შექმნილი, აი, რას მოუწოდებს იგი მონაზვნებს: „მრავლითა შრომითა, მღვიძარებითა და ზედგომითა, ღამე ყოველ მხურვალედ ლოცვითა და მუხლმოდრეკითა და ქუეყანასა ზედა წოლითა უსაგებლოდ, ტირილითა და ცრემლითა“. ბერის საზრდელის მიღების შესახებ: „იყავნ საზრდელად ჩუენდა მცირედ პური და წყალი, სახმარად ოდენ ხორცთა ჩუენთა“ (კეკელიძე. 1973:246–247). აქედან გამომდინარე, ხორცის დათრგუნვა, პურსა და წყალზე ყოფნა და მუდმივი ტირილი საკუთარ ცოდვებზე მართლმადიდებლებისთვისაც იყო დამახასიათებელი. დავით გარეჯელის მოწაფენი იერუსალიმში შევიდნენ, თავად კი არ შევიდა, სიმდაბლის გამო: „ხოლო მე არღარა ვიკადრო წაღმართ სლვად და დატკებნად ფერხითა ჩემითა ადგილთა ამათ, სადა დადგეს ფერხნი შენნი წმინდანი, რამეთუ კმა არს ჩემდა ხილვაჲ ოდენ თვალთა“ (ძ.ქ.აგ.ლ.ძ.I.1963:237).

კ. კეკელიძის აღნიშნულ მოსაზრებას თავდაპირველად დაუპირისპირდა წმინდა გრიგოლ ფერაძე. იგი თავის სადოქტორო დისერტაციაში აღნიშნავდა, რომ ექსტრემალური ხასიათის ასკეტური ვარჯიშები შეიძლება დადასტურებულ იქნეს დიოფიზიტურ, ნესტორიანულ და ლათინურ ბერმონაზვნობაშიც. მას ამის მაგალითად მოჰყავს წმინდა სვიმონ მესვეტე, რომელიც ძალიან მძიმე მოღვაწეობას აღასრულებდა. იგი ასევე აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ IV-V საუკუნეებში არსებობდა საკვების მიღების, ასევე, ტანსაცმლისა და საცხოვრისის უქონლობის შესახებ მკაცრი

ფორმები და კეკელიძის მოსაზრება არ გამოდგება იმის საბუთად, რომ სირიელი მამები მონოფიზიტები იყვნენ (ფერაძე. 2012:162). ფერაძე შენიშნავდა ასევე, რომ ასურელ მამათა ცხოვრებაში რაიმე დიდი გადამწყვეტობის კვალიც არ შეინიშნება, ამიტომ არ გვჭირდება მასში ერთმანეთისგან განვასხვაოთ ისტორიული სინამდვილე და შეთხზული, რომელიც ფანატიკოსმა გადამწყვეტელმა ჩაურთო შიგ (იქვე:163). ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო სირიელ მამათა ცხოვრების ფანატიკოსი გადამწყვეტელი? ასურელ მამათა ცხოვრებანი „განაახლა და განავრცო" არსენ ქართლის კათალიკოსმა, რომელიც მონოფიზიტობის შეურიგებელი მებრძოლი იყო, ყველასთვის ცნობილია მისი თხზულება „განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა...". არსენ კათალიკოსი ნამდვილად არ გაატარებდა დიოფიზიტურ ბრძოლაში ასურელი მამების ცხოვრებას, პირიქით, ის საერთოდ არ განაახლებდა და არც განავრცობდა, უფრო მეტიც, როგორც კათალიკოსს, მას შეეძლო თხზულება საერთოდ ამოეღო ხმარებიდან, მაგრამ ის საპირისპიროდ იქცევა.

კ. კეკელიძე აღნიშნავდა, რომ ავტორს (არსენს) გამოუყენებია ის ცნობები, რომლებიც მას „გამოკითხვის" გზით შეუგროვებია, აგრეთვე „ქარტაჲ წულილი", რომელიც მათთვის გამოუგზავნია ზედაზნის წინამძღვარს მიქაელს და რომელშიაც ამოუკითხავს „რომელთაგანი საქმენი" იოანესნი. „წულილი ქარტაჲ" იყო მოკლე არქეტიპული რედაქცია იოანე ზედაზნელის „ცხოვრებისა" (კეკელიძე. 1956:44). აქედან გამომდინარე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზედაზნის მონასტერში ინახებოდა იოანეს ცხოვრების მოკლე ვარიანტი, რომელიც მიქაელ წინამძღვარს გაუგზავნია ქართლის კათალიკოსისათვის. იმ დროისათვის, მე–10 საუკუნეში რატომ შეინახავდნენ მონოფიზიტი მამის ცხოვრებას ან მის შესახებ გადმოცემებს? გამორიცხულია, რომ მონასტერში ეს არ სცოდნოდათ. პირიქით, იოანეს გამორჩეული ღვაწლის შესახებ არსებობდა სხვადასხვა გადმოცემა, არსენ კათალიკოსმა ისინი მოიძია და ასურელ მამათა ცხოვრების უფრო ვრცელი ვარიანტი შექმნა, რითაც ფაქტიურად მამათა ღვაწლი შემოუნახა მომავალ თაობებს.

წმინდა გრიგოლ ფერაძე იოანე ზედაზნელზე საუბრისას აღნიშნავს, რომ წმინდა მამა ეტაპობრივად აღწევდა და დღითიდღე უახლოვდებო-

და სრულყოფილებას და ღმერთმა დააჯილდოვა სასწაულთმოქმედების ნიჭით. ის მომავალს ხედავს, როგორც აწმყოს, და მათ, ვინც ავადმყოფობით იტანჯება, ორმხრივად კურნავს (სულიერად და ფიზიკურად). ამიტომ ისწრაფვის მისკენ ერი მრავალი (ფერაძე. 2012:145). იოანე ზედაზნელი შეგნებულად არიდებდა თავს ხალხს: „რამეთუ ევლტოდა ოგი კაცთამერსა დიდებასა, რომელი ფრიად მავნებელ ექმნების მრავალთა და შეაცთუნებს მათ გზისაგან საღმრთოჲსა“.

თანამედროვე მკვლევარების (ვ. გოილაძე, დ. მერკვილაძე) დიდი ნაწილი ასურელ მამებს დიოფიზიტებად თვლიან. უსაფუძვლოა იმ მკვლევართა მოსაზრებანი, რომლებიც ასურელ მამებს მონოფიზიტებად მიიჩნევენ. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ ქართული წყაროები მათ „განმწმედელად სჯულისად“ არ მიიჩნევდნენ და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია წმინდანთა დასში არ ჩარიცხავდა (ბუბულაშვილი. 2007:232). ამასთანავე, ქართული და უცხოური წყაროებით დასტურდება, რომ VI საუკუნის მანძილზე ქართულია ეკლესია, მიუხედავად სპარსელთა აქტიური მცდელობისა, დიოფიზიტურ ქრისტიანობას ინარჩუნებდა (ციტირებული ზ. ალექსიძე, დ.მერკვილაძის ნაშრომებიდან) (იქვე:233).

აქვე უნდა დავამატოთ, რომ ასურელი მამები წმინდანთა დასში იხსენიებიან უძველეს ქართულ ლიტურგიკულ ძეგლებში და მონოფიზიტობის შემთხვევაში მსგავსი რამ გამორიცხულია. ქვემოთ გთავაზობთ ასურელ მამათა ცხოვრების შემოკლებულ ვარიანტს, უმეტესად იოანეს, შიოს და დავით გარეჯელის ასკეტურ სწავლებათა ნაწილს, რომელიც სამონაზვნო ცხოვრების მსურველთათვის საინტერესო იქნება.

იოანე ზედაზნელი

ასურელ მამათა მასწავლებელი და წინამძღვარი იყო ღირსი მამა იოანე ზედაზნელი. წმინდა მამის ცხოვრებაში აღნიშნულია, რომ ის ადამიანები, რომლებიც მონასტრებში იწყებდნენ დამკვიდრებას, ცდილობდნენ. ღვთისაგან გამოეთხოვათ სიბრძნე. როგორც იაკობ მოციქული ბრძანებდა: „თუ ვინმე სიბრძნით ნაკლულია თქვენგანი, ითხოვოს, და ღმერთი, ნიჭთა (წყალობათა) მიმცემელი, მისცემს“ (იაკობ.1.5). გამორჩეული მოღვაწეები უმეტესწილად ცდილობდნენ გარიდებოდნენ მშობლიურ ადგილებს და უცნობ, უცხო ქვეყნებში მიემგზავრებოდნენ. წმინდა იოანე ჯერ კიდევ

საქართველოში ჩამოსვლამდე დაუფლებული იყო მკაცრ ასკეტურ ღვაწლს. მას მრავალი მოწაფე ჰყოლია, რომელთაც ასწავლიდა დაყუდებულ ბერთა ლოცვებსა და ხელსაქმეს: „ხელთ-საქმარი ენაცვლებოდის და მდუმრიადი ენის ზრახვაჲ მადლოვანებით ღმრთისა მიერ“ (ძ.ქ.აგ.ლიტ.ძ.1971:88). იოანემ განიზრახა წასულიყო შორეულ ქვეყანაში: „რათაიმცა წარვიდა იგი შორსა სოფელსა, სადაცა არა იყო ყოვლადვე ხმაჲ სჩენისა სათნოებათა მისთაჲ“ (ძქაგ.ლ.ძ.1989:40). ანუ მისი სურვილი იყო დაეშალა თავისი სათნოებები და ღვთის შეწევნით მოაღწია ქართლის ქვეყანას, სადაც იგი მოწმე გახდა ხილული სასწაულისა – მცხეთაში, სადაც „წმიდასა კათოლიკე სვეტსა ღთივაღმართებულსა ყველა ხედავდა“.

იოანე ზედაზნელის მეტაფრასულ ცხოვრებაში ყურადღება გამახვილებულია ღირსი მამის სათნოებებზე. იგი მონაზონისთვის აუცილებელი ყველა ღირსებით ყოფილა შემკობილი.

სიმდაბლე – „ხოლო სიმდაბლე ესოდენი იხილვებოდა საღმრთოჲსა ამის მამაკაცისა თანა, ვიდრეღა ყოვლითურთ არარად შეერაცხა თავი თვისი მეტყუელსა: „მე მატლ ვარ და არა კაც“.

სიმშვიდე – იგი გამორჩეულად მშვიდი იყო, მისთვის უცხო იყო მრისხანება: „რისხვაჲ მხოლოდ ბოროტთ-დასაბამისა ეშმაკისა მიმართ მოეგო“.

ტირილი – ღირსი მამა მარად დასტიროდა საკუთარ ცოდვებს, ცრემლი „მარადის გარდამოსდინ თუალთა მისთა და დღე და ღამე დაალტობნ სარეცელსა მისსა“.

ლოცვა – იგი დაუფლებული იყო მუდმივი ლოცვის ხელოვნებას: „სამარადისოისა ლოცვითა და ვედრებითა“ ყოველი ბოროტი მართლუკუნ აქცია, რაც მთავარია მისი ლოცვა ღმერთმა შეიწყნარა: „შეიწყნარა უფალმან ლოცვაჲ მისი“.

სასწაულები – ღირს მამას დიდი ღვაწლის შემდეგ არაერთი სასწაულის ქმნის უნარი მიეცა ღვთისაგან: „მადლი სასწაულთა სრულქმნისაჲ მოენიჭა მას ღმრთისა მიერ და შორიელთა საქმეთა, ვითარცა მახლობელთა, ხედვიდა, რამეთუ ესევითართა მადლითა მიერ შეიმკო“.

ნაყოფიერება – წმინდა იოანე თავის მოწაფეებს აფრთხილებდა, რომ გემოთმოყვარეობის და უძლებების ცოდვას განშორებოდნენ, რადგან „გემოისა და საჭმლისა განიხადა ადამ სამოთხით“. მონაზონი მარხვით, მღვიძარებითა და წმინდა ცხოვრებით „ღმერთსა შეერთების სული“.

მათ თავი უნდა დაეცვათ ღვინის მიღებისაგან: „ღვინოსა ევლტოდეთ ყოვლითურთ", რადგან ღვინის სმა აღძრავს ბოროტ გულისთქმებს, როგორც პავლე მოციქული ბრძანებს: „ნუ დაითვრებით ღვინითა, რომლისაგან იქმნების ბილწებაჲ".

ღირსი მამა მონაზვნებს ასწავლის საიდუმლოებებს, რომლითაც შესაძლებელია მადლის მოხვეჭა, თუმცა იგი მათ მოაგონებს იმ საკითურებს, რომლებშიც შესაძლებელია ჩავარდეს მონასტერში მოღვაწე და სიფრთხილისკენ მოუწოდებს. იგი შეაგონებს მონაზვნებს, რომ მუდმივ ღვაწლში იყვნენ „ვიღვაწოთ ძმანო" და წუთისოფელში ყოველივე წუთიერი ტკივილები „ჟამი ესე ჭირისაჲ" დაითმინონ, შედეგად კი საუკუნო განსვენებას და მომავალში გვირგვინსაც მიიღებენ.

იოანე ზედაზნელს ჰქონია წმინდა მოწამეთა ნაწილები, რომლებიც თავისი ქვეყნიდან საქართველოში ჩამოუტანია. იგი წმინდა ნაწილებს ატანდა თავის მოწაფეებს, როდესაც სხვადასხვაგა ადგილებში უშვებდა სამოღვაწეოდ, მათ მთელი ცხოვრების განმავლობაში უნდა ეტარებინათ ნაწილნი „მცველად ყოველსა ცხოვრებასა შინა საეშმაკოთა სიცრუეთა მიმართ" ე.ი. წმინდა ნაწილები მონაზონს ბოროტი ძალებისაგან იცავს.

ღირს იოანეს ცხოვრებაში მოთხრობილია, თუ როგორ განდევნა მან ბოროტ ძალთა კრებული ფსალმუნის სიტყვებითა და ჯვრის გადასახვით: „გარე მომადგეს და მომიცვეს მე და სახელითა უფლისათა ვერეოდე მათ... ძალ ჩემდა გალობაჲ უფლისაჲ... ღმერთსა ვესავ, არა შემეშინოს, რაჲ მიყოს მტერმან" (იქვე:96). წმინდა მამამ განკურნა ასევე ვინმე განრღვეული, ბოროტი ვნებით შეპყრობილი, როგორც ეს ადრე უფალმა იესო ქრისტემ აღასრულა. უფლის მსგავსად უბრძანა: „აღდეგ, აღიღე ცხედარი შენი, რამეთუ განგკურნებს შენ უფალი ჩვენი იესო ქრისტე". ნახევრად მკვდარი და განწირული კაცი ყველას თვალწინ განიკურნა. მანვე განკურნა ბოროტი სულით შეპყრობილი ადამიანი. სასწაულის შემდეგ იოანემ ყველას განუცხადა, რომ ის არ იყო მკურნალი, სასწაულს თავად უფალი იესო ქრისტე აღასრულებდა.

იოანემ ღრმა სიბერემდე იცოცხლა. გარდაცვალების წინ იგი ეზიარა „უხრწნელთა და უკვდავთა ქრისტეს საიდუმლოთა" და თავის მოწაფეებს ზედაზნის მთაზე დაკრძალვა დაუბარა, იქ, სადაც ის მრავალი წელი მოღვაწეობდა. თუმცა მოძღვრის სიყვარულის გამო მოწაფეებმა დაარღვიეს

აღთქმა და ბერი თავისი მოწაფის მიერ აგებულ მონასტერში დაკრძალეს. ამის გამო აღსრულდა სასწაული – მოხდა „ძვრანი დიდნი“. საბოლოოდ წმინდანის სხეული ზედაზნის მთაზე დაკრძალეს და „დაცხრა ძვრაჲ“.

შიო მღვიმელი

ასურელ მამათა შორის განსაკუთრებით გამორჩეული და ვრცელი ცხოვრება აქვს ღირს მამა შიო მღვიმელს, რომელმაც თექვსმეტი წლის ასაკში დაიწყო წმინდა წიგნების შესწავლა, ოცი წლისა კი მშობლებისგან ფარულად მამა იოანესთან გაემართა. იოანეს წინასწარ ეუწყა, რომ ეს ჭაბუკი ღვთის რჩეული იყო. შიოს მშობელთა მონაზვნად აღკვეცის შემდეგ მან აღასრულა მონაზვნად აღკვეცა: „აღკვეცა და შეჰმოსა წმიდაჲ სქემაჲ“, რის შემდეგაც სასწაულიც აღსრულებულა: „პირი მისი იქმნა ვითარცა პირი ანგელოზისა“. შიო მრავალი ღირსებით ყოფილა შემკობილი, იგი იყო „უმანკოჲ“ და უკიდურესად თავმდაბალი.

შიოს და ევაგრეს მეტაფრასულ ცხოვრებაში საუბარია, რომ ზედაზნის მთიდან წასულ ასურელ მამებს ქართველი მონაზვნებიც წაუყვანიათ სამოღვაწეოდ: „ახანერგთა მათგან ქართველთა მონაზონთა“, ე.ი. ვკერ ზედაზნის მთაზე ყოფილან ქართველები დამკვიდრებულნი, შემდეგ კი ასურელ მამებს გაჰყოლიან. ღირსი შიო თავიდანვე დაყუდების მოყვარე ყოფილა, რის გამოც სულიერი მამისთვის უთხოვია ნებართვა, რაზეც მას ეუწყა, რომ მომავალში მიეცემოდა ამის შესაძლებლობა, თუმცა იოანე ზედაზნელმა შიო კათალიკოსთან გაუშვა კურთხევის ასაღებად, მიიღო კურთხევა და დაემკვიდრა მცხეთასთან ახლოს (საბერძნეთის მთებში). მდინარე მტკვრის ახლოს იპოვა ერთი მცირე ქვაბი და დაიწყო მოღვაწეობა. ღირსი მამა უმკაცრესი ღვაწლის აღსრულებას შეუდგა, იგი მხოლოდ ღმერთზე იყო მინდობილი და „თვინიერ საზრდელისა, თვინიერ სასმელისა“ სამოცი დღე გაუტარებია ლოკვაში. დიდი ღვაწლის შემდეგ თავისი ლოკვით მრავალი ბოროტი გააძევა. ერთ ღამით „ხელ-განპყრობით“ ლოკვის შემდეგ მას ღვთისმშობელიც გამოსცხადებია. ხელგანპყრობით ლოცულობდა წმინდა სვიმონ მესვეტე, ლოკვის აღნიშნულ სტილს ხშირად ვხვდებით ქართველ ბერმონაზონთა ცხოვრებაში.

ინტერესს იმსახურებს შიოს მოწაფის, ევაგრეს აღკვეცის ამბავიც,

რომელიც წმინდა მამამ ღმერთს მიანდო. კვერთხით, რომელიც ევაგრეს მისცა, სასწაულებრივად გაიყო მდინარე და შემდეგ აღკვეცა ის: „შეჰმოსა მას ნეტარმან შიო წმიდაჲ ანგელოზთა სახე-სქემაჲ“. ბერად აღკვეცის შემდეგ შიო მღვიმელს მონაზვნისთვის ყველა აუცილებელი წესი უსწავლებია, რომ მან უნდა უარყოს ყოველივე ხორციელი და შეძლოს „ღმერთისთვის შესაკუთრებაჲ“. ასევე ასწავლა რამდენი ხანი უნდა დაუთმოს თითოეულ საქმეს: „განუჩინა საზღვარი ჟამთა დღისა, დგომისა, ლოცვისა და შრომისა“ (ძ.ქ.აგ.ლიტ.ძ. 1971:137). ე.ი. სულიერმა მოძღვარმა განუსაზღვრა ახლადაღკვეცილ ბერს ლოცვისა და შრომის განრიგი, „ასწავლა ყოველი“, შემდეგ კი ერთ-ერთ ქუაბში დამკვიდრება უბრძანა.

ცხოვრებიდან ცნობილია ასევე, რომ წმინდა შიოს ზედაზნის მთაზე ოთხი წელი გაუტარებია, იგი ლოცვის დროს ასურულსა და ბერძნულ ენას იყენებდა: „ხოლო ლოცვასა შინა და ფსალმუნებასა ასურებრსა და ბერძულსა იხმარებდა“, დღითიდღე შემატებდა „სხვასა და სხვასა უახლესისა ღვაწლსა“.

გარდაცვალების წინ წმინდა იოანე ზედაზნელი თავის მოწაფეს შეაგონებდა, რომ ბერმა ყოველივე ხორციელ და ქვეყნიურ საზრუნავზე ფიქრი უნდა შეწყვიტოს „ვითარ მკუდარმან სამარესა შინა დადებულმან, ესრეთ შეურაცხ-ყვნეს მიწიერნი ესე ხილულნი ყოველნი, ვინაითგან ესე არს წესი და კანონი დაყუდებულთა“, ე.ი. დაყუდებულ ბერს ბევრად მეტი მოეთხოვება, იგი უნდა დაემორჩილოს დადგენილ წესს და ყველა მიწიერ საზრუნავზე ფიქრი შეწყვიტოს. მღვიმეში დამკვიდრების წინ წმინდა შიოს კათალიკოსისგან გამოუთხოვია ნებართვა, ანუ მან ვერ სულიერი მოძღვრისგან გამოითხოვა უფლება, შემდეგ კი კათალიკოსისგან.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, თუ როგორ დამოძღვრა წმინდა შიომ თავისი მოწაფეები მღვიმეში ჩასვლის წინ. მან პირველ რიგში მოწაფეებს სიმდაბლისა და მორჩილებისკენ მოუწოდა: „რომელი უჩინო ჰყოფს რისხვასა“ და მიიღწევა სიყვარული „რომლის მიერ მოიგების ღმერთი“. ანუ ბერმა სიმდაბლითა და მორჩილებით უნდა მიაღწიოს ურისხველობას, რის შემდეგაც იგი სიყვარულსაც მოიპოვებს, რაც საშუალებას მისცემს ბერს ღმერთს მიეახლოს. მისი სწავლებით, მარხვითა და ლოცვით – ორი უმთავრესი იარაღით შეძლებს მონაზონი მიაღწიოს გონების სიწმინდემდე,

ამასთანავე მათ უნდა ეგლოვათ საკუთარი ცოდვების გამო, როგორც უფალი ამბობს: „ნეტარ იყვნენ მგლოვარენი გულითა“. მონაზონს ასევე უნდა მოეპოვებინა სიგლახაკე, რას გარეშეც ცათა სასუფეველს ვერ დაიმკვიდრებს.

ღირსი შიოს ცხოვრების მეტაფრასულ ვარიანტში იხსენიება ანტონი დიდი, რომელსაც იგი „მამაჲ ჩვენი“, „წინამძღვარსა“ და დიდ მოღვაწეს უწოდებს და საძმოს წევრებს ეუბნება, რომ „გასმიეს განაღა მრავალგზის“, ანუ ანტონის სწავლანი ბევრჯერ იკითხებოდა ქართულ მონასტერში. ეს ფაქტიც ნათლად მოწმობს, რომ შიო დიოფიზიტია. წმინდა შიოს მიერ დაარსებულ მონასტერში უძველეს დროში კარგად იცოდნენ მონაზვნური ცხოვრების დამაარსებლის ღვაწლი და მოწოდებები, იგი მათთვის მამა და წინამძღვარია და კარგად იციან ანტონის სწავლებები. თავად ღირსი შიოც ანტონი დიდისგან იღებს მაგალითს, როცა ამბობს, რომ „არა მთაკლო სიბერესა შინა თვისსა შრომაჲ“. შიომ იცის ასევე მაკარი ეგვიპტელის და სხვა მამათა ცხოვრებანი, რომელთაც „დიდითა ღვაწლითა განერეს ეშმაკთა მზაკურებათაგან“ (ძვ.ქ.აგ.ლ.ძეგ.1979:158).

მღვიმეში ჩასვლის წინ მონასტრის წინამძღვრად წმინდა შიომ ევაგრე გამოარჩია, შემდეგ კი „ასსამოცი თავი სწავლაჲ“ მოუთხრო ბერებს, ე.ი. მან თავისი მრავალწლიანი გამოცდილება ქაღალდზე გადაიტანა, სწავლებები საკმაოდ ვრცელი ასსამოცი თავისგან შედგებოდა, ფაქტიურად ღირსმა შიომ ერთ-ერთმა პირველმა შეადგინა მონაზონთათვის სწავლებები, რომლებზეც, როგორც ჩანს, მრავალი მონაზონი აღზარდა. შიო მღვიმელის ცხოვრებაში მოხსენიებულია „სწავლანი მის მიერნი“. იგი მღვიმის მონასტერში ბერს ასწავლიდა მონაზვნურ ღვაწლს: „ხოლო აღუწერა მათ ნეტარმან შიო ას სამეოცი თავი სწავლაჲ ყოველად შეუნიერი და ტკბილი, რომლითა განისწავლებოდეს ყოველნი იგი კრებულნი“. კ.კეკელიძის აზრით, შიოს კრებული ასკეტურ-მისტიკური შინაარსისა ყოფილა, რადგან ამგვარი ხასიათის „სწავლას“ მოითხოვდა მისგან აუდიტორია (კეკელიძე.1980:123). სამწუხაროდ, შიო მღვიმელის აღნიშნულ თხზულებას ჩვენამდე არ მოუღწევია, თუმცა მის ცხოვრებაში მონაზვნური გამოცდილებისა და ღვაწლის შესახებ მრავლად მოიპოვება სწავლებები. ქვემოთ წარმოვადგენთ ზოგიერთ მათგანს.

მღვიძარება – შიომ ბერები გააფრთხილა, რომ ბოროტს „მარადის

წარწყმედაჲ“ სურს ადამიანებისა, ამიტომ მათ არ უნდა დაივიწყონ ბერწული აღთქმა და მუდამ მღვიძარენი იყვნენ, როგორც პეტრე მოციქული ბრძანებდა: „განიფრთხუენით და მღვიძარე იყვენით, რამეთუ წინამოსაჯული თქუენი ეშმაკი, ვითარცა ლომი, მიმოვალს და ეძიებს, ვინამცა შთანთქას“.

უქმსიტყვაობა – ღირსი შიო საძმოს წევრებს აფრთხილებს, რომ მტკიცედ დაიცვან მონაზვნური აღთქმა, რადგან უმჯობესია არ აღიკვეცო მონაზვნად, თუკი არ დაიცავ საკუთარ თავს „ყოვლისაგან ცოდვისა ხორცთაგან და რომელ იქმნების გარეშე ხორცთასა“, ე.ი. იგი გამიჯნავს ხორციელ ცოდვებს და ცოდვებს, რომელშიც „გარეშე ხორცთასა“ ჩავარდება მონაზონი. ამიტომ მათ უქმსიტყვაობისკენ მოუწოდებს და სახარების შეგონებას შეახსენებს, რადგან უქმსიტყვაობის გამო „სიტყჳაჲ მისცეთო დღესა მას“ (მათე.12.36) მეორედ მოსვლისა“. იქვე აგრძელებს სახარების მცნებებით სწავლებას, რომლის მიხედვითაც, ადამიანი პასუხისმგებელია თავის სიტყვებზე: „სიტყუათაგან შენთაგან განმართლდე და სიტყუათა შენთაგან დაისაჯო“ (მათე.12.37). სახარების მუხლები კიდევ უფრო დამაჯერებელს ხდის წმინდა შიოს სწავლებებს, შესაბამისად ენის მოთოკვა მონაზვნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და იგი უქმსიტყვაობას უნდა მოერიდოს.

სიკვდილზე ფიქრი – ღირსი მამა მონაზვნებს მოუწოდებს ასევე, რომ მუდმივად იფიქრონ სიკვდილზე, რადგან არავინ იცის, როდის გავა იგი წუთისოფლიდან: „სიკუდილი ახლოს არს, ახლოს არს კართა ზედა“, „ოდეს არა უწყოდით და მიგბაროს სული თქუენი და არღარა გერგებოდის, იღვიძებდით უკუე“ (ლუკა.12. 39–40).

ქრისტეს მიმართ სასოება – მონაზონს ქრისტეს მიმართ უნდა გააჩნდეს მტკიცე რწმენა, იმედი და სასოება მხოლოდ ქრისტეზე უნდა დაამყაროს: „ნუ ხართ უსასო ქრისტესაგან და ნუ ესავთ სიმდიდრესა და მოგებასა სახმართასა“. წმინდა შიო მონაზვნებს უკრძალავს სიმდიდრისა და ნივთების შეგროვებას, რადგან ეს არის „დედაჲ ყოველთა ბოროტთაჲ“ და ამგვარი მოქმედება ბერის უმანკო გონებას გახრწნის.

რატომ არის სიმდიდრის შეგროვება ძალიან სახიფათო მონაზვნისთვის? წმინდა მამა გასაგებად ქადაგებს და ასახელებს მაგალითებს:

1. პირველად დაიწყებს მცირეთი და იტყვის: „ესე არარაჲ არს“, ანუ პირველ შემთხვევას საერთოდ არ აქცევს ყურადღებას.

2. კიდევ სხვა რამე მოიგოს და იტყვის: „ესე არა სიმდიდრე არს, არამედ ხორცთათვის საჭიროა“. შემდეგში მონაზონი ფიქრობს, რომ თანხა საჭიროა ხორცთათვის, ტანსაცმელი, საკვები და სხვა...

3. შემდეგ იქნება ბევრი შემთხვევა და „კუალად განვაჭრის“, ანუ სიმდიდრის მოხვეჭას სისტემატიური ხასიათი ექნება და მონაზონი „სხუათა ხელსა მიხედვიდა“, რაც მას საბოლოოდ დაღუპავს. ამიტომ უმჯობესია ბერებმა გლახაკთათვის იღვაწონ და თქვან: „არა ვისგან მომიხვეჭიეს“ და „კულად მივსცე ვისმე“, რაც მონაზონს კიდევ უფრთ მეტ სარგებელს მისცემს. ღირსი მამა „სულის დამაქცეველ სენს“ უწოდებს აღნიშნულ ცოდვას. ანუ მონაზონი, რომელიც მომხვეჭველობასა და სხვის ხელს მიაჩერდება, იგი სულს დაღუპავს, ვინაიდან მისი გონება ორიენტირებულია მხოლოდ შემოსავლის გაზრდაზე და ვეღარ იფიქრებს სულზე. გვიან პერიოდში მღვდელ-მონაზონი იონა ხელაშვილი თავის ქადაგებაში აღნიშნავდა: „სიმდიდრე მხოლოდ დროებითია, გარეგან სახილველი, რომელი ვიეთამე უვიცთაგან საგონებელ არს უღირსად მქონებელთათვის, რამეთუ სჯიან თუალთაგან თვისთა და არა გონებით“ (ქ.ხელ.აღწ.1,1.1974:36). ვფიქრობთ ღირსი შიოს ეს მეტად მნიშვნელოვანი სწავლება ყველასთვის გასაგები უნდა გახდეს, მათ შორის თანამედროვე პერიოდში მცხოვრები მონაზვნებისთვისაც.

სიგლახაკე და უპოვარება – აღნიშნული სწავლებაც უკავშირდება ვაჭრობას, რადგან სწორედ ფულის სიყვარული „მოიგო იუდამ“ და თავისი თავი „ფსკერსა ჯოჯოხეთისასა“ ჩაიყვანა. ამის გამო ღირსი შიო კრძალავს მონასტერში ვაჭრობას. ოქ არ უნდა იყოს „ვაჭარნი და ვაჭრობანი“. ყოველმა მონაზონმა უპოვარება უნდა შეიყვაროს, რადგან ასე შეძლებს ის ღმერთთან მიახლებას, სწორედ გლახაკის ხმას ისმენს უფალი: „გლახაკმან ხმა ჰყო, უფალმან ისმინა მისი და ყოველთა ჭირთა მისთაგან იხსნა იგი“. მონაზონმა განმამდიდრებელი სიგლახაკე უნდა შეიყვაროს, რათა „გული შემუსვრილი და სული მდაბალი, რომელი არა შეურაცხყოს უფალმან“.

ღვთის სიყვარულის მოპოვება – ღირსი შიო თავის სწავლებებში ხშირად იყენებს მოციქულთა შეგონებებს, რომლის მიხედვითაც მონაზონი უნდა ერიდოს „გულისთქმისა ხრწნილებას“ და ყველა უნდა განისწავლოს მოციქულის სიტყვისაებრ: „სარწმუნოებასა შინა სათნოება“. „სათნოებასა

შინა მეცნიერება“, „მეცნიერებასა შინა მარხვაჲ“, „მარხვასა შინა მოთმინებაჲ“, „მოთმინებასა შინა ღმრთისმსახურება“, „ღმრთისმსახურებასა შინა ძმათმოყუარება“, „ძმათმოყუარებასა შინა სიყუარული“, ხოლო ვისაც სიყვარული ექნება, მასში უკვე ღმერთი დამკვიდრებულა. მოციქულის შეგონებები ქრისტიანს მოაგონებს ყველა აუცილებელ თვისებას, რომელმაც შეიძლება ღვთის სიყვარულამდე აამაღლოს პიროვნება, ღირსი შიო სწორედ მოციქულის პირით ასწავლის მოწაფეებს, რომ დაიცვან ყველა ზემოთ ჩამოთვლილი შეგონება.

სულის სასარგებლო სწავლებები – მონაზონმა თავი უნდა დაიცვას მემთვრალეობისაგან, რადგან სიმთვრალე სულის წარმწყმედელია. ასევე მონაზონს განსაკუთრებული ყურადღება მართებს, რათა არ ჩავარდეს მრისხანებაში და არ იყოს ურჩი, მდრტვინავი და წინააღმდეგობა არ უნდა გაუწიოს უხუცესებს. ამასთანავე მონაზონს არ უნდა უყვარდეს „განსვლაჲ სოფლად“, ანუ ერში სიარული უნდა შეწყვიტონ. ბერს ეკრძალება ასევე შური და ხდომა ერთმანეთს შორის. ისინი უნდა მისდევდნენ მხოლოდ ქრისტეს სწავლებას, უნდა შეიყვარონ ქრისტეს მცნებანი და „ყოველი შუებაჲ მსოფლიოჲ უნდა მოიძულონ“. პავლე მოციქულის სიტყვით მათ ქრისტესთვის უნდა დაითმინონ: „მოითმენდით ყოველსა სიყვარულისთვის ქრისტესისა“, რადგან მან ჩვენი სიყვარულისთვის თავს იდვა გინება, ყვედრება, ცემა, ძმარი, ნაღველი და „ჯუარითა დასჯა და სიკუდილი“. ყველა განსაცდელი მონაზონმა ქრისტეს სიყვარულის გამო უნდა დაითმინოს, მისთვის მხოლოდ ქრისტეა მასწავლებელი, მაგალითი, სასოება, იმედი და გზის მაჩვენებელი. ყველაფერთან ერთად ბერი „მოუწყინებელად“ უნდა ლოცულობდეს, რათა განსაცდელი არ ეწვიოს და, რაც მთავარია, მათ ლოცვაში უნდა ითხოვონ „რაი იგი უფალსა ნებავს“, რადგან ღმერთს ყველა დაბადებულისათვის მხოლოდ კეთილი სურს.

ბერის აღთქმანი ანგელოზთა მიერ აღიწერება და ყოველივე ქრისტეს ეუწყება. ანგელოზები, რომლებიც იცავენ ადამიანებს, „წერენ ცხოვრებასა ჩუენსა“ და ისიც „დამარხულ არს“, ასევე „დამარხულ არს“, მონაზონს რამდენჯერაც შეაცდენს ბოროტი და ღვთის სავალი გზისგან გადაუხვევს.

განცდა და შიში მეორედ მოსვლის გამო – „შეეშინოთ“ – მოუწოდებს ღირსი შიო მონაზვნებს, რადგან „ჟამი წყალობისა დღეს არს“. დღეს, ვიდრე ადამიანი ხორცშია, მას ყოველივე შეუძლია, შემდეგ კი გვიან

იქნება. საყოველთაო განსვენების დღეს „არცა ქრთამი“, „არაცა სიტყვისმიცემაჲ“, „არცა ცრემლი“ არ შეიწირება, მათ არც დრო მიეცემათ, არამედ ყველა თავდადრეკილი და „შიშუელი“ წარდგება და თითოეულის საქმისაებრ მიეზღვება. ამასთან დაკავშირებით ვღერ კიდევ დავით მეფსალმუნე ბრძანებდა ძველი აღთქმის პერიოდში: „რამეთუ არა არს, ვინ სიკუდილსა შინა მოგიხსენოს შენ, ანუ ვღოვღოხეთს შინა ვინ აღგიაროს შენ“.

ღირსი შიო დიდად განიცდის და შიშით ელოდება იმ დღეს: „ეძრწი დღისა მისგან“, რათა მან თავისი თავი მარცხენით კერძო არ იპოვოს, სადაც საუკუნო სატანჯველია, სადაც სასჯელს დასასრული არ აქვს და აღარ იქნება ცვლილება, „არღა კუალად განხორციელდეს ქრისტე“, ღმერთი უცვალებელია და მისი „განჩინებაჲ და განბრჭობაჲ“ აღარ შეიცვლება. ამის გამო იგი ბერებს ანუგეშებს და შეახსენებს, რომ ბერს წუთისოფელში „მცირედ ჟამ“ მოუწევს მოღვაწეობა, სამაგიეროდ კი წმიდათათვის გამზადებულ „დაუსრულებელსა მას საუნჯესა სასუფეველსა და წარუვალ დიდებას მიიღებს“, სადაც წმინდა მოციქულის სიტყვებით ისეთი ნეტარებაა: „რომელი არა იხილა და ყურსა არა ესმა და გულსა კაცისასა არა მოუხდა“. მცირე დროში აღსრულებული ღვაწლის ნაცვლად მონაზონი ასწილად მეტს მიიღებს და მას ყოველივე დაუფასდება სამომავლოდ.

მონასტრის საძმოს წევრების დამოძღვრის შემდეგ ღირსი შიო მღვიმეში დაემკვიდრა და შეუდგა უმკაცრეს ღვაწლს. მან სრულიად განლია ხორცი და მისი სხეული დაჭკნა – „ხორცნი ჩემნი იცვალნეს ზეცისა მიერ“. წმინდა მამას წინასწარ ეუწყა სხეულისგან განსვლა და მღვდელთაგან ზიარება ითხოვა. იგი ეზიარა „ქრისტეს საიდუმლოთა“ და შემდეგ აღესრულა. ღირსი შიო თავისივე სამოსლით „შებებკილითა მით, რომლითა მოსილ იყო“ დაკრძალეს მღვიმეში. მის საფლავზე უამრავი სასწაული აღესრულებოდა.

სამგზის სანატრელმა მამა შიომ ესოდენ დიდი ღვაწლი აღასრულა, მან არაფრად ჩააგდო შიმშილი, წყურვილი, არად შერაცხა უდაბნო, ხილული მზის ხილვა აუკრძალა თავის თავს, რათა „მზე სიმართლისა“ ეხილა.

საუკუნეების განმავლობაში უდიდეს პატივს მიაგებდნენ წმინდა შიო მღვიმელს, მისადმი დიდი კრძალვა ჰქონდა წმინდა მეფე დავით აღმაშენებელს...

წმინდა შიო მღვიმელის ნაწილები ყველიერის ხუთშაბათობით სასწაულებრივად ამოდიოდა საფლავიდან, ასე ხდებოდა საუკუნეების განმავლობაში. წმინდა ნაწილთა ერთ-ერთი ბოლო ამოსვლა მომხდარა 1735 წელს, როცა გარდაცვლილა ქართლის კათალიკოსი ბესარიონი. ხილული სასწაულის მოწმე გამხდარა ყულარაღასი იესე, რომელსაც (S ფონდის N1400 ხელნაწერზე) საკუთარი ხელით გაუკეთებია შემდეგი მინაწერი: „ამასვე წელსა წ–ის შიოს ნაწილი სამი: ორი მკლავი და ერთი თავი, რომელი არა სადა თქმულ არს სამინი (სიც) ნაწილის გამოსვლა და თვით მე მიხილავს თვალითა ჩემითა. თავი არ გამ-უტ (გამოეტია ?) მილი. და მე (?) და ორი მკლავის: (?) მე ვემთხვიე: თვით ჩემმა ძმამ: იკორთელის არქიმანდრიტმან: გარსევანა: ქრისტეფორემ: ერისთავიშვილმან“ (ქრონ.III.1967: 144). აღნიშნულ წელს წმინდა შიოს სამი ნაწილის გამოსვლა მომხდარა მილიდან, და იესე ყულურაღასი მთხვევია ნაწილებს. იგი თავად აღნიშნავს, რომ ეს სასწაული „არა სადა თქმულია“, სამწუხაროდ, სხვა ასეთი ცნობა წმინდა შიოს ნაწილთა ამოსვლის შესახებ არ გაგვაჩნია.

დავით გარეჯელი

საკვირველი და სანატრელი მამა დავითი, როგორც ელია წინასწარმეტყველი, უდაბნოს დიდი მოყვარული იყო, იგი განერიდა წუთისოფელს და გარეჯის უდაბნოში დაემკვიდრა, რათა განშორებოდა „ამბოხთა და შფოთთა სოფლისათა“. წუთისოფელთან განშორება და „მისმიერთა გემოთაგან განყენება“ – აი, აუცილებელი მოთხოვნა სულიერი – მონაზვნური ცხოვრების დასაწყისისა. სხეულის დათრგუნვას აუცილებლად მოჰყვება სულიერების ამაღლება.

დავით გარეჯელმა თავის მოწაფე ლუკიანესთან ერთად გარეჯი (გარე სჯა, ღვაწლი) აირჩია სამოღვაწეოდ, სადაც უმკაცრესი ბუნებრივი პირობები იყო არსებობისთვის. გარეჯი მოცილებულია დასახლებული ადგილებიდან, დღისით საშინელი სიცხე იყო და, რაც მთავარია, არ იყო წყალი. ისინი კლდის ნაპრალში დაგროვილ წვიმის წყალს სვამდნენ. ასეთ მძიმე პირობებს მამა დავითი არად აგდებს და თავის მოწაფეს მიმართავს, რომ მონაზვნისთვის აუცილებელი „მყუდროებითი მარხვითა და მღვიძარებით“ ყოველივე უნდა დაეთმინათ, მათ შორის „ჟამიერთა სატკივართა

სიმხნით“ მოთმენით ისინი მიაღწევდნენ ცოდვათა მიტევებას. წუთისოფლისეული ტანჯვა მცირე ხანს გრძელდება და მას დასასრული აქვს: „რამეთუ ჭირი აქა... წუთ ჟამისა არს და მალიად წარმავალი“, საზღაური და დიდება „ღირსთა მოღვაწეთა“ კი საუკუნოა.

მამა დავითი და ლუკიანე საბოლოოდ ერთ მცირე ქვაბში დამკვიდრდნენ, რათა მზის სხივები აერიდებინათ. ყოველივე ამას ემატებოდა მკაცრი კვება, ისინი ბალახის ფესვებითა და მინდვრის მწვანილით იკვებებოდნენ: „მოირეწიან ძირთაგან, რომელთამე მდელოთაგან და მწუანილთაგან მუნ აღმოცენებულთა“. თუმცა შემოდგომაზე აცივდა და ბალახი გადახმა. ღირსი ლუკიანე ძლიერ შეწუხებულა ამის გამო, მაგრამ იგი თავის მოძღვარმა ანუგეშა: „მოთმინებითა თქუენითა მოიპოვნეთ სულნი თქუენნი“. ბერმა მოთმინებით უნდა აგვბოს სულმოკლეობას, რადგან მას ღვთის რწმენა ყველაზე მაღლა უნდა ჰქონდეს დაყენებული და წუწუნი და ჭამაზე ფიქრი ღმერთს განაშორებს. მამა დავითი სულიერების უმაღლეს საზომს იყო მიღწეული, მას დათრგუნული ჰქონდა ხორცი, მისი გონება მხოლოდ ღმერთს იყო მინდობილი და შესაბამისად თავის გამოცდილებას უზიარებდა ლუკიანეს. მისივე სწავლებით ბერი ქრისტეს მცნებების დასაცავად არამარტო შიმშილისა და წყურვილის, არამედ სიკვდილისთვისაც უნდა იყოს მზად.

წმინდა დავით გარეჯელის „ცხოვრების“ თანახმად, გარეჯის უდაბნოში გასვლის პირველ ეტაპზე წმინდა მამები დავით და ლუკიანე მძოვრობდნენ, ანუ საკვებად მხოლოდ უმ ბალახეულობასა და მცენარეულ ფესვებს მოიხმარდნენ. მძოვრობის თემა არ არის ტიპოსი, არამედ ისტორიული ფაქტი. ამ ტრადიციის საფუძველი ეგვიპტის, სირიისა და პალესტინის ადრეულ მეუდაბნოეთა ცხოვრების წესში იძებნება. მძოვრები ცხოვრობდნენ ღია ცის ქვეშ, ან ბუნებრივ მღვიმეებს აფარებდნენ თავს (მირიანაშვილი.2020:93). ეს არის სირიული მონაზვნობის დამკვიდრების დასაწყისი, მძოვარი მონაზვნები ჩვენ შემდგომ პერიოდშიც გვხვდება, მაგალითად ილარიონ ქართველის ცხოვრებაში (875წ.), აღნიშნული მონაზვნური ცხოვრების მკაცრი წესი თვით მეცხრამეტე საუკუნეშიც გვხვდება შიო გელათელის შემთხვევაში.

ღმერთმა შეისმინა მამა დავითის ლოცვა და აღსრულდა ცნობი-

ლი სასწაული, გამოჩნდნენ ფურ-ირმები, რომლებიც ოთხშაბათსა და პარასკევის გარდა ყოველდღე მოდიოდნენ მამებთან. ოთხშაბათსა და პარასკევს ისინი საკვებს საერთოდ არ ღებულობდნენ და „უსაზრდელოდ დაადგრიან ხელ-განპყრობით მდგომარენი... გონებისა თუალითა“ ლოცულობდნენ ღვთის ტაძრის წინაშე მდგომარენი. ბერები ლოცვის დროს ღვთის საყდარს სჭვრეტდნენ. ე.ი. დავით გარეკელი და ღირსი ლუკიანე უმაღლეს სულიერ საზომს იყვნენ მიღწეულნი, ანუ მათ მიაღწიეს ღვთის მჭვრეტელობას, რაც ურთულესი ღვაწლია.

სარწმუნოების სიმხურვალე – მხურვალება ქრისტიანული რწმენისა. აი, რით უნდა იყოს გამორჩეული ის, ვინც გადაწყვეტს, რომ მონაზვნური ცხოვრება დაიწყოს. მსგავს შემთხვევებს ვხვდებით დავით გარეკელის ცხოვრებაში. როცა მასთან მონადირეები მოვიდნენ, ისინი სარწმუნოებით აღივსნენ, ღვაწლმოსილი ბერის ხილვის შემდეგ სურვილი გაუჩნდათ დაეწყოთ მოღვაწეობა: „რამეთუ განხურვებულ იყვნეს გულნი მათნი ქრისტეს უღლისა ტკბილისა აღებად მხართა ზედა და შედგომად მისსა“. მადლმოსილი ბერის ხილვამ მათში ქრისტეს სიყვარული კიდევ უფრო აშკარა გახადა და შეგნებულად მიიღეს გადაწყვეტილება უდაბნოში დამკვიდრებისა. კარგად იცოდნენ, რომ ელოდათ „ყოველგვარი ჭირი და იწროებაჲ“, თუმცა ქრისტეს სიყვარულის გამო უნდა დაეთმინათ „წმიდათა ლოცვათა შენთა მინდობითა“. მათ ბერად შედგომა ქრისტეს სიყვარულის გამო გადაწყვიტეს, თუმცა ამ საქმეში ისინი მინდობილი იქნებოდნენ წმინდა მამა დავით გარეკელს, აქედან გამომდინარე, უმთავრესი მნიშვნელობა აქვს მონასტრის წინამძღვარს და მის სულიერ მდგომარეობას, წინააღმდეგ შემთხვევაში მონასტერში დამკვიდრებას არავინ მოისურვებს, ან თუ მოისურვებს, დიდი ხანი ვერ გაძლებს სულიერი წინამძღვრობის გარეშე.

აღნიშნულ შემთხვევაში ჩვენ სახეზე გვაქვს მორჩილების კარგი მაგალითი. ღირსი დოდო გარეკელი ემორჩილება სულიერ მწყემსს, მამა დავითს, მან უნდა წაიყვანოს მონასტერში ახლადმისული ძმები და დაასახლოს კლდის წვერზე, სადაც აშენდებოდა მონაზონთა სამკვიდრებელი

„და იქმნეს უდაბნოჲ და უვალი ადგილი სადიდებელად უფლისა ჩუენისა იესთ ქრისტესა“, ე.ი. მონაზვნის სამკვიდრებელი „უვალი ადგილი“ უნდა იყოს, რათა ბერმა შეძლოს მყუდრო გარემოში ღვაწლი.

დაფარული ლოცვა – ცხოვრების მიხედვით დავით გარეჯელი ყოველდღე მიდიოდა და კლდის ნაბრალში მკვიდრდებოდა, რათა მყუდროდ აღესრულებინა ლოცვები და ვინმეს არ ენახა „მმარხველად, გინა მლოცველად“. იგი განმარტოებული უფრო მხურვალედ ლოცულობდა და, რაც მთავარია, ლოცვა იყო ყოველდღიური და ხანგრძლივი „მამისა მიმართ ზეცათასა ილოცვიდის სამარადისოდ“.

წმინდა მამის ლოცვით აღმოცენდა წყარო, რომელიც დღემდე არსებობს, წყაროსთან დაუთესავთ ბოსტნეული და „მიიღებენ წყლისა ამისგან და თანად მხლისა ევლთგიად, რამეთუ ზამთრის და ზაფხულის მოუკლებლად იბოების ადგილსა მას“.

მამა დავითს წინასწარვე უწერა ხორცთაგან განსვლა. მან მოუწოდა მონასტრის საძმოს და განამტკიცა რწმენაში. მათ აუხსნა, რომ წუთისოფელში ყოველივე წარმავალია, ხოლო ადამიანის სული უკვდავია. ამიტომ მონაზვნები დაუცხრომლად „დღე და ღამე უნდა ევედრებოდეთ ღმერთსა, რათა მოგუცეს ძალი წინააღმდგომთა და უხილავთა მტერთა მიმართ“, რომლებიც აბრკოლებენ ჩვენს სვლას ღვთის მიმართ. მამა დავითმა თავისი მოძღვრის, იოანე ზედაზნელის მსგავსად დაუცხრომელი ღვაწლისკენ მოუწოდა საძმოს წევრებს, რათა მათ ბოროტი ძალები დაეთრგუნათ. წმინდა ზიარების მიღების შემდეგ მამა დავითმა „დაუტევა მრავალ-მოღვაწე გვამი მისი“. ერთ-ერთი ძმა, რომელსაც სიყრმიდან თვალის სინათლე არ ჰქონდა, წმინდა მამის საფლავთან მისულა და ბერის სხეულზე შეხების შემდგომ მეყვსეულად განკურნებულა. ღირსი მამის საფლავზე საუკუნეების განმავლობაში „აღმოდის სული სულნელებისაჲ და კურნების მადლი“ და, ვინც რწმენით მიიღებდა საფლავის მტვერს, მაშინვე იკურნებოდა.

ილარიონ ქართველის ცხოვრება

ქართული ბერმონაზვნობის საუკეთესო წარმომადგენელია ღირსი მამა ილარიონ ქართველი (822-875 წწ). იგი ექვსი წლის ასაკში მიაბარეს სასწავლებლად და მცირე ხანში შეისწავლა ძველი და ახალი აღთქმის წიგნები. ყველა გაკვირვებული იყო პატარა ბავშვის ესოდენ წარმატებით. მშობლებმა შეასრულეს პირობა და ყრმა ახლად აშენებულ მონასტერს შესწირეს. მონასტერში თექვსმეტი მონაზონი ყოფილა და მათ რიგს მიემატა ილარიონიც: „შეჰმოსა მას სახე მონაზონებისაჲ“. ჩვენთვის უცნობია, რა ასაკში აღკვეცეს ილარიონი, თუმცა ვიცით, რომ მან სიხარულით მიიღო ბერული აღთქმა და „მორჩილ ექმნა სიკუდილსა ხელთაღა მამისა თვისისათა“, ე.ი. იგი ამ წუთისოფლისთვის მოკვდა და ეს მან მორჩილებით მიიღო მამისაგან.

ახლადაღკვეცილი ილარიონი მხოლოდ ქრისტეს ევლტოდა და მის მცნებებს იმარხავდა მარადის: „რომელსა უყუარს მამაჲ ანუ დედაჲ უფროს ჩემისა, იგი არა არს ჩემდა ღირს“. ამის გამო მას უმძიმდა მშობლების ხშირი სიარული მონასტერში, რის გამოც 16 წლის ასაკში დავით გარეჯის უდაბნოში გაემართა. იმ პერიოდში გარეჯის მონასტერში მონაზვნები „ქუაბთა შინა და ნაპრალთა კლდეთასა მკივიდრ“ იყვნენ და ყოველივე წუთისოფლისეული აკლდათ, მათ შორის პური და წყალიც კი.

ბერმა გარეჯის ლავრაში მცირე ქუაბი იპოვა და იქ დამკვიდრდა. ქვაბის მახლობლად გამორჩეული ბერები ყოფილან დამკვიდრებული: „კაცნი მოღუაწენი ჳჳუარცმულნი სიკუდილისაგან“, რომელთაც შეძლეს ხორცის სულზე დამორჩილება. სწორედ მათ ბაძავდა ახალგაზრდა ილარიონი. მან გარკვეული დროის შემდეგ შეძლო და ყველა მოღვაწეს აღემატა „მოღუაწებითა“, „ლოცვითა სამარადისოითა“, „მღვიძარებითა მიმდემითა“. იგი ყოველ ღამით ფსალმუნებს კითხულობდა „ზედგომითა ღამე ყოველ მიუდრეკელად“. ილარიონის საზრდელს შეადგენდა: „პური და ოსპნი, დამბალი წყლითა და ველური მხალი“, რომელიც იმ უდაბნოში მოიპოვებოდა.

გავიდა ხანი. ილარიონის სახელი ყველამ გაიგო. მართალია დაფარულად იღწვოდა, მაგრამ მისი სახელი მაინც გახმაურდა. მასთან შორეული ადგილებიდან დაიწყეს მისვლა, მისგან განსწავლას ითხოვდნენ, მაგრამ

ილარიონს მყუდრო, აუღელვებელი მოღვაწეობა სურდა. ამის გამო მან გამოიცვალა ადგილსამყოფელი და ათი წლის განმავლობაში ერთ მცირე ქუაბში განმარტოვდა. მან თავისთან არავინ ისურვა და ყველას აუხსნა, რომ განმარტოება მისთვის აუცილებელი იყო, თუმცა გარეკვის ლავრის ბერებს იღებდა და ყველას მოძღვრავდა, აძლევდა მათ „წამალსა მას საკურნებელსა“, ასწავლიდა საკუთარი ნების უარყოფას, სიმდაბლის მოპოვებას, სიკვდილზე მარადიულ ფიქრს – „ხსენებაჲ სიკუდილისა სამარადისოჲ“. ის ყველას ამცნებდა, რომ განსვენებას არ მისცემოდნენ და შრომითა და მოღვაწეობით დაემონებინათ ხორცი და ხელსაქმე აღესრულებინათ, „რომლისა მიერ განილიოს სიმხურვალის კერძი“ ე.ი. ხორცის დათრგუნვა ფიზიკური შრომით იყო შესაძლებელი. საბოლოოდ ილარიონის სახელი მღვდელმთავრამდეც მივიდა, რომელმაც გადაწყვეტა იგი მღვდლად ეკურთხებინა. ილარიონს არ უნდოდა მღვდლობის ხარისხის მიღება, თუმცა დაემორჩილა ეპისკოპოსის მოთხოვნას. იგი ჯერ დიაკვნად, ხოლო მეორე დღეს მღვდლად აკურთხეს.

ღირსმა მამამ დაყუდებისა და სიმარტოვის გამო გადაწყვეტა დავით გარეკვის უდაბნო დაეტოვებინა და ერთი მოწაფის თანხლებით გაემგზავრა წმინდა ქალაქ იერუსალიმში. გზაში ილარიონს არაბი ავაზაკები დასხმიან თავს, რა დროსაც სასწაული აღსრულებულა, რადგან ავაზაკებს მახვილი აღუმართავთ და მკაცრადაც დასჯიანან: „ხელნი მათნი განმხმელად და მარჯუენენი მათნი დაშთეს ჰაერთა შინა“. განსაცდელში ჩავარდნილ ავაზაკებს ტირილით უთხოვიათ განკურნება. ილარიონმა შეისმინა მათი, ჯვარი გადასახა და მეყსეულად განკურნა. სასწაულის აღსრულების შემდგომ ერთ-ერთ არაბს ისინი თაბორის მთამდე მიუცილებია. წმინდა მამას ყველა წმინდა ადგილი მოულოცავს იერუსალიმში, შემდეგ კი საბაწმინდის ლავრაში გაუტარებია რამდენიმე დღე, სადაც თავისი მოწაფე დაუტოვებია. საბაწმინდიდან ის იორდანეს უდაბნოში წასულა და ილია წიმასწარმეტყველის გამოქვაბულში დამკვიდრებულა (იმავე გამოქვაბულში მოღვაწეობდა იოანე ნათლისმცემელიც).

ილარიონი ყველას განეშორა, „შეეყო ღმერთსა ლოცვისა მიერ“ და „მაღლისა მის გონებისა ხედვისა“. სრულ განმარტოებასა და ლოცვასთან ერთად ილარიონი უმკაცრესად მარხულობდა, მისთვის არაფის მიჰქონდა

საზრდელი, არც ხორცისთვის საჭირო რაიმე „სახმარი“. იგი იკვებებოდა უდაბნოში არსებული ბალახით (თივა), რომელიც „ფრიად ნაკლულევანად აქუნდა“, თუმცა ქრისტეს სყვარულისთვის ადვილად ითმენდა „ჭირთა მათ“. ეს შემთხვევა ქართული ბერმონაზვნობის ისტორიაში გამორჩეულია, რადგან ილარიონმა უცხო ადგილზე, ყოველგვარი დახმარების გარეშე ხანგრძლივი დრო – 17 წელი გაატარა (სხვა ცნობით, მან რამდენიმე წელი დაჰყო). თავად ცხოვრების აღმწერელიც გაკვირვებულია, როდესაც აღნიშნავს, რომ: „ილარიონმა ესევითარი უკუე ღვაწლი მოიღუაწა ქუაბსა მას შინა, უცხოჲ რამე და საკვირველი და უაღრეს ბუნებისაგან კაცთასა“ (ძ.ქ.აგ.ლიტ.ძ.1971:129).

შემდეგ ილარიონი ნახავს ჩვენებას, რომლის ძალითაც მას ეუწყა საქართველოში წამოსვლა, რადგან მისი მშობელი გადიოდა წუთისოფლიდან. ღირს მამას უნდა ენახა იგი და პატივით დაეკრძალა. მომდევნო დღეს მან ჩვენებაში ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი იხილა „მეჯდომარე გამოუთქმელი დიდებითა“. ღვთისმშობლის წინაშე კი ათი ბრწყინვალედ მოსილი კაცი მდგარა. ღირს მამას დედა ღვთისაგან ეუწყა სასწრაფოდ შეესრულებინა ბრძანება, რომელიც წინა ღამეს ნახა „ჩუენებით ანგელოზისა მიერ“. ქართველმა ბერმა წარმოუდგენელი და მრავალწლიანი ღვაწლის შედეგად უდიდესი სიწმინდე მოიპოვა, რის გამოც მას ჯერ ანგელოზი, ხოლო შემდეგ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი ეჩვენა. ამგვარი დიდების ღირსნი მხოლოდ უდიდესი მოღვაწენი გამხდარან და მათ შორის გამორჩეულია ილარიონ ქართველი.

მეორე დღეს ილარიონს თაყვანი უცია ქრისტეს საფლავისთვის, „ემთხვია თხემისა ადგილსა“ და მრავალი დღის შემდეგ საქართველოში დაბრუნებულა. მას მამა და ძმა გარდაცვლილი დახვედრია, ხოლო დედა ჯერ კიდევ ცოცხალი იყო თავის დასთან ერთად. დედის თხოვნით ილარიონმა თავისი ოჯახის წევრები მონაზვნად აღკვეცა: „შეგუმოსე და დაყუდებაჲ და სინანული ცოდვათა ჩუენთაჲ გვასწავე, რათა ჩვენც ვცხონდეთ შენ მიერ ვითარცა მრავალნი“. ილარიონმა თავისი სახლი ქალწულთა მონასტრად გადაქცია, მან დედა და თავისი და „აღკუეცნა და შეჰმოსნა სახე მონაზონებისაჲ“. რამდენიმე ხანში დედა გარდაცვლილა და ღირს მამას მშობელი პატივით, როგორც მონაზონს შეეფერე-

ბოდა, ისე დაუკრძალავს: „ილარიონ შემურნა ხორცნი, ღირსისა მის დედაკაცისანი და მიწისაგან მოცემულნი იგი მიწასვე მიუძღანნა“.

ამის შემდეგ ილარიონი დავით გარეჯის უდაბნოში დაბრუნებულა, სადაც მრავალ მონაზონს მისცა რჩევა-დარიგება. წმინდა მამამ სასწაულებრივად განკურნა საკუთარი ბიძა, დედის ძმა, რომელმაც ილარიონის სახლში არსებული მონასტერი გადაწვა. ამის გამო მკაცრი სასჯელი ეწვია და არაწმინდა სულის მიერ იქნა შეპყრობილი. ილარიონმა ბიძის თხოვნით მას ჯვარი გადასახა და განკურნა. ისიც საბოლოოდ მონაზვნად აღიკვეცა და ქონებაც მონასტერს შესწირა.

ილარიონ ქართველმა უარი განაცხადა ეპისკოპოსად კურთხევაზე, რადგან უყვარდა „დაყუდებით და სულგრძელებით ცხოვრება“. მან ერთი ღირსეული ძმა გამოარჩია მონასტრის წინამძღვრად და დაარიგა, რომ ყოველი საათნოება „სიყვარულისა მიერ და სიმდაბლისა განემტკიცნების და იცნობების“, თავად კი ორ ძმასთან ერთად კონსტანტინეპოლში გაემგზავრა, საიდანაც ულუმბოს მთამდე მიაღწია. ილარიონმა სხვა ქართველი მამების მსგავსად (გრიგოლ ხანძთელი, ექვთიმე მთაწმინდელი, გიორგი მთაწმინდელი) უარი განაცხადა ეპისკოპოსობაზე, იგი გაურბოდა ყოველნაირ დიდებასა და პატივს და უცხო სავანეებში მარტოობას ესწრაფვოდა. ილარიონი თავის მოწაფესთან ერთად ულუმბოს მთაზე ერთ-ერთ მცირე ეკვდერში დამკვიდრებულა, სადაც მწუხრის დროს ერთ ბერძენ ბერს უნახავს ისინი. ვინაიდან მათ საკვები არ ჰქონდათ, ბერს მათთვის „მცირედი პაქსიმადი და ცერცვი დამბალი წყლითა“ მიუტანია, ამ დროს ყველიერის შვიდეული ყოფილა აღსრულებული.

ერთი კვირის შემდეგ, თეოდორე მოწამის ხსენების დღეს იგივე ძმა მისულა ეკვდერში და უნახავს, რომ პაქსიმიდი ხელუხლებელი იყო „რამეთუ მარტოდ დამბლითა მით ცერცვითა წარსული კვირიაკე გარდაეველოთ“, ხოლო ერთი კვირა მთლიანად უჭმელად გაუტარებიათ. გაკვირვებულ ბერს უკითხავს, თუ რას ისურვებდნენ, რაზეც ღირს მამას უპასუხია, რომ წირვისთვის პური და ზედაშე ღვინო მიეტანა. ბერძენ მონაზონს შეუსრულებია თხოვნა და ღირს ილარიონს ჟამისწირვა აღუსრულებია, თავადაც ეზიარა, მოწაფენიც აზიარა და „მისცა საზრდელი იგი უკუდავი ზეცისა“. თავისი ასკეტური ღვაწლით ბერძენი მონაზონი

გააკვირვა ღირსმა ილარიონმა. მან და მისმა მოწაფეებმა ორი კვირის განმავლობაში მხოლოდ დამბალი ცერცვი მიიღეს, ხოლო პურს ხელი არ ახლეს და ერთკვირიანი მშრალი მარხვის შემდეგ აღასრულეს წირვა და მიიღეს ზიარება.

ღვაწლმოსილი ბერის ამბავი ბერძენ ბერს ულუმბოს მონასტერში მოუყოლია, მათ შორის მამასახლისისთვის, რაზეც იგი ძლიერ გაბრაზებულა და უთქვამს, როგორ გაბედეს ეკვდერში მსახურების ჩატარება „კაცთა უცხოთა და უმეცართა ელენთა ენასა?“ მას იკონომოსისათვის უბრძანებია სასწრაფოდ „უპატიოდ“ გაეძევებინა ისინი ეკლესიიდან. იკონომოს შეუსრულებია წინამძღვრის მოთხოვნა და ეკვდერის დატოვება მოუთხოვიათ ქართველი ბერებისათვის. ილარიონს, როგორც თავმდაბალ ბერს შეშვენოდა, მკაცრედი ბერძნულით უთქვამს, რომ მეორე დილით დატოვებდნენ ეკვდერს.

ამ ღამით მამასახლისმა იხილა ჩვენება – იგი შეიყვანეს დიდებულ ტაძარში, სადაც მჯდომარე იყო „წმიდაჲ დედოფალი ღმრთისმშობელი“, რომელსაც რისხვით მიუმართავს ბერისთვის, რომ მან უპატიოდ გააძევა ილარიონი და მოწაფეები მონასტრიდან და რომ მხოლოდ ბერძნული ენა არ არის შეწყნარებული ღვთის მიერ. ბევრი ქართველი მონაზონი „სათნო ეყვნეს ღმერთსა“, მან თავისი თავი უცხო ჰყო მათი ლოკვისაგან და, რაც მთავარია, ვინც ქართველებს არ შეიწყნარებს, „იგი მტერი არს ჩემი“. სასწაულით კიდევ ერთხელ დადასტურდა ქართველი ერის ღვთისმშობლისადმი წილხდომილობა, ბერძენ მოღვაწეებს კი განეცხადათ ილარიონის სიწმინდე. შეშინებული მამასახლისი ილარიონ ქართველს ეახლა და ფეხებში ჩაუვარდა, მან შენდობასთან ერთად ილარიონს სთხოვა, რომ ეკვდერში დარჩენილიყვნენ, რათა ღვთისაგან სასჯელი არ მიეღო. ღირსმა მამამ მამასახლისს შენდობა მისცა და მხოლოდ პური და ღვინო ითხოვა წირვისთვის.

ქართველმა ბერმა სასწაულებრივად განკურნა მამასახლისის დისწული. განკურნებულმა ყრმამ მოუთხრო ბიძას, რომ იგი ღირსმა ილარიონმა განკურნა. ბერის სახელი მთელ ულუმბოს მთაზე გავრცელდა.

ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ ილარიონი უქმად არასოდეს იყო, იგი თავისუფალ დროს ხელსაქმით იყო დაკავებული, მას იერუსალიმში

უსწავლია სქემის დამზადება: „არამედ თხზავნ იგი ოდესმე სქემასა და ოდესმე ფინიკის ფურცელსა, რომელი ესწავა იერუსალიმს“ (იქვე:231). ილარიონმა 5 წელი დაჰყო ულუმბოს მთაზე, შემდეგ გაემგზავრა კონსტანტინეპოლში, სადაც მან მორიგი სასწაული აღასრულა.

ღირსმა მამამ განკურნა დავრდომილი, რომელიც ვენახს იცავდა. კაცი 13 წლის განმავლობაში დავრდომილი იყო. ილარიონმა მას ასე მიმართა: „მადლითა მოციქულთაითა“ და „სახელითა იესუ ქრისტესითა აღდეგ და შეევედ ვენახად და მსწრაფლ მოიღო ჩემდა ყურძენი“. ვიდრე მეცხრეულად განკურნებული დავრდომილი ვენახიდან გამოვიდოდა, ილარიონმა დატოვა ის ადგილი და ქალაქში შევიდა. მას არც ამჯერად უნდოდა მისი ლოცვით აღსრულებული სასწაული გახმაურებულიყო და მისთვის პატივი მიეგოთ, რადგან „ნეტარი ევლტოდა კაცობრიესა დიდებასა“.

წმინდა მამა თესალონიკიდან რომში გამგზავრებულა, რათა მოციქულთა თავთა პეტრესა და პავლეს საფლავები მოელოცა, იქ მას ორი წელი გაუტარებია და ისევ თესალონიკში დაბრუნებულა, სადაც მორიგი სასწაული აღასრულა – მან განკურნა ყრმა, რომელიც ძალზე მძიმედ ყოფილა: „ნახეცარი იგი ხორცითა მისთაჲ სრულიად განმხმარ იყო“. ბერმა ილოცა სნეულისთვის და ჯვრის გამოსახვის შემდეგ ყრმა განიკურნა, ილარიონმა კი იქაურობა დატოვა. განკურნებულმა ყრმამ დედას მიაშურა, დედას თავის მხრივ ყრმა დედოფალთან მიუყვანია. საბოლოოდ ქალაქის კარიბჭე ჩაუკეტავთ და ილარიონი აღმოსავლეთის მხარეს უპოვიათ.

მთავრებთან შეხვედრისა და მათი დალოცვის შემდეგ ილარიონს ქალაქში დარჩენა სთხოვეს, რათა მათთვის „სულისა და ხორცთა“ მკურნალი გამხდარიყო, ილარიონი დათანხმდა მთავარს და ერთ მცირე ეკვდერში დაეყუდა, მათგან კი ითხოვა არ შეეწუხებინათ და მისთვის მხოლოდ ხმელი პური და დამბალი ცერცვი მიეტანათ. მის მიერ აღსრულებულმა სასწაულებმა და წმინდა ცხოვრებამ ქალაქის მაცხოვრებლებზე დიდი გავლენა იქონია, არაერთმა მათგანმა მონაზვნური ცხოვრება „შეიტკბო“ და ილარიონის ხელით შეიმოსეს „სახე მას ანგელოზთასა“. ღირსმა ილარიონმა სამი წელი გაატარა თესალონიკში. ღირს მამას ორმოცი დღით ადრე ეუწყა თავისი აღსასრული. გარდაცვალების წინ თავისთან მოიხმო

მთავარი, რომელსაც მადლობა მოახსენა მისი შეწყნარებისათვის, შემდეგ კი დამოძღვრა იგი და ლოცვა-კურთხევა გადასცა, რომ მისი კარები მუდამ ღიად ყოფილიყო ყველა „მევდრებელთა და უღონოთათვის“, მას უნდა მოეძულებინა ქრთამი, რომელიც აბნელებს „თუალთა სულისათა“ და უარი ეთქვა უკეთურ გულისთქმებზე, წინააღმდეგ შემთხვევაში „ცეცხლი იგი საუკუნოჲ“ არის გამზადებული.

მომდევნო შაბათ დღეს ილარიონმა მოუწოდა მათ, ვისაც მონაზვნობა ჰქონდა გადაწყვეტილი და დამოძღვრა ისინიც. გარდაცვალების წინ ეზიარა ქრისტეს უხრწნელ სისხლსა და ხორცს და მცირე სნეულების შემდეგ სამ დღეში აღესრულა ღრმად მოხუცებული. ღირსი მამა დიდი პატივით დაკრძალეს: „საღმრთოდ შემურეს და პატიოსნად დაჰკრძალნეს ლარნაკსა შინა ქვისასა“. წმინდანის საფლავზე მრავალი კურნებანი აღესრულებოდა.

იმპერატორ ვასილი მაკედონელის (867-886) ბერიობში თლიმპოს მთაზე მოღვაწე ილარიონის მოწაფე სამმა ქართველმა ბერმა წმინდა მამის ნაწილები თესლონიკიდან კონსტანტინეპოლში გადაასვენა. კონსტანტინეპოლის პატრიარქ ეგნატეს ქართველებისთვის სამონასტრო ადგილი გამოუყვია, სადაც მომავალში „ქართველთა მონასტერი“ აუგიათ (Цагарели. 1888: 40).

ღირსმა მამამ მრავალი ათეული წელი იღვაწა, იგი ჯერ კიდევ ყმაწვილი აღიკვეცა ბერად, დავით გარეჯის სავანეში ძველ მამებთან დაეუფლა ასკეტურ ღვაწლს, რომელიც შემდეგ თავად ახალ სიმაღლეზე აიყვანა. წმინდა მამამ მოილოცა იერუსალიმი, კონსტანტინეპოლი, ულუმბოს მთა, რომი და საბოლოოდ დამკვიდრდა საბერძნეთში, თესალონიკში. იგი ამ თვალსაზრისით გამორჩეული მოღვაწეა, რადგან მისი სამოღვაწეო არიალი ძალიან დიდია. მან სასწაულები აღასრულა დასავლეთში, რითაც დიდად გაითქვა სახელი. ღირსმა მამამ გამოიჩინა დიდი თავდადება და იორდანეს უდაბნოში, წმინდა ელია წინასწარმეტყველის გამოქვაბულში რამდენიმე წელი გაატარა, სადაც მას არავითარი პირობა არ ჰქონდა. ილარიონ ქართველი ძველი პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მოღვაწეა.

გრიგოლ ხანძთელი

ღირსი მამა გრიგოლ ხანძთელი (759-861წწ.) ძველი ქართული ბერმონაზვნური სკოლის ყველაზე გამორჩეული წარმომადგენელია. წმინდა გრიგოლის მიერ საქართველოში დაიწყო მონაზვნური ცხოვრების მეორე და უმთავრესი ეტაპი, რომელმაც განსაკუთრებული შედეგები მოიტანა. გრიგოლ ხანძთელი არ იყო მხოლოდ მკაცრი ასკეტი ბერი, იგი განსაკუთრებულ ყურადღებას განათლებას აქცევდა, რის გამოც შესაძლებელი გახდა ქართული ბერმონაზვნობა ახალ სიმაღლეზე ასულიყო. ჩვენამდე მოღწეული წმინდა მამის მიერ შექმნილი რამდენიმე ძეგლი საშუალებას გვაძლევს წარმოდგენა შეგვექმნას ამ დიდებულ მოღვაწეზე, მათზე დაყრდნობით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ღვთის გარეშე იგი არცერთ ნაბიჯს არ დგამს და მისი ყველა გადაწყვეტილება ლოცვა-ვედრებას უკავშირდება. შემთხვევით არ ამბობდა მღვდელი მელიტონ კელენჯერიძე მეოცე საუკუნის დამდეგს: „გრიგოლ ხანძთელი 12 უდაბნოს მამა, მზე ქართველი ბერობისა და საყრდომი სვეტი სულიერი მოღვაწეობისა“ (კელენჯერიძე. 1918:160). ამგვარი ეპითეტი ზუსტი შეფასებაა წმინდა გრიგოლ ხანძთელის ღვაწლის. შეიძლება ითქვას გრიგოლ ხანძთელმა ჩაუყარა საფუძველი საქართველოს სულიერ-პოლიტიკური პროცესის აღმავლობას.

ღირსი მამა წარჩინებულ ოჯახში დაიბადა. იგი ბატარაობიდანვე სიწმინდით გამოირჩეოდა. ცხოვრების ავტორი-გიორგი მერჩულე არაერთხელ აღნიშნავს, რომ იოანე ნათლისმცემლის მსგავსად მარხვაში „ღვინოჲ და ხორცი არა შეეხდა პირსა მისსა“. სიჭაბუკის წლებში არ უყვარდა ბევრი საუბარი: „წესს დაუდგენდა თავის ენას“, იღებდა უბრალო საზრდოს და ამბობდა: „პური გულისსათქმელი არა ვჭამო“. იყო მდაბალი გულითა და გლახაკი სულითა. მან საეკლესიო მწერლობა და მრავალი ენა შეისწავლა, რაც მომავალში კარგად გამოიყენა. მას წუთისოფლის ფილოსოფოსთა სიბრძნეც კარგად შეუსწავლია, კარგი მიუღია, ხოლო უკეთური უკუაგდო. შეხედულად კარგი, ტანით სრული და სულით უბიწო გრიგოლის ხუცესად კურთხევა განიზრახეს. მერჩულე ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ მღვდლად ხელდასხმისას დიდი სიფრთხილეა საჭირო და ღვთის სულგრძელებას უტვირთავს „მოთმენა უწესო

ადამიანების მღვდლობისა", თუმცა ასეთთა საყურადღებოდ „უმეტესი იქნებოდა საერთოდ არ შერთვოდნენ ადამიანთა რიცხვს, ვიდრე ის, რომ საუკუნოდ შერთვოდნენ დაუსრულებელ სასჯელს". ხოლო ღირსეული მღვდლები ყველაზე დიდ სულიერ თუ ხორციელ ვნებილდოს მიიღებენ.

საბოლოოდ ნეტარი მამა დაემორჩილა ღვთის ნებას და ხუცესად აკურთხეს, მღვდლობის შემდეგ მთავრებმა განიზრახეს გრიგოლის კურთხევა ეპისკოპოსად. ღირსმა მამამ კი ხორციელი დიდება არ ისურვა და „ფრიად წუხდა გული მისი". მან საიდუმლოდ დატოვა თავისი ადგილსამყოფელი და საღვთო მოწოდებისამებრ გაემართა უსარგებლო უდაბნოში, რათა „გამობრწყინდეს სახთელი ესე დაუვსებელი". მან ამ დროს იპოვა ერთგული მეგობრები: საბა, თავისი დეიდაშვილი, ბიზნის მეორედ მაშენებელი და ეპისკოპოსი, თევდორე ნეძვის მაშენებელი და ქრისტეფორე კვირიკეთის მაშენებელი.

ღირსი გრიგოლი თავის საძმოს წევრებთან ერთად თავდაბირველად ოპიზის უძველეს სავანეში დამკვიდრდა, სადაც ამბა გიორგი მოღვაწეობდა. ორი წელი აქ „ღუაწლითა ფიცხლითა მონაზონებისა შრომისაითა" გაატარეს. თუმცა მამა გრიგოლს გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ „ანგელოზებრივი ცხოვრებაᲐ მარტოდმყოფთაᲐ" ეტვირთა ოპიზის უდაბნოს იმ სივრცეში, სადაც ასკეტი ბერები მოღვაწეობდნენ: „რომელნი იგი იზრდებოდეს მძოვართა სახედ მწუანვილითა და ხილითა, ხოლო რომელნიმე მცირედითა პურითა". ე.ი. იმ დროისათვის პირველ ქართულ სამონასტრო სივრცეში ოპიზის მახლობლად უკვე მოღვაწეობდნენ დიდად ღვაწლმოსილი ბერები, რომლებიც მხოლოდ მცენარეული საკვებითა და მცირედი პურით იკვებებოდნენ, ზოგიერთი მათგანი ფარულად მოღვაწეობდა. ეს ალბათ არცაა გასაკვირი, პირველი ქართული მონასტერი იყო და იქ ასკეტური ცხოვრების დიდი გამოცდილება იქნებოდა. წმინდა გრიგოლმა მათგან ბევრი რამ ისწავლა: „ლოცვა და მარხვა", „რომელთაგანმე სიმდაბლე და სიყუარული", „რომელთაგანმე სიმშვიდე და განურისხველობა", „რომელთაგანმე უბოვარება და ქუეყანასა ზედა წოლასა", ქართველ მონაზვნებს, რომლებიც იმ დროს განდეგილად ცხოვრობდნენ, მრავალი ღვაწლი სცოდნიათ, მათ შორის „ზევდომით ძილი", ზოგიერთ მათგანს „უძილება" (მღვიძარება), ხელსაქმის დუმილით აღსრულება და მრავალი სხვა. ეს ფაქ-

ტი მოწმობს, რომ VII-VIII საუკუნეთა მიჯნაზე მოღვაწეობითი ცხოვრების მრავალი მიმართულება იყო განვითარებული ქართულ მონასტერში, მათ შორის არსებობდნენ მღვიძარე მამებიც და ისიც არ არის შემთხვევითი, რომ გრიგოლ ხანძთელი ვახტანგ გორგასლის მიერ დააარსებულ უძველეს ქართულ მონასტერში ეუფლება ასკეტური ღვაწლის ხელოვნებას.

სათაყვარი იყო გრიგოლ ხანძთელის შეხვედრა ხანძთაში დამკვიდრებულ მარტოდმყოფ ბერ ხუედიოსთან, რომელსაც ძილში ეუწყა მის შესახებ. სულიწმინდის წინამძღვრობით ღირსი გრიგოლი ხანძთაში მივიდა წმინდა ბერთან და ერთმანეთის ხილვით დიდად გაიხარეს, ერთად ილოცეს. გრიგოლმა, რომელსაც მუდამ თავმდაბლობა ახასიათებდა, წმინდა ბერს ღვთისრჩეული უწოდა და ლოცვებით შეწევნა სთხოვა.

ღვაწლმოსილმა ბერმა გრიგოლს არ დაუმალა, რომ ის უფრო ახალგაზრდა და საქმით მასზე „უხუცესია“ (უფროსია), რომ იგი „სულისა ჩემისა საუკუნო გვირგვინი“ და იმედია. აღსანიშნავია, რომ ხუედიოსს ღვთის წინაშე აღთქმა ჰქონია დადებული, რომლის მიხედვითაც მას სიცოცხლის ბოლომდე მარტოდმყოფობა უტვირთავს: „ან მე აღმითქვამს უფლისადა ვიდრე აღსასრულამდე ჩემდა მარტოდმყოფებაჲ“.

გრიგოლ ხანძთელმა თავის საძმოს წევრებთან ერთად თავდაპირველად ხანძთაში ხის ეკლესია და თითო სენაკი ააგო ძმათათვის და ერთი დიდი სატრაპეზო. რაც დრო გადიოდა, ხანძთაში მრავალი მონაზონი მოდიოდა და იწყებდა მოღვაწეობას. გეორგი მერჩულე გარკვევით გვეუბნება, რომ მონაზვნები ქრისტიან მოწამეთა ღვაწლის მონაწილენი ხდებოდნენ, უფრო მეტიც, რადგან მარტვილები მარტოოდენ ერთ დროს ეწამნენ, ესენი კი: „ყოველსა ჟამსა იწამებოდეს სახელისათვის ქრისტესისა“ (გრ.ხანძ.ცხ.2008:506). რადგან ჭეშმარიტი მონაზონი, დავით მეფსალმუნის მსგავსად, ყოველთვის კვდება ღვთისთვის: „შენთვის მოვწყდებით ჩუენ მარადღე“. როგორც პავლე მოციქული ბრძანებდა: „მე ყოველდღე ქრისტესთვის მოვკვდები“.

როდესაც ხანძთაში ძმებმა გამრავლება დაიწყეს, გრიგოლი ყველას გამოკდიდა, რადგან მცონარეებს (ზარმაცებს) არ ღებულობდა მონასტერში. იგი ყველა კარგ საქმეში ცდიდა მათ: „უკეთუ იპოვის გულით უმანკოი, უშაკველი, უდრტვინველად სიმდაბლით მორჩილი“ სიხარულით იწყნარებდა.

ღირსმა მამა გრიგოლმა მოინდომა ხანძთის მონასტერში დაეწესებინა ტიპიკონი „წესი საღმრთოჲ“, რის გამოც მან გადაწყვიტა მოელოცა მეორე იერუსალიმი „რომელ არს კონსტანტინეპოლი“. იერუსალიმში მიმავალ ერთ-ერთ მეგობარს სთხოვა საბაწმინდის ტიპიკონი გადაეწერა და ჩამოეტანა, თავად მოილოცა კონსტანტინეპოლი და ყოველი წმინდა ადგილი. გრიგოლს წმინდა მიწებიდან ჩამოუტანია წმინდანთა ნაწილები, წმინდა ხატები და სხვა მრავალი შეწირულობა.

დემეტრე აფხაზთა მეფესთან შეხვედრისას გრიგოლ ხანძთელი აღნიშნავდა, რომ „მონაზვნის ტალანტი მარხვაა“ და დასავლეთ საქართველოში ცხელი ჰაერის გამო არ შეიძლება მარხვა. მეფისვე თხოვნით წმინდა გრიგოლმა უბისის მონატერი დაარსა და მის წინამძღვრად ვინმე ილარიონი, იერუსალიმიდან მოსული მოხუცებული ბერი დაადგინა. კლარჯეთის უდაბნოზე საუბრისას მან მეფესთან აღნიშნა, რომ „ღვთის განგებას ერთი ჩვეულება აქვს“, რომ უდაბნოთა მონასტრები გლახაკთა ხელით შენდებოდეს, ასე უფრო თავისუფალი იქნებოდნენ „სოფლისა საცთურისაგან“. „სარწმუნონი და ჭეშმარიტნი“ მონაზონნი ქვეყანაზე არავის ხელმწიფების ქვეშ არ არიან, რადგან ისინი თავისი ნებით განერიდნენ საწუთროს ფუფუნებას და ღვთის გამო აღირჩიეს მწუხარება გლოვის ადგილებში, პირველ წმინდა მამათა მსგავსად. ნეტარმა მამამ მეფესთან საუბრისას აღიარა, რომ მის დროში არსებობენ მონაზვნები „მსაგვსნი პირველთა მათ ნეტართა კაცთანი“.

ხანძთის მონასტერში წმინდა გრიგოლის წეს-განგების მიხედვით შეზღუდული იყო ყმაწვილი ასაკის ბავშვების დამკვიდრება. როდესაც იქ პატარა არსენი და ეფრემი მოიყვანეს, მონასტრის საძმომ გრიგოლს შეახსენა, რომ ბავშვების მოყვანით თავად მისი დადგენილი წესი ირღვეოდა მისსავე სიცოცხლეში. ღირსი მამა სიმშვიდით ისმენს საძმოს წევრთა პრეტენზიას და გახარებული აუწყებს მათ, რომ ის არ არის მომხრე წმინდა მამათა მიერ დადგენილი წესები შეცვალოს, მაგრამ გამონაკლისი დაუშვა იმის გამო, რომ ღმერთმა „წმიდისა ანგელოზისა პირითა მაუწყა“ მათი მონასტერში მიყვანა. ნათელია, რომ წმინდა მამა უდიდესი სულიერების მატარებელია, ის ღვთისაგან ანგელოზის პირით იღებდა ბრძანებებს და აღასრულებდა უსიტყვოდ. უფრო ადრე იგი ქრისტე-

ფორესა და თეოდორეს აბარებს არსენსა და საბას და მათ აფრთხილებს, რომ მშობლებმა მიანდეს მათ უბიწო ბავშვების აღზრდა, ისინი წმინდად უნდა იყვნენ დაცულები და ამგვარად „ჰპოვებს მათ ქრისტე", ე.ი. ისინი ბავშვების აღზრდის გამო ღმერთთან იყვნენ ანგარიშვალდებულნი. სხვა დროს ამგვარი მიზეზის გარეშე არავის ჰქონდა დადგენილი წესის შეცვლის უფლება, წინააღმდეგ შემთხვევაში ბერი დიდად დაისჯება უფლის მეორედ მოსვლის დროს.

ეპისკოპოს საბა ამხნელთან სტუმრობისას საბა მას მღვდელმთავრის ტახტზე სვამდა, რადგან იგი მისი მოძღვარი და უფრო აღმატებული იყო. კიდევ უფრო მეტ ინტერესს იწვევს გიორგი მერჩულეს ცნობები კლარჯეთის წმინდა მამათა შეკრებისა და ერთობლივი ლოცვის შესახებ, სადაც ასევე ხელმწიფენიც შეკრებილან. დიდებულები გაკვირვებული დარჩნენ – „განკვირდა გონებაჲ ხელმწიფეთაჲ", როდესაც მათ წმინდა გრიგოლის მოწაფეები ნახეს უმკაცრეს ღვაწლში. ხანძთაში მოსულა მონასტრის წინამძღვრები მიძნაძორის მაშენებელი „დიდი მამა დავითი" და მისი მოწაფეები, წყაროსთავის მაშენებელი ნეტარი ილარიონი, შემდგომში კათალიკოსი და ბარეთელთის მაშენებელი ნეტარი ზაქარია. წმინდა მამებს ერთობლივად ულოცავთ და მეფეებისთვის აუხსნიათ, რომ წმინდა უდაბნოთა მამები „სულიერად განწყობილნი ლაშქარნი" ხორციელ ლაშქართა სიმტკიცენი და საჭურველნი არიან. რომ მეფეებს ქრისტეს მსგავსად უნდა გააჩნდეთ სიმდაბლე, უნდა შეეწიონ გლახაკებს და უფლის სიტყვის მიხედვით „სიმართლით განკითხუა" უნდა აღესრულებინათ, „სამართლი საჯეთო", ანუ ყველა საქმე სამართლიანობით უნდა განეხილათ. წმინდა გრიგოლის მოწაფეებს თავიანთი თავი ქრისტესთვის ჰქონდათ მიძღვნილი: „შეჰრაცხნეს თავნი თჳისნი მარადის ქრისტეს თანა", ისინი ხომ თავადაც ღვთის რჩეული ჯურჯანელნი იყვნენ!

წმინდა გრიგოლს გასაოცარი მეხსიერება ჰქონია და ყველა დღესასწაულის განგება კარგად სცოდნია: „რომელიცა დაესწავა, დაუვიწყებელად ახსოვდა". მერჩულე აღნიშნავს, რომ გრიგოლ ხანძთელის საწელიწადო იადგარი სულიწმინდის მადლით არის დაწერილი. წმინდა მამას ზეპირად სცოდნია ახალი აღთქმის ყველა წიგნი და „უმრავლესნი „ძუელის სჯულისანი". იგი ღვთის მცნებებს უბიწოდ იცავდა, რითაც მოიხვეჭა

უდიდესი მადლი და ყველასთვის სამაგალითო გახდა. მისი სიბრძნით კალრავეთის მონასტრები მტკიცდებოდნენ რწმენაში და ყველა ბერი უხვად იღებდა სულიერ საზრდოს. იგი კლარავეთის უდაბნოს მონასტრეთა წინამძღვრების ღირსეული მასწავლებელი და მოძღვარი იყო, მისგან იღებდა ყველა დიდიმარხვის კანონებს, მას ისე უყურებდნენ, როგორც წმინდა მოციქულს „შუამდგომელად ღმრთისა და კაცთა“.

ღირსმა გრიგოლმა თავისი თავმდაბლობის გამო მრავალჯერ თქვა უარი მღვდელმთავრად კურთხევაზე, ის შეაწუხეს კიდევაც მრავალგზის თხოვნით, თუმცა მან მაინც უარი განაცხადა, რადგან, მისი აზრით, სამღვდელმთავრო ტაძრებზე „არა უმრწემეს (უმცროსი) არიან წმიდანი უდაბნოთა ეკლესიანი“. მართალია მღვდლობის პატივს ეპისკოპოსისგან ვიღებთ, მაგრამ, პირველ მეუდაბნოე მამათა სწავლის მიხედვით, როგორ მადლსაც იღებს ადამიანი ნათლისღების ჟამს, „იგივე მადლი ვიხილეთ ოდეს ხატი მონაზონებისა მიაქუნ ახლადმონაზონსა, ეგრეთვე – წმიდისა სქემისა მიღებასა“, ე.ი. წმინდა მამის აზრით, მონაზვნად აღკვეცა და სქემაში შემოსვა უდიდესი მადლის მომტანია პიროვნებისთვის და უდაბნოში მოღვაწეობა არანაკლები პატივია, ვიდრე მღვდელმთავრობა.

გრიგოლ ხანძთელს უდიდესი ავტორიტეტი გააჩნდა, იგი თვით მეფესაც კი არ მოერიდა და ამხილა მძიმე ცოდვაში. ამოტ კურაპალატმა დედაკაცი სიძვისაჲ მოიყვანა, გრიგოლი ხელმწიფეს არ მოერიდა და ამხილა ცოდვაში ჩავარდნილი ხელმწიფე. თავის მხრივ ამოტმა აღუთქვა, რომ ქალს განუტევებდა, თუმცა პირობა დაარღვია. ეს ყოველივე შეიტყო ღირსმა მამამ, მეფის არყოფნის დროს თავის მოწაფეებთან ერთად მივიდა არტანუჯის ციხის ძირში და ქალისგან სადგომი, ღამის გასათევი და საჭმელი ითხოვა. მეორე დღეს კი გრიგოლმა მოინდომა დიაცს პირისპირ შეხვედროდა, რომლის დროსაც მან ამხილა მძიმე ცოდვაში ჩავარდნილი დედაკაცი, ქალი ატირდა და წმინდა მამას სთხოვა, რომ ეზრუნა მასზე: „შენს ხელთა ვარ, იზრუნე ჩემი სულისთვის“. გრიგოლმა ვედარი გადასახა და „აკურთხა ლოცვითა და შეჭურა მადლითა“. ხაძთელმა ბერმა გადადგა თამამი ნაბიჯი – მან ქალი არტანუჯიდან წამოიყვანა და მერეს დედათა მონასტერში დედა ფებრონიას ჩააბარა, რომელმაც უთხრა მოძღვარს, რომ თავად ქრისტე იზრუნებდა თავისი მხევლისთვის. გავიდა

დრო. დედა ფებრონიასთან თავად ხელმწიფე მიბრძანდა და გამოგონილი ყალბი მიზეზით ცოტა ხნით ქალის სასახლეში დაბრუნება ითხოვა, თუმცა დედათა მონასტრის წინამძღვარი შეუვალი აღმოჩნდა. დედა ფებრონიამ ამოტ მეფე ფსალმუნთა სიტყვებით ამხილა: „მიზეზებად მიზეზთა ცოდვისათა კაცთა თანა, რომელნი იქმან უსჯულოებასა (ფს.140.4) ეს სიტყვები ნიშნავს შემდეგს: თუ ადამიანს ცოდვის ჩადენა სურს, მიზეზს ყოველთვის იპოვის. ფსალმუნთა სიტყვებით მხილებულ მეფეს შერცხვა და ესღა თქვა: „ნეტარ მას კაცსა, ვინ არღარა ცოცხალ არს!“ (ნეტავი იმ ადამიანს, ვინც ცოცხალი არაა) (ბოჭორიშვილი.2020:104). მონასტრის იღუმენიამ ფსალმუნის სიტყვებით ზემოქმედება მოახდინა შეცდომილ ხელისუფალზე და იგი საკუთარ ცოდვაში დაარწმუნა, მეფემ შეიგნო ჩადენილი ცოდვის სიმძიმე, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ფსალმუნთა სიტყვებს არ იტყოდა.

გრიგოლ ხანძთელმა ამხილა ასევე ადარნასე, ამოტის ძე, უდანაშაულო ცოლის გაშვებისათვის და უწინასწარმეტყველა, რომ „არსმენისათვის სიტყუათა ჩემ გლახაკისათა მიეცე ბოროტთა სენთა“ (გრ.ხანძ. ცხ.2008:626). წმინდა მამა გრიგოლი იბრძვის, რათა ქვეყნის მმართველებმა დაიცვან სულიერ-ზნეობრივი კანონები და უშჯულოებათა გამო არ დაისაჯონ, მეფის ჩადენილი ცოდვა კი ერსაც დააზარალებს. მას, როგორც ღვთის რჩეულ მოღვაწეს, არ შეუძლია დადუმება და მეფეთა ცხოვრებაში უშუალოდ ერევა, რათა აღკვეთოს უშჯულოება და ცოდვას გზა დაუხშოს. ის ამ მიმართულებითაც წარმატებული მოღვაწეა. მისი ავტორიტეტის წინაშე მეფეები და დიდებულები უძლურნი არიან. მაგრამ გრიგოლ ხანძთელს თავის წარმოსაჩენად არ გამოუყენებია უზომო ავტორიტეტი. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ქართველი ბერ-მონაზვნები სიწმინდისა და სიმართლის სადარაჯოზე დგანან, მათ ხელეწიფებათ თვით მეფეც კი ამხილონ მძიმე ცოდვებში და გადადგან რადიკალური ნაბიჯები. უმაღლესი საერო ხელისუფალი კი მათ წინააღმდეგ უძლურია. ეს ფაქტი გამორჩეული შემთხვევაა ბერმონაზვნობის ისტორიაში, რადგან მონაზვნებს ამგვარი ავტორიტეტი ყველა დროში არ ჰქონდათ.

წმინდა გრიგოლ ფერაძე აღნიშნულთან დაკავშირებით თავად მერჩულეს სიტყვებს იყენებდა: „ხორცეელად ძლიერთა ხელმწიფეთა სულითა

ძლიერთა კაცთა სძლეს". როგორც ამ პატარა ეპიზოდიდან ჩანს, ქართული ბერმონაზვნობა თავისი საუკეთესო წარმომადგენლების სახით მკაცრად ამხელდა იმდროინდელ წარჩინებულთა ამორალურ ცხოვრებას და მკაცრი სასჯელით ემუქრებოდა. საქმე ეხება პრინციპებს და ასე უნდა იყოს. ბერმონაზვნობა ძალიან ენერგიულია, როდესაც საქმე მორალს ეხება (ფერაძე.2012:229). ძნელია არ დაეთანხმო გრიგოლ ფერაძეს, ისიც ხომ ბერმონაზვნების ბრწყინვალე წარმომადგენელი იყო და მანაც თავისი ცხოვრების ბოლოს სულიერად აკმაბა ფიზიკურად ძლიერ მტერს.

ცნობილმა მეცნიერმა პავლე ინგოროყვამ შეისწავლა გიორგი მერჩულეს თხზულება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება". მეცნიერი გამოყოფს ღირსი მამის სამ სავედრებელ ლოცვას, რომელიც თავად გრიგოლს დაუწერია.

პირველი სავედრებელი დაწერილია ხანძთის აგების დროს 782 წლის ახლოს, რომელსაც ეწოდება „სავედრებელი ლოცვა" „წყობილი სიტყვის" ფორმით. სავედრებელი 10 მუხლისგან შედგება და წმინდა მამა უფალს მიმართავს, რათა მისგან მიიღოს კურთხევა ეკლესიის ასაგებად „ადგილსა კეთილსა, განსასუენებელსა ნებისა შენისასა", მშვენიერ ადგილზე აგებული ტაძარი ღვთის ნების განსავენებელი იქნება, სადაც მორწმუნეები მუდმივ ვედრებას აღუვლენენ უზენაესს, რომელიც მომავალში მთელი თავისი დიდებულებით მოვა „დიდებით მეორედ მოსვლისა შენისასა", წმინდა მამა მთელი არსებით განიცდის იმ უმნიშვნელოვანეს მოვლენას, რომელიც კაცობრიობას ელოდება. უფლის მეორედ მოსვლა მთელი სამყაროსთვის გახდება ცნობილი, როცა ანგელოზთა საყვირის ხმა ყველას შეაძრწუნებს, ვინც კი დაბადებულა, რის შემდეგაც ყოველი კაცი განიკითხება და თავისი დამსახურების მიხედვით მიეზღვება, მართალნი ღვთის სასუფეველში განისვენებენ: „მართალთა ახარებდეს ცხოვრებასა დაუსრულებელსა". სწორედ ეს დღე აშინებს ღირს მამას, რადგან იგი თავის თავს უღირსად მიიჩნევს: „რომლისაგან მე ვძრწი", „არამედ უდებებისა მედრობათაგან ძლეული". ამგვარი მიმართებით გრიგოლ ხანძთელი მოუწოდებს ყველა ქრისტიანს, რათა გაიაზრონ მომავალი საყოველთაო განკითხვა და ღვთის ნების აღმსრულებელნი გახდნენ. ღვთისმოშიშ მამას წამს, რომ ასე აღსრულდება და მოხდება „მხილებაჲ ცოდვათა", რასაც მთჰყვება კაცთა „განახლებაჲ და შეერთებაჲ სულთა და ხორცთა",

ზოგი საუკუნო ცხოვრებას, ზოგი კი „სატანჯველსა საუკუნოსა“ დაიმკვიდრებს. ლოცვის ბოლოს ღირსი გრიგოლი ყველა თავის მიღწევას უარყოფს, რადგან იმ დღეს (მეორედმოსვლისას) მას ვერავინ დაეხმარება „ვინაჲ იყოს ჩემდა ხსნაჲ ბრალთა პატიჟისაგან“, რადგან მას არაფერი გაუკეთებია „არაჲ მომიგიეს მე საქმეჲ“ (ინგოროყვა.1954:738), რითაც იგი ქრისტეს წინაშე მართალი აღმოჩნდება. ყოველივე ამას წმინდა მამა დიდი თავმდაბლობის გამო აკეთებს, საკუთარ მიღწევებს უარყოფს და მხოლოდ ღმერთს მიანდობს თავის სულს.

მეორე საველდრებელი ღირს გრიგოლს დაუწერია უფრო გვიან – 815 წლის ახლოს, როდესაც ხანძთის ტაძარი ააგო „გიორგი ჴუარითა მოქადულის“ (წმინდა გიორგის) სახელზე. წმინდა გიორგი ქართველთა მფარველად ითვლებოდა. ტაძრის მშენებლობის დაწყების წინ გიორგი მერჩულე წერს: „ხოლთ ნეტარმა გრიგოლ ადგილი იგი საეკლესიო [ხანძთას] დააჲვაკა, და ვითარ დაიწყებდა ეკლესიას, ესე ლოცვაჲ ცრემლით წართქუა, დაწერილი „წყობილი სიტყვის“ ფორმით. ლოცვა 11 მუხლისგან შედგება და ქრისტეს განკაცებას განადიდებს. ქრისტემ თავისი ხორცთშესხმით ყოველ დაბადებულს განუცხადა ღვთის განგებულება: „ხორცშესხმისა შენისა განგებულებაჲ ღმრთეებრ აჩუენე“ (იქვე:0102). აღნიშნულ საველდრებელში ღირსი მამა წმინდანთა თთხ კრებულს, გუნდს გამოყოფს, რომლებიც ქრისტეს ეკლესიის სიმტკიცეს წარმოადგენენ. ლოცვაში იგი გვაუწყებს, რომ წინასწარმეტყველებმა „წინასწარ-უწყებით“, მოციქულებმა „ქადაგებით“, მოწამეებმა „ჭეშმარიტი აღსარებით“, ხოლო მეუდაბნოე მამებმა მუდმივი დიდება უნდა აღუვლინონ ღმერთს „მარადის დიდებითა სახელისა შენისა წმიდისათა“. წინასწარმეტყველნი, მოციქულნი და მოწამენი წარსულში იყვნენ, მეუდაბნოე მამებს კი ასპარეზი წინ აქვთ, მათ მუდმივად უნდა იღვაწონ და, რაც მთავარია, ბერები პირველი სამი კრებულის ღირსეული გამგრძელებლები არიან და სამყაროს არსებობის განმავლობაში მათი ვედრება ღვთის მიმართ არ უნდა შენელდეს.

უძველესი დროიდან წმინდა გიორგის სასწაულები ყველასთვის იყო ცნობილი, მან მრავალ ქრისტიანს „ასწავა სიმხნეჲ ძლიერი“, რადგან მხიარულებით დაითმინა მრავალი სატანჯველი. აღნიშნულ საგალობელში გრიგოლ ხანძთელი წარმოაჩენს დიდმოწამე გიორგის დიდ ღვაწლს და გარკვეულწილად ცდილობს ყველამ მისგან აიღოს თავდადებისა და სიმტ-

კიკას მაგალითი, წმინდანის სახელზე ტაძრის აგებაც ამაზე მიგვანიშნებს.

მესამე სავედრებელი 830 წლის ახლო ხანებში დაუწერია შატბერდის დასრულების შემდეგ: „და რაჟამს მივიდა ნეტარი მამაი გრიგოლ შატბერთს, მაშინ ცრემლითა მისითა მდინარითა ირწყვოდა ადგილი იგი, იტყოდა რაჲ ლოცუასა ამას“ (იქვე:735).

გიორგი მერჩულე გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში ასახელებს სხვა ნაწარმოებსაც: „ქებაჲ კლარჯეთისა უდაბნოთაჲ“. 826 წლის ახლოს დასავლეთ საქართველოში უბისის მონასტრის დაარსების დროს გრიგოლმა აფხაზეთის მეფე დიმიტრის მოუთხრო კლარჯეთის მონასტრებზე, რაც ძალიან ფასეულია და საინტერესო ცნობებს გვაწვდის ქართულ სამონასტრო ცხოვრებაზე. ღირსი მამის სიტყვით, კლარჯეთის უდაბნოში ზომიერი ჰაერია, არც ძალიან სიცხეა და „არც გარდარეული სიცივეჲ“ შეაწუხებს ბერებს. კლარჯეთში მოიპოვება წყალი და შეშა, იქვე იყო მრავალი ლამაზი ადგილი „მაღნარი“, რომლებიც კაცთაგან მიუვალია, რაც სამონასტრო ცხოვრებისთვის სასარგებლო იყო: „უგზო და მიუვალ რაითურთ სოფლისა წესისა მაცხოვრებელთაგან“, ე.ი. კლარჯეთის მაღალ მთებში ერისკაცებს მისვლა არ შეეძლებოდათ უგზოობის გამო, რაც მოღვაწეობისათვის ერთ-ერთი უმთავრესი პირობა იყო. კლარჯეთში არ იყო ყანები, სახნავ-სათესი მიწები და იქ მხოლოდ ვირით მისვლა იყო შესაძლებელი. იმ მიდამოებში დიდი შრომის ფასად მოჰყავდათ ვენახი და „ეგრეთვე მტილები“ (ბაღები). იქვე მოიპოვებოდა ასევე ველის მხალი „არს სიმრავლე ურიცხვ“, მკაცრი ასკეტური ცხოვრებისთვის ველური მხალის არსებობას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა. კლარჯეთის უდაბნოს მყუდრო ადგილმდებარეობა ბერებს საშუალებას აძლევდა, რომ მშვიდად აღესრულებინათ სამონაზვნო საქმე და „ქრისტე ედიდებინათ“.

ყოველივე ეს გაოცებას იწვევს. გრიგოლი ადრეული პერიოდის უდიდესი ქართველი მეცნიერი ბერია. იგი თარგმნის ქრისტიანული ეკლესიის მნათობის იოანე დამასკელის საგალობლებს ისე, რომ არ არღვევს ტექსტის თეოლოგიურ შინაარსს და ამასთანავე თარგმანი უფრო ნათელი და მარტივია, რაც გრიგოლის ღრმა განათლებასა და სულიერებაზე მეტყველებს. მისი საგალობლები იმდენად დიდი მნიშვნელობის იყო, რომ მეათე საუკუნეში მიქაელ მოდრეკილის კრებულში შეიტანეს. მისი ნიჭი მრავალმხრივია, მას შეუძლია შექმნას ლოცვები, საგალობლები, შესხმა

თუ იადგარი და ყოველივე ამას ბოეტური ნიჭიც ახლავს. წმინდა მამას თავისი სავანისთვის ტიბიკონის შექმნაც არ გამორჩენია მხედველობიდან. მის მიერ შექმნილი ხანძთის წეს-განგება ერთ-ერთი უადრესია საქართველოს ეკლესიაში. ტიბიკონს, სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოუღწევია.

გიორგი მერჩულეს თხზულებას წითელი ხაზივით გასდევს იდეა, რომ უმაღლეს სულიერებაზე აღმოცენებული სამონასტრო ძმობა არის არა მარტო სამეფო ხელისუფლების ძლიერების ქვაკუთხედი, არამედ მისთვის ზნეობისა და სამართლიანობის მასწავლებელი და მათ საქმეებზე ღმერთთან შუამავალი (გაბიძაშვილი. 2010:178).

გრიგოლ ხანძთელი მონასტერში მოღვაწე ასკეტი ბერი არ ყოფილა მხოლოდ, იგი კარგად ხედავდა იმ საფრთხეს, რომელშიც არაბთა ბატონობის გამო ქვეყანა იმყოფებოდა. იგი გვევლინება ქართველთა ქრისტიანული ცნობიერების მედროშედ. ღირსმა მამამ ერთ-ერთმა პირველმა გამოიყენა ტერმინი „ერი მართლმადიდებელი“, რომელიც განსაცდელში იმყოფებოდა. პ. ინგოროყვა შენიშნავდა, რომ დამპყრობელთა საუკუნე-ნახევრის ბატონობის შემდეგ თვით არსებობაც კი ქართველი ხალხისა, მისი მომავალი, ეჭვქვეშ იყო დაყენებული (ინგოროყვა.1954:808). აქედან გამომდინარე, გრიგოლ ხანძთელმა დაიწყო უმნიშვნელოვანესი საქმე, მან გადაწყვიტა მძლავრი სამონასტრო ცენტრების ჩამოყალიბება, სადაც შესაძლებელი იქნებოდა სწავლა-განათლების მიღება და აღევლინებოდა ღვთისადმი ვედრება, რათა „ერი მართლმადიდებელი“ ფიზიკურად გადარჩენილიყო. მან თავისი გულისხმადები გადმოსცა საგალობელში, რომელიც „საქვეყნო სათხოვარით“ სრულდება: „ერი შენი იხსენ სახიერებით, განწირული და გლახაკი, რომელი ღუაწლსა შინა დაწუნებულ არს მარადის მტერთაგან“. გრიგოლი დიდი მოღვაწეა, მას აქვს კადნიერება უფალს მიმართოს ერის გადარჩენისთვის, კარგად იცის ქვეყნის მდგომარეობა, ამიტომაც ღვთისგან ითხოვს შეწევნას. არაბთა თავდასხმების გამო შესაძლოა ერი განადურდეს, ამიტომ სწრაფად უნდა იმოქმედოს, რომ ქართველობა გადაარჩინოს.

გრიგოლ ხანძთელის აზრით, ქართველი ერი მტრის თავდასხმების გამო განწირულია და მხოლოდ სახიერ ღმერთს შეუძლია მისი გადარჩენა: „რათა იხსნნე მტერთაგან მადიდებელნი შენნი“. წმინდა მამის მიხედვით ქართველი ერი მართლმადიდებელია, მორწმუნე და აღმსარებელი, სწორედ

ამას გამო უფლებამოსილია ღმერთს მიმართოს დახმარებისთვის: „ერი მართლმადიდებელი, მორწმუნე აღმსარებელი, შენდა მომართ მვედრებელი... ქრისტე მიხსენ ჩუენ“ (იქვე:809). მისი აზრით, განწირული ერის ხსნა მხოლოდ უფალს შეუძლია. ვინაიდან გრიგოლ ხანძთელი მართლმადიდებელი ერის წარმომადგენელია, მან კარგად იცის, როგორ ევედროს უფალს და რა გზით შეიძლება მისი ხსნა, რომ გადარჩენის ერთადერთი გზა ღვთის შეწევნაშია, სხვა შემთხვევაში ერი ვერ შეძლებს გადარჩენას.

კლარჯეთის საგანეთა არქიმადრიტი ღრმა მოხუცებულობაში, 102 წლის ასაკში აღესრულა. მას წინასწარ ეუწყა წუთისოფლიდან გასვლა და თავისი სულიერი შვილები წმინდა წერილის სიტყვებით დამოძღვრა: „ერთმანეთი გიყვარდეთ და ყველა ამით მიხვდება, რომ ჩემი შვილები ხართო“. ქრისტეშობიდან 861 წელს ღირსი მამა მიიცვალა. გრიგოლ ხანძთელის ხსენების დღედ დადგენილია 18 ოქტომბერი, ამავე დღეს დადგინდა ტაო-კლარჯეთში მოღვაწე მამათა და დედათა ხსენებაც.

დიდი მამის დამსახურებაა, რომ ერის მართლმადიდებლობის ამაღლების საქმეში ბევრი რამ გააკეთა. მან დააარსა ისეთი სავანეები, სადაც აღესრულებოდა ღვთის მიმართ გულწრფელი წირვა-ლოცვა, სადაც გრიგოლის მსგავსად ღირსეული პირები დამკვიდრდნენ. გარკვეული პერიოდის შემდეგ ღირსი მამის სათხოვარი შეისმინა უფალმა და იხსნა „ერი მართლმადიდებელი“. ჩვენი აზრით, წმინდა გრიგოლ ხანძთელის საგალობლები იმდროისათვის ეკლესიებში იკითხებოდა. გალობა – ეპილოგებში ღირსი მამა უმთავრეს ყურადღებას სწორედ „საქვეყნო სათხოვარზე“ ამახვილებდა, ანუ ოგი ერზე მლოცველი ღვთის რჩეული მოღვაწე იყო, რომლის ღვაწლმაც სამომავლოდ განაპირობა ქართველი ერის გადარჩენა და ძლიერი ქრისტიანული სახელმწიფოს – ერთიანი საქართველოს ჩამოყალიბება.

*შეცხრამეტე საუკუნიდან მოყოლებული შატბერდის ტაძრის ადგილმდებარეობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა. შატბერდის ადგილმდებარეობის შესახებ 1999 წელს თავისი მოსაზრება გამოთქვა თურქმა მკვლევარმა მინე ქადიროღლუმ, რომელიც მიიჩნევს, რომ სოფელ ბოსელთასთან მიაკვლია შატბერდის მონასტერს, თუმცა ქართველმა მკვლევარებმა ეს პოზიცია არ გაიზიარეს (ხუცმზეილი, იმედაშვილი. 2016:58).

სერაპიონ ზარზმელი

ქართული ბერმონაზვნური სკოლის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი იყო ღირსი მამა სერაპიონ ზარზმელი, რომელიც IX საუკუნეში მოღვაწეობდა. ბასილი ზარზმელმა აღწერა წმინდა მამის ცხოვრება, სადაც მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ სერაპიონმა და მისმა მოწაფეებმა „პირველი მამების“ მსგავსად იტვირთეს უმკაცრესი ღვაწლი და აუცილებელია, რომ ყველამ მოისმინოს „დიდი მნათობის“ სერაპიონის სწავლა-დარიგებანი და საღვთო საქმეები. ბასილი ზარზმელი მოგვითხრობს სერაპიონის მიერ აღსრულებული უდიდესი სასწაულის შესახებ, თუ როგორ შეაჩერა მისი ლოცვით მზემ მოძრაობა და როგორ შეძლეს ფერისცვალების წმინდა ხატით მსვლელობის გაგრძელება. სერაპიონ ზარზმელის ლოცვით სასწაულებრივ ვითარებაში დაარსდა ზარზმის ბრწყინვალე მონასტერი, სადაც ღირსი მამა თავის მოწაფეებთან ერთად მრავალი წელი აღასრულებდა ასკეტურ ღვაწლს. სერაპიონმა გარდაცვალების წინ მონასტრის წინამძღვრად გამოარჩია ერთ-ერთი სათნო მღვდელი გიორგი, რომელსაც აუწყა: „არა მე, არამედ ქრისტე გაბრძანებს ჩემით“ (ქართ. წმ.მამათა ცხოვრება.2005:129). უბრალო მოღვაწე ასეთ ბრძანებას ვერ გასცემს. ნათლად ჩანს, რომ სერაპიონმა სულიერების უმაღლეს საფეხურს მიაღწია, მან წინასწარ იცოდა წუთისოფლიდან გასვლის ზუსტი დრო და ოთხი დღის ავადმყოფობის შემდეგ, მეხუთე დღეს, როგორც ახალგაზრდა ადგა, წმინდა ტრაპეზსა და ხატს ემთხვია და ეზიარა. სერაპიონი აღესრულა იმავე დღეს დღის სამ საათზე და დაკრძალეს საკურთხევლის აღმოსავლეთით, თავის მიერ გამზადებულ ადგილზე, ბერის დაკრძალვისას კურნებანი აღსრულებულა. ღირსი მამა აღესრულა 900 წელს.

ზარზმის ეკლესიაზე საუბრისას წმინდა ექვთიმე თაყაიშვილი აღნიშნავდა, რომ სერაპიონ ზარზმელი დაკრძალული უნდა ყოფილიყო ტაძრის აღმოსავლეთ ეკვდერში. სიგრძით 8 არშინის და განით 5 არშინის მქონე ეკვდერს მისი ყურადღება მიუპყრია, რადგან ის განცალკავებული სამწირველო ყოფილა თავისი საკუთარი საკურთხევლით. საძირკველი ამაღლებული ოთხი საფეხურისაგან შედგება, სამი ოთხკუთხედი და მეოთხე მომრგვალებული. ეკვდერს სამხრეთ მხარეს ჰქონია გრეხილი, კედლიდან ძლიერ გამობერილი 13 ვერშოკის სიმაღლეზე მიწიდან. შიგნით მომრგვა-

ლო თაღი აქვს ნახევარ სვეტებზე ანუ პილასტრებზე დამყარებული. სისქე კედლისა არის 1 არშინი და 2 ვერშოკი. ეს ეკვდერი ექ. თაყაიშვილმა მიიჩნია სერაპიონ ზარზმელის განსასვენებლად, რადგან ამ ფაქტს თავად წმინდანის ცხოვრებაც აღიარებდა. სერაპიონის გარდაცვალების შემდეგ გვამი მისი შემურეს და დადგეს საფლავსა, რომელი იგი თვით შეემზადა მას აღმოსავალით საკურთხევლისა. სხვა ადგილას აღნიშნულია, რომ „მოიწია მესამე დღე მიცვალებისა მისისა და დაიდვა წმიდაჲ იგი პირველ ხსენებულსა, მას საფლავსა, რომელი თვით ეშენა აღმოსავალით საკურთხეველსა და დამარხებით საკურთხევლისა“. დიახ, ამ მხრით ეკლესიას სარკმელი აქვს და სასაფლაოც ამის ქვემოთ, დამარხებით, იქნება (თაყაიშვილი. 1907:119).

სერაპიონ ზარზმელმა ჯერ კიდევ სიცოცხლეში მოამზადა თავისი განსასვენებელი ადგილი, თუმცა არაფრით გაუმშვენიერებია. გარდაცვალებიდან მესამე დღეს სერაპიონის სხეული შეუმურავთ და ეკვდერში სარკმლის ქვემოთ დაუკრძალავთ. გარკვეული დროის შემდეგ, როდესაც სერაპიონის საფლავზე დაწყებულა კურნებანი, მის ძმისწულს, ბასილი ზარზმელს დაუწყია საფლავის შემკობა: „რაჟამს ვიხილე საფლავი მისი ადგილსა ფარულსა, რომელსა ყოველნი უძლურნი მიიღებდეს დღითი დღედსა კურნებასა... ხელვყავ და შევამზადე ლარნაკი ქვისა და აღვაღე საფლავსა მისსა, რომლისა მიერ გამოხდა სული სულნელებისაი მიუწდომელსა... და სანთელთა სიმრავლითა და მადიდებელთა მგალობელთათა დავსხენით ლარნაკსა შინა ახალსა“. ე.ი. თავდაპირველად სერაპიონის საფლავი არ იყო თვალსაჩინო ადგილზე, მაგრამ მას შემდეგ, რაც წმინდა ძვალთშესალაგზე სასწაულები აღსრულებულა, მონასტრის საძმოს, ანთებული სანთლებითა და გალობის ფონზე წმინდანის სხეული საფლავიდან ამოუსვენებიათ. ამოსვენების დროს სერაპიონის სხეულის კეთილსურნელებას გამოსცემდა. კურნებათა აღსრულება და სხეულის კეთილსურნელება მიგვანიშნებს, რომ ბერი წმინდანი იყო. იმ დროისათვის საქართველოს მონასტრებში იცოდნენ საფლავის გახსნა, ბერის სხეულის შესაფერისი წესით აღმოყვანა და ახალ სანაწილეში გადასვენება. სერაპიონის ამოსვენების შემდეგ ქვის ლარნაკზე ჯვარი აღუმართავთ და იმავე ეკლესიაში ერთი მღვდელი განუწესებიათ მსახურების ჩასატარებლად. ექვთიმეს აზრით, თუკი არქეოლოგიური გათხრა ჩატარდებოდა, დადასტურ-

დებოდა მისი ვარაუდი და სერაბიონის ქვის ლარნაკი აღმოჩნდებოდა.

1903 წელს, როცა ექვთიმე ზარზმაში იმყოფებოდა, მას ჩრდილოეთის კედელზე უნახავს ბერის ფრესკა წარწერით „წმ. სრბ. ზ–რლი“. მან იმ დროს ვერ კიდევ არ იცოდა, რომ ზარზმის მონასტერს თავისი წმინდანი ჰყავდა და უფრო მეტიც სერაბიონის ცხოვრება მაშინ არ იყო ცნობილი. ამ თვალსაზრისით ზარზმა გამორჩეული მონასტერია, სადაც განისვენებს მონასტრის დამაარსებელი ღირსი მამა სერაბიონ ზარზმელი და არსებობს გვიანი პერიოდის ფრესკაც.

სამონასტრო ცხოვრების ათონური პერიოდი

ათონის ივერთა სავანე

ათონის მთა, გადმოცემის მიხედვით, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა გამოარჩია და მისი განსაკუთრებული მფარველობის ქვეშაა. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ ქართველებს ერგოთ პატივი ათონის მთაზე ჰქონოდათ საკუთარი სამონასტრო ცენტრი, სადაც დაიწყო ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის განდიდება. თანამედროვე პერიოდში მოღვაწე ბერძენი ბერი გვაუწყებს, რომ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მთაზე მობრძანების უძველესი გარდამოცემა, რომლის მიხედვითაც წმინდა მთა წარმოადგენს ღვთისმშობლის წილხვედრ ადგილს, გახდა ათონის მთის ყველა დროის მონაზონთა მიერ თაყვანისცემის დასაბამი (კავსოკალიევლი.2014: 206). ათონის მთაზე, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვედრ ადგილზე, ღვთისმშობლის წილხდომილი ქვეყნიდან ჩასულმა მონაზვნებმა იოანე მთაწმინდელის ხელმძღვანელობით დააარსეს ივერთა სავანე. ეს მოხდა ღვთისმშობლის შეწევნით, რადგან ახლადდაარსებულ სავანეში 999 წელს თავად ღვთისმშობლის სასწაულმოქმედმა ხატმა ინება დაბრძანება დიდი ქართველი ბერის გაბრიელის ხელით.

ათონის მთაზეც გამორჩეული მონასტრები სწორედ ღვთისმშობლის სახელზეა აგებული: დიდი ლავრა (ათანასეს), ვათოპედი, ფილოთეუს მონასტრები და მრავალი სკიტი და კელია. მაცხოვრის დედის, ღვთისმშობლის მიძინების სახელითაა ცნობილი ივერონის მონასტერი, სადაც წმინდა მთის უბრწყინვალესი დღესასწაული აღესრულება (იქვე:206).

ათონის ივერთა მონასტრის დაარსებით ახალი ეპოქა დაიწყო ქართულ სამონაზვნო ცხოვრებაში. ათონელი მოღვაწენი აქტიურად გვევლინებიან ქართველთა განმანათლებლებად (არამარტო ქართველთა). ივერთა სავანის დიდმა მოღვაწეებმა საფუძველი ჩაუყარეს სულიერად ძლიერ საქართველოს. როგორც გიორგი მთაწმინდელი ბრძანებდა ექვთიმე ათონელის ღვაწლის შეფასებისას: „განანათლა ქართველთა ენა და ქვეყანა ... განსწავლულ იქმნა ყოვლითა სიბრძნითა განმანათლებლად და შემამკობელად ეკლესიათა ჩვენთა“. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ იერუსალიმის შემდეგ არცერთ უცხოურ სავანეს საქართველოსთვის იმხელა დატვირთვა არ ჰქონია, როგორც ათონის ქართველთა სავანეს. ივერთა მონასტერმა მთელ ქრისტიანულ სამყაროში გაუთქვა სახელი ქართველ ბერებს. კირიონ საძაგლიშვილი თავის ნაშრომში შენიშნავდა, რომ ივერიის წმინდა მთის მონასტრის დიდება მალე ათონის საზღვრებს გასცდა და სულიერი ცხოვრების სრულყოფის ყველა მსურველს იზიდავდა. მის სტუმართმოყვარე მოწესეთა კარი ყველა ერის წარმომადგენლისათვის ღია იყო და ყველას ქრისტესმიერი ძმური სიყვარულით იღებდნენ (საძაგლიშვილი. 2005:253). ივერთა მონასტერში მოღვაწე მამებმა იოანე მთაწმინდელის მოთავეობით ქართულ ბერმონაზვნობას ბევრი ახალი შემატეს, თუმცა არ დაუკარგავთ ძველი. ყოველივე ამას დაემატა მთარგმნელობითი საქმიანობისადმი განსაკუთრებული ყურადღება.

თავდაპირველად ქართველებს ათონის მთაზე მხოლოდ რვა სენაკი ჰქონდათ და ათანასეს ტაბიკონში „წმინდა იოვანე იბერის სენაკებად იწოდებიან“, მისი მემკვიდრენი ათანასეს მემკვიდრეებს უნდა დაქვემდებარებოდნენ, არც გაფანტულიყვნენ და არც რვა სენაკზე მეტი უნდა ჰქონოდათ (ივირონის აქტები.12008:28). იოანე მთაწმინდელს თავის ვაჟთან, ექვთიმესთან ერთად უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდა მოპოვებული ათონის მთაზე. ამას მოწმობს ათონის მთაზე სამონასტრო ცხოვრების დამაარსებლის, ათანასე ათონელის „ანდერძი“, რომლის მიხედვითაც ათანასეს გარდაცვალების შემდეგ ლავრის

* შენიშვნა. მიტროპოლიტი კალისტოსი აღნიშნავს, რომ 1903 წლიდან ბერების რაოდენობა მუდმივად იკლებს: 1903 წელს ათანასეს ლავრაში 7432 (მათგან ნახევარი სლავი), 1971 წელს 1145, დღეს კი დაახლოებით 2000 ბერი იმყოფება (Kalistos Ware.1996:4-5).

„სულიერ ეპიტროპად“ ან მზრუნველად ჯერ იოანე ქართველი, მერე მისი შვილი ექვთიმე უნდა ყოფილიყო (კეკელიძე.1956:159). გაოცებას იწვევს ის ფაქტი, რომ ათონის მთის ყველაზე დიდი ლავრის ბერთა რაოდენობა მისი დაარსებიდან შემდგომ ბერიოდში ძალიან იმატებდა. ათანასეს ლავრაში დაარსებისას (963-64 წლებში) 80 ბერი მოღვაწეობდა, შემდეგ 120, 15 წლის შემდეგ 150-ზე მეტი, ხოლო ათანასე დიდის გარდაცვალებისას (1001 წელი), მისი ბიოგრაფის მიხედვით, უკვე 3000 ბერი მოღვაწეობდა (Kalistos Ware.1996:4-5)*. აი, ასეთი მრავალრიცხოვანი ლავრის მზრუნველობა დაეკისრა ჯერ იოანეს, ხოლო შემდეგ ექვთიმე მთაწმინდელს, რაც წარმოუდგენლად რთული უნდა ყოფილიყო.

ათონის მთაზე უდიდესი ავტორიტეტი მოიპოვეს ივერთა მონასტრის დამაარსებელმა იოანე მთაწმინდელმა და მისმა ვაჟმა ექვთიმემ. ათონური დოკუმენტები ადასტურებს, რომ თვით ათონის პროტი ნიკიფორეც დიდი პატივით იხსენიებს ქართველ მამებს: „მთელი სიცოცხლის მანძილზე ეფთვიმეს მამა იოვანე იბერი იჩენდა სიყვარულს [ათონელთა საძმოსადმი], იხარჯებოდა მისთვის და სიკეთეს აკეთებდა არა მხოლოდ ყველასათვის, ცალკეული ბერებისთვისაც, როგორც მან [პროტატონის] ეკლესიის შემთხვევაში გამოავლინა (ივირონის აქტები.2008:249).

ათონის ივერთა მონასტრის სამ უდიდეს მამას ყოველთვის განსაკუთრებული პატივისცემით იხსენიებდნენ, მათ შორის ათონელი მოღვაწენი. ეზრა ათონელი განადიდებდა ივერთა მონასტრის დამაარსებელს: „ნეტარო მამაო იოანე, განხუედ, რაჲ მოღუაწებად, არა ეც ჰრული თუალთა შენთა, ვიდრემდის მიიწიე უდაბნოდ, დიდებულო, აღაშენე მონასტერი და მას შინა შეჰკრიბენ მონაზონთა სამრავალნი“ (ეზრა.2009. 189). ღირსი მამის ხსენება აღესრულებოდა ძველი სტილით 14 ივნისს. ამავე მამამ განადიდა ექვთიმე მთაწმინდელიც: „ბრწყინვალეო მამაო ეფთვიმი, ყოვლად საგალობელო, ჩვენცა განგუანათლენ აწ შემსმენელნი შენნი“ (იქვე:194). უცნობი ავტორი განადიდებდა გიორგი მთაწმინდელს: „სიღრმე დაფარული წერილთაჲ განცხადე და სიბრძნის ტაკუანი მდიდრად აღაესენ...მონაზონთა დიდებაო... ეკლესიაჲ ბრწყინვალედ განაშუენე... გვირგვინო მონაზონთაო... ქართველთა მშვენიერებაო... უხილავად ბრძენო... ახალო ხატო მონაზონებისაო“ (იქვე:230-240). შემთხვევითი არ არის გიორგი მთაწმინდელის ამგვარი სიტყვებით განდიდება, უცნობი მოღვაწე ზუსტად აფასებს გიორგის ღვაწლს

და ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ეს დიდი ათონელი მამა მონაზონთა გვირგვინია და ყველასთვის მისაბაძი მოღვაწეა: „ხატო მონაზონებისა“.

ათონის ივერთა სავანე, როგორც ვთქვით, უმნიშვნელოვანესი სამონასტრო ცენტრი იყო ქართველებისთვის. თუმცა, სამწუხაროდ, მე-13 საუკუნეში განვითარებულმა მოვლენებმა დიდად დააზარალა ივერთა მონასტერი. 1259 ან 1260 წლებში განხორციელდა ლათინების თავდასხმა ათონის მთაზე, როდესაც მათ ბერებისაგან უნიის მიღება მოუთხოვიათ. 1306-1307 წლებში ათონის მთას კატალონიელები, ხოლო 1305 წელს არაბები დასხმიან თავს ივერთა სავანეს. 1320 წელს ივერთა მონასტერი თურქებსაც დაურბევიათ (კეკელიძე. 1955:77).

იოანე მთაწმინდელი

ქართული ბერმონაზვნობის ერთ-ერთი გამორჩეული მოღვაწეა იოანე მთაწმინდელი (980–1005). მისი ინიციატივით იწყება ახალი და ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი ათონის მთაზე. იოანემ, როგორც წარჩინებული ოჯახის წარმომადგენელმა და დავით კურაპალატის კარზე დაწინაურებულმა პირმა, ქრისტეს სიყვარულის გამო ყოველივე ამქვეყნიური დიდება უარყო, დათმო მეუღლე, შვილები, ყველას დაემშვიდობა და ფარულად გაემართა ოთხთა ეკლესიაში, რომელსაც გიორგი ხუცეს-მონაზონი „დიდებულ ლავრას“ უწოდებს. ღირსმა იოანემ მხოლოდ მამა მოსესა და მამა გელასის გაუმჟღავნა თავისი ვინაობა და „მათგან ფარულად კურთხევა მონაზვნებისა მიიღო“. მან თავისი მორჩილებით ყველა გააოცა მონასტერში, საბოლოოდ კი ნეტარი მამებისაგან მიიღო ლოცვა–კურთხევა, რათა საბერძნეთში წასულიყო. იოანე „ევლტოდა კაცთა დიდებას“ და ამის გამო გაემართა ულუმბოს მთაზე, სადაც ერთ-ერთ მონასტერში უვლიდა ვღორებსა და „სხვანი უხდონი მსახურებანი და შეურაცხნი სიმდაბლით აღასრულა“. მამა იოანე მკაცრად იმარხავდა სიმდაბლის წესს, მან ეს შეძლო ოთხთა ეკლესიაში და ულუმბოს მთაზეც, ერში მიღწეული ყოველივე წარმატებისა თუ წარმომავლობის მიუხედავად მთოკა თავი და ყველაზე მძიმე სამუშაოებს სიმდაბლით აღასრულებდა. მან მხოლოდ თავისი შვილის, ექვთიმეს გამო გაამჟღავნა საკუთარი ვინაობა და იმპერატორის კარზე გაემართა, საიდანაც მძევლად მყოფი ექვთიმე და რამ-

დენიმე მოწაფე, მრავალი მცდელობის შემდეგ, ათონის მთაზე, ათანასეს ლავრაში წაიყვანა. ათანასე ათონელი წარმომობით ბონტოდან იყო. ამან შესაძლოა, გარკვეული როლი შეასრულა იოანეს გადაწყვეტილებაში ჩასულიყო ათონზე. იოანე, ათანასე და თორნიკე დაახლოებით ერთ თაობას ეკუთვნოდნენ. ცნობილია, რომ ათანასეს დედა კოლხი იყო, კლარჯეთის მომიჯნავე შავიზღვისპირეთის მხრიდან. ათონზე ჩასული იოანე ათანასეს ბაძავდა, თითქმის თანამემამულედ მიაჩნდა (ივირთონის აქტები. 2008. 1:27). მამა იოანე ათანასეს ლავრაშიც მალავდა თავის ვინაობას და ყველა საქმეს უდრტვინველად აღასრულებდა. მან თრი წელი მზარეულობაში გაატარა. მხოლოდ ათანასე დიდის ლავრაში იოანე თორნიკეყოფილის მისვლის შემდეგ განაცხადა თავისი ვინაობა. იმის შემდეგ ქართველ მამებს ყველა პატივით ეპყრობოდა, თუმცა ისინი ამგვარი მოპყრობის წინააღმდეგნი იყვნენ. ცოტა ხანში ქართველი ბერების შესახებ ყველამ გაიგო, რის გამოც მამა იოანემ მამა ათანასესთან შეთანხმებით ლავრისგან 1000 ნაბიჯის დაშორებით იოანე მახარებლის ეკლესია და სენაკები ააშენეს, სადაც დაფუძნდა ივერთა მონასტერი.

978–979–80 წწ. იოანე იბერმა ახალი მნიშვნელოვანი შეწირულება მოუპოვა ივერთა ლავრას კუნძულ ნეოსის სახით, რომელიც მან ბასილი II–ის ოქრობეჭდით მიიღო. „ცხოვრების“ თანახმად, წლიური შემოსავალი „ი–დ“ „გინა ათხუთმეტი და ოდესმე ოცი ლიტრა ოქრო“ (იქვე:29). აღნიშნულმა შემოსავალმა შესაძლებელი გახადა მთაწმინდელ მამებს ათონის მთაზე დაეწყოთ მთარგმნელობითი საქმიანობა, ამ საქმეში მთავარი როლი იოანემ შეასრულა. მან თავისი დიდი სულიერებით შეძლო ბიზანტიის იმპერატორისგან მიეღო კუნძული ნეოსი, რომლის შემოსავალი სრულად მოახმარა ივერთა მონასტრის დაფუძნება – გაძლიერებას. 978–979 წლისათვის ივერთა მონასტერში დაახლოებით 7 ბერი მოღვაწეობდა, ამის თქმის საშუალებას იძლევა ივერონის ბიბლიოთეკის №32 ხელნაწერში ბასილი კესარიელის თხზულების (რომელიც ექვთიმემ ლავრის მახლობელ სენაკებში თარგმნა) ანდერძი. მასში იხსენიება საბა გადამწერი, იოანე იბერი, რომელიც ითხოვს ილოცონ მისთვის, თორნიკეს, ექვთიმესა და მათი სულიერი ძმების არსენის, თეოდორესა და გიორგისათვის (იქვე:29). ახლად დაარსებული ივერთა მონასტერი ასეთი

მცირერიცხოვანი იყო თავდაპირველად, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მონასტერში იოანეს დიდი მცდელობით ახალგაზრდა ექვთიმემ მთარგმნელობითი საქმიანობა დაიწყო. დიდმა ქართველმა მონაზონმა თავისი ერის სულიერად გამოკვება დაისახა მიზნად. უცხო მიწაზე მან ეს დიდი ღვაწლის შედეგად შეძლო. მისმა და თორნიკე ერისთავის დიდმა ავტორიტეტმა განაპირობა ის ფაქტი, რომ ბიზანტიის დედოფალმა ბარდა სკლიაროსის ავჯანყების გამო დახმარებისათვის მათ მიმართა.

ერთკვირიანი მსჯელობის შემდეგ „ყოველი ბრალი“ მამა ათანასემ და მამა იოანემ იტვირთეს და თორნიკე დაარწმუნეს წასულიყო ამ მნიშვნელოვან საქმეზე. თორნიკეს არ სურდა კვლავ წუთისოფლის შფოთში გარეულიყო, ამიტომ ემძიმებოდა სამეფო კარზე წასვლა. იგი ბრძანებდა, რომ „ჩემთა ცოდვათათვის შევიმოსე“ მონაზვნად და სიკვდილივით მძიმე იქნებოდა საბრძოლველად წასვლა, თუმცა შეისმინა დედოფლისა და მცირეწლოვანი ობლების ბასილისა და კონსტანტინეს ვედრება და დავით კურაპალატის 12 ათასიან ლაშქარს უსარდლა. 979 წელს თორნიკე ერისთავმა ქართველთა ჯგარით სასტიკად დაამარცხა ავჯანყებული ბარდა სკლიაროსი. გამარჯვებულ ქართველებს დიდძალი ნადავლი და ოქრო-ვერცხლი დარჩენიათ ამ ომის შემდეგ. სწორედ აღნიშნულმა ბრძოლამ განაპირობა ივერონის ახალი დიდი სამონასტრო ლავრის მშენებლობა.

შუა მთაწმინდაზე, მშვენიერ ადგილას, ააშენეს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა და იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძრები და „სადაყუდებლონი გარემოს დიდისა მონასტრისა“. სკლიაროსთან მოპოვებული გამარჯვების შემდეგ 100 ლიტრა ოქრო-ვერცხლი, ურიცხვი ქონება და სხვა ძვირფასეულობა თორნიკეს სულიერი მამისთვის გადაუცია. მან საერთოდ უარყო თავისი ნება და ყოველივე სულიერ მამას გადასცა მონასტრის ასაგებად.

წმინდა იოანე მთაწმინდელი სიცოცხლის ბოლოს ნეკრესის ავადმყოფობით დაავადდა და მრავალი წელი გაატარა ლოგინზე, სადაც „ფრიადთა ტკივილთა მოითმენდა“. მიუხედავად მძიმე სნეულებისა, „მარადის ჰმადლობდა ღმერთსა“ და მხიარული იყო, რადგან ავადმყოფობა მიუვლინა ღმერთმა, როგორც დიდი საუნჯე და აღიქვამდა სნეულებას, „ვითარცა ბატივსა და ნიჭსა სამეუფოსა“. ღირსი მამა აღესრულა 1005 წელს.

იოანე მთაწმინდელის ღვაწლის მიმართ განსაკუთრებული პატივისცემა გამოხატა ათონის მთაზე სამონასტრო ცხოვრების დამაარსებელმა ათანასე დიდმა. ათანასე კეთილმოწიწ მონაზონს უწოდებს იოანეს და აღნიშნავს, რომ „თავისი სათნოებისა და ღირსპატიოსანი სულის გამო მრავალი და ნაირგვარი სულიერი ზნე-ჩვეულებითა და წარმატებით გაბრწყინდა, სრულყო რა აღურიცხავი და დიდ-დიდი მსახურებანი ზემოხსენებულ მორჩილებაში (ჭელიძე. 2017:153). ათანასე აღფრთოვანებულია იოანეს ღვაწლით: „ვამბობ მის ჭეშმარიტ მორჩილებას, შრომას, დამაშვრალობას, მზრუნველობას, გულმოდგინებას, თავშეწირულობას“, ათანასეს ლავრის ბერებმა გადაწყვიტეს მადლიერება გამოხატონ იოანეს ასეთი თავდადებული ღვაწლის გამო. მათ დიდი მუდარის შემდეგ დაითანხმეს იგი და ივერთა ლავრას, იმპერატორ ბასილის მიერ ოქრობეჭედით დამოწმებული გადასახადისაგან თავისუფალი ხომალდი გადასცეს (იქვე:154). ივერთა ლავრისთვის საკმაოდ დიდი ტევადობის ხომალდის გადაცემა მნიშვნელოვანი იყო, რადგან იმპერატორისგან გადაცემულ კუნძულ ნეოსზე მისასვლელად და სხვა საჭიროებისათვის ქართველები ხომალდს გამოიყენებდნენ.

იოანე მთაწმინდელს ასე ახასიათებდა ათანასე ათონელი: „უმორჩილესი ბერი იოანე, როგორც კი ჩვენთან ჩამობრძანდა, ჩემთან, ცოდვილთან და მდაბალთან დასახლდა და ჩემს სიმდაბლეს დაემორჩილა, ღმერთის მცნებათა გათვალისწინებით თავი სხვადასხვა სულიერი ღვაწლით გამოიჩინა. მოწესეობის ჟამს იგი სულით სათნო და სპეტაკი იყო, მრავალი ურთულესი მორჩილება აღასრულა, რითაც არა მარტო ღმერთს, ჩემს უმდაბლესობასაც ემსახურებოდა. ამით ჩვენს ქრისტეს საძმოსაც ისე დიდი წარმატება მოუტანა, როგორც არავინ, ვინც ახლანდელ, ასევე ძველ დროში გაბრწყინდნენ (საძაგლიშვილი. 2005:270). ვფიქრობთ, ათანასე დიდის შეფასება იოანე ივერის (ათონელის) მთაწმინდელის სრულ ღვაწლს წარმოაჩენს. სათნოება, სისპეტაკე და მორჩილება – რითაც ყველა გააოცა იოანემ ათონის მთაზე – სწორედ ის თვისებებია, რომელიც გამოარჩევდა ქართველ ბერებს ყველა დროში და რისი მეშვეობითაც აღწევდნენ წარმატებებს. ღირს იოანეს მომავალში მრავალი მიმბაძველი გამოუჩნდა.

ექვთიმე მთაწმინდელი

იოანე მთაწმინდელის გარდაცვალების შემდეგ, 1005 წელს ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა ექვთიმე მთაწმინდელი, რომელსაც ათონის მთაზე განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ. ექვთიმეს წინამძღვრად დანიშვნა ბიზანტიის იმპერატორ ბასილის დაუმთწმებია, რადგან იმ პერიოდში ივერთა სავანე ათონის წმინდა მთის პროტს არ ექვემდებარებოდა (Успенский.2017:443).

ღირსი მამის ცხოვრება გამორჩეულმა ქართველმა მონაზონმა, გიორგი მთაწმინდელმა აღწერა, რაც ძალიან ფასეულია. გიორგის მიერ არაერთი სასწაულია აღწერილი ექვთიმე მთაწმინდელის ცხოვრებაში, მათ შორის კი ის, თუ როგორ აღიძრა ბოროტის მიერ მონასტრის მებოსტნე და გადაწყვიტა ღირსი მამის მოკვლა. თუმცა, როგორც კი მახვილი აღმართა: „მეყსეულად იქმნა ხელი მისი უხმარ, ვითარცა შეშაჲ“. შემცოდე მებოსტნემ აღიარა ყოველივე და ექვთიმეს ლოცვით „მიიღო კურნებაჲ“.

ექვთიმეს ცხოვრებაში ხაზგასმულია, რომ მისი ერთ-ერთი მთავარი სათნოება მოძღვრისადმი მორჩილება იყო: „აქუნდა ესეცა დიდი სათნოებაჲ, რომელ თვინიერ მოძღურისა არარას იქმოდა ყოველადვე“, რამეთუ ბერისთვის მხოლოდ საკუთარ თავზე მინდობა დაუშვებელია: „მინდობაჲ თავისა თვისისაჲ და თავსა ნებასა დამტკიცებაჲ კარი არს წარწყმედისაჲ და ფსკერი ჯოჯოხეთისა“ (ძ.ქ.ა.ლ.ძ.IV.1968:338). მიუხედავად უდიდესი გამოცდილებისა, ექვთიმე საკუთარ თავს მაინც არ ენდობოდა და ცხოვრების ბოლომდე დაიცავა მოძღვრისადმი მორჩილება: „ესე წესი ვიდრე აღსასრულადმდე თვისად დაიმარხა“.

ექვთიმე მუდამ ინარჩუნებდა სიმშვიდესა და მყუდროებას, იყო წრფელი და „გონებითა მდაბალ“, წინამძღვრობის პერიოდში „თვინიერ წამებისა წერილთასა“ არაფერს ასწავლიდა თავისი ნებით. ეკლესიაში დგომის დროს ყოველთვის მხნედ გამოიყურებოდა, იდგა კვერთხის გარეშე, კედელს არ ეყრდნობოდა „ვითარცა სუეტი შეუძვრელად და პირი და თუალნი მისნი იყვნიან ქვეყნად მიმართ მხედველ“. ის ნამდვილი წინამძღვარი იყო, ყველასთვის მაგალითის მიმცემი, საეკლესიო წესების მტკიცე დამცველი, განსაკუთრებით ინარჩუნებდა სიწყნარეს ღვთისმსახურების დროს და თავი მუდამ დახრილი ჰქონდა.

ვერავინ აღრაცხავდა ღირსი მამის მიერ სენაკში აღსრულებულ მძიმე

ღვაწლს: „ვინ აღრაცხნეს, რომელნი – იგი ღმერთმან ხოლო მხოლთმან უწყის“. იგი ყოველთვის ფარავდა თავის ღვაწლს, რის გამოც მის მიერ აღსრულებული მრავალი სათნოება აღუწერელი დარჩა. ცნობილია, რომ მისი სამოსელი ძაძა იყო, სამოსლის შიგნით კი ძაძაზე მძიმე ჯაჭვს ატარებდა: „ხოლო არს სამოსლად მისა ქუეშე ძაძაჲ და ზედა ძაძისა ჯაჭვი მძიმე“. ანუ ექვთიმე ძალიან მძიმე ღვაწლს აღასრულებდა, მონასტრის წინამძღვრობასთან, მთარგმნელობით საქმიანობასა და სენაკში აღსრულებული ბირადი კანონების გარდა სხეულზე მძიმე ჯაჭვებს ატარებდა, რითაც კიდევ უფრო თრგუნავდა ხორცს. ამის შესახებ მის ცხოვრებაში ნათქვამია, რომ მან ღირსეულად დაიცვა ქალწულების მცნება მთელი ცხოვრების მანძილზე: „ხოლო ქალწულებაჲ ესოდენ შეუხებელი და უბიწოჲ დაემარხა, ვითარცა ანგელოზთა შორის მყოფთა“, ამგვარი ეპითეტით მხოლოდ ძალიან დიდ მოღვაწეებს ამკობდნენ.

ექვთიმე მთაწმინდელის ცხოვრება დიდი პოპულარობით სარგებლობდა ქართულ მონასტრებში, ამიტომაც შეიქმნა მისი ცხოვრების სვინაქსარული, ვრცელი და მოკლე ვერსიები. ვიდრე კიდევ სიცოცხლეში დიდად გაითქვა წმინდა მამამ სახელი, ამას მოწმობს რომიდან ექვს მოწაფესთან ერთად მოსული სათნოებებით ცნობილი ბენედიქტიანელი ლეონი. ექვთიმეს ხილვის შემდეგ იგი მოწაფეებითურთ ღირს მამასთან დამკვიდრებულა მონასტერში, როგორც მოკლე ცხოვრებაშია ნათქვამი (იქვე:343). მეტად ნიშანდობლივია თავად თხზულების ავტორის – გიორგი მთაწმინდელის დამოკიდებულება ლათინი ბერებისადმი, იგი მათზე კეთილგანწყობით მოგვითხრობს: „ვინაითგან საჩინო კაცი იყო და სახელოანი“ (იგულისხმება ლათინი მონაზონი). იმდენად თვალსაჩინო პიროვნება გახლდათ რომაელი სტუმარი, რომ ვინც კი ბიზანტიაში რომაელი იყო, ივირონს მოაწყდა, რათა მისგან „მონაზონ იქმნეს“. ქართველი ბერების ხელშეწყობით რომაელმა ბერმა „სრულ-ყო ყოველივე საქმე შენებისაჲ“ (ჯავახიშვილი.2001:114). გიორგი მთაწმინდელი აღნიშნავს, რომ ეს მონასტერი ახლაც არსებობსო და „კეთილად და წესიერად ცხოვნდებიან კანონსა და განგებასა ზედა წმიდისა ბენედიქტესსა, რომლისა ცხოვრებაჲ წერილ არს დიალოღონსა შინა“.

ექვთიმე მთაწმინდელის ავტორიტეტი იმ დროისათვის ბერძენთა შორისაც ძალიან დიდი იყო. ამას მოწმობს ათონის სამონასტრო ცხოვრების დამაარსებლის ათანასე ათონელის „ანდერძი“, რომლის მიხედ-

ვითაც ათანასეს გარდაცვალების შემდეგ ლავრის „სულიერ ეპიტროპად“ ან მზრუნველად ვერ იოანე ქართველი, მერე მისი შვილი ექვთიმე უნდა ყოფილიყო (კეკელიძე.1956:159). თუმცა კიდევ უფრო დიდი უფლებები მოუპოვებია ქართველ ბერს, რადგან „არცა პროტი, არცა სხუანი მამასახლისნი, თვინიერ მისისა ბრძანებისა, არარას იქმოდეს, და იშვიათი დღე გარდახდის, რომელსა ათი ანუ თხუთმეტი მამასახლისი არა მოვიდის მის წინაშე“. ქართველი მამა ისეთი სულიერ საზომს იყო მიღწეული, რომ მთელი ათონის მთის წინამძღვრები, თვით პროტიც, ექვთიმესგან იღებდნენ რჩევა-დარიგებებს. რჩევები ალბათ, როგორც სულიერ, ასევე მონასტრის ეკონომიურ-ადმინისტრაციული მმართველობის შინაარსის უნდა ყოფილიყო. ეს კონკრეტული შემთხვევა არის საოცარი მაგალითი იმისა, როგორ სახელგანთქმული იყო ექვთიმე ათონელი, წინააღდეგ შემთხვევაში ბერძენი ან სხვა ეროვნების მონაზვნები მისგან რჩევებს არ მიიღებდნენ. ამ ფაქტის ნათელი დასტურია ექვთიმე მთაწმინდელის მიერ დაყუდებული ბერის სწავლების შედგენა, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია.

თუკი ექვთიმეს ნათარგმნი წიგნების ნუსხას გადავავლებთ თვალს, ვნახავთ, რომ მათში ბევრი წიგნია ნათარგმნი სამონაზვნო ცხოვრების შესახებ. ასე მაგალითად, ბასილი დიდის სწავლანი, იოანე კლემაქსი, გრიგოლ ნოსელის ქალწულებისათვის, დაყუდებულ მონაზონთა ტიპიკონი, ცხოვრება ონოფრე მძოვრისა, ცხოვრება მარიამ ეგვიპტელისა, ზოსიმეს სწავლანი და სხვა (ივერონის აქტ.1.2008:13).

ამგვარი მკაცრი ცხოვრებით წმინდა მამა თრგუნავდა ხორცს და სულს აძლიერებდა. ღირსი მამა გაურბოდა ყოველგვარ პატივს, ასე მოხდა მაშინ, როდესაც ბიზანტიის იმპერატორმა ბასილიმ კვიპროსის მთავარეპისკოპოსობა შესთავაზა, მან კი უარყო ესოდენ დიდი პატივი: „არა თავს იდვა, რამეთუ ყოვლითა მისწრაფებითა ევლტოდა დიდებასა“. სვინაქსარული ცხოვრების მიხედვით: „მშვიდმან მან და წრფელმან არა თავს იდვა ყოვლადვე, რამეთუ სიმდაბლე სრული მოუპოვა და ამპარტავნებაჲ მოაკუდინა“ (ძ.ქ.აგ.ლ.ძ.IV.1968:81). ძნელია არ დაეთანხმო ამ სიტყვებს, რადგან ექვთიმე მთაწმინდელს იმდენად დიდი ავტორიტეტი ჰქონდა იმპერატორის კარზე, რომ მას კვიპროსის ავტოკეფალური ეკლესიის ტახტი შესთავაზეს, რაზეც უარი განაცხადა.

ექვთიმე მთაწმინდელი საყოველთაო ავტორიტეტით სარგებლობდა არა მარტო ათონის მთაზე, არამედ ბიზანტიის სამეფო კარზეც. ბერძენი ბერის კოზმას 1758 წლის ცნობით, ექვთიმე სხვადასხვა ადგილებში აგებდა წმინდა ტაძრებს, ქსენონებსა და კელიებს მხცოვანი მამებისთვის, ის უძღვებოდა მათ საერთო საქმეებს, რომელთა მოსაგვარებლადაც მიდიოდა სალონიკსა და კონსტანტინებოლში. ამის გამო იგი ყველას უყვარდა. ერთხელ წმინდა მთიდან სალონიკში უნდა გაეგზავნათ მონაზონი. მთელი ათონის მამებმა ექვთიმეს თხოვეს, რათა ის წასულიყო, რადგან მას ყველგან უდიდეს პატივს სცემდნენ მისი წმინდა ცხოვრების გამო. ღირს მამას წარმატებით შეუსრულებია დავალებული საქმე (Успенский.2017:446). ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენ სრულად არ ვიცით წმინდა მამა ექვთიმეს მიერ აღსრულებული საქმეები, თუმცა ფაქტია, რომ მამა–შვილმა იოანე და ექვთიმე მთაწმინდელებმა თავიანთი წმინდა ცხოვრების გამო ათონის მთაზე დიდი ავტორიტეტი და პატივისცემა დაიმსახურეს, რაც არ იყო მარტივი საქმე. ღირსი მამა ექვთიმე მთაწმინდელი აღესრულა 1028 წლის 13 მაისს, ორშაბათ დღეს. წმინდა მამამ წინაწარვე იცოდა თავისი აღსასრულის შესახებ. მამა ექვთიმე მოწყალების გაცემის დროს გადმოაგდო სახედარმა. მისმა გარდაცვალებამ უდიდესი მწუხარება გამოიწვია, ყველა ტიროდა და ეამბორებოდა ბერის ანგელოზებრივ სხეულს. ექვთიმე დაკრძალეს იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძარში, მის საფლავზე მრავალი კურნებანი აღესრულებოდა.

იოანე თორნიკყოფილი

საუკუნო ცხოვრებაზე ფიქრი და ზრუნვა წარმოადგენდა ქართველი ბერების უმთავრეს საზრუნავს. წმინდა წიგნების გამრავლება საცხოვნებელ საქმედ მიაჩნდათ. ამ ფაქტზე მეტყველებს ჩვენამდე მოღწეული უამრავი ანდერძ-მინაწერი, რომლებშიც ბერები თავიანთი სულის გარდა თჳალსის წევრებზეც შენდობასა და ლოცვას ითხოვენ. ოშკის ბიბლიის ანდერძში იოანე თორნიკყოფილი ლოცვას ითხოვს მამის, ძმების, შვილების საჳარგებლოდ: „მე იოანე, თორნიკ ყოფილმან, ძემან სულ-კურთხეულისა ჩორდვანელისამან, მოვიგე წმიდაჲ ესე წიგნი „მეფეთაჲ“ სალოცველად

თავისა ჩემისა და ძმათა ჩემთა და შვილთა ჩემთათვის“ (Цагарел.1886:5).

მთაწმინდელი მამები სრულად უარყოფდნენ საკუთარ თავს და მკაცრად იმარხავდნენ ბერის უპოვარების აღთქმას. განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ იოანე თორნიკე, რომელმაც სკლიაროსის დამარცხების შემდეგ დიდძალი განძიდან არაფერი დაიტოვა და სრულიად უარყო თავისი ნება: „ყოველივე ნება თვისი მოიკვეთა და სრულებით შეუდგა მორჩილებასა მისსა“. მამა იოანეს გარეშე თორნიკე წყალსაც არ იხმევდა „არცამცა სიტყვა ერთი აღმოთქვა“. გიორგი ხუცეს-მონაზონი იოანე-თორნიკეს შესახებ აღნიშნავს, რომ ღირსი მამა სავსე იყო სათნოებებით: სიმდაბლით, სიწრფოებით, უმანკოებით, მან სრულად მიანდო თავისი სული მამა იოანეს: „თავი ჩემი შემდგომად ღმრთისა შენდა მომიცემია, ვითარცა გნებავს, აცხოვნე სული ჩემი“.

იოანე-თორნიკე ივერთა მონასტერში ხშირად ჰყვებოდა თავის საერო ცხოვრებაში აღსრულებული ბრძოლებისა და გმირობების შესახებ, მამა იოანე კი მის მხილებას ერიდებოდა, თუმცა თორნიკეს რომ ამით სულიერი ვნება არ მიეღო, აუკრძალა არამარტო საერო საქმეებზე საუბარი, არამედ „ამიერითგან სხვასა ნუ ვის ეუბნები, გარნა გაბრიელს ხუცესსა“. გაბრიელ ბერი საერო საკითხებზე საერთოდ არ ლაპარაკობდა, იგი მხოლოდ საღმრთო საქმეებზე საუბრობდა. განცვიფრებას იწვევს თორნიკეს თავმდაბლობა. მხილების მოსმენისას იგი ფეხებში ჩაუვარდა იოანე მთაწმინდელს და ცრემლით უთხრა ღირს მამას: „რად დაიდუმე აქამომდე და არა მამხილე“. მომხდარის შემდეგ ღირსი იოანე-თორნიკე არავის ესაუბრებოდა, მხოლოდ უცხოს ეტყოდა ორიოდე სიტყვას. ამგვარ სულიერ ღვაწლში განვლო თორნიკემ თავისი ცხოვრება და წარდგა ღმერთთან.

ღირსი გაბრიელ ხატისმიმრქმელი

გაბრიელ ქართველი, ანუ ხატისმიმრქმელი, X-XI საუკუნეთა მიჯნაზე მოღვაწეობდა. მან თავისი ასკეტურ-მონაზვნური გამოცდილებით ქრისტიანული სამყაროს ყურადღება მიიპყრო. გაბრიელი X საუკუნის ბოლოს – 980 წლის შემდეგ უნდა ჩაბრძანებულიყო ათონის მთაზე, რადგან 978–979 წლებში ის არ იხსენიება ათონელ მოღვაწეთა შორის. სავარაუდოა, რომ გაბრიელი რომელიმე მძლავრი ქართული სამონასტრო ცენტრიდან უნდა წასულიყო ათონზე, შესაძლოა სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთი

მონასტრიდან. კირიონი (საძაგლიშვილი) აღნიშნავს, რომ გაბრიელის სახელი ბერ-მონაზვნური მოწესეობის, სულიერ ასკეტური ცხოვრების სიმკაცრით შორის იყო განთქმული. ათონზე მან სათნო და უბიწო ცხოვრების გამო ყურადღება მალე მიიპყრო. ივერიის ხატის სასწაულებრივი გამოჩენისას 999 წელს გაბრიელ ბერი უკვე ათონის მთაზე იმყოფებოდა. აღნიშნული მთა ივერთა მონასტერს ზემოდან გადმოჰყურებდა და ათონელთა შორის გაბრიელის მთის სახელწოდებითაა ცნობილი (საძაგლიშვილი.2005:250). ბუნებრივია, რომ ივერიის ღვთისმშობლის სასწაულებრივად ზღვიდან გამობრძანების შემდეგ გაბრიელის სახელი ყველამ გაიგო და მის საპატივცემულოდ მთას. რომლის კლდის ნაპრალშიც ქართველი ბერი მოღვაწეობდა, გაბრიელის სახელი დაერქვა. ის ფაქტი, რომ გაბრიელ ბერს თავისი სიწმინდისა და მაღალი სულიერების გამო ღვთისმშობელი გამოეცხადა და ხატის გამობრძანება უბრძანა, ბევრ რამეზე მეტყველებს. ყოვლაწმინდა ღვთისმშობელმა თავისი წილხდომილი ერის გამორჩეულ მოღვაწეთა ღვაწლი არ უარყო და პირიქით, აღნიშნული გამოცხადებით ხაზი გაუსვა ქართველი ბერების დიდ სიწმიდეს, რომ ქართველების ახლადდაარსებული სავანის მფარველობა თავად ზეცაურმა დედოფალმა იტვირთა.

გაბრიელ ბერის დაფარული ღვაწლი ყველასთვის თვალსაჩინო გახდა, კლდის ნაპრალში მლოცველი ბერის ბრწყინვალება ყველამ იხილა. ეს იყო ამავე დროს ივერთა მონასტრის წარმოჩენა. ბრწყინვალე შვიდეულის სამშაბათს ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვარი მთელი საძმოს გალობით, ანთებული ლამპრებითა და საკმეველის კმევით ნაპირზე ჩავიდა. წმინდა გაბრიელმა ზღვის ზედაპირზე დაუბრკოლებლად გაიარა. ცეცხლმნთებარე წმინდა ხატი ღირს გაბრიელს მიეახლა, მან იგი გულზე მიირქვა, ტალღებზე გაიარა და ნაპირზე გამოაბრძანა (იქვე:272).

გაოცებას იწვევს ღირსი გაბრიელის ურთიერთობა ლეონ რომაელთან. ისინი მსახურების შემდეგ საღვთო საკითხებზე გათენებამდე საუბრობდნენ (საქ. სამოთხე. 1882:416). საქმე იმაშია, რომ გაბრიელმა ლათინური არ იცოდა, ლეონმა კი ქართული, გამოდის, რომ ისინი სულიწმინდის მადლით საუბრობდნენ.

ქართულმა ეკლესიამ ღირსი გაბრიელი გარდაცვალებიდან მალე – XI საუკუნის შუახანებში წმინდანთა დასში შერაცხა და ხსენების დღედ 12 ივლისი დაადგინა.

გიორგი მთაწმინდელი

გიორგი მცირე დიდი მამის გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების დასაწყისში აღნიშნავს, რომ მომავალმა თაობებმა არ უნდა დაივიწყონ მისი ღვაწლი, რომ ღმერთმა გამოუჩინა ასეთი პიროვნება ქართველებს „დახსნილისა ნათესავისა განმაძლიერებლად", რომ გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების „ხედვითა და სმენითა, მრავალი ადამიანი მიბაძავს მას. რაც მთავარია, გიორგი მცირემ შეასრულა გიორგი შეყენებულის კურთხევა, რომ აღეწერა გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება. გიორგი მცირეს ეს პასუხისმგებლობად მიუჩნევია და არა სხვისგან მოყოლილი, არამედ თავისი თვალით ნანახი გადმოსცა წერილობითი სახით, რაც კიდევ უფრო სარწმუნოს ხდის წმინდა მამის ცხოვრებას.

ღირსი მამა მდიდარი თვკახიდან იყო, იგი დაიბადა თრიალეთში, ხოლო მამამისს მამულები სამცხეში ჰქონია. წმინდანის მშობლები იაკობი და მარიამი ღვთისსათნო ცხოვრებით გამოირჩეოდნენ, მათ ქორწინების შემდეგ სამი ვაჟი და სამი ასული შეეძინათ. ღვთისმოშიშმა ცოლ-ქმარმა თავიანთი ბიძველი ქალიშვილი, თეკლა, დედათა მონასტერს შეწირა სამცხეში. შემდეგ დედამ ნახა ხილვა – „მას შეეძინებოდა ვაჟი გიორგი, რომელიც ღვთის რჩეული იქნებოდა და ისიც მონასტრისთვის უნდა შეეწირა. გიორგი პატარაობიდანვე გამოირჩეოდა ღვთისმოშიშებითა და ღვთის სიყვარულით. როგორც კი ყმაწვილი შვიდი წლის გახდა, მშობლებმა აღასრულეს აღთქმა და სამცხის მონასტერში, თავის დასთან გაგზავნეს. დის დახმარებით გიორგიმ შეისწავლა წმინდა წერილი და ყოველივე სულიერი, მან სამი წელი გაატარა მონასტერში, სადაც ყველა გააოცა გონიერებითა და მონდომებით: „მკვირცხლ იყო ღვთისა ყრმა იგი".

ცხოვრების ავტორი გადმოგვცემს თავად გიორგი მთაწმინდელის ნააბობს, თუ როგორ გამოეცხადა ერთხელ ბოროტი, რომელსაც მისი მდინარე ქციაში დახრჩობა ჰქონია გადაწყვეტილი, თუმცა იგი ნათლით მოსილმა ანგელოზმა გადააარჩინა. სასწაულებრივად გადარჩენილა პატარა გიორგი მონასტერში გაჩენილი ხანძრის დროსაც ანგელოზმა ერთ ეკვდერში მიიყვანა. სამონაზვნო ღვაწლი გიორგიმ ხახულის მონასტერში შეისწავლა, სადაც მოღვაწეობდა მისი ორი ბიძა (მამის ძმა). ორივე ბიძა – გიორგი მწერალი და საბა „კაკი წრფელი" – ხახულის მონასტრის

უხუცესი ბერები ყოფილან და თავიანთი ძმიშვილი წინამძღვართან, მამა მაკარისთან მიუყვანიათ. პატარა გიორგი ხახულის მონასტრის გამთრჩეულმა მამებმა: ბასილიმ, ბაგრატ მესამის ძემ, ღმერთშემოსილმა ანტონმა და „ყოველთა მამათა“ დალოცეს და აკურთხეს.

საბოლოოდ გიორგი საბეროდ დიდმა მამამ ილარიონ თუალელმა მოამზადა, მან შეისწავლა „ყოველნივე საღმრთონი წიგნნი ძუელისა და ახლისა ჰსჯულისანი“, განსაკუთრებით გასაკვირია, ის ფაქტი, რომ პატარა გიორგი ძალიან შრომისუნარიანი იყო, იკლებდა ძილს და ცოტას ისვენებდა. აქვე შეასწავლა ფერის ჯვოვკიის ძემ გიორგის ბერძნული ენა, რაც სამომავლოდ მას ძალიან გამოადგა. მონასტერში 12 წლის მოღვაწეობის შემდეგ გიორგი 25 წლის ასაკში აღიკვეცა მონაზვნად. გიორგი მცირე აღნიშნულ შემთხვევაზე საუბრისას ამბობს, რომ გიორგის სულიერ წარმატებაში მთავარი დამსახურება სულიერ მოძღვარს, ილარიონ თუალელს მიუძღოდა და სწორედ მისგან მიიღო მონაზვნობა.

ზეგარდამო ჩაგონებით გიორგიმ გადაწყვიტა, რომ წმინდა ადგილები მოელოცა, ადგილი, სადაც ჩვენი უფალი იესო ქრისტე მოღვაწეობდა, თან განმარტოების დიდი სურვილიც ჰქონდა. ამის გამო მან ფარულად დატოვა საქართველო და წმინდა მიწისკენ გაემართა. გზაზე მას მრავალი დაბრკოლება შეხვდა, ძაძებით შემოსილი ბერი დღეში ერთხელ იღებდა წყალსა და პურს. ასე მიაღწია შავ მთამდე (ანტიოქიის მახლობლად), სადაც თაყვანისცა სვიმონ მესვეტისა და მისი დედის, მართას საფლავებს, მოილოცა ყოველი მონასტერი. ახალგაზრდა გიორგიმ კარგად იცოდა, რომ სულიერი წარმატების მიღწევა მოძღვრის გარეშე შეუძლებელი იყო. გიორგი მცირე ხაზგასმით გვაუწყებს, რომ: „თვინიერ მოძღურისა არა არს ცხოვრება სულისა და წარმატება მონაზონებისა“. გიორგიმ სწორედ შავ მთაზე იპოვა სულიერი მოძღვარი, რომელიც განთქმული იყო თავისი სიწმინდითა და განმარტოებული ცხოვრებით. საკვირველი მთის კლდის ნაპრალში დამკვიდრებულიყო დიდი ქართველი მამა გიორგი შეყენებული: „ბერი წმინდა შეყენებული, ვითარცა მტრედი წმინდა და გურიტი უბიწო, კაცი ზეცისა და ანგელოზი ქუეყანისა“. ასეთ წმინდა მამასთან მიიყვანა ღმერთმა გიორგი. თანამედროვეთა შეფასებით გიორგი შეყენებელი ქართველი ერის დიდი მნათობი იყო. თავისი ღრმა სულიერებით

გიორგი შეყენებულმა ამოიცნო, ახალგაზრდა ბერის დიდი ნიჭი და განათლება, მან სწორად წარმართა გიორგის მონაზვნური ცხოვრება. გიორგის უნდა შეევსო „ნაკლულევანება ენისა ჩუენისა, რომელი იგი წმიდისა მამისა ჩუენისა ევთიმისგან დაშთომილ იყო“. გიორგი, როგორც ჩანს, მისი ახალი მოძღვრის ბრძანებით იქვე რომანა წმინდას ქართულ მონასტერში დაემკვიდრა სამოღვაწეოდ, სადაც სამი წელი დაჰყო „დიდითა შრომითა და მოღუაწებითა, მარხვითა, მღვიძარებითა“. მორჩილებითა და სიმდაბლით ყველა უძლურს ემსახურებოდა. როდესაც გიორგიმ მიაღწია ხორციელი ასაკის სისრულეს, 30 წელს, სულიერმა მოძღვარმა, გიორგი შეყენებულმა, იხილა მისი სიბრძნე და გონიერება, გადაწყვიტა, რომ სქემით შეემოსა: „სქემა შემოსა და ყოვლითურთ სრულ ჰყო მონაზონებისა მოღუაწება და სქემისა გვირგვინითა და მერმეღა იერუსალიმად წარგზავნა“.

იერუსალიმში ჩასულმა გიორგიმ მოილოცა წმინდა ადგილები, გაიხსენა ქრისტეს ვნებანი და მრავალი ცრემლი დაღვარა. მას გარკვეული დრო გაუტარებია იერუსალიმში, შემდეგ კი კვლავ თავის მოძღვართან დაბრუნებულა. გიორგი ცდილობდა თავი აერიდებინა წიგნების თარგმნისთვის, რადგან ეს საქმე „ღუთის მოშიშთა შუენისო“, ამას იგი თავმდაბლობის გამო ამბობდა. მისი მოძღვარი კი, პირიქით, მოუწოდებდა ამ დიდი საქმის აღსრულებისკენ, ის შეახსენებდა თავის მოწაფეს ექვთიმეს სასწაულებრივად განკურნების ამბავს, რომ ღმერთი „შემძლებელ არს შენდაცა შეწევნად, რამეთუ მას დიდად ეწყალის და უყვარს ნათესავი ჩუენი“. გიორგი შეყენებული აღიარებს ქართველთა ღვთისმშობლის წილხდომილობისა და მფარველობის საკითხს, რომელიც უფრო ადრე ილარიონ ქართველის ცხოვრებაშია აღიარებული. დიდი იძულების შემდეგ მოძღვარმა შეძლო გიორგი ათონის მთაზე გაეგზავნა, რათა დაეწყო მეტად მნიშვნელოვანი საქმე, წიგნების თარგმნა.

გიორგი მცირეს ცნობით, ჩვენი ერი ძლიერ საჭიროებდა საღვთო წიგნების თარგმნა-შესწორებას, რადგან ქართველთა „ნათესავი ჩუენი წრფელ იყო და უმანკო“, ხოლო სომეხთა გამო მრავალი ბოროტება „ვითარცა ღუარძლი დათესულ იყვნეს ქუეყანასა ჩუენსა“. აუცილებელი იყო გიორგის დაესრულებინა ექვთიმე მთაწმინდელის მიერ დაწყებული

საქმე „წესნი და კანონნი საეკლესიონი დამამტკიცებელნი საჩწმუნოებისა ჩუენისანი“. ამის შემდეგ გიორგი გაემართა ათონის მთაზე, გიორგი მცირეს ცნობით, ერთ-ერთი მდინარის გადალახვისას მას სასწაულებრივად თავად დიდმოწამე გიორგი კაბადოკიელი დახმარებია: „რომელმან წყალთა შინა სიკუდილისაგან მიხსნა, დიდებული მთავარმოწამე გიორგი იყო“. ათონზე ჩასული გიორგი ვეღარ ეთაყვანა ივერიის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედ ხატს, ხოლო შემდეგ „სამარხოსა წმიდისა მამისა ჩუენისა ევთიმისასა“.

ივერთა სავანეში გიორგი დიდი პატივით მიიღეს ბერებმა და მადლობდნენ ღმერთს, რომ ასეთი მოღვაწე მიჰმადლათ, მან კი გასაოცარი სიმდაბლე და სიმშვიდე გამოავლინა „გონებათა უაღრესითა მარხვითა და ლოცვითა, სიმდაბლითა, სიმშვიდითა და მორჩილებითა, და მოთმინებითა“. ასეთი თავმდაბლობის გამო ყველას უბრალო და უსწავლელი ეგონა, ის მუდამ მგლოვარე და თავდადრეკილი იყო, აღასრულებდა უპატიო საქმეებს და შვიდი წელი ამგვარად გაატარა, ბერის გონება კი მუდამ ღმერთთან იყო: „თუალნი სულისანი მარადის უხილავსა მას დიდებასა ღვთისასა უხილავად განიცდიან“. გიორგის მონაზვნურმა სიკეთეებმა, რომელიც ვეღარ ბავშვობაში, საქართველოში ჰქონდა შესწავლილი, ხოლო შემდეგ შავ მთაზე, ათონის ივერთა სავანეში ყველა გააკვირვა. გიორგი მთაწმინდელის უმთავრესი მონაპოვარი სიმდაბლე იყო, რაზეც მან დააშენა დანარჩენი ნიჭები, შესაბამისად მიღწია უმაღლეს სულიერ საფეხურს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გიორგი მთაწმინდელის დამსახურება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალური უფლებების დაცვის საქმეში. XI საუკუნის შუახანებში შავ მთაზე მოღვაწე სვიმონწმიდელმა ბერებმა ქართველები ანტიოქიის პატრიარქთან დაასმინეს, რადგან ერთ-ერთი ქართველი მღვდელი სვიმონწმიდის სვეტზე „განსულ იყო ჟამისწირვად ქალამნითა და საბეჭურითა, არ ჩაეცვა სამღვდელო შესამოსელი“. აღნიშნული შემთხვევის შემდეგ ბერძენმა ბერებმა ეჭვი შეიტანეს ქართველთა მართლმადიდებლობაში თითქოს საქართველოში ქრისტეს თორმეტი მოციქულიდან არაცერთს არ ჰქონდა ნაქადაგები. გიორგი მთაწმინდელმა ბერძნული წყაროებით დაუსაბუთა ბერძნებს თავიანთი ბრალდებების უსაფუძვლობა, მან ნიკიტა პაფლაღონელის „ანდრია მო-

ცოქულის მიმოსვლა" მოატანინა, რომელშიც ნათლად იყო დაფიქსირებული ანდრია პირველწოდებულის საქართველოში ქადაგების უტყუარობა. გამომდინარე აქედან, ქართველმა ბერმა საერთოდ უარყო საქართველოს ეკლესიის ანტიოქიაზე დამოკიდებულება, რადგან საქართველო ანდრია პირველწოდებულის მიერ ნაქადაგები ქვეყანაა. შემდეგ იგი წმინდა წერილზე დაყრდნობით, ბერძნებს უყენებს პრეტენზიებს, რადგან პირველად უფალთან ანდრია მოციქული მივიდა და მან მიიყვანა თავისი ძმა პეტრე ქრისტესთან: „ჰპოვა ამან პირველად ძმაჲ სიმონ და ჰრქუა მას: ვპოეთ მესია, რომელ არს თარგმანებით ქრისტე. ამან მოიყვანა, იგი იესუისა" (იოან.1. 40–42). გამომდინარე აქედან, საქართველოს ეკლესია უფრო აღმატებულია, ვიდრე ანტიოქიის ეკლესია, რადგან გიორგი მთაწმინდელის სიტყვით: „წოდებული იგი მწოდებელსა მას დაემორჩილოს, რამეთუ პეტრესი ჯერ არს, რათა დაემორჩილოს მწოდებელსა თვისსა ძმას ანდრიას" ე.ი. პეტრე მოციქულის მიერ დაარსებული ანტიოქიის ეკლესია ანდრია პირველწოდებულის მიერ დარსებულ ეკლესიას უნდა დაქვემდებარებოდა. გიორგი მთწმინდელის არგუმენტირებული მსჯელობა წმინდა წერილითა და ბერძნული წყაროთი იყო გამყარებული და მასთან კამათი ვერავინ გაბედა. გიორგი ათონელმა ბერძნებს აღნიშნული კამათის დროს აუხსნა, რომ საქართველოში ანდრია პირველწოდებულის გარდა სვიმონ კანანელმაც იქადაგა და მოციქული საქართველოში განისვენებს: „სიმეონს ვიტყვ კანანელსა, ქუეყანასა ჩუენსა დამარხულ არს აფხაზეთს, რომელსა ნიკოფსი ეწოდების" (საბინინი. 1882:462). აღნიშნულ სიტყვებს დღეს განსაკუთრებული დატვირთვა აქვს, როდესაც აფხაზეთი ოკუპირებულია და არაერთი ყალბი და უსარგებლო ლიტერატურა იბეჭდება ეგრეთწოდებულ „მეცნიერთა" მიერ.

მწვალებლობის ბრალდება, რასაც ბერძნები ქართველებს აბრალებდნენ, გიორგი მთაწმინდელმა განაქარწყლა და, ბირიქით, ბერძნებს დასდო ბრალი ამ ცოდვაში. გიორგის ბრალდება საფუძვლიანი იყო, რადგან იდგა „ჟამი რომელ ყოველსა საბერძნეთსა შინა მართლმადიდებლობა არა იპოვებოდა და იოანე გუთელი ეპისკოპოსი მცხეთას ეკურთხა ეპისკობოსად, ვითარცა სწერია დიდსა სვინაქსარსა". „დიდი სვინაქსარი" თავად ბერძნების მიერ იყო დაწერილი და მასში მოთავსებული იყო იოანე

გუთელის ცხოვრება. ხატმებრძოლეობის პერიოდში, მერვე საუკუნეში, იოანე გუთელმა ხელდასხმა ვერ მიიღო კონსტანტინეპოლის პატრიარქთან, ამის გამო იგი მცხეთაში ჩამოვიდა და იქ მიიღო ხელდასხმა. აღნიშნულ შემთხვევაშიც გიორგი მთაწმინდელმა ბერძნული წყაროთი დაასაბუთა ქართველთა უპირატესობა და, რაც მთავარია, ის ფაქტი, რომ საქართველოს ეკლესია მუდამ წმინდად ინახავდა მართლმადიდებლობას, განსხვავებით ბერძნებისაგან: „რაჟამს ერთი ღმერთი გიცნობიეს, არა რა უარ გვიყოფიეს და არცა თდეს წუალებასა მიმართ მიდრეკილ არს ნათესავი ჩვენი“.

გიორგი მთაწმინდელი იყო უდიდესი ქართველი მოღვაწე, რომელიც უმაღლეს დონეზე ფლობდა ღვთისმეტყველებას, საეკლესიო კანონიკას, საქართველოს ეკლესიის ისტორიას, მთარგმნელობით საქმიანობას და, რაც მთავარია, თავის ცოდნას პრაქტიკულად იყენებდა ერისა და ეკლესიის საკეთილდღეოდ. იგი შეუვალი იყო თვით ბერძენი პატრიარქისა და მისი მღვდელმთავრების წინაშე, რაც მთავარია, მან სიმართლითა და მიზანსწრაფულობით გააბათილა ბერძენთა ბრალდებები და წარმოაჩინა საქართველოს ეკლესიის უპირატესობანი.

სასწაულებრივი იყო გიორგი მთაწმინდელის საქართველოში გამომგზავრება, იგი თავის მოწაფეებთან ერთად ნავით ჩასულა ფოთში, საიდანაც ქვეყნის დედაქალაქ ქუთაისში ბაგრატ (1027–1072) მეფესთან გამოცხადებულა. ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ქუთაისიდან ქართლში მიმავალ ბერს მეგზურობა გაუწია ქუთათელმა ეპისკოპოსმა ილარიონმა, რომელიც „მოწაფე იქმნა ბერისა“. გიორგი მთაწმინდელმა თავისი მაღალი სულიერების გამო უმალ ავტორიტეტი მოიპოვა საქართველოს ეკლესიაში და მისი მოწაფე გახდა თავად დედაქალაქის ეპისკოპოსი. გიორგი მთაწმინდელის ჩასვლისას ბაგრატ მეოთხეს თავისი მტერი აბაზისძენი შეუპყრია, რის გამოც მან მადლიერება ბერის მიმართ გამოხატა, რადგან მის მიერ ისინი განათლდებოდნენ: „რათა თვით მე განვნათლდე ხედვეთა თქვენითა“, ამასთანავე ყოველნი „იმწყსებოდნენ და განისწავლებოდინ“ ათონელი მამის მიერ.

გიორგი მცირე გვაუწყებს, რომ გიორგი მთაწმინდელს განსაკუთრებული ჩვეულება ჰქონდა, იგი ყველა საქმის აღსრულების წინ არკვევდა ღვთის

ნებას, დაწერდა სხვადასხვა ფურცელზე და საკურთხევლის ქვეშ დააწყობდა. მღვდლის მიერ წირვის აღსრულების შემდეგ ერთ-ერთს აიღებდა და „რაიცა აღმოხდის, იგიცა დაამტკიცის“. განკვიფრებას იწვევს ის ფაქტი, რომ გიორგი მთაწმინდელის სიღრმისეულმა ქადაგებებმა შედეგი მალე გამოიღო, მთელი ერი სინანულში ჩავარდა: „იწყეს აღსარებად და სინანულად თვით მეფემან, კათალიკოზმან, მღვდელთა და დიაკონთა, მონაზონთა მოწესეთა, დიდებულთა და მთავართა, მდიდართა და გლახაკთა“ (იქვე:466). ჩვენ ვერ დავასახელებთ მეორე მსგავს შემთხვევას, როცა მადლმოსილი ბერის ღვაწლს ესოდენ დიდი შედეგი გამოეღოს, მისმა სულიერებამ ყველა მორჩილებაში მოიყვანა, თავისი განათლებით კი ერის ყველა სოციალურმა ფენამ მხურვალე სარწმუნოებით ცხოვრებაზე დაიწყო ფიქრი.

გიორგი მთაწმინდელი მიზნის მისაღწევად არავის ეპუებოდა. პირველ რიგში მან მეფე ამხილა ცოდვების გამო: „უშიშად და თუალ უხვად სიბრძნით და გონიერად“, დაუშვებელი იყო საეპისკოპოსო თანამდებობების უწესო და უსწავლელ ადამიანებზე მიყიდვა, რასაც მეფე სჩადიოდა. ათონელმა ბერმა დაიწყო ღირსი მონაზვნების გამორჩევა, რადგან ღვთივსულიერი მოძღვრების მომრავლება აუცილებელი იყო სამეფოს ნორმალური არსებობისთვის, „ლოცვითა მათითა მშვიდობით წარემართოს სამეფო მისი“, უღირსი და უწესო მღვდელების ცოდვით კი „ერის კაცნიცა დაისაჯნენ“. გიორგი მთაწმინდელმა მიზნად დაისახა ეკლესიაში ფუნდამენტური ცვლილებების განხორციელება, რაც ძალიან დიდ შედეგს მოუტანდა ქვეყანას, წმინდა მამის აზრით, უღირსი სასულიერო პირი წარმოადგენს საფრთხეს, ამიტომ მოუწოდა მეფის ხელისუფლებას, რომ სიმართლით განესაჯათ ყველა საქმე სამეფოში და „ობოლი და ქვრივი“ არ დაეჩაგრათ, ანუ სასამართლო სისტემაც ქვეყანაში გამართული უნდა იყოს და უბრალო ადამიანები არ უნდა იჩაგრებოდნენ, რადგან „წყალობა და სამართალი უყვარს უფალს“.

მამა გიორგიმ საქართველოში ყოფნის დროს ამხილა ერთ-ერთი ეპისკოპოსი, რომელიც სიმდიდრეს აგროვებდა, რითაც ქრისტიანული სარწმუნოების მთავარ ღირებულებებს არღვევდა და „ამა მიზეზითა სცვიდა სიმდიდრესა თვისსა, ხოლო გლახაკთა ყოვლადვე არა მიჰხედავდა“. მიუხედავად იმისა, რომ ეპისკოპოსი თანხას ეკლესიის აშენება-შემკობისა და

აღაბთა დასადებად აგროვებდა, გიორგი მთაწმინდელმა იგი მაინც გააკრიტიკა (ტყეშელაშვილი.2019:52). იმ დროს ქვეყანა და ხალხი შიმშილობისაგან იღუპებოდა, გაჭირვებული, მომაკვდავი ხალხის ნივთიერი დახმარების მაგიერ ეკლესიების აგებასა და გამშვენიერებაზე ფიქრი და ზრუნვა, რათა ამ გზით თავისთვის საუკუნო აღაბი გაეჩინა და სახელი განეთქვა, ათონელი მამის აზრით, ბოროტი სულისა და ეშმაკის ჩაგონებანია, რადგან იესო ქრისტეს არასდროს უთქვამს „ეკლესიანი შეამკვენითო", არამედ მშიერ-მწყურვალთა და გაჭირვებულთა დახმარებას ასწავლიდა (ვეფხიშვილი. 1984:66). ქრისტიანულ სარწმუნოებაში ყველაზე დიდი ფასეულობა ადამიანია, ამიტომ ყველა დროში აქტუალურია ადამიანებზე ზრუნვა და ბატრონობა. გიორგი მთაწმინდელი თავისი მაღალი ღირსების გამო არავის მოერიდა და ყველა ამხილა (ტყეშელაშვილი.2019:52). სწორედ დიდ სულიერ მამებს ხელეწიფებათ ამხილონ საერო და საეკლესიო ხელისუფლებანი. გრიგოლ ხანძთელის შემდეგ გიორგი მთაწმინდელი ყველაზე გამორჩეული მოღვაწეა, რომლის მონდომებამ შედეგი გამოიღო, თუმცა ძირეული ცვლილებები ვერ მოხერხდა. ეს იყო მცდელობა და უფრო ნიადაგის მომზადება რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ჩასატარებლად. წმინდა ბერმა მიმართულება მისცა ერსა და ბერს, თუ როგორ უნდა ემოქმედათ სწორად. დაახლოებით 40 წლის შემდეგ მთაწმინდელი მამის მონდომება რეალურ საქმედ აქცია დავით აღმაშენებელმა, ანუ გიორგი მთაწმინდელის დაწყებულ საქმესა და დავით მეფის მიერ ჩატარებულ კრებას შორის აშკარა კავშირია (იქვე:54).

ღირსი მამა მოძღვრავდა მღვდელმთავრებს, რათა მათ „თუალ ღებით (გამოუცდელად) ხელდასხმა არ აღესრულებინათ და უღირსნი არ ეკურთხებინათ მღვდლად. იგი მოუწოდებდა ასევე მღვდლებსა და დიაკვნებს: „სწავლად მორჩილებასა ეპისკოპოსისა თვისისა". გიორგი მცირე ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ მრავალ სათნოებათა შორის გიორგი ათონელს „მადლი აქუნდა სულთა კურნებისა" და ის იყო შუამდგომელი ღმერთსა და კაცთა შორის. გიორგიმ მრავალ ობოლზე აიღო პასუხისმგებლობა „ესოდენი სიმრავლე ობოლთა იტვირთა", ასწავლიდა და მოძღვრავდა მათ „წესსა და კანონსა ლოცუათა... მარხუასა, მოღუაწებასა". საქართველოში ყოფნის პერიოდში, 5 წლის განმავლობაში, გი-

ორგი მთაწმინდელის წიგნებმა მრავალ საეპისკოპოსოსა და მონასტერში გამოასწორა მდგომარეობა „საეკლესიო წესნი განმართნა“ და ნაკლოვანება აღმოფხვრა. ბოლოს ის გამოეთხოვა სამეფო ოჯახს, მღვდელმთავრებს და თავის მოწაფეებს, ყველას ეძნელებოდა ბერთან განშორება, რაც გარდაუვალი იყო, ღირს მამას სასწაულებრივად ეუწყა წინასწარვე მისი მიცვალების ჟამი. საქართველოდან გიორგი მთაწმინდელი კონსტანტინეპოლში ჩავიდა იმპერატორ კონსტანტინესთან, სადაც დიდი პატივით დახვდნენ. ამ თვალსაზრისით გიორგი მთაწმინდელი ქართველ მონაზონთა შორის ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული მოღვაწე იყო. შეიძლება ითქვას გიორგი მთაწმინდელის რანგის მოღვაწე თავისი მაშტაბებით საქართველოს ეკლესიაში არ ყოფილა, მან უმაღლესი სულიერება გამოავლინა ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე დუკასსა (1059–1067) და ანტიოქიის პატრიარქ თეოდოს მესამესთან ურთიერთობაში. იგი იყო ბრწყინვალე ღვთისმეტყველი, კანონისტი, მთარგმნელი, საეკლესიო წყაროების მცოდნე და სიმართლისთვის შეუპოვარი მოძღვარი.

გიორგი მთაწმინდელმა ილარიონ ქართველისა და ექვთიმე მთაწმინდელის საგალობელი შეიტანა „თვენში“. მათი საგალობლების „თუენში“ საკუთარი ინიციატივით შეტანა გვიჩვენებს, რომ გიორგი მთაწმინდელი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ ორი მოღვაწის როლს ქართული ეკლესიის ცხოვრებაში (გაბიძაშვილი 2010:27).

ქართული თვენი მნიშვნელოვნად გამდიდრდა XI საუკუნეში, ქართველ ათონელ მამათა წმინდა ექვთიმე ათონელისა და გიორგი მთაწმინდელის მიერ. ექვთიმემ შეადგინა მრავალთა წმიდათა გალობანი, ხოლო გიორგიმ „თვენი ათორმეტნიენი სრულად“ (Кекелидзе.1908:XXVII).

გიორგი მთაწმინდელს მოღვაწეობა მოუწია აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიათა გაყოფის (დიდი სქიზმის 1054 წ.) პერიოდში. მისმა უდიდესმა ავტორიტეტმა განაპირობა ის ფაქტი, რომ ბიზანტიის იმპერატორი მისგან იღებს განმარტებებს რომაელთა და სომეხთა სარწმუნოების შესახებ. იმპერატორმა ღირს გიორგის დაუსვა კითხვა ზიარების შესახებ, თუ რატომ წირავდნენ ისინი საფუარიანი პურითა და წყალშეზავებული ღვინით და რომაელები ხმიადებითა და წყალშეუზავებლად. მამა გიორგიმ მიუთითა, რომ საფუარიანი პურით უფლის სხეულის გასულიერება აღინიშნება, ხოლო ღვინოში წყლის გაზავება ქრისტეს

განგმირული გვერდიდან სისხლისა და წყლის გადმოდინებას გვაგონებს (ფერაძე. 2005:274). გიორგი მთაწმინდელმა ბერძენ იმპერატორთან ყურადღება გაამახვილა იმ ფქტზე, რომ „ქართველთა ნათესავი“ არასოდეს მიდრეკილა მწვალებლობის მიმართ, რომ ქართველებს „სარწმუნოება მართალი“ უპყრიათ და „რაჟამს ერთ გზის გვიცნობიეს არღარა მივდრეკილვართ, მარცხულ გინა მარჯუულ და არცა მივდრკებით თუ ღმერთსა უნდეს“. ეს მაღალფარდოვანი სიტყვები წარმოთქვა განათლებულმა ქართველმა ბერმა იმპერატორის წინაშე და ხაზი გაუსვა ქართველთა მიერ მართალი სარწმუნოების ერთგულებას. მან განაცხადა ასევე, რომ ქართველები არც განუდგებიან მართალ სარწმუნოებას, ეს მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, „თუ ღმერთს უნდეს“, აქაც იგი ყოველივეს მხოლოდ ღმერთს მიანდობს. სომეხთა სარწმუნოებაზე კი ღირსმა მამამ მოკლედ განაცხადა, რომ „ბოროტსა სარწმუნოებასა სახელცა ნუ ედების“.

გიორგი მთაწმინდელს გამორჩეული და განათლებული სულიერი შვილები ჰყოლია, მათ შორის უნდა დავასახელოთ თეოფილე ხუცესმონაზონი. თავისი შრომის ერთ მინაწერში იგი ბრძანებს: „საუკუნოჲცა არს სახსენებელი და კურთხევაჲ ნეტარისა და წმიდისა მამისა, მზრდელისა და მოძღურისა ჩემისა გიორგი მთაწმინდელისა, ახლისა ოქროპირისა“ (კეკელიძე.1980:244). იმ დროისთვის გიორგი მთაწმინდელი, როგორც ჩანს, უკვე შერაცხილი იყო წმინდათა დასში, მისი შერაცხვა გარდაცვალებიდან მალევე უნდა მომხდარიყო. ამ ფაქტს მოწმობს მისი მოხსენიება 29 ივნისს (ძველი სტილით) ჯერ კიდევ XI საუკუნეში, A-97 (გაბაძაშვილი. 2001:300). თუმცა იერუსალიმური ხელნაწერის მიხედვით, jer – 80 (XIVს.) H-342 წმინდა მამის ხსენების დღედ 30 ივნისი იყო მითითებული. A-122 (1749 წ), S – 1464 (1759 წ) ქართულ ხელნაწერთა მიხედვით კი გიორგის ხსენება ძველი სტილით 27 ივნისს აღესრულება (იქვე: 300). სწორედ ეს თარიღია აღიარებული საქართველოს ეკლესიის კალენდრის თანამედროვე გამოცემებში, გიორგის ხსენება აღესრულება ძვ. სტ. 27 ივნისს, ხოლო ახალი სტილით 10 ივლისს (საქ. ეკ.კალ. 2014:74).

აღსანიშნავია, რომ მართლმადიდებლურ სამყაროში მთაწმინდელ მამებს განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ ყველა დროში, იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების ცხოვრება შეტანილია ათონის მთის პატერიკში, სადაც ისინი იხსენიებიან ძველი სტილით 13 მაისს. XIX

საუკუნეში ათონური პატერიკი ითარგმნა რუსულ ენაზე (Афонский Патерикъ 1897:408-450). იოანე მთაწმინდელის ცხოვრების ბოლოს, შენიშვნაში საუბარია ლათინთა მიერ ათონის მთის დარბევასა და იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების წმინდა ნაწილთა გატაცებაზე (იქვე:420). ათონური პატერიკის მიხედვით, როდესაც გიორგი მთაწმინდელის სხეული კონსტანტინეპოლიდან ათონის მთაზე გადაასვენეს, ამოსვენებისას წმინდა მამის სხეული ცოცხალივით გამთიყურებოდა. ის მარმარილოს საფლავში წმინდა თორნიკეს გვერდით ჩაუსვენებიათ. ეს ფაქტი მომხდარა 1067 წლის 24 მაისს, თუმცა ივერთა ლავრაში გიორგი მთაწმინდელის ხსენების დღედ 30 ივნისი დადგინდა (იქვე:451). პატერიკის მიხედვით 13 მაისს აღესრულებოდა გაბრიელ ქართველისა და ლათინთა მიერ ივერთა მონასტერში მოწყვეტილ მამათა ხსენება, ქართველი ბერების ნაწილი ზღვაში დაახრჩვეს, ხოლო მეორე ნაწილი ტყვეებად გაუყიდიათ (იქვე: 453).

ქართული მონასტრები წმინდა მიწაზე

გამოჩენილი ქართველი ბერი, დიდი მოღვაწე ეფრემ მცირე თავის თხზულებაში „უწყებაჲ ქართველთა მოქცევისასა“ აღნიშნავს, რომ ქრისტეს მადლით ქართველი ერი „ჰგიეს საფარველსა ზედა მართლმადიდებლობისა“ და მათ რჩეულთა შორის წილად ხვდათ „საწამებელად მართლმადიდებლობისა“ წმინდა ადგილთა განთქმული ტაძრები, ანუ მონასტრები: „ადგილი თხემისაჲ, ქუაბი ბეთლემისაჲ, ქუაბითურთ საბა წმიდისაითა და თორნით სვიმონწმიდისაით“ (ეფრემ მცირე.1959:12). აღნიშნულმა სავანეებმა ქართველთათვის უდიდესი საქმე გააკეთეს, რადგან მათ ზეცასთან კიბის მოვალეობა შეასრულეს „ზეცის სავანეთა მკვიდრობისა“. გკერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში მიუთითებდა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი ალ. ცაგარელი, რომ აუცილებელი იყო იერუსალიმში ქართველთა 15 საუკუნოვანი შემოქმედება გამოკვლეული ყოფილიყო, რადგან ქართველები წმინდა მიწაზე ყველა სფეროში გამოირჩეოდნენ (Цагарели.1888: VII). წმინდა მიწაზე ქართველთა მოღვაწეობის შესახებ სხვადასხვა საუკუნეში მოღვაწე ყველა ერის და

რელიგიის წარმომადგენელი საუბრობს, ხოლო თავად ქართველები ამ საკითხით ნაკლებად არიან დაინტერესებულნი. მართლაც გასაკვირია, ჯერ უფრო ადრე რომ დაწყებულიყო ქართველთა მოღვაწეობის შესახებ კვლევა-ძიება, ჩვენ გაცილებით მეტი გვეცოდინებოდა წმინდა მიწაზე არსებული სავანეების შესახებ, მაგრამ, სამწუხაროდ, პოლიტიკური და სხვა სიძნელეების გამო ეს ვერ მოხერხდა. ქართველებმა ბოლო საუკუნეების განმავლობაში დაკარგეს წმინდა მიწაზე არსებული ყველა სავანე, რითაც დასრულდა ქართველთა 15 საუკუნოვანი მოღვაწეობის ისტორია.

ძველი ქართული წყაროებით მიჩნეულია, რომ იერუსალიმში ჯვრის მონასტრის ადგილი მირიან მეფემ მეოთხე საუკუნეში შეიძინა და ააგო ეკლესია, რომელიც მეხუთე საუკუნეში განავრცო და კეთილმოაწყო ვახტანგ გორგასალმა. აღნიშნულ ცნობებს გვაწვდის ტ. გაბაშვილი, თ.ბატონიშვილი, პლატონ იოსელიანი და მ.ჯანაშვილი (მენაბდე.1980:72). მნიშვნელოვანია, რომ ჯვრის მონასტერში გამოსახული იყო სამი ქართველი მეფის მირიანის, ვახტანგის და ბაგრატ მეოთხის ფრესკული გამოსახულებები, თუმცა ლ. მენაბდემ მეფეთა ფრესკების კავშირი ჯვრის მონასტერთან ვერ დაადასტურა და საერთოდ საეჭვოდ მიიჩნია მირიან მეფის ჯვრის მონასტერთან დაკავშირება, რადგან მსგავსი საბუთი არ არსებობს (იქვე:76). მანვე საეჭვოდ მიიჩნია ასევე ჯუანშერის ცნობა ვახტანგ გორგასლის იერუსალიმში ჩასვლის შესახებ და დაადგინა, რომ ჯვრის მონასტერი პირველად ააგო შავშელმა მოღვაწემ პროხორემ, „ნათესავით ქართველი, ქუეყანით შავშეთით“. პრობლემას ჰქმნის ისიც, რომ დაზიანების გამო ზუსტად არ არის ამოკითხული მეფეთა გამოსახულების ზემოთ არსებული წარწერა, რომელიც ალ.ცაგარელმა და თ. ჟორდანიამ სხვადასხვაგვარად წაიკითხეს.

მაგრამ ფაქტია, რომ იერუსალიმში უძველესი დროიდან არსებობდა ქართული მონასტრები, მათ შორის ზემოთ დავასახელეთ 1996 წელს იერუსალიმის სამხრეთ–აღმოსავლეთით აღმოჩენილი ქართული მონასტრისა და ქართველი მღვდელმთავრის საფლავის ქვა. საფლავის ქვას ქართული ასომთავრული წარწერა ამშვენებს: „ესე არს სამარხოჲ იოჰანე ცურტაველ ეპისკოპოსისაჲ“. 1. წარწერა შედგენილია მეხუთე

საუკუნის ბოლოს და მეექვსე საუკუნის დასაწყისში. 2. წარწერა „ქართველი" მიგვანიშნებს, რომ სამარხის მკვიდრი იყო აღმოსავლეთ საქართველოდან, ქართლის რეგიონიდან. 3. ეს ეთნონიმი... საქართველოშიც და წმინდა მიწაზეც გვხვდება არქეოლოგიური არტეფაქტები. 4. უმმ ლეონტიუნას მონასტერი არ არის კიდევ ცნობილი სხვა წარწერით, აქ მხოლოდ იოანეს საფლავის ქვის წარწერაა და იოანე ეპისკოპოსზე სხვა წყაროები არ არსებობს. 5. მართლწერის მხრივ სახელი იოჰანე შეიძლება VI-VII საუკუნეებით დათარიღდეს, მოგვიანებით გვაქვს იოანე, რაც მიუთითებს და აძლიერებს წარწერის სიძველეს (Seligman.2014:137). ასე დაათარიღა ჯ. სელიგმანმა ქართველი მღვდელმთავრის საფლავის ქვა. მან ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ქართველი მღვდელმთავრი საქართველოდან იყო ჩასული იერუსალიმში, ხოლო წარწერის შესრულების სტილი საფუძველს იძლევა ვიფიქროთ, რომ იგი შედგენილი უნდა იყოს უძველეს პერიოდში. ინა ჩიხანოვეცის აზრით, იოანეს თავდაპირველად ეკავა ფურტავი/ ბარდავის საყდარი და შემდეგ გადაინაცვლა იერუსალიმში 608-609 წლებში კავკასიაში საეკლესიო განხეთქილების გამო. თუმცა რამდენად ახლოსაა სიმართლესთან მკვლევართა ვარაუდი რთული სათქმელია. აღნიშნულთან დაკავშირებით ხელოვნებათმცოდნე ზ. სხირტლაძე შენიშნავს, რომ ყველაფერი – წმინდა მიწაზე ქართველთა მოღვაწეობის ამსახველი არ შეიძლება დაუკავშირდეს მხოლოდ პეტრე იბერს, ბოლო ათწლეულების აღმოჩენებით ცხადი ხდება, რომ წმინდა მიწაზე ქართველთა მკვიდრობა ბევრად უფრო მასშტაბური და მომცველი უნდა ყოფილიყო (სხირტლაძე.2015:364).

რთულია აღნიშნულ საკითხზე კონკრეტულად ბევრი რამის თქმა, თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ დაუშვებელია სრულად უარყოფა იერუსალიმში არსებული გადმოცემისა, რადგან, როგორც ჩანს, ეს გადმოცემა მოისმინა 1730-იან წლებში მიტროპოლიტმა ტიმოთემ. ასევე საყურადღებოა ჯვრის მონასტერში გამოსახულ ქართველ მეფეთა ფრესკები, რომლებიც ტიმოთეს იერუსალიმში ჩასვლამდე იყო მოხატული და მათ გამოსახვას გარკვეული საფუძველი უნდა ჰქონოდათ, რომელიც შესაძლოა რაღაც ძველ გადმოცემას ემყარებოდა. ჯვრის ქართველთა მონასტერი მოიხატა ტიმოთე გაბაშვილის იერუსალიმში ჩასვლამ-

დე დიდი ხნით ადრე. 1644 წელს მონასტერი მოახატვინა ნიკოლოზ ჩოლოყაშვილმა (ტიმოთეს მიმოსვლა.1956:057).

აქვე უნდა შევნიშნოთ ერთი მნიშვნელოვანი რამ – ცნობილია, რომ ჯვრის მონასტერი იმ ადგილზეა აშენებული, სადაც მოჭრეს ხე, რომლისგანაც მაცხოვრის ჯვარი დაამზადეს. ეს ცნობა საკმაოდ ძველია და იგი, როგორც ჩანს, მონასტერში მცხოვრებმა ბერებმა იცოდნენ. 1370 წელს იერუსალიმში იმყოფებოდა არქიმანდრიტი აგრეთენიოსი, რომელიც ჯვრის მონასტერიც მოუნახულებია. იგი აღნიშნავს, რომ იმ ადგილზე, სადაც მოჭრეს ხე, რომლისგანაც გააკეთეს ჯვარი, დგას იბერიელთა მონასტერი (ფერაძე.2012:16). უფრო მოგვიანებით, 1420 წელს, ჯვრის მონასტერში იმყოფებოდა დიაკვანი ზოსიმე, რომელიც იგივეს იმეორებს: „იქიდან ჩვენ წავედით იბერიელთა მონასტერში, სადაც მოიჭრა ხე, რომელსაც ეწერა, რომ ჯვარი უნდა ყოფილიყო". აღნიშნული ცნობა უფრთ ძველი უნდა იყოს და უძველესი პერიოდიდან უნდა მომდინარეობდეს. ჯვრის მონასტერი გვიანშუასაუკუნეებში საკმაოდ დიდი მონასტერი ყოფილა, 1586 წლისათვის მონასტერს სამასოცდახუთი შესანიშნავი სენაკი და თორმეტი სამლოცველო ჰქონია (იქვე:29).

ჩვენი აზრით, ჯვრის მონასტრის ადგილზე შესაძლოა, რომ XI საუკუნემდე არსებობდა ეკლესია. ჯვრის მონასტრის ტრაპეზი დგას წმინდა ხის ადგილზე, ტაძარი, დიდი ალბათობით, უნდა აეგოთ IV-V საუკუნეებში.

ქართველი მოღვაწეები მკვიდრობდნენ უფლის საფლავსა და აღდგომის ეკლესიაში, რის გამოც ისინი გოლგოთელად და აღდგომელად იწოდებოდნენ და იერარქიულად ქართველთა ჯვრის მონასტრის წინამძღვარს ექვემდებარებოდნენ (კლდიაშვილი. 2008:106). საგულისხმოა ერთი ხელნაწერი (H–1661), რომელზეც XV საუკუნის მინაწერია და ეკუთვნის ჯვრის მამის პიმენის თანამედროვე ქართველ ბერს აღდგომელ მახარებელს. წარწერის შინაარსი ძალიან საგულისხმოა და ბერი ყველა ქართველს მიმართავს: „ესე უწყოდეთ ყოველთა ქართველთა ღმრთისაგან, მეფეთა, სურტანთაგან მოცემული და ნაბოძვარი აღდგომის სალოცავ ეკლესია და სახლი, სადა არს ადამის თხემი და გოლგოთა... ორი კარი აბია აღდგომისა კარსა ზედა, მარჯვენით ჩ(უე)ნია ჯდომაჲ. საფლავზედე

ჰკიდეს რომე ენთებოდეს ნიადაგ ორი კადელი, სხუაგან თვითო... ესე მესმა მამათაგან და დავწერე აღდგომელმან მახარებელმა" (კლდიაშვილი. იქვე:107). ეს ფაქტი სხვა ცნობითაც დასტურდება. არქიმანდრიტ აგრეთენიოსის ცნობით წმინდა საფლავის მარჯვენივ დგას იბერიელთა საკურთხეველი (ფერაძე.2012:16). უფლის საფლავზე ქართველი ბერები უფლებამოსილნი იყვნენ კარის მარჯვნივ საკურთხეველი ჰქონოდათ, სადაც აღასრულებდნენ მსახურებას. ეს იყო საქართველოს პოლიტიკური ავტორიტეტისა და ქართველ ბერთა მაღალი სულიერების მანიშნებელი, ვიდრე კიდევ XV საუკუნეში ეს უფლება ქართველებს შენარჩუნებული ჰქონდათ. ქართველი ბერის, გოლგოთელი მახარებელის სურვილია ეს ამბავი ყველამ იცოდეს – რომ ქრისტეს საფლავზე მარჯვენა მხარე ქართველებს უპყრიათ, ხოლო მარცხენა ფრანკებს, რომ ჩვენი ბერების თავდადებული ღვაწლის შედეგად თავად მაცხოვრის საფლავზე ორი კანდელი ინთებოდა, სხვა სავანეებში კი ერთი. ბერის სურვილია, ეს ტრადიცია არ შეწყდეს და წმინდა ადგილზე კვლავ გაგრძელდეს ქართველთა მოღვაწეობა.


გასული საუკუნის 70-იან წლებში იერუსალიმში ერთ-ერთი შენობის კედელზე მიკვლეული იქნა უცნობი ქართული სამშენებლო წარწერა, რომელშიც მოხსენიებულია ვაჟრის მამა ქაიხოსრო ზედგენიძე, რომელსაც აუგია წმინდა თეკლას მონასტერი, ზღუდე და სენაკი (მიქაძე.1973:236).

ქართველ მოღვაწეებს ეპყრათ ასევე მაცხოვრის საფლავთა კლიტენი, რაც კიდევ ერთი დიდი დამსახურებაა, როგორც ქართველი მეფეებისა, ასევე წმინდა მიწაზე მოღვაწე ქართველი ბერებისა. 1347 წელს იერუსალიმში იმყოფებოდა ლუდოლფ ზუდჰაიმი, რომელიც აღნიშნავს: „ქართველებს აქვთ წმინდა საფლავის ეკლესიის გასაღები და ისინი დიდძალი ფულისთვისაც არ შეელევიან საფლავის ქვის უმცირეს ნატეხსაც კი" (ფერაძე.2012:16). ეს ცნობა მოწმობს, რომ მაცხოვრის საფლავზე მოღვაწე ქართველი ბერები ზნეობრივად წმინდა მოღვაწეები იყვნენ. არქიმანდრიტ აგრეთენიოსის ცნობით, მაცხოვრის საფლავზე ქართველებს ორი საკურთხეველი ჰქონიათ: „წმინდა საფლავის ეკლესიაში, სადაც სამი ვაჟვარი აღმოჩნდა, თცდაცხრა საფეხური ეშვება დაბლა და ძირში დგას ქვის დიდი სვეტი... წმინდა საკურთხეველი იქ იბერიელებს ეკუთვნის.

კიდევ ათი საფეხურით დაბლა არის ადგილი, სადაც დედოფალმა ელენემ სამი ცხედარი აღმოაჩინა. აქაც იბერიელთა საკურთხეველია (იქვე:17). ქართველებს გარკვეული პერიოდის განმავლობაში ეკუთვნოდათ თავად გოლგოთის მთაც და მის ძირში კლდის ნაპრალში არსებული სამლოცველო. ქართველი ბერები მოღვაწეობდნენ ასევე ბეთლემის ბაზილიკაში, სადაც საკუთარი საკურთხეველი ჰქონდათ.

ქართველი მეფეები ყველაფერს აკეთებდნენ, რათა იერუსალიმის ქართულ სავანეებზე გავლენა არ დაეკარგათ. გიორგი ბრწყინვალემ იერუსალიმში გააგზავნა ქსნის ერისთავი პაპა, რომელსაც თან წაჰყოლია დეკანოზი იოანე. ისინი ძღვენით წასულან მაჰმადიან მმართველთან, რომელსაც სიხარულით შეუწყნარებია ძღვენი და „მისცნა კლიტენი იერუსალიმისანი“. მივიდა პაპა ზედა საფლავსა ქრისტესსა და შეემთხვია, ჟამი აწირვინა, ეზიარა [დეკანოზი აკურთხეს მოძღვართ-მოძღვრად... ხოლო პაპამან მოილოცა წმიდანი ადგილნი და შეკრიბნა ნაწილნი წმიდათანი] (ქრონ.1897:8). აღნიშნული ვიზიტის დროს მაჰმადიან მმართველს გაუცია რაღაც დოკუმენტი, რითაც დასტურდებოდა ქართველთა უფლება იერუსალიმში: „მივიდა წინაშე მეფისა და მოიღო იერლაყი შეწყალებისა და განიხარა გიორგი მეფემან, რამეთუ მიეცნეს კლიტენი ქართველთა“ (იქვე:8). „ძეგლი ერისთავთა“ წარმოადგენდა ქსნის ერისთავთა საგვარეულო დოკუმენტს, რომელშიც შემონახულია ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანი ცნობა: ქართველი მოღვაწეები მეფის დავალებით სტუმრობდნენ წმინდა მიწას და გარკვეული საფასურისა და ძვირფასი საჩუქრების გაცემით ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ მაცხოვრის საფლავის კლიტენი.


მესვეტეობის ჩამოყალიბება უკავშირდება წმინდა სვიმონ მესვეტის (386–459) სახელს. იგი დაიბადა ჩრდილოეთ სირიაში, ქ. ნიკოპოლისის რეგიონის სოფელ სისში. ჯერ კიდევ ყმაწვილი, დაახლოებით 17 წლის ასაკში, აღიკვეცა ბერად 403 წელს მთის ფერდობზე მდებარე ევსევონას სავანეში. ბერად აღკვეცის წინ მთელი თავისი ქონება ღარიბებისთვის დაურიგებია. ევსევონას სავანეში მოღვაწეობდა სვიმეონის ბიძაშვილი, რომელიც 35 წელი ეწეოდა დაყუდებულ ცხოვრებას. პირველი ათი წელი სვიმეონს მეტად მძიმე ასკეტური ღვაწლი უტვირთავს, იგი ცერცვსა და დამბალ ოსპს ღებულობდა კვირაში ერთხელ და ხშირად ორი-სამი კვირა უჭმელი იყო. მან გვემის სხვადასხვა ფორმა მოიფიქრა, უწყლო ჭაში, ორმოში დაყუდება და მრავალი სხვა. ასევე რამდენჯერმე შეიცვალა სამოღვაწეო ადგილსამყოფელი: ტელანისოსი, თელნეშილის მთაზე.



სიმონ მესვეტე. გელათი XVII ს.

იგი მესვეტეობის დაწყებამდე მოღვაწეობდა ქვაზე. შემდეგ დამკვიდრდა სვეტზე, რითაც ბერების უკმაყოფილება გამოუწვევია. მას მოსთხოვეს ჩასულიყო სვეტიდან და ჩვეულებრივი ასკეტური ცხოვრება გაეგრძელებინა. თუმცა სვიმეონის წმინდა ცხოვრების, თავმდაბლობისა და სტუმართმოყვარეობის გამო საყვედურს ვერ ეუბნებოდნენ (ჯუღელი. 2011:211–216). სვიმეონი დღედაღამ ლოცულობდა, შუადღის სამი საათიდან მზის ჩასვლამდე მასთან მოსულ ხალხს მოძღვრავდა, ხშირად სვეტზე დაისიდან აისამდე მაღლა აწვდილი ხელებით იდგა. სვიმეონი წლების განმავლობაში ოთხ სხვადასხვა სვეტზე იდგა. ბოლო სვეტზე მან იღვაწა 30 წლის განმავლობაში და დაახლოებით 73 წლის ასაკში, 459 წელს

აღესრულა, წმინდა მამას ხანგრძლივად ფეხზე დგომის გამო განგრენა დაემართა და გარდაიცვალა (იქვე:221). ა. ჰარნაკი შენიშნავდა, რომ სვიმეონის სტილი საკმაოდ რთული იყო და ძლიერ არ განვითარებულა, თუმცა ითვლება, რომ ეს სტილი წარმატებულია, რადგან დღესაც მიიჩნევა, რომ ექსტრემალური-ასკეტიზმი სწორედ აქაა შენაჩუნებული (Harnack.1901:56).



წმინდა პატარა მესვეტე. გელათი XVII ს.

შეიძლება ითქვას, რომ სვიმონ მესვეტემ ქრისტიანული მონაზვნობის ისტორიაში ერთ-ერთი ურთულესი და ხანგრძლივი ასკეტური ცხოვრება იტვირთა, რაც გაოცებას იწვევს და აშკარაა, რომ მისმა პიროვნებამ გარკვეული როლი ითამაშა ქართულ მონაზვნობაზეც. მესვეტეობა საქართველოში ფართოდ გავრცელდა დაახლოებით მექვსე საუკუნიდან. ქართულ მონასტრებში დღემდეა შემორჩენილი რამდენიმე სვეტი (მარტყოფი, კაცხი, უბისა, მარტვილი). ვფიქრობთ, რომ სხვა ქართულ მონასტრებშიც უნდა ყოფილიყო გავრცელებული მესვეტეობის ინსტიტუტი.

წმინდა სვიმონ მესვეტე ყოველთვის გამორჩეული პატივისგებით სარგებლობდა საქართველოს ეკლესიაში. მისი ცხოვრება ინახება სინას მთის ქართულ ხელნაწერებშიც (№46). როგორც ჩანს, წმინდა მამის ცხოვრება იკითხებოდა მონასტერში, რადგან ნიკო მარი აღნიშნავს, რომ ხშირი ხმარებისა და სიძველის გამო პერგამენტზე დაწერილი ხელნაწერი გაცვეთილი იყო. სინას მთაზე მოღვაწე ქართველი ბერებისათვის სვიმეონის ასკეტური

ცხოვრება სამაგალითო იყო: „ცხოვრებაჲ და განგებაჲ: წ–ისა და ნეტ–არისა მამისა ჩ–ნისა ს–ნისი: რ–დამკვიდრებულ იყო მთასა საკვირველსა: სანხებსა: ანტიოქიისასა: და ბრწყინვიდა ვითარცა მთიები თავსა ზ–ა სუ–ვეტისასა“ (Mapp.1940:45). ხელნაწერის ავტორი მიუთითებს, რომ თავდაპირველად არავინ იღვაწა, რათა აღეწერათ სვიმეონის „ანგელოზებრი“ ცხოვრება, რომელიც მან „აღასრულა ქუეყანასა ზედა“. სინელ ქართველს საგანგებოდ მოუძიებია სვიმეონის ცხოვრება და, რაც მთავარია სანდო ცნობებით უხელმძღვანელია „სარწმუნოთაგან სმენილი“. მისი სურვილია სინას მთაზე მოღვაწე ქართველმა ბერებმა იცოდნენ წმინდანის ცხოვრება, რათა უფრო განმტკიცდნენ რწმენაში: „გაოვწყო თქ–ნ ჰოდ, ღვთის მოყუარენო ძმანო, სადიდებლად უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესა ძისა ღვთისა, რომელმანცა იგი (სვიმეონი) გამოირჩია“ (იქვე).

სვიმეონ მესვეტის (უმცროსი) სახელობის მონასტერი არსებობდა შავ მთაზე, ანტიოქიის მახლობლად: „რამეთუ ბერძენნი არა [თო]რნედ, არამედ [წმი]დად მოდად უწოდებენ წმიდასა ეკლესიასა ქართველთასა სვიმონწმიდისასა იტყვის“ (ქრ.I.1892:214). სვიმონ მესვეტის მიმართ ამგვარი პატივისგება შემთხვევითი არ არის უცხოეთის ქართულ სავანეებში, მით უფრო შავ მთაზე. სირიულმა მონაზვნობის გავლენა შეინიშნება როგორც უცხოეთის, ასევე ქართულ მონასტრებში. სირიული მონაზვნობისთვის დამახასიათებელი მკაცრი ღვაწლი საუკუნეების განმავლობაში შეინიშნება სამონასტრო ცხოვრებაში. შეგვიძლია ვთქვათ, რომ სირიულმა სკოლამ თავისი ღრმა კვალი დატოვა ქართულ მონაზვნობაზე, თუმცა ქართველმა მონაზვნებმაც შეიმუშავეს ორიგინალური ქართული გამოცდილება, რაც ასე აშკარა იყო ყველასთვის, ანუ ქართველი მონაზვნები თავიანთი ღვაწლით უცხოურ სავანეებში ბოლო დრომდე ყურადღებას იბყრობდნენ.

სვიმონ მესვეტეს დიდ პატივს მიაგებდა წმინდა მეფე დავით აღმაშენებელი. მეფის ანდერძის მიხედვით, ცნობილი ხდება, რომ მან შეიმღვიმის მონასტერში სვიმონწმინდის მონასტრის წესები დაადგინა: „მიბრძანა სასომან ჩემმან, ბერმანს არსენი, და თვით სულიერმან ბერმან, მოძღუარმან ჩემმან, იოანე, რათამცა წესსა ზედა სვიმონ-წმიდისასა დავსხენ მონასტრისა მღვიმისსა წესნი“.

საქართველოში სვიმონ მესვეტის მსგავსად უნდა დაწყებულიყო მესვეტეობა. პირველი სვეტი აიგო ანტონ მარტყოფელის მიერ მეექვსე საუკუნეში, წმინდა ანტონს სვეტზე 15 წელი გაუტარებია (მწყემსი.1890:9). კოშკის სიმაღლე ყოფილა ექვსი საჟენი, სადაც წმინდა მამა დღე და ღამე გამუდმებით ლოცულობდა თავის სასწაულმოქმედი ხატის წინაშე. იგი დროდადრო ჩამოდიოდა კოშკიდან საძმოს წევრების დასარიგებლად (იქვე:12). მარტყოფის მთინასტერში არსებულმა სვეტმა ჩვენამდე მოაღწია. ჩვენთვის უცნობია, ვინ იყო კაცხის პირველი მესვეტე ბერი. კაცხის სვეტზე აღმოჩნდა ბერის ძვალშესალაგი, რომელიც კაცხის სვეტის თხემზეა (წერეთელი.2008:39). ბერთა ნაწილები ამოვიდა ასევე კაცხის სვეტის ქვემოთ წაქცეული ცაცხვის ხის ძირში, ქვის აკლდამაში დაახლოებით ოცდახუთი თავის ქალა და ძვლები აღმოჩნდა (იქვე:37).

დასავლეთ საქართველოში წმინდა გრიგოლ ხანძთელის მოწაფის მიერ დაარსებულ უბისის მონასტერში არსებობს სვეტი, რომელიც დავით აღმაშენებლის ვაჟის, დემეტრე პირველის პერიოდში, 1141 წელს აუგიათ. შირიმის ქვის ქანით ნაგები თოხსართულიანი შენობა, თითოეულ სართულში თითო ოთახით, ჩვენამდე გადაუკეთებლადაა მოღწეული. სვეტში შესასვლელი მეორე სართულიდან ყოფილა. პირველ სართულზე საკუჭნაოა, ფართო დარაბებიანი განჯინებით, სადაც მისადგმელი კიბით ჩადიოდნენ მეორე სართულიდან და რომელიც საცხოვრებელ ოთახს წარმოადგენდა დიდი ბუხრით, განჯინებითა და საპირფარეშოთი (ცინცაძე. 1964:34–35). ზედა ოთახი სალოცავად და სამუშაოდ უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. მის სამ კედელში თითო სარკმელი იყო დატანებული, აქვე ყოფილა ღრმა ნიშები, ალბათ სქელტანიანი ხელნაწერი წიგნების დასაწყობად. აღმოსავლეთის მხარის მეოთხედ სფეროს მიმსგავსებული დახურვა და მხატვრობის კვალი მიგვითითებს აქ ერთ დროს სალოცავი ადგილის არსებობაზე. დასავლეთით კოშკს ჰქონდა აივანი, რომელიც მონასტრის ეზოს გადაჰყურებდა. მეოთხე სართული თავდამცავი ბრძოლისთვის ყოფილა განკუთვნილი (იქვე:35). ჩვენი აზრით, სწორედ მეორე სართულზე უნდა ყოფილიყო დამკვიდრებული მესვეტე მამა, სადაც იგი ლოცულობდა და აივანზე გასვლისას მონასტრის ბერებთან ამყარებდა კავშირს. იქვე მესვეტე მამას ჰქონია კედლის ნიშებში საკითხავი წიგნებიც.

მარტვილის სვეტის დათარიღებაში საორიენტაციო ცნობას გვაწვდის ისტ. საბუთი (ხელ.ინს. 240). მინაწერში ვკითხულობთ: „დაიწერა სუეტსა ზე და ჭყონდიდისა, ადიდენ ღმერთმან, მეფობასა ბაგრატ კურაპალატისა, ინდიქტიონი დ. ქრონიკონსა სნა, ხელითა იოანე მესვეტისათა“ (ცინცაძე.1981:35). იოანე მესვეტე მარტვილის სვეტზე ასულა 1031 წელს, ვფიქრობთ, რომ სვეტი უფრო ადრეც არსებობდა და შესაძლოა 1031 წელს იგი განაახლეს. XI საუკუნეში მოღვაწე იოანე ჭყონდიდელი იყო განდეგილი-მესვეტე ბერი, რომელიც კალიგრაფიულ საქმიანობასაც ახორციელებდა. მან 1031 წლის ახლო ხანებში სვეტზე გადაწერა Q-240 და S-391 ხელნაწერები (მართ.ენციკ. 2007:408). როგორც ჩანს, მარტვილში მესვეტეობის მძლავრი კერა არსებობდა, რადგან აქ XIX საუკუნემიც მოღვაწეობდა მესვეტე ბერი. რომანოზ მესვეტე, ქართველი მონაზონი, მესვეტე, რომელმაც მარტვილის მონასტერში სვეტზე დაყუდებით 35 წელი იცხოვრა. ამ გამორჩეულმა ბერმა გადაწერა H-1005, S-50, H-1009, H-1695 ხელნაწერები (იქვე:768). ძალიან საინტერესოა ვ. ცინცაძის 1981 წლის ცნობა. იგი წერდა, რომ სვეტის დანიშნულების შესახებ დღესაც ახსოვს ხალხს. ადგილობრივი მასწავლებელი ნიკოლოზ ოსაძე იხსენებდა, რომ კოშკზე მესვეტე ცხოვრობდა: „არც ხალხს ეკარებოდა და არც არავინ ადიოდა მასთან... საჭმელს კალათით აწვდიდნენო“. ანალოგიურ ცნობას უფრო ადრე უცხოელი მოგზაური დიუბუაც გვაწვდის, მას 1839 წელს მარტვილში უნახავს მესვეტე, რომელიც მთავარი ტაძრის სამხრეთ-დასავლეთით აღმართულ ოთხკუთხა გეგმის მქონე კოშკში ცხოვრობდა (იქვე:30). იმავეს გვაუწყებს ჟურნალ „მწყემსის“ 1883 წლის გამოცემაც: „მარტვილის ეკლესიიდან მარჯვნივ, სერის ფერდობზე აშენებულია საკმაოდ ძველი დროის კოშკი, რომელიც ყოფილა მესვეტეთა სადგომი“ (მწყემსი.1883.N 4:5).

სვიმონ მესვეტის მიმართ პატივისგება ასახულია ქართულ ფრესკულ მხატვრობასა და ჭედურ ხელოვნებაში. გელათის მთავარ ტაძარში ქრისტიანული სამყაროს უდიდესი მოღვაწე მონაზვნები არიან გამოსახული, რაც არაა გასაკვირი, რადგან გელათი ყველაზე მძლავრი სამონასტრო ცენტრი იყო. ჩრდილოეთის კარიბჭეში გამოსახულია ორი მეუდაბნოე-მიშველი ბერი. კარიბჭის ჩრდილო აღმოსავლეთის კუთხის მარჯვნივ

აღმოსავლეთის კედელზე გამოსახულია (თეთრ-მწვანე-აგურისფერ ფონზე) წმინდა მოღვაწე, გრძელი თეთრი წვერით, რომლის სიგრძეც თითქმის კოჭებამდე სწვდება. წმინდანს ჭაღარა თმა მხრებამდე ჩამოდის, სახეზე შუბლი დანაოჭებულია, დიდი მეტყველი თვალები და სწორი ცხვირი. შარავანდედის მარჯვენივ შემორჩენილია რამდენიმე ბერძნული ასობგერა NOVΦ... წმინდა მამა უნდა იყოს თნოფრე დიდი. მეორე ფიგურის გამოსახულება ჩრდილოეთის კედელზე უფრო მეტი ფერისაა, სახის ნაკვთები გადასულია. მასაც გრძელი თეთრი წვერი ამშვენებს, შარავანდედის მარცხნივ შემორჩენილი მკრთალი ბერძნული წარწერა ΠΟΑV.... აშკარაა, რომ წმინდანი პავლე თებაიდელია, იგი იყო განმარტოებული მოღვაწეობის ფუძემდებელი. კარიბჭეში არის სხვა მონაზონთა გამოსახულებანიც. კედლის მხატვრობას დაახლოებით XIV-XV საუკუნეებით ათარიღებენ, თუმცა აშკარაა, რომ მათ ქვემოთ არსებობდა უფრო ძველი მხატვრობა, რომლის კვალიც დღესაც შეინიშნება. სავარაუდებელია, რომ კარიბჭეში ძველადაც მოღვაწე მონაზონთა ფრესკები უნდა ყოფილიყო გამოსახული.

გელათის ღვთისმშობლის შობის მთავარ ტაძარში არაერთი საინტერესო ფრესკაა დაცული, მათ შორის მნიშვნელოვანია მთავარი ტაძრის დასავლეთ მკლავში გამოსახული ქრისტიანული სამყაროს გამორჩეულ მოღვაწე მამათა ფრესკები. წმინდანები XVII საუკუნის შუახანებში საგანგებოდ გამოასახვინა აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) ცნობილმა კათალიკოსმა ზაქარია ქვარიანმა. იგი კათალიკოსობამდე გელათში მოღვაწეობდა და მაცხოვრის სახელობის ეკვდრის წინამძღვარი იყო. მაცხოვრის ვნებათა და ღვთისმშობლის ფერხთა ბანვის სცენათა ქვემოთ, ქოროს თაღებს შორის, სამხრეთ მხარეს, წარმოდგენილია წმინდა იოანე ნათლისმცემელის დიდი ზომის ფიგურა ანგელოზის ფრთებით. იოანე მონაზონთა დასის მფარველი და სიწმინდის სიმბოლოა. ნათლისმცემლის მობაირდაბირე მხარეს, ჩრდილოეთით, ანტონი დიდის ასევე დიდი ზომის ფიგურაა გამოსახული. ანტონი სამონაზვნო ცხოვრების ერთ-ერთი დამაარსებელი და მასწავლებელია ყველა მონაზვნისთვის. ორივე ზემოთ დასახელებული წმინდანის თითქმის შუა ტაძარში გამოსახვა შემთხვევითი არ არის. ტაძარში მყოფ მონაზვნებს წმინდანთა გამოსახულებები-

სთვის ყურადღება უნდა მიექცაათ და მათგან შეწევნა გამოეთხოვათ, მონაზვნობა ხომ ანგელოზებრივ ცხოვრებას ნიშნავს, ამიტომ სამეფო მონასტერში მოღვაწე ბერს მაგალითი წმინდა იოანესა და ანტონი დიდისგან უნდა აეღო.

დასახელებული წმინდანების შემდეგ იქვე გამოსახულნი არიან ცნობილი მესვეტე მამები: მესვეტე მამა (სახელი არ იკითხება), სამხრეთით სვიმონ მესვეტე, მის გვერდით წმინდა ავლიპი მესვეტე, ავლიპის მოპირდაპირედ, ჩრდილოეთის კედელზე, წმინდა პატაპი მესვეტე. ოთხივე მოღვაწე სვეტზე დგას, მესვეტე მამების გამოსახვა გელათის მთავარ ტაძარში, თვალსაჩინო ადგილას, გვაუწყებს, რომ მესვეტეობის მიმართ საქართველოში გვიან პერიოდშიც განსაკუთრებული პატივისცემა არსებობდა. არ არის გამორიცხული, რომ მესვეტე მამა გელათის ახლომახლოც (დავითის კოშკი?, რომელიც შეუსწავლელია) მოღვაწეობდა.

მესვეტე მამებს შორის გამოსახულია ასევე ქალი მონაზვნები: წმინდა სვინკლიტიკია, მწვანე ფერის სამოსში და მის პირდაპირ, ჩრდილოეთის კედელზე, წმინდა ნინა... (არ იკითხება), მუქი ფერის სამოსით.

ძველ ქართულ ტაძრებში ბევრგან არის გამოსახული სვიმონ მესვეტის თუ სხვა მესვეტე მამათა გამოსახულებანი. ასე მაგალითად, ოშკის იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძარში X საუკუნით დათარიღებული მესვეტის ორი ფრესკაა: ერთ-ერთი მათგანი გამოსახულია დასავლეთის ფასადზე, მეორე კი სამხრეთ გალერეის ბოლო სვეტზე. საქართველოში დამკვიდრდა მესვეტეთა იდიოსინკრეტული ვერსია, რაც გულისხმობდა ქვეყანაში ბერებით დასახლებული განცალკავებული კომკების არსებობას (შნეურსონი.2016: 124). აქედან გამომდინარე უნდა ვთქვათ, რომ მესვეტეობის ინსტიტუტი განსაკუთრებით განვითარდა საქართველოში და სვეტზე გამოსახული წმინდანები ქართული მონასტრებისთვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო. სვიმონ მესვეტე უმცროსი ქართველ მორწმუნეთა შორის განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდა. ებრაელი მკვლევარი ე. შნეურსონი აღნიშნავს, რომ ოშკის ტაძრის მაშენებლებს განზრახული ჰქონდათ გაეცლოთ პარალელი მესვეტეთა მსახურებას, სვეტის სიმბოლიზმსა და საქართველოს გაერთიანებისათვის საკუთარ ღვაწლს შორის (იქვე:125).

აღსანიშნავია, რომ სირიული მონაზვნობის ასკეტურ ღვაწლს ბოლო პერიოდამდე აღასრულებდნენ რჩეული ქართველი მონაზვნები, მათ შორის შეგვიძლია დავასახელოთ ილარიონ ქართველი (ახალი). ღირსი მამა ათონის მთაზე თავდაპირველად მკვიდრდება ნესტიან მღვიმეში, სადაც მას გაცვივდა თმები, ამას ემატებოდა შიმშილი და წყურვილი. იგი მუდამ გაცივებული იყო, სინესტისგან დაუსივდა ფეხები და ხშირად მღვიმიდან ვერც გამოდიოდა. მღვიმის შემდეგ მამა ილარიონი სვეტზე იწყებს მოღვაწეობას. მან შეწყვიტა სულიერი რჩევისთვის მიმსვლელთა მიღება და მთლიანად მიეცა მჭვრეტელობასა და გულისხმიერ ლოცვებს. სვეტზე ასვლისთვის კურთხევა დიონისეს მონასტრის წინამძღვრის, იღუმენ სტეფანესაგან აიღო, მაზეზად კი დაასახელა: „მე ყველა მაქებს და ამიტომ წამოვედი აქ“ (ილარიონ ქართ. ცხ.2013:67-72). წმინდა მამას სვეტზე მოღვაწეობისას მრავალი განსაცდელიც გადახდენია, მას არაერთხელ დასხმია თავს ბოროტთა სიმრავლე, საბოლოოდ ბოროტ ძალთაგან ნაცემ-ნაგვემი ბერი ტოვებს სვეტს და ივერონში მკვიდრდება. ასეთ მძიმე ღვაწლთან ერთად მამა ილარიონი იმარხავდა მდუმარების აღთქმას და არ ხვდებოდა ადამიანებს.

ქართული სქემა

მონაზონი აღკვეცის შემდეგ იმოსება მცირე სქემით, ხოლო იშვიათ შემთხვევაში ასაკს მიღწეული, ღვაწლმოსილი მამები დიდი სქემითაც იმოსებოდნენ. ქართველი მონაზვნები ჯერ კიდევ ასურელი მამებიდან მოყოლებული ატარებდნენ სქემას. ჩვენ საშუალება გვაქვს წარმოდგენა ვიქონიოთ ქართულ სქემაზე. ფრესკებსა თუ მინიატურებზე გამოსახულ სასულიერო პირებს აცვიათ ქართული სქემები. უნდა ითქვას, რომ მართლმადიდებლურ სამყაროში არსებულ სქემებს საერთო ბევრი აქვთ. მცირე სქემის საბურველი ოდნავ განსხვავდება დიდი სქემის კუნკულისაგან. კუნკული არა მარტო თავს, არამედ ბეჭებსაც ფარავს ყველა მხრიდან და შემკობილია 5 ჯვარით. წითელი ფერის ჯვარი შუბლზე, ორი გულზე, ორი მხრებსა და ზურგზე (Краснопевков.2013:436). სქემით შემოსვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბერისთვის. ექვთიმე მთაწმინდელის

ცხოვრებაში მოთხრობილია, თუ როგორ შემოსა მომაკვდავი – დაჭრილი ბერი მამა ექვთიმემ სქემით: „მეყუსეულად შთავიდა და სრულ ჰყუნა ოგი სქემითა და აზიარნა წმიდათა საიდუმლოთა“ (საბინინი.1882:426). ექვთიმე მთაწმინდელი გიორგი შეყენებულის მიმართ მიწერილ წერილში აღნიშნავდა, რომ სქემის კურთხევისას გარკვეული წესების დაცვაა საჭიროო, ანუ სქემის კურთხევის შემდგომ „თუ სხვაჲ ბრალი არა შეემთხვიოს, ეზიარებოდის“. შემთხვევისას კი მონაზონს შესაფერის კანონი უნდა დაედოს. ღირსი მამისვე სწავლებით სქემის კურთხევა მარხვის დღეებში შაბათ-კვირას ნებადართულია, საბერძნეთში ძირითადად მარხვის დღეებში შაბათ-კვირას აღესრულებოდა სქემის კურთხევა. სნეულების შემთხვევაში, „რასაცა დღესა იკურთხოს სქემითა, აუგი არ არის“ (ქრონ.1897: 85). დიდი სქემის კურთხევას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მონაზვნისთვის. გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში გიორგი მცირე აღნიშნავს, რომ გიორგი მთაწმინდელი მისმა მოძღვარმა, გიორგი შეყენებულმა 30 წლის ასაკში სქემით შემოსა: „ღირს ჰყო მოღებად მეორისა ნათლისა ღებასა, რომელ არს მადლი წმიდისა სქემისა“ (საქ. სამ.1882:446). ასე რომ მონაზვნის სქემის კურთხევა მეორე ნათლისღებად არის შეფასებული და დიდი სქემით უკვე გამოცდილი მოღვაწეები იმოსებოდნენ.

ჩვენი ყურადღება ამჯერად შეჩერდა ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ქსოვილების ფონდში დაცულ ერთ-ერთ სქემაზე, რომელიც 1923 წელს გელათის მონასტრის დახურვის შემდეგ გადმოუტანიათ აქ. (ფოტოს მოწოდებისთვის მადლობას მოვახსენებთ ქალბატონ ირინა უგრეხელიძეს). ოქროქარგულობით შემკული ნივთი (N6630), მონასტრიდან შემოსულია, როგორც ოლარი. ნივთს ოლარისთვის დამახასიათებელი კანონიკური ფორმისგან ფრიად განსხვავებული სახე აქვს, რის გამოც საეჭვოდ მივიჩნიეთ მისი რაობა და დასახელება. ნაქარგობა გამოირჩევა რთული კომპოზიციით, მასზე ხუთი ჯვარია გამოსახული. წინა და უკანა მხარეს ამოქარგულია კომპოზიცია „ძლევის ჯვარი“ – ჯვარცხლბეკზე აღმართული გოლგოთის ჯვარი და ვნების იარაღები: ჯვრის ერთ მხარეს ლახვარი, მეორე მხარეს – ლერწამზე დამაგრებული ღრუბელი, ჯვრის ორსავე მხარეს სამსჭვალი. ჯვრის მარცხნივ კიბეა გამოსახული, ხოლო გოლგოთაზე აღმართული ჯვრის ქვეშ ადამის თავი. თავად

ჯვარი მრავალჯვრის სახითაა წარმოდგენილი – მის ჰორიზონტალურ მკლავებსა და წვერზე 3–3 ჯვარია გამოსახული. ჯვართან დაქარაგმებულია ბერძნული გრაფემები „იესუ ქრისტე“ და NI: K: (ი. უგრეხელიძე). დიდ სქემაში შემოსილი მონაზონი მუდამ უნდა ფიქრობდეს სიკვდილზე და ამასთანავე ახსოვდეს, რომ იესო ქრისტემ ჯვარზე გაკვრით და შემდეგ აღდგომით შემუსრა სიკვდილი. სქემოსანმა მონაზონმა ყოველგვარი ჭირი და განსაცდელი უნდა დაითმინოს, როგორც მაცხოვარმა დაითმინა, ლახვრის დარტყმა და ძმარი. თავისი დატვირთვა აქვს კიბესაც, იესოს ჯვარცმითა და აღდგომით შეერთდა ცა და მიწა.

ნივთს კალთის ბოლოში ამოქარგული აქვს დაქარაგმებული ასომთავრული საქტიტორო წარწერა: „წ: ქ(რისტ)ე ღ(მერთ)ო: შ(ეი)წყალე ყ(ოველი)ს(ა) აფხ(ა)ზეთისა: კ(ათალიკო)ზი ეფთვმე: ა(მი)ნ“. ვინაიდან წარწერა უთარიღოა, დღესდღეობით ზუსტად არ არის გარკვეული ვის ეკუთვნოდა სქემა, აფხაზეთის კათალიკოს ექვთიმე I–ს (1578–1605/16), თუ ექვთიმე II–ს (1669–1673), რომლებიც გვარად საყვარელიძეები იყვნენ. მ. ნიკოლეიშვილი ვარაუდობდა, რომ წარწერაში მოხსენიებული პირი დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი ექვთიმე საყვარელიძე (1669–1673) უნდა იყოს (ნიკოლეიშვილი. 2001: 44). ი. უგრეხელიძის აზრით, გარკვეული ფაქტები ექვთიმე I–ის სასარგებლოდ უნდა მეტყველებდეს. ის თავისი პერიოდის უდიდესი და უანგარო საზოგადო მოღვაწეა. ჩვენი ვარაუდით, ექვთიმე I, აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) გამორჩეული მოღვაწეა, იგი კათალიკოს ევდემონ ჩხეტიძის საქმის ღირსეული გამგრძელებელია. 1665 წლის ახლოს გელათში, წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში, ბიჭვინთიდან იმერეთის სახელოვანი მეფე ბაგრატ მესამის (1510–1565) თაოსნობით აფხაზეთის კათალიკოსთა რეზიდენცია გადმოიტანეს. ექვთიმე ჩვენი ვარაუდით, კათალიკოსობამდე გელათში მოღვაწეობდა ბერად და იგი დიდი სქემით უნდა ყოფილიყო შემოსილი. 1578 წელს, ევდემონ ჩხეტიძის გარდაცვალების შემდეგ, ექვთიმე კათალიკოსის პატივში აიყვანეს. როგორც ჩანს, ღვთისმოშიშმა იერარქმა გადაწყვიტა, რომ სქემა კათალიკოსობის პერიოდშიც ეტარებინა, ამიტომ მან დაამზადებინა სპეციალური სქემა, რომელიც კათალიკოსისთვის იქნებოდა განკუთვნილი, ანუ სქემას არ აქვს ზედა ნაწილი, რომელიც სქემოსან ბერს თავზე ახურავს. აქედან გამომ-

დინარე, ჩვენ ხელთ გვაქვს უნიკალური ნივთი – მაღალიერარქის სქემა, რომელიც აშვიათია. არსებობს შემთხვევები, როდესაც მღვდელმთავრები ატარებდნენ სქემას, მაგრამ კათალიკოსის მიერ დიდი სქემის ტარება ნამდვილად სიახლეა. როგორც ჩანს, კათალიკოსი ექვთიმე მაღალ სულიერ საფეხურზე იმყოფებოდა და მან კათალიკოსობასთან ერთად იტვირთა მძიმე ღვაწლი, მუდმივი ლოცვა და დიდი კანონი, რასაც დიდი სქემით შემოსილები აღასრულებდნენ ხოლმე. შესაბამისად, სქემა გელათში უნდა იყოს დამზადებული ექვთიმეს კათალიკოსად კურთხევის ახლო ხანებში XVI საუკუნის 70–80-იან წლებში და მისი დამზადების მაღალი დონე გელათური სკოლის ტრადიციებზე უნდა მიგვანიშნებდეს, რადგან იმ პერიოდში გელათში ყვაოდა მთარგმნელობითი და სხვა კულტურული საქმიანობა, რომლის მფარველებად იმერეთის მეფეები და დასავლეთ საქართველოს კათალიკოსები გვევლინებიან.

ისიხასტები

ისიხასტური მოძრაობა ეგვიპტეში ჩამოყალიბდა და შემდეგ VII-IX საუკუნეებში ათონის მთაზეც გავრცელდა. განსაკუთრებით გამორჩეული მოღვაწე იყო საბა ქალდი (IX ს.), რომლის საცხოვრებელი ადგილი – მაგულა, მდუმარეთა – ისიხასტების ანუ გესიხასტების – ცენტრად და ბუდედ იქცა. აქედან გავრცელდა მისტიკური სწავლება მარადიული და ხელთუქმნელი ღვთიური ნათების არსებობის შესახებ, რომელიც ოდესღაც თაბორის მთაზე ქრისტეს ფერისცვალებისას განცხადდა (საძაგლიშვილი. 2005:267). ბერძნულ ენაზე შემონახული ყოფილა ცნობები საბას მკაცრ ღვაწლზე: მთთმინებაზე, თავმდაბლობაზე, უწყინარობაზე, ხორცის დათრგუნვაზე, თავშეკავებაზე, სხეულისა და სულის სიწმინდეზე. საბა ქალდი პირველი წინამძღოლი იყო ძველი უნეტარესი ასკეტი მამებისა, რომლებიც წმინდა მთაზე, ტყიან ადგილებსა და კლდის ნაპრალებში სახლდებოდნენ და რომლებმაც მასთან თანამოაზრეობით, მდუმარებითა და უარყოფით აღსავსე ცხოვრება აირჩიეს (იქვე:267). მათ მხოლოდ ღმერთთან უნდა ესაუბრათ და გონებისათვის ძალა დაეტანებინათ, რათა შეძლებისამებრ ანგელოზებს დამსგავსებოდნენ. მე–14 საუკუნის შუახანებში დაიწყო საღვთისმეტყველო დისკუსიები თაბორის ნათლის ბუნებას-

თან დაკავშირებით. იმისათვის, რომ ღვთაებრივი ნათელი ხორციელი თვალებით დაინახო, როგორც ის თაბორზე ქრისტეს მოწაფეებმა იხილეს, უნდა იყო ამ ნათლის თანაზიარი, უნდა იყო მის მიერ მეტნაკლებად შეცვლილი. ამდენად მისტიკური გამოცდილება გულისხმობს ჩვენი ბუნების შეცვლას მადლის მოქმედებით (ლოსკი.2015:304).

საქართველოში, როგორც ჩანს, ადრეული პერიოდიდან უნდა დაარსებულიყო ისიხასტთა მონასტრები, მათ შორის ერთ–ერთი უძველესია გელათში არსებული სოხასტრის ბაზილიკური ტაძარი. სოხასტერი გელათის აგებამდე ბევრად ადრეა დაარსებული. მისი დაარსების სავარაუდო პერიოდი VII-IX საუკუნეებით უნდა განისაზღვროს. ამ თვალსაზრისს არქეოლოგიური კვლევა უფრთ მეტ ბასუხს გასცემს. ათონის მთაზე მონასტრის კუთვნილ ტეროტორიაზე უდაბნოში განმარტოებულად მოღვაწეობდნენ ბერები. გიორგი მთაწმინდელს დასახელებული ჰყავს „ოთანე ბერი მარტოდ-მყოფი და სხვანი მობაძავნი მათნი“. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს, რომ დაყუდებული ისეთ ბერს ეწოდებოდა, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში მდუმარების აღთქმა ჰქონდა დადებული (ჯავახიშვილი. 1984:38). სულხან-საბას „დაყუდება უშფოთველობა“ მყუდროებად აქვს განმარტებული.

შემდეგ მეცნიერი დაასკვნის, რომ დაყუდებულნი უდაბნოისანი სწორედ ის ბერები უნდა ყოფილიყვნენ, რომელნიც „სოხასტერთა“ მცხოვრებნი იყვნენ. საბერძნეთში არსებობდნენ „ჰესვხასტ“ ები, ანუ „ისიხასტ“ ები, ბერები, რომელთაც „უდაბნოში“ ცხოვრებისა და მყუდროება-მდუმარების აღთქმა ჰქონდათ დადებული (იქვე:39). აქედან გამომდინარე, სოხასტერი საბერძნეთიდან მომდინარეობს და ამ ადგილზე განსაკუთრებული ღვაწლით გამორჩეული ბერები ცხოვრობდნენ, მათ თავიანთი ეკლესიაც ჰქონდათ და წირვა-ლოცვებს იქ ესწრებოდნენ. გელათის სოხასტრის მცირე ეკლესია გვაფიქრებინებს, რომ სოხასტერში მლოცველი დაყუდებული ბერების რიცხვი ძალიან ბევრი არ უნდა ყოფილიყო.

სოხასტერში მოღვაწე ბერებიდან ცნობილია ნიკოლოზ სოხასტერელი, რომელიც XI საუკუნეში მოღვაწეობდა. მისი სახელი იხსენიება ოთხთავის დარჩენილ ფიცრის ყდაზე შერჩენილ ვერცხლზე ნაჭედ მირქმის ხატზე არსებულ წარწერაში. „უფალო, ღმერთო, მოიხსენე წყალობით ნი-

კოლოზ სოხასტერელი, დანიელის ხამბაშურისა გაზრდილი“ (ნიკოლეიშვილი. 2001:12). ნიკოლოზ სოხასტერელი იხსენიება 1047–1053 წლებში. გ ბოჭორიძე წერდა, რომ ნიკოლოზი გელათის მე–11 საუკუნის ხელნაწერი სახარების თარგმანის ქვეშ არის მოხსენიებული: „მეორედ შეიმთსა ხელითა ფ–დ ცოდვილ ის ნ–კზ სოხასტერიოა–სათა“. ნიკოლოზ სოხასტერელი საინტერესო პიროვნება ჩანს, იგი სხვა ძეგლებშიც იხსენიება, მაგალითად ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერი ოთხთავის გადამწერის ანდერძში (იქვე:13). ნიკოლოზ მონაზონი სოხასტერში აქტიურ საგანმანათლებლო მოღვაწეობას ეწეოდა, რის გამოც მისი სახელი არაერთ ძეგლში დაფიქსირდა.

აქვე უნდა ვთქვათ, რომ ივერთა მონასტრის მთავარი ლავრის გარეთ მდებარეობდა ასევე სოხასტერი, ადგილი, სადაც მდუმარებასა და მკაცრ ღვაწლში მყოფი მამები იმყოფებოდნენ. ათონის №1 აღაპის მიხედვით იოანე მთაწმინდელისთვის ყველა ხუცეს-მონაზონს უნდა ეწერა: „უწირონ ყოველთა შინა და სოხასტერთა“ (ჯავახიშვილი.1984:38). სოხასტერი არსებობდა ასევე შიომღვიმის მონასტერში.

მეცხრამეტე საუკუნეში გელათში, სოხასტერში, დედათა მონასტერი მოქმედებდა, 1830 წელს იგი მოუნახულებია დიებუა დე მონპერეს. მას უნახავს 12 მონაზონი ქალი, რომლებიც საშინელ სიღარიბეში ცხოვრობდნენ და დაკავებულნი იყვნენ ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულისათვის ძველმანების კემსვით (ანალები.2000:84). მოგვიანებით დედათა მონასტერი გაუქმდა.

სავარაუდოა, რომ მსგავსი მიმართულების მოღვაწეები საქართველოშიც იყვნენ, მათ შორის გელათში, სადაც მთავარი მონასტრის გარეთ არსებობდა ცალკე სავანე – სოხასტერი, რომელიც გელათის აგებამდეა დაარსებული. შესაძლოა ამ მიმართულების მოღვაწეებს ეკუთვნოდა სქემ მონაზონი შიო, რომელიც გელათში მოღვაწეობდა, 42 წელი მდუმარებაში გაატარა და 1868 წელს აღესრულა. მას გელათის მონასტრის ეზოში გამორჩეული საფლავი აუგეს. (მასზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ).

სალოსები

სალოსობა (ქრისტესთვის სულელი) მონაზვნური ღვაწლის ერთ–ერთი ურთულესი მიმართულებაა. საქართველოს ეკლესიაში სალოსობის მიმდევრები ყოფილან, მაგრამ, სამწუხაროდ, მათგან ქართულ წყაროებში მხოლოდ თრის შესახებაა დაცული ცნობები. პირველი იყო ევლოგი სალოსი, თამარ მეფის თანამედროვე და მეფესთან დაახლოებული პიროვნება. ევლოგი სალოსმა იწინასწარმეტყველა ბასიანის ბრძოლაში გამარჯვება, აღნიშნულის შესახებ გვაუწყებს თამარ მეფის პირველი ისტორიკოსი „ისტორიანი და აზმანის“ ავტორი. მისი ცნობით, თამარ მეფე ბრძოლის წინ გაძლიერებულად ლოცულობდა: „დღესა ერთსა შავთელი და ევლოგი მეფესა თამარსა წინაშე სხდეს და ანაზდათ განკვირვება დაეცა ევლოგის: იწყო აღმართ ხედვად... მეყსეულად ახტა და ხმა ყო: აჰა, წყალობა ღმრთისა სახლსა ზედა თამარისსა მოიწია“ (ქრ.ცხ.1959:99).

სასწაულებრივი წინასწარცნობის შემდეგ ევლოგიმ დატოვა ყველა და მახლობლად მდებარე მთას მიაშურა: „და ივლტოდა და აღვიდა მთასა, რომელსა ჰქვიან არაგანნი“. როგორც ჩანს, ევლოგი სალოსმა მხოლოდ იოანე შავთელს განუცხადა სასწაულებრივი ხილვის ამბი, თავად კი სამადლობლის აღსავლენად მთაზე გაემართა. იოანე შავთელმა თავის მხრივ, თამარ მეფეს განუცხადა ყოველივე: „უწყოდე, მეფეო, რომელ ჩუენება იხილა სულელ-საგონებელმან, გარნა ჩუენებასა კეთილსა ვგონებ“ (იქვე:99). იოანე შავთელმა ევლოგის ხილვის შინაარსი თავად აუწყა თამარ მეფეს.

აღნიშნულის შესახებ გვაუწყებს თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულების ჩანართი, რომელიც უფრო გვიანდელია. „ევლოგიმ არავის გამოუცხადა საიდუმლო თვისი, თვინიერ იოანე შავთელისა. და მყის წარვიდა ევლოგი პირისაგან მათისა და დაიმალა“ (იქვე:139). აქაც ევლოგი განერიდა მეფესა და იოანეს, თუმცა წინასწარმეტყველების შესახებ მხოლოდ იოანეს აუწყა. უფრო დაწვრილებითი ცნობები ევლოგი წინასწარმეტყველ-სალოსის შესახებ არ გაგვაჩნია, თუმცა ზემოთქმულის მიხედვით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ღირსი მამა სულიერების უმაღლეს საფეხურს იყო მიღწეული.

პიმენ სალოსის შესახებ საუბრობს მონღოლთა პერიოდის მოღვაწე

-ჟამთააღმწერელი, რომელიც თავად მონაზონია. პიმენს სალოსობასთან ერთად მისიონერული ღვაწლიც უტვირთავს, იგი გარეკვეული მამა ყოფილა, საიდანაც დაღესტანში წასულა: „პიმენ სალოსი, რომელი გარესკით წარმოვიდა და დაემკვიდრა ბელაქანს, ქუაბსა რასმე, რომელმან ნათესავი ლეკთა წარმართობისაგან მოაქცივნა, რომელნი ჰგიან სარწმუნოებასა ქრისტესა“ (ქრ.ცხ.1959:283). პიმენ სალოსი, გარეკვის მსგავსად, აქაც გამოქვაბულში დამკვიდრებულა, საიდანაც უტვირთავს მისიონერობის რთული ღვაწლიც. სხვა ცნობები პიმენის შესახებ არ გვაქვს, ვიცით, რომ მისი თანამოღვაწე იყო ანტონი: „ამათ თანა ბრწყინვიდა დიდიცა იგი მოღვაწე ანტონი, ნათხრებელის–ძე, ნათესავით მესხი“.

ვფიქრობთ, დასახელებულ პირთა გარდა საქართველოს ეკლესიაში სალოსები კიდევ უნდა ყოფილიყვნენ. სამწუხაროდ, წერილობითმა წყაროებმა მათ შესახებ ცნობები არ შემოგვინახა.

ლოცვა

ლოცვა მონაზვნისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და სავალდებულო საქმეა, ძველად მონაზვნები მას უმთავრეს ყურადღებას უთმობდნენ, დიდი მოღვაწეები სრულად ეუფლებოდნენ ლოცვის ხელოვნებას, ისინი ლოცვას განუწყვეტლივ წარმოთქვამდნენ, ზოგი მათგანი კი შინაგან ლოცვას დღე და ღამე აღავლენდა. ეს არ იყო მარტივი საქმე, შესაბამისად დამწყებ მონაზონს სულიერი მოძღვარი ან ვინმე გამოცდილი ბერი ასწავლიდა სწორად ლოცვას. როგორც წმინდა მამები მიიჩნევენ, ლოცვა უნდა წარმოთქვას მართალმა ადამიანმა და უნდა იყოს: უბიწო, მხურვალე, ხანგრძლივი, ცრემლით. ლოცვის დროს მონაზონმა სრულად უნდა მოიკრიბოს გონება და ღმერთთან განმარტოვდეს. როგორც აღვნიშნეთ, იაკობ მოციქული, უფლის ხორციელი ძმა, მართალი ადამიანის საკვირველი ლოცვის ნიმუშად წმინდა ილია წინასწარმეტყველს ასახელებს: „ელია კაცივე იყო, მსგავსად ჩვენი, და ლოცვაჲ ილოცა არა–წვიმად და არა წვიმა ქუეყანასა ზედა სამ წელ და ექუს თვე და კუალად ილოცა და ცამან მოსცა წვიმაჲ და ქუეყანამან აღმოაცენა ნაყოფი თჳისი“ (5,17–18). ქართველი ბერების ცხოვრებაში ვხვდებით სწორი ლოცვის არაერთ მაგალითს, მათ შორის, ლოცვის წარმოთქმის

შემდეგ ხილული სასწაულის შემთხვევებს. შიო მღვიმელს ხანგრძლივი ლოცვისა და მარხვის შემდეგ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი და იოანე ნათლისმცემელი გამოეცხადა; დავით გარეჯელმა ლოცვის ძალით წყარო აღმოაცენა; სერაპიონ ზარზმელმა მართალი ლოცვით ტბას ადგილი შეუცვალა; ექვთიმე მთაწმინდელის აღსრულებული მსახურების შემდეგ წვიმა მოვიდა და ფერისცვალების დღესასწაულზე წმინდა მამამ ფერიც კი იცვალა.

ქართველი მონაზვნები ამის გამო ხანგრძლივად იღწვოდნენ, მათი ლოცვა კი მარადიული იყო. არ შეიძლება მონაზონს ლოცვა მოწყინდეს, რადგან ამგვარად ის იღებს მადლს, რომელიც ხანგრძლივი და მრავალწლიანი ლოცვების შემდეგ მოდის.

ვეფხ კიდევ ადრეულ პერიოდში მარტვილი მონაზონი ასწავლიდა მონაზვნებს, რომ ლოცვა უნდა იყოს უბიწო, რათა უფალმა შეისმინოს. ესე იგი ლოცვის დროს არ უნდა იყოს ჩვენთან სიძულვილი, გინა ძვირის ხსენება, გინა შური, გინა ამპარტავნება, გინა მტერობა, გინა ალაღება. თავდაპირველად მონაზონმა მონასტერში მისვლისას უნდა ისწავლოს სწორი ანუ უბიწო ლოცვა. სწორედ ამას უნდა მიაქციოს დიდი ყურადღება, როგორც თავად მონაზონმა, ასევე სულიერმა მოძღვარმა. ლოცვა ღმერთთან საუბარია, ამიტომ მონაზვნისთვის ძირითად და მთავარ ღვაწლს წარმოადგენს. ლოცვის გამო ნებისმიერი საქმე უნდა გადაიდოს მონასტერში, რასაც თანამედროვე ბერიოდში ხშირად ვერ ვნახავთ. ლოცვა უნდა იყოს უწყვეტი, რითაც მონაზვნის გონების ღმერთთან მიჯაჭვა ხდება. ამასთანავე ლოცვასთან უნდა იყოს შეზავებული ასკეტური ღვაწლიც.

ლოცვის დროს აუცილებელია მონაზონმა შეასრულოს მეტანია, უმჯობესია მრავალი, რათა მოხდეს ხორცის დათრგუნვა. ქართველი ბერების ცხოვრება-მოღვაწეობიდან მრავლად შეგვიძლია მოვიხმოთ ლოცვის მაგალითები. ბევრი მათგანი ცდილობდა ლოცვა სხვებისგან დაფარულად წარმოეთქვა. განსაკუთრებით გაოცებას იწვევს ლოცვის ხანგრძლივობა და უწყვეტობა. მაგალითად, გიორგი მერჩულე თავის თხულებაში უამრავ გამორჩეულ მლოცველსა და მმარხველ მოღვაწეს გამოყოფს, მათ შორის უნდა გამოვარჩიოთ წმინდა გრიგოლ ხანძთელი.

ძველად მონასტერში მისულ პიროვნებას სულიერი მოძღვარი ფაქტიურად ასწავლიდა სწორად ლოცვას, რაზეც იყო დამოკიდებული მისი სამომავლო წარმატება. ილარიონ ქართველი (ახალი) აღნიშნავდა, რომ მისი ბიძის, ღვაწმოსილი ბერის, სტეფანეს გარდაცვალების შემდეგ ბევრმა დაკარგა ლოცვის მასწავლებელი, მრჩეველი და მანუგეშებელი. ის იყო სამონაზვნო წესების მკაცრი დამცველი და სულიერი განსჯის დიდი უნარის მფლობელი (ილარიონ ქართ. ცხ.2013:9-10).

მონასტერში დამკვიდრებული მოღვაწე განუწყვეტლივ ამბობს იესოს ლოცვას, რომელსაც სწავლა სჭირდება. მამები ჩასუნთქვისას ამბობენ: „უფალო, იესო ქრისტე", ამოისუნთქავენ სიტყვებზე: „შემიწყალე მე". ისინი, აგრეთვე, აკვირდებიან, რათა ჰაერმა ცხვირის ფოსოდან გულს მიაღწიოს და იქ მცირე ხანს გაჩერდეს. არსებობდა სხვა მეთოდიც – ჩასუნთქვისას წარმოთქვამენ იესოს ლოცვას და ამოსუნთქვისას მას კვლავ იმეორებენ (ვლახოსი. 2007:47). მიტროპოლიტი იორეთეოსი აღნიშნავს, რომ სუნთქვითმა მეთოდმა შესაძლოა დიდი სიძნელეები, ბევრი ბრობლემა გამოიწვიოს, ამიტომაც ბერის მეთვალყურეობის გარეშე იგი აკრძალულია.

იესოს ლოცვის შესახებ ეგნატე ბრიანჩანინოვი განმარტავს, რომ იესოს ლოცვა ბერის აღთქმაა, აღთქმა კი ისეთი მოვალეობაა, რომლის შეუსრულებლობა არ შეიძლება (ბრიანჩანინოვი.2013:75). აღთქმას ყველა მონაზონი დებს. ის, რომ თანამედროვე მონაზვნობაში ჩვეულებად იქცა ამ აღთქმის დარღვევა და ისიც, რომ ამ დამრღვევთა რიცხვი იზრდება, არ აკანონებს ასეთ დარღვევებს (იქვე:80). თუმცა ბერული აღთქმის დარღვევები წარსულშიც არ იყო იშვიათობა. ამიტომ სამონასტრო ტიპიკონი და წინამძღვრები დიდ ყურადღებას უთმობდნენ მონაზვნის მიერ ლოცვისა და სათანადო წესების დაცვას.

აღსანიშნავია, ლოცვის დროს ბერის სხეულის მდგომარეობა. ქართველ მოღვაწეთა ცხოვრებაში ბერები ლოცულობდნენ ფეხზე მდგომნი, დაჩოქილნი, მჯდომარენი, მწოლიარენი და ხელაპყრობით. სნეული ბერები თავიანთ ხის ვიწრო ტახტზეც კი ლოცულობდნენ. განსხვავებული იყო დაყუდებულ მონაზონთა ლოცვა-ვედრება ღვთის მიმართ, ისინი განმარტოებულ მდგომარეობაში, თითქმის 24 საათის განმავლობაში მხურვალედ ლოცულობდნენ. დასაყუდებელი ადგილები სიბნელით გა-

მოირჩეოდა, ამიტომ, როგორც ჩანს, ბერები დღისით კითხულობდნენ ფსალმუნებსა და თავის პირად კანონებს, ღამით კი ზეპირად წარმოთქვამდნენ ლოცვებს. ცნობილია, რომ ქართულ მონასტრებში არსებულ კელიებში სანთლის ანთება ღამით არ შეიძლებოდა ცეცხლის გაჩენის საშიშროების გამო.

ყველა მონაზონი ვალდებული იყო მუდმივად ელოცა, წაეკითხა წმინდა წერილი და წმინდათა ცხოვრება, მათი წაკითხვის დრო და წესი განსაზღვრული იყო. ლოცვებს ისინი აღავლენდნენ ტაძარში, სადაც ყოველდღე აღესრულებოდა შესაფერისი მსახურება, ლოცვებს აღავლენდნენ ასევე კელიებშიც (Соколов.2003:271). ექვთიმე მთაწმინდელი ბერებს ასწავლიდა ლოცვის ტაძარში აღსრულების უპირატესობისა და მნიშვნელობის შესახებ. ანუ კელიაში ნათქვამ პირად კანონს დიდად აღემატება ტაძარში საზოგადო ღვთისმსახურებისას აღსრულებული ლოცვები. განსხვავებულად მოქმედებდნენ დაყუდებული ბერები, თუმცა წირვა-ლოცვას ისინიც არ აკლდებოდნენ.

მონასტერში მცხოვრებმა ლოცვა მუდმივად უნდა იცოხნოს და არ შეწყვიტოს ხელსაქმისა და მუშაობის დროსაც. ასეთ შემთხვევაში უმეტესად მონაზონი იესოს ლოცვას ან სხვა ლოცვას წარმოთქვამდა ხოლმე. ლოცვის შეწყვეტა მონაზვნის ცხოვრებაში მრავალ პრობლემას იწვევს და, რაც მთავარია, მისი მოღვაწეობა ვეღარ იქნება ნაყოფიერი, დაკარგავს მოპოვებულ მადლსა და გამოცდილებას და ყველაზე მთავარი – იგი ვეღარ შეძლებს მონასტერში გაჩერებას.

მლოცველს დახმარებას უწევს სხეულის შესაბამისი მდგომარეობა. მრავალსაათიანი ლოცვისას მამები გვირჩევენ დავჯდეთ სკამზე, თვალები დავხუჭოთ ან მდგრად წერტილს მივაჩერდეთ, უკეთესია მკერდს, სადაც გული მდებარეობს. მიტროპოლიტი იორეთოსი აღნიშნავს, რომ სამუშაო დღის შემდეგ გონება, ჩვეულებრივ, მრავალ საგანზე ფიქრობს, ამიტომ მამები გონიერ ლოცვაში ვარჯიშს დილაობით გვირჩევენ, ერთი ან ორი საათის განმავლობაში მზის ამოსვლამდე, როცა გონება ფხიზელია და გაუფანტავი, სხეული კი დასვენებული (ვლახოსი.2007:67).

მძიმე ცხოვრების გამო, მონაზონთა ეკანმრთელობა ხშირად ირყეოდა ხოლმე, შესაბამისად ქართულ მონასტრებში სნეულ მონაზვნებს

განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ. ხანგრძლივი ლოცვის გამო მონაზვნებს ხშირად აწუხებდათ სახსრები, აქედან გამომდინარე, ბევრი მათგანი მეჯდომარე მდგომარეობაში აგრძელებდა ღვაწლს. ასე მაგალითად, ქართველი მღვდელმთავრის ექვთიმე გაენათელის (შარვაშიძე. 1822) ძვლების ანთროპოლოგიურმა ანალიზმა დაადასტურა, რომ სიცოცხლეში იგი ხანგრძლივი დროის განმავლობაში იდგა ფეხზე ან მუხლებზე. ცნობილია, რომ ექვთიმე გაენათელი გელათის მონასტერში მივიდა ჯერ კიდევ 11 წლის ასაკში და იქ თითქმის მთელი ცხოვრება გაატარა, აღესრულა 72 წლის ასაკში რუსეთში, სადაც დაკრძალეს და 2005 წელს გადმოასვენეს საქართველოში. სწორედ იმ დროს ჩაუტარდა ბერის ნაწილებს ექსპერტიზა. მონაზვნურ ცხოვრებაში ერთ-ერთი უმთავრესი საფრთხე ხიბლში ჩავარდნაა. მრავალი მოღვაწე საკუთარი მიღწევებით ჩავარდნილა ამ მძიმე ცოდვაში. ხიბლში ჩავარდნა არ არის ერთჯერადი ცოდვა, იგი მრავალი ხნის განმავლობაში მიჰყვება მოღვაწეს და მხოლოდ გამოცდილ მოძღვარსა და მონაზონს შეუძლია ამოიცნოს ხიბლის მდგომარეობა. ვ. ლოსკი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ იესოს ლოცვაში, და, საერთოდ ყველა ლოცვაში წვრთნის დროს, ყველაზე უფრო სრულად და საიმედოდ, მოღვაწეს ხიბლისაგან სიმდაბლის ერთ-ერთი სახე – გლოვა იცავს (ლოსკი.2013:95).

ქართველი მოღვაწეები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ სწორად ლოცვას, რომლის მაგალითიც თავად უფალმა მისცა ყველა მორწმუნეს. უფალი ლოცულობდა განმარტოებით (ლკ.9.18, იოან.6.15) და უფრო ხშირად მთებზე. ლოცვის დროს უმთავრესია უფალთან შინაგანი შეხება „სულით და ჭეშმარიტებით“ (იოან.4.24,თეს. 5.17), ამასთან ერთად ლოცვა უნდა იყოს წმინდა და წრფელი, რადგან არაწმინდა ლოცვას უფალი არ ისმენს.

ბერის საზრდელი

ქართულ მონასტრებში ბერები ყურადღებას უთმობდნენ კვებას, საერთოდ მონაზონი ძალიან მცირედ იკვებებოდა, ოთხშაბათსა და პარასკევს დიდი მამები საერთოდ არ იღებდნენ არაფერს, დიდ მარხვაში კი კვირაში ხუთი დღის განმავლობაში იყვნენ მკაცრ მარხვაზე, არ იღებდნენ საზრ-

დელს, არც წყალს. ნაყროვანება ბერის ერთ ერთი საცდურია და ამიტომ ტიბიკონით კელიაში კვება და განსაზღვრული დოზის გარდა ღვინის სმაც იკრძალებოდა. მონასტერში ასევე განსაზღვრული იყო, როდის უნდა შეემოსა მონაზონს დიდი სქემა და როდის შეეძლო დაყუდება, განმარტოებული ცხოვრება და მუდმივი ლოცვა. ასეთ სიმაღლეზე არაერთი ქართველი მონაზონი ასულა და მათი ღვაწლი უმეტესად დაფარული დარჩა. მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში გვეძლევა წარმოდგენა მათ უდიდეს სულიერ სიმაღლეებსა თუ სასწაულებზე.

ბერმონაზვნობის ადრეულ ხანაში მეუდაბნოე მამები ძალიან მცირე რაოდენობის საზრდელს იღებდნენ, თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ განდეგილი, დაყუდებული ბერის კვება გაცილებით მკაცრი იყო, ვიდრე დიდ მონასტერში მოღვაწე ბერებისა. ეს განსხვავება შეინიშნება ქართულ მონაზვნობაშიც. განმარტოებული მამები ფაქტიურად ცეცხლზე გაკეთებულ საკვებს არ ჭამდნენ და საზრდელის მიუღებლობით სრულად ამარცხებდნენ ნაყროვანების ცოდვას, თუმცა უნდა ითქვას, რომ კვების მცირე რაციონთან შეზავებული იყო თავმდაბლობა და სხვა სიკეთეები, რითაც მადლს იხვეჭდნენ. მეუდაბნოე მამები, ჩვეულებისამებრ, ბოსტნეულითა და ველური ბალახით იკვებებოდნენ, თავს არიდებდნენ ხორცს, რძის ნაწარმს, ცეცხლზე მომზადებულ საჭმელს, ღვინოს, ასევე პურს. უდაბნოში პოულობდნენ ველურ ბოსტნეულს, თაფლს, თუთას. ლერწმის გულს იხმევდნენ და ცოტაოდენ წყალს სვამდნენ, ზოგი ასკეტი მხოლოდ პურით, წყლითა და მარილით საზრდოობდა (პაპანიკოლაუ. 2018:33). აღსანიშნავია, რომ საქართველოში მთიან რეგიონებში მოიპოვებოდა ველური თაფლი, მრავლად იყო ასევე თუთის ხეებიც და მინდვრის მწვანილები, არაერთ ქართულ სოფელში დღემდეა შემორჩენილი მინდვრის ბალახებისგან მხალის დამზადების ტრადიცია.

რაც შეეხება დიდ მონასტრებს, იქ უფრო მრავალფეროვანი იყო საკვები. პიმენის ცხოვრებაში ბერები იმარაგებდნენ გამხმარ ყველსა და ხორცს. ღირსი მამის მიხედვით, გემოთმოყვარეობის ცოდვით შეპყრობილი ადამიანი არ შეიძლება ღვთისმოშიში იყოს. ბერი პიტირიონი მცირე ულუფა ფქვილის ფაფით კმაყოფილდებოდა, ისიც მხოლოდ კვირაობით და ხუთშაბათობით (იქვე:34–36). უნდა ითქვას, რომ მეუდაბნოე ბერები

განსხვავებულად იკვებებოდა, გარემო პირობების ან მისთვის შეწირული საზრდელის შესაბამისად. ზოგიერთ მონასტერში დაუძლურებულ ბერებს ხორცით კვებავდნენ, თუმცა უმრავლესობა ღრმა მოხუცებულობამდე უმკაცრეს მარხვას იცავდა. ქართულ მონასტრებში ხორცის მიღება დაუშვებელი იყო.

ეგნატე ბრიანჩანინოვი სასმელის შესახებ აღნიშნავს, რომ საკვები ახლაც ძლიერ მოქმედებს სულზე, რაც განსაკუთრებით შესამჩნევია ღვინის სმის დროს. საკვების ასეთი გავლენა სისხლსა და ხორცზე მის მრავალფეროვან ზემოქმედებას ეფუძნება. გარდა ამისა, მისი ორთქლი და აირები კუჭიდან ტვინამდე ადის და გონებაზეც ახდენს გავლენას. ამ მიზეზით მოღვაწეს ეკრძალება ყველა მათრობელა, განსაკუთრებით კი ხორბლისგან დამზადებული სასმელის მიღება, რომელიც გონებას სიფხიზლეს და ამით კი სულიერ ბრძოლაში გამარჯვების უნარს აკარგვინებს (ბრიანჩანინოვი.2013:22). შესაბამისად ყველა დიდი მოღვაწე ალკოჰოლურ სასმელს საერთოდ არ იღებდა, რადგან გონების დაბინდვა, მით უფრო მრავალკერადი, სულიერ მოღვაწეს ადუნებს და ლოცვის განწყობასაც უკარგავს. რუსი მამა განარჩევს ხორცეულს, თევზეულსა და მცენარეულ საკვებს. ხორცეულის ხშირად მიღება აზუსტებს სხეულს და განახურვებს სისხლს, ხოლო მისი ორთქლი და აირები უაღრესად ამძიმებს სულს. ასევეა ზღვის პროდუქტების ხშირი მიღების დროსაც. მოღვაწისთვის საუკეთესო მხოლოდ მცენარეული საკვებია (იქვე:23).

ადრეულ პერიოდში, როდესაც საქართველოში მეუდაბნოე მამებმა დაიწყეს განმარტოებული მოღვაწეობა, მათი კვება უმეტეს შემთხვევებში ძალიან მკაცრი იყო. ისინი ძირითადად იკვებებოდნენ მცენარეული საკვებით, რომელიც ბუნებრივად მოდიოდა, რაც ძალიან რთული იყო და დიდ ნებისყოფას მოითხოვდა. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან ჩანს, რომ მეუდაბნოენი „იზრდებოდეს მძოვართა სახედ მწუანილითა და ხილითა, ხოლო რომელნიმე მცირედითა პურითა“. მარტვილი მონაზონის ცხოვრებიდან (VI-VII სს) კარგად ჩანს, რომ თავად პალესტინაში, საბაწმინდის ეკლესიაშიც მცირე საკვებს იღებდნენ ბერები: „იყავნ საზრდელად ჩუენდა მცირედი პური და წყალი, სახმარად ოდენ ხორცთა ჩუენთა“. დაახლოებით იმავე პერიოდში დავით გარეჯელი და მისი მოწაფე ლუკიანე მხოლოდ ბალახეულით იკვებება გარეჯის უდაბნოში.

რაც უფრო მაღალი სულიერების მატარებელი იყო მეუდაბნოე მამა, მით უფრო მკაცრი იყო მისი კვების რაციონი და იგი მხოლოდ წყლისა და პურისაგან შედგებოდა.

უნდა ითქვას, რომ შემდგომ საუკუნეებში ამგვარი სიმკაცრით ალარ უდგებოდნენ საზრდელის მიღებას. ასე მაგალითად, ექვთიმე მთაწმინდელმა დაყუდებული ბერის კვების რაციონში თევზის მიღებაც დაუშვა სადღესასწაულო დღეებში. თუმცა უნდა ითქვას, რომ პურის და წყლის მიღების მკაცრი წესი ბოლო დრომდე, XVIII-XIX საუკუნემდე შემორჩა ქართულ მონასტრებში. არაერთი ქართველი მოღვაწე უმკაცრესად მარხულობდა, მათ შორის შეგვიძლია დავასახელოთ დავით გარეჯის მონასტერში მოღვაწე ონისიფორე მონაზონი და მრავალი სხვა.

ძველ ბერ-მონაზონთა კვების რაციონში შედიოდა შემდეგი: ღვინო, თაფლი, ბილპილი, მხალი და სხვა. გარკვეული დროის შემდეგ ნატურალური ღვინის შემადგენლობა შეიცვალა სხვადასხვა ნივთიერებების შერევით, თაფლითა და სხვა ტკბილეულებით. ღვინოს უმატებდნენ სხვადასხვა ტკბილ ნივთიერებას, რათა შეემსუბუქებინათ მისი სიმაგრე (Епископ Фотики.1903:226).

ბილპილი და სხვა გამხურვებელი საკმაზ-სანელებლები არ აძლევდა ორგანიზმს მოდუნების საშუალებას, თუმცა წმ.დიოდოხოსი აღნიშნულ სანელებლებს მოღვაწეთათვის მავნედ მიიჩნევდა. წმინდა მამის სწავლებით ბერისათვის დაუშვებელია უზომო ჭამა, მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს საკვების რაოდენობას და არა მის ხარისხს (იქვე:229).

შრომა

ქართველი ბერმონაზვნების ცხოვრებაში ერთ-ერთ უმთავრეს ადგილს იკავებდა შრომა. დიდ მონასტრებსა და ლავრებში, რომელთაც მამულები გააჩნდათ, უფრო ინტენსიური იყო შრომითი საქმიანობა, რადგან მრავალრიცხოვან მონასტრებს სჭირდებოდა საკვები და მატერიალური სახსრები. თუმცა შევნიშნავთ, რომ შრომას ეწეოდნენ განმარტოებული ბერებიც, უფრო ხელსაქმეს. ბერის ცხოვრებაში უპირატესობა სულიერ მხარეს ენიჭებოდა, შრომის შედეგად კი გარკვეულწილად ხორცის დათრგუნვა ხდებოდა. „სულიერი სარგებელი უმთავრესი იყო, შრომა კი ასკეზის ერთ-ერთ სახედ ითვლებოდა". ფიზიკური შრომა, სულიერ ბრძო-

ლასთან შესისხორცებული იყო და მოყვასის დახმარების შესაძლებლობას იძლეოდა (პაპანიკოლაუ. 2018:62). ამასთანავე შრომა სხეულის გაფაქიზებას უშლიდა ხელს, რადგან განებივრებული სხეული ცოდვილი ფიქრების აღმოსაცენებლად ხელსაყრელი ნიადაგი ხდებოდა (იქვე:64).

ეგვიპტურ მონაზვნობაში ხელსაქმე ყოველდღიური ზრუნვის საგანია, სირიულ მონაზვნობაში, ზოგიერთ შემთხვევაში, ნაკლებია ასეთი რამ. მაგალითად, მესვეტე ან მემღვიმე მამები ვერ შეძლებდნენ შრომას, თუმცა მრავალრიცხოვან ლავრებში შრომა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ასურელ მამათა ცხოვრებაში (ცალკეული შემთხვევის გარდა) შრომის ელემენტებს ვერ ვხვდებით, მაშინ, როცა ათონის ქართულ სავანეში შრომა აუცილებელი მოთხოვნაა. ვის რამდენი უნდა ეშრომა, მონასტრებში განსაზღვრული იყო ტიპიკონით. პეტრიწონის ქართულ სავანეში, თავად მონასტრის დამაარსებელმა, გრიგოლ ბაკურიანისძემ დაადგინა, ვის როგორ უნდა ეშრომა.

ქართულ მონასტრებში მეცხრამეტე საუკუნემდე არსებობდა შრომა. ასე მაგალითად, ილარიონ ყანჩაველის ბიძას, სტეფანეს, რომელიც განმარტოებულ ცხოვრებას ეწეოდა, დავალებული ჰქონდა ლიტურგიის შემდეგ გაეკაფა ტყე და გაეყვანა გზები (ილარიონ ქართ.ცხ. 2013: 7-8). ამგვარი ფაქტები სხვა მონასტერთა დღის წესრიგშიც იყო შეტანილი.

სულიერი მამა

მონაზვნის სულიერი წარმატებები დიდწილად სულიერ მოძღვარზე იყო დამყარებული, ძველ ქართველ მონაზონთა ცხოვრებაში სულიერ მოძღვარს მთავარი ადგილი უჭირავს ბერის ცხოვრებაში. სულიერმა მოძღვარმა იცის ის საფრთხეები, რომელშიც შეიძლება დამწყები და უკვე ღვაწმოსილ მონაზონიც კი აღმოჩნდეს. სულიერ მოძღვრად უმეტესად დიდი გამოცდილებისა და ღვაწლის მქონე ბერებს ირჩევდნენ. ქართულ წერილობით წყაროებში მრავალი შემთხვევა გვაქვს, თუ როგორ ყურადღებას უთმობდნენ მოძღვრის არჩევისა და მისადმი მორჩილება-პატივისცემის საკითხს. მსგავსი ფაქტებია ასურელ მამათა ცხოვრებაში, როდესაც დავით გარეჯელს ცილი დასწამეს თბილისში, მან უპირველესად დიდი გულისტკივილი გამოხატა იმის გამო, რომ ამით ჩირქი ეცხებოდა მისი სულიერი მამის, იოანეს ღვაწლს...

გამორჩეული ქართველი მონაზვნებისთვის სულიერი მამები მათ გამზრდელებადაც გვევლინებიან. მაგალითად, თეოფილე ხუცესმონაზონი აღნიშნავს, რომ „წმიდისა მამისა, მზრდელისა და მოძღურისა ჩემისა გიორგი მთაწმინდელისა, სხვა შემთხვევაში „მადლითა მოძღურისა და გამზრდელისა ჩემისა გიორგი მთაწმინდელისა“ (კეკელიძე.1980:244-245). სულიერი შვილები ყოველთვის მადლიერნი იყვნენ თავიანთი გამზრდელი მოძღვრებისა, ამიტომ ცდილობდნენ ეს მადლიერება გადმოეცათ თავიანთ ანდერძ-მინაწერებში. გიორგი მთაწმინდელის სულიერი შვილები იყვნენ ზოსიმე და ეზრა ათონელები.

მოძღვრისადმი განსაკუთრებული პატივისცემით გამოირჩეოდა ღირსი მამა არსენ იყალთოელი, რომელმაც განათლება მანგანის აკადემიაში მიიღო, ხოლო შემდეგ შავ მთაზე გაემგზავრა. იმ დროს შავი მთის ქართულ სავანეში მოღვაწეობდა დიდი მამა ეფრემ მცირე, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა არსენზე. ერთი ძველი გელათური ხელნაწერის მიხედვით ნათელი ხდება, რომ არსენის მოძღვარი ყოფილა ეფრემ მცირე: „ამას გლახ ეფრემ იტყვის მცირე მონაჲ მისი: და უფროჲსღა მოძღუარი“ (ქრ.1892:224).

სულიერ მამას განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ ქართველი მონარქები, მათ შორის წმინდა მეფე დავით აღმაშენებელი. ოგი სულიერი მამის რჩევით შიომღვიმეში სვიმონწმინდის მონასტრის ტიპიკონს აწესებს, თუმცა აღნიშნულ შემთხვევაში დავით მეფე ითვალისწინებს, როგორც სულიერი მამის, ასევე არსენ ბერის ბრძანებას: „მიბრძანა სასომან ჩემმან, ბერმან არსენი, და თვით სულიერმან ბერმან, მოძღუარმან ჩემმან, იოანე, რათამცა წესსა ზედა სვიმონ-წმიდისასა დავსხენ მონასტრისა მღვიმისსა წესნი“.

თუ ახალგაზრდა დამწყებ ბერს სურს სამონასტრო ცხოვრებაში რაიმე სიმაღლეს მიაღწიოს, უნდა დაექვემდებაროს გამოცდილ, სულიერი გამარჯვების გვირგვინით შემკულ მამას. ეს დაქვემდებარება საკუთარი სურვილისა ხელმძღვანელის სურვილისადმი არის საფუძველი, რომელიც ყველა წარმატებას განაპირობებს და არცთუ მშვიათად ერთადერთი დამცველი მრავალირცხოვანი ცდომისა და მარცხისაგან, რომელიც შეიძლება სულიერ შვილს მოუვიდეს (თარხნიშვილი.2012:283).

სამონასტრო ცხოვრება და დიდი სჯულისკანონი

ქართველი მონაზვნების ყურადღების მიღმა არ დარჩენილა საეკლესიო დისციპლინის თითქმის არცერთი სფერო. გამოჩენილ ქართველ სწავლულ მონაზვნებს უკავშირდება ქრისტიანობის ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლის, დიდი სჯულისკანონის ქართულ ენაზე თარგმნა. საქართველოს ეკლესიაში დიდი სჯულისკანონის არსებობამ ახალ სიმაღლეზე აიყვანა საეკლესიო და სამონასტრო ცხოვრება, რადგან მისი საშუალებით სამონასტრო ცხოვრების მნიშვნელოვანი საკითხებია განსაზღვრული. როგორც დაადგინეს (ე. გაბიძაშვილი), დიდი სჯულის კანონის ქართულად მთარგმნელი გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწე არსენ იყალთოელია. მისი ნაშრომი ბერძნული 14-ტიტლოვანი ნომოკანონის-ძირითადი კანონიკური კოდექსის ერთადერთი თარგმანია ქართულად. ეს ძეგლი არც მანამდე და არც შემდეგ არ ყოფილა გადმოღებული (დიდი სჯულისკანონი. 1975:19).

ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დაცული ხელნაწერი (№25) ერთ-ერთი უძველესია ნუსხაა ჩვენამდე მოღწეულ ნუსხებს შორის. აღნიშნულ ხელნაწერზე ტექსტის ბოლოს მოცემულია გადამწერის ვინაობა, იგი მეცამეტე საუკუნეში მოღვაწე ქართველი მონაზონი გრიგოლ ჩახრეხაისძეა. სწორედ მისი დამსახურებით შეიტყო ქართველმა საზოგადოებამ, რომ სჯულისკანონის მთარგმნელი არსენ იყალთოელია. „გლახაკი ფრიად ცოდვილი გრიგოლი ჩახრეხაძსძე მომიხსენიით წმიდათა შინა ლოცვათა თქუენთა, რომელმან დიდის გულმოდგინებითა გადავწერე თვისითა ხელითა“. გრიგოლი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სჯულისკანონი ქართველთათვის უდიდესი მნიშვნელობის წიგნია და იგი მას „ქრისტიანეთა წინამძღუარს“ უწოდებს. ეს საქმე ქართველი ერისთვის დიდად დამაშვრალმა ბიბოვნებამ, არსენ იყალთოელმა აღასრულა: „ჩვენ ქართველთათვის ფრიად ჭირთა თავმსდებელისა არსენი იყალთოელისა თარგმნილი“. გრიგოლ მონაზონიც გამოცდილი მოღვაწეა, იგი შეუმოწმებლად არაფერს აკეთებს და აღნიშნავს, რომ ხელნაწერი „დიდად მოჭირვებითა შემომწმებიან“. გრიგოლის ხელნაწერზე მინაწერმა მოგვცა საშუალება ეჭვის გარეშე დაგვეგერებინა არსენის მიერ სჯულისკანონის თარგმნა.

ასე, რომ სწავლული ქართველი მონაზვნების ანდერძებსა თუ მინაწერებს განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. შემთხვევით არ არის, რომ ეს უმნიშვნელოვანესი წიგნი დიდი მეფის, დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის ხანაში ითარგმნა. საყოველთაოდაა ცნობილი დავით მეფისა და არსენ იყალთოელის სულიერი სიახლოვე.

დიდი სჯულისკანონი სამონასტრო ცხოვრების მრავალ წესს არეგულირებს. მონასტერში მუდმივად უნდა არსებობდეს წესრიგი და მონაზონი ღვთისმოშიშებით აღასრულებდეს თავის ღვაწლს. კონსტანტინეპოლის პირველი და მეორე კრების ბ (2) კანონი კრძალავს მთჩვენებით მონაზვნობას, ვინაიდან მონაზონნი „სიწმინდით ჰმონებდნენ ღმერთს". მათი მონაზვნობა მხოლოდ თმის მოკვეცით არ უნდა შემოიფარგლოს და პირველ რიგში უნდა შეასრულონ „სამონაზნო კანონი", რაზეც პასუხისმგებლობა მონასტრის წინამძღვარს ეკისრება, მან ყოველივე უნდა გააკეთოს „ცხონებად სულისა აწდა ქრისტედ შეწირულისა". ამასთანავე დაუშვებელია ვინმეს არასწორად აღკვეცა, ასეთ შემთხვევაში კი „უსამართლოდ და უწესოდ აღკუეცილი" მონასტრის მორჩილების ქვეშ უნდა ყოფილიყო.

იმავე კრების მე-5 კანონი კრძალავს გამოუცდელი ბიჭის მონაზვნად აღკვეცას. წმინდა კრებამ დაადგინა, რომ ვისაც სამონაზვნო ხარისხში აღკვეცა სურს, იგი უნდა გამოიცადოს: „ვიდრე არა სამისა წლისა ჟამთა შინა გამოცდითა" (იქვე:440). მე-6 კანონი მონაზვნებს ასევე უკრძალავს ქონების უფლებას, რადგან მონაზონს არაფერი უნდა ჰქონდეს „განთვისებული" და ყოველივე მონასტერს უნდა შეწიროს, როგორც ბრძანებს ლუკა მახარებელი „არავინ მონაგები თჳსი თქუის თჳისად და იყუნეს ყოველნი მათდა საზოგადო"(იქვე:440). ხოლო „მონაგებთა სიყუარულსა ვნებასა დამონებული მონაგები" წინამძღვარმა ან ეპისკოპოსმა სხვისი თანდასწრებით ჩაიბაროს, გაყიდოს და გლახაკებს დაურიგონ.

დიდი სჯულისკანონის გარდა მონასტერში წესებს რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერის კანონებიც არეგულირებდა. კრების დაახლოებით სამი კანონი მე-9, მე10, მე- 11, (ნაწილობრივ სხვებიც) მონასტრებს უკავშირდება. რუის-ურბნისის მე-9 კანონით შეიზღუდა მოძღვრების რაოდენობა მონასტრებში, რადგან იმ დროს მათი რიცხვი ძალიან გამრავ-

ლებულა. ზოგიერთ მონასტერში „ხუთნი და ათნი, მრავალგზის ოცნიცა და ოცდაათნი იპოებია“. მოძღვართა ამგვარი სიმრავლე შფოთისა და განხეთქილების მიზეზი გამხდარა. მოძღვარი მეცნიერი ბერი იყო. დიდ მონასტერში დადგინდა ორი, ხოლო მცირეში ერთი მოძღვარი.

მეათე კანონი მონასტრებში წესრიგის დამყარებას ითვალისწინებს. სავანეებში აიკრძალა ვაჭრობა „ერის კრებათაჲ“ და სხვა სამოქალაქო და წუთისოფლის საქმეებზე მსჯელობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, სალოცველი ადგილები „ქუაბ-ავაზაკთა“ ადგილად გადაიქცეოდა. რუის-ურბნისის კრების დადგენილებებმა ბევრი ნაკლოვანება აღმოფხვრა მონასტრებში, რადგან იქ იღებდა განათლებას იმდროინდელი საზოგადოება, მომავალი საერო თუ სასულიერო პირები, რომელთაც ქვეყანა უნდა ემართათ. ამიტომ თუკი მონასტერში არ იქნებოდა ვღანსაღი ატმოსფერო, ეს უამრავ პრობლემას გამოიწვევდა. ერისკაცთა შეკრება-ვაჭრობის აკრძალვამ მონასტრებს ძველი სიმშვიდე დაუბრუნა (ტყეშელაშვილი.2019:74). ასე, რომ საეკლესიო კანონიკურ-სამართლებრივი წეს-კანონები მონასტრული ცხოვრების ბევრ საკითხს აწესრიგებდა ძველად.

საძვალეები

ქართულ მონასტრებს გააჩნდათ საძვალეები, ანუ გარდაცვალების შემდეგ მონაზვნის ნაწილებს ათავსებდნენ საერთო საძვალეში. ასეთი ტრადიცია არსებობდა ათონზე, კიევ-პეჩორის ლავრასა და სხვაგანაც.

საყურადღებოა, რომ ქვათახევის მონასტერში არსებობდა აკლდამა, რომლის ჩასასვლელი კარი მიწით იყო ამოვსებული მეოცე საუკუნის დამდეგს. გადმოცემით, აქ დასაფლავებულნი არიან თემურ-ლენგის (თუ სხვა პირის) მიერ წამებულნი (ბოჭორიძე.2011). როგორც ჩანს, თემურლენგის მიერ წამებულთა ნაწილები მონასტრის ახლოს აკლდამაში დაასაფლავეს, ეს იყო ძველი ტრადიცია, რომლის მიხედვითაც მონასტრების ქვემოთ ან მახლობლად არსებობდა საძვალე-განსავენებლები, რომელშიც მონაზვნებს ასაფლავებდნენ.

აღსანიშნავია, რომ არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად, 2020 წლის ზაფხულში, ბორჯომში, ყვიბისის მახლობლად ბერის საყდრების

მამათა მონასტერთან აღმოჩნდა ძველი ქართული მონასტრის საძვალე, რომელშიც რამდენიმე ათეული ბერი არის დასვენებული. არაერთი მონასტრის ნაშთი გამოვლინდა, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე.

თანამედროვე ეტაპზე თურქეთის ტერიტორიაზე აღმოაჩინეს ძველი ქართული ბალვანას მონასტერი. სამონასტრო კომპლექსის შემადგენლობაში შედის: საცხოვრებელი კოშკი, დარბაზული ტიპის ორსართულიანი ეკლესია მინაშენითა და საძვალით, დამხმარე ნაგებობანი და მარანი, კლდეში ნაკვეთი სამარტომყოფლო (გელაშვილი. 2016:107).



2020 წლის ბორჯომის არქეოლოგიური აღმოჩენა. ბერთა საძვალე

ამგვარი ტიპის ძველი ნაეკლესიარი შეგვიძლია დავაფიქსიროთ გელათში, მთავარი ტაძრის გალავნის გარეთ არსებულ ძველ ბაზილიკაში, რომელსაც ლაღისეულს უწოდებენ. ტაძარი, ჩვენი ვარაუდით, არაბთა პერიოდში მურვან ყრუს მიერ უნდა იყოს დაზიანებული. ტაძრის ქვემოთ შეიმჩნევა საძვალე, რომელიც ამჟამად ცუდ მდგომარეობაშია.

ქართული სამონასტრო ტიპიკონი

მონაზონმა „ღმრთისათვის შესაკუთრებაჲ“ რომ შეძლოს, უნდა დაიმარხოს წესიერება: „წესიერთა განმისაზღვრებიეს საყოფელად“. ამასთანავე დაუშვებელია სიმდიდრის შეგროვება: „ნუ ესავთ სიმდიდრესა და მოგებასა სახმართასა“. მონაზონს „განსვლაჲ სოფლადაც“ ეკრძალება.

სამონასტრო ცხოვრების განვითარებამ აუცილებელი გახადა გარკვეული წესების დადგენა, რადგან მრავალრიცხოვან მონასტრებში გაჩნდა არაერთი პრობლემა. საძმოს წევრები უპირისპირდებოდნენ წინამძღვრებს, იყო ასევე ერთმანეთს შორისაც გაწევ-გამოწევა. შეიძლება ითქვას, მონაზვნურ ცხოვრებასთან ერთად აღმოცენდა სამონასტრო ტიპიკონები, ანუ წეს-განგებანი. ჩვენამდე მოაღწია ქართული სამონასტრო ცხოვრების რამდენიმე ტიპიკონმა, მათგან კი ყველაზე ძველი ბულგარეთში არსებული პეტრიწონის ქართული მონასტრის ტიპიკონია. პეტრიწონის ქართული ტიპიკონი ცნობილია მართლმადიდებლურ სამყაროში და მას ვკეროვანი ყურადღება ვკერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში მიაქციეს. ცნობილი საეკლესიო ისტორიკოსი ი. სოკოლოვი პეტრიწონის წეს-განგებას ასახელებს ქრისტიანული სამყაროს უძველეს ტიპიკონთა შორის, რომელთაგან ერთ-ერთი პირველია პახუმი დიდისა (348 წ.) და ბასილი დიდის (379 წ.), მათ შემდეგ შეიქმნა იერუსალიმის ტიპიკონი წმინდა საბა განწმენდილის მიერ 532 წელს, შემდეგ თეოდორე სტუდიელის 824 წელს, რომელსაც მოსდევს სამი ათონური ტიპიკონი. მათ შორის პირველი იყო ექვთიმე სტუდიელის 971 წ. მეორე წმინდა ათანასესი 1000 წ., მესამე 1046 წელს იმპერატორ კონსტანტინე მონომახის ბრძანებით მონაზონ კოზმას მიერ შედგენილი და პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონი, რომელიც გრიგოლ ბაკურიანის ძემ შეადგინა 1084 წელს (Соколов.2003:264). ჩვენამდე მოღწეულია უფრო გვიანი ეპოქის ვაჰანის (ვანის) ქუაბთა და უცნობი მონასტრის ტიპიკონები. ქვემოთ გთავაზობთ ყველა მათგანის არასრულ ტექსტს და მიმოხილვას.

მონაზვნების ყოველდღიური ცხოვრება გარკვეულ სამუდამო რიგზე იყო დამყარებული. დილით ადრე დგებოდნენ, ერთ დროს ლოცულობდნენ ეკლესიაში, ერთსა და იმავე დროს იძინებდნენ. ამიტომ ამ გარკვეულ სამონასტრო ცხოვრებას წესი ერქვა, რომელიც უფრო ხშირად და-

ერილი ინახებოდა ხოლმე თითოეულ მონასტერში, მაგრამ შეიძლებთ-და დაუწერელიც ყოფილიყო და მხოლოდ ზეპირი გარდამოცემითა და ჩვეულებით სცოდნოდათ. გიორგი მთაწმინდელმა საქართველოში ყოფნის დროს ქართველ საზოგადოებასა და სამღვდელოებას „წესნი დაუსხნა წერით და უწერელად“ (ვლავახიშვილი.1928:14).

პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონი

ძველ ქართულ მონასტრებს თავიანთი წეს-განგება ანუ ტიპიკონი ჰქონდათ. ქართული ტიპიკონები უმეტესწილად ბერძნულიდანაა გადმოღებული, თუმცა უნდა ითქვას, რომ საუკუნეთა მანძილზე ტიპიკონმა არერთი თავისებურება განიცადა. ჩვენამდე სრული სახით მოღწეულია პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონი, რომელიც მონასტრის დამაარსებელმა, გრიგოლ ბაკურიანისძემ 1084 წელს ბერძნულ ტიპიკონზე დაყრდნობით შეადგინა. პეტრიწონის მონასტრის გარდა შემორჩენილია 1191–1212 წლებით დათარიღებული უცნობი ქართული მონასტრისა და იმავე პერიოდის „ვაჰანის ქუაბთა განგება“, რომელიც ერისთავთ-ერისთავ მხარგრძელს შეუდგენია. ქართული მონასტრების ტიპიკონთან დაკავშირებით აკადემიკოსი ივ. ვლავახიშვილი შენიშნავდა, რომ კლარჯეთის მონასტრების წესი და განგება აღმოჩენილი არ არის, მაგრამ მისი მოკლე შინაარსი გიორგი მერჩულეს აქვს თავის თხზულებაში. ათონის მონასტრის წესწყობილების შესასწავლად ვლერვლერობით ერთადერთ წყაროდ უნდა გ. მთაწმინდელის თხზულება „ცხოვრებაჲ ითანესი და ეფთვიმესი“ ჩაითვალოს, რომელშიაც ეფთვიმე მთაწმინდელისგან დადებული სამონასტრო წესისა და განგების ვრცელი შინაარსი და აღწერილობა მოიპოვება. შიომღვიმის ტიპიკონიდან კი შემორჩენილია ერთი ნაწყვეტი „უდაბნოს წინამძღვრის რიგი“ (ვლავახიშვილი.1928:61). ჩამოთვლილ წყაროთა გარდა შეგვიძლია ვისარგებლოთ გელათური საბუთებითაც, რომლებშიც ტიპიკონის გარკვეული მომენტები შეინიშნება, თუმცა უნდა ვთქვათ, რომ გელათის მონასტერი სამეფო საძვალე იყო და იქ გარკვეული განსხვავებები არსებობდა.

დასახელებულ სამ წყაროზე დაყრდნობით შეგვიძლია გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნას, თუ როგორ ხდებოდა ქართული მონასტრების მართვა ან რა ვალდებულებები ჰქონდათ ქართველ ბერებს, წინამძღვრებს

და რა ეკრძალებოდათ მათ. უნდა ითქვას, რომ ძველად ტიპიკონი ყველა მონასტერს გააჩნდა, მაგრამ სრულყოფილი სახით ჩვენამდე არ არის მოღწეული, მხოლოდ ცალკეულ საბუთსა და ხელნაწერში შემორჩა ზოგიერთი მონასტრის წესები (შიომღვიმე, გელათი დავით გარეჯი).

აღსანიშნავია, რომ 1084 წელს შედგენილი პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონი გამოჩენილ ქართველს, გრიგოლ ბაკურიანისძეს კონსტანტინეპოლის პანაგიის მონასტრიდან გადმოუღია: „ფრიად მთნდა და ჴელეროვან მიჩნდა მათი იგი წესი და განგებაჲ სამონაზუნოჲ და საკრებულოჲ". ბიზანტიის სამეფო კარზე მოღვაწე ქართველი დომოსტიკოსის ყურადღება შემთხვევით არ მიუპყრია პანაგიის მონასტრის წეს-განგებას. მისი აზრით, ბერძნულ მონასტერში დამკვიდრებული მაშები „აღზრდილნი ფუფუნებაში" ყოფილან, თუმცა მათ მოუხერხებიათ და ხალხმრავალ ქალაქში კარგად დაუცავთ სამონაზვნე წესები: „უცდომელად უპყრიეს მათდა მიცემული".

გრიგოლი მიმართავს ქართველებს და ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ისინი „მხნენი და მხედრობათა შინა" აღზრდილნი და „ჭირვეულსა ცხოვრებასა ჩუენნი" არიან. ამიტომ, ვინც მონაზვნობას გადაწყვეტს, იგი წესებს უნდა დაემორჩილოს, რადგან თუკი ვინმე მონასტერში ფუფუნებით ცხოვრებას მოინდომებს, მისი ადგილი იქ არ არის: „უმდიდრესი ცხვრებაჲ ვისმე ენებოს და უფროსად განსუენებაჲ უნდეს, წარვიდენ კეთილად" (ქსძ.III.1970:36).

ტიპიკონი საკმაოდ ვრცელია, იგი 35 თავისგან შედგება, ზოგიერთი თავი კი რამდენიმე მუხლს მოიცავს. ჩვენ ყველა მნიშვნელოვან თავზე გავამახვილებთ ყურადღებას და შევადარებთ მათ სხვა ტიპიკონებს.

I თავი. პირველი თავი აფრთხილებს ყველა მართლმადიდებელ ქრისტიანს, ვინც ნათელღებულია ყოვლადწმინდა სამების სახელით, რომ მარადის უნდა ემზადოს „ზრუნვად დღისა სიკუდილისასა" და ფიქრობდნენ ქრისტეს მეორედ მოსვლის გარდაუალობაზე: „მოგონებად საშინელი და შესაძრწუნებელი განკითხვაჲ სამართალთა მათ სასჯელთა ქრისტეს ღმრთისაჲ". აი, რა უნდა ახსოვდეს ყველა ქრისტიანს, მით უფრო მონაზონს, რომელიც ვალდებულია განსაკუთრებულად იღვაწოს მთელი ცხოვრება, რათა საუკუნო სატანჯველს აარიდოს თავი. წმინდა წერილის სწავლების მიხედვით: „მიცემად აქა და მივასხებად ღმრთისა სახსრისა

კეთილისა თავთა თვისთათვის“. სიკვდილზე მუდმივი ფიქრი არაერთი წმინდა მამის ცხოვრებაშია ხაზგასმული, სწორედ ამის გამო ამახვილებს ყურადღებას ტიპიკონის პირველივე სიტყვები, რომ მონაზონს მუდამ თვალწინ ჰქონდეს და ახსოვდეს საყოველთაო განსჯის დღე, რომელიც ყველას ელოდება.

გრიგოლ ბაკურიანისძე მონასტრის აშენების დროს უკვე ასაკში ყოფილა და მას განცდა ჰქონია საკუთარი უძლურებისა, რომ მოახლოებული იყო მისი წუთისოფლიდან გასვლის დრო: „რამეთუ ცუდ ვარ და ცარიელ ყოველთაგან საქმეთა ღმრთისა სათნოთა“. ღმრთისმოშიშ ქართველს ბევრი უღვაწია ბიზანტიის სამეფო კარზე: „მრავალთა სისხლითა სარწმუნოებით მსახურებათა“, რის გამოც იმპერატორს მისთვის ბულგარეთში, სოფელ პეტრიწონში, „ფრიად მაგარსა ხევსა შინა“ სამფლობელო მიუცია, სადაც მას მონასტრის დაარსება გადაუწყვეტია.

მე-2 თავის მიხედვით გრიგოლი ახლადაგებულ მონასტერს სრულად უზრუნველყოფს მიწებით და არაერთ მამულს სწირავს: ოვანოვაში, ვაჩქოვაში, დობროლონგში, დობროსტანში, ლაბკოვაში, ლივროვასა და კიდევ სხვაგან. მონასტრისთვის შეუწირავს ასევე საკუთარი დიდი სოფელი სტენიმახი, თრი ციხე და კიდევ მრავალი მამული. გრიგოლს პეტრიწონის მონასტრისთვის შეუწირავს ასევე თავისი გარდაცვლილი ძმის, აბაზ მაგისტროსის მამულები, რომელსაც ანდერძით ჰქონდა დაბარებული. აბაზს ჯერ კიდევ სიცოცხლეში მიუცია გრიგოლისთვის მამულები, სათევზაო ტბა და აგარაკები, რომელიც ძმის სიყვარულის გამო „არარაჲ მაქუნდა ხუეჭაჲ ამის სოფლისა სახმართათვის“ ყოველივე ახლადდარსებული მონასტრისთვის შეუწირავს, სადაც უნდა ყოფილიყო ასევე მისი ძმის სამარხი (საძვალე).

მამულების გარდა გრიგოლს მონასტრისთვის შეუწირავს წმინდა ხატები, ჯვრები, რომლებიც წმინდა ნაწილებითა და ძელი ცხოვრების ნაწილით ყოფილა საავსე. ამათ გარდა სახარებები ქართულ და ბერძნულ ენაზე, ძვირფასი თვლები, კანდელები, კელაპტრები და შესამოსლები.

მე-3 თავის მიხედვით გრიგოლმა მონასტერი ყოველივე ვალდებულებისაგან გაათავისუფლა, არც მეფეს, არც პატრიარქს და არც მიტროპოლიტს მონასტრის საქმეებში ჩარევის უფლება არ ექნებოდათ.

მე-4 თავის მიხედვით მონასტერში მცხოვრებთათვის დაწესდა საერთო

ტრაპეზი, რომელსაც უნდა დასწრებოდა მონასტრის წინამძღვარი, ძმები და ყველა წევრი. მონასტერში მყოფ ყველა ადამიანს, წინამძღვარსა და საძმოს წევრებს ერთობა უნდა ჰქონოდათ, როგორც საღვთო, ასევე კაცობრივ საქმეებში. დაუშვებელი იყო მონასტერში ორგვარი საკვების მიღება, ანუ იკრძალებოდა ვინმეს უკეთესი ღვინო ან საზრდელი მიეღო, მათ შორის მამასახლისსაც, რადგან იგი ვალდებული იყო ყველასთვის მაგალითი მიეცა: „ქონებად უმეტესისა სიმდაბლისა და წესიერებისა“.

ბერებს ეკრძალებოდათ ასევე საკუთრების უფლება, სენაკში რაიმე ნივთების შენახვა და ა.შ. ასევე აკრძალული იყო ფარულად მარტო სმა-ჭამა, გარდა უძლურებისა და სიბერის შემთხვევებისა. არ შეიძლებოდა ასევე ბერებს რამე „სახმარი“ ნივთი (დიდი ან მცირე) ჰქონოდათ სენაკში ცხადად ან ფარულად, „გინა მიცემად ქუელის საქმედ“, რადგან ვინც ერთხელ – „თავიცა თვისი უარ ეყოს ერთგზის და ნებაიცა, და სიმართლისადა იყოს დამონებულ“. ანუ აქედან გამომდინარე, ბერს ეკრძალება რაიმე საქმის აღსრულების გამო ნივთის პირად საკუთრებაში მიღება, რადგან მან, ბერული აღთქმიდან გამომდინარე, საკუთარი ნებაც უნდა უარყოს და მხოლოდ სიმართლით ემსახუროს ღმერთს. აღნიშნული დადგენილება მცირედი განსხვავებით გადატანილი უნდა იყოს ვაჰანის მონასტრის ტიპიკონში.

მე-5 თავით უნდა გამოერჩიათ წინამძღვარი, მაგრამ გამორჩევა უნდა მომხდარიყო მონასტრის კრებულის სრული თანხმობით. წინამძღვარი აუცილებლად მონასტრის საძმოდან უნდა დაედგინათ და, რაც მთავარია, „გამორჩევითა და გამოძიებითა უმჯობესთა მოღუაწეთა“. წინამწღვრის გამორჩევა არ უნდა მომხდარიყო მევობრობით ან რაიმე თვისების გამო, არამედ „ყოველთა ძმათა დამოწმებით და დამტკიცებით“. არჩეული წინამძღუარი ვალდებული იყო დაეცვა ტიპიკონი და „არა აქუნდეს ხელმწიფებაჲ თავით თვისით განგებად რაისამე“.

მონასტრის წინამძღვარი სულიერ სამწყსოს სიმართლის „სიწრფოებით ჰმწყსიდეს“ და ძმებთან მიმართებაში ყოველთვის სამართლიანად უნდა იქცეოდეს, მას ყოველივე საქმე ისე უნდა აღესრულებინა, რომ ღვთისთვის საამო ყოფილიყო: „ვითარცა წინაშე თუალთა ძისა ღმრთისაითა სახიელველად მისა“.

მე-6 თავით განსაზღვრული იყო მონასტრის შტატები. წინამძღვრის გარ-

და მონასტერში ექვს ჟამის მწირველ მღვდელს უნდა ემსახურა, ასევე ორ კერძო დიაკონს წიგნის მკითხველად და „კანანახად“ (მგალობლად). ყველაზე სანდო და ღვთისმოშიში ბერი უნდა დაენიშნათ მეჯურჭლედ და ეკლესიის დოშიარად (იკონომოსი), რომელიც ასევე იქნებოდა ეკლესიის სამკაულთა, სიწმიდეთა და განძის მცველი „წესით იღებდეს და წესით გასცემდეს“.

ერთი ბერი უნდა ყოფილიყო განწესებული მნათედ, კანდელაკად, რომელსაც დეკანოზის ბრძანების საფუძველზე უნდა გაეცა საკმეველი, ზეთი, სანთელი, ზედაშე და ა.შ. ერთი ბერი განწესებული იყო კელრად ანუ ოსტიგანად, რომელსაც ჩაბარებული ჰქონდა პური „უხდური, ზეთი, თაფლი და ყოველი საზრდელი“. ერთი ბერი გამოყოფილი იყო მემარნედ, ერთი მეტრაპეზედ, ერთი მესტუმრედ, ორნი მეუძლურედ-მოხუცებულთა და სნეულთა ზედამხედველად.

ერთ-ერთი გამორჩეული ბერი „რჩეული და ღვთის მოშიშთაგანი იყავნ იპიტრიტად“ ანუ ძმათა ზედამხედველად. თუკი რომელიმე ძმა ცისკრის ჟამის დროს ეკლესიაში არ გამოცხადდებოდა, მას უნდა ესწავლებინა და მოეწოდებინა მათთვის ეკლესიაში წასასვლელად, ასევე უნად დაეცვა წინამძღვრის მიერ დადგენილი წესები. ამავე მუხლით განსაზღვრული იყო ასევე ერთი მეპურის, ერთი მზარეულის და ერთი მეკარის განწესება. მონასტრის საძმოს წევრებს კი გალობა და ფსალმუნება ჰქონდათ დავალებული. აღსანიშნავია, რომ პეტრიწონის ტაბაკონით მონასტერში უფრო მეტია თანამდებობა, ვიდრე ვაჰანის ქართულ მონასტერში. ასე მაგალითად, იპიტრიპი, ოსტიგანი, მეკარე და სხვა, რაც შესაძლოა ბერძნული გავლენით ავხსნათ. თუმცა შევნიშნავთ, რომ გარკვეული განსხვავებებია საქართველოში შექმნილ ვაჰანის ტაბაკონშიც.

მე-7 თავის მიხედვით მონასტრის წინამძღვარსა და საძმოს წევრებს დიდი ყურადღებითა და გამორჩევით უნდა დაედგინათ მღვდლები, მთავარი აქცენტი პიროვნების სიწმინდეზე უნდა გაემახვილებინათ: „წმინდად და სათნოდ და ღირსად იპოვნენ“. სწორედ ასეთ ღირსეულ მღვდლებს უნდა აღესრულებინათ ჟამის წირვა, რადგან ღირსეულ და წმინდა სამღვდელო პირის მიერ აძლევს „კაცთმოყუარე ღმერთი და მაცხოვარი ჩვენი მხსნელი იესუ ქრისტე ხსნასა სულთა ჩუენთასა“. იქვე მითითებულია, რომ სასულიერო პირი, რომელიც „სცთეს წესსა მას

შინა მღდელობისასა“ ანუ ვინც მღვდლობისთვის შეუფერებელ საქმეს ჩაიდენდა, მას უნდა შეეწყვიტა მღვდლობა და დადუმებულიყო, მის ნაცვლად სხვა ღირსეული პირი უნდა დაედგინათ მღვდლად, შეცთომილი კი მონასტრის გარეთ, სოხასტერში უნდა დამკვიდრებულიყო, მამასახლისის მიერ დადგენილი კანონი შეესრულებინა და ღრმა სინანულში ყოფილიყო. დადებული კანონის შესრულების შემდეგ, როდესაც იგი მიაღწევდა შენდობას და წყალობის ღირსი გახდებოდა, დააბრუნებდნენ მონასტერში, საძმოს კრებულში, რომელთაც მღვდლობის ხარისხი არ ჰქონდათ. ანუ ქართულ მონასტერში განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებოდნენ მღვდლად ხელდასხმას, მღვდლად ხელდასხმულ პირს კი ღვთისმოშიშებითა და დიდი კრძალულებით უნდა ემსახურა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას განაყენებდნენ მღვდლობისაგან და დაკარგავდა როგორც მღვდლობის ხარისხს, ასევე მონასტრის საძმოს წევრობას, სინანულის პერიოდის გასვლის შემდეგ მას მხოლოდ საძმოს წევრად აბრუნებდნენ და, როგორც ჩანს, მღვდლობის უფლება აღარ ეძლეოდა. პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონში მთავარი ყურადღება სიწმინდესა და ღირსებაზე იყო გამახვილებული და ყველა ვალდებული იყო დამორჩილებოდა დადგენილ წესებს.

მონასტერში მოღვაწე მღვდლები ვალდებულნი იყვნენ ასევე ყოველ საუფლო, გამორჩეულ დღესასწაულებსა და მონასტერში დადგენილ დღეებში წირვა აღესრულებინათ. ტიპიკონში ყურადღებაა გამახვილებული იმ ფაქტზე, რომ ბერებს დუმილითა და სიმშვიდით აღესრულებინათ ღვთისმსახურება, არ უნდა ეხმაურათ ღვთისმსახურების დროს: „მყუდროდ იქმოდინ თვინიერ რეხუებასა ფერხთასა“, ასევე მშვიდად და დაწყნარებულად უნდა მიეღოთ საზრდელი, „რათა ყოველივე სადიდებლად ღმრთისა იყოს“.

ბერებს ტრაპეზის მიღების დროს არ უნდა დაეწყოთ დავა ადგილების გამო – „პირველობაჲ და უკანასკნელობაჲ“, „არა აქა საძიებელ არს“, რადგან ეს საქმე სამომავლოდ გადაწყდება ღვთის მიერ: „თავადმან ღმერთმან განაგოს მერმესა მას“.

დაუშვებელი იყო საძმოს წევრებს შორის „შფოთი და უწესობა“, რადგან პრობლემებს შექმნიდა მონასტერში. მათ ერთმანეთისთვის შეურაცხყოფა

არ უნდა მიეყენებინათ, რადგან ეს სამონაზვნო წესის წინამძღვეგი და, რაც მთავარია, მათი სულისთვის იქნებოდა საზიანო. ამის დასტურად ტიპიკონში მოცემულის სწავლებაა დამოწმებული: „თვითოეული თქუენი ნუ ხოლო თვისა სარგებელსა ეძიებენ, არამედ მოყუასისაცა“.

სიმდაბლე ბერისათვის უმთავრესი ფასეულობაა, ამიტომ ვინც სიმდაბლით მოქმედებს, იგი ამაღლდება. დუმილი უნდა დაეცვათ ბერებს საზრდელის მიღების დროს და მოესმინათ წიგნის მკითხველისთვის.

მე-9 თავით ბერებს ეკრძალებოდა მონასტრიდან გასვლა-შესამოსლის ან რაიმე ნივთის შესაძენად და კარდაკარ სიარული. ასეთ შემთხვევაში შეიძლებოდა ისინი რაღაც ვნებაში ჩავარდნილიყვნენ. ამავე მუხლით მონასტრის საძმო სამ დასად იყო დაყოფილი და განსაზღვრული იყო დასების მიხედვით მონაზონთა შემოსავალი.

პირველ დასში ირიცხებოდა მონასტრის წინამძღვარი, რომელიც იღებდა ორმოც დრაჰკანს. პირველ დასში ირიცხებოდნენ ასევე ჟამის მწირველი მღვდლები, ორი „დიდნი იკონომოსნი“, დეკანოზი, დოშიარი და უხუცესი ბერები, სულ 15 პირი. პირველი დასის თითოეული წევრი იღებდა 20 დრაჰკანს.

მეორე დასშიც 15 პირი ირიცხებოდა და თითოეული მათგანი იღებდა 15 დრაჰკანს. მესამე დასში 20 პირი ირიცხებოდა და თითოეული მათგანი იღებდა 10 დრაჰკანს. როგორც ჩანს, ეს იყო საძმოს წევრების წლიური ვაკანსიები. მონასტრის ყველა შემოსავალი სექტემბერში იკრიბებოდა და ყველა იღებდა კუთვნილ გასამრჯელოს – თავიანთი შესამოსლის ფასს.

მე-10 თავით ქრისტიანულ ეკლესიაში დადგენილ სამ ორმოცდღიან მარხვებში უღვინოდ და უზეთოდ უნდა ემარხულათ შაბათ-კვირის გარდა. ასევე დადგენილი იყო ყოველ დღე გაეყოთ საზრდელი მონასტრის კარზე მყოფ ძმათათვის: „რომელ არიან მიზეზნი ხსნისა ჩუენისანი“.

დიდმარხვაში საძმო საზრდელს იღებდა თევზის გარეშე, თუმცა ღვინო კრასაული სრულად ეძლეოდათ. კვირის დანარჩენ დღეებში, ხუთი დღე ზეთის გარეშე მარხულობდნენ, ხოლო სამშაბათსა და ხუთშაბათს“თვითო კრასაულსა სუმიდნენ“.

ქრისტეშობის მარხვის პერიოდში ერთჯერ ჭამდნენ დღეში მეცხრე ჟამის დროს. „ღმერთი უფალის“ მსახურების დღეზე ორ-ორ კრასაულს

სვამდნენ სამხრობისას და თითოს მწუხრისას (სერობასა). მსგეფსის სამ დღეს კი ზეთის მიღება აკრძალული იყო.

ასეთივე წესით მარხულობდნენ მოციქულთა მარხვის პერიოდშიც, სამი დღე იყო უზეთო და ყველა ერთხელ ჭამდა დღეში, მეშვიდე ჟამის დროს და სვამდნენ ორ-ორ კრასაულსა მწუხრსა და სერობაზე.

მე-11 თავის მიხედვით დაწესდა, რომ ეკლესიაში ღვთისმშობლის მიძინების და ასევე ყველა საუფლო დღესასწაული მოწიწებით და ბრწყინვალედ აღსრულებულიყო. ეკლესიაში ასევე პატივისგებით უნდა აღსრულებულიყო დიდთა მოწამეთა და წმინდანთა სახსენებელი. ყოველ დღესასწაულზე გაიცემოდა მოწყალება გლახაკთათვის.

მე-12 თავით განწესებული იყო ყოველადწმინდა ღვთისმშობლის ხატის წინაშე მარადდღე დღე და ღამ სამი კანდელი დაენთოთ. ერთი დიდ საკურთხეველზე და ერთიც წინა კანკელზე, ჯვარცმის ხატის წინაშე. ერთი ნათლისმცემლის ხატის წინაშე ეკვდრის კართან და ერთიც წმინდა გიორგის ხატთან. საუფლო დღესასწაულის დროს ეკლესიის ყველა კანდელი უნდა ანთებულიყო.

ასევე ბერებს ევალებოდათ „ღმრთის მცნებათა აღსრულება“ და ღვთის სადიდებელი ლოცვები პანაგიის მონასტრის ტიპიკონის მსგავსად აღევლინათ: „ჟამსა ცისკრისასა და სამხრისასა, მწუხრისა და სერობისასა და დღისაცა განწესებულთა“ და განსაკუთრებით ყურადღებით „უფროისღა საღმრთოისა მის საიდუმლოისა შეწირვისა“. საძმოს წევრებს ასევე განწესებულის მიხედვით უნდა წაეკითხათ ფსალმუნი, არ უნდა ყოფილიყო „სწრობით ფსალმუნებასა“ წაკითხვა. გამონაკლისი დაიშვებოდა მხოლოდ უძლურებაში მყოფ, სტუმართა შემწყნარებელ და გლახაკთა დამხმარე ბერების მიმართ.

მონასტერში მცხოვრებ ყველა მონაზონს ეკრძალებოდა უდებება და მცონარება, მათ ასევე უნდა შეენახათ მდუმარება: „იმარხვიდნენ წესიერად დუმილსა ყოველსა ჟამსა და უფროისღა ჟამსა წმიდისა ლოცვისასა“. მონასტერში იკრძალებოდა უჯერო საუბარი, სიცილი, ხმის ამაღლება გალობის დროს, რათა არ მომხდარიყო „გარყუნად შეუნიერსა მას გალობისა და სმენისა მყუდროებასა“. ასეთი უყურადღებობის შემთხვევაში მონაზონი „ეშმაკთა თანაშემწე“ ხდებოდა.

ტიპიკონი მონაზონთაგან ითხოვდა, რომ ისინი მსახურების დროს მთე-

ლი არსებით ყოფილიყვნენ ლოცვაში ჩართულნი „შეუძვრელად სულით და ხორცით საღმრთოსა მას მსახურებასა“, ტიპიკონის მიხედვით ისინი ამ დრო „ღმრთის მიმართ სულიერი გალობის შემწირველებად“ იწოდებიან.

მე-13 თავის მიხედვით ბერები ვალდებულნი იყვნენ ყოველი „ცთომა და წყლულება“ შემუსვრილი გულითა და წრფელი სულით ჩაებარებინათ აღსარება წინამძღვართან, მათ არ ჰქონდათ აღსარების სხვაგან ჩაბარების უფლება. თუკი რომელიმე მონაზონი არ დაემორჩილებოდა წესებს და ურჩობას გამოავლენდა „ნებისა თვისისა გამორჩევის მოყუარე“ გამოჩნდებოდა მონასტერში, მას წმინდა წერილის სიტყვებით მოუწოდებდნენ: „მცირესა ზედა ურწმუნო იყოს, იგი დიდთა მცნებათა ზედა მცთომ და ურწმუნო იქმნების“. ბერი, რომელიც უხუცესის მიმართ ურჩობას გამოავლენდა ან უკეთეროდ იმეტყველებდა მას წინააღმდეგ, მას ემუქრებოდა საძმოდან გარიცხვა, როგორც „სახე ბოროტისა“ და წინამძღვრის ნების წინააღმდეგი.

იმ შემთხვევაში თუ წინამძღვარი არ იყო მღვდელი, მხოლოდ მონაზონი იყო და მას არ ჰქონდა სათანადო გამოცდილება და ცოდნა „უმეცარ შეკრულსა მას კანონთასა“, რადგან შეკვრისა და გახსნის უფლება მხოლოდ მღვდელს აქვს მინიჭებული, ამის გამო წინამძღვარს მოღვაწე მღვდელი უნდა გამოერჩია და ის განეჩინა სულიერ მოძღურად საძმოსთვის, რომ მისთვის მოეთხროთ აღსარებები „აღუარებდნენ ყოველთა ცთომათა გულის-სიტყუათა თვისთა“.

მე-14 თავი ეხება ხელსაქმის დროს ფსალმუნებას და ლოცვას, ანუ ბერები, რომლებიც ხორციელად შრომობდნენ და ფსალმუნთა წაკითხვის დრო არ ჰქონდათ, მათ ხელსაქმის შესრულებისას ევალებოდათ ზეპირად ეთქვათ ლოცვა „ილოცვიდნენ ყოვლადვე პირითა“. ტიპიკონის მიხედვით ასეთი ლოცვა ბასილი დიდის მიერ შედარებულია ღვთის მიმართ საიდუმლო მსხვერპლშეწირვად: „საკუმეველი საიდუმლოდ შეწირული ღმრთისა“.

ამავე მუხლით განსაზღვრული იყო უხუცესის მხრიდან საძმოს წევრების სხვადასხვა ფორმით მიდგომა: 1. „რომელთამე შერისხვაჲ“ (ანუ საყვედური და შერცხვენა), 2. „რომელიმე შერჩულვაჲ“ (სჯულის მიხედვით დარიგება), 3. „რომელთამე წყლულების განკუეთაჲ, მხილებისა მახვილითა“ (მხილება და ცოდვის მოძულება).

მონასტერში ზოგიერთ ძმას შეგნებულად უწესებდნენ ხორციელ შრომას, ვინაიდან მორჩილებითი შრომით ბერი უახლოვდება ღმერთს და მალე განიკურნება: „სრული შრომისმოყუარე მახლობელ არს ღმრთისა და ადრე მოიღებს კურნებასა“.

მე-15 თავი კვლავ კრძალავს მონაზონთა მონასტრიდან გასვლას უხუცესის ბრძანების გარეშე. მონაზონი, რომელიც „დაუდგრომელ იყვნენ ძმათაგან“, წინამძღვარს თავის ნებაზე არ უნდა მიეშვა, პირიქით, მასზე საეკლესიო კანონები უნდა დაეწესებინათ. შეცოდებულთა ანუ შეცდომილ ძმათა „განკანონება სინანულით“ უნდა მომხდარიყო და მათზე ზრუნვა მთელი გულითა და „ყოვლითა გონებითა“ იყო აუცილებელი, რათა ღმრთის სასჯელი არ მიეღოთ.

ტიპიკონი ითხოვს საძმოს წევრების მხრიდან წინამძღვრის მორჩილებას, ვინაიდან ყოველი მისი ბრძანება შეკული არის და, როგორც „შეკულსა ღმრთისასა“, მორჩილებით უნდა შეიწყნაროს კრებულმა. მორჩილება მონაზონისთვის უმთავრესი მოთხოვნაა და მან მხოლოდ შემდეგი სიტყვები უნდა წარმოთქვას წინამძღვრის წინაშე: „ვცოდე, მომიტევე“. თუკი მონაზონი მაინც გააგრძელებდა ურჩობას, ანუ ერთგზის, ორგზის, სამგზის დარიგებისა და განკანონების შემდეგაც გააგრძელებდა თავხედობას, „ვითარცა ასოჲ დამპალი“ უნდა განკვეთილიყო მონასტრის კრებულიდან. ანუ მონასტრის ტიპიკონი სამკერძო აძლევდა დაცემულ ბერს გამოსწორების შესაძლებლობას, შემდეგ კი გათვალისწინებული იყო ურჩი მონაზონის მონასტრიდან განკვეთა.

იგივე მუხლი ყურადღებას ამახვილებს იმ მონაზვნებზე, რომლებიც მოჩვენებითად ლოცულობენ: „მაჩუენებლობით ილოცვენ შორის კრებულსა ვითარცა ორგულნი“. ისინი ლოცვის მიზეზით თავიანთ „მოღვაწეობას“ აჩვენებდნენ გარეგნულად და სხვათა დასარწმუნებლად, თითქოს „არიან უპირატესნი და მოღუაწენი ძმათა შორის“. ასეთი მონაზონი სიბნელეში იმყოფება და მისი ყოველივე მოქმედება ამაოა. მოციქულის სიტყვებით: „რომელი იგი ბნელ არს და ნათელსა იჩემებს“, ასეთი მონაზვნები ბოროტის საქმის აღმსრულებელნი არიან, ისინი „სულთაგან ბოროტთა“ მიერ ცთუნებულნი არიან. ამის გამო აუცილებელია მონაზონის „განშორებაჲ ბოროტისაგან“ და კეთილის მიმართ მიდრეკა. ტიპიკონი იქვე იმოწმებს

პავლე მოციქულის სიტყვებს, რომლის მიხედვითაც „ნაყოფი სულისაჲ: რომელ არს სიყვარული, მშვიდობაჲ, სულგრძელებაჲ, სიტკბოებაჲ არს“.

მე-16 თავის მიხედვით საძმოს წევრებს ეკრძალებათ მონასტრის დატოვება ეპიტროპოსთა და ოკონომოსთა ნებართვის გარეშე. ასევე მონასტრის დამაარსებელი ითხოვს, რომ მონასტერი არასოდეს დარჩეს წინამძღვრისა და განმგეთა გარეშე.

მე-17 თავი კრძალავს მონასტერში საჭურისთა და მცირეწლოვან ჭაბუკთა ყოფნას. მაგალითად მოყვანილია წმინდა მამათა სკიტელთა დადგენილება. შემდგომად დადგენილ წინამძღვრებს მოუწოდებს, რომ „არა ვცეთ გზაჲ შესავალი სიბოროტესა“. ბოლო აბზაცში კიდევ მეტი სიმკაცრითაა ნათქვამი, რომ მომავალში განკანონება ემუქრება ყველას, ვინც არ დაიცავს წესს. კიდევ უფრო შორს მიდის ტექსტის ავტორი: „ვაფუცებ თავადსა ჩუენსა იესო ქრისტესა და უხრწნელსა დედასა მისსა“, რათა არ დაირღვეს ჩვენი კანონი და მამათა მცნება, არ წარიწყმიდონ საკუთარი თავი და მონასტერიც არ გაანადგურონ სრულიად: „თვისთა ხოლო წარწყმედისა, არამედ მონასტერისაცა სრულიად დაქცევასა და წარწყმედისა“. მონასტრის დამაარსებელი იესო ქრისტესა და ღვთისმშობლის სახელით ევედრება მომავალში მოღვაწე მამებს, რათა არ დაარღვიონ დადგენილი წესი. აღსანიშნავია, რომ ასეთი კატეგორიულობა ტიპიკონის თითქმის არცერთ მუხლში არ იგრძნობა, ვინაიდან სოდომური ცოდვის მონასტერში შემოსვლა არა მარტო პიროვნებას წარწყმედს, არამედ სრულიად დააქცევს მონასტერს, ამის გამოა, რომ XVII თავის მიხედვით მონასტრის კრებული არ უნდა გახდეს საუფლო სიტყვის შეურაცხმყოფელი და „საშინელსა განკანონებისა“ ქვეშ არ აღმოჩნდნენ.

მე-19 თავი ეხება იმ წინამძღვრებს, რომლებიც მონასტრის საწინააღმდეგოდ მოქმედებენ და ქონებას არასწორად განკარგავენ. აღნიშნული მუხლით მონასტრის საძმო უფლებამოსილია არდამორჩილების შემთხვევაში გადააყენოს წინამძღვარი. თუკი წინამძღვარი მონასტრის ქონებას არ მოუველის „სახმართა ეკლესიისათა წარწყმედად მიუშუებდეს“, ასეთ შემთხვევაში საძმოს არ უნდა დაეთმო და სიტკბოებით მოეწოდებინათ: „ასწაონ და ამხილონ ძმებრივად“. თუკი წინამძღვარი არ ინებებდა გამოსწორებას, იგი

უნდა განეყენებინათ და მის ნაცვლად ღირსეული გამოერჩიათ.

22-ე თავით განსაზღვრულია, წინამძღვრის ან მონაზვნის გარდაცვალების შემთხვევაში, როგორ მიაგონ გარდაცვლილს პატივი. წინამძღვრის გარდაცვალებისას მონასტრის საძმოს შესაბამისი წესით „სანთლითა, საკუმეველითა, ფსალმუნითა და გალობითა“ პატივისგება უნდა აღესრულებინა. მღვდელი „სამღვდელოითა წესითა დაჰმარხენ“, მონაზონი შესაბამისი წესით, ასევე გარდაცვლილის საფლავისთვის გამოყოფილი ყოფილა 12 დრაჰკანი.

გარდაცვლილი საძმოს წევრისათვის მესამე დღეს უნდა აღსრულებულიყო პანაშვიდი და ღამისთევის წირვა: „ღამისთევაჲ და მღდელთა ყოველთა ჟამი მისთვის წირონ“. წირვა განსაზღვრული იყო ასევე გარდაცვალებიდან მეცხრე, მეორმოცე დღეს და „წელიწადისა აღსრულებასა“.

23-ე თავით აიკრძალა მონასტერში დედაკაცის შესვლა, მონასტრის ტერიტორიაზე ასევე არ შეიძლებოდა დედათა მონასტრის აგება. ასევე არ შეიძლებოდა „ცოლოსანი კაცის“ და ყმაწვილის „მოყმისა ვისმე უწვერულისა“ დამკვიდრება მონასტრის ტერიტორიაზე.

24-ე თავის მიხედვით იკრძალებოდა პეტრიწონის ქართველთა სავანეში ბერძენი ეროვნების ხუცესის ან მონაზვნის დამკვიდრება „თვინიერ ერთი მონაზუნისა რომელმან ხელით-წერილი იცოდის“. გრიგოლ ბაკურიანიძე ამის მიზეზად ასახელებს საფრთხეს ბერძენთა მხრიდან: „არიან ბუნებით მძლავრნი და ანგაჰარნი და ხელოვანნი, მეშინის, თუ საქნებელი და დასაკლებელი რაიმე შეამთხვიონ მონასტერსა“. იგი ცოცხალი მოწმე იყო იმ პერიოდში ბერძენთა მხრიდან ქართველთა შევიწროებისა და დევნისა, რასაც აღნიშნავს კიდეც: „ესე მრავალ გზის გვიხილავს მათგან ქმნილად ჩუენისა ნათესავისა უმანკოებისა და გულმარტოობისგან“.

25-ე თავი ადგენს წესს იმ ქართველ ყმათა მიმართ, ვისაც მონაზვნის პატივში უნდა ყოფნა. მათთვის აუცილებელი იყო საჭირო წესების შესწავლა და გაწვრთნა: „წესსა შინა მონაზონებისასა წურთილ და შესწავლილ იყუენენ“. ამავე მუხლით განსაზღვრულია, რომ პეტრიწონის მონასტერი არის „ზოგად ცხორებულთათვის“ სამკვიდრებელი, სადაც წესიერება იყო უპირველესი მოთხოვნა: „წესიერთა განმისაზღვრებიეს საყოფელად“. პეტრიწონის ტიპიკონით მონასტერში კინობიტური მონაზვნო-

ბის წესი უნდა დამკვიდრებულიყო, სადაც მრავალი მონაზონი იღვაწებდა, მათთვის კი უმთავრესი წესიერება უნდა ყოფილიყო. მონასტერში მოსული ყოველი ქართველი უნდა დაქვემდებარებოდა ტიპიკონით დადგენილ წესრიგს, ერთობა ჰქონოდა საძმოსთან და დამორჩილებოდა წინამძღვარს.

26-ე თავით დადგინდა, რომ წელიწადში ორჯერ – სექტემბერსა და „მეორედ აღვსების“ დროს იკონომოსი მონასტრის მსახურებს „ლოღარიასა უქმოდის“, ყოველივე ღვთისმოშიშებითა და სამართლიანად უნდა გაკეთებულიყო. მთლიანი შემოსავლიდან დიდი იკონომოსი მამასახლისს მისცემდა „აპოტიქსსა აიღებდეს მამასახლისი“. შემოსავალი ღვთისმოშიშებით უნდა განეკარგათ ეპიტროპოსთა და გამოეყენებინათ მონასტრის საჭიროებისათვის, ხოლო დარჩენილი თანხა მიეცემოდა მეჭურჭლესა და დოშიაბრს და მისგან „აპოტიქსსა აიღებდეს“. თუკი ვინმე გაბედავდა და მონასტრის თანხებს მიითვისებდა, იგი ვალდებული იყო დანაკლისი და „შეჭმული“ ეკლესიისთვის დაებრუნებინა, ხოლო თავად ეკლესიის მსახურებისაგან უნდა გაძევებულიყო. ტიპიკონით დაწესდა ასევე, რომ მონასტერში მუდმივად 10 ლიტრამდე განძი ყოფილიყო შენახული, რათა წინასწარ დაზოგილი თანხა მომავალში საჭიროების შემთხვევაში გამოეყენებინათ.

27-ე თავის მიხედვით განწესებული იყო საღვთო ლიტურგიის აღსრულება „შესვენებულთასა დაუცხრომელითა ლოცვითა“. ასეთი ლოცვები მონასტერში მუდმივად უნდა ჩატარებულიყო და საღვთო ლიტურგიაზე ყოველი შესვენებული ძმის სული მოეხსენებინათ. ეს საქმე ყველას ვალდებულება იყო, რადგან იყო „შეუნიერი და სათნო უფლისა“, მით უფრო მონაზვნებისთვის, რადგან ამგვარი მოქმედებით „ძალი წინააღდგომისა ჩუენისა ეშმაკისაჲ დაიხსნების“, ე.ი. გარდაცვლილი ბერებისათვის ლოცვა ძალიან დიდი მადლის მომცემი იქნებოდა და თვით ბოროტის ძალაც კი დაითრგუნებოდა.

მონასტერში, იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკვდერში, ერთი მღვდლის მიერ მუდმივად უნდა აღსრულებულიყო მიცვალებულთა მსახურება: „მარადის ხსენებასა ჰყოფდეს შესვენებულთასა“.

ამავე მუხლით არანაკლები ყურადღება ექცეოდა მონასტრის შემომწირველებს, თუკი რომელიმე მორწმუნე ძღვენს შეწირავდა ან „ქველის საქმით ჰმსახუროს მონასტერსა“, ყოველწლიურად მის სასარგებლოდ

უნდა ელოცათ – „ულოცონ ხელაპყრობით“, მათთვის უნდა აღსრულებულიყო ასევე ჟამისწირვა. აღნიშნული წესების დაცვა ყველას ევალებოდა, ასევე მათ, ვინც მომავალში დამკვიდრდებოდა მონასტერში. შემომწირველთა მოხსენიება წუთისოფლის აღსასრულამდე უნდა გაგრძელებულიყო: „ვიდრე აღსასრულადმდე ამის საწუთროისა“.

28-ე თავიც ანალოგიური ხასიათისა გახლდათ. მონასტრის საძმო ვალდებული იყო ყველა გარდაცვლილისთვის ელოცა და ლიტურგიაზე მოეხსენებინა, ამ გზით მოხდებოდა მიცვალებულ ძმათა პატივისგება, ხოლო ბოროტის ძალაუფლება კი შეიმუსრებოდა: „ძალი წინააღდგომისა ეშმაკისაჲ დაიხსნების“. მნიშვნელოვანია, რომ მონასტრის კრებული გულისყურით ლოცულობდა როგორც შემომწირველებზე, ასევე გარდაცვლილებზე, რაც შეფასებულია დიდ ღვაწლად და სავალდებულო საქმედ. ამავე მუხლით განისაზღვრა მოხუცებულ და დაუძლურებულ საძმოს წევრებზე ზრუნვა ანუ ვინც სიბერით ან სხვა მიზეზით ავად გახდებოდა, აუცილებელი იყო მათთვის ზრუნვა „უმეტესად ღუწოლაჲ და ფუფუნებაჲ საზრდელითა და სასმელითა“. ავადმყოფებს ღირსეულად უნდა მომსახურებოდნენ და „არა სულ-მოკლეობით დრტვინვაჲ“ გამოეხატათ მათ მიმართ, რადგან, ვინც ღირსეულად მოუვლიდა სნეულებს, სასყიდელს ღვთისგან მიიღებდა, რამეთუ ეს არის „ნებაჲ ღმრთისაჲ, რომელ არს მოყუასთა მიმართ კეთილისყოფაჲ“. მონასტრის წინამძღვარს ევალებოდა, რომ არა მხოლოდ ხორციელ საქმეებზე ეზრუნა, არამედ მონასტრის საძმოს წევრთა სულებზე მიექცია მთავარი ყურადღება „სულთაცა მათთაჲ უხმს გამოზრდაჲ“ და ეს უპირველესად არა სიტყვით, არამედ საქმით უნდა დაემტკიცებინა, როგორც „მკურნალსა ხელოვანსა“.

პეტრიწონის ქართული მონასტრის ტიპიკონში უმთავრესი ყურადღება ეთმობოდა ადამიანებზე ზრუნვას, როგორც ცოცხლებზე, ასევე მიცვალებულებზე და რომ მონასტერი ამ თვალსაზრისით უმთავრესი დაწესებულებაა დედამიწაზე. ადამიანთა სულების გადარჩენა და მიცვალებულთა მუდმივი მოხსენიება – აი, ეს არის მონაზვნის მუდმივი მოვალეობა. მან საკუთარ სულზე ზრუნვის გარდა ასევე დიდი ამაგი უნდა გასწიოს ქრისტიანთა სასარგებლოდ და, რაც მთავარია, ამგვარი მოქმედებით იგი მოიპოვებს დიდ მადლს და აღასრულებს ღვთისთვის სათნო საქმეს.

ანალოგიურად მონასტერი ვალდებულია განსაკუთრებული ყურადღებით იზრუნოს ავადმყოფი და მოხუცებული მონაზვნის სასარგებლოდ და ეს არ უნდა იყოს მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით. ტიპიკონის მიხედვით, უმთავრესი ადგილი მონასტერში წინამძღვარს უკავია, მას ეკისრება საძმოს სულებზე ზრუნვა და მათი გამოზრდა, რადგან იგი ფლობს სულის მკურნალობის ხელოვნებას.

ბერის მოღვაწეობა სრულყოფილი ვერ იქნება, თუკი იგი ღვთის სათნო საქმეებს არ აღასრულებს: უწესოებს და „ლირწთა“ წესიერებაში არ მოიყვანს, მემთვრალებს მარხვით არ განამტკიცებს, მრისხანეებს სიმშვიდითა და სულგრძელებით არ ასწავლის, ამპარტავნებს კი სიმდაბლით არ განამშვენებს, რადგან მოყუასის სიყვარული არის „სიბრძნე პირველი“, უფრო მეტიც: „ესე არს ხატი და მსგავსებაჲ ღმრთისაჲ“. უფალმა ითმინა ადამიანთა უძლურებანი, ამიტომ მას ყველამ უნდა მიბაძოს. აქვე მოხმობილია ძველი აღთქმის წინასწარმეტყველის სიტყვები: „რომელმან გამოიყვანოს პატიოსანი უპატიოებისაგან, პირ ჩემდა იწოდოს“.

28-ე თავის შინაარსი მონაზვნებს ადამიანებზე ზრუნვასა და მათი სულიერების ამაღლებას ავალებს, რადგან ქრისტიანის უპირველესი საზრუნავი მოყვასის სიყვარულია. ცოდვაში ჩავარდნილი ადამიანების იქიდან ამოყვანა მონაზვნის მოვალეობაა, რაც მას ღმერთთან მიაახლოებს და „ხატი და მსგასი ღმრთისა“ გახდება „კაცობრივისა ძალისაებრ“. ანუ მონაზვნის უქმად ყოფნა ცოდვაა, იგი უნდა დაიხარჯოს მოყვასზე ზრუნვით. მისთვის უპირველესი მაგალითის მიმცემი თავად უფალია. იესო ქრისტემ მისცა ადამიანებს სიყვარულისა და თავმდაბლობის მაგალითი და ამის შესახებ ძველ აღთქმაშიც იყო განცხადებული, რომ უღირსი ადამიანის გაპატიოსნებით ადამიანი „ღვთის პირად“ შეიძლება იწოდოს.

29-ე თავის მიხედვით სოფელ სტენემახში აშენებულა ქსენოდაში (სასტუმრო) და თავად სოფლის შემოსავლებიდან აღნიშნული სასტუმრო უნდა მომსახურებოდა მგზავრებსა და გლახაკებს. სასტუმროში უნდა ყოფილიყო საწოლები, ფურნე და თონე სტუმართა გასათბობად და განსასვენებლად. ასეთივე ქსენოდაში აუგიათ მარმარისშიც, ნიკოლაოსწმიდაშიც, სადაც განუწესებიათ ორი მონაზონი, რათა სასტუმროები ყოველნაირად უზრუნველყოფილი გამხდარიყო.

30-ე თავით გრიგოლ ღვთისმეტყველის ხსენების დღე პეტრიწონის მონასტრის პირველი წინამძღვრის გრიგოლ ვანელის ხსენების დღედ დაწესდა. ამ დღეს გლახაკებს უნდა მისცემოდათ ექვსი დრაჰკანი და განწესებულის შესაბამისად წინამძღვარს მიცვალების მესამე, მეცხრე, მეორმოცე დღეებსა და წლისთავზე უნდა ჩატარებოდა მსახურება.

31-ე თავით დაწესდა ნიკოლაოსწმიდის ეკლესიაში მოყმეთათვის დაარსებულიყო სასწავლებელი, ეკლესიაში უნდა ემსახურა „წმინდა მთღუაწე" მოხუცებულ მღვდელს, რომელსაც მიეცემოდა ეკმაგირი, საზრდელი და ყოველიფე საჭირო ნივთი. ამავე თავით განსაზღვრული იყო მღვდელთან „სასწავლოს ყრმანი ექუსნი" უნდა ყოფილიყვნენ და ისინი მონასტრიდან მიიღებდნენ საზრდელსა და სამოსელს. მათ საკმათ ხანი უნდა დაეყოთ მონასტერში, ვიდრე არ „დაისწავლონ სრულიად ყოველი წესი სამღვდელოჲ". როდესაც ისინი მღვდლობის ასაკს მიაღწევდნენ და წვერიც გამოშვენდებოდნენ, მათგან უნდა გამოერჩიათ მღვდლობის ღირსნი და ეკურთხებინათ. ახლადნაკურთ მღვდელს დიდ მონასტერში (ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი) სხვა მღვდლებთან ერთად უნდა ემსახურათ წირვაზე და მათაც ისევე უნდა მიეღოთ ანაზღაურება, როგორც სხვა მწირველ მღვდლებს. ვინც მღვდლობის ღირსნი იყვნენ, ისინი არ უნდა გაეშვათ, შემდეგ ნიკოლაოსწმიდის ეკლესიაში კვლავ 6 ყრმა უნდა მიეღოთ.

ფაქტიურად აღნიშნული სასწავლებელი მოამზადებდა სამღვდელო კადრებს პეტრიწონის მონასტრისათვის. სასწავლებელში მიღებული ბავშვები ყოველნაირად იყვნენ უზრუნველყოფილნი და ისინი საკმაო ხანს ატარებდნენ სასწავლებელში, შესაძლოა 10 წელსაც კი, მათ უნდა ესწავლათ სამღვდელო პირისთვის აუცილებელი საკითხები და მიეღწიათ სრულყოფილი ასაკისთვის. შევნიშნავთ, რომ ყველა ვერ ხდებოდა სამღვდელო პირი, თუმცა, ვინც კი მოახერხებდა ამას, იგი დიდ მონასტერში გადაჰყავდათ სამოღვაწეოდ.

33-ე თავი ადგენს ტიპიკონის ზუსტად აღსრულებას და კრძალავს მის შეცვლას ან რაიმეს დაკლებას. მონასტრის დამაარსებელი გრიგოლ ბაკურიანისძე ითხოვს, რომ „შიშით დაიცვან წმიდა მამათაგან განწესებული ესე ტიპიკონი".

34-ე თავში აღწერილია ყველა სიწმინდე: ხატები, ჯვრები და სხვა

ყოველივე, რაც მონასტერში იყო დაბრძანებული. ასევე ვერცხლის ბარძიმ-ფეშხუმი, რომელიც ძვირფასი თვლებით იყო შემკობილი. კიდევ სხვა ბარძიმი იასპითა და თქროთი, სხვა ვერცხლის ბარძიმ-ფეშხუმი სამი წყვილი, ვერცხლის კოვზი ერთი, ვერცხლის სამი საცეცხლურო, ვერცხლის სასაკმეველე ერთი, სანაწილე სიწმიდისა ერთი, ვერცხლის ქორკანდელნი ორი, ვაჭვებით, ერთი სახარება ბერძნული, თქროთი შეკაზმული, ერთი სახარება ქართული, ვერცხლით შეკაზმული, სხვა სახარება მცირე და მრავალი სხვა... ჩამოთვლილიდან გამომდინარე უნდა ითქვას, რომ პეტრიწონი ყოველმხრივ უზრუნველყოფილი და მდიდარი მონასტერი იყო და მისმა დამაარსებელმა მონასტერი ძვირფასი ხატებითა და საეკლესიო ინვენტარით სრულად უზრუნველყო.

გრიგოლ ბაკურიანისძე თავის ანდერძში იბარებს, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ წელიწადში ექვს საუფლო დღესასწაულზე (ხარებას, ქრისტესშობას, მირქმა-მიგებებას, განცხადებას, ფერისცვალებასა და ბზობას) მისი სულის სათხად მსახურება აღსრულებულიყო: „ჟამი ჩემთვის წირონ, ტაბალაჲ დაეგოს უხუებით და გლახაკთ განეყოს დრაჰკანი ათი და ექუსთა ხუცესთა მიეცეს დრაჰკანი ორი“. ამავე საუფლო დღესასწაულებზე უნდა მოეხსენიებინათ გრიგოლ ვანელი, მონასტრის მაშენებელი და ასევე დაწესდა აღაპი: „განმიჩენიან, რაითა ჩემთვის აღაპსა ჰყოფდენ ამით სახითა“.

პეტრიწონის ქართველთა მონასტრის აღნიშნული ტიპიკონი ერთ-ერთი სრულყოფილია მათ შორის, რომელიც შექმნილა ქართულ მონასტრებში. პეტრიწონის სავანე მისმა დამაარსებელმა გრიგოლ ბაკურიანისძემ ყველანაირად უზრუნველყო, როგორც მატერიალურად, მამულებით, ასევე სიწმინდეებითა და საეკლესიო ინვენტარით. მონასტერში დამკვიდრებულ ბერს ყველა პირობა შეუქმნა, რათა მას მაღალი სულიერი სიმაღლეებისათვის მიეღწია და შემდეგ ყოველივე მოყვასის სასიკეთოდ გამოეყენებინა. ეს არის კარგად გააზრებული ტიპიკონი, რომელშიც არაერთი ნიუანსია გათვალისწინებული. იგი საკმაოდ მკაცრია შინაარსობრივად, უმთავრესი პრინციპი მონასტერში წესიერება იყო, რომლის გარეშეც მონაზვნური ცხოვრება ვერ შედგება. ლოცვასა და მორჩილებას ტიპიკონში ასევე გამორჩეული ადგილი უკავია, ტიპიკონი ფაქტიურად

წარმოადგენს ბერძნულისა და ქართული საეკლესიო წესების ნაზავს. მასში გარკვევითაა აღნიშნული, რომ მონასტერში ადგილი მხოლოდ მაღალი სულიერების მატარებელი ბერისთვისაა. პეტრიწონში მოღვაწე ყოველმხრივ იყო უზრუნველყოფილი და ამიტომ მას მხოლოდ ტიპიკონით დაკისრებული მოვალეობები უნდა შეესრულებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერ შეძლებდა მონასტერში ხანგრძლივად ყოფნას.

პეტრიწონში მყოფი ბერი მხოლოდ საკუთარ თავში ჩაკეტილი მოღვაწე არ არის, მისი სწრაფვა და მონდომება დაფარული არ იქნება, მონასტერში ის თავის ადგილს იპოვის ნიჭის შესაბამისად, ოღონდ მთლიანად უნდა დაიხარჯოს მოყვასზე ზრუნვით, რა ფორმითაც არ უნდა იყოს ეს: ავადმყოფის მოვლა, მეჯურჯლედ ან ეპიტრთპოსად ყოფნა, ან ჟამისმწირველ მღვდლად მსახურება თუ გლახაკთა დაპურება. ყველა საქმის ღირსეული აღსრულება ბერისთვის სათნო უნდა იყოს და არცერთი მათგანი არ ითაკილოს. ყოველივე ამით იგი იწვრთნება სულიერად და, რაც მთავარია, აღსრულებული საქმენი ღვთისთვის სათნოა, ანუ ხელსაქმე და ავადმყოფზე ზრუნვა ბერს ეხმარება სულიერ აღმავლობაში და იგი ვითარდება. მონასტერში მთავარი ადგილი უჭირავს წინამძღვარს, მან ყველაფერს უნდა მიაქციოს ყურადღება, თუმცა მისი მთავარი საზრუნავი საძმოს წევრთა სულების წვრთნაა და ამასთანავე ის უნდა იყოს მაგალითის მიმცემი მონაზონთათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში არაფერი გამოვა.

ასე, რომ პეტრიწონის ტიპიკონი არის უმნიშვნელოვანესი ძეგლი, რომელიც საშუალებას გვაძლევს დაახლოებითი წარმოდგენა შეგვექმნას საქართველოს ოქროს ხანის ერთ-ერთი მძლავრი მონასტრის ყოფა-ცხოვრებაზე, როგორ და რა პირობებში მოღვაწეობდნენ ქართველი მონაზვნები. რაც მთავარია, განცვიფრებას იწვევს ის წესრიგი, რომელიც იმდროინდელ მონასტერში არსებობდა. წესიერება და წრფელი გულით მსახურება, ამას მოითხოვს წეს-განჩინება, ვინაიდან მოჩვენებითი მოღვაწეობა და ლოკვა მხოლოდ ეშმაკის საქმეა. ამიტომ ტიპიკონი აფრთხილებს მონაზონს, რომ ამ საშინელ ცოდვაში არ ჩავარდეს, ასეთ მონაზვნობას ფასი არ აქვს, მოჩვენებითი მოღვაწე კი, ვერასოდეს მოიხვეჭს საღვთო მადლს და მისი მონაზვნობა უნაყოფოა.

უცნობი მონასტრის განგება

ჩვენამდე მოაღწია ერთ-ერთი უცნობი მონასტრის წეს-განგების არასრულმა ნაწილმა. მიუხედავად ამისა, მისი შინაარსი ფრიად საყურადღებოა. რაც მთავარია, იგი საქართველოშია შედგენილი და გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის სამონაზვნო ცხოვრებაზე. უცნობი მონასტრის წეს-განგება თამარ მეფის პერიოდშია შედგენილი. განგებას აკლია თავი და ბოლო და არის მკაცრე ზომის. აქედან გამომდინარე, მასზე დაწერილებითი საუბარი ვერ მოხერხდება. განგების დასაწყისში საუბარია იმაზე, რომ მონასტერში არ შეიძლება ერთზე მეტი მოძღვრის ან მოწაფის აყვანა, წინააღმდეგ შემთხვევაში „ორნივე გახსნენ მონასტრიდან შეუნდობლად" (ქ.ს.ძ.1970:132–134). ორი მოძღვრის აყვანა გასაგებია, რომ მიუღებელია, თუმცა რატომ კრძალავს ტიპიკონი ერთზე მეტი მოწაფის აყვანას, გაუგებარია.

შემდეგ აბზაცში საუბარია მწირ მონაზონზე, რომელსაც ეკრძალება დიაკვანთან ან ერისკაცთან დამკვიდრება. „უკეთუ დაიმჭიროს", ორივე კიდე განიხადნენ". შემდგომი აბზაცები გაუგებარია, რადგან წინადადებები არასრულია და სავარაუდებელია, რომ აღნიშნული მუხლები კვლავ მწირ მონაზონს ეხებოდა. ქვემოთ საუბარია ინვალიდებზე, ანუ „საპყარნი, რომელნი განჩენილ არიან, ეგრევე იმყოფებოდნენ", ალბათ მათ უფლება ეძლეოდათ მონასტერში ყოფნისა. წინამძღვრის გარეშე ბერს არ ჰქონდა უფლება შორ ან ახლო მანძილზე წასვლისა „ნუმცა უკადრებია უნებელი წინამძღვრისაჲ".

შემდეგ მონასტრის წინამძღვარს დაუდგენია, რომ საწინამძღვრო ადგილები, გლეხები, „ზუარნი და ვენახნი" და მოსავალი მონასტრის საკუთრებაში ყოფილიყო, რადგან გამგე (აკლია წინადადების დასაწყისი) ჩიოდა, რომ აღნიშნული მოსავალი პატრონს, ლაშქარსა და სტუმრებს არ ეყოფოდა, ამის გამო „ბოლნისს საღვინე დავდევით", ანუ ბოლნისში ადგილი გამოუყო. ფაქტია, რომ მონასტერი აღმოსავლეთ საქართველოში, ბოლნისის მიდამოებში იყო, იქ, სადაც მოჰყავდათ ხორბალი და „ბოლნისის ღვინოჲ". როგორც ჩანს, მოსავალს მეთვალყურეობა ესაჭიროებოდა და მონასტრის მწირველს, ნაცვალს, წინამძღვრის კაცს, ერთ მწირსა და ერთ ვალაანის ყმას ევალებოდათ იგი.

ტიპიკონის მიხედვით, ღვინის დაწურვის შემდეგ პირველად „დიდთა და სრულთა“ მონასტრების ღვინით „საბისკვ... (საბარძიმე) ჭურნი უნდა ავსებულიყო და მერე კი სხვა ჭურები. ყოფილა ასევე „საბაბილოჲ ჭური“, რომელიც დღეობაზე უნდა მოეხმარათ „ვითა მოსახმარებლად სახემსთ იყოს“. „საკვირაოჲ ჭური“ კი ჯვართამაღლებიდან პასექამდე გაიცემოდა წესის მიხედვით. ანუ ქართულ მონასტერში შესაბამისი წესების მიხედვით ინახავდნენ ღვინოს და მონასტრის მარანში განსაზღვრული იყო, რომელი ჭური როდის უნდა გახსნილიყო და რა პერიოდში გამოეყენებინათ. ასევე გათვალისწინებული ყოფილა მოუსავლიანობა და სეტყვა. მოსავლის არმოყვანის შემთხვევაში მონასტერს გააჩნდა ნამატი ხორბალი და ღვინო. აღნიშნული მონასტერი საკმაოდ დიდი ყოფილა, რადგან წელიწადში განსაზღვრული იყო აღაპის დღეები, მათი რაოდენობა 45 ყოფილა.

მონასტრის საძმოს საქართველოს სახელოვანი მეფე თამარის სადღეგრძელოდ უნდა ელოცა „ღმრთივ-გვირგვინოსნისა მეფეთა შორის მეფეთა მეფისა თამარის დღეგრძელობაჲ და შენდობაჲ უფროსად აღემატოს ითქმოდის“. თამარ მეფის სადღეგრძელოდ, როგორც ჩანს, აღაპი იყო დაწესებული, რადგან მას მრავალი სოფელი და აგარაკი შეუწირავს მონასტრისთვის. ასევე გაუცია შეუვალობის სიგელი და „ყოველი ხარკი და ბეგარა ამოგვხადა“. როგორც მონასტრის მფარველისა და შემომწირველის, თამარ მეფის სახელი ყოველდღე „ტრაპეზსა თანა“ (წირვაზე) უნდა განდიდებულიყო და მისი მოხსენიება არ შეწყვეტილიყო „საუკუნომცა არს და დაუსრულებელი ხსენებაჲ მათი, ამინ“.

წეს-განგებაში შემდეგ იხსენიება ივანე მხარგრძელი, რომელსაც დიდი გულმოდგინება გამოუჩენია მონასტრის სასარგებლოდ, რადგან მას მრავალი „საბოსტნე და საევნახე“, ვალანის ქვემოთ არსებული საკმაოდ დიდი მამული შეუწირავს მონასტრისთვის, ამ ადგილიდან შემოსავალი გაუჩენიათ ტრაპეზისთვის, სტუმრისა და ყველასათვის, ვინც მონასტერში მოვიდოდა. შემოსავალი გაუჩენიათ ასევე წინამძღვრის სტუმართათვის და „სამწირველოისა სახლისა მისისათვის“. შესაძლოა წინამძღვარს ცალკე სამწირველო სახლი ჰქონდა. დარჩენილი შემოსავალი გამოუყვიათ სახუცო სახლისთვის და სამწიროსა თანაბრად გაუნაწილეს.

აღნიშნულიდან ვიგებთ, რომ ქართულ მონასტერში წინამძღვარი გან-

საკუთრებული პატივით სარგებლობდა და მას გაჩნდა სამწირველო სახლი, ამის გარდა არსებობდა სახუცო სახლი, როგორც ჩანს მღვდელ-მონაზონთათვის, ასევე სამწირო სახლი მონაზონთათვის და ყოველივე „წესისაებრ“ განიკარგებოდა მონასტერში.

იქვე მითითებულია, რომ ტიპიკონი თრ ნაწილს მოიცავს და თრივე მათგანი სრულად არის შედგენილი. „წესი და განგება ამის მონასტრისაჲ საღმრთოჲ და საკაცო ამას ტიპიკონსა შინა სრულად დამიწერია“, ანუ მონასტრის დამაარსებელმა, როგორც წესი იყო, წეს-განგება სრულად შეადგინა საღმრთო კანონებით და მონაზონთა მიმართ აუცილებელი წესებით.

ბოლოს ხაზგასმულია, რომ მონასტერში აუცილებელია წინამძღვრისადმი მორჩილება: „წინამძღუარსა ვითა ქრისტესა, ჰმორჩილებდნენ“. წინამძღვრის საწინააღმდეგოდ არაფრის კადრება არ შეიძლება, „ვითა ქრისტეს“ მიმართ. როგორც ქრისტე ტკბილი და სახიერი იყო თავისი მოწაფეების მიმართ, ასევე წინამძღვარი კეთილი და ტკბილი უნდა იყოს ძმობის წევრების მიმართ: „ყოველთათვის თვითოეულად ტკბილი, სახიერ და ლმობიერ იყოს“. ძალიან საყურადღებოა წეს-განგების აღნიშნული მუხლი, რადგან ის თრგვარ ვალდებულებას აწესებს: საძმოს წევრებისაგან წინამძღვრის წინაშე მორჩილებას ითხოვს, მაგრამ ამასთანავე წინამძღვარს არანაკლებ მოთხოვნას უყენებს, მას საძმოს ყველა წევრთან სიტკბოება და ლმობიერება უნდა აკავშირებდეს. სახიერება, რომელიც ქრისტეს გააჩნია, უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს წინამძღვარს. გარკვეულწილად თუკი შევადარებთ ბერძნულ ტიპიკონს, შეიძლება განსხვავება დავინახოთ იმ თვალსაზრისით, რომ წინამძღვრისაგან სითბოსა და სიყვარულს ითხოვს მონასტრის საძმოს წევრების მიმართ.

წინამძღვარმა კვლავ უნდა დაიცვას გარკვეული წესები, ასე მაგალითად, მას არ შეეძლო ვინმეს გამორჩევა, ანუ ზოგიერთის მიმართ „კითხვა-რჩევით სიყვარული“ არ უნდა ჰქონდეს, ზოგის მიმართ კი არ უნდა გააჩნდეს შიში და სირცხვილი და ამის გამო ნუგეშს სცემდა „ასმუმევდა და აცუმევდა“, ხოლო მწირ ბერთაგან, ვისგანაც არ ეშინოდა და არც ჰრცხვენოდა (აქ მთავრდება ტექსტი), შესაძლოა ნაკლებ ყურადღებას აქცევდა.

აღნიშნული მუხლი ფრიად საყურადღებოა და წეს-განგების შემდ-

გენელმა კარგად იცის მონასტერში არსებული სირთულეები, მათ შორის ისეთები, რომელიც წინამძღვარს შეიძლება დაემართოს, ამის გამო იგი აფრთხილებს მათ, რომ ყურადღებით იყვნენ. ძალიან საინტერესო იქნებოდა ტიპიკონის დანარჩენი მუხლები, რომლებსაც ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ ერთი რამ თამამად შეიძლება ვთქვათ, უცნობი მონასტრის თამარ მეფის დროინდელი ტიპიკონის ნაწილი მეტად საინტერესო ცნობებს გვაწვდის ძველ ქართულ სამონასტრო ცხოვრებაზე და მიუხედავად სიმცირისა, ტექსტი უაღრესად ფასეულია.

ხანძთის მონასტრის ტიპიკონი

(გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების მიხედვით)

გიორგი მერჩულე ჩამოთვლის ხანძთის მონასტერში დამკვიდრებულ ზოგიერთ წესს და აღნიშნავს, რომ „სულიერი წესები“, რომლებიც ხანძთაში არსებობდა წმინდა გრიგოლის დროს, ცოტა აქვთ დაცული.

ხანძთის მონასტერში მართალი ხალხი იყო დამკვიდრებული, ისინი ყოველთვის თავიანთ თავს ადანაშაულებდნენ და, რაც მთავარია, სიყვარულის ძლიერი ფესვი ჰქონდათ. მათ გააჩნდათ მოთმინება, სიმდაბლე, სიმშვიდე, რომელიც ლოცვითა და მარხვით იყო განმტკიცებული. მართალ სარწმუნოებასთან ერთად „გულის სიწმინდით“ და „ჭეშმარიტებაჲ ენისა“ უბიწოებით კრძალვა გააჩნდათ ყოველივეს მიმართ. ეკლესიაში ლოცვის დროს არ საუბრობდნენ, ისინი მსახურებაზე შიშით იდგნენ, „ვითარცა ზეცის წინაშე“.

დავითის ფსალმუნების დროს „ალილუიას“ დასრულებამდე მემხრეები (მონაზვნები) ვერ იკადრებდნენ მუხლის აღებას, რადგან საგალობლების სწრაფად თქმის ჩვეულება არ ჰქონდათ და მშვიდად და დაწყნარებულად ლოცულობდნენ. ეკლესიის კედელს მოხუცებულის გარდა ვერავინ მიეყრდნობოდა, ხოლო ეკლესიაში ძილსა და მოურიდებელ ჯდომას ვერავინ იკადრებდა. მერჩულის სიტყვით, ხანძთის ბერებში კიდევ მრავალი სათნოება არსებობდა, თუმცა ყველას სათითაოდ თქმა შეუძლებელია, მან მთელი წეს-განგება ვერ გადმოსცა თავის თხზულებაში, არამედ თითო სიტყვა, რომელიც იმჟამად ჰქონდათ.

ხანძთის ტაბიკონში განსაკუთრებული ადგილი ეკავა ღვთისმსახურებას. ამიტომ ავტორი მრავალ საინტერესო ფაქტზე გვესაუბრება. ყოველი ღამისთევისას – „შემწუხრებითგან“ გათენებამდე ლოცვა, ხოლო ღამისთევის წინა დღეს „ჟამთა ყოველთა ლოცვაჲ“: ჟამისწირვა მეცხრე ჟამის დროს, კვერექსების თქმა, ყოველ ჟამისწირვაზე „წმიდაო ღმერთოს“ წინ კვერექსი „ზეცითგარდამოჲ“. კვირის წირვაზე „წმიდაო ღმერთო“ ექვსკერ. საკურთხეველში მსახურებისას დაუშვებელი იყო ფოჩიანი და ტყავის სამოსლით მსახურება.

გარდაცვლილთა სულის მოსახსენიებლად ყველაფერს იხდიდნენ, რა დღეც დაემთხვეოდა მესამე, მეშვიდე, მეორმოცე და წელიწადი. ამ დღეების ჟამისწირვას არ მიათვლიდნენ იმ ორას დღეს, რაც ხანძთაში დაკრძალულთათვის იყო განწესებული. ე.ი. ხანძთაში გარდაცვლილი ძმების მოსახსენიებლად წელიწადში ორასი დღის განმავლობაში წირავდნენ. ბაქსიმადის გაყოფა თავიდანვე ყოფილა დაწესებული.

გიორგიწმიდობის თვის დადგომიდან გიორგიწმიდობამდე მარხვა წველით. ხანძთა წმინდა დიდმოწამე გიორგის სახელობისა იყო და წმინდანს განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ. დიდი კრძალვითა და მოღვაწეობით აღასრულებდნენ ქრისტეშობისა და წმინდა მოციქულთა მარხვებს. ნოემბრის თვის დადგომიდან ყოველ შაბათს ცისკარზე ოთხი კანონი სრულდებოდა ვიდრე ბირმარხვამდე. დიდმარხვისას ვიდრე ბზობამდე ყოველ ცისკარს ოთხი კანონი და წიგნისკითხვაც ოთხი კანონი. ფრიად დატვირთული იყო ვნების კვირის მსახურება „ფრიად განგებაი იყო“. აღვსებიდან ამაღლებამდე „ჭირის კანონს“ არ ამბობდნენ, სერობაზე უნდა ეთქვათ „ხადილსა ჩემსა“ და აღდგომის წარდგომანი და ცისკარზე დაწესებული თითო კანონი ახალკვირამდე.

სულთა ხსენებისას, აღვსების შემდეგ, ცისკარზე „ნეტარიანნი“ და გალობანი უნდა ეთქვათ, როგორც ეწერა „განგებასა ეკლესიისასა“.

საკმაოდ მკაცრი წესები არსებობდა სენაკში მყოფი მონაზვნებისთვის, აქედან გამომდინარე, მონასტერში შემსვლელი ვალდებული იყო დამორჩილებოდა ხანძთის წინამძღვრის დადგენილ წესებს. თავდაპირველად ღირსი მამა გრიგოლის მოწაფეთათვის მეტად მკაცრი იყო კანონი, რადგან ბერების სენაკებში „მცირე იყო სარეცელი“ (საწოლი) და ცუდი

(უბადრუკი) საგებელი, საწოლის გარდა სენაკში ერთი ჭურჭელი ჰქონიათ წყლისთვის. სხვა ხორცისა და სულის სანუგეშო არაფერი გააჩნდათ „საჭამადისაჲ და სასუამადისაჲ ყოვლადვე“. ისინი მხოლოდ საერთო ტრაპეზზე იღებდნენ საკვებს და „მით იყო ცხოვრებაჲ მათი“. ბერების უმრავლესობა ღვინოს საერთოდ არ სვამდა, მხოლოდ ზოგიერთი იღებდა ძალიან მცირე რაოდენობით. ბერების სენაკებში საკვამური არ იყო, რადგან ცეცხლს არ ანთებდნენ. ღამით არ ანთებდნენ სანთელს და იყო ფსალმუნთა კითხვა, დღისით კი წიგნის კითხვა და „ლოცვაჲ მარადის“. როგორც დავით მეფსალმუნე იტყოდა: „დღისი ამცნო უფალმან წყალობაჲ მისი და ღამე გალობაჲ მისი“ფს.41.9.

ცხოვრებაში საუბარია, თუ რას იღებდა თავად მამა გრიგოლი დიდმარხვისას. საკუთრივ დიდმარხვაში ნეტარი მამა გადადიოდა მთუხარშავ კალნაბზე (ყვავილოვანი კომბოსტო). საერთოდ კი მთელი ცხოვრების განმავლობაში მისი საკვები ყოფილა პური, რომელსაც დღეში ერთხელ ჭამდა „ნაკლულევანებით“ (მცირე) და წყალსაც ძალიან ცოტას. წმინდა მამას ღვინო სიყრმიდანვე არ დაულევია, სხვა სათნოებები გრიგოლის და მისი მოწაფეების მხოლოდ ღმერთმა უწყის.

გრიგოლ ხანძთელის პერიოდში საქართველოს მონასტრებში უკვე არსებობდა როჭიკი (სარჩო, საზრდო), ანუ როდესაც ბერები მონასტრის საჭიროებისათვის გადადგილდებიან სოფელ-სოფელ და აგროვებენ ხორბალსა და სხვა საკვებს.

გიორგი მერჩულის თხზულებიდან ვიგებთ, რომ მეცხრე საუკუნეში ხანძთაში არსებობდა დეკანოზის თანამდებობა, იგი ჟამისწირვის განრიგსა თუ ჟამისმწირველის ვინაობას ადგენდა, ასევე კვირა დღეს ჟამისწირვას აღასრულებდა მონასტრის მამასახლისი სხვა მღვდლებთან ერთად (გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. 2008:610).

ჩვენამდე მოღწეულია ანთიმოზ ივერიელის მონასტრის 1716 წლის ტიპიკონი. ტიპიკონის შინაარსი ყურადღებას ამახვილებს მოწყალების გაცემაზე. მთელი წლის განმავლობაში ორმოცდათორმეტივე შაბათ-კვირას სავალდებულო იყო უპოვართათვის მოწყალების გაცემა. აღრიცხვის შემდეგ ყოველ კვირა დღეს მოწყალება უნდა მიეღო 13-15 ადამიანს. მონასტერში არსებობდა სტამბა, იკრძალებოდა რჯულის საწინააღმდეგო წიგნების დაბეჭდვა (ანთიმოზ ივერიელის მონასტრის ტიპიკონი).

ათონის ივერთა მონასტრის „წესნი და განგებანი“
(ექვთიმე მთაწმინდელის ცხოვრების მიხედვით)

ათონის მთაზე მეათე საუკუნის ბოლო ოცწლეულში დაარსებულ ივერთა მონასტერში ქრისტიანულ სამყაროში ერთ-ერთი მძლავრი სამონასტრო ცენტრი ჩამოყალიბდა. ივერონის დაფუძნებელ-წინამძღვრები თავად ბიზანტიის საიმპერატორო კარზე დიდი პატივით სარგებლობდნენ, შესაბამისად ამ ფაქტმაც განაპირობა მონასტრის ესოდენ დაწინაურება. მონასტერში არსებობდა საკმაოდ მკაცრი ტიპიკონი, რაც განაპირობებდა წესრიგს. ათონის ივერთა მონასტრის ტიპიკონს ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ მთაწმინდელი მამების ცხოვრებანი შესაძლებლობას გვაძლევს წარმოდგენა შეგვექმნას, რა უფლება-მოვალეობები გააჩნდათ ბერებს. მონასტრის მამულებისა და ეკონომიური ცხოვრების შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული ივერონის აქტებში.

ათონის ივერთა მონასტერში ექვთიმე მთაწმინდელს, მონასტრის მეორე წინამძღვარს, დაუდგენია წესები. ამ ფაქტზე საუბრობს გიორგი მთაწმინდელი. დადგენილი წესებით განსაზღვრული იყო ღვთისმსახურების ჩატარება და საძმოს უფლება-მოვალეობანი, საზრდელის და ღვინის მიღება და ლოცვის წესი „ევთიმე საესე ზეგარდამოითა მადლითა, ეგრეთვე საღმრთონი წესნი და განგებანი დაესხნეს მონასტერსა თვისსა“, ე.ი. წეს-განგება ექვთიმეს წინამძღვრობის პერიოდში 1005–1014 წლებში უნდა შექმნილიყო, აქედან გამომდინარე, ქრონოლოგიურად ის პეტრიწონის და სხვა ქართულ ტიპიკონებზე უფრო ძველი გამოდის. ღირსი ექვთიმეს ცხოვრებაში მინიშნებულია, რომ თავდაპირველად „წესნი ეკლესიისანი და განგებანი ყოვლისა წელიწადისანი“ დიდი სვინაქსარის მიხედვით უკლებლად სრულდებოდა: „ვითარცა წერილ არს დიდსა სვინაქსარსა სრულებით და უკლებლად“.

ივერთა მონასტერში უმთავრესი ყურადღება ეკლესიაში მისვლასა და მხურვალე ლოცვას ეთმობოდა: „რათა მოსწრაფე იყუნენ მისულად ეკლესიად და წესიერად დგომად და მხურვალედ ლოცვად“, ე.ი. ყოველი ძმა ვალდებული იყო დაეცვა წესიერება, დროულად მისულიყო ეკლესიაში და დაეცვა დგომის წესი და, რაც მთავარია, მხურვალედ ელოცა.

მონასტრის წინამძღვარი ყოფილა ყველასთვის მაგალითის მიმცემი, იგი მაღალ კოშკში ცხოვრობდა, მაგრამ მას ვერავინ მიასწრებდა ტაძარში, სადაც ის კვერთხის გარეშე იდგა და კედელსაც არასოდეს ეყრდნობოდა. მას ასევე განსაკუთრებული კრძალულება გააჩნდა მსახურების ჟამს, რადგან ვერავინ გაბედავდა საუბარს. საჭიროების შემთხვევაში თავის მოწაფეს საიდუმლოდ აუწყებდა, ის კი თავის მხრივ იკონომოსს ან პატრიკონომოსს „მოიზიდნის ნელიად და შტოსა განიყუანის და მუნ უთხრის ბრძანება მამისა“, ანუ ტაძრიდან ნარტექსში გაიყვანდნენ საძმოს წევრს და იქ აუწყებდნენ წინამძღვრის ბრძანებას: „ეკლესიისა შინა კულა უბნობასა ვერვინ იკადრებდა“.

ყველა ბაძავდა წინამძღვარს, რადგან მის მსგავსად კედელს არავინ ეყრდნობოდა, ასევე ტაძარში განსაზღვრული იყო, ვინ სად უნდა დამდგარიყო. ჭაბუკები ანუ ახალგაზრდები შუა ეკლესიაში იდგენენ ორ-სამ რიგად, სხვები ხანდაზმული ბერები, სნეულები და ხეიბრები ნართექსში იყვნენ და შეეძლოთ დამსხდარიყვნენ (ივ.აქტ.I,2008:86). ღვთისმშობლის ეკლესიას მესვეურობდა დეკანოზი, რომელიც მნათესთან ერთად ოწვევდა ძმებს ტაძარში. აღნიშნულ საქმეში მონაწილეობდა ასევე ორი დამხედავნი (ეპიტრიტი), რომლებიც აუცილებლად ღირსეულნი და ღვთისმოშიშნი უნდა ყოფილიყვნენ, ერთი იყო უხუცესი, მეორე ახალგაზრდა. მათ უნდა დაეცვათ წესრიგი, მოევლოთ სენაკები. თუ ვინმე დარჩებოდა სენაკში და ცისკარს გააცდენდა, მას განკანონება ემუქრებოდა.

ექვთიმე მთაწმინდელი მის ერთ-ერთ წერილში (გიორგი შეყენებულის მიმართ გაგზავნა) საუბრობს მოძღვრის შესახებ, რადგან მონასტერში მას უმთავრესი ფუნქცია აქვს. მოძღვარს, რომელსაც მოწაფენი ჰყავს და რომელიმე მძიმე ცოდვაში ჩავარდება: „უკეთუ წუალებასა, ანუ კაცისკვლასა, ანუ სიძვასა, ანუ გრძნებასა“ ან სხვა რომელიმე სიბილწეში, მოწაფეზე უფლება აღარ აქვს: „არ აქვს ხელმწიფება და მოწაფე იგი თვით ურჩ ექმნას“ (ქრ.1897:85) ასეთ შემთხვევაში მოწაფეს მოძღვრიდან წასვლა ურჩობაში არ ჩაეთვლება. შესაბამისად ასეთ მძიმე ცოდვებში მყოფი პირი მოძღვრობის ღირსი არა არის და მას არ აქვს უფლება ვინმეს სულიერებაზე მიუთითოს. სხვა შემთხვევებში მოწაფე ვალდებულია დაემორჩილოს მოძღვარს, მას ასევე არ აქვს უფლება მოძღვრი-

საგან თანხმობის გარეშე წასვლისა (იქვე:85). თუმცა მოძღვარს დიდი პასუხისმგებლობა აქვს, იგი ვალდებულია აზრუნოს მოწაფის სულიერ მდგომარეობაზე. თუკი მოწაფე რომელიმე ცოდვაში ჩავარდება და მასზე მოძღვარი არ აზრუნებს: „არა აზრუნოს ცხოვრებაჲ სულისა მისისაჲ“, ამ შემთხვევაშიც მოწაფეს უფლება აქვს განეშოროს ასეთ მოძღვარს.

ამავე წერილში ექვთიმე მთაწმინდელი საუბრობს დეკანოზის უფლებამოსილებაზე, რომ მონასტერში მამასახლისის (წინამძღვრის) შემდეგ დეკანოზს უნდა დაემორჩილონ საძმოს წევრები. თუკი ისინი უწესოდ იქცევიან, უწესოდ ლოცულობენ ან მოქმედებენ დეკანოზს შეუძლია ამხილოს და კანონი მისცეს ასევე ეკლესიაში წიგნის მდუმარედ კითხვისას და სხვა შემთხვევებში.

ბერებს, რომლებიც ძლიერ დატვირთულნი იყვნენ ფიზიკურად, შეღავათები ჰქონდათ დაწესებული: „რომელნი ძლიერად შურებოდინ დღე ყოველ და არა მოეცალებინ ძილი დღისი იგი შრომა მათი ლოცვაუადვე დაუთვალის“. ხოლო ვინც მსუბუქი საქმით იყო დაკავებული: „ხუცესნი, დიაკონნი, მჟამობელნი, ჭაბუკნი“, მათ სასჯელად დაწესებული ყოფილა ასი მეტანია: „ასი მუხლი მოაყრევინინ საკურთხევლისა წინა“. საინტერესოა, რომ დასასჯელთა სიაში სამღვდელო პირებიც იყვნენ. უძლურებაში მყოფ ბერებს ერთი დღით ღვინისა და საჭმლის მიღება ეკრძალებოდათ.

უხუცეს ეპიტრიტს ევალებოდა ასევე ლოცვის დროს ეკლესიის კარში ვინმე უმიზეზოდ არ გასულიყო და გამსვლელებს მიზეზს ეკითხებოდა. ვისაც საჭირო საქმე არ ჰქონდა, ეკლესიას ვერ დატოვებდა, საქმის შემთხვევაში კი ეპიტრიტისთვის უნდა მოეხსენებინა და სწრაფადვე დაბრუნებულიყო თავის ადგილზე. თუკი ასეთი ფაქტი კვლავ განმეორდებოდა, ბერს ეკრძალებოდა სატრაპეზოში შესვლა და მას მხოლოდ ხმელი პურის ჭამის უფლება ჰქონდა იმ დღეს „ანუ ასი მუხლი მოადრეკინოს“. „მშრომელთა და მაშუარალთა“ ექვთიმეს მიერ დასვენების უფლება ეძლეოდათ მეორედ ზარის დარეკვამდე, შემდეგ კი ისინიც ეკლესიაში უნდა გამოცხადებულიყვნენ.

ტაძარში პირველად შედიოდა მამა ექვთიმე და შემდეგ საძმოს წევრები, ისინი დიდ მეტანიას აღასრულებდნენ და თაყუანს სცემდნენ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატს, რომელიც კარიბჭეში იყო დაბრძანებული.

სერობის შემდეგ საძმოს წევრებს სენაკებსა თუ მონასტერში სასაუბროდ შეკრება ეკრძალებოდათ, მათ ეპიტროპოზნი აკონტროლებდნენ „დააცხვრიან და თვისთა კელიონთა წარგზავნიან“, მაგრამ თუკი ვინმე კვლავ იკადრებდა და ადგებოდა, მაშინ მათ განკანონება ემუქრებოდათ. ისჯებოდა ასევე ჭაბუკ ძმათა უბნობა, სიცილი ანდა „ხელის მიყოფად“. პირველ შემთხვევაში მხილება, ხოლო განმეორების შემთხვევაში მძიმე განკანონება. ბოროტის შთაგონებით, თუკი ბერები ერთმანეთს დაუპირისპირდებოდნენ, შფოთს შექმნიდნენ, ან წვერს დააგლეჯდნენ ერთმანეთს, მათ ღირსი ექვთიმე მოძღვრავდა. მისთვის უცხო იყო ხმამაღლა ყვირილი, გულისწყრომა, ყოველთვის სათნოებით შემკული ტკბილად მიმართავდა ძმას წმინდა წიგნთა სიტყვებით: „შვილო! უკეთუ მიგიშუნე ამას საქმესა ზედა, პირველად სულთა თქუენთა წარწყმედდა და მერმე მონასტერი უწესოდ იქმნების“ (საქ.სამოთხე.1882:419). ე.ი. ბერების უღირსი მოქმედება დამაზიანებელია მათი სულებისთვის და ამავდროულად მონასტერში უწესრიგობა დამყარდება, რაც დაუშვებელია. ამ ყოველივეზე კი პასუხისმგებლობა წინამძღვარს ეკუთვნის, მან უნდა მართოს საძმოს წევრთა სულები და ასწავლოს მათ „მცირედ გწუართნე“. ბერის წვრთნა მოძღვარმა უნდა შეძლოს, ექვთიმე ასწავლიდა ძმებს, რომ მათ მსაჯულად იგი ღვთისგან არის დადგენილი და თუკი „უწუართელად მიგიშუნე“, ე.ი. მათ სულს არ გაწვრთნის, ისინი სამომავლოდ მწარედ განისჯებიან. მონასტერში მოძღვრისაგან მცირედი სწავლება „მცირედ გწუართნე“ ბერმა მადლობით უნდა მიიღოს „მადლობით მიითვალოთ“, რადგან ღირსი მამა დარწმუნებულია, რომ ასეთ შემთხვევაში ისინი გადაურჩებიან საუკუნო სასჯელს.

ივ.ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ 300 ბერის, გინდა 50 მონაზონის მოვლა-პატრონობა და გამოკვება მამასახლისისაგან მეურნეობისა და ფინანსური საქმეების ჯეროვან ცოდნასა და ხანგრძლივ პრაქტიკულ გამოცდილებას მოითხოვდა. იგი ამასთანავე მონასტრის ძმობის ზნეობრივ-სარწმუნოებრივი წარმატების წინამძღვარიც იყო და მის მოვალეობას ძმათა ქადაგება-დარიგებით გაწვრთნაც შეადგენდა (ჯავახიშვილი.1984:44). დიდი მეცნიერი იქვე საუბრობს, რომ მყუდროების დაცვა განსაკუთრებით უჭირდათ ჭაბუკებს, რომლებიც ახალი დამკვიდრებულნი იყვნენ მონასტერში.

მეთერთმეტე საუკუნის დამდეგს ივერთა მონასტერში უკვე 300 ბერი ყოფილა დამკვიდრებული და, ბუნებრივია, ექვთიმე მთაწმინდელს დიდი ძალისხმევა დასჭირდებოდა, რათა უპრობლემოდ ემბრთა მრავალრიცხოვანი საძმოსგან შემდგარი ლავრა. სწორედ ამით უნდა იყოს გამოწვეული ის მკაცრი წვრთნა-სასჯელები, რაც მონასტერში წესრიგს განაპირობებდა. თუმცა უნდა ითქვას, რომ სასჯელთან ერთად თანაზომიერად ბერები სულიერ საზრდოსა და რჩევა-დარიგებებსაც იღებდნენ წინამძღვრისაგან, რაც მათ სულიერ ფორმირებაზე დიდ გავლენას ახდენდა.

ღირსი მამა ექვთიმეს ცხოვრებაში მოთხრობილია მარხვის შესახებ, რადგან იგი თრშაბათს, თთხშაბათსა და პარასკევს თავის სენაკში მზის ჩასვლის შემდეგ მხოლოდ წყალსა და პურს ღებულობდა, სადღესასწაულო დღეების გარდა. სხვა დღეებში ექვთიმე საერთო ტრაპეზს ესწრებოდა, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ლავრიდან სტუმარი ან თავად ბროტი მოვიდოდა, სადაც ინებებდა, იქ მიიღებდა სტუმრებს. სხვა ვარიანტით წინამძღვარი თავის რეზიდენციაში უმასპინძლდებოდა მათ: „შეუკაზმვიდენ პურსა, გინათუ სამამოსა“.

ცნობილია, რომ ღირსი მამა სიბერემდე ღვინოს არასოდეს იღებდა, გარდა ჟამის წირვისა, ან რაიმე დიდი შემთხვევისა. საერთო ტრაპეზის დროს ექვთიმე ამოწმებდა ღვინოს, რომელიც საძმოს წევრებს უნდა მიეღოთ: „უკეთუ კულა ანუ ძმრიანი არნ, ანუ მეტი წყალი ერთვის“. იგი მეტრაპეზეს ასწავლიდა, რომ მსუბუქი ღვინის შემთხვევაში წყალი არა დაერთო, ხოლო კარგ ღვინოს „ჴკერისაებრ“ უნდა დართოდა წყალი, რადგან ბერს სხვა „ნუგეშინისმცემელი“ ტრაპეზის მიღების დროს არ აქვს. იგი ამოწმებდა ასევე ძმათა საკვებს, რათა არ აკლდეს ზეთი, ან „უმგბარი“ (უგემური) ან კიდევ მარილიანი არ იყოს. ზეთის დაკლების შემთხვევაში ის კელიარს მოიხმობდა და განმართვას უბრძანებდა, სხვა დროს კი მზარეულს აძლევდა რჩევებს და მას შეახსენებდა, რომ მუდმივად ხსომებოდა: „ვითარცა ანგელოზთა ღვთისათა მსახურებდი“.

საზრდელის მიღების დროს საერთო ტრაპეზზე მამა ექვთიმე არასოდეს საუბრობდა, უცხოთა ყოფნის შემთხვევაში კი მშვიათად დაილაპარაკებდა. სხვა ტრაპეზის დროს ვერავინ გაბედავდა საუბარს, საჭიროების შემთხვევაში მეტრაპეზე, ან ხელოსანნი, ასევე ძმები ჩურჩულით მიმარ-

თავდნენ ერთმანეთს. ექვთიმეს დავალებული ჰქონია მეტრაპეზისთვის, რომ ვინც სასმელის, ან სიცილის, ან საუბრის და განცხრომის გამო დააღრღვევდა წესრიგს, სატრაპეზოდან უნდა გაეყვანათ.

როგორც აღვნიშნეთ, სატრაპეზოს საქმეს ექვთიმეს განაწესის შესაბამისად განაგებდა მეტრაპეზე. მონასტერში დღეში ორჯერ იკვებებოდნენ, ღვინო და საკვები უხვად იყო ივერთა ლავრაში, რადგან იმ დროისათვის ძალიან მრავლად ჰქონდა მამულები. კელარები და იკონომოსები იმით კმაყოფილდებოდნენ, რასაც სხვა ბერებს სთავაზობდნენ, ისინიც სატრაპეზოში მიიჩრთმევდნენ. ყოველ სუფრასთან ერთი კელარი და ერთი მევაჭრე იჯდა. სამზარეულოში ბერების ჩვეულებრივი საკვების გარდა მონასტერში სამუშაოდ ჩასულ მესენაკეთა მოწაფეების საკვებსაც ამზადებდნენ, განსაკუთრებულ საკვებს უმზადებდნენ სხეულთ (ივ.აქტ.I,2008:87).

ივერთა მონასტერში თვეში ორჯერ ან სამჯერ წინამძღვარი მონასტრის ბერებს უქადაგებდა და წმინდა წერილის მიხედვით ასწავლიდა სულისთვის სასარგებლო მცნებებს. ბერები მადლიერებით ყოფილან აღვსილნი ექვთიმეს სწავლების მიმართ და მამის სიტყვები „შეიწყნარიან ვითარცა ქრისტესი". მათ ასწავლიდნენ ყველა აუცილებელ სათნოებას, რაც ბერისთვის საჭირო იყო: ქრისტიანულ სიყვარულს, სიმდაბლეს, მორჩილებას, კრძალულებას, სიმშვიდეს, უშფოთველობას, მოთმინებას და ღვთისმსახურებაზე თავის დროზე მისვლის მნიშვნელობას. კიდევ მრავალ სათნოებათა შესახებ ასწავლიდა ღირსი მამა ბერებს „ვითარცა ღმერთმან მოსცას პირსა მისსა... რათა არა ზრუნვიდეს და არცა გაჰყიდდეს და არცა რას მოიგებდეს" მისი ბრძანების გარეშე.

სამონასტრო წესებზე საუბრობს ღირსი მამა ექვთიმე მთაწმინდელი გიორგი შეყენებულის მიმართ გაგზავნილ წერილში. მისი სწავლებით მონასტერში მამასახლისის შემდეგ დეკანოზს უნდა დაემორჩილონ საძმოს წევრები, მას აქვს თქმის უფლება „უკეთუ არაწესიერად დგენ, ანუ უწესოდ ილოცვიდენ, ანუ ზრახავდნენ ეკლესიასა შინა". მისგან უნდა მიეღოთ მხილება და კანონი. წერილში ზოგიერთი მუხლი ცხოვრებაში არსებულ სწავლებათა იდენტურია, ასე მაგალითად: ჟამის დარეკვის შემდეგ ყველა უნდა მოეწვიათ ეკლესიაში, არავის უნდა პატიებოდა ლოცვის დროს საუბარი და დაძინება, ტრაპეზის დასრულების შემდეგ

სენაკის გარეთ დადგომა და ცუდად მეტყველება (ქრონ.1897:87).

წერილში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მონაზვნად კურთხევის შესახებ სწავლება. მამა ექვთიმეს აზრით, თუკი ერისკაცი მივა მონასტერში, „ვიდრე წელიწლამდე, განა ვ (6) თუემდე არაგდერარს კურთხევა". ორი მსგეფსის პერიოდი სამონაზვნეს ეკლესიის გარეთ უნდა გაეტარებინა და შემდეგ შეხვედროდა წინამძღვარს, რომელსაც უნდა გამოეცადა იგი და თუკი სათნოდ მიიჩნევდა, „განეძარცოს სამოსელი და შეჰმოსოს ჩოხაჲ და მოჰკუეცოს თმაჲ", ე.ი. ამ დროს იგი გახდებოდა მონაზონი. მაგრამ თუკი წინამძღვარი დაადგენდა, რომ მას უკვე აქვს მორჩილება, შეეძლო აღეკვეცათ: „უკეთუ იბოოს მორჩილ, აკურთხონ მონაზონად და შეჰმოსონ სამხარე და შეჰრიცხონ ძმათა თანა" (იქვე:87). როგორც ვხედავთ, აღნიშნულ შემთხვევაში საკმაოდ მცირე ყოფილა გამოსაცდელი პერიოდი, მაგრამ, როგორც ჩანს, გამოცდილი წინამძღვარი ყურადღებით ატარებდა გასაუბრებას და ხელაღებით არ ხდებოდა აღკვეცა, თუმცა შევნიშნავთ, რომ რიგ შემთხვევებში საქართველოს მონასტრებში გამოსაცდელი პერიოდი საკმაოდ ხანგრძლივი იყო და ეს შემთხვევა უფრო ათონის მთაზე იყო მიღებული.

განგება ვაჰანის ქუაბთა

ჩვენამდე სრულყოფილი სახით მოღწეულია თამარ მეფის პერიოდის კიდევ ერთი ტიპიკონი, რომელსაც ეწოდება „განგება ვაჰანის ქუაბთა". ტექსტის შინაარსიდან ირკვევა, რომ თავდაპირველად ამ ადგილზე მცირე მონასტერი არსებობდა, 1204 წლის ახლო ხანებში კი ააგეს უფრო „ვრცელი და კმად დამტევნელი სიმრავლესა მოწესეთასა". ახლადაგებული მონასტერი მრავალრიცხოვან მოწესეებზე ანუ მონაზვნებზე იყო გათვალისწინებული. განგების შედგენის დროს გამოუყენებიათ წმინდა მამათა დადგენილებები: „კანონთა ღმრთიცხმოვანთა" და „წმიდათა ღმერთშემოსილთა მამათა". შესაბამისად აღნიშნულ კანონებზე დაყრდნობით უნდა აღსრულებულიყო მონასტერში „სახე მოღუაწებრისა ქცევისა, რომელი მკვიდრ იყვნენ მას შინა".

განგების შემდგენელი ენაწყლიანად გვაუწყებს, რომ მას დიდი გულმოდგინებით და გამოკითხვით შეუდგენია ტიპიკონი „არცა კეთილი

კეთილ-არსო", „მცირე იგი არა მცირესა არს, უკეთუ დიდთა მშობელ იქმნების". იგი თავად კმაყოფილია ახლადშექმნილი ტიპიკონით „განწესებაჲ ესე, მოღუაწე შუენიერებრისა წესისათვის". მონასტერში მყოფ რამდენიმე მონაზონს განგების მიხედვით მიეცათ მამულები: „ორნატნი, აგარაკნი და ვენახნი", მონასტრის დამააროსებელს თავისი სახსრებით სრულად დაუკმაყოფილებია მათი მოთხოვნა „თითოეულსა რამდენიცა ენება" და ტრაპეზის სამსახურებლად დაუდგენია. ტიპიკონი 7 თავისაგან შედგება.

უნდა შევნიშნოთ, რომ პეტრიწონის ტიპიკონის მსგავსად ვაჰანის წესგანგებაც წესიერებაზე ამახვილებს ყურადღებას, სადაც მითითებულია, რომ წმინდა კანონები, წმინდა მოციქულთა და მსოფლიო საეკლესიო კრებათა კანონები გმობენ უწესობას, ნივთების მოყვარეობას, ვაჭრობას „ნივთებისმოყვარებისაჲ და საძაგლისშეძინებისაჲ, ვაჭრობისა და მოფარდულობისაჲ" მიუღებელია, ვინაიდან იგი არღვევს ყოველივე სამოღვაწეო კანონს. ასეთ შემთხვევაში მონაზონი ვეღარ იცლის „ღვთის მიმაახლებელ" ლოცვისა და მარხვისათვის, რაც უმთავრესია მისთვის, ვაჭრობა აბინძურებს მონაზვნის სულს, შემდეგ იგი მუდმივად შემოსავლის გაზრდაზე ფიქრობს. რაც დამღუპველია მისი სულისთვის, „საძაგლისშეძინებას" უწოდებს განგების ტექსტი. იქვე ხაზგასმულია, რომ აღნიშნული ცოდვა ძალიან საშიშია „უცხოჲ და წინააღმდგომი და დამარღვეველი ყოვლისავე სამოღუაწეოისა კანონისა". მონაზონი ასეთ შემთხვევაში ვეღარ მოიცლის კანონების შესასრულებლად „უცალო მყოფელი ღმრთისმიმაახლებლისა ლოცვისა მიმართ და მარხვისა", ე.ი. ბერისთვის ლოცვაა უპირველესი მოთხოვნა, რის გარეშეც იგი ღმერთს ვერ მიეახლება, მაგრამ ლოცვა მარხვის გარეშე დაუშვებელია, მხოლოდ ლოცვით და მარხვით ხდება შესაძლებელი მონაზონი დაუახლოვდეს უზენაესს. ტიპიკონი აფრთხილებს მონასტრის კრებულს, რომ აღნიშნულ ცოდვაში არ ჩავარდნენ. ამ მუხლის ბოლო ნაწილი ხელნაწერში დაზიანებულია „მო.....ვალეობისაგან ერთსულთა ძმათასა".

შემდეგი მუხლის შინაარსი კიდევ უფრო მკაცრია და ბერებს მოუწოდებს, რომ ორი უფლის მსახურება შეუძლებელიაა: „შეუძლებელ არს ორთა უფალთა მონებაჲ, ესე იგი არს ღმრთისა და მამონისაჲ". წმინდა წერილის სიტყვები მეტ შთაბეჭდილებას ახდენს და მონასტერში

დამკვიდრებული საძმოს წევრი მხოლოდ უფალს უნდა ემსახუროს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ბოროტის საქმეთა შემსრულებელი იქნება.

ბერმა გააზრებულად და შეგნებულად უნდა დაუთმოს ღმერთს ყოველივე, რამეთუ „მოიცალეთ და გულისხმაყავთ, რამეთუ მე ვარ ღმერთი". მონაზონმა ასევე უნდა უარყოს ყოველივე ქონება და სიმდიდრე, რადგან მის გარეშე ღმერთს ვერ დაემოწაფება: „[რომელმან არა] იკმნას ყოველისგანვე მონაგებისა თვისისა, ვერ შემძლებელ არს] მოწაფე ყოფად ჩემდა". განგების შემდგენელი აქცენტს აძლიერებს წმინდა წერილის სიტყვებით უნდა, რომ მონასტერში მიმსვლელს შეაგნებინოს ის პასუხისმგებლობა, რომელიც ბერობას ახლავს თან, ანუ მონაზვნობის მსურველმა კარგად უნდა გაიაზროს და შეიგნოს, რაოდენ დიდი პატივია უფლის მოწაფეობა. თუკი ამას შეძლებს, ის თავისთავად უარყოფს ყოველივეს, რაც ხელს შეუშლის უფლის მოწაფედ ყოფნაში. წინააღმდეგ შემთხვევაში მონაზვნობის მსურველი ყოველივეს არ დაუტევებს – „არა იკმნას ყოველისგანვე", ვერ გახდება ღვთის მოწაფე.

მონასტერში დამკვიდრებულ საძმოს წევრებს უნდა გააჩნდეთ ერთობა, „მართლმორწმუნეთაისა იყო გული და გონება ერთ" და პირადზე არ გააკეთონ აქცენტი, ყოველივე საერთო „საზოგადო" უნდა ჰქონდეთ.

მე-2 თავი ერთ-ერთი მნიშვნელოვანია, რადგან იგი ადგენს მონასტერში მღვდელთა და დიაკონთა რაოდენობას, ასევე სულიერი მოძღვრის მოვალეობებს და ა.შ. ვაჰანის მონასტერში უნდა ემსახურა 31 სასულიერო პირს, მათ შორის 24 მღვდელი და 7 დიაკონი უნდა ყოფილიყო, თანახმად მოციქულთა და წმინდა მამათა დადგენილებებისა. საყურადღებოა, რომ განგების შემდგენელი მოციქულთა და წმინდა მამათა დადგენილებით ხელმძღვანელობს, რათა უფრო დიდი ავტორიტეტი შესძინოს ტიპიკონს და ბერებმაც ირწმუნონ მტკიცედ.

შემდეგ საუბარია მწირ მონაზვნებზე, რომლებიც გამორჩეულნი უნდა ყოფილიყვნენ და „უეჭველად ღმრთისმოშიშნი". რაც მთავარია, მათ სრულად უნდა დაეთმოთ საკუთარი ცხოვრება ღვთისთვის: „ღმრთისად განმკუთვნელნი ყოვლისა ცხოვრებისა თვისისანი". ე.ი. აუცილებელი მოთხოვნაა, რომ მონაზონი ღმრთისმოშიში იყოს. მან უნდა მოახერხოს საკუთარი თავის უარყოფა და თავი უფალს უძღვნას, ისინი ამასთანავე

განრიდებული უნდა ყოფილიყვნენ „სოფლის ღელვათაგან“, მონასტრის მსახურების მოყვარულნი და „ძმათაჲსა დიდად მოსწრაფენი“. როგორც ჩანს, ეს კრიტერიუმები უნდა დაეკმაყოფილებინათ პირებს, რომლებიც მონაზვნად აღიკვეცებოდნენ, ანუ ჰქონოდათ ღვთისმოშიშება, შეძლებოდათ სოფლისგან განრიდება და სამონასტრო მსახურების დროს ყურადღების გამოჩენა, თუმცა ამ ყოველივეს აზრი არ ექნებოდა, თუკი ბერს მორჩილება არ ექნებოდა. ისინი უნდა დამორჩილებოდნენ სულიერ მწყემსს „უდრტვინველად მორჩილნი წამისყოფისა მწყემსისა და მამისა სულიერისა“. განგების მიხედვით მონაზონთა რაოდენობა 20 უნდა ყოფილიყო. ასევე განსაზღვრული იყო 10 მსახურის გამოყოფა, ტრაპეზის, სამზარეულოს და სახაბაზოს „სამსახურსა აღსრულებდნენ“.

მონასტრის დამაარსებელი ცდილობდა, რომ საძმო ყოველნაირად ყოფილიყო უზრუნველყოფილი „[ხორციელად და სულიერად განსუენებისა მათისა მოსწრაფე ვიყავ“, რათა მათ ლოცვაში ხელი არ შეშლოდათ „ყოვლადვე მოცალე მარხვისა და ლოცვისათვის, მოღუაწებისა და საღმრთოისა წერილისა კითხვისათვის“. აქედან გამომდინარე, უნდა ვთქვათ, რომ ძველად მონასტრის დამაარსებელნი დიდად იღწვოდნენ, რომ ახლად დაარსებული საძმოს წევრებს ბევრი საზრუნავი არ ჰქონოდათ და აღესრულებინათ უპირველესი მოთხოვნა „ლოცვა და მარხვა“ თუ წმინდა წერილის კითხვა, რაც ასე აუცილებელია მონაზვნისთვის. აქვე კიდევ ერთი საინტერესო ტერმინია გამოყენებული: „ყოველთა მოსწრაფეთა საუკუნოჲსა ცხოვრებისა მეძიებელთა“, ანუ მონაზვნები საუკუნო ცხოვრების „მეძიებელნი“ არიან და მათ ხორციელი საზრუნავისთვის ხელი არ უნდა შეეშალოთ.

განგების მიხედვით ზემოთხსენებული სამღვდელო დასის წევრთაგან უნდა გამორჩეულიყო წინამძღვარი, რომელზეც ყველას ერთხმად უნდა მიეღო გადაწყვეტილება. განგების ტექსტი წინამძღვრისთვის აუცილებელ მოთხოვნებზეც გვაუწყებს: 1. „მრავალი ჟამი“ უნდა ჰქონოდა მონასტერში გატარებული, 2. მისი „უბიწო ცხოვრების“ მოწმე ყველა უნდა ყოფილიყო, 3. ამასთანავე შემკობილი უნდა ყოფილიყო „ყოველითავე სათნოებითა და სიკეთითა სულიერებისა და ხორციელებისა“. ბუნებრივია ასეთი ღირსებების მქონე წინამძღვრის მოლვაწეობა მონასტრისთვის

სასიკეთო იქნებოდა და უბრალო ბერის დაუმსახურებლად წინამძღვრობა გამორიცხული იყო, ვინაიდან გადაწყვეტილება ერთხმად უნდა მიეღო საძმოს წევრებს. წინამძღვრის პასუხისმგებლობა ძალიან დიდი იყო, მას უნდა ეზრუნა საძმოს ყოველ წევრზე „ღუწად და კურნებად კაცად-კაცადისა წყლულებისა“. რაც მთავარია, წინამძღვარს თავისი საქმით უნდა ესწავლებინა ყველასათვის „საქმით ასწავებდეს“. იქვე დამთწმებულია მოციქულის სიტყვები: „რომელმან თვისისა სახლისა კეთილად განგებაჲ არა უწყოდისო, მას ეკლესიაჲ ღმრთისაჲ ვითარ ერწმუნების“. ანუ ვინც საკუთარ თავს ვერ მართავს სწორად, მისთვის მთელი მონასტრის ჩაბარება და მზრუნველობა დაუშვებელია. წინამძღვარმა ჯერ საკუთარ თავში უნდა განკურნოს ცოდვის წყლულებანი და შემდეგ შეძლებს სხვის მიხედვას: „მკურნალო, განიკურნე თავი თვისი“.

აქედან გამომდინარე უნდა დავასკვნათ, რომ მონასტერში მთავარი ფიგურა წინამძღვარი იყო, მასზე იყო დამოკიდებული მონასტრის ძმათა ცხოვრების სწორად წარმართვა. ის უაღრესად სამაგალითო უნდა ყოფილიყო, რადგან იგი პასუხისმგებელი იყო საძმოს თითოელი წევრის სულის ცხონებაზე: „თანააც თანაწარუვალსა მას სამინელსა სასჯელსა ქრისტესსა და თქმად: აჰა, მე და ყრმანი, რომელნი მომცნა მე უფალმან“. უფლისაგან იღებდა ვალდებულებას წინამძღვარი ძმათა სულების გამო და ისე უნდა ემართა მათი ცხოვრება, რომ ისინი სამომავლო სასჯელისაგან გადაერჩინა. მას თავიც კი უნდა გაეწირა მათთვის, თუკი აუცილებელი იქნებოდა: „ყოველმან მწყემსმან კეთილმან სული თვისი დადვას ცხოვართა თვისთათვის“. წინამძღვარი ითვლებოდა მონასტრის საძმოს ყველა წევრის სულიერ მოძღვრად: „მოძღურად სულიერად და ხორციელად და მას ერთსა მიენდობოდეს სული ყოველთა მონასტერში შინა მყოფთა ძმათაი“.

მე-4 თავი ეხება ტრაპეზს და საზრდელის მიღების წესს.

ტრაპეზის მიღების დროს ყოველდღე საძმოს წევრებისთვის უნდა წაეკითხათ წიგნი: „წიგნი იკითხვოდის ყოველთა დღეთა“. არცერთ დღეს არ უნდა შეწყვეტილიყო წიგნის კითხვა, რომელიც ევალებოდა ბერს, „რომელიცა კანანაბობისა მსგეფსსა მსახურებდეს“, ანუ წიგნის მკითხველი იყო მგალობელი ბერი და იგი იცვლებოდა.

ამავე თავის მეორე მუხლით იკრძალებოდა ტრაპეზის დროს საუბარი, ხოლო მონაზვნებს „მყუდროებითა მიმღებელნი“ საზრდელისა მადლობა უნდა შეეწირათ ღვთისთვის. თუკი ვინმე მაინც გაბედავდა დალაპარაკებას ერთხელ ან ორჯერ და იგი არ შეისმენდა მეტრაპეზის მოწოდებას, გაყვანილი იქნებოდა გარეთ და უნდა „განიწმიდოს“. თუკი აღნიშნული პირი კვლავ გააგრძელებდა და „სიგლისპესსა ზედა დაადგრეს“ აღმძვრელი და საზოგადოების აღმაშფოთებელი, მოიკვეთებოდა: „მოიკუეთენ ვითარცა დამპალი და გარე განითხიენ“, ანუ ურჩი საძმოდან ირიცხებოდა. ასევე საძმოს წევრებს: მწირველ მღვდლებს, მემხრეებს, და მწირებს საზრდელის მიღება არ უნდა დაგვიანებოდათ და სწორად უნდა განაწილებულიყო ტრაპეზის დროს პური და ღვინო. უხუცესი ძმები გემოთმოყვარეობისა და ნაყროვანების გამო „სახედ ბოროტისად“ და დამაბრკოლებლად არ უნდა ქცეულიყვნენ სხვათათვის და თითოეული უნდა დასჯერებოდა „საყოველთაო ევლოგიას“. ყველას თანასწორად უნდა მიეღო საზრდელი, როგორც უხუცესს, ასევე ყოველ ძმას: „სწორმცა დაეგების საჭმელიცა და სასმელი და სხუაჲ ყოველივე“.

სტუმართმოყვარეობის მიზეზით ნებადართული იყო საჭმლის მომატება მოძღვრის ბრძანებით. თუ სტუმარს მიიღებდნენ, მათ შორის დედაკაცი არ უნდა ყოფილიყო. შორიდან მოსულ სტუმარს „მიზეზითა ლოცვასათა“ მესამე დღეს გაისტუმრებდნენ მონასტრიდან. თუკი მონასტერში საპატიო სტუმარი მივიდოდა: ეპისკოპოსი, აზნაური, ანუ საპატიო ვინმე მონაზონნი, „ვითა წესია, ტრაპეზით ემასპინძლებოდეს“. მონაზონი ან ერისკაცი, რომელსაც არავისთან არ ჰქონდეს საქმე „თვინიერ ლოცვისა“ ტრაპეზის მიღების ღირსი არ იყო. მათ მოძღვარი ან დეკანოზი უნდა გამასპინძლებოდა. თუ მონასტერში ნათესავი ან მეცნიერი მივიდოდა საძმოს რომელიმე წევრთან „არა ლოცვისა მიზეზითა“ ანუ რაიმე საქმისთვის, მას უნდა გამასპინძლებოდა ის პირი, ვისთანაც საქმე ჰქონდა, ხოლო მთხოვნელები ან „მრავალმრონენი“ მეკარეს უნდა გაესტუმრებინა, ანუ მათ ეკრძალებოდათ მონასტრის ეზოში „სახლითი სახლად“ სიარული. აღნიშნული მუხლი საკმაოდ კონკრეტულია და განსაზღვრულია, მონასტერში მიმსვლელთა მიმართ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ. ფაქტიურად მონასტერში ლოცვის მიზეზით მისვლაა ნებადართული და საპატიო,

თუმცა სხვა საქმის გამოც უშვებს გამონაკლისს მონასტერში შესვლისა.

მე-6 მუხლით განწესებულია უძლურთა მოვლა-პატრონობა. უძლურებს უნდა მომსახურებოდა ერთი მონაზონი. მას დღის განმავლობაში სამჯერ უნდა მოენახულებინა ავადმყოფი და საზრდელიც მიეტანა. საძმოს სნეულ და უძლურ წევრებს დაუმადლებლად უნდა მიეღოთ საზრდელი „უშურველად მიეცემოდის ტრაპეზი“ და საჭირო ნივთებიც არ უნდა მოჰკლებოდათ.

მე-7 მუხლით განსაზღვრული იყო მონასტრის საძმოს წევრების სამოსლითვის ანუ „საჩოხედ“ თანხების გამოყოფა: მოძღვარს ანუ სულიერ მწყემსს და უცთომელ წინამძღვარს – ექვსი დუკატი, დეკანოზსა და იკონომოსს ოთხ-ოთხი დუკატი, ხოლო მონაზვნები, რომლებიც „სამხროს ღირს ქმნილ იყვნენ“, სამ-სამი დუკატი. ასევე მწირველებს, რომელთაც კითხვა – „კანანახობაიცა შეეძლოს“, სამ-სამი დუკატი. მონაზვნებში განასხვავებდნენ ორ ჯგუფს: ერთი, რომლებიც სამხრეს ტარების უფლება მოსილნი იყვნენ, ხოლო მეორენი, რომელთაც სამხრეები არ ჰქონდათ, თუმცა ვინაიდან წირვამი ღებულობდნენ მონაწილეობას (კითხვა–გალობაში) ამის გამო ეძლეოდათ თანხა. მეჭურჭლეს, მეტრაპეზეს, კანდელაკსა და იპიტრიტსა – სამ-სამი დუკატი.

მეორე დასის წევრებს, რომელთაც წირვის გარდა „სხუაჲ სახმარობაჲ არაჲ შეეძლოს“, ორ-ორი დუკატი. მეორე დასს მღვდელობის პატივის მქონებელი ბერები შეადგენდნენ. ძმათა ჯგუფი ცნობილი ყოფილა „დასი მღვდელთაჲს“ სახელითაც (ჯავახიშვილი.1984:41).

მესამე დასს ე.ი. მწირებს ბოტინატი და დუკატი მიეცემოდა. ასევე მსახურებს სამოსლად მწირების მსგავსად ჰქონდათ ბოტინატი და დუკატი.

მე-8 მუხლის მიხედვით მოძღვარს მიეცემოდა 8 გრივი პური – ოთხი წმინდა და ოთხი ქრთილი და სამი საპალნე ღვინო. იკონომოსს 6 გრივი, სამი წმინდა, სამი ქრთილი და ორი საპალნე ღვინო. ასევე დეკანოზს. ძმებს, რომელთაც საჩოხედ სამ-სამი დუკატი მიეცემოდა, მათთვის განკუთვნილი იყო 2 გრივი პური, ერთი წმინდა და ერთი ქრთილი და თითო საპალნე ღვინო.

მეორე დასის წევრებს, რომელთაც წირვის გარდა მეტი „არაჲ შე-

ძლოს", ღვინო „თვითოჲ ცალი" მიეცემოდა პურო, როგორც „თავადთა ძმათათვის დაგვიწესებია".

მესამე დასის წევრებს – მწირებს, პური თითთ გრივი „წმიდაჲ" და თითო ქრთილი და ღვინო ოთხ-ოთხს თითო საპალნე.

მე-5 თავი პირველი მუხლის შესაბამისად მონასტრის საძმოს წევრებს ეკრძალებოდათ მონასტერში ვაჭრობა ან „მოფარდულობად ღვინისა" გაყიდვა ან სხვა რაიმესი. ასევე არ შეიძლებოდა ვახშის აღება და „გლახაკთაითა განმდიდრებაჲ". ეს საქმე დიდ უწესობად იყო შეფასებული და მკაცრად იკრძალებოდა. იქვე განმარტებულია, რომ უფალი მოუწოდებს ყველას: „სახლსა მამისა ჩემისსა სახლ სალოცველ ეწოდების, ხოლო თქვენ გიყოფიეს იგი ქუაბ ავაზაკთა".

საძმოს წევრი, რომელსაც დაუმტკიცდებოდა ღვინის გაყიდვა ან მევახშეობა, „მყის განიდევნოს" და მის ნაცვლად სხვა უნდა დადგენილიყო.

მე-2 მუხლი ეხებოდა მონასტერში მყოფ საძმოს წევრებს, რომელნიც შფოთს თესავდნენ, რაც მონასტერში მყუდროების დარღვევას იწვევდა და ძმების გამწარებას. „მეშფოთე კაცი და ღულარჭნილი", ისეთები, რომლებიც იკადრებდნენ გინებასა და შეურაცხყოფას, უნდა განდევნილიყვნენ მონასტრიდან. მონასტრიდან უნდა განდევნილიყო: მეშფოთე, მაგინებელი და მემთვრალე.

მე-3 მუხლით საძმოს წევრებს ეკრძალებოდათ მოძღვართან შეუთანხმებლად მონასტრიდან გასვლა. მხოლოდ კურთხევის შემდეგ შეეძლოთ მონასტრის დატოვება. ვინც პირადი ამბარტავნებით ერთ ღამესაც კი მონასტრის გარეთ გაატარებდა, გაძევდებოდა მონასტრიდან „ვითარცა თავხედი" და თავისი ცხოვრების შეურაცხმყოფელი. იქვე მოხმობილია წინასწარმეტყველის სიტყვები: „ვიდოდეთ ბჭეთა მიმართ ჩემთა და ქვანი გზისაგან განყარენეთ". ანუ მონასტერში ყოველივე დაბრკოლების მიზეზი უნდა მოისპოს, რადგან თუკი ვინმეზე გამონაკლისი დაიშვებოდა ეს გამოიწვევდა სამომავლო არეულობას, ამასთანავე მონასტრის წინამძღური ვალდებული იყო დაეცვა ტიპიკონი და ურჩების მიმართ შეუვალი ყოფილიყო.

მე-4 მუხლი მკაცრად აფრთხილებს ყველას, რომ მონასტერში მანდილოსანი არ შეუშვან „ყოვლად ყოვლითურთ უვალ-იყოს დედაკაცისგან

მონასტერი". არცერთი მიზეზის გამო არ შეიძლებოდა მონასტერში მანდილოსნის შესვლა, ერთადერთ შემთხვევაში იყო ნებადართული, თუკი ხელმწიფე მანდილოსანი მობრძანდებოდა, თუმცა ღამის გათევა არ იყო ნებადართული. სენაკში ნებადართული იყო მონაზვნის დედის შესვლა, სხვა შემთხვევაში არა.

მე-5 მუხლით იკრძალებოდა დიაკვნის, უწვერული ყრმის ან ნათესავის, გინა ძმის, შვილის „უჰასაკოისა და უწუერულისა შემოყვანად მონასტერსა შინა". თუკი ვინმე „გლისპობდეს" და შეგნებულად არღვევდეს ტიპიკონს „გატეხად ტიპიკონისა" და მაინც შემოიყვანოს უასაკო ყრმა მონასტერში და ერთი ღამე გაატარებინოს, განკვეთა ემუქრებოდა. ასევე იკრძალებოდა დიდებულის და აზნაურის მცირეწლოვანი ყრმის მონასტერში შეშვება.

მე-6 მუხლის მიხედვით წინამძღვარს პასუხისმგებლობა ეკისრებოდა, რადგან მათ უნდა მიეცა მაგალითი ყველასათვის: „ყოველთა სახე კეთილის ექმნებოდის", ხოლო „ურჩთა და თავხედთა" მოიკვეთდეს". არანაკლები იყო მოძღვართა და დეკანოზთა პასუხისმგებლობა, თუკი, რაიმე მიზეზით: კაცობრივი (ადამიანური) „მეგობრობის ძალით" უწესობასა და შეურაცხმყოფლებზე არ მოახდენდნენ რეაგირებას და არ ამხელდნენ მათ „საკურნებლად", ისინიც ექვემდებარებოდნენ სასჯელს და თავიანთ პატივს დაჰკარგავდნენ. ასეთ შემთხვევაში სამღვდელო პატივსაც კი ჰკარგავდნენ „განიხადნენ" და მორჩილის რანგში დაქვეითდებოდნენ. ანუ უწესობა მონასტერში დაუშვებელია. უწესო ბერის დამოძღვრა მხოლოდ წინამძღვრის მოვალეობა არ იყო. მონასტერში წესრიგის დასამყარებლად დეკანოზებსა და მოძღვრებსაც უნდა ეზრუნათ. მათ მოქმედებას კი კეთილისმყოფელი გავლენა უნდა ჰქონოდა უწესობის ჩამდენზე, ანუ მისთვის „საკურნებელი" ყოფილიყო. ხათრის გამო არ შეიძლებოდა უწესობის დაფარვა, ასეთ შემთხვევაში მოძღვარი სამღვდელო ხარისხსაც კი დაჰკარგავდა.

მე-7 მუხლის ძალით, ვისაც მონასტრის ან პატრონთა მიმართ ორგულობა აღმოაჩნდებოდა, ან მომხვეჭველობასა და ქრთამის აღებაში იქნებოდა შემჩნეული, მონასტრიდან განიდევნებოდა.

მე-8 მუხლი საკმაოდ მკაცრი იყო მოძღვართა, დეკანოზთა და ოკონო-

მოსთა მიმართ. თუკი უდებებას მიეცემოდნენ, სენაკში მოისვენებდნენ და მონასტრის საქმეს უგულებელსყოფდნენ, საჭიროების გარეშე დააკლდებოდნენ ეკლესიის ლოცვას, ან ტრაპეზის დროს არ მივიდოდნენ, ისინი ცოდვაში იმყოფებოდნენ და „წარუწყმედიეს თავი თვისი“. ასეთ შემთხვევაშიც პატივისაგან ჩამოქვეითება ელოდათ, ხოლო გამეორების შემთხვევაში კი მონასტრიდან გაძევება ემუქრებოდათ. მონასტერში სავალდებულო წესების მიმართ ყველა თანასწორია, იქნება ის რიგითი მონაზონი, ან დეკანოზი, ეკონომოსი თუ მოძღვარი. თუკი უდებებას (სიზარმაცე) მიეცემოდა დეკანოზი, მოძღვარი ან ეკონომოსი, ან სენაკში დაიწყებდნენ მოსვენებას და ამის გამო მსახურებას არ დაესწრებოდნენ, მათ შორის ტრაპეზის დროს არ მივიდოდნენ, მკაცრ სასჯელს დაექვემდებარებოდნენ და, რაც ყველაზე საშიშია, წარწყმედის გზაზე იდგნენ „წარუწყმედიეს თავი თვისი“.

მე-9 მუხლი მოციქულის სწავლების მიხედვით მძიმე ცოდვაში ჩავარდნილ ბერს განაძევებს საძმოსა და მონასტრიდან: „არცა მეძავთა, არცა კერპმსახურთა, არცა მემრუშეთა, არცა ჩუკენთა, არცა მამათმავალთა, არცა ანჰგართა, არცა მპარავთა, არცა მემთვრალეთა, არცა მაგინებელთა, არცა მტაცებელთა სასუფეველი ღვთისაი ვერ დაიმკვიდრონ“. ვინც ჩამოთვლილ მძიმე ცოდვებში ჩავარდებოდა და მხილებული იქნებოდა „მცირეთა გინა დიდთაგანსა ერთიცა ამა ზემოთქმულთა“, შენდობის გარეშე მონასტრიდან გაძევება ემუქრებოდა. ცოდვაში მხილებულის წინააღმდეგ უნდა გამოეკვლიათ „გამოძიებითა მრავლითა“ და ისე განეხილათ საქმე, რადგან მონასტერში იყო შემთხვევები, როცა ეშმაკისგან ცდუნებული ეს თუ ის პირი ცილისწამებას არ ერიდებოდა „ეშმაკისგან აღიჭურვინ საეშმაკოთა რათმე შურმტერობითა“. თუკი ცილისმწამებელს ტყუილი ბრალდება დაუდასტურდებოდა, ის გაძევდებოდა მონასტრიდან.

მე-10 მუხლი კვლავ მოუწოდებს წინამძღვარს „ფრიად კრძალულებით“ მიუდგეს განწესებულს და „თუალუხუავად ამხილებდეს“ წესის ყველა დამრღვევს და თავად მისცეს მაგალითი „სახედ კეთილისად მისცემდეს ყოველთა“. გამორჩეული წინამძღვარი, რომელიც სხვადასხვა ღირსებებით იქნებოდა შემკული, ყველასთვის მაგალით იქნებოდა მონასტერში, გარკვეულწილად ის იქნებოდა სამაგალითო საძმოს წევრებისათ-

ვის, მაგრამ თუკი ვინმე უწესობაში იქნებოდა შემჩნეული, წინამძღვარს დიდი ყურადღება და კრძალულება ესაჭიროებოდა.

მე-11 მუხლი კრძალავდა რაიმე სასყიდლით დადგინებას მონასტრის საძმოს წევრად გახდომისათვის. ეს აკრძალვა ეხებოდა ყველას: მემხრეთა, მწირველთა და მწირთა. თუკი აღნაშნულ ცოდვაში მოძღვარი, იკონომოსი ან დეკანოზი ჩავარდებოდა, ანუ ვეცხლისმოყვარეობისა და ქრთამის აღება დაუდასტურდებოდათ, ხდებოდა მათი მხილება და პატივისაგან დაკლება, რადგან განგების მიხედვით ყოველივე ბოროტების წყარო ფულის სიყვარულია: „ძირი ყოველთა ბოროტთაი, რომელ არს ვეცხლისმოყუარეობაჲ“. ვაჰანის მონასტერში სიმონიის ცოდვა ყველას ეკრძალებოდა, მათ შორის მაღალ ხარისხში მყოფთ: მოძღვრებს, დეკანოზსა და იკონომოსს, მათ მკაცრი სასჯელი ემუქრებოდათ ამგვარი გადაცდომის შემთხვევაში, რადგან ფულის სიყვარული დამღუპველია მონაზვნისთვის და ყოველივე ბოროტების წყაროა. ამგვარ ცოდვაში ჩავარდნილი ბერი განწირულია, თუკი არ მოხდება მისი მხილება და პატივისაგან დაკლება.

მე-12 მუხლი საძმოს წევრებს მორჩილებისა და სიმდაბლისკენ მოუწოდებს, რის გარეშეც მონაზვნური ცხოვრება წარმოუდგენელია. ყველა ძმა უნდა დამორჩილებოდა მწყემსს ანუ სულიერ მამას, მაგრამ ეს მორჩილება არ უნდა ყოფილიყო მოჩვენებითი, არამედ „კეთილი სინდისითა და შიშითა ღმრთისაითა“. მონაზონს ყოველივე სამონასტრო საქმე მორჩილებით უნდა აღესრულებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ჩავარდებოდა ურჩობის ცოდვაში, რაც დაუშვებელია, რამეთუ „ურჩების ნაყოფი სიკუდილი არს“. ტაბეონის ყველა მუხლი შედგენილია ლოგიკურად და მისი დაცვის შემთხვევაში მონაზონი აიცილებს თავიდან იმ საფრთხეებს, რომელშიც შეიძლება აღმოჩნდეს. თუკი რომელიმე მონაზონი სილაღის გამო ურჩ ექმნება თავისი მოძღვრის ბრძანებას, მას აეკრძალებოდა ტრაპეზში შესვლა და შეუჩერდებოდა „საწესოჲცა მისი“, თუკი ის კვლავ გააგრძელებდა ურჩობას, მონასტრიდან გაძევება ემუქრებოდა „ურჩებასა ზედა თჳისსა უკურნებელად“, ანუ მას აღარ მიეცემოდა მორიგი შესაძლებლობა, რათა განეკურნათ და ის დატოვებდა მონასტერს.

მე-6 თავის პირველი მუხლის მიხედვით მონასტრის კუთვნილ მამულებში „სოფელთა და აგარაკებზე“ მონაზვნის ხელისუფლად დადგენა

აიკრძალა, რადგან ამ ადგილზე მოძღვრის ან კრებულის ბრძანებით მხოლოდ ერისკაცი უნდა დადგენილიყო. თუკი მეტად რთული საქმე იქნებოდა და ეკონომოსი დროის გამო მოუცლელი, ასეთ შემთხვევაში მხცოვანი, გამოცდილი და პატიოსანი მონაზონი უნდა გაეშვათ მამულის საქმეზე. ანუ მხცოვან მონაზონს გამოცდილება ექნებოდა მონასტერში შეძენილი, თუმცა ის აუცილებლად პატიოსნებით უნდა ყოფილიყო გამორჩეული, აი, უპირველესი ღირსება, რითაც მონაზონი უნდა იყოს შემკობილი. ამავე მუხლით მღვდლები და დიაკვნები მხოლოდ „საღმრთო დიდებისმეტყველებისთვის“ და საეკლესიო მსახურებისთვის უნდა ყოფილიყვნენ მზად, რადგან მათზე უდიდესი პასუხისმგებლობაა, ისინი ღმრთისმიმაახლებელ „წმიდათა წმიდათაჲსა შემავალნი“ არიან, ე.ი. შედიან წმინდა საკურთხეველში.

მონასტერში მოღვაწე ღვთისმსახურები სიწმინდით უნდა იყვნენ გამორჩეულნი, რადგან ისინი „მღვდელმემსხვერპლეობას“ აღასრულებენ. სიწმინდესთან ერთად აუცილებელია მათი საქმეებიც სამაგალითო ყოფილიყო. როგორც უფალი ბრძანებს: „ბრწყინვიდნენ საქმეთა მიერ სათნოთა ღმრთისათა“, მათ სათნო საქმეთა მხედველნი „დიდებისმეტყველებად ღმრთისა მიმართ“ უნდა აღძრულიყვნენ. ანუ მონასტრის მწირველი მღვდლები და დიაკვნები, რომლებიც საკურთხეველში ღვთისმსახურებას აღასრულებდნენ, სიწმინდით და სათნო საქმეებით გამორჩეულნი უნდა ყოფილიყვნენ, რათა გარშემომყოფებზე დადებითი გავლენა მოეხდინათ.

მე-2–მე-3 მუხლით აიკრძალა წარმომავლობის გამო მამულების ფლობა, აგარაკთა და ვენახთა „თუნდა ორნატთა“, ასევე არავის შეეძლო „მამულობით მოგებაჲ სენაკთა“, ვითარცა ანგარებისა და ვერცხლისმოყუარეობის მიზეზი, რომლისგანაც შესაძლო იყო მრავალი ბოროტება აღმოცენებულიყო.

მე-4 მუხლით აიკრძალა სერობის დასრულების შემდეგ „ძმისა მეორისა სენაკსა მისულა“. სენაკიდან სენაკში სიარული, „შეყრილობაჲ“, „ხუმევაჲ ღვინისაჲ“, რადგან ღვინით განბრძნობილი ვერა რას ირგებს“. განგებაში მოხმობილია ფსალმუნის სიტყვები, რომელიც კრებულს მოუწოდებს: „ნუ დაითვრებით ღვინითა, რომელ არს სიბილწე“, ასევე: „მემთვრალეთა სასუფეველი ღმრთისაჲ არა დაიმკვიდრონ“. ამავე მუხლით საძმოს

წევრები ფხიზლად უნდა ყოფილიყვნენ, რომ ნაყროვანების ცოდვაში არ ჩავარდნილიყვნენ, ვინაიდან ნაყროვანება „დედასა სიბილწისასა, ნუმცა ადგილი აქუს თქუენს შორის“. მონაზონი, რომელიც მემთვრალეობის ცოდვაში ჩავარდება, შესაძლოა სხვა ნებისმიერი ცოდვაში ჩავარდეს, ამიტომ ეწოდება „დედა სიბილწისა“, ანუ დაუშვებელია, რომ მონასტერში ღვინის სმა გაჩაღდეს და მონაზვნები ცოდვებში ჩავარდნენ, ვინაიდან თავდაპირველი, სამოთხიდან განგდებაც ამიტომ მოხდა: „პირველი განვრდომაჲ ჭამისა მიერ იქმნა“. ამის გამო მონაზონმა უნდა დაიცვას მარხვა და კრძალულება.

მონასტერში აკრძალული იყო ასევე უქმადმეტყველება და „ვნებული მეგობრობა“, „ხდილობითი მოსუმურობაჲ“. თითოეულ მონაზონს თავის სენაკში უნდა შეესრულებინა კრძალულებით თავისთვის განწესებული კანონი, რადგან განმარტოებულად და მყუდრო პირობებში შეძლებს ბერი ღვთის მიახლებას, ე.ი. „მყუდრთებითი დიდებისმეტყველების“ პირობებში ის „მიეახლების მიუახლებელსა“. მონაზონი მყუდროებაში და განწმენდილი გონებით შეძლებს „მიწდომად შეუძლებელსა“, ანუ უქმად მეტყველი, მემთვრალე, „ვნებული მეგობრობით“ დაკავებული მოღვაწე ვერ მიეახლება უზენაესს, ვინაიდან ადამიანს არ ხელეწიფება მისწვდეს „შეუძლებელსა“. მიუახლებელის მიახლებას მხოლოდ ღვაწლმოსილი მონაზონი შეძლებს, თუკი ის დაიცავს იმ წესებს, რომელიც მონასტერშია დამკვიდრებული.

მე-7 თავი ეხება მონასტრის შემომწირველებს და გაყოფის წესებს. ასევე მონაზვნის გარდაცვალების შემთხვევაში შესაწირი პირველი მუხლის მიხედვით უნდა გაყოფილიყო, ხოლო შემომწირველის სასარგებლოდ ჟამისწირვა უნდა დაეყენებინათ. განსაზღვრული იყო, რომ შემოწირულის ნახევარი „საჭურჭლესა საეკლესიოდ“ უნდა შენახულიყო, ხოლო მეორე ნახევარი უნდა გაეყო მემხრეებს, მწირველებსა და მწირებს, მათ კი შემომწირველების სასარგებლოდ სწორად ელოცათ. მღდელყოფილებსა და მთავარდიაკვანთა მღვდელის „თანასწორად მიეცემოდის“, როგორც ჩანს, ასაკში შესული მონაზონი მღვდელმოქმედებას ვეღარ აღასრულებდა, ამიტომ ისინი მღვდელყოფილად იწოდებოდა, თუმცა მას უზრუნველყოფდნენ მატერიალურად. ასევე დადგენილი იყო, რომ მონასტერში შემომწირველის სახელი ჩაეწერათ „მემატიანეთა ჩასაწერლად“.

მე-2 მუხლი საძმოს წევრებს უკრძალავდა მიცვალების შემდეგ ბირადი ნაქონი ნივთების ნათესავებზე ანდერძით გაცემას.

მე-3 მუხლის მიხედვით გარდაცვლილი მონაზვნის სულისათვის მღვდელთა და დიაკონთა უსასყიდლოდ უნდა ეწირათ გარდაცვალებიდან მესამე დღეს, იმავე დღეს „აღაბიცა გარდაეხადოს“. მისი სულისთვის ასევე უნდა ელოცა საძმოს ყველა წევრს, რათა მიცვალებულის სულს შენდობა მიეღო „შეუნდვნეს ღმერთმან სულსა მისსა“.

მე-4 მუხლი ეხება მონაზვნის მიერ შედგენილ ანდერძს. გარდაცვალებამდე თუკი კრებულის წევრი ანდერძს დაწერდა, სწორედ ასე უნდა აღესრულებინათ „ყოველი საქმე სულისაჲ“. იმ შემთხვევაში კი თუკი ანდერძი არ იყო დაწერილი, მონაზვნის ქონების ნახევარი „ახმარონ სულსა მისსა“, ხოლო ნახევარი მონასტრის საჭურჭლეში უნდა შენახულიყო „მისსავე სულისათვის“.

მე-5 მუხლით, თუკი მონასტრის დამაარსებლის სახლის აზნაურნი ან მსახურნი აღიკვეცებოდნენ და ღირსი გახდებოდნენ მონასტერში დამკვიდრებისა, თუკი საპატიო აზნაურიშვილი და ნამსახურები იქნებოდა, მწირველთა თანა შეეძლოთ დასხდომა „დაწესდებოდეს პურითა, ოქროითა და ვედომითა“. თუკი მსახური იქნებოდა და ღირსი შეიქნებოდა მონასტერში დამკვიდრებისა, იგი მწირთა შესაბამისად მიიღებდა ტანისამოსს, ოქროს, პურსა და „ყოველთა საწესოითა საქმითა“.

წეს-განგებას ბოლოს თან ერთვის ერისთავთ-ერისთავ მხარგრძელის ანდერძი. ერისთავთ–ერისთავი ყველას, ვინც გადაწყვეტდა „სოფლითგან განშორებას“, მოუწოდებდა, რომ უმანკო გონებითა და სასოებით განეხილათ მის მიერ შედგენილი ანდერძი და წეს-განგება. იგი მიმართავს წმინდა და ღმერთშემოსილ მამებს, რომლებიც მომავალში დამკვიდრდებოდნენ მონასტერში და მათგან ითხოვს, რომ არ დაირღვეს მის მიერ შედგენილი ანდერძი „შემდგომითი-შემდგომად დამკვიდრებულთა უდაბნოსა შინა“.

მონასტრის დამაარსებელი იქვე მიუთითებს, რომ „განგებაჲ და განწესებაჲ“ დიდი სასოებით იქნა შედგენილი. ერთგვარად ღმერთს მიანდობს მათ განსჯას, ვინც მომავალში დადგენილის შეცვლას შეეცდება და წყევლას უწესებს მათ. ძნელია არ დაეთანხმო მონასტრის დამაარსებელს, რადგან მართლაც საქმე გვაქვს ერთ-ერთ სრულყოფილ სამონასტრო

ტიპიკონთან, რომელშიც არერთი წვრილმანი თუ მნიშვნელოვანი საკითხია ხაზგასმული, რათა მონასტერში დამკვიდრებულ ბერს საშუალება ჰქონოდა სრულყოფილი მოღვაწეობისა.

მონასტრის დამაარსებელია სარგის მხარგრძელის შვილი, იგი ითხოვს, რომ ვაჰანის ქუაბთა წეს-განგება წელიწადში სამჯერ წაკითხათ ტრაპეზის დროს: ერთხელ წმინდა მარხვის დაწყებისას „დღესა თევდორობისასა“, მეორედ სულიწმინდის მოფენის დღეს, მესამედ კი ჯვართამაღლებას. ბ. მოსიაშვილის აზრით, „მხარგრძელი“ სახელია ძეგლის დამდებისა და არა გვარი, იგი იყო სარგის I-ის შვილი და სარგის II-ის მამა (მოსიაშვილი:2015:56). თუკი დავაკვირდებით, წეს-განგების საკალდებულო წაკითხვის დრო გადანაწილებულია მთელ წელიწადზე (ადრე გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა), ისე, რომ მონასტერში მოღვაწეს მუდამ ხსომებოდა განგების აუცილებელი მოთხოვნები და ისინი არ დავიწყებოდა. ამის გარდა მონასტერში მისულ ყველა სამონაზვნეს თვადაბირველად სრულებით უნდა წაკითხათ ტიპიკონის ტექსტი და თუკი ის სახარულით შეიწყნარებდა, მაშინ დაწესდებოდა მონასტერში. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მონასტერში მოღვაწე ბერებს განგების ტექსტი კარგად ეცოდინებოდათ, რაც მათი სწორი და მართებული მოღვაწეობისთვის ხელისშემწყობი იქნებოდა. წეს-განგების შინაარსი მონაზონს აფრთხილებდა იმ საცდურებსა და გადაცდომებზე, რაც შეიძლება მომავალში შეხვედროდა. ამიტომაც ითხოვს მონასტრის დამაარსებელი ყველასგან, რომ არ დაიბრალეს დადგენილი წესი.

წეს-განგების დიდ ავტორიტეტზე მიგვანიშნებს ტიპიკონის ბოლოში კათალიკოს გიორგის ხელრთვა. კათალიკოსი ხელის მოწერასთან ერთად ითხოვს, რომ მონასტრის ზემოწერილნი წესნი არ შეიცვალოს „კმასაყოფელ არს, სადიდებელად ღმრთისა და სალოცველად ერისთავთ-ერისთავისა მხარგრძელისათვის“. მცხეთის კათალიკოსი გიორგი სიმტკიცის ხელრთვაში ასეთ სიტყვებს ხმარობს: „ძეგლად ყოველთა მონასტერთაცა კმასაყოფელ არს“, ანუ ვაჰანის ქუაბთა წეს-განგება შესაძლო იყო სხვა ქართულ მონასტრებშიც გამოეყენებინათ.

ვაჰანის მონასტრის წეს–განგება იმდენად სრულყოფილი ტიპიკონია, რომ მართლაც არ არის გამორიცხული მისი ტექსტი სხვა ქართულ მონასტრებშიც გამოეყენებინათ, მით უფრო, როცა თავად კათალიკოსი მიანიშნებს ყველას, რომ ეს შესაძლებელია.

მარტვილის მონაზონი – საკითხავი მონაზონთა მიმართ

მარტვილი მონაზონი უძველესი პერიოდის გამორჩეული ქართველი მოღვაწე ბერია, რომელიც VI-VII საუკუნეთა მიჯნაზე პალესტინაში საბაწმინდის მონასტერში მოღვაწეობდა. კ. კეკელიძის აზრით, მარტვილი მონაზონი უნდა ყოფილიყო საბაწმინდის მონასტრის წინამძღვარი, რაც ნამდვილად არ იქნება გასაკვირი, ვინაიდან თუკი მისი თხზულების შინაარსს გადავხედავთ. დავრწმუნდებით, რომ ის ღრმად განსწავლული და დიდი გამოცდილების ბერია და შეუძლია ასწავლოს, მოუწოდოს მონაზვნებს თავისი გამოცდილებისა თუ საერთოდ სამონასტრო ცხოვრების შესახებ. ფაქტიურად მარტვილის თხზულება უძველესი ქართველი მოღვაწის მიერ შექმნილი მცირე განგებაა, რომელიც მოძღვრავს და ასწავლის მონაზონს, თუ, როგორ უნდა დაიწყოს და რაზე გაამახვილოს ყურადღება მონასტერში დამკვიდრებისას. საკითხავი იმდენად სიღრმისეულია, რომ ნამდვილად არ გაგვიკვირდება, რომ მარტვილი პალესტინაში, მონასტრის დამაარსებლის – საბა განწმენდილის ლავრაში წმინდა მამის გარდაცვალებიდან (გარდაიცვალა 533 წელს) რამდენიმე ათეულ წელიწადში შესაძლოა მონასტრის წინამძღვარი ყოფილიყო.

მარტვილი ქართველი ფრიად განათლებული ბერია, მან კარგად იცის იმ პერიოდის უდიდესი მოღვაწეთა ცხოვრება და მონაზვნური ცხოვრების დამფუძნებელთა შრომები, ისეთები, როგორიცაა: ანტონი დიდი, მაკარი ეგვიპტელი და სხვები. მარტვილის თავისი თხზულება თავიდანვე რამდენიმე თავის მიხედვით შეუდგენია და შინაარსობრივად დაუყვია. აღნიშნული თხზულება 1973 წელს გამოქვეყნდა აკადემიკოს კორნელი კეკელიძის ეტიუდების XII ტომში. მარტვილის თხზულებაში კ. კეკელიძემ რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი გამოკვეთა.

საკითხავი, თქმული ნეტარისა მარტვილი მონაზონისაჲ სხუაჲ მონაზონთაჲ მიმართ

მარტვილი მონაზონი თხზულების დასაწყისშივე ყურადღებას ამახვილებს ლოცვაზე, რადგან „ლოცვა არის აზრითა და გონებით მუდამ ღმერთთან ყოფნა, ის ბუნებრივად იწვევს მონაზონში სინანულს“.

ე.ი. მონაზვნის უპირველესი მოვალეობაა ლოცვა, გააზრებულად მუდმივად ღმერთთან მყოფობა, რაც სინანულის საწინდარია, ანუ წრფელი ლოცვისგან გამომდინარეობს სინანული.

1. ლოცვისთვის.

პირველ მუხლში მარტვირი მონაზონის სწავლებით ღმერთს „ფრიად უხარის" და ანგელოზთა დასები მხიარულობს, როდესაც ისინი უმზერენ ღვაწლში მყოფს „შრომით განკაფულსა", რომელიც უბიწოდ დაიცავს სიწმინდეს, რადგან მონაზონი ხორცის ფუფუნებას არ უნდა მისდევდეს „არა აღვასრულებდეთ ნებასა ხორცთა ჩვენთასა", არამედ ღვთის ნებას უნდა აღასრულებდნენ წმინდა გულითა და უბიწო ლოცვით.

მეორე მუხლის მიხედვით მონაზონი ღვთის მიმართ „უბიწო ლოცვითა და წმინდა გულით" მრავალი საქმის აღსრულებას შეძლებს, მათ შორის იგი სასწაულებსაც აღასრულებს. ამის მაგალითად წმინდა ელია წინასწარმეტყველს ასახელებს, რომელმაც ილოცა და „შეკრნა ცანი არაწვიმად" (3 მეფ.XVII.1). „ლოცვამან წმიდამან ოდესმე მკუდარნი აღადგინნის და ოდესმე ცოცხალნი მოაკვდინნის". პეტრე მოციქულმა აღადგინა ტაბითა (საქ. მოც. IX. 36–42). და კუალად ილოცა და მოაკუდინა ანანია და კუალად საფირა, ცოლი მისი (საქ.მოც.III,1–8) (კეკელიძე.1973:255). წმინდა წერილში მომხდარ სასწაულებზე დაყრდნობით მარტვირი მონაზვნებზე გავლენის მოხდენას ცდილობს. შეაგონებს მათ, რომ ლოცვას ძალიან დიდი ძალა აქვს და, რაც მთავარია, უბიწო ლოცვას აქვს ძალა, ანუ მხოლოდ წმინდა გულით წარმოთქმულს შეისმენს ღმერთი. ამგვარი მაგალითები ბიბლიაში მრავლად არის. ლოცვას გარდაცვლილის აღდგენაც შეუძლია.

ლოცვა უნდა იყოს „უბიწო", ესე იგი ლოცვის დროს არ უნდა იყოს ჩვენთან სიძულვილი, გინა ძვირის ხსენებაჲ, გინა შური, გინა ამპარტავნებაჲ, გინა მტერობაჲ, გინა ალაღებაჲ". თავდაპირველად მონაზონმა მონასტერში მისვლისას უნდა ისწავლოს სწორი ანუ უბიწო ლოცვა, რომლის დროსაც მან უარი უნდა თქვას იმ მანკიერებებზე, რაც ხელს შეუშლის მართებულ ლოცვაში, ანუ ლოცვა ვერ იქნება უბიწო, თუკი იგი წარმოთქმულია სხვისი მტერობის ან შურის, ან კიდევ ამპარტავნების

გამო. ამასთანავე ლოცვამ არ უნდა განალაღოს ანუ მონაზონმა თავი არ მოიწონოს ლოცვით.

მარტვირი იმავე მუხლში მონაზვნებს აფრთხილებს, რომ უფალს მხოლოდ წმინდა ლოცვა აღუვლინონ, რადგან არაწმინდა ლოცვას უზენაესი არ შეისმენს, ამის დასტურად მას მოჰყავს ისაია წინასწარმეტყველის წიგნიდან ამონარიდი, სადაც უფალმა არ შეისმინა არაწმინდა ლოცვა: „ლოცვაჲ თქუენი შეურაცხ არს წინაშე ჩემისა და გალობაჲ ფსალმუნთა თქუენთაი მოიძაგა სულმან ჩემმან... არავე ვისმინო თქუენი, რამეთუ გულნი თქუენნი სავსე არიედ ზაკვითა და განზრახვანი შეგინებულ არიედ და გონებანი თქუენნი მწიკულევან არიედ". ანუ არაწმინდა ლოცვას ღმერთი არ ისმენს, კიდევ უფრო მეტიც სძაგს უფალს არაწმინდა ლოცვა, რადგან არაწმინდა მლოცველთა გული ზაკვითაა სავსე და მათი განზრახვანი შეგინებულია, ამასთანავე მათი გონებაც დაბინძურებულია. ამიტომ მარტვირის მიხედვით ყველა, ვინც ასეთ მდგომარეობაშია, უნდა განიწმინდოს, რადგან ამასაც უფალი ითხოვს ესაია წინასწარმეტყველის პირით: ვინცა განიწმინდება, ცოდვათაგან განიბანება და რაც მთავარია, უკეთურებისაგან განდგება, ამის შემდეგ შეისმენს უფალი მათ ვედრებას: „მოსპეთ უკეთურებაჲ სულთაგან თქუენთა წინაშე ჩემსა და მაშინ მოხვიდეთ ლოცვად და ვედრებად წინაშე ჩემსა და მე ვისმინო თქუენი" (ისაია.I, 14–16). ვიდრე ადამიანი უკეთურებას არ მოიშლის, მისი ლოცვა არ შეისმინება, ანუ მთავარი მოთხოვნაა უკეთურებისაგან სულის განწმენდა და შემდეგ მისვლა უფალთან. ე.ი. უბიწო ლოცვის დროს მონაზონი უნდა იყოს განწმენდილი, მისი გული კი სუფთა, მას ასევე არ უნდა ჰქონდეს შეგინებული განზრახვა, გონება კი ყოველივე მწიკვლისაგან თავისუფალი, ასევე არ უნდა გააჩნდეს ბერს უკეთურება და ასე შეისმენს მის ლოცვას უზენაესი: „და გრქუა თქუენ ვითარმედ აქა ვარ". ასეთ შემთხვევაში არა მარტო შეისმენს, არამედ მასთან იქნება ღმერთი.

ლოცვა არ უნდა აღსრულდეს არასწორად: „უდებებით, მკონარებით და დალხინებით", ანუ ლოცვა არ უნდა ითქვას მოვალეობის მოხდის მიზნით და ისე, როცა მლოცველს ერთი სული აქვს უცებ დაამთავროს ლოცვა. ან როდესაც ლოცვის მთქმელი ლოცვას კითხულობს გაუაზრებლად, ის უყურადღებოა, არ აქცევს ყურადღებას ლოცვის შინაარსს

და კითხულობს ინსტიქტურად. ასეთი ლოცვა მიუღებელია. მონაზვნის ლოცვა უნდა იყოს მუდმივი, ანუ ყოველდღიური და ყოველი ლოცვა ბერმა უნდა შეასრულოს მთელი მონდომებით, წლების განმავლობაში, თვით გარდაცვალებამდე. მარტვირი მონაზონის მიხედვით სწორ ლოცვას სასწაულების მოხდენაც შეუძლია.

2. სინანულისთვის.

მესამე მუხლი უკავშირდება სინანულს, რადგან „სინანული მშობელი არს სიყუარულისა". შესაბამისად, ვისაც სინანული არ გააჩნია, „მის თანა არა არს სიყუარული". მარტვირის სწავლებით, „სინანული მიზეზ არს სიყუარულისა და სარწმუნოებისა და სასოებისა". სინანულთან ერთად აუცილებელია ცოდვათა გამო ტირილი და გლოვა. გლოვას მოასწავებს „სქემაჲ მონაზონებისა ჩუენისაჲ, რამეთუ მსგავს არს იგი გლოვისა".

სინანულს იწვევს შეგნება თავის უღირსებისა, ცოდვილიანობისა და მასთან დაკავშირებით შიში საშინელი სამსჯავროს წინაშე პასუხისგებისა, ამიტომ მისი გამოხატულებაა ტირილი და გლოვა. მონაზონს მუდმივად უნდა გააჩნდეს საკუთარი თავის მიმართ უღირსებისა და იმის შეგრძნება, რომ ის მომავალში პასუხს აგებს საშინელ სამსჯავროზე. თუკი მონაზონს სინანული არ ექნება, იგი ვერ განიცდის საკუთარ ცოდვებს, შესაბამისად მას არც საშინელ სამსჯავროზე პასუხისგების შიში ექნება და ვერ შედგება, როგორც მონაზონი. მარტვირის მიხედვით, მონაზონისთვის სიხარული სენაკია, რომელსაც სიცილი და მხიარულება არ შეშვენის. მონაზონი ბედნიერი უნდა იყოს იმით, რომ მას შეუძლია განმარტოვდეს თავის სენაკში და ეს სიხარულის მომგვრელია. თავის თავზე მგლოვიარეს კი სიცილი და მხიარულება არ შეშვენის ბუნებრივია. მონაზონს თუკი გააზრებული აქვს საკუთარი მოვალეობა, მას მხიარულების სურვილი არასოდეს ექნება.

მარტვირის სწავლებით, მონაზვნებმა თავი უნდა შეიზღუდონ სიცილისა და განცხრომისაგან, ღვინისა და ყოველივესაგან, რაც ბერის გონებას ვნებებს აღუძრავს: „ძმანო, აღკრძალვაჲ გონებისა ჩუენისა ფრიადითა ვნებითა, მარადის შიმშილითა და წყურვილითა, მღვიძარებითა და შრომითა, სამოსლითა შეურაცხითა და პირითა მწუხარითა და თავითა მიდრეკილითა და ფერითა მარხვისაგან დაყვითლებულითა და არა მეწამ-

ულითა, რომელ არს განწითლებულ ღვინისაგან, რამეთუ ღვინოჲ უცხო არს მგლოვარეთაგან" (იქვე:256). აქედან გამომდინარე, მონაზონმა უნდა შეზღუდოს კვება, იყოს მღვიძარე და უნდა შრომობდეს. მას გარეგნულადაც უნდა შეეტყოს მარხვა და სახეზე წითელი ფერი არ ეტყობოდეს, რაც იმის მანიშნებელია, რომ იგი ხშირად სვამს ღვინოს, რაც დაუშვებელია, რადგან ღვინო უცხო უნდა იყოს მგლოვარეთათვის. ასკეტ მონაზონს ასევე უნდა ჰქონდეს მწუხარე სახე და უბრალო შესამოსელი.

მონაზონს თავი მუდამ დახრილი უნდა ჰქონდეს და თვალები ყოველთვის წყალობით სავსე: „იყვნენ თუალნი ჩუენნი ლბილ და მდაბალ და ქუდამხედველ". მგლოვარება მუდმივად უნდა იყოს აღბეჭდილი ბერის სახესა და მოქმედებაზე: „ესრეთ ვჴერ არს ჩუენდა, რაითა მსგავს ვიყვნეთ მკუდართა ზედა მგლოვარეთა და არა განმხიარულდენ გულნი ჩუენნი". მონაზონმა ყოველი დღე „სულთქმითა და ტირილით" უნდა დაასრულოს, როგორც მსაჯულის წინაშე მდგომარემ.

3. სიმდაბლე

მონაზვნის სხეულს უნდა ეტყობოდეს ნაღვაწი, ანუ იყოს „განმხმარ და დამდნარ შრომითა და მოგონებითა ღამისთევისა". ბერმა უნდა შეზღუდოს საუბარი, „რადგან მარადის შეკრძალვითა ენისაითა" სიმშვიდეს ჰპოვებს, სიმდაბლით კი მრავალი ცოდვის დამარცხებაა შესაძლებელი: „სიმდაბლეჲ შემძლებელ არს განძარცუად მრავალთა ცოდვათა და ბრალთა". ბერმა ყველაზე მეტად უნდა შეიყვაროს სიმდაბლე, რადგან იგი ღმერთმა „აღირჩია" და უარყოს ამპარტავნება, რადგან ღმერთმა ამპარტავნება განაგდო. ბერმა უნდა აღიაროს საკუთარი უძლურება, რადგან, მარტვირის სწავლებით, „ვაჲ მას, რომელმან არა უწყის უძლურებაჲ თავისა თჳისაჲ". ვისაც უნდა, რომ ცაში ამაღლდეს, იგი ქვეყანაზე ყოველ კაცთა შორის უნდა დამდაბლდეს და ამ შემთხვევაში ელოდება საზღაური – „ეგოდენცა ამაღლდე ცათა შინა".

ვისაც უნდა, რომ ღვთის საუკუნო დიდების მოწმე გახდეს „წინაშე ანგელოზთა და კაცთა", მან წუთისოფლისეული ყველა დიდება უნდა მოიძულოს „დიდებაჲ ესე კაცთაჲ", რადგან ყოველივე წარმავალია. ბერმა საკუთარი თავი უცოდვილესად უნდა შერაცხოს, რათა სიმდაბლე მოიპოვოს. თუკი ბერს ვინმე წმინდას და მართალს უწოდებს, არ უნდა მიიღოს

„შერაცხე ქებაჲ იგი მისი გინებად შენდა“. ბერმა გონება მუდამ ქების საწინააღმდეგოდ უნდა განაწყოს, არ უყვარდეს ქება და სიმდაბლით განაგდოს იგი. ყოველი აღსრულებული კეთილი საქმე დაფარულად უნდა აღასრულოს, რათა მის გამო არ „იდიდოს“ (იქვე:258). როგორც ვხედავთ, საბაწმინდის მონასტერში უმაღლეს სულიერ სიმაღლეებზე იყო მოთხოვნა და შესაძლოა დღეს ძალიან მკაცრად მოეჩვენოს ვინმეს ამგვარი ღვაწლი, თუმცა ფაქტია, რომ არაერთმა ქართველმა და არაქართველმა მონაზონმა შეძლო უმკაცრესი ასკეტური ღვაწლის შემდეგ მაღალი სულიერი მადლმოსილების მობოვება. მარტვირის სიმდაბლის მაგალითად დავით წინასწარმეტყველის სიტყვები მოჰყავს, მან „ძაღლად მკუდრად (2 მეფ. IX,8) და გრწყილად და მატლად და საყუდრელად კაცთა და შეურაცხ ერისა“ (ფსალ.XX,7) უწოდა თავის თავს.

ისაია წინასწარმეტყველმა „იხილა დიდებაჲ ღმრთისაჲ“, მაგრამ იგი თავის თავს ცოდვილად და შეგინებულად რაცხდა. ასევე სამნი ყრმანი ძველი აღთქმიდან, რომლებმაც უფალს მიმართეს: „რამეთუ შეგცოდეთ ჩუენ ყოვლადვე, უშჯულო ვიქმნენით და განგიდეგით ჩუენ შენგან“ (დანიელ.IX,5). პეტრე მოციქულმა ზღვაზე ყოფნის დროს უფალს მიმართა: „უფალო, უფალო, განმეშორე ჩემგან, რამეთუ მე კაცი ცოდვილი ვარ“ (ლუკ.V,8). ყოველთაგან გამორჩეული პავლე მოციქული თავის თავს მდევნელად და მგმობელად მიიჩნევდა და აცხადებდა: „არა ვარ ღირს მოციქულად“ (საქმ.მოც. XXII,4,1 კორXV,9).

რამდენადაც მაღალ სულიერებას აღწევდნენ რჩეული ადამიანები, იმდენად უფრო მეტად უარყოფდნენ საკუთარ ღირსებებს და, პირიქით, თავიანთი სიმართლე ღვთის წინაშე „შეგინებულად შეჰრაცხეს“. მარტვირი მონაზონს წმინდა ბიბლიის მაგალითზე მრავალი შემთხვევა მოჰყავს, იგი კარგად ფლობს წმინდა წერილს და შესაბამისი მუხლებით მეტ დაჯერებლობას ანიჭებს თავის სწავლებას. აშკარაა მისი განსაკუთრებული სიყვარული ძველი აღთქმის მოღვაწეთადმი და ხშირადაც იყენებს მას.

წმინდა სახარებაში ყველას განეცხადა ჭეშმარიტება, ფარისეველმა და მეზვერემ ორთავემ სიმართლით აღიარა მათი საქმეები. მეზვერემ აღიარა თავისი ცოდვები, რადგან ცოდვილი იყო და „სიმდაბლით აღსარებამან მისმან გაძარცვა“ იგი ყოველთაგან ცოდვათაგან. ხოლო ფარისეველმა

თავისი სიმართლე აღიარა ჭეშმარიტად „რამეთუ მართალი იყო“, შესაბამისად ამპარტავნებით აღსარებამ იგი ყველა სიმართლეს განაშორა „განძარცვა იგი ყოველთაგან სიმართლეთა მისთა“ (ლუკ.XVIII,10–14). სახარების წმინდა პრინციპებით მარტვირი შეაგონებს მონაზვნებს ჭეშმარიტი აღსარების შესახებ, იგი მახარებლების პირით უხსნის მათ, რომ განაგდონ ამპარტავნება და შეიყვარონ სიმდაბლე, რადგან ამის ყველაზე დიდი მაგალითები თავად წმინდა წერილშია. მან კარგად იცის, რომ ჭეშმარიტი აღსარება „სავნებელ და სარგებელ ექმნა „აღმსარებელთა.

მონაზონი უნდა განეშოროს ქვეყნიურ დიდებას და მის ნაცვლად აირჩიოს „გინებაჲ და შეურაცხებაჲ“, ასეთი მოქმედებით ისინი დაემსგავსებიან „პირველთა მათ წმიდათა მამათა“. ამასთანავე ბერი მუდმივად უნდა მადლობდეს ღმერთს და განადიდებდეს არა საკუთარ თავს, არამედ იგი უნდა ამბობდეს: „ნუ ჩუენთვის, უფალო, ნუ ჩუენთვის, არამედ სახელისა შენისათვის წმიდისა ეც დიდებაჲ წყალობითა შენითა და ჭეშმარიტებითა შენითა“ (ფსალ.113,9).

ბერმა ყოველთვის უნდა დაივიწყოს საკუთარი სათნოება:„დავივიწყენით სათნოებანი ჩუენნი და არა მოვიხსენენით სრულებანი ჩუენნი“, ე.ი. მონაზონმა სრულად უნდა დაივიწყოს თავისი სათნოებები, რათა მას ამპარტავნება არ შეეპაროს. მარტვირი მონაზონის სწავლებით სიმდაბლე „ყოველთა სათნოებათა საძირკველია“. კ. კეკელიძე ასახელებს გამორჩეულ მოღვაწეებს, რომლებიც ასწავლიდნენ სიმდაბლის შესახებ: სიმდაბლე „უდიდეს საფუძვლად“ (ისიდორე პელუსიელი), „მტკიცე საწყისად“, „შეურყეველ საძირკვლად“ (იოანე ოქროპირი). სიმდაბლეზეა დაშენებული ყველა სხვა სათნოება. დიადოხოს ფოტიკელის მიხედვით: „სიმდაბლე არის დავიწყება საკუთარი ღვაწლისა და თავისი თავის დამცირება“. ანტონი დიდის მიხედვით „თუ შენ დაგიწყებენ ქებას შენი საქმეებისთვის, არ გაგიხარდეს ეს. ეცადე დამალო ასეთი საქმეები“ (კეკელიძე.1973:245). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სიმადაბლე მონაზვნური ღვაწლის ფუნდამენტური საფუძველია, რომლის გარეშეც მონაზონი ღვთისკენ სავალ გზაზე წარმატებას ვერ მიაღწევს, თუმცა, დიდი ასკეტების სწავლების მიხედვით მონაზონმა საერთოდ უნდა უარყოს თავისი ყველა სათნოება და მიღწევა, ამიტომ იყო, რომ არერთი ცნობილი მამა ფარულად აღას-

რულებდა სათნოებებსა და დიდ საქმეებს და საკუთარ დამსახურებათა წარმოჩენას საერთოდ ერიდებოდა.

4. მორჩილებისთვის

„მორჩილება“ შვილი არის სიმდაბლისა და აღზრდილი მისი“. ლოგიკურია, რომ სიმდაბლიდან გამომდინარეობს მორჩილება, ერთი მეორეს წარმოშობს. თუკი მონაზონი არ დამდაბლდება, ის ვერ იტვირთავს მორჩილებას, ვერც შეძლებს. მონაზვნისთვის ეს ორი მცნება ალბათ სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, ამიტომ წმინდა მამები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ. „უკეთუ არა დამდაბლდეს კაცი, არა დაემორჩილოს, რამეთუ მდაბალი ყოველსა ზედა მორჩილ არს“ (დიადოხოს ფოტიკელი). ის არის კარი ზნეობრივი სრულყოფისა. ე.ი. მონაზვნის ზნეობრივი სრულყოფის გზაზე სიმდაბლე უმთავრესი მცნებაა, განსაკუთრებით მონაზონისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერც მორჩილებას შეიძენს და ვერც ზნეობრივი თვალსაზრისით განვითარდება, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ის მონაზვნურ ღვაწლს ვერ შეძლებს.

მორჩილება ყოველი სათნოების დედაა და „ძირ არს ყოვლისა საქმისა კეთილისა“. ე.ი. მორჩილებით იწყება კეთილი საქმეების აღსრულება. ამიტომ მონაზონმა მის დაცვას ყველაზე მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს. აღსანიშნავია, რომ მორჩილების საფუძველი სიმდაბლეა, ამიტომ ამავე მუხლში მარტვირი საუბრობს, სიმდაბლეს რა სიკეთეები მოაქვს. სიმდაბლის განცდის გარეშე ბერი ვერცერთ სათნოებას ვერ მიაღწევს, ხოლო სიმდაბლით მოცული ბერი მრავალი საცდურისაგან არის დაცული. სიმდაბლე მონაზონს მრავალ სარგებელს აძლევს: „განმამრავლებელ არს მშვიდობისა“, „მომგებელ სიყუარულისა“, „განმაშოვრებელ ეჭვისა“, „დამწყნარებელ რისხვისაგან“, „განმაბნეველ შფოთისა“, „განმაძებელ მტერობისა“, „დამაცუდებელ შურისა“ და „წარმწყმედელ ყოვლისა მტერობისა“.

მარტვირი მონაზონი ყურადღებას ამახვილებს ურჩობაზე, რომელიც „არს ნაშობი ამპარტავნებისაჲ“. თუკი ადამიანი არ დამდაბლდება, იგი „არა დაემორჩილოს“, ხოლო „მდაბალი ყოველსა ზედა მორჩილ არს“. სწორედ ურჩობის გამო ადამმა დაკარგა სამოთხე და „ურჩებამან განამრავლნა ცოდვანი“. ურჩებამ განაშორა ადამიანები ღმერთს და წმინდა

ანგელოზებს". ურჩება არის „მოძღურება ეშმაკისა" და არავინ უნდა გაჰყვეს მის კვალს.

მორჩილება ბერმა სიკვდილამდე უნდა აღასრულოს, როგორც „უფალმან ჩუენმან ყო", ანუ მორჩილების მასწავლებელი თავად უფალია, რადგან მან აჩვენა მორჩილების ყველაზე დიდი მაგალითი. „მორჩილებასა მისსა ჟამსა ჭირისა და განსაცდელისასა, არამედ ვიდრე სიკუდილამდე დაუთმობდეთ", „ვითარ უფალმან ჩვენმან ყო, რამეთუ დამდაბლდა და მორჩილ იქმნა ვიდრე სიკუდილამდე" (ფილიპ.II,8). მარტვირი ქრისტეს მაგალითით მოუწოდებს მონაზვნებს, რომ უფლის მსგავსად სიხარულით შეიწყნარონ მორჩილება და, რაც მთავარია, ისინი ღვთის მორჩილნი იყვნენ. ყველა მონაზონი უნდა ცდილობდეს ღვთის მორჩილებას და მცნებების აღსრულებას, მონაზონს სიკვდილიც რომ შეემთხვიოს, „სიხარულით შეიწყნაროს".

5. ძმათა განსვენებისა და მსახურებისათვის „დიდთა და მცირეთა". მარტვირი მოუწოდებს მონაზვნებს, რომ ერთმანეთს დაეხმარონ. ვალდებული ვართ დავეხმაროთ ძმებს, თუკი სადმე მონაზონი იბოვის ძმას „უბანთა ქალაქისა გინა დაბისათა", სიხარულით უნდა მოიკითხოს და აზრუნოს მასზე: „შიშველ იყოს შემოსე" იგი, „სნეულ იყოს იღუაწე", „საპყრობილესა იყოს, მიითუალე იგი ლმობიერად". ბერმა უნდა გაიზიაროს მისი ტკივილები: „ეზიარე ტკივილთა მისთა გონებითა შენითა". საზრდელისა და წყლის არქონის შემთხვევაში, სიტყვით „ნუგეშინის ეც მას" და „აღიხუენ მისნი წყლულნი და ტკივილნი". მის გამო ბერმა ცრემლიც უნდა დაღვაროს და ლოცვითაც შეეწიოს: „შეეწიე მას ლოცვით". სარწმუნოებით წარმოთქმულ ლოცვას დიდი ძალა აქვს „რამეთუ ლოცვაჲ სარწმუნოებით შემძლებელ არს განკურნებად სნეულთა, და თუ ცოდვაიცა რაიმე ექმნას, მიეტევოს მას" (იაკობ.V,15) (იქვე:263). ბერმა არავინ უნდა უარყოს, განსაკუთრებით გლახაკი, რადგან არავინ იცის, მისი აღსასრული როგორი იქნება, შესაძლოა იგი იყოს „პატივცემულ ღმრთისა მიერ და ანგელოზთა მისთა". წმინდა წერილის სიტყვებით „ნუ შეურაცხ-ჰყოფთ ერთსაცა მცირეთაგანსა, რამეთუ ანგელოზნი მათნი მარადის ხედვენ პირსა მამისა ჩემისასა, რომელ არს ცათა შინა" (მთ.XVIII,10).

მარტვირის სწავლებით, მონაზონმა არცერთი ადამიანი არ უნდა

უარყოს, რადგან ამას თავად წმინდა სახარება გვასწავლის. ყველას მფარველი ანგელოზი ღვთის წინაშე დგას, ადამიანთა შეურაცხყოფას ისინი კმხადად ხედვენ, ამიტომ მონაზონი უაღრესად კაცთმოყვარე უნდა იყოს, განსაკუდელში მყოფთათვის სარწმუნოებით ილოცოს და მის გამო ბოლომდე დაიხარჯოს, სწორედ ეს არის ჭეშმარიტი ქრისტიანის მოქმედება. ყველა სწავლების დროს, როგორც ვთქვით, მარტვირი წმინდა წერილს იმოწმებს, რითაც შეუვალს ხდის თავის შეგონებებს, იგი მარტივი ენითა და არგუმენტების მოხმობით სცდილობს, რომ შეაღწიოს მონაზვნის გონებამდე, რათა მან კარგად დაიმარხოს ყველა აუცილებელი სათნოება, რაც მომავალში სრულყოფილ მოღვაწედ ჩამოაყალიბებს. მარტვირი მონაზონმა კარგად იცის ადამიანის შინაგანი სამყარო და ცდილობს მონაზონს ჩაუნერგოს ქრისტიანული ფასეულობები, რათა მათზე კეთილისმყოფელი გავლენა იქონიოს.

კიდევ უფრო მეტ გაოცებას იწვევს ის ფქტი, რომ მარტვირი მონაზონი თავის თხზულებაში ადამიანის სხეულის ორგანოებსა და საჭმლის მონელების სისტემაზე გვესაუბრება და ერთგვარ ახსნა-განმარტებას გვთავაზობს, როგორ ნაწილდება საკვები და რა დადებითი თვისებები აქვს: „სტომაქი მოინდობს საჭმელსა და სიპოხესა მისსა მისცემს ნესტუთა მათ ღვიძლისათა“. ნაწლავნი იღებენ საკვებ ნივთიერებას და „ნივთთა მათ უმეურთა და გარყუნილთა“ გამოყოფენ და „არს იგი საძაგელ და საწყინელ“. საზრდელის ძალას ღვიძლი „სიმხურვალითა სისხლისათა“ აწოდებს გულს „მეუფისა მის ასოთაისად“. გული კი სისხლს ანაწილებს მთელ ორგანიზმში. მარტვირის მიხედვით, სხეულის ყველა ორგანო, შინაგანი და გარეგანი, ერთმანეთს ემსახურება „ყოველნი ისინი, შინაგანი და გარეშენი ჰმსახურებენ ერთი ერთსა“. როგორც ადამიანის ორგანიზმი, ასევეა მონაზონიც „მორჩილებად და მსახურებად ერთი ერთსა“, ვისაც რა ნიჭი აქვს ღვთისაგან მინიჭებული, ასეთივე ურთიერთშეთანხმებულად და ურთიერთპატივისცემით უნდა იღვაწონ მონასტერში, რადგან ამგვარად „იდიდება ღმერთი“.

შესაძლოა ვინმეს მონასტერში შედარებით დაფასებული საქმე ჰქონდეს „საქმე პატიოსან და დიდებულ“, მაგრამ იგი ამის გამო არ უნდა გაამპარტავანდეს, ხოლო ვისაც „საქმე საწუნელ და შეურაცხ არს“, არ უნდა

მოიწყინონ. ე.ი. ადამიანის ორგანოების შესაბამისად ბერს მონასტერში „დიდებული“ ან „საწუნელი“ საქმე აქვს აღსასრულებელი, თუმცა ღვთის სადიდებლად ორივე უდრტვინველად უნდა აღასრულოს მან, რადგან ადამიანს თავისი შინაგანი თუ გარეგანი ორგანოები მთელი სიცოცხლის განმავლობაში ემსახურება. მართლაც შთამბეჭდავი მაგალითია მონაზონთათვის, რადგან მონასტერში არ არის შესაძლებელი ყველა წინამძღვარი ან ეკონომოსი იყოს, ამიტომ მონაზონმა დიდი თუ მცირე საქმე უშფოთველად უნდა აღასრულოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ირღვევა ის მოწესრიგებული მოქმედება, რაც ღვთისთვის არის სათნო.

ჭირისა და შრომის გამო მონაზვნის დრტვინვა მიუღებელია, მათ შორის მაშინაც კი, თუ შრომა მძიმედ შესასრულებელი იქნება, ბერმა სიხარულით უნდა შეიწყნაროს სიკვდილამდე „სიხარულით შეიწყნარე ძმათა განსუენებისათვის“. თუკი რომელიმე საქმე სულისთვის სავნებელი იქნება, ბერი სწრაფად უნდა გაშორდეს მას, ხოლო თუკი სასარგებლო იქნება სულისათვის, „მოსწრაფედ მორჩილებაჲ ჴცერ არს მისი“. მარტვირი მონაზონი წმინდა მაკარი ეგვიპტელის შემთხვევას ასახელებს, რომელმაც ძმის გამო მძიმე შრომა იტვირთა, უდაბნოში მრავალი კილომეტრი გაიარა და ეგვიპტეს მიაღწია. მან საძმოს წევრს საჭირო ნივთი მიუტანა. იგი ასახელებს ასევე სხვა შემთხვევასაც, როდესაც ერთ-ერთი ძმა შორს გაემგზავრა და უძლურ ბერს პური გაუცვალა (იქვე:266).

6. მოღვაწებისათვის. მონაზონი მონასტერში ყოფნისას უქმად არ უნდა იყოს, იგი ბოლომდე უნდა დაიხარჯოს: „მრავლითა შრომითა, მღვიძარებითა და ზედგომითა, ღამე ყოველ მხურვალედ ლოცვითა და მუხლმოდრეკითა და ქუეყანასა ზედა წოლითა უსაგებლოდ, ტირილითა და ცრემლითა“. მარტვირი მონაზვნებს ასწავლის, რა უნდა მოიმოქმედონ და პირველ რიგში მათ შრომისკენ მოუწოდებს, შრომასთან ერთად მღვიძარება და ფეხზედგომა – ესეც აუცილებელია. მონაზონმა ყოველ ღამით მხურვალედ უნდა ილოცოს, ხოლო ლოცვის შემდეგ ის საწოლზე საგებელის გარეშე, ანუ უხეშ, მაგარ საწოლზე უნდა დაწვეს, რათა ხორცი დათრგუნოს. ტირილი და ცრემლი კი ლოცვას თან უნდა ახლდეს. მონაზონი ასევე უნდა გალობდეს ფსალმუნებსა და შინაგანად მუდამ ლოცულობდეს: „ლოცვითა საიდუმლოდ დღე და ღამე“, ე.ი. ფარული,

ანუ საიდუმლო ლოცვა დღე და ღამე უნდა შესრულდეს, ღამით ლოცვა გულისხმობს ძილში ლოცვასაც.

მარტვირი მონაზონი უხსნის მონაზვნებს, თუ რატომ უნდა დათრგუნონ ხორცი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ანუ რატომ უნდა იღვაწოს ბერმა მთელი ცხოვრების განმავლობაში და ქრისტესთვის თავდადებას რა მნიშვნელობა აქვს. მეოთხე საუკუნის დამდეგს ქრისტიანთა დევნა–შევიწროება, შესაბამისად მოწამეობრივი აღსასრული დასრულდა. ქრისტიანი მოწამეები ყველასთვის მაგალითს წარმოადგენდნენ და მრავალი ბაძავდა კიდეც მათ, მაგრამ მილანის ედიქტის შემდეგ დადგა განსხვავებული ეპოქა, ქრისტიანებს აღარ სდევნიდნენ, შესაბამისად დაიბადა აზრი თავისუფალი, ნებაყოფლობითი მოწამეობის შესახებ, რომელმაც გამოხატულება საბერმონაზვნო ასკეტიზმში ჰპოვა. „ბერობას“ მოწამეობად სთვლიდნენ, როგორც დიოდოხოს ფოტიკელი ამბობს: „დევნულების დროს ქრისტიანები სხვებისაგან ითმენდნენ სიკუდილსა და ყოველგვარ ტანჯვას, ახლა კი, როდესაც მშვიდობა დამყარდა, ჩვენ თვითონ უნდა განვლიოთ ჩვენი სხეულები ყოველგვარი შევიწროებით, ხოლო სული ბოროტ გულისთქმათაგან ბრძოლით. ეს მეორე მოწამეობა იქნება“ (იქვე:246).

თუკი დევნულების დროს ქრისტიანი სხვისგან, მდევნელისგან იღებდა ტანჯვასა და სიკუდილს, რასაც მოწამეობრივი გვირგვინი მოყვებოდა, ეს ხდებოდა რაღაც კონკრეტულ დღესა და რიცხვში. მაგრამ ბერობა ნებაყოფლობითი მოწამეობაა, რომელიც მთელი ცხოვრება გრძელდება, სხეულის განლევითა და სულის განწმენდით ქრისტეს განდიდება და აღიარება ხდება მრავალი წლის განმავლობაში. თუკი მოწამე რაღაც კონკრეტულ დროს ამოწმებს ქრისტეს და მოწამეობრივი სიკვდილით ასრულებს სიცოცხლეს, ბერობა შესაძლოა კიდევ უფრო აღმატებული ღვაწლი იყოს, რადგან ის მთელი ცხოვრება საკუთარი თავის, სურვილების უარყოფას და მხოლოდ ქრისტესთვის არსებობას განასახიერებს, ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ასეთი გაღებული მსხვერპლი მოწამეობად შეფასდეს. ხორცისა და სულის წვრთნას მარტვირი წამებად აფასებს „ვაჩვენოთ წამებაჲ ჩვენი ქრისტესა“, ანუ ამას ყოველივეს ბერი მხოლოდ ქრისტეს სახელისთვის, მისი სიყვარულისთვის აკეთებს. შრომა თრგუნავს ხორცს: „შრომით მოვაკუდონნეთ ხორცნი ჩუენნი სიყუარულისა მისისა თვის მარადის“. ქრისტეს სახელისათვის მწუხარებასა და განსაცდელში

უნდა განვლოს ბერმა მთელი ცხოვრება, მაშინ ეტყვიან მათ წმინდა წერილის სიტყვებს: „თუენ ხართ რჩეულნი მეგობარნი (ინ.XV,14) და მოწამენი ჩემნი, რამეთუ აღმიარეთ მე წინაშე კაცთა ყოველთა“ (მთ.X, 14) საქმითა თქუენითა კეთილითა“ (იქვე: 267).

მწუხარებასთან ერთად ბერს სიხარულის განცდაც უნდა ჰქონდეს, ბერები ღარიბნი არიან, თუმცა ისინი უამრავ ხალხს ამდიდრებენ თავისი სულიერებით: „ვითარცა მწუხარენი მარადის გვიხარის“, „ვითარცა გლახაკნი და მრავალთა განვამდიდრებთ“, ბერს არაფერი აქვს მაგრამ იგი ყველაფერს ფლობს: „ვითარცა არაი მაქუს და ყოველივე მაქუს“.

მარტვირის სწავლებით, მონაზვნები სენაკებში უნდა დამკვიდრედნენ და „იყავნ საზრდელად ჩვენდა მცირედი პური და წყალი, სახმარად ოდენ ხორცთა ჩუენთა“. ანუ ბერმა თავისი ცხოვრება უნდა გაატაროს სენაკში და საკვებად მიიღოს გარკვეული რაოდენობის პური და წყალი ისე, რომ თავისი ჯანმრთელობა არ დაზიანოს“. უნდა შევნიშნოთ, რომ ათონურ პერიოდში საზრდელის მიღება ასე მკაცრი არ იყო და მონაზონს თევზის მიღებაც შეეძლო.

მარტვირი აფრთხილებს მონაზვნებს, რომ მათ უნდა დაიცვან ზომიერება და იმდენად არ უნდა შევავიწროვოთ ჩვენი სხეული, რომ ის დაიშალოს, დაირღვეს და მოისპოს, ეს შეგნებული თვითმკვლელობა იქნებოდა. ე.ი. მონაზონმა კარგად უნდა იცოდეს ის, რომ მან ზედმეტად არ შეაწუხოს ხორცი, რადგან ასეთი რამ ღვთისთვის მიუღებელია. მარტვირი ქართველმა იცის ამ საფრთხის შესახებ და იგი ბერებს მოუწოდებს: „იყავნ საზრდელად ჩუენდა მცირედ პური და წყალი, სახმარად ოდენ ხორცთა ჩუენთა“. მარტვირი კვების საკმაოდ მკაცრ ფორმას (პური და წყალი) სთავაზობს მონაზვნებს, იმას, რაც აუცილებელია არსებობისთვის. საერთოდ უნდა ვთქვათ, რომ მკაცრი ასკეტიზმი და პურისა და წყლის მიღება ქართული მონაზვნობისთვის დამახასიათებელია და მარტვირის აღნიშნული მოძღვრება ალბათ არაერთ ქართულ მონასტერში ისწავლებოდა.

7. მოთმინებისთვის. ბერმა ყველა სხვა ღირსებასთან ერთად მოთმინება უნდა ისწავლოს და ამასთან ერთად თავისი სხეულის ყველა ასო მოაკვდინოს „მოვაკვდინენით ასონი ჩუენნი“. ასე შეძლებენ ისინი ყველაფრის დათმენას და მაშინ მიიღებენ „გვირგვინსა დიდებისასა“. მან ყოველგვარი გაჭირვება, განსაცდელი, გინა შეურაცხყოფა მოთმინებით

უნდა შეიწყნაროს და გადაიტანოს: „არ მივაგოთ ბოროტისა წილ ბოროტი“, ბერმა ბოროტება მხოლოდ სიკეთით უნდა დაამარცხოს. მარტვირი მოთმინების მისაბაძ მაგალითად თავად იესო ქრისტეს ასახელებს, რომელმაც სრულიად დაუმსახურებელი სიკვდილიც დაითმინა. უფალმა ცოდვილთათვის თავს იდვა „გენებაჲ“, „ყუედრებაჲ“, შეურაცხებაჲ“, „ვნებაჲ“ და „სიკუდილი ჯუარისა მათთვის“, მონაზონმა კი საკუთარი ცოდვებისთვის უნდა ისწავლოს მოთმინება, შემდეგ კი სხათა ცოდვებისთვისაც. იესო ქრისტემ მოთმინების ბრწყინვალე მაგალითები აჩვენა ყველას: მან ეშმაკეულნი განკურნა, თუმცა აგინებდნენ, თავად „იგი არავის აგინებდა“. „აწუხებდნენ და „იგი არავის შეაწუხებდა“, „არც განრისხდებოდა“. უფალი თვით ჯვარცმის დროსაც მათთვის ლოცულობდა. ქრისტემ მოგვცა „შჯული მოთმინებისაჲ და სახე სიმდაბლისაჲ“ (იქვე:268). მანვე დათრგუნა „ყოველი ძალი მტერისაჲ“, მანვე განგვძარცუა „სამოსელი ვნებისა და სიკუდილისაჲ“. ამიტომ ქრისტიანმა მხოლოდ ქრისტესგან უნდა ისწავლოს, რადგან მან ეკლის გვირგვინის ნაცვლად „გვირგვინოსან ყენა თავნი ჩუენნი გვირგვინითა დიდებისათა“. მონაზონი ყოველივეს დათმენითა და ცოდვების უარყოფით შეძლებს დიდების გვირგვინის მოპოვებას, რაზეც მარტვირი მონაზონი გვაუწყებს.

მონაზონს არ შეშვენის დვრტვინვა, რადგან მან იობ მრავალვნებულის მსგავსად უნდა დაითმინოს ყოველივე ჭირი და არ შფოთავდეს. დათმენასთან ერთად იობის მსგავსად „მადლობითა და ქებით“ უნდა განეწყოს ღვთის მიმართ. ბერმა ასევე მადლობით უნდა შეიწყნაროს „ვნებანი“ და სიხარულით შეხვდეს განსაცდელებს, ვინაიდან მონაზვნის ცხოვრებაში აუცილებლად იქნება განსაცდელები, ეს გარდაუვალია, მათი დამარცხება კი მხოლოდ სიმდაბლით, მოთმინებით, მადლიერებით არის შესაძლებელი. ეს ყოველივე უნდა შეასრულოს მაღალ სულიერ საზომს მიღწეულმა მონაზონმა, რათა მიიწიოს „დიდებულთა განსასუენებელთა“ ე.ი. მონაზვნის უმთავრესი მიზანია სულის ცხონება და „დიდებულთა განსასუენებელთას“ დამკვიდრება, სადაც ის თავისი ღირსეული ცხოვრების გამო დიდების გვირგვინს მიიღებს. შესაბამისად ბერი ვალდებულია მოთმინების მაგალითი ქრისტესგან აიღოს, რადგან მისი ცხოვრება და ჯვარცმა მოთმინების ყველაზე დიდი მაგალითია სამყაროში.

ასე ამთავრებს მარტვირი მონაზონი თავის სწავლებას, რომელიც

უდიდეს გამოცდილებაზეა დაფუძნებული. ქართველმა მონაზონმა ოგი მონაზვნური ცხოვრების ადრეულ პერიოდში შეადგინა და მასზე არაერთი ქართველი მოღვაწე აღიზარდა. მარტვირის თხზულება რომ განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა შემდგომ საუკუნეებში, ფაქტია. ჩვენამდე მოაღწია სინას მთის №82 ყველაზე ძველმა ნუსხამ, რომელიც 925 წლით თარიღდება, ათონის ივერთა მონასტრის №69, გადაწერილია 977 წელს, საყურადღებოა, რომ ხელნაწერი ოშკის ლავრაში ათონელებს შეუკვეთიათ. ეს ფაქტი იმაზე მიგვანიშნებს, რომ საქართველოში მარტვირის თხზულებას კარგად იცნობდნენ და იყენებდნენ კიდეც. თხზულების ერთ-ერთი გვიანდელი ნუსხაა A-56, რომელიც პატრიარქ დომენტის პერიოდში 1704–1724 წლებში შეუკვეთავთ, იმ პერიოდში პატრიარქი დომენტი კონსტანტინეპოლში იმყოფებოდა, სადაც გადააწერინა მარტვირის თხზულება. ხელნაწერი წარმოადგენს ოშკის „სამოთხის" ბირს (იქვე:235).

ღირსი მამის შრომა იწერებოდა სინას მთის, ათონის მთისა და ოშკის სახელგანთქმული მონასტრებისთვის ისეთი დიდი მამების ასკეტიკურ შრომებთან ერთად, როგორიცაა: ამონა მონაზონი, ბასილი დიდი, იოანე ოქროპირი, ეფრემ ასური, მაკარი ეგვიპტელი და სხვები. მარტვირის თხზულება ფრაგმენტების სახით გვხდდება სხვადასხვა ხელნაწერებში, (ათონის. სინას მთის და საქართველოს მუზეუმი), რაც კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს ხელნაწერის დიდ მნიშვნელობაზე.

ექვთიმე მთაწმინდელი – **„წესი შუენიერი და პატიოსანი, განწესებული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ეფთვიმი ქართველისაჲ, თუ ვითარ ვალერ არს ცხოვრებაჲ დაყუდებულისაჲ, გინა მარტოდმყოფისაჲ, რომელი ესე დაუწერა ნეტარმან ბერმან ბერსა ვისმე, სულიერსა მოწაფესა თვისსა".**

ქართული ბერმონაზვნობის ამაღლებისა და ახალ ეტაპზე გადასვლის საქმეში უდიდესი როლი მიუძღვის ათონის ივერთა სავანეს, სადაც უაღლესად გამორჩეული ქართველი მონაზვნები მოღვაწეობდნენ. მათ შორის უნდა გამოვყოთ წმინდა მამა ექვთიმე მთაწმინდელი, რომელზეც ცალკე გვექნება საუბარი. ჩვენამდე მოაღწია ექვთიმე მთაწმინდელის მიერ შედგენილმა თხზულებამ დაყუდებული ბერის შესახებ. აღსანიშნავია, რომ

თავდაპირველად ექვთიმეს თხზულება ბერძნულ ენაზე დაუწერია, რაც იმის მანიშნებელია, რომ მის მიერ შედგენილ სწავლებას ათონის მთაზე არაქართულ მონასტრებშიც იყენებდნენ. გვიან პერიოდში აღნიშნული თხზულება ქართულ ენაზე უთარგმნიათ, რასაც ადასტურებს სათაურის ქვემოთ მინაწერი: „ხოლო ჩვენ ხელთა მისთა წმიდათა ნუსხისაგან ბერძნულისა გარდამოვწერეთ ქართულად, რამეთუ ბერძნისადა დაუწერია წმიდასა მას“ (კეკელიძე.1956:158). 1956 წელს კ. კეკელიძემ გამოაქვეყნა აღნიშნული თხზულების მუხლობრივი აღწერილობა. მეცნიერმა ივარაუდა, რომ თხზულება ექვთიმეს თანამედროვეს უნდა შეესრულებინა, ან მეთერთმეტე საუკუნეში ითარგმნა ქართულ ენაზე. ვინაიდან მთელი ათონის მთის წინამძღვრები ექვთიმესგან იღებდნენ რჩევა-დარიგებებს, ის იყო ათონის მთის „სულიერი ეპიტროპი“, გასაკვირი არ უნდა იყოს მის მიერ დაწერილი დაყუდებული (მარტოდმყოფი) ბერის ტიპიკონი.

ხელნაწერი ამჟამად ინახება საქართველოს არქივის ხელნაწერთა ფონდში №177, ტექსტი გადაუწერია 1902 წელს ათონის მთაზე მოღვაწე მღვდელ ალექსი ბაქრაძეს ალექსანდრე ხახანაშვილის შეკვეთით. ალექსი ბაქრაძე ათონის მთაზე იმერეთიდან, კერძოდ, მოწამეთის მონასტრიდან იყო გამგზავრებული და უაღესად საინტერესო პიროვნება იყო.

„წესი მშუენიერი და პატიოსანი“ კ. კეკელიძემ შინაარსობრივად სამ ნაწილად დაჰყო. **1. გონების შეზღუდვა.** პირველი ნაწილის მიხედვით ექვთიმე მთაწმინდელი ბერს ასწავლის, თუ როგორ უნდა ეკავოს თავი დაყუდებულს. ის უნდა ცდილობდეს, „რაითა შემოკრიბოს გონებაჲ თჳისი“ ე.ი. არ მიმოიფანტოს აზრები, არ განაბნიოს ისინი ამაოდ. ვინაიდან დაყუდებული ბერი მარტო ცხოვრობდა, მას შეეძლო გონება უსარგებლო ფიქრებით დაეტვირთა, ამიტომ გონების მობილიზება მარტოდმყოფისთვის უმთავრესი მოთხოვნა იყო. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ექვთიმე ათონელი წმინდა წერილსა და წმინდა მამათა სწავლებაზე აფუძნებს თავის სწავლებას. ეს აუცილებელი იყო, რადგან უფრო მეტ სანდოობას მისცემდა თხზულებას. იგი აფრთხილებს თავის მოწაფეს: ყველაფერი, რასაც გადმოგცემ შენ, მე „ვისწავე წმიდათა წერილთაგან და წმიდათა მამათაგანო“ (იქვე:161).

2. ლოცვა. მეორე ნაწილში ავტორი განმარტავს დაყუდებულის მეორე

და უმნიშვნელოვანესს საქმეს, ეს არის „მხურვალე და წარუტყუენველი ლოცვაჲ, რომელი განანათლებს გონებასა და წარმატებად მთიყვანებს სულსა“. მარტოდმყოფი ბერის ლოცვა უნდა იყოს მხურვალე, რადგან მას ამისთვის ძალიან კარგი შესაძლებლობა აქვს, იგი განმარტოებულია, ამავდროულად ლოცვა უნდა იყოს სწორად თქმული... ასეთ შემთხვევაში ბერის გონება განათლდება და მისი სული დაუახლოვდება უფალს. დაყუდებულ ბერს უნდა შეესრულებინა ყველა ის მნიშვნელოვანი ლოცვები, რაც მიღებული იყო საბერმონაზვნო პრაქტიკაში: ცისკრის, მზისა, სამჭამისა, ცხრაჯამისა, შუადღისა, მწუხრისა და სერობის „ჯამნობანი“, რომლებიც შემდეგი ელემენტებისაგან შედგებოდა: კანონის კითხვა (დავითნისა) და წიგნისა (პატერიკ-მინეონისა), აგრეთვე, მუხლთდრეკა „ვიდრემდის ძალ გედვას“. ე.ი. საკითხავები არ იყო ერთფეროვანი, ბერს თავდაპირველად პირადი კანონი, ან დავითნის ფსალმუნები უნდა წაეკითხა, შემდეგ შესაბამისი დღის წმინდანის პატერიკ-ცხოვრებანი და ბოლოს შეესრულებინა მეტანიები. აუცილებელი მოთხოვნა იყო, რომ მეტანაია იმდენჯერ უნდა შეესრულებინა, რამდენსაც მისი ფიზიკური შესაძლებლობა მისცემდა ე.ი. დღის განმავლობაში ბევრი, თუმცა იქვე მიუთითებს, რომ ბერმა ყოველთვის უნდა იღვაწოს, როგორც კი ამას შეძლებს „რაოდენსაცა ჟამსა შეძლო“ ილოცე, იკითხე და მოიდრიკე მუხლი. თუმცა თუკი ბერი ვერ შეძლებდა მეტანიის კეთებას „არა არს ეგოდენ საძიებელ მუხლთა დრეკაი საჲ“, ე.ი. მეტანიაზე მეტი დატვირთვა ლოცვას აქვს. ექვთიმე მთაწმინდელი ითვალისწინებს, ბერის თვალის სისუსტეს (სიბრყვლე) ასეთ შემთხვევაში კითხვის ნაცვლად ბერს გალობანი უნდა ეგალობა.

3. საზრდელი. თხზულების მესამე ნაწილში საუბარია დაყუდებული ბერის საზრდელზე, თუ რა უნდა ჭამოს მან დიდმარხვაში, აღდგომიდან სულიწმინდის მოსვლამდე და მის მომდევნო პერიოდსა და დღესასწაულებზე. დაყუდებულის სასმელია წყალი და ღვინო, ხოლო საზრდელი, პურის გარდა თევზი და წვენი, ზეთით შეზავებული. ექვთიმეს განაწესში განსაზღვრულია, როდის შეუძლია დაყუდებულს სვას ღვინო და ჭამოს თევზი, ანუ ამ თრ პროდუქტზე ბერს შეზღუდვა აქვს. კ. კეკელიძე შენიშნავს, რომ ამ მიმართულებით ზოგიერთი ასკეტური განაწესი, რომელსაც დღეს ვიცნობთ, დიდ რიგორიზმს იჩენს ხოლმე,

ზოგიერთი შელავათიანია (იოანე მმარხველის ბენიტენციალში და ათთნის მონასტრებში) ანუ ექვთიმე მთაწმინდელის განაწესი უფრო მსუბუქია ზემოთხსენებულთან შედარებით.

უნდა აღინიშნოს, რომ ექვთიმეს განაწესი შედარებით მეტ ლმობიერებას და დათმობას იჩენს დაყუდებულის მიმართ. ექვთიმეს ბოლოსიტყვაობიდან, რომელიც მან დაურთო მის მიერ ნათარგმნ იოანე მმარხველის სჯულისკანონს: „ფრიად მძიმე იყუნეს განწესებულნი კანონი პირველ წმიდათა მოციქულთა მიერ და წმიდათა კრებათა, და წმიდამან მამამან ჩუენმან ბასილი, იხილა რაი უძლურებაჲ კაცთა ნათესავისაჲ, ფრიად აღუსუბუქა და შემდგომად ამან ნეტარმან იოანე მმარხველმანო“ (იქვე:162). ექვთიმე მთაწმინდელის განაწესში რიცხვი დღეებისა, როდესაც დაყუდებულს შეუძლია ღვინო და თევზი იხმიოს, შედარებით მეტია.

ილარიონ ქართველის (ახლის) ცხოვრებაში აღნიშნულია, რომ განმარტოებული ცხოვრების დაწყება ძალიან რთული ყოფილა და დიდი გამოცდის შემდეგ აძლევდნენ ხოლმე უფლებას დაეწყოთ ამგვარი ღვაწლი. ილარიონის ბიძამ, სტეფანემ, განმარტოებული ცხოვრების დასაწყებად კურთხევა მოძღვრისაგან, არქიმანდრიტ გერმანესგან მიიღო. მხოლოდ 9 წლის შემდეგ, როდესაც მან ყველა გამოცდას გაუძლო, მისცეს უფლება უღრან ტყეში დამკვიდრებისა, სადაც ადრე მრავალ მეუდაბნოე მამას უმოღვაწნია. თუმცა იქაც დამატებით 5 წლიანი გამოსაცდელი პერიოდი მიეცა. 5 წლის გასვლის შემდეგ სტეფანეს მისცეს კურთხევა სრულ მდუმარებაზე (ილარიონ. ქართ. ცხ.2013:7-8). გამოდის, რომ განმარტოებული (დაყუდებული) ცხოვრება საკმაოდ რთული იყო, ამიტომ ის მოღვაწეს აუცილებლად გამოცდილი ბერის მეთვალყურეობით უნდა დაეწყო და ეტაპობრივად გაევლო გამოსაცდელი პერიოდი, რომელიც თანდათან უფრო რთულდებოდა. დაყუდების მსურველს 14-15 წლიანი მორჩილებისა და შრომის პერიოდი უნდა გაევლო და შემდეგ დაეწყო განმარტოებული ცხოვრება, რომლის დროსაც მონაზონი მდუმარებასაც იმარხავდა.

დაყუდება შეიძლებოდა მონასტრისგან შორს, ტყეში, ან იქვე მონასტრის ეზოშიც, შესაბამის ადგილზე. მაგალითად გელათის მონასტრის ეზოში დღემდეა შემორჩენილი მთავარი, ღვთისმშობლის ტაძრის დასავლეთით ბერის დასაყუდებელი ადგილი. მიწის ქვეშ ქვებით არის ამოშენ-

ებული საკმაო ზომის ოთახი, რომელშიც მოღვაწე მკვიდრდებოდა. მას ჰქონდა თავისი კანონი და საკვებს ზემოდან აწვდიდნენ.

დედათა მონასტრები

საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ, ძველი დროიდან არსებობდა დედათა მონასტრები. ქართულ წყაროებში არაერთი ქალი მონაზონი იხსენიება (გრიგოლ ხანძთელი, ილარიონ ქართველი, გიორგი მთაწმინდელი – ცხოვრებანი). მომდევნო ხანიდან ლუკა მუხაისძის დედა სალომე წამებული (XIIIს.) მართა მონაზონი (XVIII ს.). ქართველი მორწყე ქალები უნახავს ტიმოთე გაბაშვილს იერუსალიმში.

აღსანიშნავია, რომ ქართველებს უცხოეთის მიწაზე გააჩნდათ დედათა მონასტრები. ქართველ დედათა მონასტერი არსებობდა კაპპათაში, იერუსალიმში – სიონის მთაზე. „პიტალთაგან ძუელისა სამწირისა“ ახალი ტაძარი ააგეს ბორენა დედოფალმა (ბაგრატ მეოთხის მეუღლე) და მართამ (ბაგრატ მეოთხის ასული). მონასტერი აუოხრებიათ ხვარაზმელებს 1244 წელს (მენაბდე.1980:145). ბორენა დედოფლის ღვაწლი იერუსალიმის დედათა მონასტრის ასაგებად არ არის გასაკვირი, რადგან მისი მეუღლის მეფე ბაგრატ მეოთხის დახმარებით იმ პერიოდში აიგო ქართველთა გკვრის მონასტერი.

იერუსალიმში იყო ასევე ქართველ დედათა მეორე მონასტერი დერტავი, იქვეა გადაწერილი ერთი კრებული Ier. № 33, რომლის ანდერძ მინაწერში იხსენიება ვინმე მონაზონი „ცოდვილი და უღირსი ეკატერინე, შტროისა ასული, ღირს ვიქმენ აღწერად წმიდისა ამის და სულთა განმანათლებლისა სვიმეონის ცხოვრებისა“ (იქვე:147). ხელნაწერში ეკატერინე მიმართავს ასევე დელტაველ დებს და ცოდვათა მიტევებას ითხოვს. ქართულ მონასტერში თავად მონაზონი დედებიც ეწეოდნენ კალიგრაფიულ საქმიანობას. იერუსალიმის ქარველ დედათა მონასტერი იყო ასევე დერთუფა, რომელშიც მოღვაწეობდა ნიაფორი ფებრონია.

დედათა მონასტრები არსებობდა საქართველოშიც, მათ შორის არაერთი დიდებული აზნაურის მეუღლე წასულა მონაზვნად. 1907 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა კოლასა და ოლთისში მოგზაურობის დროს მოინახულა სოლომონისის მონასტერი, მასთან ახლოს კი მღვიმის წმინდა

ნიკოლოზის ეკლესია, რომელშიც გამოსახული იყო ბერ-მონაზონი მუქი მწვანე საბერო ტანისამოსით და გრძელი წვერით, იქვე წარწერა: „რატი ყოფილსა რაფიელს შეუნდოს ღმერთმა“, წარწერაში იხსენიება ყვარყვარე ათაბაგი 1499 წ. რატის სურათის პირდაპირ ჩრდილოეთის კედელზე დახატულია ქალი მონაზონის ტანისამოსით: „პატრონი მარეხ... ყუარყუარე“. მარეხი უნდა იყოს ათაბაგ ყვარყვარე მეხუთის მეუღლე, ლევან პირველი დადიანის ასული, რომელიც ბოლოს მონაზვნად შემდგარა (თაყაიშვილი.2016:59).

ქალი მონაზვნები იხსენიება ასევე კალკოსის მე-13 საუკუნის ქართულ სახარებაზე, რომელზეც არის შემდგომი დროის 13–14 საუკუნის წარწერები მხედრული ხელით: „ღმერთო, შეიწყალე მახარი: თანა დარია ყოფილი მარინე: ღმერთო, შეიწყალე და მისი მარინე: ყოფილი მართა“ (იქვე:64). სახარების წარწერიდან ცხადი ხდება, რომ ერთი ოჯახის თრი და მონაზვნად აღკვეცილა, აღკვეცის შემდეგ თრთავეს შეცვლიათ სახელები, თუმცა მინაწერებში საერო და საეკლესიო სახელებსაც იხსენიებდნენ.

დედათა მონასტერს ჰყავდა ქალი დეკანოზი, ამგვარი შემთხვევა იხსენიება გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში. მერეს დედათა მონასტერში მოღვაწეობდა თემესტია დეკანოზი და ანატოლე დაყუდებული, რომელიბიც მაღალი სულიერების მატარებელნი იყვნენ. მათ იხილეს, რთგორ გავიდა წუთისოფლიდან დედათა მონასტრის წინამძღვარი, ღრმად მოხუცებული წმინდა მატო (გრ.ცხ.2008:588).

მეცხრამეტე საუკუნეში დედათა მონასტერი მოქმედებდა მცხეთის სამთავროს მონასტერში. ჩვენამდე მოაღწეულია სამთავროს მონასტრის პირველი იღუმენია დარიას(ფაღავა) წინამძღვრობის დროს, 1849 წელს შედგენილი ხელნაწერი წესდების დედანი, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში, მღვდელმთავარი მოუწოდებს მონასტრის იღუმენია დარიას, რომელიც აყვანილ იქმნა სამთავროს წმინდა ნინოს სახელობის მონასტრის იღუმენიად: „რათა სამწყსო შენი სიტყვიერნი ცხოვარნი, სამწყსო ქრისტესი, მოგებული პატიოსნითა და უსაყიდლოთა მით სისხლითა მისითა განაგო“ (საპატრ.უწყ.2008:9). იღუმენიას ღირსეულად უნდა ეღვაწა. მცხეთის სამთავროს დედათა მონასტერში არაერთი ღირსეული მონაზონი მოღვაწეობდა, მათ შორის უნდა გამოვყოთ იღუ-

მენია ნინო ამილახვარი (1816–1904). იგი სამი ათეული წელი ემსახურა მონასტერს, მან ღირსეულად დაითმინა მრავალი სიძნელე, წერს კიდეც თავის სიტყვაში 1890 წელს, როდესაც აღინიშნა მისი წინამძღვრობის 25 წლისთავი: „სიყრმითვე ამ მონასტერში აღზრდილმა გამოვცადე ბევრი კარგი და ცუდი. სიყრმითვე მივეც აღთქმა თავსა ჩემსა, რომ შემეწირა ჩემი სიჭაბუკე, სრულასაკობა და მოხუცება კეთილდღეობისათვის ამ მონასტრისა“ (მაჩურიშვილი.ტოგონიძე.2012:92). ღვაწლმოსილმა მონაზონმა შეასრულა თავისი მონაზვნური აღთქმა, იგი აღესრულა 1904 წელს და დაკრძალეს სამთავროს მაყვლოვანთან არსებულ მის მიერვე აგებულ ეკლესიაში, რომელიც შემდგომ კომუნისტებმა დაანგრიეს.

დედათა მონასტერი დაარსდა 1865 წელს დასავლეთ საქართველოში, სამეგრელოში მიტოვებულ „მთავარანგელოზთა კუნძულზე“, თეკლათის მონასტრის დამფუძნებელი იყო მონაზონი სალომე თავდგირიძე (1865–1878) (მუკვირი. 2014:15). თეკლათის მონასტერმა დიდი როლი ითამაშა სამეგრელოს მონასტრულ-ასკეტური ცხოვრების საქმეში, დედათა მონასტერში არაერთი ღირსეული მონაზონი მოღვაწეობდა: სქიმიღუმენია ათანასია სალაყაია 1878–1903), სქიმიღუმენია ეკატერინე აფაქიძე (1903–1910), იღუმენია ნინო ვაჩნაძე (1910–1917), სქიმიღუმენია ელეონორა დადიანი 1918–1923) და სხვები.

ცნობილია, რომ მღვიმევის მონასტერში მოღვაწეობდა დიდი სქემით შემოსილი სქემ-მონაზონი მინადორა ნუცუბიძე. იგი გაბრიელ ეპისკოპოსის განკარგულებით აღუკვეცავთ მონაზვნად 1868 წლის 28 თებერვალს, ხოლო დიდი სქემით შეუმოსავთ 1907 წლის 15 ოქტომბერს, ეპისკოპოს ლეონიდეს განკარგულებით (ქ.ც.ს.ა.ფ.21.ს.№ 24119). მინადორა აღკვეციდან 39 წლის შემდეგ შეუმოსავთ დიდ სქემაში, მაშინ როცა იგი უკვე 75 წლის ასაკში ყოფილა.

მეცხრამეტე საუკუნეში დედათა მონასტრები არსებობდა: მღვიმევში, სოხასტერში, ქვათახევში, სამთავროსა და სხვაგან.

გაბრიელ მცირე – ცხოვრება მოქალაქეობა ღირსისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა სქემთსან ონისიფორესი

ქართული ბერმონაზვნობის გვიანი პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია სქემმონაზონი ონისიფორე, რომელიც მეთვრამეტე საუკუნეში მოღვაწეობდა. ღირსმა მამამ თავდადების გასაოცარი მაგალითი მისცა თანამედროვეებს, რის გამოც გაბრიელ მცირემ საჭიროდ ჩათვალა, რომ აღეწერა ონისიფორეს ცხოვრება. ამით ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ჩვენთან მხოლოდ უძველეს დროში არ იყვნენ გამორჩეულად მოღვაწენი და მათ თანადროულ პერიოდშიც გამობრწყინდა ღირსი ონისიფორე და არავინ სთქვას: „პირველნი მამანი მხოლოდ გამოჩნდეს ძლიერად მოღვაწენი და ჟამთა ამათ ჩუენთა არავის ძალუძს“, ანუ გაბრიელის ცნობით, ონისიფორე ძველი მამების მსგავსად ძლიერი მოღვაწეა და მისი ცხოვრება მომავალ თაობებს არ უნდა დაეკარგოს.

ონისიფორე – ერისკაცობაში ოთარი, წარმოშობით ქართლიდან ყოფილა. იგი მდიდარი ოჯახის წარმომადგენელი იყო, ჰყავდა ცოლი-შვილი და „აგარაკი და ხუასტანგი უხვებით“. იგი ყოფილა საოცრად სტუმართმოყვარე, უცხოთშემწყნარებელი, გლახაკთმოწყალე და ჭირვეულთა ნუგეშინისმცემელი. ოთარი განსაკუთრებით სწყალობდა მონაზვნებს, სადაც მათ ნახავდა, პატივს სცემდა, ყოველთვის დაინტერესებული იყო მეუდაბნოე მამათა ცხოვრებით და ცდილობდა მათთვის მიებაძა „რამეთუ შინაგან კუართისა შთაიცვას ძაძაი, ხოლო გარეგან შეიმოსის ფეროვანნი სამოსელნი“, იგი მარადჟამს მარხულობდა და ლოცვით ღმერთს ევედრებოდა: „რათა ღირსყოს იგიცა ცხოვრებასა მონაზონთასა“(გაბრიელ მცირე. ძ.ქ.აგ.ლიტ ძეგ.1989:110).

მონაზვნობის მოსურნეს იმდენად ღრმა სარწმუნოება გააჩნდა გულში, რომ თავის მეუღლეს განუცხადა გადაწყვეტილი ჰქონდა სოფლის უარყოფა, რამეთუ „სიკუდილი მოწევნულ არს ჩუენდა და მართლმსაჯული უფალი ახლოს არს, აწ მნებავს მე უარისყოფა სოფლისა და შედგომა ქრისტესი“. ცოლმა არ დააბრკოლა ქმარი და თანხმობა განუცხადა, ოთარმა კი შენდობა გამოითხოვა მისგან და „მოტევება ბრლთა“ ითხოვა.

საინტერესოა, რომ მეუღლეს ხელთწერილი მიუცია ქმრისთვის „დუმილისა ცრემლითა დამალტობელი ქარტისა“, როგორც ჩანს ქართულ ეკლესიაში ბერად აღკვეცისას მეუღლისგან მიცემული ბირობა წერილობით უნდა ყოფილიყო გამყარებული.

ოვჯახიდან წასვლის შემდეგ ოთარი თავის ორ ვაჟთან ერთად ჯერ თბილისში გამგზავრებულა, სადაც მას სამონაზვნო სამოსელი შეუკერავს და შვილებს გამომშვიდობებია: „შვილნო ჩემნო საყუარელნო, ესე არს დღე აღსასრულისა ჩემისა, ესე არს მიცვალებაი ჩემი“. ოთარი უკანასკნელად ეამბორა შვილებს, მათზე ზრუნვა ღვთისთვის მიუნდვია და უთქვამს, რომ ერთმანეთი ჰყვარებოდათ და „პატჳსცემდით მშობელსა თქუენსა დედასა“.

ოთარი ქრისტეს მიმართ ჴელმარიტი სიყვარულით იყო განმსჭვალული, რადგან მან დატოვა საყვარელი ცოლი, შვილები, სახლი, სიმდიდრე და გაემართა დავით გარეჯის უდაბნოში. მონასტრის წინამძღვარს, არქიმანდრიტ გერმანეს, იოლად ამოუცნია ოთარის სახით რჩეული და მონასტრის კრებულისთვის განუცხადებია, რომ ამ კაცმა (ოთარმა) სახარების უმთავრესი მცნება აღასრულა: „რომელმან დაუტეოს სახლი, ცოლი ანუ შვილნი, ანუ აგარაკი სახელისა ჩემისათვის, ას წილად მიიღოს და ცხოვრება საუკუნო დაიმკვიდროს“. წინამძღვარმა უკვე ხანშიშესული ოთარი ბერად აღკვეცა „შემოსა მას სახე ანგელოსთა მობაძავობისა და უწოდა სახელად ონოფრი“, რომელიც საძმოს წევრი გახდა.

ახლადაღკვეცილმა მონაზონმა მოძღვრის მცნებების აღსრულება დაიწყო. იგი გამორჩეული იყო „ფრიადი სიმდაბლით“ მორჩილებით, „დაუტევებელი შრომით“. მონასტრის წინამძღვარს გადაუწყვეტია ონოფრეს გამოცდა და დაიწყეს მისი დევნა, ეკლესიიდან გააძევეს, მრავალჯერ დატოვეს საზრდელის გარეშე. გერმანე წინამძღვარი ამოწმებდა ბერს „გვირგვინსა მოთმინებისასა“, თუმცა ონოფრეს ღირსეულად დაუთმენია ყოველივე და ქრისტეს სიყუარულისთვის მწყემსისგან შენდობას ითხოვდა“. ამგვარი გამოცდა, როგორც ჩანს, ქართულ მონასტრებში დამკვიდრებული წესი იყო, ამგვარად მონასტრის გამოცდილი წინამძღვრები ამოწმებდნენ მონაზონთა სიმდაბლესა და მორჩილებას, გამოცდის შემდეგ კი შესაძლო იყო ბერის აღზევება ან კურთხევა.

უნდა ითქვას, რომ ნეტარი ონოფრე განსაკუთრებით გამოირჩეთდა სიმშვიდით, მყუდროებით, იყო მარადის მლოცველი „ღამისა და განთიად, შემდგომად ცისკრისა გალობისა, განვიდის მონასტრით“. იგი ცისკრის გალობის შემდეგ გადიოდა მონასტრიდან მოშორებით ერთ ხევში, იქ იდგა მყუდრო სენაკი, სადაც არავითარი ხმა არ ისმოდა, მათ შორის ჩიტების ხმაც კი. სწორედ ამ სენაკში აღასრულებდა ბერი თავის კანონს: „მუნ დავჯდის დღე ყოველ და იკითხავნ ფსალმუნსა, გულისხმის-ყოფითა იგლოვნ და სტირნ გარდასულთა ჟამთათვის“.

უნდა აღინიშნოს, რომ გაბრიელ მცირის ცნობები ძალიან ფასეულია. ონოფრი ბერი მონაზვნურ ცხოვრებას ძველ ქართველ ბერთა მსგავსად სენაკში განმარტოებით გლოვასა და ტირილში აღასრულებდა. იგი ასრულებდა ასევე მეტანიებს, რათა დაეთრგუნა ხორცი: „ჰყვის მეტანია შრომისათვის ხორცთასა“. მწუხრის ზარების დარეკვის შემდეგ კვლავ ეკლესიაში მიდიოდა. შემუსვრილი გულით ის მწუხრიდან მწუხრამდე მცირე საზრდელს იღებდა, მხოლოდ „ლიტონი პური და წყალი და მრავალგზის იმარხის ორ-ორით და ოდესმე სამ-სამით და ჟამსა დიდმარხვისასა ხუთეულიცა გარდავლის უჭმელად“ (იქვე:112).

ღვაწლმოსილი ბერი უმკაცრესი წესებით ცხოვრობდა, იგი მონასტერში აღსრულებულ მსახურებათა შემდეგ ცალკე ლოცვებს ყველასგან მოშორებულ სენაკში აღასრულებდა, სიმყუდროვეში, სადაც ყოველდღე ფსალმუნებს კითხულობდა. ხორცის დასათრგუნად ღირსი მამა მეტანიებს ასრულებდა. იგი მწუხრიდან მწუხრამდე ძალიან მცირე საზრდელს იღებდა, ანუ 24 საათში მხოლოდ მცირე პურსა და წყალს იხმევდა. ასევე ზოგიერთ კვირაში ბერი ორ ან სამ დღეს სრულიად უჭმელი ატარებდა, ორი დღე ოთხშაბათი-პარასკევი იქნებოდა, სამი დღე ორშაბათი, ოთხშაბათი, პარასკევი. დიდმარხვაში კი კვირაში ხუთი დღის განმავლობაში, როგორც ჩანს, შაბათ-კვირის გარდა არ იღებდა საზრდოს. ეს იყო ძალიან მძიმე მარხვა, რომელიც შეზავებული იყო ხანგრძლივ ლოცვასა და ღრმა სინანულთან, რამაც ის მაღალ სულიერ საზომს მიაახლა.

რამდენიმე ხნის შემდეგ სულიერი მოძღვრის კურთხევით „სათნოებითა და მორჩილებით“ შეჯურვილმა კიდევ უფრო რთული ღვაწლი იტვირთა, იგი დაემკვიდრა ერთ-ერთი კლდის ნაპრალში, რომელიც ძალიან დაშო-

რებული იყო მონასტრიდან „სამ უტევან“. მან იქ ორმოცი დღე და ღამე გაატარა. ბერი კლდის ნაპრალში „ბრძოდა სულთა მათ უკეთურთა“, ე.ი. ამ ხნის განმავლობაში იგი გამოიცდებოდა ეშმაკისაგან და „სულთა მათ ბოროტთა“ მრავალი ბრძოლა გამართეს მის წინააღმდეგ. ონოფრი მხნედ იყო, მან ჯვრის ძლიერებით „დასცა უძლური ძალი მათი“ და ორმოცი დღის შემდეგ გამარჯვებული დაბრუნდა მონასტერში.

ცოტა ხნის შემდეგ მან კვლავ სთხოვა სულიერ მამას კიდევ გაეგრძელებინა მოღვაწეობა და მიიღო ნებართვა, რათა დამკვიდრებულიყო ერთ ბნელსა და „ყოვლად უნათლო“ სენაკში, რომელიც დავით გარეჯელის საფლავთან ახლოს ყოფილა: „დავითის საფლავისა შთასვლისა სამუალ, სენაკი ბნელი“. მან ბნელ სენაკში კვლავ ორმოცი დღე გაატარა, ბოროტმა ისარგებლა სიბნელით და ყოველგვარი სამუალებით ცდილობდა ბერი ეცთუნებინა ან შეეშინებინა, მაგრამ ვერაფერს მიაღწია. თავმდაბალი მოღვაწე გარშემორტყმული მორჩილებითა და „გოდებით მგლოვარე ხსენებითა სიკუდილისათა“ უფალს ევედრებოდა. ბერს სიმდაბლესა და მორჩილებასთან ერთად არასოდეს ავიწყდებოდა სიკვდილზე ფიქრი, ყოველივე ამან „უმრავლესითა ღვაწლითა“ მისცა შესაძლებლობა დაბრუნებულიყო თავის სენაკში. გარკვეული დროის შემდეგ იქაურობას თავს დასხმიან ლეკები, მონასტერი აუოხრებიათ და ბერები გაუტაცაიათ, მათ შორის მღვდელ-მონაზონი მაქსიმე და იოაკიმე, მონაზონი ონოფრი და ოთხი კერძო დიაკონი. ვინაიდან ონოფრი მათ შორის ასაკით უხუცესი იყო, მათ გადაუწყვეტიათ მისი მოკვლა და დაუწყიათ ტანჯვა-წამება.

გაბრიელ მცირეს უჭირს დაწვრილებით მოგვითხროს ამ ტანჯვათა შესახებ: „უძლურსა ენასა ჩემსა ვერ ძალუძს“, მაგრამ აღნიშნავს, რომ ონოფრის ყოველივე გადაუტანია და ბერებს ლეკების ტყვეობისგანაც თავი დაუღწევიათ.

თნოფრემ სასწაულებრივად განკურნა ბოროტისგან შეკრული ჭაბუკი: „შვილო, ესე შესვი სახელითა იესუ ქრისტესითა და ლოცვითა წმიდისა დავითისითა განიკურნები“. ჭაბუკი ეშმაკის ძალისაგან გათავისუფლებულა, იქვე მყოფი ხალხი კი აღფრთოვანებული დარჩენილა ნანახით, ყველა ადიდებდა ღმერთს და ონოფრის. ვინაიდან ღირსი მამა ძლიერ ერიდებოდა კაცთაგან დიდებას, სწრაფად გასცლია იქაურობას.

მონასტერში დაბრუნებულ ონოფრის საკმაო რაოდენობის საზრდელი მიუტანია ძმათათვის და გაუგრძელებია მონაზვნური ღვაწლი. მას სასწაულებრივად განუკურნავს ვინმე აგარიანი, რომელსაც თვალი სტკიოდა. ონოფრის წმინდა დავით გარეჯელის წყალში ხელი დაუსველებია და სამგზის უცხია თვალზე. ცოტა ხნის შემდეგ განკურნებული აგარიანი დაბრუნებულა და თვალი მორჩენილი ჰქონია. ეს იყო ონოფრის მიერ აღსრულებული მეორე სასწაული, თუმცა იგი საკუთარ დამსახურებას საერთოდ უარყოფდა და ყოველივეს „წმიდასა დავითს მიაჩემებდა“, თავის თავს კი, როგორც უღირსს, ასე უყურებდა და „სვკიდა“.

ღირსი ონოფრი თავის სულიერ მოძღვარს ევედრა, რათა დიდ სქემაში შეემოსა, წინამძღვარმა ღმერთს მიანდო აღნიშნული საქმე, ონოფრის კი განუცხადა, რომ ოცი-ოცდაათი დღე ელოცა, რათა ღვთის ნება განცხადებულიყო. 30 დღის შემდეგ წირვის აღმსრულებელმა მღვდელმა ოდიკის ქვემოდან გამოიღო ერთი ფურცელი, რომელზეც ეწერა: „ონოფრი დიდისა სქემისა კურთხევისა ღირს ჰყავით“. საგულისხმოა ერთი ფაქტი – ონოფრი არცერთ ნაბიჯს არ დგამს სულიერი მოძღვრის ნებართვის გარეშე და ყველა ნებართვას მისგან იღებს.

დიდმარხვის დადგომისთანავე ონოფრი წინამძღვარს დიდი სქემით შეუმოსავს და „ბრწყინვიდა ღმთივ-შუენიერი პირი მისი და სპეტაკი წვერი სქემასა“ ბერს სახელიც შეუცვალა წინამძღვარმა და მას ონისიფორე უწოდა. დიდი სქემის შემოსვის შემდეგ ონისიფორემ კიდევ უფრო დათრგუნა ხორცი, სენაკიდან საწოლი გაატანინა და „მხოლოდ ჭილსა ზედა დაჯდა“, მან ყველა წიგნი იაონომოსს გადასცა და მხოლოდ ფსალმუნებს კითხულობდა დაუცხრომლად და გულისხმისყოფით. ამის შემდეგ ონისიფორემ კიდევ უფრო დიდი ღვაწლი იტვირთა – მან შიშველ სხეულზე რკინის ჯაჭვი შეიმოსა: „ჯაჭვი იგი რკინისა, რომელი არს მონასტერსა მას შინა მოღვაწეთათვის განმზადებული, დაიდვა შიშველთა ხორცთა ზედა თვისთა და დაიდუმა ენაი თვისი“ (იქვე:117). ე.ი ჯაჭვის შემოსვასთან ერთად მან მდუმარების აღთქმაც იკისრა, ეს ყოველივე ბერს, როგორც ჩანს, წინამძღვართან ჰქონდა შეთანხმებული.

ონისიფორე აღარავისთან საუბრობდა, საჭიროების შემთხვევაში კი ქარტაზე (ქაღალდზე) წერდა. ასეთი დიდი და ურთულესი ღვაწლის გამო, გაბრიელ მკირის სიტყვით, ონისიფორემ „სრულ საზომს“ მიაღწია, რო-

გორც იაკობ მოციქული ბრძანებდა: „რომელი სიტყვითა არა სცთებოდის იგი სრული კაცი არს, შემძლებელ არს იგი აღვირსხმად ყოველისავე გუამისა“. ე.ი. მდუმარებით შესაძლებელია ბერმა სხეულის კონტროლი შეძლოს.

ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ ონისიფორე სენაკიდან არასდროს გადიოდა, გარდა წირვა-ლოცვისა. როგორც კი ზარს დარეკავდნენ, იგი უკვე ტაძარში იყო, ხოლო ლიტურგიის დასრულების შემდეგ უკანასკნელი გამოდიოდა ტაძრიდან და სენაკში მიდიოდა. გაბრიელ მცირის ცნობით, ონისიფორემ ასეთი მძიმე ღვაწლის შემდეგ „განიწმინდა გული თვისი“ და „წრფელმან და უმანკომან უვნებლობით დაყუდებულმან“. მან სათნოების ყველა კიბე განვლო, მოიპოვა სიყვარული „რომელ არს ღმერთი“. ონისიფორეს სული ისე იყო განათლებული, რომ მას მხოლოდ ერთი სურვილი ამოძრავებდა: „რაც შეიძლება მალე დაეტოვებინა ხორცი“ და ეხილა „თუალთშეუდგამი“ ნათელი.

ჭილზე მუდმივმა წოლამ და მკაცრმა მარხვამ ონისიფორეს ვეღარ მრთელობა შეურყია: „უზომოდსა მოღვაწებისა დასნეულდა და დაწვა“. მას წამოვედომის თავიც კი აღარ ჰქონდა. საძმოს წევრებმა არაერთხელ სთხოვეს, რათა საწოლი და სასთუმალი მიეღო: „განუსვენე მცირედ თავსა შენს“. ბერმა სწორედ ამ დროს ამოიღო ხმა და ძმებს განუცხადა, რომ მას აღთქმა ჰქონდა დადებული: „რათა იყოს აღსასრული ჩემი ჭილსა ამას ზედა“. ფაქტია, რომ ონისიფორემ თავისი ღვაწლით შეძლო და აღთქმაც კი დადო ღვთის წინაშე, რათა ცხოვრების უკანასკნელი თვეები ჭილზე გაეტარებინა და საწოლზე უარი ეთქვა. თუმცა ცოტა ხანში ავადმყოფობა გაძლიერებულა და ონისიფორე დათანხმებულა მიეღო მცირე საწოლი. ბერი სნეულების გამო „დიდად ჰმადლობდა ღმერთსა“, მისი გონება კი „ღმრთის ხედვისაგან“ არა დასცხრებოდა. ონისიფორე ხელიდან არ იცილებდა სკვინილს „კირიელეისონი“ და პირისაგან მისისა ლოცვა იგი უფლისა იესოს მიმართ: „უფალო იესუ ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი“.

ამ პერიოდში არაერთი მონასტრიდან მოდიოდნენ ონისიფორესთან ბერები, რათა თაყვანი ეცათ. ისინი მეტანიას უკეთებდნენ მას და მუხლმოდრეკით ხელზე ამბორს სთხოვდნენ. ბერი კი სიმდაბლის გამო არ ეთანხმებოდა მათ და ეუბნებოდა, რომ „არა ვარ ღირს, რამეთუ ცოდ-

ვილ ვარ“ და თავად სთხოვდა ბერებს ამბორისყოფას, იგი ყველას ლოცავდა წრფელი გულით, არა მარტო მასთან მისულებს, არამედ ვისი სახელი და ასაკი სმენოდა „გინა კეთილისმყოფელნი, გინა ბოროტისმოქმედნი მისნი“, „ჯეროვანითა სიტყვითა ლოცავდა“.

ონისიფორეს მსახურად მისი ძე იეროდიაკონი იოანე იყო გამწესებული „რამეთუ აქუნდა ფრიადი სიყვარული მამისა“. იოანე რამდენიმე წელი გარეჯის უდაბნოში იმყოფებოდა და ბერადაც აღიკვეცა.

აღსრულების წინ ონისიფორეს „უმეტესი გულმოდგინება“ ჰქონდა, რათა პატიოსანი და ცხოველსმყოფელი ქრისტეს სისხლი და ხორცი მიეღო. ერთ დღეს მან მოუწოდა თავის მოძღვარს მაქსიმეს და სთხოვა, რათა ეზიარებინა ქრისტეს უკვდავთა საიდუმლოთა. მოძღვარმა უპასუხა, რომ ოთხ დღეში ქრისტეს შობის დღესასწაულზე აზიარებდა. თუმცა ონისიფორემ მოძღვარს უპასუხა, რომ იგი ვეღარ მოესწრებოდა ქრისტეს შობის დღესასწაულს, რადგან მან სასწაულებრივი ჩვენება იხილა: „მოვიდა ტრედი სპეტაკი, და ღმრთივ-შუენიერი და იქცეოდა პირსა ჩემსა ზედა“ (იქვე:120). ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ მოძღვარმა გადაწყვიტა, რომ ბერი ეზიარებინა: „მიიღებ უხრწნელთაცა ქრისტეს საიდუმლოთა საგზლად ცხოვრებისა საუკუნოსა და მხიარულ იქმენ“.

სამგზის ნეტარი მამა მხურვალე ცრემლით მიეახლა „უსასყიდლოსა მარგარიტსა“, მან უკვე იცოდა, რომ გადიოდა წუთისოფლიდან: „ცნა განსვლა თვისი ამიერ და მისვლა ზეცისა იერუსალემსა“. მწუხრის შემდეგ ონისიფორემ გონება დაკარგა, რის გამოც ყველა დიდ მწუხარებაში ჩავარდნილა, ბევრი ტიროდა და ღირს მამას ეამბორებოდა. ბერი ვერ არ იყო აღსრულებული, არამედ მისი გონება აღმატებით „და შექცეულ მაღალთა ხედვათა მიმართ“, იგი არ საუბრობდა, მხოლოდ თვალთა მზერა ჰქონდა მიპყრობილი ზემოთ და „მარჯვენითა გამოისახის ნიშნი ჯუარისა ნელიად“. როგორც ჩანს, ბერის გონება ბოლო წუთებში კვლავ აგრძელებდა ღვთის წინაშე ლოცვა-ვედრებას, კიდევ უფრო გასაკვირი ის იყო, რომ უმძიმესი ღვაწლის შემდეგ მისი ხორცი „ვითარცა ვინ ბროლისა მინაისა შინა შთააწყვნეს“ და სასწაულებრივად იხილვებოდა, მისი კანი კი განსპეტაკებული ჩანდა. ყველა განცვიფრებული ყოფილა, რადგან ამგვარი რამ არავის ენახა.

ასეთ ყოფაში მას თვრამეტი დღე გაუტარებია, ხოლო ნათლისღების

ლიტურგიის შემდეგ იგი უკვე აღსრულებული იყო „და აღმოფშვინვა იგი უკანასკნელი და დაიძინა ძილი იგი მართალთა“. მოღვაწეობით განლეული ბერის სხეული „შემურეს წესითა სქემოსნობისათა“, მამებმა კელაპტრები აანთეს და კრებულმა მთელი ღამე ლოცვაში გაატარა: „ლოცვითა და ფსალმუნითა“, ბერის სხეული კი ჭილზე ესვენა. შემდეგ აღსრულებულა საღვთო წირვა, რომლის დასრულების შემდგომ ანდერძი აუგეს და ონისიფორე მის მიერვე წინასწარ გამზადებულ საფლავში დაასაფლავეს. იგი დაუკრძალავთ მამათა სასაფლაოს ტერიტორიაზე, წმინდა დავითის საფლავის გარეთ „სამხრეთით კერძო საკურთხეველის სარკმელთან“. ონისიფორემ 12 წელი მონაზვნობაში გაატარა, ორი წელი სქემოსნობაში დაეყუდა და ორი წელი კი ჭილზე მჯდომარე იყო: „კუალად ორ წელ მდებარეობით ჰმადლობდა ღმერთსა“. იგი აღესრულა 79 წლის ასაკში 1785 წლის 6 იანვარს ძველი სტილით, ნათლისღების დღესასწაულზე, სამშაბათ დღეს, მეცხრე ჟამზე.

სპირიდონ გრძელიშვილი – ცხოვრება და მოღვაწეობა სანატრელისა მამისა ქრისტესია მონაზონისა, რომელი შემდგომად წოდებულ იქმნა ქრისტეფორედ

ქრისტესია ცხოვრობდა XVIII საუკუნეში. იგი წარმოშობით სამეგრელოდან ყოფილა „მდაბიოთა ერისაგან“. ახალგაზრდობაში დაქორწინებულა და შეძენია ერთი ძე, თუმცა მეუღლე და ვაჟი ადრევე გარდაცვლილან. სპირიდონი გვაუწყებს, რომ ქრისტესიას ცოლის შერთვის სურვილი თავიდანვე არ ჰქონია, მაგრამ „იძულებითა ბატონისათა იქორწინა“. ცოლ-შვილის გარდაცვალების შემდეგ ბატონი მეორე ქორწინებასაც აძალებდა, მაგრამ მან არ ისმინა მისი, სულიერ მოძღვართან მივიდა და ყოველივე მოუთხრო, რის შემდეგაც მოძღვარმა მას ნება დართო წასულიყო მონასტერში და უთხრა: „განასაკუთრე თავი შენი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა, რომელმანცა ჩვენ განგვათავისუფლნა მონებისაგან ეშმაკისა“. მოძღვრის რჩევით ქრისტესია დავით გარეჯის უდაბნოში გაემართა.

მოძღვარს ქრისტესიასთვის შეუხსენებია, რომ გარეჯის უდაბნოში იმ

პერიოდში მოღვაწეობდა ღირსი მამა არსენი, დიდი მონასტრის წინამძღვარი, რომელსაც მოწამეობრივად დაუსრულებია სიცოცხლე. ღირსი არსენი ამავდროულად წინასწარმეტყველების ნიჭითაც ყოფილა დაჯილდოებული: არსენი „აწ წამებულად უწოდებენ, რომელიცა წინასარმეტყველების მადლითაა ნიჭებულ იქმნა“. ბერმა წინასწარ ამცნო მონასტრის საძმოს ლეკების მოსვლა: „მოსვლა უღმრთოთა აგარიანთა უწინარეს ერთისა შვიდეულისა“. არსენ წინამძღვარს გარეკვის უდაბნოს ძმები გაუფრთხილებია, რომ მტრის მოსვლის დროს არ უარყონ ქრისტე, არამედ განერიდნონ, თუკი ქრისტესთვის სიკვდილს არ ისურვებენ. შემდეგ ბერებს უკითხავთ მამა არსენისთვის, თუ როგორ მოიქცეოდა თავად, რაზეც მას განუცხადებია, რომ მისთვის ქრისტე ყველაფერი იყო, რომ: „ოდეს აღვიღე ჯვარი და შეუდეგ ქრისტესა, ძესა ღვთისასა, მაშინ მოკვედ ქრისტესთვის“ (ძ.ქ.აგ.ლ.ძგ.1989:127). არსენმა ეს სიტყვები საქმით დაადასტურა და ბერებსაც თავდადების მაგალითი მისცა.

წინამძღვრის ამგვარ სიტყვებს დიდი გავლენა მოუხდენია საძმოს წევრებზე და მათაც განუცხადებიათ, რომ მონაზვნობა სწორედ იმიტომ იტვირთეს, რომ ქრისტეს სახარებისეული მცნება აღესრულებინათ: „რომელმან წარიწყმიდოს სული ამა სოფელს ჩემთვის და სახარებისთვის, მან აცხოვნა“.

სპირიდონი იხსენიებს კიდევ მესამე წინამძღვარ თევოდოს დოდორქელს, წმინდა და მადლით გამშვენებულ ბერს, სწორედ ეს მამები ყოფილან წინამძღვრები, როდესაც აგარიანებს უწამებიათ წმინდა და ღირსი „მამანი მრვალმთისანი“.

ღირსმა ქრისტესიამ ნათლისმცემლის უდაბნოში მრავალი წელი დაჰყო „მორჩილებასა შინა ფრიადსა“. იგი მძიმე საქმეებს აღასრულებდა მონასტერში: ზიდავდა ფიჩხსა და წყალს, მისი პირიდან არასოდეს ამაო სიტყვა არ ამოვიდოდა. მოხუცებულობის ასაკში მიიღო მანაზვნობის პატივი. აღსანიშნავია, რომ ბერი მოყვასის მსახურებისათვის არავითარ მძიმე საქმეს არ ერიდებოდა. მან უდაბნოში 7 ვერსის მოშორებით დადგა ჭური, რომელსაც წყლით ავსებდა. დიდ სიცხეში აიკიდებდა ერთ კოკა წყალს და ავსებდა ჭურს, იქვე ჭურთან ახლოს იდგა მცირე ქოხი, რომელშიც დაკიდებული ყოფილა მცირე ჩარექა, რათა მგზავრს წყალი

შეესვა. ეს ადგილი უკაცრიელი იყო და ერთი დღის სავალზე არსად მოიპოვებოდა წყალი, დაღლილი და სიცხით შეწუხებული მგზავრები ქოხთან ჩერდებოდნენ და წყურვილს იკლავდნენ. ბერმა ქოხთან ახლოს გააშენა მცირე ბოსტანი, რომელსაც გამვლელები მიირთმევდნენ. ქრისტესიას მიერ ამგვარი მოქმედება გამოწვეული იყო ხალხის სამსახურითა და სიყვარულით, მოხუცებული ბერი რამდენიმე კილომეტრს გადიოდა წყლით სავსე კოკით და მგზავრებს სასმელი წყლით უზრუნველყოფდა.

ბერი ყოველ შაბათს მიცვალებულთათვის ამზადებდა კოლიოს, მას სოფლის მაცხოვრებლები ხორბალსა და თაფლს სწირავდნენ, მომზადებულ კოლიოს სამ ჭურჭელში ანაწილებდა და მონასტერში მიჰქონდა შაბათ დღეს. ერთი ჭურჭელი გათვალისწინებული იყო ხორბლისა და თაფლის შემომწირველთა მიცვალებულთათვის, მეორე „მუნ მდებარეთა მამათა მიცვალებულთათვის“, მესამე ყოველთა მართლმადიდებელთა მიცვალებულთა სულის მოსახსენიებლად. ამგვარი ქმედებით იგი ლოცულობდა და პატივს მიაგებდა მიცვალებულებს.

სპირიდონ გრძელიშვილის ცნობით, ბერს ბოროტიც ეცხადებოდა, ქრისტესია ქვის სტყორცნით სდევნიდა მათ, ერთხელ კახეთისკენ მიმავალს კი დედაკაცის სახითაც გამოსცხადებია. ბერის სენაკი ძალიან ვიწრო და პატარა ყოფილა, იქ მხოლოდ ერთი კაცი დაწვებოდა, სიგრძე და სიგანე „სულ მცირე, ვითარცა საფლავი, რომელსა შინა აქვნდა საწოლად ტახტი ერთისა ფიცრისა“, აღნიშნულ ფიცარზე ცხვრის ტყავი იყო დაგებული, რომელიც წელამდეც ძლივს სწვდებოდა. ფიცარზე ბალიშის ნაცვლად დიდი ქვა იდო, რომელზეც თურმე ტყავის ნაგლეჯი ეფარა, რათა არავის ენახა. ცნობილია, რომ დავით გარეჯის მიდამოებში ძალიან ცივა და ასეთ პირობებში მართლაც გასაკვირია, ქრისტესია როგორ ახერხებდა მოღვაწეობას. ამგვარი მკაცრი ცხოვრების პირობებით მოხუცი ბერი მკაცრ ასკეტიზმს იცავდა და ხორცს თრგუნავდა.

ბერს ტანზეც ცხვრის დაბებკილი ტყავი ემოსა, ფეხზე ქალამანი ეცვა, თავზე კი კუნკულ-ბარტყულს ატარებდა. ასეთ მდგომარეობაში თუკი ვინმე ბერს სამოსელს მისცემდა, იგი მაშინვე გლახაკს აძლევდა, თავისთვის კი არაფერს იტოვებდა, რითაც მკაცრად იცავდა უპოვარების აღთქმას. ბერს თავის სენაკში შენახული ჰქონდა პური, ღვინო და თა-

ფლი, რითაც იგი მომავალ მგზავრებს უმასპინძლდებოდა. ასეთ ყოფაში გაატარა ღირსმა მამამ თავისი ცხოვრება და 80 წლის ასაკში აღესრულა იოანე ნათლისმცემლის უდაბნოში. სპირიდონ გრძელიშვილი გკვირვებული აღნიშნავს: „განათლებული მადლითა, რომელ არასადა მიხილავს ეგრეთ განბრწინვებული პირი კაცისა“. მისივე ცნობით, ქრისტესია ძველ ქართველ ბერთა მსგავსად დიდი მოღვაწეა: „რომელიც იყო დაშთომილი ტალანტი ძველთა მამათა, მეუდაბნოეთა“. ფაქტიურად ქრისტესია ერთ-ერთი უკანასკნელი წარმომადგენელია ქართველ მეუდაბნოე მამათა, რომელიც იოანე ნათლისმცელის უდაბნოში მოღვაწეობდა.

ჩვენთვის ძალიან ფასეულია სპირიდონის ცნობები ბერის შესახებ, რადგან იგი უშუალო თვითმხილველი ყოფილა და პირადად იცნობდა ქრისტესიას. მას ბერის გარდაცვალებიდან 9 წლის შემდეგ დაუწერია ცხოვრება: „რომელიცა აღესრულა უწინარეს ცხრა წლისა, 1871 წელსა, რაიცა მიხილავს თვალითა და აღვწერე. მთავარდიაკონი სპირიდონ გრძელიშვილი მწერალი ამისი 1880 წელი (ძ.ქ.აგ.ლ.ძ.V.1989:136). მწერალმა თავისი თხზულებით ფაქტიურად დავიწყებას გადაარჩინა ბოლო პერიოდის ქართველი მეუდაბნოე მამის საოცარი ცხოვრება, რითაც კიდევ უფრო საინტერესო გახადა ქართული ბერ-მონაზვნობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია.

ბოლო პერიოდის ქართველი მონაზვნები

ქართულ არქივებსა და მუზეუმებში გვიან პერიოდში მოღვაწე არაერთი ბერ-მონაზვნის შესახებ არის ცნობები შემორჩენილი. ასეთი დოკუმენტები ძირითადად მეცხრამეტე საუკუნიდან გაგვაჩნია. მართალია იქ მონაზონთა ასკეტურ ღვაწლზე პირდაპირ არ არის საუბარი, მაგრამ შევნიშნავთ, რომ არსებული ცნობები მაინც ფასდაუდებელია. აქვე უნდა აღინიშნოს თანამედროვე პერიოდში გამოცემული ისტორიოგრაფიული ნაშრომები ქართველ ბერ-მონაზონთა და მონასტრების შესახებ, თუმცა უნდა ითქვას, რომ სრული სურათის შესაქმნელად კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. შექმნილი პანდემიური სიტუაციიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ მოვახერხეთ მასალების ბლომად მოძიება, გთავაზობთ

რამდენიმე გამორჩეული მოღვაწის შესახებ არსებულ ცნობებს.

საქართველოს ეკლესიაში მეოცე საუკუნემდე შემორჩა მწირ–ბერთა ინსტიტუტი, მათ შორის შეგვიძლია დავასახელოთ არქიმანდრიტ პართენ აფციაურის შემწე და თანამლოცველი მწირ–ბერი ალექსი (დიდ სქემაში აბრაამი (ჩხეტიანი). მამები წლების განმავლობაში განუწყვეტლივ ლოცულობდნენ საქართველოს სულიერი აღორძინებისათვის (მაჩურიშვილი,ტოგონიძე.2012: 120). აღსანიშნავია, რომ ათონის მთაზე უკანასკნელ ასწლეულში არაერთი გამორჩეული ქართველი მონაზონი მოღვაწეობდა, მათ შორის შეგვიძლია დავასახელოთ სქემმღვდელ-მონაზონი იონა ხოშტარია, რომელიც ყოველდღე აღასრულებდა საღვთო წირვებს, იმ პერიოდის ერთ-ერთი უდიდესი მამა, სქემმღვდელ-მონაზონი თეოდოსი (ერისთავი), აღზრდილი და განსწავლული გელათის მონასტერში (მამა თეოდოსი იყო ღირსი მამის, ალექსი შუშანიას სულიერი მოძღვარი) (იქვე:149). აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდის ღვაწლმოსილი მამები მთელი სისავსით გადასცემდნენ თავიანთ მოწაფეებს ასკეტურ-მონაზვნურ გამოცდილებას. მაგალითად, მამა თეოდოსმა გელათში შეისწავლა მონაზვნური ცხოვრება და შემდეგ ათონის მთაზე კიდევ უფრო მეტად დახვეწა და სრულყო სამონაზვნო ცხოვრება, შემდეგ კი ალექსი შუშანიას გადასცა თავისი გამოცდილება, რომელმაც საბოლოოდ საქართველოში დანერგა ათონზე მიღებული არაერთი წესი. აღნიშნული მემკვიდრეობითობის კანონი ძალიან ფასეულია. ასკეტი მამები ერთიმეორეს ასწავლიდნენ მონაზვნობის ურთულეს სიღრმეებს და ამით უკვდავყოფდნენ საკუთარ თავსაც, ხოლო მათი ღვაწლის გამგრძელებლები ცდილობდნენ კიდევ უფრო მაღალი საფეხურისთვის მიეღწიათ.

ათონის მთაზე მოღვაწეობდა თავისი სიწმინდით გამორჩეული მღვდელ–მონაზონი ალექსი ბაქრაძე, რომელიც ძალიან ახალგაზრდა აღკვეცილა ბერად, თავდაპირველად იგი მოღვაწეობდა რაჭაში, იყო ცნობილი კალიგრაფი და მხატვარი, მის მიერ გადაწერილი არაერთი ხელნაწერი ქუთაისის მუზეუმშია დაცული. შემდგომ ალექსი გამგზავრებულა ათონის მთაზე, სადაც ის 1899 წელს მოინახულა ათონის ივერთა მონასტერში პეტრე კენჭოშვილმა. 7 ივლისს, დილის 4 საათზე პერტე კენჭოშვილი ივერთა მონასტერში მისულა. მას შეგებებიან მხცოვანი

მღვდელ-მონაზონი გოთრგი, დიდად გამოცდილი სულიერ მოღვაწეობაში და მღვდელი ალექსი ბაქრაძე, აგრეთვე მოხუცებული, მაგრამ შრომით ჭაბუკი მოხუცი, დიდი მშრომელი წმ. მამათა თხზულებათა გადაწერაში და მთარგმნელი რუსულიდგან ქართულად (კენჭოშვილი. 2010: 157). როგორც ჩანს, ცხოვრების ბოლო წლებში ღვაწლმოსილი მამა დიდი სქემით შეიმოსა, სქემმღვდელ-მონაზონი ათანასეს (ალექსი ბაქრაძე) დიდი ღვაწლით მონასტერში აღორძინდა მწიგნობრობა, კალიგრაფია, დამზადდა ივერთა მონასტრის ბიბლიოთეკაში დაცული უძველეს ხელნაწერთა ათეულობით ასლი (მაჩურიშვილი, ტოგონიძე.2012:149). ათონის მთაზე მოღვაწეობდა ასევე სქემმღვდელ-მონაზონი სვიმეონი (ბაღდავაძე), რომელმაც ბევრი იღვაწა ქართველთა საკეთილდღეოდ*.

გვიან შუასაუკუნეებში საქართველოს მონასტრებში ჯერ კიდევ მოღვაწეობდნენ განთქმული ბერები, რომლებიც სასწაულთქმედების ნიჭითა და მკაცრი ცხოვრებით გამოირჩეოდნენ. მათ შორის უნდა გამოვყოთ სერაპიონი, ნათლისმცემლის უდაბნოს წინამძღვარი, გერმანე დაყუდებული, რომელიც იმერეთში მოღვაწეობდა. სვიმეონი გარეკვის მონასტრის წინამძღვარი, რომელსაც წინასწარცნობის უნარი გააჩნდა და ონოფრე გარეკელი, რომელიც დავით გარეკელის მღვიმეში დაყუდებულა და თრმოკი დღის განმავლობაში შეეძლო მარხულობა.

იოანე ბატონიშვილმა თავის „კალმასობაში" ყურადღება გაამახვილა ზემოთჩამოთვლილ მამების ღვაწლზე, სადაც იგი აღნიშნავს, რომ ეს მოღვაწენი მამები „სიმშვიდითა და მარხვა–მოთმინებით" ძველ წმინდა მამებს ჰგავდნენ.

ღირსი სერაპიონი. ღირსი სერაპიონიც წარმოშობით იმერელი ყოფილა და თავისი გამორჩეული მონაზვნური ცხოვრების გამო მეფე ერეკლე

* ათონის მთაზე XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე მოღვაწეობდა დაყუდებული ბერი მღვდელმონაზონი დანიელი. ღირსი მამა მთელი ღამე მღვიძარებდა, იგი არ იძინებდა ღამე, დღის განმავლობაში კელიაში საქმიანობდა ან აღსარებებს იღებდა მონაზვნებისაგან. შუადღისას იღებდა თავის ასკეტურ მწირ ულუფას. მღვდელმონაზონ დანიელს (პეტრე ათონელის კელიიდან) მრავალ სასწაულს მიაწერენ. იგი ახასაკის აცდენდა წირვებს, მსახურებაზე მის ქვემოთ მიწა ყოველთვის სველი იყო ტირილის გამო, წირვის დროს ჰაერში იდგა. იგი ზიარების შემდეგ აღესრულა 1929 წელს. (წმინდა მთის ასკეტური და სამოღვაწეო გარდამოცემიდან. ბერძნული გამოცემა. 2011:47).

მეორეს იოანე ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვრად დაუდგენია. დიდი ღვაწლის შემდეგ სერაპიონს მიუღწევია „საზომსა სასწაულთ-მოქმედებისასა". ერთხელ, როდესაც ლეკებს სერაპიონის ერთ-ერთი დიაკონი გაუტაცებიათ, ღირს მამას გამოუსახავს პირჯვარი და „შეუტია, ყავარჯენისა ხელში მპყრობელმან". ლეკები გაიქცნენ და დიაკონი დატოვეს. რამდენიმე ხნის შემდეგ ლეკებისგან მოვიდა ამბავი, რომ როდესაც ბერი სერაპიონი „ყავარჯენსა მას გარდამოგვიქნევდის, მუნითგან გამოხდებოდის ცეცხლი შემწველი". ამ სასწაულის გამო გაქცეულან ლეკები. იოანე ბატონიშვილ გვაუწყებს, რომ სხვა სასწაულებიც აღასრულა სერაპიონმა, თუმცა მათ ჩვენამდე არ მოუღწევია. ღირს მამას დიდხანს ულვაწია და ღრმა მოხუცებული გარდაცვლილა, იგი თავისივე თხოვნით დაუკრძალავთ ეკლესიის კარის შესავლელში, რათა ყველა მიმსვლელი „დათრგუნვიდენ ფერხით".

გერმანე დაყუდებული. გერმანე წარმოშობით იმერეთიდან ყოფილა და მშობლების დატოვების შემდეგ მონაზონი გამხდარა. ბერი განმარტოებულა და მარხვასა და ლოცვაში რამდენიმე წელი გაუტარებია: „რომელ ყოველთვის შეინახამდის შვიდეულსა" (იოანე ბატონიშვილი.1948:209). ღირს მამას ხშირად ეცხადებოდნენ არაწმინდა სულები, „გარნა ვერ უძლეს შერყევა მისი". ბოლოს მამა გერმანეს სასწაულთმოქმედების ნიჭისთვის მიუღწევია, რამდენიმე სასწაულიც აღუსრულებია: „სასწაულთ-მოქმედებისა მადლსა შინა, და ჰყო რაოდენნიმე სასწაულნი". გერმანეს ღრმა მოხუცებულობამდე მიუღწევია და სიცოცხლის ბოლოს ორმოცი დღე უმარხულია და ზიარების შემდეგ აღსრულებულა: „და ესრეთ სული თვის შეეყრა ხელთა შინა ღვთისათა".

სვიმეონი „ფრიად ღირსი". ბერი სვიმეონი წარმოშობით სომხითელი ინაურიძე იყო. იოანე ბატონიშვილი აღფრთოვანებულია მისით და აღნიშნავს, რომ სვიმეონი „ფრიად ღირსი და წმიდათა შორის შესარაცხია". როდესაც სვიმეონი დავით-გარეჯის მონასტრის წინამძღვარი გახდა, მან წინასწარ ამცნო თეიმურაზ მეორეს და ერეკლე მეფეს, რომ არ წასულიყვნენ ჭარელებთან საბრძოლველად, რადგან იცოდა, რომ დამარცხდებოდნენ, თუმცა მათ არ ისმინეს ბერის შეგონება და დამარცხდნენ. იოანეს ცნობითვე დავით-გარეჯის ტაძარში ყოფნის დროს სვიმეონს ღვთისმშობლის ხატი გამოლაპარაკებია, ხოლო ერთ დღეს,

როდესაც მონასტრის ბერებს თეგზი არ ჰქონიათ საკვებად, სვიმეონი თავის სენაკში განმარტოებულა და „ევედრა ღმერთსა მამა ესე და გამოვიდა გარე“(იქვე:210). ამ დროს მოფრენილა ორბი, რომელსაც „ებყრა ფერხითა ორაგული დიდი და შთამოაგდო საშვალ მონასტრისა“. ორაგული ჯერ კიდევ ცოცხალი ყოფილა. მამა სვიმეონმა თავისი ღვაწლი საერთოდ უარყო და მონასტრის საძმოს განუცხადა: „აჰა, შვილნო, მოგიგლინა თქვენ ღმერთმა ნუგეში“.

XVIII საუკუნის ბოლოს ქართულ მონასტრებში ჯერ კიდევ იყვნენ გამორჩეული ბერები, მათ შორის შეგვიძლია დავასახელოთ არქიმანდრიტი გერმანე, ღვთისსათნო და სასწაულმოქმედი მამა: მადლმოსილ მოღვაწეს ლოცვით მოჰყავდა წვიმა და ავადმყოფებს კურნავდა. ცისკარზე იგი თავად კითხულობდა ფსალმუნთა კანონებს და ამ დროს მას ცრემლი წყაროსავით სდიოდა. იგი ძალიან გამოცდილი სულიერი მოძღვარი იყო, რადგან მრავალი დიდი მოსაგრე ენახა თავისი მწირობის პერიოდში პალესტინის წმინდა მიწასა და სინას მთაზე, ეგეოსის ზღვის კუნძულებსა და ათონის წმინდა მთაზე (ილარიონ ქართ. ცხ.2013:6). საქმე იმაშია, რომ ქართველი მოღვაწეები უცხოეთის სავანეებში მოგზაურობისას მრავალ სასიკეთო წესსა და რჩევას იღებდნენ და შემდეგ საქართველოში ნერგავდნენ, ეს კავშირი მრავალსაუკუნოვანი იყო, თუმცა მეოცე საუკუნეში შეწყდა. ერთ-ერთი ბოლო მოღვაწე იოანე მაისურაძე იყო, რომელიც ათონის მთიდან ჩამოვიდა საქართველოში.

ქართველ ბერთა ბრწყინვალე პლეადის უკანასკნელი წარმომადგენლები იყვნენ: ილარიონ ყანჩაველი, ალექსი შუშანია, ბენედიქტე ბარკალაია, ალექსი ბაქრაძე, იოანე მაისურაძე, გიორგი მხეიძე, ექვთიმე კერესელიძე და სხვანი. აქვე აღსანიშნავია, ერთი გარემოება, ქართველი ბერები მუდამ მიისწრაფოდნენ ათონის მთაზე, ეს იყო ორმხრივი პროცესი, მონაზვნები მიემგზავრებოდნენ საქართველოდან და ჩამოდიოდნენ ათონის მთიდან. აღნიშნული ურთიერთობა კიდევ უფრო ინტენსიური გახდა XIX-XX საუკუნეებში. ათონის მთაზე არაერთი ცნობილი ქართველი მოღვაწე დამკვიდრდა, ამ საქმეში გამორჩეულია გაბრიელ ეპისკოპოსის (ქიქოძე) ღვაწლი. მათ შორის შეგვიძლია დავასახელოთ ბენედიქტე ბარკალაია, ალექსი შუშანია, მღვდელ-მონაზონი თეოდოსი ერისთავი, ალექსი ბაქრაძე, ცოტა მოგვიანებით იოანე მაისურაძე,. ქართული მონაზვნობის

გადარჩენა-გაგრძელების საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის ალექსი შუშანიას, იოანე მაისურაძესა და გიორგი მხეიძეს. ალექსი შუშანია 1898 წლის შემდეგ თეკლათის სავანეში სრულებით ჩაიკეტა და დაყუდებულ ცხოვრებას ეწეოდა, გარეშე მნახველს იღებდა მხოლოდ შაბათ-კვირას (http://www.orthodoxy.ge/თვენი/იანვარი/ალექსი.) მან დაითმინა მძიმე ავადმყოფობა და მრავალი ადამიანი დამოძღვრა ქრისტიანულ რწმენაში.

ქართული მონაზვნობისთვის ყველაზე რთული დრო დაიწყო 1923 წლიდან, როდესაც ათეისტმა ბოლშევიკებმა მრავალი მონასტერი დააოხრბიეს და მონაზვნები განდევნეს. ამ ურთულესი ეპოქის ღვაწლმოსილი მამები იყვნენ სახელოვანი ქართველი ბერები: იოანე მაისურაძე და გიორგი მხეიძე, რომლებმაც ბოლშევიკების მხრიდან მრავალი დევნა-შევიწროება დაითმინეს და ბეთანიის მონასტერში მონაზვნური ცხოვრება არ შეწყვიტეს. დიდი ღვაწლის გამო საქართველოს ეკლესიამ ორივე მათგანი წმინდანთა დასში შერაცხა.

ბერი ზაქარია ჭაფარიძე

მე-18 საუკუნის ბოლოს და მე-19 საუკუნეში რაჭაში მოღვაწეობდა სიწმინდით განთქმული ბერი ზაქარია ჭაფარიძე. იგი დაყუდებულ ცხოვრებას ეწეოდა ჭელიშის მონასტრის ახლოს, ძნელად მისადგომ მთის გამოქვაბულში. ზაქარია ბერის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაია, რომელიც მე-20 საუკუნის დამდეგს ჭელიშის მონასტრის წინამძღვარი იყო. იმ პერიოდში სწორედ მას ჩაუწერია საინტერესო მოგონებები ბერის მოღვაწეობაზე. წმინდა გაბრიელ ქართველის მსგავსად ზაქარიაც მიუვალ მთაზე გამოქვაბულში იყო დამკვიდრებული, გამოქვაბული ჭელიშის მონასტრიდან ორი ვერსით ყოფილა დაშორებული, იმ ადგილზე, სადაც მდინარე შაორი მიწისქვეშა დინების შემდეგ ხელახლა გამოდის შარაულას სახელით. იქ მაღალი მთის ნაპრალზე მიშენებული ყოფილა ქვის კედელი, სადაც ყველასგან განმარტოებით ცხოვრობდა ბერი ზაქარია, რომელიც ჭელიშის ბერ-მონაზვნური სკოლის წარმომადგენელი იყო.

ამბრთსი ხელაია გადმოგვცემს, რომ ბერი ყოველდღე ჩამოდიოდა მიუვალი გამოქვაბულიდან და დღისით თუ ღამით ყველა მსახურებას ესწრებოდა მონასტრის ეკლესიაში. წირვა-ლოცვის შემდეგ მოღვაწე

უბრუნდებოდა თავის გამოქვაბულს. იგი ასევე ერიდებოდა ბაასს, ანუ ძმებთან ლაპარაკს და მუდამ მდუმარე იყო. ბერი ასევე მძიმე შრომაშიც ყოფილა ჩართული, რადგან აკეთებდა სხვადასხვა ხის იარაღებს, დასდებდა გზის პირას და ვისაც ესაჭიროებოდა, წაიღებდა. სამაგიეროდ მოჰქონდათ პური დაყუდებულისათვის, მხოლოდ ამით იჩენდა თავს (ამბრთსი ხელაია. 2011:171). თუკი დავაკვირდებით ბერის მოღვაწეობას, აშკარად დავინახავთ კავშირს ძველ ქართველ გამორჩეულ ბერ–მონაზვნებთან. ბერი იმყოფებოდა განმარტოებულ ღვაწლში, ადგილი იყო ძნელად მისადგომი, ამასთანავე იგი ზედმიწევნით ზუსტად იცავდა ღვთისმსახურების მოთხოვნებს და ყოველდღიურად ესწრებოდა წირვებს. იყო მდუმარებაში და ამით თავისი თავიც შეზღუდული ჰყავდა ამაო მეტყველებით, ჭელიშის მონასტრის საძმოსაც მაგალითს აძლევდა. ბერი თავისუფალ დროს აღასრულებდა ხელსაქმეს და სანაცვლოდ პურს იღებდა მხოლოდ, ანუ მონასტრის შემოსავლიდან არ იკვებებოდა.

ბერ ზაქარიას შესახებ არანაკლებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის დავით ბატონიშვილი, რომელიც გვაუწყებს, რომ რაჭაში დამკვიდრებამდე ბერი ზაქარია კათალიკოს მაქსიმე აბაშიძეს ახლდა კიევში. აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) უკანასკნელი კათალიკოსი მაქსიმე 1785 წელს გაემგზავრა რუსეთში, სადაც იგი დარჩა და 1792 წლის შემდეგ კი კიევში გადავიდა, 1795 წელს კათალიკოსი მაქსიმე კიევში გარდაიცვალა. როგორც ჩანს, ბერმა ზაქარიამ რუსეთში საკმაოდ დიდი ხანი გაატარა. ბატონიშვილის ცნობით, ბერი კათალიკოსის გარდაცვალების შემდეგ დაბრუნებულა საქართველოში და რაჭაში დამკვიდრებულა. დავით ბატონიშვილი ზაქარია ბერის სიწმინდეზე გვესაუბრება: „ესე იყო ფრიად წმიდა და მლოცავ, რომელ კვირასა ერთს მიიღის საზრდო“ (დავით ბატონიშვილი. 1941:101). ზაქარია ბერს იმდენად დიდი სახელი მოუხვეჭავს, რომ მისით იმერეთის მეფე სოლომონ მეორეც დაინტერესებულა და 1802 წელს ბერს წვევია. მეფესთან შეხვედრისას ბერს მისთვის ხილვის შესახებ უამბნია: „მეფეო, ვიხილე ჩვენება ესე: მოვიდა ვეშაპი დიდი, წითელი, რომელმანცა გმთანთქა შენ, და გიჩნდა ოდენ, ფერხნი“. ბერს სოლომონ მეფისთვის განუმარტავს, რომ იგი მეფობას დაკარგავდა და დიდ მწუხარებაში აღმოჩნდებოდა: „აღდგების მეფობა შენი და მიეცემი

მწუხარებასა დიდსა და განსაცდელსა დიდსა, და გმართებს მისვლად სინანულად და ვედრებად ღვთისა, რათა განერო ამ განსაცდელისაგან" (იქვე). ბერმა ისიც იწინასწარმეტყველა, რომ ხალხიც ცუდ დღეში აღმოჩნდებოდა: „ხალხნი სამეფოისა შენისანი იქნებიან დიდსა ჭირსა და ვალალებასა, რომელ აღსდგების მომსვრელი სენი და ფრიად სიყმილი".

საქმე იმაშია, რომ რამდენიმე წელიწადში ბერის ორივე წინასწარმეტყველება აღსრულდა. 1810 წელს სოლომონ მეფემ დაკარგა იმერეთის სამეფო ტახტი და ოსმალეთში მოუწია წასვლა, სადაც დაავადდა და დიდ მწუხარებაში ჩავარდა. იმავე პერიოდში იმერეთში გაჩნდა ჭირი, რომელმაც ათასობით ადამიანი იმსხვერპლა, ამას დაემატა მოუსავლიანი წლები, რასაც დიდი შიმშილობა მოჰყვა. ბერმა ზაქარიამ ყოველივე რამდენიმე წლით ადრე აწინასწარმეტყველა, რაც ნამდვილად აწვევს გაოცებას. ზაქარიას გარდაცვალების შესახებ ზუსტი ცნობა არ გვაქვს.

სქემ ბერ-მონაზონი შიო

გელათის თვალწარმტაც ეზოში მხახველის ყურადღებას იპყრობს ღვთისმშობლის შობის სახელობის მთავარი ტაძრის დასავლეთით არსებული გამორჩეული საფლავის ქვა, რომლის სიმაღლე 2 მეტრამდეა. ბერი თანამედროვეებს აშკარად გამორჩეულ ადგილზე დაუკრძალავთ: ღვთისმშობლის შობის ტაძრის წინ, წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის სამხრეთით და აკადემიის ისტორიული ნაგებობის შესასვლელთან. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ასეთი გამორჩეული საფლავი გელათის მონასტრის შემოგარენში არცერთ მოღვაწეს არ აქვს. გრანიტის ქვისგან დამზადებული და მარმარილოს დეტალებით გამშვენებული ქვა იმ დროისათვის საკმაოდ ძვირი დაჯდებოდა, მაგრამ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, საფლავის ქვა ეკუთვნის სქემმონაზონს და მარმარილოს ფილაზე დაცული ტექსტი მიგვანიშნებს, თუ რატომ დაუმზადეს ესოდენ განსაკუთრებული საფლავი ბერს, რომელსაც სასულიერო ხარისხიც კი არ ჰქონდა. ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტსაც, რომ 1868 წელს, როდესაც სქემმონაზონი შიო გარდაიცვალა, იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძე (1860–1896) იყო. ალბათ სასწაულს უნდა მივაწეროთ ისიც, რომ საფლა-

ვი გადაურჩა ბოლშევიკების ანტირელიგიურ კამპანიასაც და, როგორც ჩანს, იმ დროს მხოლოდ საფლავის ჯვარი დააზიანეს.

ბერი შიო დაიბადა იმერეთში 1785 წელს, ის წარმოშობით იყო იმერეთიდან და გახლდათ საბატონო ყმა-გლეხი. განათლება მიიღო ქუთაისის საკათედრო ტაძარში, 1814 წელს აღიკვეცა მონაზვნად. იგი 1820 წლიდან გელათის მონასტერშია. როგორც მისი ეპიტაფიიდან ჩანს, ცხოვრების ბოლო 42 წელი გაუტარებია მდუმარებასა და მკაცრ მარხვაში (კეზევაძე.2006:58–59).

ბერმონაზონ შიოს საღმრთო წერილი უსწავლია ქუთაისის სობოროში (ბაგრატის ტაძრის სამხრეთ მინაშენი) მიტროპოლიტ დოსითეოს წერეთელთან (1781–1820) და მღვდელმთავრის ბრძანებით აღუკვეცავს მონაზვნად 1814 წელს მღვდელმონაზონ ნიკოლოზს. 1814 წლიდან 1820 წლამდე ის იყო მიტროპოლიტ დოსითეოსის მორჩილი. 1820 წლიდან კი დამკვიდრებულა გელათის მონასტერში (ქცსა. ფ.21 ს. № 965). ბერი შიოს საფლავის ქვის წარწერა გვამცნობს, რომ მან გელათში თავისი ხანგრძლივი ცხოვრების 71 წელი გაატარა. თუმცა ფაქტი ერთია, ბერი შიო ახალგაზრდობაში იყო საკათალიკოსოს უკანასკნელი გამგებლის, მიტროლპოლიტ დოსითეოსის მოჩილი, მღვდელმთავრის შეპყრობის შემდეგ, 1820 წელს, მას დაუტოვებია ქუთაისი და სამოღვაწეოდ გადასულა გელათის მონასტერში, სადაც მთელი ცხოვრება გაატარა 1868 წლამდე. ბერი შიო მონაზვნად აღიკვეცა, როგორც ჩანს, ძველი ქართული წესით და მანვე დაიცვა და ბოლომდე ღირსეულად აღასრულა მკაცრი ასკეტური ღვაწლი, რომელსაც დღეს მრავალი ადამიანი მოჰყავს განცვიფრებაში. სხვა ცნობები ამ გამოჩენილი ბერის შესახებ არ გაგვაჩნია, თუმცა საფლავის ქვის ეპიტაფია საშუალებას იძლევა წარმოდგენა შეგვექმნას შიოს პიროვნების შესახებ.

საფლავის ქვა დამზადებულია კურსების გრანიტისაგან, რაც იმ პერიოდში საკმაოდ იშვიათი და ძვირი იყო. საფლავის ქვა შედგება სამი ნაწილისაგან: სადგარი, მართკუთხედი ფორმის, რომელზეც დგას საფლავის ქვა ზომით 113X64. ქვა ზემოთ ვიწროვდება 43–დან 37–35 სმ–მდე.

გრანიტის საფლავის ქვას ზემოთ ამშვენებს თეთრი დეკორატიულად გამოკვეთილი მარმარილო, რომელზეც დგას ქვის ჯვარი. ჯვარი ძირში გადაუტეხავთ და ამჟამად აღდგენილია. საფლავის ქვა აღმოსავლეთ მხარეს ამოკვეთილია და მასში ჩასმულია თეთრი მარმარილოს ფილა 76X53 სმ. სწორედ აღნიშნულ ფილაზეა ამოკვეთილი რუსულ ენაზე ჩვენთვის საინტერესო წარწერა. მარმარილოს ფილა კუთხეებში გახვრეტილია და სწორედ ასე ყოფილა ძველად მიმაგრებული, თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ ათიოდე წლის წინ აღნიშნული ფილა სიძველის გამო ჩამოვარდა და დაზიანდა, მოტეხილი აქვს მარცხენა კუთხე. ჩვენი მცდელობის შედეგად (ერთ-ერთი სტიქაროსნის მიერ) ფილა კვლავ ჩაისვა თავის ადგილზე, ასევე ნაპოვნი იქნა მოტეხილი კუთხეც, რომელიც ჩამაგრადა თავის ადგილზე, ასე რომ საფლავი დღეს სრულად არის აღდგენილი. დღესდღეობით აუცილებელია გაიწმინდოს მარმარილოს ფილა შესაბამისი ნორმების დაცვით, რათა საფრთხე არ შეექმნას წარწერას.

შიოს საფლავის ახლოს, ორიოდე მეტრში ჩრდილოეთით, განისვენებს ღირსი მამა ბენედიქტე ნაფეტვარიძე. ალბათ შემთხვევითი არ არის, რომ ორი გამორჩეული ბერი ერთმანეთის ახლოს, თითქმის გვერდიგვერდ დაკრძალეს. ორივენი ბოლო პერიოდის ძველი ქართული სამონაზვნო სკოლის ბრწყინვალე წარმომადგენლები არიან, დიდი ალბათობით ისინი ერთმანეთს იცნობდნენ სიცოცხლეში. ორივე მათგანის საფლავის შინაარსი გამორჩეულია სხვა ბერების საფლავთა წარწერებისაგან. თუმცა ერთი რამ ცხადია, თანამედროვეებმა ბერების განსაკუთრებული ღვაწლი გადმოსცეს საფლავთა წარწერებში: „ნეტარი მოღვაწე", „სახელოვანი მოღვაწე" შიოს შემთხვევაში, „დიდი მოღვაწე", „ღირსი მამა" ბენედიქტეს შემთხვევაში. მათ რამდენიმე ათეული წელი მძიმე ასკეტურ ღვაწლში გაატარეს, დიდი მადლი მოიპოვეს და გელათის მონასტრის საძმომ მამათა ღვაწლი უკვდავყო და მიგვანიშნა, რომ საფლავში რიგითი მონაზვნები არ განისვენებენ.

საფლავის წარწერა

„Насем месте погребен прах блаженного
подвижника Христова Грузина схиммонаха
Шио рочиившего о Господ 1868 г. На сотом
году от раждения в Гаенатскои обители он
подвизался 71 год, последние 42 года молчал,
не пил ни вина, ни води, питался суровою
пишею и масла никогда не употребрлиал,
все времия до самоикончини проводил
трудах. Мыр праху твоему доблестныи
труженик чести пред Господом смерти прородобенего".

საფლავის წარწერის შემდგენელმა აუცილებლად ჩათვალა, რომ ბერის გმირული და 70 წლიანი მოღვაწეობა არ უნდა დაკარგულიყო. შესაბამისად ბერის პატივისმცემლებმა გადაწყვიტეს, რომ წარწერა რუსულ ენაზე შესრულებულიყო, რათა რუსებსაც სათანადო ყურადღება მიექციათ განსვენებულის ბერულ ღვაწლზე. აქვე უნდა შევნიშნოთ, წარწერის შესრულების დროს ქვის ოსტატს შეცდომები დაუშვია. რადგან რამდენიმე ადგილზე აშკარაა, რომ წარწერის შემსრულებელმა რუსული კარგად არ იცის.



ღრმსი შიოს საფლავის წარწერა მარმარილოს დაფაზე

„აქ განისვენებს ქრისტეს ნეტარი მოღვაწე,
ქართველი სქემ მონაზონი შიო. აღესრულა
1868 წელს დაბადებიდან მეასე წელს, რომელმაც
გელათის სავანეში გაატარა 71 წელი. ბოლო 42
წლის განმავლობაში მდუმარებაში იყო.
არ სვამდა ღვინოს, წყალს, იკვებებოდა მკაცრად მარხულობდა,

არასოდეს ღებულობდა ცხიმოვან საკვებს,
და ცხოვრების ბოლომდე შრომაში გაატარა.
მშვიდობა შენს ნეშტს, სახელოვანო მოღვაწევ,
პატიოსან არს სიკვდილი ღირსთა მისთა".

საფლავის ქვაზე არსებული ტექსტის მიხედვით სქიმმონაზონი შიო უდიდესი მოღვაწეა. როგორც აღვნიშნეთ, თანამედროვეებმა საფლავის წარწერაში საგანგებოდ წარმოაჩინეს ბერის ღვაწლი, რათა მომავალ თაობებს არ დაჰკარგვოდა. საფლავის წარწერის შინაარსს, ჩვენი ვარაუდით, გაბრიელ ეპისკოპოსიც იცნობდა, წინააღმდეგ შემთხვევაში განათლებული მღვდელმთავარი გელათში გამორჩეულ ადგილზე დაკრძალვის უფლებას არ გასცემდა. შეიძლება ითქვას საფლავის წარწერა არამარტო ბერ შიოს დიდ ღვაწლზე მიგვითითებს, არამედ გელათურ და საერთოდ ქართულ ბერმონაზვნურ ინსტიტუტზე, რომელიც უნიკალურია ქრისტიანულ სამყაროში.

ალბათ სადაოა არ არის ის ფქტი, რომ მსგავსი შინაარსის შემცველი წარწერა საფლავის ქვაზე შესაძლოა საქართველოში არც მოიპოვებოდეს. წარწერის შინაარსი მრავლისმთქმელია და მასზე დაყრდნობით შეგვიძლია გარკვეული დასკვნების გამოტანა. საქმე იმაშია, რომ სქემ–მონაზონი შიო იყო ძველი ქართული ბერმონაზვნური სკოლის ერთ–ერთი გამორჩეული მოღვაწე. გელათის საუნივერსიტეტო კიდევ უძველესი დროიდან მოღვაწეობდნენ ბერები და მათ სამეფო მონასტერში უქმნიდნენ პირობებს, რათა მოღვაწეობის შესაძლებლობა ჰქონოდათ. ქართული ბერმონაზვნობა გამოირჩეოდა მკაცრი ასკეტური მიმართულებით, სწორედ ასეთი მოღვაწე იყო სქემმონაზონი შიო. წარწერის მიხედვით, ბერი შიო 100 წელს ყოფილა მიღწეული, საიდანაც 71 წელი გელათში გაუტარებია. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ბერმა თავისი სიცოცხლის ბოლო 42 წელი მდუმარებაში გაატარა. ეს ფაქტი მიგვანიშნებს, რომ ბერს უმაღლესი სულიერი საფეხურისთვის მიუღწევია. მდუმარების აღთქმასთან ერთად ბერი არ ღებულობდა ღვინოსა და წყალს, რაც საერთოდ გასაკვირია. ბერი იკვებებოდა მშრალი საკვებით და ცხიმოვან საზრდელს არასოდეს იყენებდა. ასეთ მკაცრ ღვაწლს უდიდესი მოღვაწეები თუ აღწევდნენ მხოლოდ და ისიც გამოცდილი სულიერი მოძღვრის დახმარე-

ბით. უნდა ვიფიქროთ, რომ ბერ შიოს ასეთ მკაცრი ასკეტური ღვაწლის აღსრულებისას გელათში მოღვაწე გამოცდილი ბერი ხელმძღვანელობდა.

ჩვენი ვარაუდით, ღირსი შიო გელათში მოღვაწე ერთ-ერთი ბოლო დაყუდებული მონაზონთაგანი იყო, რომელიც მდუმარების აღთქმას იცავდა. მისი სამოღვაწეო ადგილი საკარაუდებელია გელათის ზემოთ ძველი სალოცავის (წმინდა საბას, ან ელია წინასწარმეტყველის სახელობის ეკლესიასთან) ახლოს არსებულ მღვიმეში. შესაძლებელია შიო წირვა-ლოცვის დროს გელათის მთავარ ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში ჩამოდიოდა და შემდეგ კვლავ თავის ადგილს უბრუნდებოდა.

მარტიდმყოფი მღვდელ-მონაზონი ნიკოლოზ მორჩაძე

გელათის მონასტერში მოღვაწეობდა ქართული ბერმონაზვნობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი მარტიდმყოფი მღვდელ-მონაზონი ნიკოლოზ მორჩაძე. იგი ძველი ქართული სამონაზვნო ტრადიციების უკანასკნელი წარმომადგენელია. მონაზვნად აღიკვეცა ჯერ კიდევ ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებამდე და გელათის ზემოთ, ბერისცხენზე მოღვაწეობდა. იგი დაბადებულა 1788 წელს, წარმოშობით იყო იმერელი, საბატონო ყმა, განათლება და მორჩილება მიუღია გელათის მონასტერში, მონაზვნად კი ჭელიშის მონასტერში აღუკვეცავთ 1809 წელს. 1811 წელს ბერ-დიაკვნად უკურთხებია მიტროპოლიტ ექვთიმე გაენათელს (178–1822), 1816 წელს კი მღვდელ-მონაზვნად. ნიკოლოზს 1819 წლიდან დაუწყია განდეგილი წესით ცხოვრება. მის ნამსახურებით სიაში აღნიშნულია: „იმყოფებოდა ჩყთი წლიდან მახლობლად გაენათის მონასტრისა გამოკვეთილსა მთაში ქვაბსა შინა“ (კეზევაძე.2006:55). მღვდელ-მონაზონ ნიკოლოზს კურთხევიდან ორი წლის შემდეგ, როგორც ვთქვით, დაუწყია განმარტოებული ცხოვრება, გელათის ზემოთ არსებულ ძველ გამოქვაბულში, როგორც ჩანს, ძველი წესის მიხედვით. განმარტოებულ ბერს სიცოცხლის ბოლო წლები გელათის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში გაუტარებია. მიუხედავად ასკეტური ცხოვრებისა, მრევლთან კავშირი არ გაუწყვეტია, მას მონასტერზე ზრუნვასთან ერთად სულიერ შვილებსა და მრავალრიცხოვან ნათლულებზეც უზრუნია. ბერის ან-

დერძი გამოაქვეყნა ისტორიკოსმა მერაბ კეზევაძემ, რომლის შინაარსი საყურადღებოა. ბერს თავისი სახსრებით „გაუპოლავს“ და გადაუხურავს პატარა სახლი, რომელშიც ბუხარიც ამოუყვანია, გაუშენებია ვენახები, „ორ ტალავრათ ქმნილი“ ორი ჭური ჩაუყრია და ქვითკირის სახაბაზო და საბძელიც გაუკეთებია. თავის წიგნებს პარაკლიტონს, ლოკვანს, ჟამნსა, სახარებასა და სამოციქულოს წმინდა გიორგის ეკლესიას წირავს. იგი იხსენიებს ასევე თავისივე ხელით დაწერილ მეტაფრას წიგნს. ნიკოლოზი არქიმანდრიტ გაბრიელს სთხოვს „ღვთის სიყვარულისთვის იშრომოს ჩემს მიცვალებაზე“ (იქვე:58).

არქიმანდრიტი სერაპიონ ახვლედიანი

გელათში მოღვაწე საეკლესიო პირთა შორის გამორჩეულია არქიმანდრიტ სერაპიონ ახვლედიანის მოღვაწეობა. იგი თავდაპირველად მოწამეთის მონასტრის 1862–1866 წლებში, 1866–1875 წლებში ჯრუჭის, 1875–1904 წლებში კი გელათის მონასტრის წინამძღვარია. დაბადებულა 1819 წელს, გარდაიცვალა 1911 წელს (კეზევაძე.2006: 72). სერაპიონი გაბრიელ ეპისკოპოსის მამიდაშვილი და სულიერი მოძღვარიც ყოფილა, რაც კიდევ უფრო საყურადღებოა. სერაპიონ ახვლედიანის მიმართ დიდი პატივისცემა ჰქონიათ თანამედროვეებს, რასაც მოწმობს ის ფაქტი, რომ იგი გარდაცვალების შემდეგ 1911 წელს გელათის მთავარი ტაძრის დასავლეთ მინაშენში დაკრძალეს, რაც საკმაოდ იშვიათი შემთხვევაა. მის საფლავზე კი შემდეგი ეპიტაფია იკითხება: „ამა ლოდსა ქვეშე განისვენებს გაენათის მონასტრის არქიმანდრიტი და მოძღვარი ნეტარხსენებულის ეპისკოპოსის გაბრიელისა სერაფიონი, ტომით ახვლედიანი შობიდან 101 წ. ემსახურა ამა დიდებულის მონასტერს წინამძღვრად 40 წ. გარდაიცვალა 1911 წელს 28 აპრილს“.

სერაპიონ ახვლედიანმა მთელი ცხოვრება საბერო მოღვაწეობაში გაატარა, მან 60 წელზე მეტხანს იმსახურა სხვადასხვა მონასტრებში, ხოლო ცხოვრების უმეტესი ნაწილი გაატარა გელათის მონასტრის წინამძღვრად. 1891 წელს გელათის მონასტერში გაჩენილა ცეცხლი, რის გამოც გაბრიელ ეპისკოპოსი დააბეზღეს სინოდის კანტორაში, სადაც არ-

ქიმანდრიტ სერაპიონის გადაყენებას ითხოვდა ილია ბახტაძე. აღნიშნულ საკითხზე საუბრისას გაბრიელ ეპისკოპოსი ბრძანებდა: „არქიმანდრიტი სერაპიონი არის ჩემი ნათესავი, მაგრამ შეიძლება, დავარწმუნო სინოდის კანტორა იმაში, რომ მე მას ამ ადგილზე არ გავაჩერებდი, რომ ის მართლა სუსტი და შეუფერებელი იყოს ამ საქმისთვის. საერთოდ არ მიყვარს ჩემს ეპარქიაში ნათესავების მსახურება, სანამ გელათში დავნიშნავდი სერაპიონს, გელათის მონასტერში გამეფებული იყო ყვირილი, ხმაური, ლოთობა. მან კი გაწმინდა და გაასუფთავა ყველაფერი მონასტერში, რაც ბევრი შრომისა და ბრძოლის ფასი დაუჯდა“ (ქ.ც.ს.ა.ფონდი 21 საქმე N18910). ვფიქრობთ, სერაპიონ ახვლედიანის ღვაწლის შეფასება ყველაზე კარგად შეეძლო იმერეთის გამორჩეულ ეპისკოპოსს გაბრიელ ქიქოძეს. ცნობილია, რომ გარდაცვალების წინ გაბრიელ ეპისკოპოსს არქიმანდრიტ სერაპიონის ნახვა მოუსურვებია: „მარკოზ... გელათში წამიყვანე, მე ბერი ვარ და ბერებთან ცხოვრება მინდა, აქ სულის საზრდო მომაკლდა და ის მაწუხებს. ხომ იცი არქიმანდრიტი სერაპიონი ჩემი რა არის: ჯერ ნათესავია ჩემი და მერე მოძღვარი, მენატრება მისი ნახვა“ (კელენჯერიძე. 2006:207). ასე, რომ სერაპიონი ასეთი გამორჩეული მღვდელმთავრის ნათესავი და სულიერი მოძღვარი ყოფილა.

რკინის ხუნდი-წელზე შემოსარტყამი

ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დაცულია მეტად საინტერესო ნივთი, რკინის ხუნდი, ანუ ძველქართულად ჯაჭვი, რომელსაც ღვაწლმოსილი ბერები ატარებდნენ სხეულზე, ეს კი უდიდეს მოთმინებასა და ფიზიკურ გამძლეობას მოითხოვდა. ჯაჭვის ტარების ტრადიცია სირიდანაა საქართველოში შემოსული და დღესდღეობით სრულიად დაკარგულია, რადგან რკინის ჯაჭვს დღეს არავინ ატარებს. საქართველოსა და საბერძნეთის ეკლესიებში აღარ შემორჩენილა ამგვარი ტრადიცია. ძველად საქართველოს გარდა რუსეთის ეკლესიაშიც ყოფილა ჯაჭვის ტარების ტრადიცია.

აღნიშნულ საკითხზე საუბრისას ლევან მენაბდე შენიშნავდა, რომ

წმინდა სვიმეონ საკვირველმოქმედის ცხოვრებაში მოტანილი ცნობა სვიმონ მესვეტე დაემკვიდრდა „ბრძანებითა ღმრთაისაითა კლდესა მას ზედა და შექმნა თორნე რკინისაჲ და დადგა მას შინა“. მეცნიერის აზრით, აქ თორნეში იგულისხმება არა თორნი, – „რკინა პოლოტიკი ტანთჩასაცმელი“, როგორც გ. ფერაძეს ეგონა, არამედ იგივე სვიმეონის თორნე (შენაბდე.1980:154). რკინის მძიმე ჯაჭვს ატარებდა ცნობილი ქართველი მოღვაწე ექვთიმე მთაწმინდელი. ექვთიმეს, როგორც სვინაქსრული, ასევე ვრცელი ცხოვრებაც ადასტურებს, რომ ღირს მამას ძაძის ზემოთ ჯაჭვი ემოსა: „არნ სამოსლად მისსა ქუეშე კერძო ძაძაჲ და ზედა ძაძისა მის ჯაჭვ მძიმე“ (ძვ.ქართ.აგიოგრაფ.ლიტ.ძეგლ.IV.1968:63). სულხან-საბას განმარტებით, პოლოტიკი – რკინის ფიცარი ბრძოლაში მკერდთა და ღლიათა დასაკრავი(სულხან საბას თრბელიანი.1991:628). ეს სიტყვა იხსენიება ძველ აღთქმაში (2 მეფ.20,8).

ქართველი ბერ-მონაზვნების ცხოვრების მკაცრ ხასიათზე არაერთხელ აღვნიშნეთ. მონასტერში მოღვაწე შამები ცდილობდნენ ხორცის დათრგუნვით სული გაეძლიერებინათ. ამ ფაქტის დამადასტურებელია ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დაცული რკინის ხუნდი – იგივე სატანჯველა. ძველი აღწერილობით ხუნდი რკინის წელზე შემოსარტყამია №658. 10 კილოგრამიანი წელზე შემოსარტყმელი რკინის სალტე მართლაც შთამბეჭდავია. რკინის სარტყელი 1924 წლის 25 მარტს სოფელ სვირიდან მიუტანიათ მუზეუმში. უფრო დაწვრილებითი ინფორმაცია, სამწუხაროდ, ნივთის შესახებ არ გავაჩნია. ძველ მონასტრებში ამგვარი ნივთები მრავლად უნდა ყოფილიყო, მაგრამ 1923 წლიდან მიმდინარე ანტირელიგიური კამპანიის დროს მრავალი მათგანი განადგურდებოდა.

რკინის ხუნდი დაახლოებით არის 80–85 სმ. გარშემოწერილობის. სალტეზე ჯაჭვებით მიმაგრებულია ორი რკინის ჯვარი. რკინის სარტყელის ტარების დროს ბერი სალტეს წელზე შემოირტყამდა, ხოლო ჯაჭვებით ერთი ჯვარი მოღვაწეს წინა მხარეს, ხოლო მეორე უკანა მხარეს ექნებოდა. რკინის ჯვრებზე, რომელიც სარტყელზე მიმაგრებულია ორი რკინის რგოლით, შედუღების გარეშე. სარტყელი იხსნება და იკეტება, მას აქვს სამი დანაყოფი როგორც ჩანს, იგი განკუთვნილი იყო სხვადასხვა ზომის პიროვნებაზე.

დაკვირვების შედეგად აშკარაა, რომ რკინის სალტე შედარებით ახალია (XVIII–XIX საუკუნეები), ხოლო ჯაჭვი და ჯვრები გაცილებით ძველი (XVI-XVII სს.) ან უფრო ძველიც. რკინის ჯვრებზე ამოკაწრულია ექვსფეხა ჯვარი, ასევე რკინის სარტყელზეც თთხივე მხარეს ჯვრებია ამოკაწრული.

ქუთაისის სახელმწიფო არქივში დაცული დოკუმენტის მიხედვით, აღნიშნული რკინის სალტე ეკუთვნოდა მღვდელმონაზონ ვიქტორ გიორგაძეს. (ცნობის მოწოდებისთვის მადლობას მოვახსენებთ ქუთაისის არქივის დირექტორს, ბატონ მერაბ კეზევაძეს). როგორც ჩანს, ტრიფონ ჯაფარიძეს სვირიდან, ვიქტორ გიორგაძის სახლიდან, უკვე წაღებული ჰქონდა წელზე სატარებელი განდეგილ ბერთა ჯაჭვი (ვერიგ რუსულად) (ქცსა.ფ.296:ანაწ. 1. საქმე N 317). ასე გადარჩა განადგურებას აღნიშნული ნივთი. მღვდელმონაზონი ვიქტორ გიორგაძე იმყოფებოდა რუსეთში, ის ქართველი დედოფლის, მარიამის მოძღვარი იყო და საქართველოში დაბრუნებისას გარდაიცვალა.

მცხეთა – შიომღვიმის უდაბნო

1. სამთავროს წმ. ნინოს მონასტერი
2. სვეტიცხოველი, საკათალიკოსო ტაძარი
3. ანტიოქიის წმინდა სტეფანეს სახელობის მონასტერი
4. მცხეთის ჯვარი
5. მცხეთის წმინდა ეკატერინეს მონასტერი
6. ზედაზენი, წმინდა იოანე ზედაზნელის მონასტერი შიომღვიმე
7. წმინდა იოანე ნათლისმცემლის ეკლესია
8. ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესია
9. სარკინეს ქედი (გამოქვაბულები)

დავით გარეჯის უდაბნო (გარეჯის ეპიგრაფიკული ძეგლების მიხედვით, დ.კლდიაშვილი, ზ. სხირტლაძე)

1. დავით გარეჯი – ლავრა
2. წმ. დოდოს მონასტერი
3. იოანე ნათლისმცემლის უდაბნო
4. ბერთუბანი
5. უდაბნო
6. წამებული
7. მრავალწყარო
8. თეთრი უდაბნო
9. ჩიჩხიტური
10. საბერეები
11. განსაშორი
12. წინწყარო
13. ქოლაგირი
14. პირუკუღმა

15. ქვაბები
16. ბატარა ქვაბები
17. სატორგე
18. კოწახურა

საქართველოს სინაꙋ ანუ კლარჯეთის თორმეტი სავანე

(შედგენილი ბ.ინგოროყვას მიერ, გიორგი მერჩულეს ძეგლის მიხედვით)

1. ოპიზა – წმინდა მეფე ვახტანგ გორგასალი – V საუკუნის მეორე ნახევარი
2. ხანძთა – წმინდა მამა გრიგოლ ხანძთელი – 782 წლის ახლოს
3. შატბერდი – წმინდა მამა გრიგოლ ხანძთელი – VIII ს-ის ბოლო
4. მიძნაძთრიაꙋ – დავით მიძნაძორელის მიერ
5. წყაროსთავი-ილარიონ წყაროსთაველის მიერ
6. ბარეთელთა-ზაქარია ბარეთელთელის მიერ
7. მერე-მოღვაწე ქალის დედა ფებრონიას მიერ (თავდაპირველად მერე დაარსებული ყოფილა V ს-ში)
8. დაბა
9. ჯმერკი
10. ბერთა
11. პარეხნი (ბერთისა პარეხნი)
12. დოლისყანა

გელათის სამონასტრო კომპლექსი

(სოხასტერი, მეფეთა საძვალე, აკადემია)

1. სოხასტერი
2. ელია (ილია წინასწარმეტყველი)
3. საბა განმწმედილის ეკლესია
4. წმინდა ნინო
5. ლაღისეული
6. უცნობი ნაეკლესიარები და სენაკების ნაშთები
7. გელათის ღვთისმშობლის შობის ტაძარი

8. გელათის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი
9. გელათის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია
10. დავითის კოშკი (შესაძლოა კოშკში რომელიმე მამა მესვეტეობას ეწეოდა)
11. ბერისკიხე

ქართული მონასტრები წმინდა მიწაზე (ინა ჩეხანოვეცკის მიხედვით)

1. უფლის საფლავი
2. ვაჟვრის მონასტერი
3. წმ.იოანე ღვთისმეტყველის მონასტერი (ამჟამად მაცხოვრის ფრანცისკანული მონასტერი ქრისტიანულ კვარტალში)
4. მკაცრე პრეტორია ჰეროდეს სასახლის ადგილზე (ამჟამად წმინდა ნიკოდიმეს ბერძნული მართლმადიდებლური მონასტერი მაჰმადიანურ კვარტალში)
5. დევთუბნის მონასტერი (ამჟამად წმ. გრიგოლ განმანათლებლის მონასტერი ძველ გერმანულ ნაწილში, ძველი ქალაქის სამხრეთით)
6. წმ.ელიას მონასტერი (ამჟამად ბერძნული მართლმადიდებლური მონასტერი იერუსალიმიდან ბეთლემის გზაზე)
7. წმ. სვიმეონ ღმრთისმიმრქმელის მონასტერი (ამჟამად ბერძნული მართლმადიდებლური მონასტერი ძველი ქალაქის სამხრეთით, კატამონში)
8. წმ. მთავარანგელოზთა მონასტერი მღვდელმთავარ ანას სახლის ადგილზე (ამჟამად წმ. მთავარანგელოზთა მონასტერი სომხურ კვარტალში)
9. წმ.იაკობის მონასტერი უფლის საფლავის ეზოში
10. წმ. თეკლას მონასტერი (ამჟამად ბერძნული საპატრიარქოს ტერიტორიაზე)
11. წმ. გიორგის მონასტერი (ამჟამად ბერძნული მართლმადიდებლური მონასტერი ებრაელების კვარტალში)
12. წმ. დემეტრეს მონასტერი (ამჟამად იმავე სახელობის სკოლის ტერიტორიაზე)

13. წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერი
14. წმ. ბასილი დიდის მონასტერი
15. წმ. ეკატერინეს მონასტერი
16. წმ. თეოდორეს მონასტერი
17. წმ. ნიკოლოზის მონასტერი (ბოლო ექვსი – ამჟამად ქრისტიანულ კვარტალში მდებარე ბერძნული მონასტრებია).

აღნიშნული მონასტრების ნუსხა ქართულ ენაზე გამოაქვეყნა ხელოვნებათმცოდნე ზაზა სხირტლაძემ, რომელიც ინა ჩეხანოვეცის ნაშრომზე საუბრისას შენიშნავს, რომ ქართველთა კუთვნილებაში შედიოდა საკურთხეველი ბეთლემის უფლის შობის ტაძარში, აგრეთვე, გეთსამანიის ღვთისმშობლის საფლავის ტაძარში (სხირტლაძე.2015:374).

იმერეთის სამეფოს მონასტრები 1650–1652 წლებში
(ალექსი იევლიევის მიხედვით)

რუსი ელჩის ცნობით, დასავლეთ საქართველოში მონასტრები არსებობდა ასევე თავად-აზნაურთა კუთვნილ მცირე ციხე-გალავნებში, მათი რაოდენობა დაახლოებით ხუთასამდე ყოფილა. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი მათგანის სახელი დამახინჯებულია: სკანდა, შეუბოვარი, ხრეითი, კალხი, შორობანი, წესი, ჩხერი, სვერი, სამეკა, ზნაკვა, კვარა, ხოტევი,-მინდაციხე, სადმელი, დეხვირი, ჭყვირი, ქვაციხე, ლავგანა, ხარაგაული, მუხურა, ვარცხიე, ბოსლები, ჭალატყე, საჩინო, გვიშტიბი, ვახანი,საზანო, გეგუთი, ვარძია, ტაბაკინი, ხიდისკარი, საჩინო, ამბროლაური, ლეხიდარი, წესი, ღარი, ხრეითი, ჟოშხა, გელოვნები, საკეკე, შვებანი, შაორი, ღები, ჭიორა, სორი (იევლიევის აღწ.1969:166). ჩამოთვლილი მონასტრების უმრავლესობა ციხეებში მოქმედებდა, აღნიშნული ცნობები დღეისათვის მეტად მნიშვნელოვანია. რუსი ელჩის ცნობები შეეხება, როგორც იმერეთში, ასევე რაჭასა და ლეჩხუმში არსებულ მონასტრებს. ქუთაისში ყოფილა ასევე დიდი მოწამის მონასტერი, რომლის წინამძღვარიც ყოფილა დავითი (ლამბაშიძე.1890:9).

1. ქუთაისში ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის დიდი მონასტერი (ბაგრატის ტაძარი)

2. გელათის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის მონასტერი
3. ცაგერის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის მონასტერი
4. იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტერი – არქიმანდრიტი სიმონი
5. ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის მონასტერი – არქიმანდრიტი არტემონ
6. არქიდიაკონ სტეფანეს სახელობის მონასტერი – არქიმანდრიტი დიმიტრი
7. ყოვლადმოწყალე მაცხოვრის სახელობის მონასტერი – არქიმანდრიტი გაბრიელი
8. ღვთაებრივ ძალთა დავით და კონსტანტინეს სახელობის (მოწამეთას) მონასტერი–არქიმანდრიტი სიმონი
9. ქუთაისის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის მონასტერი – იღუმენი დავითი
10. ამაღლების სახელობის მონასტერი – იღუმენი სიმონი
11. წმინდა გიორგის სახელობის მონასტერი საჩინოში – იღუმენი სიმონ
12. ფერისცვალების სახელობის მონასტერი (წყალთაშუაში"?) – იღუმენი იოსები
13. მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზთა სახელობის მონასტერი – იღუმენი სიმონი
14. ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის მონასტერი არზისში? – იღუმენი ფილიპე
15. მირონის მონასტერი, სადაც მირონს ამზადებდნენ – იღუმენი ნიკოლოზ
16. ყოვლადმოწყალე მაცხოვრის სახელობის მონასტერი გუმში? (გუბში) – იღუმენი ზაქარია
17. მთავარმოწამე გიორგის სახელობის მონასტერი გეგუთში – იღუმენი თეოდოსი

ქართლის მონასტრები მე-18 საუკუნის შუახანებში
(ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით)

ვახუშტი ბატონიშვილი თავის უმნიშვნელოვანეს ნაშრომში: „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ფრიად საინტერესო ცნობებს გვაწვდის ქართული მონასტრების შესახებ. მას არაერთი ძველი მონასტერი აქვს მოხსენიებული, რომელიც დღეს უკვე აღარ არსებობს, ზოგიერთი მათგანი მე-18 საუკუნეშიც უკვე უმოქმედო იყო. იმ დროისათვის მონასტრებში მონაზვნების არყოფნის მიზეზი უმეტესწილად მტრების აურაცხელი შემოტევები და ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიური მდგომარეობა იყო. ვახუშტი არაერთ მონასტერზე აღნიშნავს: „აწ უქმ არს“, „აწ ცარიელი“, ან უკიდურეს შემთხვევაში ზის მხოლოდ წინამძღვარი. ნუსხაში შედის დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსიც, სადაც ბატონიშვილი აღნიშნავს, რომ „ყოფილან მონასტერნი მრავალნი... მოწესითა სავსენი, ხოლო აწ არს ხუთი მოწესითა მყოფი“. ვახუშტი ბატონიშვილის აღწერილი ქართლის მონასტრების ნუსხა ასე გამოიყურება.

1. **წუღრუღაშენი**, გუმბათიანი, მშვენიერ ადგილას „აწ უქმი“.
2. **ჰუკაბი**, გუმბათიანი, „აწ ცალიერ არს“. ამჟამად ჰუკაბი მოქცეულია უკანონოდ სომხეთის სასაზღვრო ზოლში.
3. **წითელი ეკლესიაჲ**, მშვენიერი, წითელი ქვით ნაგები, „აწ ცალიერ არს“.
4. **გკანდირი**, „აწ ცალიერი“.
5. ვარდისუბანი, (ქციის ხრამის ახლოს) უგუმბათო. ცარიელი.
6. ლიპარიტის უბნის მონასტერი (ქვეით ქციაზედ) მცირე, კეთილნაშენი, ცარიელი.
7. **გუდარეხი**, უგუმბათო, ფრიად მშვენიერი, „ზის წინამძღვარი“.
8. **საძელისის მონასტერი**, („ერთუის ხევი ზრბითისა“).
9. **კაბენის** დედათა მონასტერი, მშვენიერი, „აწ ხიცის ამარ, აღაშენა მეფემან თამარ“.
10. **ლურჯი მონასტერი**, „დიდგორის მთის კერძო“.
11. **ბეთანიაჲ**, გუმბათიანი, „აწ ხუცის ამარ“.
12. დავით გარეჯის ლავრა, ზის არქიმანდრიტი.
13. **იოანე ნათლისმცემლის** უდაბნო, ზის არქიმანდრიტი“.
14. **ჩიჩხიტური**, „ზის წინამძღუარი“.

15. **ბერთუბანი,** ზის წინამძღვარი.
16. **თბილისის მეტეხი,** მშვენიერი, საარქიმანდრიტო.
17. **მთაწმინდის მონასტერი,** „იშიტუტრუქის კლდესა შინა", „აწ ცალიერი".
18. **ლურჯი მონასტერი,** „ტფილისის ჩრდილოთ", უგუმბათო, „აწ ხუცის ამარა".
19. **ახალ ქალაქური** მონასტერი, „მცხეთის ხიდის სამხრით", უგუმბათო, „იდგნენ მოწესენი".
20. ქვათახევი, გუმბათიანი, „ზის არქიმანდრიტი".
21. მონასტერი ლავრა, გუმბათიანი, „წინარეხის აღმოსავალით", „აწ უქმი".
22. მეტეხის მონასტერი, „დასავლეთით კავთისხევისა და მდინარე თეძმისა", გუმბათიანი, საარქიმანდრიტო.
23. რკონის მონასტერი, გუმბათიანი, „ზის წინამძღუარი".
24. დანახვისის მთის ძირს, მონასტერი ყოვლადწმიდისა.
25. მონასტერი ძამისა, ხუცის ამარა.
26. აბუხალოს ეკლესია და „ქუაბნი გამოკუეთილნი მაღალსა კლდესა შინა მრავალნი"
27. ქოზიფას მონასტერი, უგუმბათო, მთასა შინა „აწ უქმი".
28. წრომის ყოვლადწმიდის მონასტერი, გუმბათიანი, „ხუცის ამარ".
29. სვეტიცხოველი, „სადაცა არს კუართი უფლისა".
30. სამთავრო, გუმბათიანი, „აწცა ზის მთავარეპისკოპოზი".
31. შიო მღვიმე, მონასტერი დიდი, „ზის აწ არქიმანდრიტი", „არიან ქუაბნი გამოკუეთილნი კლდისაგან, მრავალნი".
32. წილკნის ღვთისმშობლის ეკლესია, „ზის ეპისკოპოზი".
33. გერგეტის სამების მონასტერი, „მცხეთის სამკაულის სახიზრად".
34. მყინვარის კლდის ბეთლემის ეკლესია, „კლდესა შინა არიან ქუაბნი გამოკუეთილნი", „არს ვიეჭვ რკინისა, გარდამოკიდებული ქუაბიდამ, და მით ავლენ".
35. მყინვარის მთის ძირში, მონასტერი „კლდესა შინა გამოკუეთილი უდაბნოდ და აწ ცარიელი".
36. იკორთას მონასტერი, გუმბათიანი, „ზის არქიმანდრიტი".
37. სტეფანწმინდის მონასტერი, „წლევის მთაში". თათეს დააოსებული, „ხუცის ამარა".

38. სამთავისის ეკლესია, გუმბათიანი, „ზის ეპისკოპოზი“.
39. მონასტერი ქუაბისმანი, რეხის აღოსავლეთით, „ზის წინამძღვარი“.
40. რეხის დასავლეთით, „მხურვალეთს ზეით, მთაში მონასტერი კეთილშენი, აწ უქმი“.
41. უფლისციხე, დასავლით აქვს ქარაფი მაღალი, და მას შინა გამოკუეთილნი ქუაბნი მრავალ-დიდნი“.
42. მონასტერი წმინდა თევდორესი, უსანეთის მთის ძირშე, „აწ ხუცის ამარ“.
43. ბიეთს მონასტერი კეთილს შუენიერს ადგილას, მევკვდის მდინარის დასავლეთით, უზის წინამძღვარი.
44. მელვრეკისის მონასტერი უგუმბათო, უზის წინამძღვარი.
45. ნიქოზის ღვთაების ეკლესია, ზის ეპისკოპოსი.
46. საბაწმინდის მონასტერი, გუმბათიანი, ერედვის ჩრდილოეთით. „აწ ხუცის ამარ“.
47. საბაწმინდის მონასტრის ზემოთ, აღმოსავლეთით მთაშე უდაბნო, „მაღალსა კლდესა შინა გამოკუეთილნი ქუაბნი ეკლესიით“. იქვე ყოფილა ვიღაც მოწესის უხრწნელი გვამი „კუბოსა შინა კლდისასა ანაფორით“. თუმცა ირგვლივ თოვლი, „ხოლო ზაფხულს ჰყინავს“.
48. თირის მონასტერი, უგუმბათო, ზის წინამძღვარი.
49. რუისის ღვათაების ეკლესია, გუმბათიანი, ზის ეპისკოპოსი.
50. დირბის მონასტერი, ზის არქიმანდრიტი იერუსალიმის ჯვრის მონასტრისა.
51. ერკნეთის ეკლესია, „დგანან მთაწმიდის მონაზონნი ბერძენნი“.
52. ოქონას მონასტერი, გუმბათიანი „ფცის წყლის აღმოსავლით“.
53. თიღვას მონასტერი, გუმბათიანი, „აღაშენა ასულმან აღმაშენებლისამან თამარ“ „აწ ხუცის ამარ“.
54. მონასტერი ოჟორისა, უგუმბათო, ფცისა და ოჟორის წყალს შორის. „აწ ხუცის ამარად“.
55. ულუმბოს მონასტერი, უგუმბათო, მიქაელ ულუმბოელი დაარსებული. ზის წინამძღვარი.
56. იტრიის ყოვლადწმიდის მონასტერი, უგუმბათო, „აწ ხუცის ამარად“.

57. ნუნისის ეკლესია-მონასტერი, უზის წინამძღვარი.
58. გეთსამანიის მონასტერი, გუმბათიანი. საწინამძღვრო.
59. კომოთისმანის მონასტერი გუმბათიანი, ზის წინამძღვარი.

ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს, რომ მის მიერ აღწერილი ეკლესია-მონასტრები ნაგებია თლილი ქვითა, ხოლო ცარიელი მონასტერთა მამულები მთავრებსა და აზნაურებს მიუტაცებიათ (ქართ.ცხ.1973:382).

ქართული მონასტრები ეგზარქოსობის პერიოდში XIX-XX საუკუნის დამდეგს (ბულგაკოვის მიხედვით)

მამათა მონასტრები

1. ახტალის მიძინების სახელობის
2. ბეთანიის ღვთისმშობლის შობის
3. ვარძიის მიძინების სახელობის
4. დავითგარეჯის უდაბნო
5. ზარზმის მონასტერი
6. ზედაზნის მონასტერი
7. იოანე ნათლისმცემლის უდაბნო
8. ქვათახევის მიძინების სახელობის
9. ხობის მიძინების სახელობის
10. მარტყოფის მონასტერი
11. საფარის მონასტერი
12. თბილისის ფერისცვალების მონასტერი
13. ხირსის მონასტერი
14. შიო-მღვიმის მონასტერი
15. შუამთის ღვთისმშობლის შობის
16. ჯუმათის მთავარანგელოზთა
17. იოანე ნათლისმცემლის უდაბნო (სოფ. ამაღლება, თზურგეთის მაზრა)...
18. მარტვილის მიძინების სახელობის
19. საირმის მონასტერი, (ზუგდიდის ოლქი)
20. ხობის მიძინების სახელობის
21. შემოქმედის მაცხოვრის სახელობის

22. გელათის ღვთისმშობლის შობის სახელობის
23. ვკრუჭის წმინდა გეორგის სახელობის
24. კაცხის მაცხოვრის ამაღლების
25. მოწამეთის დავით და კონსტანტინეს სახელობის
26. ნამარნევის იოანე ნათლისმცემლის სახელობის
27. ცაგერის მონასტერი
28. ცაიშის მონასტერი
29. ჭელიშის მიძინების სახელობის
30. სხვავის მონასტერი
31. დრანდის მონასტერი
32. პანტელეიმონის სკიტი
33. ახალი ათონის სიმონ კანანელის მონასტერი
34. წმინდა სამების მონასტერი (ტუაფსეს მხარეში)

დედათა მონასტრები

1. ბოდბის წმინდა ნინოს სახელობის
2. სამთავროს ღვთისმშობლის შობის
3. წმინდა გეორგის მონასტერი (სოფ.მამკოდი, თბილისის ოლქი)
4. თეკლათის ღვთისმშობლის შობის სახელობის
5. ჯიხეთის მონასტერი
6. მღვიმევის მაცხოვრის სახელობის
7. წმ. ვასილისკოს და ოქრობირის სახელობის მონასტერი
8. მოქვის მიძინების სახელობის მონასტერი
9. ქართული მონასტერი (ალექსეევკას – ტუაფსესთან ახლოს) (Булгаковъ.1993: 1446-1537).

ამრიგად XX საუკუნის დამდეგს საქართველოს ტერიტორიაზე უკიდურესად იყო შემცირებული მონასტრების რაოდენობა. საქართველოს საეგზარქოსოში არსებულ რამდენიმე ეპარქიაში 34 მამათა და 9 დედათა მონასტერი ძველ დროში მხოლოდ ერთ მხარეში ფინქციონირებდა, აქვე უნდა ვთქვათ, რომ დასახელებულ 43 მონასტერში მონაზონთა რაოდენობაც ცოტა იყო. ამ პერიოდში ქართულ მონასტრებში თითქმის შეჩერებულა მთავრგნელობით – კულტურული საქმიანობა და ბერების განათლების დონეც დაბალი იყო. თუმცა ოცითდე წელიწად-

ში სამონასტრო ცხოვრება თითქმის განადგურდა. ბოლშევიკების მიერ წარმოებული ანტირელიგიური პოლიტიკის შედეგად გაუქმდა საუკუნოვანი მონასტრები, შეწყდა მონაზვნური ცხოვრება, რაც უპრეცედენტო მოვლენა იყო, რადგან V–VI საუკუნიდან მოყოლებული მსგავსი რამ საქართველოში არასდროს მომხდარა. მტრების შემოსევების შედეგად ნადგურდებოდა მონასტრები, მაგრამ ეს არ ხდებოდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

ქართველი წმინდა ბერმონაზვნები
(რომელთაც იხსენიებს საქართველოს ეკლესია)

საქართველოს ეკლესია თანამედროვე ეტაპზე აღასრულებს ხსენებას რამდენიმე ათეულ წმინდა ბერ-მონაზვნისა, რომელთა ნაწილი უძველეს დროში შეირაცხა წმინდანთა დასში, მეორე ნაწილი კი მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეთა მიჯნაზე. თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველოს ეკლესიის კალენდარში იხსენიებიან ისეთი მამებიც, რომლებიც ძველად არ იყვნენ ჩვენი ეკლესიის წმინდანთა დასში და ისინი საეკლესიო კრების დადგენილების გარეშეა შეტანილი კალენდარში.

პირველი ქართველი წმინდანი მონაზვნები იყვნენ დავით და დოდო გარეჯელები, ღირსი მამა შიო მღვიმელი. შემდგომ მათი მოხსენიება კალენდრის მიხედვით დაწესდა: დავით და დოდო გარეჯელი 28 მაისი, შიო მღვიმელი 9 მაისი (გაბიძაშვილი. 2010:21).

ზემოთქმულის გარდა არის კიდევ ერთი ლიტურგიკული საკითხი, რომელიც ფრიად მნიშვნელოვანია. ქართველ წმინდანთა და მათ შორის წმინდა მამათა ხსენება აღესრულება რანგით უფრო მაღალი წმინდანის დღეს, რაც ტიპიკონურად დაუშვებელია. წმინდანის, რომელსაც რანგი არ აქვს, ხსენება დაიტევება, შესაბამისად ზოგიერთი წმინდა მამის ხსენების დღე უნდა შეიცვალოს და სხვა დღეს დაწესდეს, როდესაც არ იქნება მაღალი რანგის დღესასწაული.

ზემოთაღნიშნულის დასამოწმებლად შეგვიძლია რამდენიმე მაგალითი მოვიყვანოთ:

ა). ღირსი ეფრემ მცირისა და ღირსი მამა ალექსი შუშანიას ხსენება აღესრულება 18/31 იანვარს, ამავე დღეს კი ქრისტიანულ ეკლესიაში

უძველესი დროიდან დაწესებულია ათანასე ალექსანდრიელისა (373 წ.) და კირილე ალექსანდრიელის (444 წ.) ხსენება (საქ.ეკ.კალ.2003:44), რომელთაც მაღალი რანგი აქვთ. შესაბამისად ორივე ქართველი მამის ხსენება სხვა დღეს უნდა იქნას გადატანილი

ბ). ძველი სტილით 20/02 იანვარს აღესრულება ექვთიმე კერესელიძის ხსენება, ამავე დღეს დაწესებულია ექვთიმე დიდის (473 წ) ხსენება(იქვე:45), რომელსაც უფრო მაღალი რანგი აქვს.

გ). მსგავსი შემთხვევა გვაქვს ღირსი მოწამე თეოდორე აჭარელის, ოსმალთაგან წამებულის ხსენებისას 17/2 თებერვალს, რადგან აღნიშნულ დღეს აღესრულება დიდმომოწამე თეოდორე ტირონის ხსენება მე-5 რანგის პატივში (იქვე:51).

დ). აღნიშნული პრობლემა გვხვდება საქართველოს ეკლესიის ძველ კალენდრებში. ღირსი მამა იოანე შავთელისა და ევლოგი სალოსის ხსენება 1976 წლის კალენდარში (ასევე დღესაც) აღესრულებოდა 1/14 აპრილს, მათი ხსენება ემთხვევა რანგით უფრო მაღალი წმინდანის, მარიამ ეგვიპტელის ხსენების დღეს (საქ.ეკ.კალ.1976:183). ასევეა იოანე ზედაზნელისა და თორმეტი ასურელი მამის ხსენების დღეს, როდესაც აღინიშნება იერუსალიმში გელრის ხსენების დღე (იქვე:198).

ე). ანალოლთგიური შემთხვევა ფიქსირდება 8/21 სექტემბერს, როდესაც აღესრულება შობა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა. ამავე დღეს საქართველოს ეკლესიის კალენდარში იხსენიება წმინდა აღმასარებელთა იოანესა (მაისურაძე, 1957) და გიორგის (მხეიძე, 1962) ხსენება (საქ. ეკ.კალენდარი.2013:89).

1. ღირსი მამანი – ევაგრე, ილია დიაკონი დასხვანი VI ს..... 4 (17) იანვარი.
2. ეფრემ მცირე –1101 წ..... 18 (31) იანვარი.
3. ღირსი მამა მღვდელ-მონაზონი ალექსი 1923 წ....18 (31) იანვარი.
4. ღირსი მამა ანტონ მესვეტე, მარტყოფელი VI ს. 19 (1.02) იანვარი.
5. ღირსი მამა ექვთიმე კერესელიძე 1944 წ. .....20(2.02) იანვარი
6. ღირსი მამა არსენ იყალთოელი 1127 წ..... 4 (19) თებერვალი.
7. ღირსი მამა იოანე ჰიმჭიმელი XII ს. ..... 10 (23) თებერვალი..
8. პროხორე ქართველი გელრის მონასტრის განმაახლებელი. მღვდელმოწამე ლუკა იერუსალიმელი 1277, მღვდელმოწამე ნიკოლოზ დვალი 1314 და სხვა მოწამენი..... 12 (25) თებერვალი.

9. ღირსი ილარიონ ქართველი ახალი, ყანჩაველი 1864 წ..... 14 (27) თებერვალი.
10. ღირსი მოწამე თეოდორე აჭარელი, ოსმალთაგან წამებული, XVIII-XIX სს.....17 (2.02) თებერვალი.
11. ღირსი მამა იოანე ხახულელი, X–XI სს. .....10–(23) მარტი
12. ღირსი პიმენ სალოსი–ლეკთა განმანათლებელი და ანტონ მესხი, მეფეთა მამხილებელი; XIII ს. .....16 (29) მარტი.
13. ღირსი გაბრიელ მცირე, მღვდელმოწამე, ლეკთაგან წამებული 1802 წ.....17 (30) მარტი
14. ღირსი მამა იოანე შავთელი და ევლოგი წინასწარმეტყველი–სალოსი XIII ს..... 1 (14) აპრილი..
15. წმინდანი მამანი და დედანი, ქვაბთახევის მონასტერში წამებულნი 1386 წ.....10 (23) აპრილი..
16. ღირსი ბასილი რატიშვილი XIII ს..... 18 (1.05) აპრილი..
17. ღირსი მამანი მიქაელ და არსენ ულუმბოელნი IX ს..... 3 (16) მაისი.
18. ღირსი იოანე ზედაზნელი და მისი თორმეტი მოწაფე VI ს..... 7 (20) მაისი.
19. მიცვალება შიო მღვიმელისა VI ს..... 9 (22) მაისი.
20. ნეტარი ქრისტესია, ქრისტეფორედ წოდებული, 1771 წ..... 11 (24) მაისი.
21. ღირსი ექვთიმე ათონელი, 1028 წ. .....13 (26) მაისი
22. წმინდა ღირსმოწამენი, ათონის ივერთა მონასტერში ლათინთაგან მოწყვეტილნი XIII ს.....13 (26) მაისი.
23. ღირსი დამიანე, მეფეყოფილი დემეტრე, ...23 (5.06) მაისი.
24. ღირსი მამა ბასილი, ბაგრატ მესამის ძე XI ს, ღირსი მიქაელ პარეხელი VIII-IX სს.....27 (9.06) მაისი.
25. ღირსი მამები: შიო ახალი, დავითი, გაბრიელი და პავლე გარეჯელნი, ლეკთაგან მოწყვეტილნი (1696–17000)..... 1 (14) ივნისი.
26. ღირსი მამა იოანე შავთელ–გაენათელი XIII ს..... 9 (22) ივნისი.
27. ღირსი მამა იოანე თორნიკეყოფილი, სვინგელოზი, X ს..... 12 (25) ივნისი.
28. წმინდა მამა ქაიხოსრო ქართველი 1558 წ..... 16 (29) ივნისი.
29. ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელი 1065 წ..... 27 (10.07) ივნისი.

30. ღირსი მამა გითრგი ღმერთშემოსილი, შეყენებული, გითრგი მთაწმინდელის მოძღვარი, 1068 წ..... 3 (16) ივლისი.
31. ღირსნი ათონელი მამანი– იოანე და გაბრიელ მთაწმინდელები X ს.. 12 (25) ივლისი.
32. ღირსი მამა კოზმან ხუცეს–მთნაზონი, მრავალმთას სპარსთაგან მოკლული, 1630 წ..... 18 (31) ივლისი.
33. წმინდა სალომე ქართველი, სპარსთაგან წამებული (XVIIIს.).....20 (2.08) ივლისი.
34. წმინდა ილარიონ თვალელი, გითრგი მთაწმინდელის მოძღვარი XI ს..... 24 (6.08) ივლისი.
35. გითრგი მაშენებელი, ათონელი 1033 წ.....28 (10.08) ივლისი.
36. ღირსი მამა არსენ ნინოწმინდელი (ეპისკოპოსი) 1082 წ..... 31 (13.08) ივლისი.
37. ღირსი მამა ექვთიმე–ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვარი 1804 წ.....8 (21) აგვისტო.
38. ღირსნი მამანი: გერონტი, სერაპიონი, გერმანე, ბესარიონი, მიქაელი და სვიმეონი–გარეჯის მონასტერში მოწყვეტილნი 1851 წ..... 12 (25) აგვისტო.
39. ღირსი მამა სერაპიონ საკვირველმოქმედი, ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვარი 1774 წ..... 24 (6.09) აგვისტო.
40. ღირსი სვიმეონი გარეჯის წინამძღვარი, წინამზედველი და საკვირველმოქმედი 1773 წ..... 4 (17) სექტემბერი.
41. წმინდა აღმსარებლები იოანე (მაისურაძე,1957) და გითრგი (მხეიძე, 1962).....8 (21) სექტემბერი.
42. ღირსი იოსებ ალავერდელი 570 წ. .....15 (28) სექტემბერი.
43. ღირსი ონოფრე გარეჯელი (XVIIIს.)..... 29 (12.10) სექტემბერი.
44. ღირსი მამა გრიგოლ ხანძთელი 861 წ., კლარჯეთის უდაბნოს მამანი და დედანი (VIII-X სს.)..... 5 (18) ოქტომბერი.
45. ღირსი მამა ანტონ ჭყონდიდელი 1815 წ. და მოწაფე მისი, იაკობ ხუცეს–მონაზონი..... 13 (26) ოქტომბერი.
46. წმინდა მოწამე ნიკოლოზ დვალი 1314 წ..... 19 (6.11) ოქტომბერი.

47. ღირსი მამა სერაპიონ ზარზმელი 9000 წ..... 29 (11.11).
48. ღირსი ნიკოლოზ ქართველთა მნათობი, აკოლოთიათა აღმწერელი 1308 წ—3 (16) ნოემბერი.
49. ღირსი მამა ილარიონ ქართველი, საკვირველმოქმედი 875 წ.....19 (2.12) ..... ნოემბერი.
50. წმინდა მოწამე არქიმანდრიტი გრიგოლი, (ფერაძე) 1942 წ. .....23 (6.12) ნოემბერი.
51. მღვდელმოწამე აბიბოს ნეკრესელი VI ს.....29 (12.12) ნოემბერი.
52. წმინდა მამა ისე წილკნელი, ასურელი მამა, VI ს.....2 (15) დეკემბერი.
53. ღირსი მამა იოანე ზედაზნის წინამძღვარი, სარკინოზთაგან წამებული IX ს.....12 (25) დეკემბერი.
54. ღირსი მამანი გიორგი მწერალი და ძმა მისი საბა ხახულელნი XI ს..... 19 (1.01) დეკემბერი.
55. ღირსი მამა მაკარი მმარხველი, ხახულის მონასტრის წინამძღვარი XI ს.____ 21 (3.01).
56. ღირსი დედა საბიანა, სამცხის დედათა მონასტრის წინამძღვარი.....31 (13.01) დეკემბერი.

ქართველი მონაზონი მეფენი, დედოფალნი და მემკვიდრენი
(მეფეთა და სულთა მატიანის მიხედვით)

1. დემეტრე პირველი – მონაზვნობაში დამიანე – დანიელი
2. დედოფალი რუსუდანი – იერუსალიმში მონაზვნად აღკვეცილი
3. თამარი, თიღვას აღმშენებელი
4. ალექსანდრე – მონაზვნობაში აბრაჰამი
5. კონსტანტინე – მონაზვნობაში კირილე
6. დედოფალი თამარი – მონაზვნობაში თეკლა
7. დავით მერვე – მონაზვნობაში დამიანე
8. გიორგი მეცხრე – მონაზვნობაში გერასიმე

ცნობილია ასევე მონაზონი მარიამ ყოფილი მაკრინე (მეფე ერეკლე I-ის ასული მარიამ ბატონიშვილი).

პირთა საძიებელი

ა

აბუსერიძე ტბელი...32
აბრაამი ჩხეტიანი, დიდ სქემოსანი...256
წმინდა აკეფსიმა....30
ათანასე ათონელი...122,125,126
ალექსი შუშანია....6,256,259
ალექსანდრე კონსტანტინებოლელი...61
ალექსანდრე იმერთა მეფე...73
ალექსანდრე კახთა მეფე...79
ალექსი ბაქრაძე, მღვდელ-მონაზონი...239,256,257
ამბროსი ხელაია...12,68
ანთიმოზ ივერიელი...202
ანტონი დიდი...28,29,91,155,230
ანტონ კათალიკოსი....63
ანტონ მარტყოფელი...83,152,153
ანტონი, ხახულის მონასტრის ბერი...135
არტავაზ ერისთავი...20
არსენ (ბერი) იყალთოელი...6,49,51,174
არსენი, დავით გარეჯის ბერი...253
არსენ დიდი...60
არსენ კათალიკოსი...48,85,110
აშოტ კურაპალატი...52,112,113

ბ

ბაგრატ მესამე, იმერეთის მეფე...159
ბაგრატ მეოთხე, მეფე...43,139
ბარკალაია ბენედიქტე, ათონელი ბერი...259
ბარტამ მეფე...16
ბასილი დიდი...30,130
ბასილი მეორე-იმპერატორი...125,128,130
ბასილი მთაწმინდელი...56
ბასილი ზარზმელი...119
ბასილი, ბაგრატ მესამის ძე...135
ბენედიქტე ნაფეტვარიძე-ბერ დიაკონი...10,11,264
ქ.ბეზარაშვილი...7,46
გ. ბოჭორიძე...40,176
ბოჭორიშვილი ბაია...113

ბრიანჩანინოვი ეგნატე...166,170
ბუბულაშვილი ელდარ...82,86

გ

გაბაშვილი ტიმოთე, მიტროპოლიტი...146,147
გაბრიელ ბერი (ათონელი)...9, 57,132,133,144
გაბრიელ ეპისკოპოსი...53,54,75,268,269
გაბრიელ მცირე...245
გაბიძაშვილი ენრიკო...117,143
გაგოშიძე იულონ...21
გალდავა მიქაელი...24
გაიანე...16
გარსევან არქიმანდრიტი...96
ა.გელაშვილი...32
გერმანე არქიმანდრიტი....259
გერმანე დაყუდებული, იმერელი ბერი...257,258
გერმანე მღვდელ-მონაზონი...10,
წმინდა გიორგი...19,32,115
გიორგაძე ვიქტორ, მღვდელ-მონაზონი...271
გიორგი ბრწყინვალე, მეფე...149
გიორგი მერჩულე...26,45,49,58,107,116,117,202
გიორგი მთაწმინდელი... 5,6,9,34,36,42,43,51,55,56,71,122,123,129,134,135,136,137,138,139,140,141,142,143,178
გიორგი შეყენებული...5,34,36,42,56,57,136,158
გიორგი მცირე-ხუცეს-მონაზონი...44,124,132,134,136,139
ამბა გიორგი ოპიზელი...45
გიორგი პროხორე ქართველი....6,55
გუნია ირაკლი...40, 58
გრძელიშვილი სპირიდონ....252,254,255
გრიგოლ ბაკურიანისძე...172,178,179,180,181,195
გრიგოლ ღვთისმეტყველი...7
გრიგოლ ჩახრუხაისძე, მონაზონი...174
გრიგოლ ხანძთელი... 6,7,29,33,35,36,42,46,47,58,52,107,108,109,110,111,112,114,115,117,118,153,200,202,243

დ

დავით ხოშტარია...17,19,20
დავით აღმაშენებელი...36,39,49,51,69,76,152,173
დავით გარეჯელი....7,78,82,83,96,97,98,99,170

დავით კურაბალატი...126
დავით ნარინი მეფე...76,77
დავით მიძნაძორელი....111
დამიანე (დემეტრეყოფილი, დანიილ მონაზონი)...56,75,76
იმპერატორი დეკიუსი....26
დემეტრე აფხაზთა მეფე...110,116
ღირსი დიმიტრიოსი, ბერი...48
დოდო გარეჯელი...78
დოსითეოს წერეთელი, მიტროპოლიტი...263

ე

ეგნატე – ბატრიარქი...106
ეფრემ მცირე..6,51,144,173
ექვთიმე დიდი...30
ექვთიმე მთაწმინდელი... 6,9, 34,35,36,51,55,71,122,123,124,125,128,129,130,131,136,1
43,171,203,205,208,238,241
ევსევი კესარიელი...23, 25,28
ევლოგი სალოსი..163
ეფრემ მაწყვერელი..48,110
ექვთიმე აფხაზეთის კათალიკოსი..159,160
ექვთიმე შარვაშიძე, მიტროპოლიტი...168,267
ელია პატრიარქი....82
ელია თეზბიტელი, წინასწარმეტყველი...164
ღირსი ეპიფანე...48,49,60

ვ

ვარდოსანიძე სერგო...39
ვახტანგ გორგასალი...17,18,19,20,30,109
ვლახოსი იორეთოსი...166,167

ზ

ზაბულონი....15
ზაქარია ბარეთელთის მაშენებელი..111
ხუცეს-მონაზონი ზაქარია გაბაშვილი..74
ზაქარია ჭყონდარიძე, ბერი...56,260,261,262
ზოსიმე ათონელი....55

თ

თამარ მეფე...36,163,198
თარხნიშვილი მიხეილ...173
თაყაიშვილი ექვთიმე...44,65,68,119,120,243

თეოდორიტე კვირელი...28
თეოდოსი დიდი...30
თეიმურაზ ბატონიშვილი...69
მონაზონი თამარი (დავით მეფის ასული)...76
თეოდორე ნეძვის ამშენებელი...108
თეოდოსი ეროსთავი, სქემ მღვდელ-მონაზონი...256
თევოდოს დოდორქელი....253

0

იაკობ მოკაქული...23,164
იოანე ანტიოქიის პატრიარქი...44
იხგოროყვა პავლე...114,115,116,117
ილარიონი-მოძღვართმოძღვარი...73
ილარიონ თვალელი, ბერი...135
ილარიონ ქართველი...9,35,79,100,101,102,103,104,105,142
ილარიონ ყანჩაველი.....6,8,9,55,57,157,166
ილარიონი. წყაროსთავის მაშენებელი...111
იოანე ბატონიშვილი...258
იოანე გუთელი...138
იოანე მთაწმინდელი..6,9,34,36,122,123,124,125,126,127,143
იოანე ზედაზნელი...6,17,81,85,86,88,90
იოანე ზოსიმე....36,54
იოანე თორნიკეყოფილი...6,8,125,126,131,132,144
იოანე ნათლისმცემელი...23,101,155
იოანე საფარელ-მტბევარი...77
ილია წინასწარმეტყველი...24
კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე...40
იოანე ოქროპირი...23
იოსებ ალავერდელი...83
იოანე მაისურაძე...259
იონა ხელაშვილი...93
იოჰანე ქართველი ეპისკოპოსი...20,
იოანე ღვთისმეტყველი...28,59
იოანე შავთელი...163
იოანე ჭყონდიდელი, მესვეტე...154
ისაია წინასწარმეტყველი...229

კ

კაკაბაძე საროს...74
კორნელი კეკელიძე...17,22,81,83,84,85,91,123,124,130,173,230,239
კოზმა ბერი...131
კელენჯერიძე მელიტონ...107
კერესელიძე ექვთიმე, ბერი...6,259
კენჭოშვილი პეტრე...256
კეზევაძე მერაბ...10,263,267,268,271
კირიონი (საძაგლიშვილი) კათალიკოსი...67,122,127,133,160
კლდიაშვილი...59,147
კონსტანტინე დუკა, იმპერატორი...142
კრეგთ ბ...6,38

ლ

ლუკა იერუსალიმელი...6
ლუკიანე-დავით გარეჯელის მოწაფე...78,96,97,170
ლომინაძე ბაბილინა...72
ლეონ რომაელი, ბერი...133
ლოსკი ვლადიმერ...42,161,168

მ

მათე მახარებელი... 27
მათითაშვილი შოთა...15,16,17,19
მარიამ ეგვიპტელი...130
მონაზონი მათე...68
ნიკო მარი...32,82,151,152
მარტვილი მონაზონი...24,170,224,225,226,227,231,233,235,236,238
ღირსი მატო...47,243
მახარებელი, აღდგომის მონასტრის ბერი...147
მელიქიშვილი დამანა...70
მენაბდე ლევან...25,79,145,242,270
მინადორა ნუცუბიძე, სქემმონაზონი...244
მირიანაშვილი ლადო...97
მოსე წინასწარმეტყველი...58
მუკვირი შიო, მიტროპოლიტი...244
მხეიძე გიორგი, ბერი...260

ნ

არქიმანდრიტი ნიკოლოზ ნამორაძე...39
წმ.ნინო...15,16,17
ნიკოლოზ დვალი...6

ნიკოლოზ მორჩაძე, მღვდელ-მონაზონი...267, 268
ნიკოლეთშვილი მიხეილ...162

ო

ღირსი ონისიფორე (ონოფრე) ...46,245, 246, 247,
ონოფრე გარეჯელი...257
ონოფრე დიდი...155
ონოფრე მძოვარი...130

პ

პავლე თებაიდელი...26
პავლე მოკიქული...26,88
პაპანიკოლაუ ფ...54
პეტრე იბერი...25
პეტრე კათალიკოსი...21
პიმენი ბერი...147
პიმენ სალოსი...163,164
პიპა, დეკანოზი...149

ჟ

ხოე ჟორდანია....39

რ

არქიმანდრიტი რაფაელი...53
რიფსიმე...16

ს

საბა განწმენდილი...21,23,24,178
საბა გადამწერი...125
საბა იშხნის მეორედ მაშენებელი...108,111
საბა ხახულის მონასტრის ბერი...134
საბინინი მიხეილ...18,70
სამოელ კათალიკოსი ან სამოელ მონაზონი ...18,21
სარა ნიაფორი...15,16
სარია ანდრია...52
სერაპიონი ახველედიანი-არქიმანდრიტი...79,268,269
სერაპიონი მღვდელ-მონაზონი....79
სერაპიონი, ნათლისმცემლის უდაბნოს წინამძღვარი...258
სერაპიონ ზარზმელი...35,42,119,120
სელიგმანი ვ....20,146
სვიმონ მესვეტე...150,151,152,156
სვიმეონი, ინაურიძე, ბერი...258
ი. სოკოლოვი...61,62,167,178
წმ.სტეფანე...65

სტეფანე ბერ-დიაკონი (ტაბაკინის ბერი)...57,166,241
სხირტლაძე ზაზა...20,146

ტ

ტყეშელაშვილი ლევან...18,39,73,75,76,141

ფ

ფებრონია მერეს წინამძღვარი...113
ფერაძე გრიგოლ....6,9,25,32,35,56,57,59,84,85,114,147,148

ქ

ქაიხოსრო ზედგენიძე, ვაჟის მამა...148
ქრისტეფორე კვიბრიკეთის მაშენებელი...108
ქრისტესია, მთნაზონი....252

ღ

ყ

სიმონ ყაუხჩიშვილი...73

შ

ჟან შარდენი...33,66
აბა შენოთ ატრაპელი...31
შიო მღვიმელი...7,83,89,90,91,92,93,94,95,96
შიო-სქემ-მონაზონი...7,162,262,263,265,

ჩ

ჩუბინაშვილი გიორგი...30

ც

ცაგარელი ალექსანდრე...106,144
ცინცაძე ვახტანგ...153,154
ცქიტიშვილი ნიკოლოზ არქიმანდრიტი...39

ძ

მარიო ძამბი...33,65

ჭ

ჭელიძე ედიშერ....127

ხ

ხინთიბიძე ელგუჯა...31
ხოშტარია დავით....17,19

ჯ

ჯანგავაძე კონსტანტინე.... 11,
ჯავახიშვილი ივანე...17,33,45,71,129,141,161,162,178,179,206,215
ჯანაშვილი მოსე...66
ჯუღელი ვიქტორია...27,30,59,60,61,150

ჰ

ჰარნაკი ადოლფ...9,27,28,151

გამოყენებული ლიტერატურა

1. გ. აბრამიშვილი. კ. ვაჩეიშვილი. უფლისცხის „მიუვალი“ კომპლექსი. ძეგლის მეგობარი. კრებული მესამე. თბ.1964.
2. ანტონისაგან, არხიეპისკოპოსისა ყოვლისა ზემოჲსა საქართველოჲსა, დავითიან-ბაგრატოვანისა ქმნილი. წიგნი მარტირიკა. წგ. მწიგნობრობა ქართული. ტ.4. თბ.2008.
3. სქემმონაზონი ანტონი ათონელი. ცხოვრება, მოღვაწეობა და სასწაულები ღირსისა მღვდელმონაზონისა ილარიონ ქართველისა, ახლისა. თარგმნა ვლადიმერ ჩხიკვაძემ. ქუთ. 2013.
4. ახალი აღთქუმაჲ უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. თბ. 2003.
5. უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაისა“ და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა „კაცისა აგებულებისათვის“. X-XIII სს-ის ხელნაწერთა მიხედვით გამოსცა გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილია აბულაძემ. თბ.1964.
6. დავით ბატონიშვილი. მასალები საქართველოს ისტორიისათვის. 1744–1840 წწ. თბ.1905.
7. ბასილი ეზოსმოძღუარი. ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი. წგ. ქართლის ცხოვრება. ტ.2.ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ. თბ.1959.
8. ქ. ბეზარაშვილი. გრიგოლ ნაზიანზელის (ღმრთისმეტყველის) პოეზიის ძველი ქართული ვერსია. ტ.II. თბ.2016.
9. ბიბლიის ლექსიკონი. შეადგინა ბ.გოეცკემ. თბ.2006.
10. გ ბოჭორიძე. იმერეთის ისტორიული ძეგლები. თბ. 1995.
11. გ. ბოჭორიძე. ქართლის ეკლესია–მონასტრები და სიძველეები. გამოსაცემად მოამზადეს ზაზა სხირტლაძემ და ნატალია ჩიტიშვილმა. თ. 2011.
12. ქ.ბ. ბოჭორიშვილი. ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები. ქუთ. 2020.
13. წმინდა ეგნატე ბრიანჩანინოვი. ასკეტური გამოცდილება და სწავლებანი. რედაქტორ-გამომცემელი ო.ნიკოლაიშვილი. თბ. 2013.
14. ე. ბუბულაშვილი. საქართველოს ეკლესიის სიწმინდეები. თბ.2007
15. ტომთე გაბაშვილი. მიმოსვლა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა. თბ.1956.
16. გაბრიელ მცირე. ცხოვრება და მოქალაქეობა ღირსისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა სქემოსან ონისიფორესი.წგ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. V. დასაბეჭდად მოამზადეს, გამოკვლევა, ბიბლიოგრაფია, ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს

ენრიკო გაბიძაშვილმა და მიხეილ ქავთარიამ. თბ.1989.
17. ენ. გაბიძაშვილი. რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა. თბ. 1978.
18. ენ. გაბიძაშვილი. ძველი საქართველოს წმინდანთა და სიწმიდეთა კალენდარი. წგ. მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის შეერთებული კალენდარი. თბ. 2001.
19. ენ. გაბიძაშვილი, შრომები. I. მონოგრაფიული ნარკვევი. თბ. 2010
20. ი. გაგოშიძე, ე. ყვავაძე. ქართლის ბირველი კათალიკოსის სამარხი? გელათის მეცნიერებათა აკადემიის შრომები. I. თბ. 2014.
21. დეკანოზი მიქაელ გალდავა. სულიერ-ზნეობითი სწავლანი წმინდა იაკობ მოციქულის კათოლიკე ეპისტოლეში. თბ. 2018.
22. გ. გაფრინდაშვილი. ისტორიული ვეავახეთის გამოქვაბულები. კრებული მესამე. თბ.1964.
23. გარეჯის ეპიგრაფიკული ძეგლები. წმ. დავითის ლავრა, უდაბნოს მონასტერი. (XI-XVIII სს). ტ.I. ნაკვეთი ბირველი. გამოსაცემად მოამზადეს დარეჯან კლდიაშვილმა და ზაზა სხირტლაძემ. თბ.1999.
24. გარეჯის ისტორიული დოკუმენტები XIII-XVIII სს. ნაკვეთი 1. ტ. V. გამოსაცემად მოამზადეს დ. ლომიძემ, მ. ჭუმბურიძემ, და ზ. სხირტლაძემ. თბ. 2008.
25. ა. გელაშვილი. ბალავანას მონასტერი შავშეთში. IV საერთაშორისო კონფერენცია ტაო-კლარჯეთი. მოხსენებათა თეზისები. თბ.2016.
26. გიორგი მერჩულე,შრომა და მოღვაწეობა ჩვენი წმინდა და ნეტარი მამის გრიგოლ არქიმანდრიტის, ხანჯთისა და შატბერდის აშშენებლის, ღირსებით ცხოვრებისა და მასთან ერთად ხსენება მრავალი ნეტარი მამისა. წგ.ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა. ძეგლები თარგმნა, გამოსაცემად მოამზადა და სქოლიოები დაურთო ედიშერ ჭელიძემ. I.თბ.2008.
27. ი. გუნია. საქართველოს მონასტრები. ენციკლოპედიური ცნობარი. თბ. 2005.
28. დავითნი და საცისკრო გალობები. გელათის სასულიერო აკადემია და სემინარია. ქუთ.2013.
29. ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი. წგ. ქართლის ცხოვრება. ტ.1..ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ. თბ.1956.
30. დიდი სჯულისკანონი. გამოსაცემად მოამზადეს ე.გაბიძაშვილმა, ე. გეუნაშვილმა, მ.დოლაქიძემ, გ. ნინუამ. თბ. 1975.
31. მიტროპოლიტი იერეთეოსი (ვლახოსი). ერთი ღამე მთაწმინდის უდაბნოში. (საუბარი მეუდაბნოესთან იესოს ლოცვაზე). მთარგმნელი. ელდარ ეკალაძე. თბ.2007.

32. ევსები კესარიელი. საეკლესიო ისტორია.ძველი ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ზურაბ ვაშმა.თბ. 2007.
33. ეფრემ მცირე. უწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რთმელთა წიგნთა შინა მოიხსენების. ტექსტი გამოსცა, შესავალი და ლექსიკონ-საძიებლები დაურთო თ.ბრეგაძემ.თბ. 1959.
34. ექვთიმე მთაწმინდელი. სვინაქსარული ცხოვრებანი XI-XIV სს. წგ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. სვინაქსარული რედაქციები (XI-XVIII სს). IV. გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ენრიკო გაბიძაშვილმა. თბ. 1968.
35. ს. ყარდოსანიძე. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1952 წლებში. თბ. 2001.
36. ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. წგ. ქართლის ცხოვრება. ტIV. თბ.1973.
37. ზოსიმე მთაწმინდელი. ექვთიმე მთაწმინდელის დასდებელნი: უფალო ღაღადყავსა წგ. მწიგნობრობა ქართული. ტ. 5. თბ. 2009.
38. მ. თარხნიშვილი. ქართველი ბერების ცხოვრებიდან. წგ. მწიგნობრობა ქართული. ტ 14. თბ.2012.
39. ექ. თაყაიშვილი. ზარზმის ეკლესისა და მის სიძველეთა შესახებ. ტფ.1919.
40. ექ. თაყაიშვილი. მეფეთა და სულთა მატიანის მიხედვით ნიკორწმინდის ხელნაწერში.წგ. ემიგრანტული ნაშრომები. 1. თბ. 1991.
41. ექ. თაყაიშვილი. ჯრუჭის მონასტერი და მისი სიძველეები. გამოსაცემად მოამზადა ზაზა სხირტლაძემ. თბ. 2010.
42. ექ. თაყაიშვილი. თხზულებანი. ტ.I.ტომის რედაქტორი ბუბა კუდავა. თბ. 2016.
43. თეიმურაზ ბატონიშვილი. ისტორია. დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგიისა. რომელ არს სრულიად საქართველოისა. სანკტ. პეტერბურგი. 1878.
44. თეოდორიტე კვირელი. საეკლესიო ისტორია. ძველბერძნულიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ზურაბ ვაშმა. თბ.2008.
45. იოანე ბატონიშვილი. კალმასობა. თბ. 1948.
46. ალექსი იევლიევის 1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა. რუსული ტექსტი, ხელნაწერების მიმოხილვით და ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა იასე ცინცაძემ. თბ. 1969.
47. ივირონის აქტები. I. დაარსებიდან XI საუკუნის შუა წლებამდე. ჟაკ

ლეფორი, ნიკოლაოს იკონომიდისი, დენიზ პაპახრისანთუ, ელენე მეტრეველის თანაავტორობით. თბ.2008.
48. პ.ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, ქართველი მწერალი მეათე საუკუნეში. თბ.1954.
49. ცხოვრებაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა იოვანე ზედაზნელისა. წგ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ.III. რედაქტორი ლევან ბაბაშიძე. თბ.1971
50. სამოციქულოს განმარტება გამოკრებილი იოვანე ოქროპირისა და სხუა წმინდა მამათა თხზულებებიდან თარგმნილი ეფრემ მცირის (კარიჭის ძის) მიერ. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვა დაურთო ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა. თბ. 2011.
51. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი". წგ. ქართლის ცხოვრება. ტ.2. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ. თბ.1959.
52. ბერი პიტაპაოს კავსოკალიველი. ათთნის წმინდა მთაზე ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მობრძანების შესახებ გარდამოცემა, როგორც მისი თაყვანისცემის დასაწყისი წმინდა მთის მონაზონთა მიერ. ჟრ. ლოგოსი. № 8. თბ. 2014.
53. ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. I ტფ. 1921
54. არქიმანდრიტი რაფაელი (კარელინი) ხატი „დიდება საქართველოს საკათალიკოსო ეკლესიისა". თბ. 2006.
55. კ.კეკელიძე. მიტაცება ბერძენთა მიერ ქართული ლიტერატურული კერისა.წგ. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ.III.თბ.1955.
56. კ. კეკელიძე. საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ. წგ. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ.I.თბ.1956.
57. კ. კეკელიძე. ზოგიერთი საკითხი ექვთიმე ქართველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.წგ. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ.I.თბ.1956.
58. კ. კეკელიძე. ნაწყვეტი ქართული აგიოგრაფიის ისტორიიდან. (ცხოვრება ილარიონ ქართველისა). წგ. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ.IV.თბ.1957.
59. კ. კეკელიძე. მარტვილი ქართველი VI-VII სს. და მისი შრომა „სინან-

ულისთვის და სიმდაბლისა". წგ. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ. XII. თბ.1973.
60. კ. კეკელიძე. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. პირველი. თბ. 1980.
61. მ. კელენჯერიძე. საქართველოს საკათალიკოსო ეკლესიის მოკლე ისტორია. ქუთ. 1918.
62. მ. კელენჯერიძე. გაბრიელი ეპისკოპოსი იმერეთისა. (მისი დრო, ცხოვრება და მოღვაწეობა). თბ.2006.
63. პ. კენჭოშვილი. მოგზაურობა იერუსალიმისა და ათონის მთაზე. გამოსაცემად მოამზადა ზ.ვაშაყმაძემ.თბ.2010.
64. მ. კეზევაძე. გელათის მონასტერი ეგზარქოსობის დროს. ქუთ. 2006.
65. მ. კეზევაძე. იმერეთის ეკლესია-მონასტრების ნეკროპოლი. გელათის მეცნიერებათა აკადემიის შრომები. V. თბ.2019.
66. დ. კლდიაშვილი. ქართული სამონასტრო სულთა მატიანეები. წგ. I. სინას წმ.ეკატერინეს მონასტრის ქართველთა ეკლესიის სულთა მატიანე. თბ.2008.
67. გ. კუტალაძე. ვა(ჰა)ნის ქვაბები. თბ. 2018.
68. ლაშა-გიორგის – დროინდელი მემატიანე. წგ. ქართლის ცხოვრება. ტ.1. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1955.
69. ბ. ლომინაძე. გელათი. თბ.2014.
70. ვ. ლოსკი. მისტიკური ღვთისმეტყველება. თბ.2015.
71. შ. მათითაშვილი.ქართული ბერმონაზვნობის ისტორია. ტ. 1. IV-V საუკუნეები. თბ.2017.
72. ნ. მარი. იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო წიგნსაცავის ქართული ხელნაწერების მოკლე აღწერილობა. დასაბეჭდად მოამზადა ე. მეტრეველმა. თბ.1955.
73. მარტვილის მონასტერი. ჟრ. მწყემსი. № 4. 28 თებერვალი. 1883.
74. მარტყოფის მონასტერი. ჟრ. მწყემსი. № 11. 15 ივნისი. 1890.
75. გ. მაჩურიშვილი. ლ. ტოგონიძე. XVIII-XX საუკუნეში მოღვაწე სასულიერო პირთა ცხოვრება და მოღვაწეობა. თბ.2012.
76. მ. მგალობლიშვილი, ლ.მიქაბერიძე, ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს ცნობები გელათის შესახებ, ანალები, № 2, თბ. 2000.
77. დ. მელიქიშვილი. გელათის აკადემია. სხუა ათინა და მეორე

იერუსალიმი სასწავლებელი ყრმათათვის. თბ. 2019.
78. დ. მელიქიშვილი ბ. გელათის საღმრთისმეტყველო-ფილოლოგიური სკოლა. გელათის მეცნიერებათა აკადემიის შრომები. V. თბ.2019.
79. ლ. მენაბდე. ძველი ქართული მწერლობის კერები. I.თბ.1962.
80. ლ. მენაბდე. ძველი ქართული მწერლობის კერები. II. თბ. 1980.
81. ლ. მირიანაშვილი. წმ. დავით გარეჯელის „ცხოვრების" კიმენურ ვერსიაში შესული ისტორიული ფაქტები და ტოპოსები. კრ. ქართული წყაროთმცოდნეობა XXII. თბ. 2020.
82. გ. მიქაძე. იერუსალიმის უცნობი ქართული სამშენებლო წარწერა. კრ. ქართული წყაროთმცოდნეობა III. თბ. 1973.
83. ბ. მოსიაშვილი. ისტორიული კვლევები საქართველოს წარსულიდან. თბ.2015.
84. „მოქცევაჲ ქართლისაჲ". წგ. შატბერდის კრებული X საუკუნისა. გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა. თბ. 1979.
85. მ. მურუსიძე. რაჭის საეკლესიო-სამონასტრო ცხოვრება XI საუკუნიდან XX საუკუნის მეორე მეოთხედამდე. ქუთ. 2019.
86. მიტროპოლიტი შიო მუჯირი. თეკლათის დედათა მონასტრის ისტორიიდან. სენაკი 2014.
87. მსოფლიო საეკლესიო კრებები. (ისტორია, ღვთისმეტყველება, კანონები) თბ. 2009.
88. ნიკაჭაძე. ტაბაკინის მონასტერი.ქუთ.2003.
89. ა. ნიკოლეიშვილი. ქუთაისის მუზეუმის ეპიგრაფიკული ძეგლები. კრ. ქუთაისის მუზეუმის შრომები XIII. ქუთ. 2001.
90. სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული 1.თბ.1991.
91. ფ. პაპანიკოლაუ. უდაბნო და ქალაქი – ადრექრისტიანული საუკუნეების ასკეტურ სწავლებაში. თბ.2018.
92. მ. საბინინი. საქართველოს სამოთხე, სრული აღწერაჲ ღუაწლთა და ვნებათა საქართველოს წმიდათა. პეტ.1882.
93. მღვდელმონაზონი ანდრია სარია. მართლმადიდებლური აზროვნება. თბ. 2018.
94. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი. ავტორ შემდგენელნი: ენრიკო გაბიძაშვილიმაია მამაცაშვილი, ანა ღამბაშიძე.თბ.2007.
95. საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1976 წლისთვის. თბ.1976.

96. საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 2003 წლის. თბ. 2003.
97. საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 2013 წლის. თბ. 2013
98. ზ. სხირტლაძე. ნარკვევი წმინდა მიწის ქართული სიძველეების შესახებ. ჰუმანიტარული კვლევები, წელიწდეული. №6. თბ. 2015.
99. კირიონ საძაგლიშვილი. ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში. წგ. ქართული მწერლობა. ტ.23. თბ.2005.
100. სამთავროს დედათა მონასტრის XIX საუკუნის ტიპიკონი. გაზ.საპატრიარქოს უწყებანი. 2008წ. № 24, 3–9 ივლისი.
101. ს.ა. ტერკოვსკი. მართლმადიდებელი ეკლესიის აღმოსავლეთის საპატრიარქოები (IX საუკუნემდე).რედაქტორი თამარ ჩუბინიძე.თბ.2017.
102. ლ. ტყეშელაშვილი. საქართველოს მოწამე მღვდელმთავარნი. დოსითეოსი და ეფთვიმე. 1820 წ. თბ. 2005.
103. ლ. ტყეშელაშვილი. გელათი მეორე იერუსალიმი, სხვა ათინა. ქუთ. 2007.
104. ლ. ტყეშელაშვილი. მოწამეთა. ქუთ. 2010.
105. ლ. ტყეშელაშვილი. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიის ძირითადი საკითხები. ქუთ. 2014.
106. ლ. ტყეშელაშვილი. დავით აღმაშენებელი მესიის მახვილი. თბ.2019.
107. ლ. ტყეშელაშვილი. ქართველი წმინდა მეფეები და დედოფლები. ქუთ. 2020.
108. გრიგოლ ფერაძე. ქართული ბერმონაზვნობის ისტორია დასაწყისიდან 1063 წლამდე. წგ. მწიგნობრობა ქართული. ტ.14. თბ.2012.
109. გრიგოლ ფერაძე. უცხოელ ბილიგრიმთა ცნობები ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ. წგ. მწიგნობრობა ქართული. ტ.14. თბ.2012.
110. ქართული ეკლესია და მისი სიძველეები. რედაქტორი ზურაბ კალანდაძე .თბ.1992.
111. ქართლ–კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები, შეკრებილი თედო ჟორდანიას მიერ. ფოთი 1903.
112. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ტ.I. Q კოლექცია. თბ.1957.
113. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. (A) კოლექცია. შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: თ.ბრეგაძემ, მ.ქავთარიამ და ლ. ქუთათელაძემ. ტომი I 1. თბ. 1974.
114. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. (A) კოლექცია. ტომი I 4. შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, მ. ქავთარიამ. თბ. 1985.
115. ქართველ წმინდა მამათა ცხოვრება. თბ.2005.
116. ქართველ წმინდანთა ცხოვრება. თბ. 2000.

117. ქართული სამართლის ძეგლები. ტომი III. საეკლესიო-საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს). ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1970 წ.
118. გაბრიელ ეპისკოპოსი (ქიქოძე). ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები. თბ. 1993.
119. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ. წიგნი 1. ტფ.1892.
120. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ. წიგნი 2. ტფ.1897.
121. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ. წიგნი 3. თბ.1967.
122. დავით ღამბაშიძე. საისტორიო მასალა. ჟრ. მწყემსი. № 2. 30 იანვარი. 1890.
123. ს. ყაუხჩიშვილი. გელათის აკადემია. თბ.1948.
124. ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში. ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა. თბ.1975.
125. ე. შნეურსონი. მესვეტეთა საგა: ასკეტიზმი და პოლიტიკა შუა საუკუნეების საქართველოში – თმკის ეკლესია. IV საერთაშორისო კონფერენცია ტაო-კლარჯეთი. მოხსენებათა თეზისები. თბ.2016.
126. ვ. ცინცაძე. კაცხის სვეტი V-VI საუკუნის ხუროთმოძღვრების ძეგლი. კრებული მესამე. თბ.1964.
127. ვ. ცინცაძე. უბისის სვეტი. კრ. მეთვრამეტე. ძეგლის მეგობარი. თბ. 1969.
128. ვ. ცინცაძე. მარტვილის სვეტი. კრ. ძეგლის მეგობარი. ორმოცდამეტექვსმეტე. თბ. 1981.
129. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ.I. დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ. ნ. ანათელაშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქავთარაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც.ყიფშიძემ. თბ. 1963.
130. ვ. წერეთელი. ქ. წერეთელი. კაცხი. წგ. ქტიტორები. ქუთ.2008
131. წმინდა მთის ისიქასტური და სამოღვაწეო გარდამოცემიდან. ბერძნული გამოცემა. 2011.
132. ე. ჭელიძე. „ნიშანი ქართლისა ცხოვრებისაჲ“. თბ.2017.
133. ზ. ჭიჭინაძე. სრულიად საქართველოს მეფე დავით აღმაშენებელი. ტფ. 1892.

134. ამბროსი ხელაია. მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში. წგ. მწიგნობრობა ქართული. ტ.12. თბ. 2011.
135. არქიმანდრიტი ამბროსი ხელაია. იმერეთის ეპარქიის მამათა მონასტრების რევიზიის ანგარიში. გამოსაცემად მოამზადა, წინათქმა, კომენტარები და საძიებლები დაურთო მერაბ კეზევაზემ. ქუთ.2019.
136. ელ. ხინთიბიძე. ბასილი კაბადოკიელის „სამოღვაწეო წიგნის“ ქართული რედაქციები. თბ.1968.
137. დ. ხოშტარია. კლარჯეთის ეკლესიები და მონასტრები. თბ.2005.
138. თ. ხუციშვილი. ა. იმედაშვილი. ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში მოხსენიებული მონასტრების იდენტიფიკაციისათვის. IV საერთაშორისო კონფერენცია ტაო-კლარჯეთი. მოხსენებათა თეზისები. თბ.2016.
139. ჟამთააღმწერელი. წგ. ქართლის ცხოვრება. ტ.2. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ.1959.
140. ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. წგ.I.ტფ.1928.
141. ივ. ჯავახიშვილი. სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. თბ.1947.
142. ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. VII. თბ.1984.
143. მ. ჯანაშვილი. საქართველოს საეკლესიო ისტორია. თბ. 1886.
144. ჯუანშერი. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. წგ. ქართლის ცხოვრება. ტ.1. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ.1955.
145. ვ. ჯულელი. ნეტარი თეოდორიტე კვირელი. საღმრთო ასპარეზობა და სიბრძნისმოყვარეობა სირიული ასკეტიზმის ფონზე: „ფილოთეონ ისტორია“ და მისი ქართული თარგმანები. თბ.2011.
146. Афонский Патерикъ или Жизнеописание святыхъ, на святой Афонской горе просявшихъ. Москва 1897.
147. С. Булгаковъ. Настолная книга для священно-церковно служителей. Москва. 1993.
148. Прот. К. Кекелидзе. Литургические Грузинские памятники въ отечественныхъ книгохранилишахъ и ихъ научное значение. Тиф. 1908.
149. Епископ Кирион Ахталский. Монастыръ Падгатовка К издантю ведение и коментарии Э. Бубулашвили и З. схиртладзе Тбилиси. 2005.
150. Архиупископ Бениамин Краснопевков. Новая скрижалъ Святоуспенская Почаевская лавра. 2013.

151. Н. Кондаковъ. Описъ Помятниковъ Древности въ некаторыхъ храмахъ и монастыряхъ Грузий. Санкт-Петербург. 1890.
152. Н. Марр. Описание Грузинских рукописей Синайского монастыря. Москва. 1940.
153. М. Сабинин История Грузинсой церквы до конца VI века Санкт-Петербург 1877.
154. М. Сабинин. Иверский патерик Москва. 2004.
155. Святель Симеон Солунский. О священнщенодеисвтях и таинствах церковных Москва. 2018.
156. И.И. Соколов. Состаяние Монашества в Бизантиской Церкви с Середины IXдо начала XIII века (842-1204) Санкт-Петербург 2003.
157. К. Попов. Блаженный Диадох епископ Фотики древнего Эпира и его творения Т. 1.Киев.1903
158. А. Цагарели Сведеня о Помятниках Грузинской Писмености випуск первыи с Петер 1886.
159. А. Цагарели. Помятники Грузинской старины въ святой земле и на Сине Православный Палестинский сборник Том IV. випуск первый. Санкт-Петербург 1888.
160. Епископ Порфирй Успенский История Афона Том 1 Москва 2017
161. Paul Crego. Monks and monasticism in Georgiain the nineteenth and twentieth senturies. monasticism in Eastern Europe and the for Soviet Republics. Editied by Ines Angeli Murzaki. London and Newyork. 2016.
162. Diana Robinson. Monk at Work, ideals and Reality early Egiptian Monasticism. Biblical Archaeology review. 2020. vol 46 NO 4.
163. John Seligman.a Excavations at the Georgian Monastery From the Bizantine Period in Umm-Leisum, Near Jerusalem, in Georgians in Holy Land: The Rediscovery of a Long-lost Christian Legacy, ed.by Tamila MgaloblíSvili, Iberica Caucaasica, vol.2 (London: Bennett & Bloom, 2014).
164. John Seligman.b A Georgian Monastery From the Bizantine Period at Khirbadat Umm Leisun, Jerusalem, Atiqot, N 83,2015.
165. Adolf Harnak. Monasticism: Its Ideals and History and The Confesions of Avgustine. London 1901.
166. KallistosWare. Bishop of Diokleia. st. Atanasios the Athonite: traditionalist or innovator. Mount Athos and Byzantine monasticism. Variorum.1996.

ელექტრონული რესურსები:

1. ანთიმოზ ივერიელის მონასტრის ტიპიკონი https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_humanities/antimis.pdf

2. http://www.orthodoxy.ge/tveni/ianvari/aleqsi.htm. ღირსი ალექსი (შუშანია) (+1923)

ქუთაისის ისტორიული მუზეუმი
ეთნოგრაფიული ფონდი ქიმ. N62/36
ქსოვილების ფონდი N6630

ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი
ფონდი 21 საქმე N965, 24119, 18910
ფონდი 296 ანაწ. 1. საქმე N317

გარეკანზე – წმინდა გიორგი მთაწმინდელის ფრესკა, ახტალა XIV ს.
უკანა ყდაზე – სქემ მონაზონ შიოს საფლავი გელათის ეზოში.
კათალიკოს ექვთიმე საყვარელიძის სქემა
რკინის ჯვარი, რომელსაც ბერები ტანზე ატარებდნენ.

წიგნი დაიბეჭდა მამუკა ფოფხაძის სახელობის სტამბაში
ი/მ „ბაკურ კოლაძის" მიერ
მისამართი: ქუთაისი, აკ. წერეთლის ქუჩა №186.
ტელ: 043 23-45-54.